# ივერია

1879

№ 7—8, ივლისი და აგვისტო.

ტფილისი
ამბარცუმ ენფიაჯიანცის სტამბა
1879

I. დედა და შვილი, (ლექსი) ილ. ჭავჭავაძისა . . . . . . 3

II. ნიმუშები საზოგადო ისტორიის მოთხრობებიდამ, გ. ი. 11

III. ნატვრა, (ლექსი) აკაკისა . . . . . . . . . . . . . . . 34

IV. უ...ს, (ლექსი) მისივე. . . . . . . . . . . . . . . . . 36

V. ერთი უბედურთაგანი, (მოთხრობა ჟულ კლარეტისა) . . 38

VI. სხვა-და-სხვა ძველი ლექსები . . . . . . . . . . . . 92

VII. ისტორიული მასალა, ანტონ კათალიკოზის წერილები 106

VIII. იმერეთის ისტორია, ნიკოლოზ დადიანისა . . . . . 121

IX. მოთხრობა სპარსეთის და საქართველოს არეულობაზედ ფრანცუზულიდამ ნათარგმნი ს. დ—ძისაგან . . . 163

X. ბატონის-შვილის დავით გიორგის მეფის-ძისაგან თქმული მუხამბაზი . . . . . . . . . . . . . . . . 184

XI. მართა, (მოთხრობა) უცნობისა . . . . . . . . . . . . . 187

XII. ვაქებ, ანუ: ამასაც ხომ არ დამიშლიან! (ისპანიური სატირა ლარრასი). . . . . . . . . . . . . . . . . . 196

XIII. შინაური მიმოხილვა

ძნელი მოვალეობა შინაურის მიმომხილველისა ჩვენში—გინდა თუ არა შენის ჭკუით—ჭაპანთ-წყვეტა—დაირა და ყლარჯნები ზოგიერთისა—ჩვენი ცხოვრება—მეორე დაბრკოლება—სუ! ანუ: პირში ბურთი—ნამცეცების კრეფა—სწავლის მწყურვალნი—სამხედრო გიმნაზია—შენ მაცხონე კამისიავ—მუქარა წლევანდელის წლისა—ამისი წამალი «Общество Бережливость»-ის აზრით—მოსკოვის ხაბაზები—ცივილიზაციის ახალი პიონერები: შარშან ცხენები და ეხლა მოსკოვის ხაბაზები—ღმერთსა ვსთხოვოთ . . . . . . . . 209

# ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო
ჟურნალი

---

5978

წელიწადი მესამე.

№ 7.

ტფილისი
ამბარცუმ ენფიაჯიანცის სტამბა.
1879

სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

Дозволено цензурою. Тифлисъ 26 Іюля 1879 г.



# დედა და შვილი.

(ეპიზოდი დავით აღმაშენებლის დროთაგან, როცა არაბთა-
გან ანთავისუფლებდა საქართველოს.)

„გაგვიძეღ, ბერო მინდიავ, მუხლი, მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო."
(გლეხური სიმღერა.)

(სცენათ არის ოთახი, რომლის ფანჯრებიც ქუჩას გადაჰყურებენ. ერთ მხრივ ტახტზედ ლოგინში წევს სნეული, ძალიან მისუსტებული და მოხუცებული დედა.)

დედა.

თუმცა სიცოცხლე სნეულთათვის წვალება არი,
მაგრამ, ჰე ღმერთო, გმადლობ, ამ დღეს რომ შემასწარი, —
და აქამომდე არ მოჰკვეთე ჩემი ცხოვრება:
ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება,
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღზდგა, ხალხი მოქმედობს!...
ერთის ზღვიდამა მეორემდე ერთს ფიქრსა ჰფიქრობს
და ეგ ფიქრია: ჩვენის ქვეყნის თავისუფლება!...
დიდია ხალხი როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება.
ერთი შვილი მყავს საყვარელი და სანატრელი,
იგია მარტო თავის დედის ნუგეშ-მცემელი,
იგია ჩემი სიცოცხლე და სიხარული,
იმითი მიდგა უძლურს ტანში უძლური სული,

ჩემის სიბერის მისაყრდომათ ისღა მშთენია,
მაგრამ, მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია...

(შეწუხებული ჩაფიქრდება და მცირეს ხანს შემდეგ იტყვის)

ის დღეა დღეს რომ მამულს ვუძღვნა მის სიყვარული,
ან ძეს შევსწირო საყვარელი დიდი მამული...
ამ ორის გრძნობის ბრძოლა გულმა ვით გადიხადოს?
ძის სიყვარული, თუ მამულის — რომელი დაჰსთმოს?...
ეჰა, ამ დღისთვის გავიზარდე, მამულო, შვილი,
სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი..
დედის-ერთა მყავს, მაგრამ შენთვის მე მას ვშორდები!
ვინ იცის, შვილო, რომელს ველზედ მტრისგან მოჰკვდები?
დამტირებელი დედა ახლოს არ გეყოლება,
მის ცხარე ცრემლი სისხლიანს მკერდს არ გეპკურება;
დედისა ხელით ვერ შეიხვევ განგმირულს გულსა,
და ეგრედ შენს თავს მტლად დაუდებ შენსა მამულსა!...
შენს სიკვდილშია ჩემი ვაიც და ნეტარებაც,
მისთვის-რომ მე ვარ დედა-შენიც და ქართლის დედაც:
ვით დედა-შენი იმ სიკვდილით შენით ვივაებ,
ვით ქართვლის დედა ვინეტარებ და ვისახელებ.

(ჩაფიქრდება და მცირეს ხანს შემდეგ)

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთ-საყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ-ბუნებისა.
მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული,
ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო;
მაგრამ სამოთხეც ყოვლისფრითა აღსავსე, სრული
პირველ კაცთათვის უშენოთა არა რა იყო.
რა განიცადეს იმათ შენთა მადლთა უხვება,

მსწრაფლ აღგიარეს, ჵოი ღმერთავ, თაყვანებითა,
მსწრაფლ მოგიპოვეს: ფასად მიჰსცეს თვის უკვდავება,
და სამართლზეც ჰსთმეს სრულის მისის ნეტარებითა.
ეგრედ ნაშოვნი რად წაჰგვერთვი მესავთა შენთა?
რაღად ღვრის დღესაც შენთვის სისხლსა ადამიანი?
რად შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად ჩვენდა,
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირ სისხლიანი?
თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!
რად არ შენდება უსისხლოთა მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?...

შვილი (შემოდის გახარებული.)

მოვიდა ჩვენი სანატრელი, დედავ, ამბავი:
ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა,
მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით აღმომქშინავი,
ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა.
მომილოცნია!... გაგვითენდა მძიმს ბნელი ღამე!...
მაგრამ შენ ჰსწუხარ, თითქო ამ თქმით მე ვერ გაამე.

დედა.

მე ვწუხარ მარტო მასზედ, რომე ჩემს სიბერეს
სანუგეშებლად მხოლოდ ერთი მოეცა შვილი,
მე ვწუხარ მასზედ, რომ ჩემს მამულს ამ ნეტარს დღეს
მხოლოდღა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი.
კაი რომ ჩემის სიცოცხლისა მზე მაშინ ჩადის,
როცა ამოდის ჩემის ქვეყნის მზე დიადი!...
კაი რომ ბინდი დღეთა ჩემთა სიკვდილს მიქადის
როს ჩემის ხალხის დიდებისა ჩანს განთიადი!...
ამაზედ ვწუხარ... მაგრამ ამას რაღა ეშველოს?
ღმერთს მარტო ერთს ვჰსთხოვ: მკვდარი დედა, შენ ასახელოს.

შვილი.

როგორ? მეც მგზავნი საომრათა, დედის-ერთასა,
რომ თავი დავჰსდო მამულისა ჩვენის სახსნელად?

დედა.

სულზედა დიდი ცოდვა უნდა ედვას დედასა,
რომ შვილი ამ დროს არ გაჰგზავნოს ძმათა საშველად.
ღმერთმა გვაშოროს, შვილო ჩემო, იმა სირცხვილსა,
რომ შენ შინ იჯდე, ოდეს სხვანი იხოცებიან.
ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისსა შვილსა
მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებიან...
ვაჟ-კაცად იყავ: ჩემი თხოვნა არის მხოლოდ ეს.

შვილი.

არას დროს არა მყვარებიხარ, ისე როგორც დღეს,
შენ, დედა-ჩემო!... რასაც მნუკავ აღგისრულდება...
შენგან შობილი შვილი განა მხთალად მოკვდება!
(ისმის გარედამ ჯარების ხმაურობა, შვილი ფანჯარას მივარდება.)

დედა (თავის-თავად)

არ იცი, შვილო, როგორ მიღირს მე ეს სიტყვები
და ვერც შეიტყობ მაგას ჩემგან, ისე მოკვდები...
იმ დრომდე სულსა დანაშთენსა ღონეს მოვუკრებ,
ვიდრე საომრად, შვილო ჩემო, შენ გაგისტუმრებ,
რომე სიკვდილმა ჩემმა უცებ არ დაგაბრკოლოს,—
და მერე კი ვგრძნობ: ბედი ჩემი მომიღებს ბოლოს.
(ისმის ჯარების სიმღერა).

ორპირი.

უქართველო ხელი ხმალს იკარ, დღე გათენდა დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი, დრო მოდის გამარჯვებისა.

მამულის დახსნის დღე არის, ქვეყანა გვნუკავს შველისა,
თავისუფლების შოვნა ჰსჯობს საშოვნელსა ყველასა.
მამულის დამხსნელს ვაჟ-კაცის ხმალი და გული ჰსდომია,
ვაჟ-კაცის გამომჩენელიც მტერთან გულ-და-გულ ომია.
მამულის დახსნის არ მდომი თავისა-თავის მგმობია.
ძმანო, შინ უღლით სიცოცხლეს, ომში სიკვდილი ჰსჯობია.
მაშ მამულს თავი შევწიროთ საშველად, გამოსახსნელად,
თუ მისთვის დავიხოცებით, ჩვენ ის გვეყოფა სახელად.
ქართველო, ხელი ხმალს იკარ, დღე გათენდა დიდებისა
თოფ-იარაღი აისხი, დრო მოდის გამარჯვებისა."

(ქუჩიდამ ისმის დედა-კაცების და სოფლის პატარა ბიჭების ძახილი: „ჯარს გაუმარჯოს, ჯარს გაუმარჯოს!" ისმის კიჟინა და ხმაურობა.)

დედა (აღელვებული)

მიმიყვა, შვილო, დამანახვე ქვეყნისა მხსნელნი,
რომ მით დავიტკბო დღენი ჩემნი უკანასკნელნი.

შვილი (ჩამოიყვანს ლოგინიდამ დედას, შეუჯდება მხრებში და მიიყვანს ფანჯარასთან.)

შეხე, დედილო, ამ გაწირულ ყმაწვილ-კაცობას,
ისე მიდიან სასიკვდილოდ, როგორც დღეობას.

(დედა რა დაინახავს ჯარს ცრემლს ვერ იმაგრებს და ტირის).

შვილი

შეხედე ხალხი რა რიგ ლოცვით ჯარსა აცილებს,
დიდი პატარა მხიარულობს, შენ რა გატირებს?

დედა.

ღმერთმა კურთხევა დიდს საქმეში წინ წაგიმძღვაროთ!
ჩვენ კი დედებმა ღვთის წინ უნდა ცრემლები ვღვაროთ,
რომე შეგვასწროს მამულისთვის თავდადებულნი,

კიდევ გიხილოთ შინ მოსულნი, გამარჯვებულნი.
მომიყვა, შვილო, ლოგინთანვე, მუხლი მეჭრება.

(შვილს დედა უკანვე მიჰყავს.)

ვაიმე, შვილო, რამდენს დედა აუტირდება,
რომ ვერღარ ნახავს თავის შვილსა უკანვე მოსულს!...

შვილი.

რა ვუყოთ, თუ კი სხვა გზით შველა არა აქვს მამულს!

(ამ დროს ერთი ცხენოსანი მოადგება ფანჯარას და გარედამ იძახის:)

ცხენოსანი.

კიაზო, წამოდი. რაღას იცდი, გვიგვიანდება,
დრო სამურია... ჩვენ ძმებს ჩვენით მშველი აკლდება.

შვილი

აჰა, მოვდივარ! აბა, დედი, მოიეც გული,
ჩემგან მეომარს, შენგან შვილსა ითხოვს მამული.

(დედა გადეხვევა შვილს და გულზედ მიიკრავს)

მშვიდობით, დედი! შენ ჩემზედა ნუ დაღონდები,
ცოცხალი მოვალ, თუ არა და ისე მოვკვდები,
რომ ჩემს სიცოცხლეს ამჯობინო ჩემი სიკვდილი...
ნუ სტირი, დედი!... გზათა ვდგევარ, დამლოცე შვილი.

დედა

ვაი, შენს დედას!... მოვიდა დრო განშორებისა
და გული მიმდის..., უძლურია გული დედისა.
მაგრამ ნუ ჰსწუხარ... გადამივლის... შვილო, მშორდები!?
ვაი თუ მოუკვდე და ვისგანღა დავიტირები?...

(ტირის და უფრო მაგრად გულზედ მიიკრავს შვილს. მერე უეცრად ხელს ანებებს და ზარდაცემულსავით თვალებში შეაცქერდება. მცირეს ხანს ამ ყოფით არის.)

დ ე დ ა

დედა არ გიყვარს, დედა შენი მოხუცებული?

შ ვ ი ლ ი (გაოცებით)

მერე რო მიყვარს?

დ ე დ ა

— მასთან დარჩი!

შ ვ ი ლ ი.

— მერე მამული?

დ ე დ ა (თითქო ეხლა გაახსენდაო)

მართლა მამული!... იგი უფრო საყვარელია,
მაშ წადი შვილო!... ღმერთი იყოს შენი მხსნელია..
მაგრამ, ვიშ! მე რომ უშენოთ მარტო მოვკვდები,
ვიღა დამმარხავს?... წადი... წადი... ნუ გვიანდები...

შ ვ ი ლ ი

ეჰა მამულო! შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა —
რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძლეურსა...
როდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში,
დედაც კი შვილის სიყვარულს ჰკლავს შენს სიყვარულში!
რა სხივოსანი შენი შუქი აღმობრწყინდება
კაცისა გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰქრება
ვითა მზის შუქში უმცირესი მნათობი ცისა,
ვითა ზღვაშია დაცემული წვეთი წვიმისა.
მშვიდობით, დედი! ძნელი არის შენი დათმობა,
მაგრამ უფრორე ძნელი არის მამულის გმობა.

(შვილი გადის)

დ ე დ ა (ლონე მიხდილი გადავარდება ლოგინზედ და სულთ მობრძავი ამბობს)

ვაიმე შვილო!... შენს წასვლასთან მიქრება ალი...
ჩემის სიცოცხლის... უშენოთა ძნელია ყოფნა...
დიდხანს ებრძოდა, შვილის ტრფობას მამულის ვალი,
ვალმა აჯობა, მაგრამ ძვირად დამიჯდა ჯობნა.
სულიც ამომდის... არ ყოფილა ძნელი სიკვდილი
როცა შენ შენი აღასრულე... მამული... შვილი!...

ილია ჭავჭავაძე.

# ნიმუშები საზოგადო ისტორიის მოთხრობებიდამ

## 1) პეტრე განდეგილი

(ჯვაროსანთა ომები)

მას შემდეგ, რაც ქრისტეს სარწმუნოება გავრცელდა ევროპის მცხოვრებთა შორის, ქრისტიანები ხშირად დადიოდნენ ხოლმე იერუსალიმში ქრისტეს საფლავისა და სხვა წმინდა ადგილების თაყვანის საცემლად. თუმცა იერუსალიმი უწინ არაბებს ეჭირათ, მაგრამ ისინი არ ავიწროებდნენ ქრისტიანებს და არც არავის უშლიდნენ იქ სიარულს. მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნეში იერუსალიმი დაიპყრეს სელჯუკის თათრებმა და დაუწყეს ქრისტიანებს შევიწროება. ისინი ერთის მხრით დიდ გადასახადს ახდევინებდნენ ქრისტიანებს, რომლებიც იერუსალიმში მიდიოდნენ, და მეორე მხრით ძრიელ ცუდათ ეპყრობოდნენ ხოლმე. დასავლეთი ევროპის მლოცველები როცა ბრუნდებოდნენ იერუსალიმიდამ თავიანთ ქვეყანაში, ბევრს ლაპარაკობდნენ თათრების უსამართლობაზე და მტარვალობაზე. ამ მიზეზებმა დასადეს ევროპაში სურვილი გამოეხსნათ იმათ ხელიდგან ქრისტეს საფლავი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ისეთი არავინ გამოჩენილიყო, რომ აშკარად დაეწყო ქადაგება და ეთავა ეს საქმე.

ათას ოთხმოც-და-ცამეტს წელში იერუსალიმში წავიდა საფრანგეთიდამ ერთი საწყალი განდეგილი ბერი, რომელსაც პეტრე ერქვა. პეტრე იყო დაბადებული ამიენში და ამიტომ იმას ისტორიაში ამიენელადაც უწოდებენ. პირველად ის სამხედრო სამსახურში იყო, მაგრამ სისუსტისა გამო ვერ აიტანა სამხედრო სამსახური, თავი დაანება და ბერად შესდგა. ის დაიბადა და აღიზარდა იმ დროს, როცა საფრანგეთ-

ში, როგორც სხვა ქვეყნებში, გავრცელებული იყო ხმა თათრების მტარვა-
ლობაზე. ამიტომ შესაძლოა, რომ იმას პატარობიდამვე ჩაჰყვა ფიქრი ამ საგანზე. როცა ის იერუსალიმში მივიდა, მაშინ თავის თვალით ნახა როგორ ცუდათ ეპყრობოდნენ და აწვალებდნენ თათრები ქრისტიანებს. ღვთის მოყვარე ბერს აღეგზნა გულში დაჩაგრულ ქრისტიანებისადმი სიყვარული და მოიწადინა იმათი შველა. ერთხელ მან დიდხანს ილოცა ქრისტეს საფლავის ტაძარში და ძალა-მიხდილმა მუნვე დაიძინა შემუსრულის გულით. სიზმარში მოევლინა იესო ქრისტე, რომელმაც უბძანა ექადაგნა მისი საფლავის ურწმუნოების ხელიდამ გამოხსნა. შემდეგ ამისა პეტრე უდაბნოელი ანუ განდეგილი გამოეცხადა იერუსალიმის პატრიარქს სიმონს და სთხოვა მიეწერა წერილები პაპისა და იმპერატორებისათვის და ეთხოვნა შეეწეობა. პატრიარქმა აღასრულა მისი სურვილი. მაშინ პეტრემ წაიღო პატრიარქის წერილები და გასწია რომში. აქ ის წარსდგა პაპის წინაშე, მიართვა პატრიარქის წერილი, დაუხატა აღმოსავლეთის ქრისტიანების სამწუხარო მდგომარეობა და მოახსენა თავისი სურვილი. პაპიმ დალოცა ის და მისცა ნება ექადაგებია ქრისტეს საფლავის განთავისუფლება ურწმუნოთაგან. შემდეგ ამისა პეტრემ აიღო ხელში ჯვარი, შეჯდა ვირზე დამოხმილ ტანისამოსით, თავშიშველი და ფეხ ტიტველა, დაიწყო სიარული და ქადაგება. იმან შემოიარა ამ გვარად მთელი გერმანია, იტალია, საფრანგეთი და ყოველგან ისეთის მჭევრ-მეტყველებით უქადაგებდა ხალხს, რომ ყველანი მზად იყვნენ წასულიყვნენ და დაეხსნათ იერუსალიმი ურწმუნო თათრებისაგან. როცა ამ გვარად მან ხალხები მოამზადა, მაშინ პაპიმ ურბანმა მეორემ დანიშნა საეკლესიო კრება კლერმონტში. აქ იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ დატევა არ იყო. პაპიმ დანიშნა კრება მინდორში. პირველად წარმოსდგა პეტრე და წარმოსთქვა საკვირველი მჭევრ-მეტყველებით სიტყვა და კვლავ დაუხატა ხალხს აღმოსავლეთის ქრისტიანების გაჭირვებულ მდგომარეობის სურათი. შემდეგ თვითონ პაპი მიიქცა ხალხისადმი და ურჩია ყველას, ვისაც კი შეეძლო, წასულიყვნენ ქრისტეს საფლა-

ვის განსათავისუფლებლად. ნაცვლად მან აღუთქვა ყველას ცოდვის მიტევება და საუკუნო ნეტარება. გაჩუმდა თუ არა პაპი, ყველამ ერთ ხმად დაიყვირეს: „იყოს ნება ღვთისაო“ და გამოუცხადეს თავიანთ სურვილი. მსურველებმა მიიკრეს მხარზე წითელი მაუდის ჯვარი და ამიტომ იმ ომებს, რომლებიც შემდეგ ამათ დაიწყეს, ჯვაროსანთ ომებს უწოდებენ.

ყველანი დიდის სურვილით მიესწრაფებოდნენ საომრად: მეფეებს, მთავრებს ანუ ფეოდალებს და რაინდებს სურდათ ესახელებინათ თავი დაჩაგრულ ქრისტიანების ურწმუნო მტრებთან ბრძოლაში; ვაჭარ ხალხს უნდოდა უცხო ქვეყნები და ხალხები გაეცნოთ აღმოსავლეთში, რომ შემდეგ მათთან ვაჭრობა გაემართათ; გლეხებიც სიხარულით მიდიოდნენ, რომ ამითი როგორმე დაეხსნათ თავი ბატონების უღელისაგან და დაემსახურებიათ საიქიო ნეტარება. კლერმონტის კრებაზე გადასწყვიტეს, რომ იმ წელიწადს მომზადებულიყვნენ ყველანი, ვისაც წასვლა უნდოდა, და მომავალ წელში (1096 წ.) გამოელაშქრათ. მაგრამ ბევრმა ვერ მოითმინეს ამდენი ხანი და ამიტომ მინამ ნამდვილი ჯარები გამოეწყობოდნენ, თუთხმეტი ათასზე მეტი კაცი და ქალი შეიკრიბნენ, გაიძღოლეს წინ პეტრე ბერი და მისი მეგობარი ვალტერი და გასწიეს იერუსალიმის გასანთავისუფლებლად, თუმცა ბევრმა მათგანმა არც კი იცოდა, სად იყო იერუსალიმი. გზაზე იმათ, რადგანაც საზრდო არა ჰქონდათ, დაუწყეს ძარცვა ხალხს, ამიტომ ბევრი მათგანი გზაზე ამოწყვიტეს, ბევრი შიმშილით და სნეულებით დაიხოცნენ აზიაში, ასე რომ იმათ არც კი ღირსებიათ იერუსალიმის ნახვა. ხუთმეტი ათასი კაციდამ სამი ათასიღა დარჩა ცოცხალი და ისინიც უკანვე დაბრუნდნენ.

ნამდვილი საჯვაროსნო ომი დაიწყო მხოლოდ 1096 წელში. გამოეწყვნენ რამდენიმე ასი ათასი მხედრები თავიანთის მთავრებით და წავიდნენ იერუსალიმის სახსნელად. ყველაზე უფრო შესანიშნავი მოთავე კაცი ამ საქმეში იყო ლოტარინგიის ჰერცოგი გოთფრიდი

ბულონელი. ეს კაცი იყო ფრიად შესანიშნავი როგორც მამაცობით, ისე თავისის პატიოსნებით და კეთილშობილებით. რომ გზაზე საზრდო არ შემოჰკლებოდათ, ჯვაროსანთა ჯარები გაიყვნენ და სხვა და სხვა გზით წავიდნენ, მაგრამ იმ პირობით, რომ ყველანი უნდა შეერთებულიყვნენ კონსტანტინეპოლთან. საბერძნეთში იმ დროს მეფედ იყო ალექსი კომნინი. უწინ ის თვითონ სთხოვდა დასავლეთის ევროპის ხალხებს შემწეობას თათრების წინააღმდეგ, მაგრამ ეხლა, როცა დაინახა ამდენი ჯვაროსანთ ჯარები, ძრიელ შეშინდა ჩემ სახელმწიფოს არ დაეპატრონონო, და სჩქარით გაისტუმრა ისინი აზიისაკენ. პირველად წაართვეს ქრისტიანეებმა თათრებს ნიკიის ქალაქი, რომელშიდაც ოდესმე პირველი მსოფლიო კრება იყო. შემდეგ აიღეს ედესა და მიაღწიეს ანტიოქიასთან. ამ ქალაქს ძრიელ მაგარი ზღუდე ევლო გარს და ამიტომ მისი აღება ძრიელ გაუჭირდათ ჯვაროსნებს. ნახევარი წელიწადი მეტი ადგნენ ისინი ამის გარშემო; ბევრმა რაინდებმა ისე ისახელეს მამაცობით თავი, როგორც ტროის გმირებმა და ბოლოს კიდეც აიღეს ქალაქი. მაგრამ როცა იმათ დაიბინავეს ანტიოქიაში, იმ დროს მოვიდა კერბოლა ხვანთქარი და შემოადგა ქალაქს თავის ჯარებით. ჯვაროსნების საქმე ცუდად იყო და არავის არ ეგონა თუ იმათ ყველას არ ამოწყვეტდნენ ანტიოქიაში, მაგრამ ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ გაამხნევა და დაიხსნა ისინი ამ გაჭირვებისაგან. ერთი ბერი მივიდა გოთფრიდთან და მოახსენა, რომ მე გამომეცხადა ანდრია მოციქული და მიჩვენა ის ადგილიო, სადაც ლახვარია ჩაფლული, რომლითაც იესო ქრისტეს გვერდი გაჰგმირესო. მაშინათვე დაუწყეს ნაჩვენებ ადგილას ეკკლესიაში ძებნა ლახვარს და მართლაც იპოვეს მიწაში ჩაფლული. ამ ამბავმა ისეთ აღტაცებაში მოიყვანა ქრისტიანები და ისე გაამხნევა ჯვაროსანთ ჯარები, რომ იმათ ეჭვი აღარ ჰქონდათ თავიანთ უძლეველობისა, გამოვიდნენ ქალაქიდგან, ლომებივით მიესივნენ თათრებს და სძლიეს. შემდეგ ამისა მათ გასწიეს იერუსალიმისაკენ. ეს ამბავი იყო 1099 წელში. ენა ვერ გამოხატავს მას, რა აღტაცებაში მოვიდნენ

ჯვაროსნები, როცა შორიდამ დაინახეს იერუსალიმის ქალაქი. სამი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც ისინი სამშობლოდამ წამოვიდნენ და საშინელი ბევრი განსაცდელი და გაჭირება გამოსცადეს: შიმშილი, წყურვილი, ავათმყოფობა, მტრებთან დაუცხრომელი ბრძოლა და ბოლოს ძლივს ეღირსათ იერუსალიმის ნახვა, რომლის სახსნელად ისინი მიდიოდნენ. ყოველი განსაცდელი დაივიწყეს; სიხარულისაგან ისინი იცინოდნენ კიდეც და სტიროდნენ კიდეც; ლოცულობდნენ, გალობდნენ და დაჩოქილი კოცნიდნენ იმ ადგილებს, სადაც მაცხოვარმა დასთხია თავის სისხლი და ეწამა ქვეყნისათვის. მაგრამ იერუსალიმს ორი მაგარი ზღუდე ჰქონდა გარს შემოვლებული და შიგნით სამოცი ათასი დარჩეული ჯარი იდგა, ჯვაროსნებს კი ოცი ათასიც აღარ ყავდათ იმდენი დაეხოცნენ გზაზე. მაინც გადასწყვიტეს ან აეღოთ იერუსალიმი, და ან ყველანი შეჰკვდომოდნენ თათრებს. პირველად იმათ მოუმზადებლად სცადეს მისი აღება, მაგრამ ვერა გააწყეს რა და ამიტომ შეუდგნენ მომზადებას. ოთხი კვირა ემზადნენ და გააკეთეს ყველაფერი, რაც რამ საჭირო იყო გამაგრებულის ქალაქის ასაღებად. მომზადების შემდეგ, რვას ივლისს გადიხადეს პარაკლისი და დიდის ამბით შემოუარეს გარშემო იერუსალიმს: წინ მღვდელ-მთავარი და მღვდლები მიუძღოდნენ ლოცვითა და გალობით და უკან ჯვაროსნები მიდიოდნენ დაიარაღებულნი თავიდამ ფეხებამდის, ბაირაღებით, დროშებით და საკრავებით, მაგრამ ქუდ მოხდილნი და ფეხშიშველნი. ბევრს ეგონათ, რომ სასწაული მოხდებოდა და იერუსალიმის ზღუდენი იერიქონის ზღუდეებსავით თავისთავად დაინგრეოდნენ, მაგრამ ეს სასწაული არ მოხდარა. თოთხმეტ ივლისს დილით ადრე მისცვივდნენ ჯვაროსნები ქალაქის ზღუდეებს და გაიმართა საშინელი ბრძოლა. დილიდამ დაღამებამდის მამაცურად იბრძოლეს, მაგრამ იმ დღეს მაინც ვერ აიღეს ქალაქი. როცა დაღამდა, შესწყვიტეს ბრძოლა. იმ ღამეს არც ქრისტიანებს და არც თათრებს არ დაუძინიათ: თათრებს ეშინოდათ არ შემოგვეპარონ ქრისტიანებიო, ჯვაროსნებიც ფრთხილობდნენ, რომ თათრები არ გამოსულიყვნენ ქალაქიდამ და თავს არ დასცემოდნენ.

მეორე დღეს გათენდა თუ არა, ხელახლა დაიწყეს ბრძოლა. ქრისტია-ნებს ძრიელ გაუჭირდათ საქმე და კინაღამ სასოება არ დაჰკარგეს, მაგრამ ამ დროს იერუსალიმის კედლებზე მოკიდა რაღაცას ცეცხლი, ამოვარდა ქარი და დაუბერა ბოლსა და ალს თათრებისაკენ. თათრებმა თვალები ვეღარ გაახილეს და მოშორდნენ ერთ ადგილს ზღუდეს. ამით ისარგებლა გოთფრიდმა და აიყვანა კედლებზე კიბით რამდენიმე კაცი. ისინი გადახტნენ ქალაქში, გატეხეს ბჭენი და შეუშვეს ჯვაროს-ნები. შემდეგ ამისა ჯვაროსნებმა შეუბრალებლად გასწყვიტეს როგორც თათრები, ისე ურიებიც, რადგანაც ისინიც ქრისტეს მტრებად მიაჩნ-დათ, — და დაეპატრონენ მათს ქონებას. როცა ამ გვარად აიღეს ქრის-ტიანებმა იერუსალიმი, მოიხსნეს იარაღი, გაიბანეს სისხლისაგან, ჩაი-ცვეს მღვდლების ტანისამოსი და უეხშიშველა, დიდის მოწიწებით შევიდნენ ტაძარში და თაყვანი სცეს ქრისტეს საფლავს. შემდეგ ამისა ამოირჩიეს იერუსალიმის კოროლად გოთფრიდი. მაგრამ ამ პატიო-სანმა გმირმა უარი სთქვა დაედგა თავზე ოქროს გვირგვინი აქ, სა-დაც მაცხოვარ ეკლის გვირგვინი ედგა, და მხოლოდ უწოდა თა-ვის თავს ქრისტეს საფლავის მფარველი. ასე გათავდა ჯვაროსანთ პირველი ომი.

თუმც მართალია ქრისტიანებმა დაიჭირეს იერუსალიმი, ანტიო-ქია, ედესა და სხვა ადგილები, და შეადგინეს თავიანთი სახელმწიფო, მაგრამ თათრები მაინც ხშირად აწუხებდნენ. ამიტომ, ქრისტიანების შესაწევნად და დასაცველად, ფრანგების, იტალიელებისა და ნემცების რაინდებმა შეადგინეს სამი საზოგადოება ანუ ორდენები, სახელდობ: წმინდა იოანესი, ტამპლიერებისა და ტევტონებისა. ისინი ბევრს შვე-ლოდნენ და იფარავდნენ საზოგადოთ დაჩაგრულ ქრისტიანებს აღმო-სავლეთში. ბოლოს გოთფრიდიც გარდაიცვალა ათას ას წელში და იერუ-სალიმის კოროლად გახდა მისი ძმა ბალდუინი. მის შემდეგ თათრე-ბი სულ უფრო და უფრო ავიწროებდნენ ქრისტიანებს და ოთხ-და-ათი წლის შემდეგ იერუსალიმის აღებისა, უკანვე წაართვეს ქრისტიანებს

ედესის ქალაქი, სადაც ორმოცი ათასი მეტი ქრისტიანი ამოსწყვიტეს. მეთორმეტე საუკუნეში ძლიერ განძლიერდა ეგვიპტის ხვანთქარი სალადინი. მან გაილაშქრა სხვათა შორის ქრისტიანებზე და წაართვა იმათ იერუსალიმი. როცა ეს ამბავი შეიტყვეს დასავლეთ ევროპაში ბევრმა მოინდომა თათრებთან საბრძოლველად წასვლა, რომ ხელახლა წაერთმიათ მათთვის იერუსალიმი. ამ საქმეში მიიღეს მონაწილეობა ბევრმა მაშინდელმა ევროპის ხელმწიფეებმა, მაგრამ ვერა გახდნენ რა. პირველად მაგ. წავიდნენ თავიანთის ჯარებით საფრანგეთის კოროლი ლიუდოვიკი მეშვიდე და გერმანიის იმპერატორი კონრად მესამე, მაგრამ ვერა გააწყეს რა და უკანვე დაბრუნდნენ. შემდეგ 1190 წელში წავიდა თათრებთან საბრძოლად გერმანიის გამოჩენილი იმპერატორი ფრიდრიხი ბარბაროსა, მაგრამ გზაზე დაიხრჩო და მისი ჯარები უკანვე მობრუნდნენ. მის შემდეგ გაილაშქრეს იერუსალიმისაკენ საფრანგეთის კოროლმა ფილიპე ავგუსტმა და ინგლისის ხელმწიფემ რიჩარდმა, რომელსაც ლომის გულს ეძახიან, მაგრამ ისინი წაიკიდნენ გზაზე და ამიტომ ფილიპე უკანვე მობრუნდა. რიჩარდმა კი სამი წელიწადი დაჰყო აღმოსავლეთში, დიდი მამაცობა გამოიჩინა, მაგრამ იერუსალიმი მაინც ვერ წაართვა თათრებს. ორ გზით კიდევ საფრანგეთის კოროლი წმინდა ლიუდოვიკი წავიდა თავის ჯარებით იერუსალიმის განსათავისუფლებლად, მაგრამ მისმა მეცადინეობამაც ამაოდ ჩაიარა.

ამ გვარად ჯვაროსნებმა ვერ აღასრულეს თავიანთი უმთავრესი სურვილი — ვერ განათავისუფლეს იერუსალიმი და ქრისტეს საფლავი ურწმუნოთ ხელითგან, მაგრამ მათ ომებს მაინც კიდევ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ საზოგადოთ. ჯვაროსანთ ომები, დრო გამოშვებით ორასი წელიწადი მეტი გაგრძელდნენ. ამ ორასის წლის განმავლობაში დასავლეთის ევროპის ხალხებმა, რომლებიც ძრიელ მდაბლად იდგნენ მაშინ განათლებით, გაიცნეს კარგად როგორც ერთმანერთი, ისე აღმოსავლეთის განათლებული ხალხები და შეისწავლეს მათი ენა და ჩვეუ-

ლებანი. ამას ის შედეგი მოჰყვა რომ მათ შორის განიღვიძა სწავლის სურვილმა და წინ წაიწია ხელოვნებამ და აღებ მიცემობამაც, — და ყველა-ქვეყნი დაეხმარნენ მათის ცხოვრების განკარგებას.

## 2.) იოანე გუტენბერგი.

(წიგნის ბეჭვდის მოგონება.)

ის გონებითი გაღვიძება, ანუ სწავლა-განათლების სურვილი, რომელიც ჯვაროსანთ ომების შემდეგ დაიწყო დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით უფრო განძლიერდა იმ დროს, როცა მეხუთმეტე საუკუნე თავდებოდა და მეთექვსმეტე იწყებოდა. ამიტომ ამ დროს ისტორიაში ეძახიან მეცნიერებას განახლების ანუ ხელახლად აღმოშობის დროს. სწავლა-განათლების წარმატებასა და გავრცელებას ბევრი შეეწია წიგნის ბეჭვდის მოგონება. ძველსა და საშუალ საუკუნებში, მინამ წიგნის ბეჭვდას მოიგონებდნენ, მხოლოდ ხელთ-ნაწერი წიგნები იყო. წიგნების გადმოწერა უფრო ბერების ხელობას შეადგენდა, რადგანაც ისინი მონასტერში სცხოვრობდნენ და სხვა საქმე არა აწუხებდათ რა. თუმცა ხელთ-ნაწერის ხელოვნება იმათ სისრულეში მოიყვანეს, მაგრამ გადაწერილი წიგნები მაინც კიდე ძრიელ ძვირი იყო და ამიტომ მხოლოდ ათასში ერთს თუ შეეძლო იმათი ქონა. ამბობენ, რომ ერთი ხელთ-ნაწერი დაბადების წიგნი სამას მანეთად ისყიდებოდაო, უწიგნებოთ ცხადია კარგად ვერ წავიდოდა სწავლის საქმე ვერც ცხოვრებაში, და ვერც შკოლებში. მაგრამ მეხუთმეტე საუკუნეში გამოჩნდა ისეთი კაცი, რომელმაც მოიგონა წიგნის ბეჭვდა და მითი მოუტანა კაცობრიობას ისეთი სარგებლობა, რომელსაც თითქმის სხვა ვერაფერი ვერ შეედრება. — ეს კაცი იყო ღირს-სახსოვარი იოანნე გუტენბერგი.

გუტენბერგი იყო ნემეცი და დაიბადა ათას სამას ოთხმოც-და-ჩვიდმეტ წელში მაინცის ქალაქში. ამ შესანიშნავის კაცის სიყმაწვი-

ლიზე და აღზრდაზე თითქმის არა იციან რა. მართალია, გუტენბერგის დაბადებამდისაც კი ბეჭდავდნენ ხატებსა და ზოგიერ სიტყვებს, მაგრამ ეს ბეჭდვა სულ სხვა ნაირი იყო. ფიცარზე გამოაქანდაკებდნენ ხოლმე რომელიმე წმინდის სახესა და ამოსჭრიდნენ ზოგიერთ მისის სიტყვების ასოებს, შემდეგ წაუსვამდნენ ზედ ლაქს, დააფარებდნენ ქაღალდს და ისე გადაბეჭდიდნენ ხოლმე. ამ გვარად წიგნის დაბეჭდვა შეუძლებელი იყო, რადგანაც იმდვენი ფიცარი უნდა ჰქონოდა კაცს, რამდენიც ფურცელი იყო წიგნში. გუტენბერგმა კი სულ სხვა ნაირი ბეჭდვა მოიგონა. მან მოიგონა ისეთი მოძრავი ასოები, როგორებსაც ეხლა ხმარობენ ხოლმე წიგნების დასაბეჭდავათ. ამ მოძრავის ასოების აწყობა და გადარჩევა ადვილად შესაძლებელია და რა სიტყვებიც კი უნდა, იმ სიტყვებს ამოაწყობს კაცი ხოლმე. პირველად გუტენბერგმა ხის ასოები გამოსჭრა, მაგრამ ისინი კარგად ვერ გამოდგნენ და ამიტომ შემდეგ მადნეულის, ესე იგი, ტყვიის, კალისა და სპილენძის ასოები ჩამოასხა.

სტამბის გამართვას და წიგნების ბეჭდვას რასაკვირველია ფული უნდოდა, მაგრამ გუტენბერგს, თუმცა კეთილშობილთაგანი იყო, შეძლება არა ჰქონდა და ამიტომ უნდა ვინმე ამხანაგი ეშოვნა, და კიდეც იშოვა. მან ამცნო თვისი მოგონება ერთს მდიდარს ოქროსა და ვერცხლის ვაჭარს, რომელსაც სახელად ფაუსტი ერქვა. აი ეს კაცი გაუამხანაგდა გუტენბერგს და გამართეს ამათ სტამბა იმ პირობით, რომ შემოსავალი შუაზე უნდა გაეყოთ. 1455 წელში გამოვიდა პირველი დაბეჭდილი წიგნი ლათინურ ენაზე და ეს წიგნი დაბადების წიგნი იყო. პატიოსანი გუტენბერგი სულ იმას სცდილობდა, რომ გაეკარგებია თვის მიერ მოგონილი საქმე; ფაუსტი კი საშინელი ვეცხლის მოყვარე და უსინდისო კაცი გამოდგა. ის სარგებლობდა გუტენბერგის პატიოსნებით და გამოუცდელობით და მხოლოდ შემოსავალსა და სარგებლობას მისდევდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ გუტენბერგმა და ფაუსტმა შაიამხანაგეს მესამე პირი შეფერი. ფაუსტმა დაიახლოვა შეფერი და მიათხოვა თავისი ქალი. ამის შემ-

დეტ, როცა უსინდისო ფაუსტმა დაინახა, რომ გუტენბერგი მათთვის საჭირო აღარ იყო, მოინდომა მისი თავიდამ მოშორება, სტამბის დაპატრონება და ამიტომ მოუდო შარები; ფაუსტმა მოსთხოვა მას თავის სარგებლით ყველა ფულები, რაც სტამბაზე ქონდა დახარჯული, თუმცა იმათ ესეთი პირობა არა ჰქონიათ. გუტენბერგს ფულები არა ჰქონდა. ფაუსტმა უჩივლა; მოიქრთამა მსაჯულები და მოიგო საქმე: გუტენბერგს ან ფულები უნდა მიეცა მისთვის და ან სტამბა უნდა მიეტოვებინა. ამ გვარად საბრალო გუტენბერგი დარჩა ხელ-ცარიელი, ასე რომ მას ცხოვრების სახსარიც კი აღარ ჰქონდა.

ამ გვარად მოტყუებულმა, დაჩაგრულმა უსამართლოებისაგან და დაღარიბებულმა გუტენბერგმა მწუხარებით მიატოვა თავისი სტამბა და სამშობლო ქალაქი მაინცი, დაიჭირა ხელში ჯოხი და წავიდა სტრასბურგის ქალაქში. აქ ის ბევრს ეცადა, რომ ვინმე შეძლებული ამხანაგი ეშოვა და გაემართა სტამბა, მაგრამ ყურადღებაც კი არავის მიაქცია მის თხოვნას. ამიტომ ის კიდევ უფრო დიდ სიღარიბეში ჩავარდა. ფაუსტი და შეფერი კი ფართოვაშობდნენ და მისი გონებისა და ხელოვნების ნაყოფით ჯიბეს ივსებდნენ და მდიდრდებოდნენ. ამ გაჭირების დროს გუტენბერგს თითქო გაუღიმა ბედმა: ერთმა მაინცის შეძლებულმა დოკტორმა კანდრატმა მისცა მას საშუალება და გუტენბერგმა გამართა მაინცში ახალი სტამბა. მაგრამ რომ იტყვიან „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწიაო," სწორედ საწყალ გუტენბერგსაც ისე მოუვიდა. იმ დროს დაეცნენ მტრები მაინცის ქალაქს, აიღეს ის ღამით და მოუკიდეს ცეცხლი. იმ ღამეს დაიწვა ფაუსტისა და გუტენბერგის სტამბები. შემდეგ ამისა მესტამბეები, რომლებიც მუშაობდნენ მოხსენებულ სტამბებში, წავიდნენ სხვა-დასხვა ქალაქებში და გამართეს თავიანთი საკუთარი სტამბები. ამის გამო წიგნების ბეჭდვა უფრო მომეტებულად გავრცელდა. საწყალი გუტენბერგი კი ხელახლა უსაშუალოდ დარჩა და ისეთს გაჭირებაში იყო, რომ საზრდოც კი არა ჰქონდა და გარდაიცვალა 1469 წელში. ამ გვარად მისმა თანამედროვეებმა ვერ დააფასეს ეს შესანიშნავი და ფრიად სასარგებლო მთელი ქვე-

ყანისათვის კაცი. შთამომავლობაც თითქო დიდხანს ვერ მიხვდა მას, რა სიკეთე მოუტანა გუტენბერგმა კაცობრიობას და მხოლოდ 1837 წელში აუგეს მას ძეგლი მაინცის ქალაქში, სადაც ის დაიბადა. თვით-თეული ჩვენგანი ჭეშმარიტად მოვალეა მოწიწებით და მადლობით მოიხსენიებდეს იოანნე გუტენბერგს, როცა მას ხელში უჭირავს ლამაზად დაბეჭდილი რომელიმე წიგნი და გაერთვის მის კითხვით. გუტენბერგმა გაგვიღო ჩვენ სწორეთ იმ საუნჯის კარი, რომელსაც სწავლა-განათლებას ვეძახით.

წიგნების გავრცელებასა და სიიაფეს ძრიელ მოუწყო ხელი აგრეთვე საწერი-ქაღალდის მოგონებამ, რომელსაც ეხლა ჩვენა ვხმარობთ.

## 3) ქრისტეფორე კოლუმბი

(ამერიკის პოვნა)

მეხუთმეტე საუკუნე მითით შესანიშნავი კაცობრიობის ცხოვრებაში კიდევ, რომ ამ საუკუნეში ბევრი ისეთი ქვეყნები იპოვეს სწავლულებმა, რომლების არსებობა უწინ არავინ არ იცოდა. აქ ახლად ნაპოვნს ქვეყნებში ყველაზე უფრო შესანიშნავი იყო ამერიკა, რომელსაც ქვეყნის ნაწილებში მეოთხე ადგილი უჭირავს. ეს ქვეყნის ნაწილი იპოვა შესანიშნავმა ზღვით მოგზაურმა ქრისტეფორე კოლუმბმა.

კოლუმბი დაიბადა ათას ოთხას ორმოცდა შვიდ წელში გენუაში. ის ძრიელ კარგი ნიჭიერი ყმაწვილი იყო, კარგი განათლება მიიღო პავიის ქალაქის უნივერსიტეტში. ზედმიწევნით შეისწავლა გეოგრაფია, გეომეტრია და ასტრონომია და ყმაწვილობიდამვე შეუყვარდა ზღვით მოგზაურობა. გენუიდამ კოლუმბი პორტუგალიაში გადასახლდა, რომლის მცხოვრებლები თითქმის ყველა ხალხებზე უფრო დაწინაურებულნი იყვნენ მაშინ ზღვით მოგზაურობაში. აქ მან გაიცნო ერთი გამოჩენილი ზღვის კაპიტანი ბართლომე პერესტრელო, დაუმე-

გობრდა და შეირთო მისი ქალი. პერესტრელოს ბევრი კარგი წიგნები და კარტები ჰქონდა, რომლებშიაც იყო აღწერილი და გამოხატული ზოგიერთი ზღვები და მათში მოგზაურობა. კოლუმბმა ისარგებლა ამ წიგნებითა და კარტებით და შეისწავლა ისინი. პორტუგალიაში ყოფნის დროს მან თვითონაც ბევრი იმგზავრა ზღვებით. მეხუთმეტე საუკუნეში ბევრი გამოჩენილი ზღვით მოგზაურები სცდილობდნენ გამოეკვლიათ ზღვით გზა მდიდარ ინდოეთში, სადაც იმ დრომდის ევროპიელები მხოლოდ ხმელეთით დადიოდნენ და გამოჰქონდათ სხვა და სხვა საქონელი. პორტუგალიის მოგზაურებმა (ვასკო-დე-გამმა) შემოუარეს კიდეც აფრიკის სამხრეთის ბოლოს და, შემდეგ დიდის ხნისა და ძნელის მოგზაურობისა, მიადგნენ კალკუტას: მაგრამ ეს ზღვის გზა ინდოეთში ვერ იყო სახეირო. კოლუმბი, როგორც ზემოთა ვსთქვით, კარგი ნასწავლი კაცი იყო და სჯეროდა, რომ დედა მიწა ბურთივით მრგვალიაო; ამიტომ იმას, შემდეგ დიდი ხნის ფიქრისა, დაებადა თავში ერთი ბედნიერი ჰაზრი. მან იფიქრა, რომ კაცი რომ ევროპიდამ წავიდეს დასავლეთისაკენ და იაროს სულ ზღვით უთუოდ აზიის აღმოსავლეთის ნაპირებს მიადგებაო და ინდოეთში მივაო. ის კი არ იცოდა, ვგონებ, ჯერ რა ბედნიერი შედეგი ექნებოდა ამ გვარ მოგზაურობას.

კოლუმბმა მოინდომა თავისი ბედნიერი ჰაზრის აღსრულება: მაგრამ ამ საქმეს ბევრი საშუალება უნდოდა. ამიტომ პირველად მიმართა მან თვის სამშობლოს გენუას მცხოვრებლებს და სთხოვა შემწეობა, გენუელებმა უარი უთხრეს. შემდეგ ამისა სთხოვა მან შემწეობა პორტუგალიის კაროლს იოანნე მეორეს, მაგრამ ვერც მისგან გამოიტანა რა. მაშინ კოლუმბი წავიდა ისპანიაში, სადაც მაშინ ფერდინანდი და მისი მეუღლე იზაბელა მეფობდნენ, და მიართვა იმათ თხოვნა. ფერდინანდმა მიანდო ამ საქმის განხილვა და გადაწყვეტა თავის ვეზირებს, რომლებიც თითქმის ყველანი სასულიერო პირები იყვნენ, მაგრამ იმათ საშინელი უმეცრება გამოიჩინეს კოლუმბის თხოვნის განხილვის დროს: იმათ კოლუმბის აზრი შესახებ დედა-მიწის

სიმრგვალისა ღვთის წინააღმდეგად შერაცხეს და ზედ ის უმეცრებაც დაუმატეს, რომ თუ მართლა დედა-მიწა მრგვალია, ხომალდებმა, როცა უკან დაბრუნდებიან დასავლეთიდამ, წყლის გორებზედ უნდა ამოიარონო და ეს როგორ შეიძლებაო. კოლუმბს უეჭველია ისპანიის მთავრობაც უარს ეტყოდა, თუ იმას იმ დროს ისეთი პირები არ გაეცნო, რომლებიც დაახლოებული იყვნენ ღვთის მოყვარე იზაბელასთან და დიდი გავლენა ქონდათ. იმათის შემწეობით დედოფალმა იზაბელამ მისცა იმედი კოლუმბს. მაგრამ მისდა საუბედუროთ, იმ დროს ისპანია არაბებს ანუ მავრებს ებრძოდა, რომელთაგან ჯერ კიდევ არ იყო სრულიად განთავისუფლებული, და ამის გამო ხაზინა ცარიელი იყო. კოლუმბს გამოუცხადეს მოითმინეო, მაგრამ ამ მოთმინებაში რვა წელიწადმა გაიარა. ბოლოს როგორც იქმნა ისპანია განთავისუფლდა სრულიად მავრებისაგან და კოლუმბს ეღირსა თავის წადილის აღსრულება. ეს ამბავი იყო ათას ოთხას ოთხმოცდა ორ წელში.

კოლუმბს მისცეს სამი პატარა გემი და ას კაცამდის, რომელთაგან ზოგნი თავის სურვილით წაჰყვნენ და ზოგნი მთავრობის დანიშნულებით; კოლუმბი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. გამგზავრების წინაღამეს კოლუმბი და მისი თანა მოგზაურნი ეზიარნენ და გამოეთხოვნენ თავიანთ ნათესავებს. სამს მარიამობისთვეს, მზე ამოვიდა თუ არა, ჩაჯდნენ გემებში და გაემგზავრენ პალოსის ნავთსაყუდელიდგან. ხალხმა დიდის ამბით გააცილა. პირველი კვირის განმავალობაში ყველა მოგზაურები მხიარულად იყვნენ, რადგანაც ჯერ კიდევ ნაცნობ ადგილებს არ მოსცილებოდნენ. მაგრამ რავდენიც დრო გადიოდა, იმოდენათ სულ უფრო და უფრო შორდებოდნენ ისინი ხმელეთს და არ იცოდნენ როდის მოელებოდა ბოლო იმათ მოგზაურობას. ამიტომ ზოგიერთ მათგანს შიში შეეპარათ გულში. კოლუმბი კი მხიარულად იყო, ეხუმრებოდა და ამხნევებდა თავის თანამოგზაურებს. რამოდენიმე კვირის შემდეგ მიახლოვდნენ ისინი ისეთ ადგილებს, სადაც მრიელი ქარები იცის ხოლმე. დაუბერა ქარმა გე-

მეზს და გააქანა ისინი ისარივით დასავლეთისაკენ თვალ-უწვდენელ ოკეანეში. ორი თვე იარეს იმათ და ხმელეთი კი არსად სჩანდა. კოლუმბის თანა მოგზაურნი ძრიელ შეშინდნენ და ეხვეწებოდნენ უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ კოლუმბმა ყურადღებაც კი არ მიაქცია მათ თხოვნას; ის მხოლოდ ამხნევებდა მათ რაც გაუვიდოდა და იმედებს აძლევდა, რომ მალე მივაღწევთ ხმელეთამდინაო. მაგრამ დრო გადიოდა და ხმელეთი კი არსადა სჩანდა. ბევრჯელ განიზრახეს კოლუმბის მხლებლებმა მისი ზღვაში გადაგდება, მაგრამ ვერ გაბედეს, რადგანაც უმისოთ უკან დაბრუნებაც ძნელი იყო. ბოლოს ისინი სრულიად სასოწარკვეთილებაში ჩაცვივდნენ და რომ ვერა გააწყეს რა, აჯანყდნენ და მოინდომეს კოლუმბის მოკვლა. მაშინ კოლუმბმა მისცა იმათ პირობა, რომ თუ სამი დღის განმავლობაში ხმელეთი არსად გამოჩნდა, მაშინ უკანვე დავბრუნდებითო. ისინიც დათანხმდნენ ამ პირობაზე. შემდეგ ამისა იმათ ერთი დღე იარეს და შეამჩნიეს ზღვაში ხმელეთის მცენარეები და ზღვის სიმაღლემაც იკლო. ეს რასაკვირველია იმის ნიშნები იყო, რომ ხმელეთს მიახლოვდნენ. და მართლაც ჯერ სამი დღე არ გასულიყო, რომ ერთ ღამეს დაინახეს შორიდამ ცეცხლი. წარმოიდგინეთ ერთის მხრით კოლუმბისა და მეორე მხრით მისი მხლებლების სიხარული! „ხმელეთი! ხმელეთიო!“ დაიყვირეს ყველამ ერთბაშათ, გადაეხვივნენ ერთმანერთს და დაუწყეს კოცნა. სულმოკლენი, რომელნიც ორი დღის წინეთ სწყევლიდნენ კოლუმბს და სიკვდილსაც უპირებდნენ, ეხლა მუხლმოდრეკით ეხვეწებოდნენ გვაპატიევეო. მეორე დილას ისინი მიადგნენ მშვენიერ კუნძულს. ყველაზე უწინარეს კოლუმბმა შესდგა ფეხი მის მიერ ნაპოვნ კუნძულზე. ეს კუნძული იყო გუანაგანის კუნძული, რომელსაც კოლუმბმა სალვადორი დაარქვა. ევროპიელებმა იპოვეს აქ ველური ხალხი, რომლებმაც არც ტანისამოსის ხმარება იცოდნენ და არც მუშაობა; ისინი სცხოვრებდნენ თითქმის ისე, როგორც პირუტყვები. იმათ საშინლად გაუკვირდათ როცა თოფის ხმა გაიგონეს და რადგანაც უცნაურ მოვლენად ეჩვენათ ეს ხმა. საზოგადოთ ევროპიელებს ისინი დიდის გაკვირ-

გებით უცქეროდნენ. იმათ ანიშნეს ხელით კოლუმბს, რომ სამხრეთისაკენ სხვა ქვეყნებიც არიან. კოლუმბი წავიდა აქედამ სამხრეთისაკენ და იპოვა კუბის კუნძული, სადაც ევროპიელებმა პირველად ნახეს, რომ ხალხი იმ მცენარეს სწევდა, რომელსაც ჩვენ ეხლა თამბაქოს ვეძახით. კუბის შემდეგ კოლუმბმა იპოვა გაიტის კუნძული. ყველა კუნძულებზე თითქმის ერთნაირი ველური ხალხები სცხოვრებდნენ; ისინი ყველანი ინდოეთის ტომის ხალხები იყვნენ. ზოგიერთი ახალი ნაპოვნი ადგილები მდიდარი იყვნენ ოქროთი. იმათ მცხოვრებლებს ყურებზე და ცხვირზე ეკიდათ ოქროს ბეჭდები. როცა შენიშნეს, რომ ევროპიელებს ძრიელ მოსწონდათ ოქროს ნივთები, სიხარულით დაუთმეს ისინი და ნაცვლად ქინძისთავებსა და სხვა ამ გვარ უბრალო-ნივთებს ართმევდნენ. გაიტის კუნძულზე კოლუმბმა ააშენა ერთი პატარა ციხე, დასტოვა იქ ოცდა თვრამეტი კაცი და თვითონ ისპანიაში დაბრუნდა. გზაში მისი ხომალდი კინაღამ არ დაიღუპა ზღვის ღელვისაგან. კოლუმბს აღარ ეგონა თუ გადარჩებოდა და, რომ მის ნაღვაწს ამაოდ არ ჩაევლო კაცობრიობისათვის, მან აწერა თავისი მოგზაურობა, ჩადო წერილი გაფისულ პატარა ბოჭკაში და გადაგდო ზღვაში იმ აზრით, რომ ვინმე იპოვის და წაიკითხავსო. მაგრამ ზღვა დაწყნარდა, კოლუმბი გადარჩა და მშვიდობით დაბრუნდა ისპანიაში 1493 წელში ხუთ მარტს. აქ მას ზარბაზნების სროლით, ზარების რეკით და საზოგადოთ დიდის ამბით მიეგებნენ. მეფემ და დედოფალმაც დიდი პატივისცემით მიიღეს კოლუმბი.

შემდეგ ამისა ბევრნი პირ იქით ეხვეწებოდნენ კოლუმბს წაგვიყვანეო. კოლუმბმა სამი მოგზაურობა ჰქმნა კიდევ ახალ ნაპოვნ ქვეყნებისაკენ და პირველად ნაპოვნ კუნძულებს გარდა, სხვაც ბევრი ახალი ქვეყნები იპოვა. მესამე მოგზაურობის დროს მან იპოვა ის ნაწილი ამერიკისა, რომელსაც ფლორიდას ეძახიან. ამ გვარად კოლუმბმა იპოვა ისეთი ქვეყნები, რომლებიც უწინ არავის არ იცოდა და მითი მოუტანა კაცობრიობას დიდი სარგებლობა. ამერიკაში და სხვა მისგან ნაპოვნ ქვეყნებში ევროპიელებმა იპოვეს ისეთი მცენა-

რები, პირუტყვები და სხვა ძვირფასი ნივთები, რომლებიც სხვა ქვეყნებში არ იყო; გადმოიტანეს ისინი და მით განაკარგეს თავიანთი ცხოვრება. ბევრი ევროპიელები თვითონ ამერიკაში გადასახლდნენ, სადაც ფრიად მდიდარი და ყოველისფრით შემკული ბუნებაა, და იქ გამართეს თავიანთი კალონიები.

მაგრამ კოლუმბს, როგორც ყოველ გამოჩენილ კაცს, ბევრნი მოშურნე მტრები გამოუჩნდნენ და დაუწყეს ბეზღება ისპანიის კაროლთან, რომ ვითომც მას საკუთარი თავისი სახელმწიფოს გამართვა უნდოდა მის მიერ ნაპოვნ ქვეყნებში, სადაც ის მთავარმართებლად ანუ ვიცე კაროლად იყო დანიშნული პირობისა მებრ, რომელიც მან შეკრა ისპანიის მთავრობასთან, როცა პირველად მიდიოდა ევროპიდამ. კაროლმაც დაუჯერა მის მტრებს და გაგზავნა საქმის გამოსაძიებლად ერთი საშინელი უსინიდისო და თავმოყვარე კაცი, რომელსაც ფრანცისკო ბავადილო ერქვა. მას კაროლმა თან ისიც დაბარა, რომ თუ კოლუმბი დამნაშავეთ აღმოჩნდეს, გამოცვალეო და მისი ადგილი შენ დაიჭირეო. ფრანცისკოსაც ეს უნდოდა და ამიტომ მან საქმის გამოუძიებლად შეუკრა ხელ-ფეხი ჯაჭვით კოლუმბს და გამოგზავნა ისპანიაში. გზაზე გემის კაპიტანს უნდოდა მოეხსნა მისთვის ჯაჭვი, მაგრამ კოლუმბმა არა ქმნა: მას უნდოდა დაენახვებინა ისპანიის ხალხისათვის თუ როგორ პატივსა სცემდა მთავრობა იმ კაცს, რომელმაც ახალი ქვეყნები იპოვა. კაროლი და დედოფალი ძრიელ შესწუხდნენ, როცა დაინახეს კოლუმბი ხელ-ფეხ შეკრული, მაშინვე განათავისუფლეს ის და ფრანცისკოც გამოცვალეს, მაგრამ მთავარმართებლად მაინც სხვა გაგზავნეს კოლუმბისაგან ნაპოვნ ქვეყნებში. ამ გვარად დაჩაგრულ კოლუმბს ბევრი აღარ უცოცხლია: ის გადაიცვალა, როგორც ამბობენ, ძრიელ სიღარიბეში, 1506 წელში, მაშინ ორმოცდა ცხრამეტი წლისა იყო. სიკვდილის წინ მან დაიბარა, რომ ის ჯაჭვი, რომლითაც მას ხელ-ფეხი ქონდა შეკრული, საფლავში ჩაეტანებიათ. უმადურმა კაცობრიობამ მისი სახელიც კი არ დაარქვა მის მიერ ნაპოვნ ქვეყნებს. პირველად ამერიკა აღწერა, ერთმა ფლორენ-

ციის სწავლულმა, რომელსაც ამერიკო ერქვა და ამიტომ მისი სახელი დაარქვეს ამ ქვეყნის ნაწილს. კოლუმბს დარჩა მხოლოდ ერთიღა სახელი, რომელიც უკვდავი იქმნება საუკუნოდ მინამ ქვეყანა და კაცობრიობა არ გაქრება.

კოლუმბის შემდეგ, რაკი გზა გაწაღლდული იყო, ბევრნი მისი მიმბაძავნი გამოჩნდნენ და იპოვნეს სხვა და სხვა ქვეყნები, რომლების პოვნა კოლუმბმა ვერ მოასწრო.

## 4.) მარტინ ლიუტერი

(რეფორმაცია)

ამბობენ, რომ როცა იოანნე გუსს დაწვას უპირობდნენ, მან იწინასწარმეტყველაო: ასი წლის შემდეგ ისეთი არწივი გამოჩნდებაო, რომელსაც პაპი ვეღარ სძლევსო, და ეს წინასწარმეტყველება მართლაც აღსრულდა. მეთექვსმეტე საუკუნეში გამოჩნდა ისეთი კაცი, რომელმაც შეარყია პაპების ტახტის ძლიერება და მოახდინა დასავლეთ ევროპაში დიდი საეკკლესიო ცვლილება, რომელსაც რეფორმაციას ეძახიან. ეს კაცი იყო მარტინ ლიუტერი. ლიუტერი დაიბადა ერთ პატარა საქსონიის ქალაქში ეისლებენში 1483 წელს. მამა-მისი განსი ერთი უბრალო მუშა კაცი იყო, მაგრამ რაც შეეძლო, ეწეოდა შვილს გამოზრდის დროს. ამასთან ის ფიცხი კაცი იყო და სასტიკად უპყრობოდა თავის პატარა მარტინს. როცა შვიდი წლის შეიქმნა მარტინი, მამამ შკოლაში მისცა. ლიუტერს არც შკოლაში აკლებდნენ ზერები გაწკეპლას. თოთხმეტის წლის რომ შეიქმნა, მამამ მისცა ის მაღდებურგის შკოლაში, რომელიც მაშინ საქებრად მიაჩნდათ. მაღდებურგში ბევრი გაჭირვება გამოსცადა ლიუტერმა: აქ მას საზრდო არა ჰქონდა, კარ-და-კარ დადიოდა, გალობდა და ისე რჩებოდა, მინამ ერთმა ღვთის მოყვარე ქვრივმა არ შეიბრალა და არ მისცა სწავლის საშუალება. შემდეგ 1501 წელში ლიუტერი შავიდა ერფურტის უნივერსიტეტში და აქ მიიღო მაღალი სწავლა. უნივერ-

სიტეტში ლიუტერმა კარგად შეისწავლა სხვათა შორის, ღვთის-მეტყველება და სამღვთო წერილი და მაგისტრობის ხარისხი მიიღო. მამა-მისს სურდა, რომ ის, კურსის შესრულების შემდეგ, სამოქალაქო სამსახურში შესულიყო, მაგრამ მას თვითონ ბერობა ერჩია და მონასტერში შევიდა. ლიუტერს ეგონა, რომ მონასტერში ის სულიერ განსვენებას იპოვიდა, მაგრამ ძრიელ მოსტყუვდა: მონასტერში უმეტესი ნაწილი ბერებისა ძრიელ უზნეოდ იქცეოდნენ და არას აკეთებდნენ. ამას გარდა პირველ წლეიწადს, მინამ ლიუტერი მწირბერად იყო გამოსაცდელად, ბერები ძრიელ ცუდათ ექცეოდნენ და უველაფერ მძიმე საქმეს აკეთებინებდნენ: ეკკლესიას აგვევინებდნენ, ნაგავს აზიდვინებდნენ მონასტრიდამ და ხურჯინითაც გზავნიდნენ მოწყალების მოსაკრეფად ამ ჩვენ სწავლულ მაგისტრს. მაგრამ ის უველაფერს მოთმინებით იტანდა და არ დრტვინავდა. ერთად-ერთი ნუგეში მისი მონასტერში დაბადების წიგნი იყო, რომელსაც იგი ხშირად კითხულობდა. ლიუტერი მონასტერში ძრიელ ბევრს ფიქრობდა ადამიანობის ცოდვიანობაზე და მისის სულის ცხონებაზე. ამ ფიქრებიდამ მან ის დასკვნა გამოიყვანა, რომ კაცი ისეთი ცოდვილია, რომ მისი ცხონება არ შეიძლება და კინაღამ სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდა. მაგრამ როცა ესეთ მდგომარეობაში იყო, მაშინ ერთი კეთილი ბერი გამოუჩნდა და შთააგონა, რომ ადამიანს ღვთის მადლის იმედი უნდა ქონდეს და არა მარტო თავისის კეთილის საქმისა. ამ სიტყვებმა ძრიელ გაამხნევეს ლიუტერი და დაკარგული სასოება დაუბრუნეს.

1509 წელში ვიტენბერგის ქალაქში გამართეს ახალი უნივერსიტეტი და მიიწვიეს ლიუტერი ფილოსოფიის პროფესორათ. ლიუტერმა ჯერ უარი სთქვა, მაგრამ როგორც იყო დაიყოლიეს. ვიტენბერგში მას მქადაგებლის თანამდებობაც მიანდვეს და ის ისეთი შესანიშნავი მქადაგებელი გამოდგა, რომ მსმენელები ძლივს ეტეოდნენ უნივერსიტეტის ეკკლესიაში. ერთხელ ლიუტერი რომში წავიდა, სადაც დასავლეთის ეკკლესიის თავი პაპი სცხოვრებდა. მას საშინელი

გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა პაპისა და მისი სამღვდელოების სიწმინდეზე — და დიდის მოწიწებით წავიდა ის რომის ქალაქში. მაგრამ რა ნახა მან იქ? რომის სამღვდელოება ისე ცუდათ იქცეოდა და ისე დაცემული იყო ზნით, რომ როცა იქიდამ ლიუტერი ვიტენბერგში დაბრუნდა ამას ამბობდა: „ნეტავი ათასი ოქრო გადამეხადა და რომი კი არ მენახა.“ ამიტომაც შემდეგ ამისა სულ სხვა ჰაზრისა იყო ლიუტერი პაპების სიწმინდეზე და უცოდველობაზე, რომლებიც თავიანთ თავს იესო ქრისტეს მოადგილედ რაცხდნენ ქვეყანაზე და როცა იმათი ცუდი და უზნეო მოქმედება დაინახა წინააღუდგა მათ და დაუწყო ბრძოლა.

იმ დროს პაპი იყო ლევი მეათე. ამ პაპს ძრიელ უყვარდა კეთილი ცხოვრება და ამიტომ ბევრი ფულები უნდებოდა. გარდა ამისა იმ დროს რომში წმინდა პეტრეს ტაძარს აშენებდნენ და მის მოსათავებლადაც ძრიელ საჭირო იყო ფულები. ფულის საშოვნელად ერთი რამ ღონე მოიგონა პაპმა. მან გამოაცხადა, რომ წმინდანებმა იმდენი კეთილი საქმეები ქმნესო, რომ იმათ თავს გადასდითო და ამიტომ შეუძლიან სხვებს ცოდვილებს გაუზიარონ თავიანთი კეთილი საქმეებიო. მაგრამ ეს კეთილის საქმების საუნჯე პაპს ეკუთვნისო, რადგანაც ის იესო ქრისტეს მოადგილე არისო და ნება აქვს, ვისაც სურს, იმას მიჰყიდოსო. ამ მოძღვრების საფუძველით პაპმა დაბეჭდვინა მრავალი ცოდვის მისატევებელი ლოქმები (გრამოტები), რომელთაც ინდულგენციებს ეძახიან, დაურიგა ბერებს და გაგზავნა სხვა და სხვა ქვეყნებში რომ გაეყიდნათ. არც ერთი ინდულგენციების გამყიდველი ბერი ისე ურცხვად და უსინიდისოთ არ იქცეოდა, გაყიდვის დროს, როგორც ბერი ტეცელი. ის დიდის ამბით შადიოდა ქალაქებში და სოფლებში და აშკარად ვაჭრობდა ხოლმე. გვერდით მას ორი ყუთი ედგა, ერთი ინდულგენციებით მეორე ფულებისთვის და ეუბნებოდა ხალხს ხოლმე, „აი რა წამსაც ამ ყუთში ფულები დაიწკარუნებენ, მაშინათვე წარწყმენდილი სული ჯოჯოხეთიდამ სამოთხეში გადაფრინდებაო.“ უმეცარი ხალხი გარს ეხვეოდა მას და ვისაც კი ცოტა შეძლე-

ბა ჰქონდა, ყველანი ყიდულობდნენ ინდულგენციებს. ინდულგენციები ბევრნაირი იყვნენ და ყოველის ცოდვის მოტევების ყიდვა ცალკე შეიძლებოდა ხოლმე: ქურდობის, ცარცვის, ფიცის გატეხის, კაცის მოკვლის და სხვ. ამას გარდა არა თუ მარტო წარსულის და აწმყო ცოდვის მოსატევებელი ოქმის ყიდვა შეიძლებოდა, არამედ მომავალისაც. ერთხელ კაი ოინი უყო ერთმა რაინდმა ტეცელს. ის მივიდა დიდის მოწიწებით მასთან და უთხრა: „მამაო! მინდა შარა გზაზე ერთი ვისმე გავცარცვო და თუ შეიძლებოდეს, ამ ცოდვის მოტევების ოქმი მომყიდეო.“ ტეცელმა მრიელ ძვირად დაუფასა რაინდს ეს ოქმი, მაგრამ მან მაინც იყიდა და წავიდა თავისთვის. შემდეგ ის ერთხელ დახვდა თავის კაცებით თვითონ ტეცელს გზაზე და წაართვა სულ, რაც ყუთში მოგროვილი ფულები ქონდა. ბერმა დაუწყო მას საშინლად წყევლა, მაგრამ რაინდმა სიცილით ამოიღო მისგან მიცემული ოქმი, უჩვენა და უთხრა: განა არ იცნობო? ინდულგენციების გაყიდვას მრიელ ცუდი გავლენა ქონდა ხალხის ზნეობითს მდგომარეობაზე: უმეცარი ხალხი აღარ ერიდებოდა ხოლმე ცოდვებს. ბერების ამგვარად მოქმედება ყველა პატიოსანს და კეთილ-სინდისიან კაცს აშფოთებდა, მაგრამ რა უნდა ექმნათ.

1517 წელში ტეცელი მიახლოვდა თავის ინდულგენციებით ვიტენბერგის ქალაქს, სადაც ლიუტერი სცხოვრებდა, და დაიწყო ვაჭრობა. ლიუტერმა ვერ მოითმინა ეს ტეცელის გულის ასამღვრევი მოქმედება და აღდგა მის წინააღმდეგ. მან იწყო თავის ქადაგებაში ტეცელის მოქმედებისა და საზოგადოთ ინდულგენციებით ვაჭრობის განკიცხვა. ბევრმა დაინახეს მის სიტყვებში ის, რასაც თვითონაც კარგა გრძნობდნენ, და მრიელ მოეწონათ მისი გაბედული ქადაგება. შემდეგ ლიუტერმა დასწერა ქაღალდზე ოთხმოც-და-ხუთმეტი მუხლი წინადადება (ტეზისები) ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ, გააკრა ის კარებზე და გამოითხოვა ტეცელი შებმოდა მას და დაემტკიცებია თუ შეეძლო, რომ ეს საქმე კანონიერი იყო. მაგრამ ტეცელი მალე მოშორდა ვიტენბერგს. ლიუტერის ტეზისები კი გავრ-

ცელდნენ ხალხში; ბევრნი თანაუგრძნობდნენ მას და მოუთმენელად ელოდნენ რითი გათავდებოდა ეს საქმე. ასე დაიწყო რეფორმაცია. ხალხი გაიყო ორ ნაწილად: ზოგს ლიუტერის მხარე ეჭირა და ზოგს პაპისა და ბერების. სამმა წელიწადმა გაიარა ლიუტერისა და ბერების ბრძოლაში. პაპიმ პირველად არ მიაქცია დიდი ყურადღება ბერების ბრძოლას, მაგრამ როცა დაინახა, რომ მთელი გერმანია აღელდა და საქმე სახუმრო არ იყო, უბრძანა ლიუტერს, რომ ის სამოცი დღის განმავალობაში გამოცხადებულიყო რომში. საქსონიის მთავარს ანუ კურფირსტს ფრიდრიხს ძრიელ უყვარდა ლიუტერი და ამიტომ მან არ გაუშვა რომში, რადგანაც იცოდა, რომ პაპი და ბერები კეთილს არას დააყრიდნენ ლიუტერს — პაპიმ დიდხანს ითმინა; უნდოდა, რომ საქმე როგორმე მშვიდობით გაეთავებია, მაგრამ ვერა გააწყო რა და ამიტომ შეაჩვენა ლიუტერი და გასცა ბძანება, რომ მისი თხზულებანი ცეცხლში დაეწვათ. პირველად არც ლიუტერს უნდოდა გადგომოდა პაპსა და ფრანგების ეკლესიას, მაგრამ როცა დაინახა პაპის უსამართლოდ მოქმედება, უწოდა მას ანტექრისტედ და მისი ბძანებაც (ბულლა) ცეცხლში დასწვა.

1521 წელს გერმანიის იმპერატორად დაჯდა შესანიშნავი იმპერატორი კარლოსი მეხუთე. მას სურდა მალე მოესპო თავის სახელმწიფოში საეკლესიო არეულობა და ამიტომ დანიშნა ვორმსის ქალაქში სეიმი ანუ ჩინებულთ კრება. ამ კრებაში, რასაკვირველია, ლიუტერიც დაიბარეს. ზოგნი ურჩევდნენ ლიუტერს, რომ არ წასულიყო, მაგრამ ის ამბობდა: ვიტენბერგიდამ დაწყებული ვორმსამდის რომ ისეთი ცეცხლი იყვეს ანთებული, რომლის ალი ზეცამდის ადიოდეს და მე შუაზე უნდა გავიარო, მაინც კი წავალო და მართლაც წავიდა. მაგრამ იმპერატორმა უბოძა მას მფარველობის ოქმი — და გზაზე თავის კაციც აახლა. გზაზე ყველა ქალაქებში და სოფლებში, სადაც კი გაიარა ხალხი დიდის ამბით ეგებებოდა წინ ლიუტერს, რომ დაენახათ ეს შესანიშნავი ბერი. ვორმსშიდაც დიდის ამბით მიიღეს მცხოვრებლებმა ლიუტერი. ჩვიდმეტ აპრილს შაიყვანეს ლიუტერი სეიმში,

სადაც თავ-მჯდომარეთ თვითონ იმპერატორი იყო. ლიუტერი ცოტათი შეკრთა, როცა წარსდგა პირველად იმპერატორისა და მის დიდებულთა წინაშე. აქ მას წარუდგინეს მისი თხზულებები და ჰკითხეს: შენია თუ არაო? მან, რასაკვირველია, უპასუხა, ჩემიაო. შემდეგ ჰკითხეს: უარ-ყოფ შენ ამათ, თუ არაო? ლიუტერმა სთხოვა სეიმს, რომ ერთის დღის ვადა მომეცით, ვიფიქროვო. იმპერატორი თანახმა გახდა. მეორე დღეს საღამოს ლიუტერი ხელახლა მიიყვანეს სეიმში და გაუმეორეს კითხვა. ეხლა ლიუტერმა გაბედვით უპასუხა კრებას, რომ მე მარტო სამღვრთო წერილი მრწამსო; პაპი ხორციელი კაცია და შეუძლია შესცდესო; თუ სამღვრთო წერილით დამიმტკიცებთ, რომ მე ვსცდები და პაპი მართალია, მაშინ მე უარს-ვყოფ ჩემს მოძღვრებასაო. ამის მეტი მე სათქმელი არა მაქვსო, სთქვა მან და თან ესეც დაუმატა: „ღმერთის ჩემი შემწეო.“ შემდეგ ბევრი ურჩიეს ლიუტერს, რომ გადადგომოდა თავის მოძღვრებას, მაგრამ ვერ შეარყიეს მისი მტკიცე რწმუნება. ბერები ბევრს ეცადნენ მისთვისაც ისე-თი მახე დაეგოთ, როგორიც იოანნე გუსს დაუგეს, მაგრამ იმპერატორმა არ გასტეხა თავისი სიტყვა და გაუშო ლიუტერი. მაგრამ თან სეიმის განჩინებაც გამოსცა, რომელშიდაც ლიუტერი და მისი თანამოაზრენი ერეტიკოსებად იყვნენ გამოცხადებულნი. ლიუტერის მფარველს ფრიდრიხს ეშინოდა, რომ მტრებს არაფერი ცუდი არ დაეშავებინათ ლიუტერისათვის, ამიტომ მან გაგზავნა თავისი კაცები, მოიტაცა ლიუტერი როცა ვიტემბერგიდამ მიდიოდა, და დამალა ვარტბურგის ციხე-დარბაზში. ზოგებს კი ეგონათ, რომ ლიუტერი დაიკარგა. ვარტბურგის ციხე-დარბაზში ლიუტერი კარა ხანს სცხოვრებდა და აქ გადმოთარგმნა მან დაბადება ნემეცურ ენაზე.

როცა ლიუტერი ვარტბურგის ციხე-დარბაზში სცხოვრებდა, იმ დროს გერმანიაში დიდი არეულობა მოახდინეს მისის მოძღვრების მომხრეებმა. ამიტომ მან მიატოვა ვარტბურგი, მივიდა ვიტენბერგში და თავის ქადაგებით როგორც იყო თავისი მომხრენი დაამშვიდა. შემდეგ ამისა რეფორმაციამ კიდევ უფრო გაიდგა ხალხში ფესვი. ლიუ-

ტერის ახალი მოძღვრება; სხვათა შორის, მაში მდგომარეობდა, რომ მან უარ-ჰყო პაპების და მსოფლიო კრებების შეუცდომელობა, სამღვთო ჭეშმარიტების წყაროდ მან მარტო სამღვთო წერილი აღიარა; სამღვთო წერილის კითხვისა და განმარტების უფლება ყოველ ქრისტიანს მიანიჭა. ამას გარდა მან გააუქმა ხატებისა და ზოგიერთი ეკკლესიის სამკაულების ხმარება, თვინიერ ჯვარცმისა; უარ-ყო ზოგიერთი საიდუმლოები; სასულიერო პირებს ცოლის შერთვის უფლება მისცა და თვითონაც ერთ მონაზონზე დაიწერა ჯვარი.

ლიუტერის რჯულის ხალხს ლიუტერანები ანუ საზოგადოთ პროტესტანტები დაერქვათ. თვითონ ლიუტერი გადაიცვალა 1546 წელში. მაგრამ ბრძოლა ფრანგებსა და პროტესტანტებთა შორის დიდხანს არ გათავებულა. იმპერატორი კარლოს მეხუთე ბევრს ეცადა, რომ მოესპო თავის სახელმწიფოში რეფორმაცია, მაგრამ ვერა გზით ვერ მოახერხა და ამიტომ 1555 წელში მოახდინა შერიგება პროტესტანტებსა და ფრანგებთ შორის აუგსბურგის ქალაქში და მიანიჭა პროტესტანტებს სრული უფლება თავისუფლად აღეარათ თავიანთი რჯული. შემდეგ ამისა რეფორმაცია არა თუ გერმანიაში, არამედ თითქმის ყველა სხვა დასავლეთის ევროპის სახელმწიფოებში გავრცელდა.

გ. ი.

# ნატვრა

ნეტავი ჩიტი ვიყო, ჩიტუნია პატარა,
ტკბილის ხმით მოჭიკჭიკე, სიამით მონავარდე,
რომ გავგოგდე... ავფრინდე... ფრთები გავშალო ჩქარა
და ცისკენ თავის უფლად, ისრივით ავვარდე!!

—

მივფრინდები იმ არეს, სად ვარსკვლავნი კრთებიან,
სადაც ხშირად კაშკაში გააქვს მოწმენდილ მთვარეს;
იქ სადაც მტრის ისრები მე ვეღარ მომწვდებიან—
იქიდამ გადმოვხედავ ჩემსა სამშობლო მხარეს.

—

ვნახამ იმ ბრძოლის ველებს, სადაც ბედი სწყდებოდა,
მტერი, მგონი, შემუსვრის ანგარიშში სცდებოდა,
რადგანც ქართველს იმა დროს თავი ავიწყდებოდა...
ბრძოდა!... რჯული და ენა კი მითი მტკიცდებოდა.

—

დავეცემი გულ-მკერდით... იმ ველზედ დავეშვები
ნისკარტით ვუამბორებ წმინდას სახსოვარს მიწას!
წინა-პრების სახსოვრად კვნესით ჭიკჭიკს მოვჰყვები:
ქვეყანას შევაბრალებ... შევავედრებ მათ ზეცას.

—

მაგრამ ვით გავარჩიო ჩვენი მკვდარი და მტერი?
ხომ სულ ერთადა ჰყრიან არეულ-დარეული?
წმინდა ძვლე წინაპრების და მტრების ბილწი მტვერი
რატომ არ არის ნეტავ გარჩეულ გასამზღვრული?

—

არ დავსდევთ, მაგრამ ის კი თვით ბუნებამ გასაზღვრა:
იქ ეკალი ამოდის სადაც მტერი მარხია
და სადაც ჩვენმა ძველმა წმინდა სისხლი დაჰღვარა
იქ მოდის ყვავილები და ზოგანც ვარდის ხეა.

—

ეკალს და ბალახ-ბულახს, მტრის გულზედ ამოსულსა,
მივანებებ ბაყაყებს!... დეე, მათ უყიყინონ.
მე ვარდის ყვავილებზედ ავიღელვებ ამ გულსა,
ვიჭიკჭიკებ და მკვდრებმა საუკუნოდ იძინონ.

—

ნეტავი ჩიტი ვიყო, ჩიტუნია პატარა,
რომ ჭიკჭიკით გამოვსთქვა ვნება ჩემის გულისა!
ვნახო ჩემი სამშობლოს გამობრუნება ჩქარა
და ვიმღერო სიმღერა შორის გაზაფხულისა.

აკაკი.

## უ.........ს.

---

საბრალო არის დატვირთული უზომოთ ვირი:
ფეხებ არევით, თავ-ქინდრული, მოდის თავ-დაღმა;
ვეღარ ახერხებს საყროყინოთ გააღოს პირი
და უწკეპლოთაც აღარ ესმის აღარც „აცოს“ ხმა,

---

მაგრამ იგივე, რომ ავჰკიდოთ ტვირთი ბედაურს
არად შეიმჩნევს, ვითომ ვერც გრძნობს: არი თუ არა?
კუნტრუშ-ხვიხვინით მონავარდობს, წაიცქვეტს რა ყურს,
და ვირის სავლელ-გზასს გაივლის თორმეტ ჯერ ჩქარა.

---

ვირს კი ჰგონია თუ მშრომელი მხოლოდ ის არი
და ვინც მისსავით არ იტანჯვის ტვირთ-მოდებული,
არ ეკადრება მის ვირობას! არ არს სადარი!...
და ვირულ-სიბრძნით იბერება შეფერებული.

---

საბრალო ვირო! ჭკუა ძვირო! ვინ გააკვირო?
ყურ-პანტურობა და ყროყინი შენი წესია!...
მაგით ნუ ჰფიქრობ ბედაური გააშავპირო!
ყველა მას მომკის, რაც რომ თვითონ დაუთესია!

---

და თუ ვერ მიხვდი უბრალო ჭაზრს მაგ დიდის თავით
რატომ არ გესმის? აბა რათ გაქვს დიდი ყურები;
„ვირები რა გინდ ტვირთ-ქვეშ მოჭკვდენ, ისრისონ ზვავით,
მაინც არ ეთქმისთ უბედურებს ბედაურები!!“

აკაკი.

# ერთი უბედურთაგანი.

(მოთხრობა ჟულ კლარეტისა)

პირველს იანვარს 1859 წლისას ნოელ რამბერმა გამოიღვიძა განთიადისას, გულზედ მოსული იყო და მშიერი. ერთი მთელი დღე და ღამე პური არ ეჭამა, თავი ისე მძიმედ ჰქონდა თითქო ტყვია ჩაუსხამთო; მისი ჩამქრალი თვალი მწუხარედ დასცქეროდა ხუთის წლის ბალღს, იქავ ცარიელს ცივს ოთახში მწოლარეს დაფლეთილ და ჭუჭყიანს ლოგინზედა.

ნოელ რამბერი იყო ერთი ღარიბი მუშა-კაცი. მთელის ორმოცის წლის განმავალობაში იგი გულ-მაგრად და უდრტვინველად ატრიალებდა ხელში სიღარიბის და გაჭირების ჩარხსა; დაუღალავად მედგრად და თითქმის ქეიფითაც მუშაობდა ხოლმე ყმაწვილობისას და ხშირად მისი ზარიანი ხმა სიმღერისა გარდემატებოდა ხოლმე მაშინების და ჩარხების გრიალსა და ტრკციალსა. მაშინ ჯერ მარტო-ხელი იყო, ცოლ-შვილი არა ჰყვანდა და ულოთველი, მშვიდობიანი მუშაკი თავის-თავსა ჰრაცხდა ბედნიერათ, თუმცა ღარიბი კი იყო.

— მე ჯან მრთელობა არ მაკლია და ღონე, ამბობდა ხოლმე სიცილით: დიდს კვერს ისე ვეწევი როგორც ბუმბულს. სხვა რა მინდა ამაზედ მეტი? მე ჩემი თავი მდიდრათ მიმაჩნია და ჩემს ბედს როტშილდის ბედშიაც არ გავცვლი.

მაგრამ რამბერს შავი დღეც დაუდგა, დღე იმედთა გაცრუებისა და უწყალო წამებისა. მას ობოლს, მუშებში გაზრდილს ჯერ პატარაობითვე

შეეთვისებინა ის აზრები, რომელთაც ეგრე სწრაფად გაიდგეს ფეხი პარიჟში 1848 წელსა, — და როცა თებერვლის რევოლიუციამ იფეთქა, იგი უმაწვილ-კაცობის სიმხურვალითა ჩადგა მეომართა შორის. იმ დროს მისი საყვარელი გმირები იყვნენ: ბარბესი, „წინამძღვარი თავის ურჩალის ესკადრონისა და ფლოკონი, უბრალო ძველ ტანისამოსით თავდაბლად მიმავალი ხოლმე თავის სამინისტროში. ხოლო როგორც რევოლიუცია, ისე მის მოღვაწეებს მალე დააცლევინეს მოედანი. კავე-ნიაკისაგან შემზადებულმა და ორ დეკემბრის ღამის იმპერიით დაგვირგვინებულმა რეაქციამ დანთქა თავისის მღვრიე წყლით როგორც საქმენი, ისე კაცნი, რომელნიც წინ წამოყენებულ იქმნენ 1848 წლის მოძრაობისაგან. რამბერი დარჩენილი დამარცხებულთა შორის დაუბრუნდა ისევ თავის მძიმე მუშაობას, თითქო სულ ორიოდ დღეაო რაც თავი დაანებაო. ამ ომებში და ბრძოლაში მას გული არ დასჯაბნებია, პირიქით, გრძნობდა რომ ახალგაზრდობის ღონე ჯერ კიდევ ძარღვთა აქვს (რამბერი მაშინ 34 წლისა იყო) და სიცილით იტყოდა ხოლმე: „მოიცადით, არა უშავს რა, წინ ჯერ კიდევ დიდი დროა!“

ხომ ამას ამბობდა, მაგრამ ბოლოს ნახა, რომ მისნი უწინდელნი ამხანაგნი, თან შეზრდილნი პატარაობითვე, ჭირსა და ლხინში თანამოზიარენი და მოძმენი მის გარეშემო აღარ არიან. ორმა დეკემბერმა,*) როგორც შავმა ჯანღმა, თვალ გაუვლელ სიბნელით მორთო ყველა და ყოველი. დამარცხებული საფრანგეთი ფეხთა ქვეშ ეშალა თავის კეისარსა, ხმა გაკმენდილი და ზარ-დაცემული. რამბერსაც გულზე სევდა-ნაღველი დააწვა. ნახა თუ არა, რომ პარიჟი, ერთ დროს მხიარული, გაცოცხლებული და აღტაცებული, ეხლა წარბ შეკრულია და დამუნჯებული, რამბერს სული შეუგუბდა, თითქო ჰაერი აღარ არისო ამ დიდს ქალაქში, რომ სული მოებრუნებინა. საწყალს დაეკარგა ის მუდამი მხიარულება, უმაწვილ-კაცობის ხალისი და ქეიფის გუნება. ყოველივე,

*) ორს დეკემბერს ნაპოლეონმა მესამემ უღალატა რესპუბლიკას, მისი მომხრენი დაქსაქსა და თვითონ დაიჩემა იმპერატორობა საფრანგეთისა.

რასაც ეხლა თვის გარეშემო ხედავდა, მის თვალში მკვდარი იყო, წვრილმანი, უხეირო და უსაგნო.

— ნუ თუ ამ დღეში ჩავცვივდით? იძახდა იგი მწუხარედ: ნუ თუ კრულაა იმედი?

ეს უიმედობა ჰსწოვდა და ჰქენჯნიდა იმის გულს, მაგრამ მაგ უიმედობამ კი ვერა ჰკრა სასიკვდილო ისარი, არამედ სიყვარულმა, მხურვალემ და უძლეველმა, რომლისთვისაც თითქო გაჩენილი იყო მისი ვაჟკაცური გული.

ერთხელ ნოელ რამბერი შეხვდა ერთს ქალს და შეიყვარა იგი საშინლად, გაგიჟებით და იმ გულითადის აღტაცებითა, რომელიც ჯერ კიდევ შერჩენოდა ამდენ იმედთა გამტყუნების და გაბოროტებისა შემდეგ. თავის მხრით მართა გარდიცი, რამბერისაებრ ობოლი და უთვისტომო, გულწრფელად შეუმსჭვალდა, როგორც ეტყობოდა, რამბერს და რამდენსამე წელს უწია უღელი ჯაფისა და ღარიბის ცხოვრებისა. დღითი დღე რამბერს სიყვარული უძლიერდებოდა და გრძნობდა, რომ ნამდვილი სიცოცხლე იმ დღიდგან დაიწყო, როცა მართა ნახა-ხეო. თავისი უწინდელი საქმეები, გმირული ნატვრა და ოცნებანი, ომების ზმვინვარე დღენი, დაუსრულებელი ღამეები სატუსაღოში — უველა ესენი ეხლა სიზმარი ეგონა, ბინდ-ბუნდად მოზმანებული. ეხლა ოცდა მეხუთმეტე წელიწადში ისე მთლად მიეცა ახალს ტრფიალებას, როგორც ამ ათის წლის წინად თავის პირველს საყვარელს — მამულისას და თავისუფლებისას. რამდენჯერმე უთხრა მართას ჯვარი დავიწეროთო, მაგრამ ქალი პასუხად ყოველთვის ამას ეტყოდა ხოლმე.

— რათაო? თუ ბედათ გვიწერია, რომ ერთმანეთი ყოველთვის გვეყვარება, ღვდლის გარევა ჩვენს საქმეში რა საჭიროა, და თუ გვიწერია, რომ ოდესმე უნდა ერთმანეთის დავეთხოვოთ, რათ გვინდ რომ ჩვენ თავს ჩვენვე ხუნდები შევუყაროთ და დღევანდელი კავშირი ბოლოს ორივეს სანანური გაგვიხდეს.

— შენი ნებაა, ეუბნებოდა ხოლმე რამბერი.

ამ სახით ჰსცხოვრებდა საწყალობელი მუშაკი; დღე მთელი ქარხანაში მუშაობდა და ჴალამოობით კი ისვენებდა თავის ღარიბულ სადგურში საყვარელის ქალის ახლო. როცა მართა დაწვა და უშობა ვაჟი-შვილი ჟაკი, მაშინ რამბერის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ბედნიერებისაგან თითქმის გონება დაჰკარგა და ერთი ორად უმატა მუშაობას, თითქო შვილის ყოლაზედ თვითონაც გაყმაწვილდაო. არიან იმისთანა ადამიანები, რომელნიც იმისთვის არიან გაჩენილნი რომ მამობა გასწიონ; შვილებისადმი სიყვარული გაგიჟებამდე მიახწევს ხოლმე იმათს გულში და ვერა დედა ვერ შეჰსძლებს იქამდინ თავი გაიწიროს შვილისათვის, როგორც, მაგალითებრ, მეფე ლირმა უგუნურად გაიწირა. ამ გვარს ადამიანებს ეკუთვნოდა ნოელ რამბერიც, რომლის სიცოცხლე, სული და გული ეხლა იყო მარტო აკვანი თავის პატარა ჟაკისა.

ხოლო დიდხანს არ გასწია მისმა ბედნიერებამ; ცხოვრება მისი აღსავსე ჯაფითა, ბედნიერებითა და იმედოვნებითა ერთბამად და უწყალოდ შეჰმუსრა ერთმა უბედურმა წუთმა.

ერთხელ, ჟაკის გაჩენის რამდენიმე თვის შემდეგ, რამბერს ხელში ჩაუვარდა პატარა ბარათის ნამწვი და იქიდამ ჰსცნო, რომ მართა, რომელიც მას ასე გაგიჟებით უყვარდა, მართა დედა-მისის შვილისა — ურცხვად ჰღალატობდა. სხვა კაცს დაჰხვდომოდა საყვარლათ! რამბერის გული მტკივნეულობით შეიკუმშა და თუ ჭკუიდამ არ შეიშალა, იმიტომ-რომ ამ უბედურებაში ალღო აილო სხვა უფრო დიდის უბედურებისა და მოიწადინა მწარე მართალი თავიდამ ბოლომდე შეეტყო. თუ მართა სხვა კაცს უყვარდა საყვარლათ, შესაძლო იყო, რომ პატარა ჟაკიც უცხო კაცისა ყოფილიყო. ამ საგანზედ დატრიალდა ეხლა ჩარხი მთელის მისის სიცოცხლისა.

რამბერი პირ-და-პირ წავიდა იმ ბარათის დამწერთან. ბარათის დამწერი იყო ახალ-გაზდა, ლამაზი, მხიარული ყმაწვილი-კაცი; ამას მიეზიდნა მართა თავის ოხუნჯობითა და სიმდიდრის დაპირებითა.

— მე თქვენ არ გიცნობთ, უთხრა რამბერმა; — თქვენ მე წამართვით ის, რაც ჩემთვის ყველაფერზედ უძვირფასესი იყო ამ ქვეყანაზედ. პირველ წუთს თქვენი მოკვლა განვიძრახე, მაგრამ ეხლა გიპატიებთ, თუ მართალს მეტყვით, მარტო მართალს და სხვას არაფერს: როდის აქეთია რაც თქვენ ჰყვარობთ მართას?

ყმაწვილს-კაცს უნდოდა უარზედ დამდგარიყო, მაგრამ რამბერმა შეჰკივლა:

— მითხარი, თორემ შენი აღსასრული მოვიდა. მითხარი მეთქი და თუ შენ ერთს დღეს ან დააკლებ და ან მოუმატებ, აქავ ჩემის ხელით დაგახჩობ.

— ერთი თვეა.

— მაშ ბალღი...

— პატიოსნებას გეფიცებით.

რამბერმა აღარა უთხრა რა, გამოვიდა და პირ-და-პირ მართასთან მივიდა.

— შენ უნამუსოთ მიღალატე მე, მე კი ასე გაგიჟებით მიყვარდი, უთხრა რამბერმა: მაგრამ შე გაპატიებ, თუ მართალს მეტყვი. როდის აქეთია შენ ის კაცი გყავს?

— ნოელ! დაიძახა ელდა-ცემულმა მართამ და მის წინ მუხლებზედ დაეცა.

— მითხარი მეთქი, მე მინდა ყველაფერი გავიგო.

— ერთი თვეა, წარმოსთქვა მართამ და თავიდამ ფეხამდე მთელის ტანით კანკალებდა.

რამბერი დააცქერდა მართას, თითქო გულში უნდა ჩაუჯდესო მართალის ამოსაკითხავად, მერე ჰკრა ხელი, მივარდა აკვანს და ხმა-მაღლა დაიძახა:

— კარგი! ორივემ ერთი და იგივე ჰსთქვით; ჰსჩანს, ბალღი ჩემია. ჩემია და ჩემთან დარჩება კიდეც. შენ კი წადი იქ საითაც სალახანობა გიწვევს. მე ხელ-ფეხი მაქვს და ჟაკი უდედმა-პუროთ არ დარჩება. მე

გამოკვზდი ბალღს და იმედი მაქვს თავისის მამის გამო მაინც იგი არსად წამოწითლდეს.

ამ სიტყვით, წამოავლო ხელი ბალღს და გავარდა ოთახიდამ. ეხლა რამბერის სიცოცხლე მარტო ეს პატარა ჟაკიდა იყო. გაგიჟებით უყვარდა და მხოლოდ ერთი ეჭვი უფხაჭნიდა გულს: „კაი თუ ორივემ მომატყუესო? კაი თუ ჟაკი ჩემი შვილი არ არისო?“ მაგრამ ეგ მწარე ფიქრი მალე განუქარდა სრულიად, რადგანაც ვიღაც ნათლიდედები და ნაცნობები ყოველთვის ეუბნებოდნენ, რომ პატარა ჟაკი ძალიანა გგავსო. მართა სრულებით ამოიღო გულიდამ, იგი მისთვის აღარ იყო ქვეყანაზედ. გულში იქნება აპატია კიდეც ღალატობა პატარა ჟაკის გამო: ჟაკის ღიმილი აქარწყლებდა დედის ღალატსა. ჰყვანდა კი ჟაკს დედა? რამბერს ხანდისხან ეგონა, რომ ბალღი მარტო მისია, მარტო მისი. სხვა ყველაფერი დავიწყებას მიჰსცა, მართაც, თავისი წინანდელი ბედნიერებაც, თავისი საშინელი სევდაც. მარტო ჟაკი და ისღა იყვნენ და თუ შესაძლოა, უფრო გულ-მოდგინედ მიჰყო ხელი მუშაობას. უწინდელი მხიარულება კი სრულიად გაუქრა, აღარ ისმოდა მისი ზარიანი სიმღერა, მისი ფიცხელი ლაპარაკი. ეს კაცი, უწან ეგრე თავ-გადადებული და ეგრე უზრუნველად მცხოვრები, ყოველ-გვარ უბედურობის მნახველი, იმედებ გაცრუებული, ეხლა ხშირად ჩაფიქრდებოდა ხოლმე ნაღვლით აღსავსე. გული წვას დაუწყებდა, როცა ფიქრათ მოუვიდოდა, რომ მისს პატარა ჟაკს მოელოდდა ამისთანავე მძიმე და ჯაფის ცხოვრება ღატაკისა. აბა რა უნდა ექმნა უბრალო მუშა კაცს, ჟაკისათვის ქონება როგორც შეეკრიბა?

ეს მწარე ფიქრი უწამლავდა სიცოცხლეს საწყალობელს მუშაკსა, რომელიც უამისოდ ბედნიერ კაცათ ჩაჰსთვლიდა თავის-თავს. როცა აიყვანდა ხელში ხოლმე ჟაკსა და ჰკოცნიდა მის მსუქანს ფაფუკს ვარდის ფერს ლოყებს, ჰგრძნობდა, რომ ნაღველი და ბოროტი, რომელიც გულში უტრიალებდა, თან და თან უქრებოდა და მათ მაგიერ იმედები ილვიძებდნენ. ხანდისხან იქამდინაც წახალისდებოდა

ხოლმე, რომ თავის-თავს უწინდელებს უმაწვილ-კაცებთ ხედავდა, ჯანითა და ღონით სავსეს.

მაგრამ კი ეს კაცი ეკუთვნოდა იმ უბედურთა ჯურის ხალხს, რომელთ შუბლზედაც იგივეა წარწერილი, რაც ერთს უთვისტომო კაცს ჰსწერებოდა, როცა სიცივისაგან გაშეშებული მკვდარი ეპოვათ პარიჟის ქუჩებში: „ყველა ბედია!“

ერთხელ დეკემბრის დასაწყისში დილით ნოელი მუშაობდა ქარხანაში; დაჰსწვდა თურმე რომ რაღაც იარაღი აიღოს და უეცრად ხელი მაშინის ჩარხში მოაყოლა. ნოელმა დაიკივლა, უკან გადმოხტა და გაფითრებით დახედა გასისხლიანებულს ხელს: ორი თითი მოეკვეთნა ჩარხსა. სხვა გზა არ იყო, უნდა წასულიყო ექიმთან, რომელმაც რაც რიგია გაუკეთა და ამ სახით უორთითოთ დაბრუნდა შინ. იმ ღამესვე ხელი დაუსივდა და ციება დააწყობინა. რამდენიმე დღე შინ უნდა დარჩენილიყო და მერე როცა ხელახლად წავიდა ქარხანაში, უთხრეს, რომ სამუშაო ცოტააო და მუშები მაგდონი აღარ გვინდაო.

— მაშ რა ვქნაო? იკითხა რამბერმა.

— რაც გნებავდეთ, უპასუხა ქარხნის პატრონმა: ჩვენ თქვენთვის სამუშაო არა გვაქვს. სხვაგან მონახეთ.

— კარგიო, უთხრა რამბერმა და გასწია სხვა ქარხანაში.

ყველგან მუშების სიმრავლე დახვდა, ყველგან ერთსა და იმავე პასუხს იმეორებდნენ; თქვენ პატიოსანი კაცი ხართ და კაი მუშაც, მაგრამ სამუშაო არა გვაქვს რაო. ვა! იძახდა გულში რამბერი; „ეს კაი ამბავია!“ დადიოდა სამუშაოს საშოვნელად და თან აგირავებდა ყველაფერს, რის პატრონიც კი იყო. ამხანაგები ამისებრ ღარიბნი იყვნენ და ვერა შველოდნენ და ამ სახით ახალ-წლის ღამეს ნოელ რამბერმა თავისი უკანასკნელი გროში დახარჯა და უკანასკნელი თავისი ფარაჯა დააგირავა.

ამ დღიდამ დავიწყეთ ჩვენი მოთხრობა.

რამბერი პირველს იანვარს წამოდგა თუ არა ფეხზედ ამრეზილის და უიმედობის თვალით გადახედა მძინარე ბავშვსა, მივიდა ფან-

ჯვარსთან, შეხედა ჯანღიანს ცას, სველს ბანებს და გიჟსავით მოატარა თვალი თავის ოთახში. ეძებდა იქნება ეგდოს რამეო ამ უნუგეშო ადგილას, რომ ან გავყიდო, ან დავაგირავო, ან ლუკმა-პურზედ გავცვალოვო. მაგრამ სრულებით ვერა იპოვა რა.

— ჟაკი გაიღვიძებს და მე არამც თუ სათამაშო რამა მაქვს საჩუქრად, ერთი ფინჯანი წვენიც მაქვს რომ ბალღმა შიმშილი მოიკლასო.

აი პირველი ფიქრი, რომელმაც გულში გაურბინა რამბერს ახალწლის პირველ დღეს. თვითონაც არ უნდოდა, მაგრამ მოაგონდა წინანდელი წელიწადები, როცა ამ უქმე დღეს მართასთან ატარებდა და მხიარულებით და კოცნით მიეგებებოდნენ ახალ-წლის პირველს დღეს. ეხლა!... მართას ხსენებაზედ იმ მწარე ფიქრმა გაურბინა, რომ ეხლა ის კმაყოფილებით ჰსცხოვრებსო და რომ იცოდეს-კი ეს ჩემი საშინელი ყოფა, სწორედ მომეშველებოდა; ერთი ხმის ამოღებაღაა საჭიროო. მაგრამ არაო, შიმშილით სიკვდილს ვირჩევო და მოწყალებას კი არ ვიკადრებო იმისაგან, ვინც ასე ურცხვად მიღალატაო და ვინც, იქნება, სწორედ ამ წუთში სხვასა ჰკოცნის და ეხვევაო.

ნახა რომ ბალღს ჯერ კიდევ ჰსძინავს, რამბერმა ჩაიფიქრა, წავალ და სადმე ლუკმა-პურს ვიშოვნიო ჩემს საწყალს ჟაკსაო. მაგრამ კარი გააღო თუ არა, ბალღმა გაიღვიძა, გამოუწოდა პატარა თათები და წამოიტიტინა:

— მამავ!

რამბერი შემოტრიალდა უკანვე, ხელში აიყვანა და ალერსით ჩაჰკოცნა.

— მამავ, მოგილოცავს ახალი წელიწადი, ტიტინებდა ჟაკი ღიმილით.

ლატაკს რამბერს თვალში ცრემლი მოეგუბა. სწრაფად ჩააცვა ბალღს და მიჰგვარა მეკარეს, რომელსაც უწინაც მიაბარებდა ხოლმე როცა თვითონ გარედ გადიოდა; მერე გავიდა ქუჩაში, არ იცოდა კი

სად მიდიოდა და აფთარსავით აქედ-იქით იყურებოდა. გული კი ეუბნებოდა, რომ ლუკმა-პურს სადა იქნება როგორმე იშოვის.

დილხანს იარა თითქმის უაზროდ და სიხარბით გადაავლებდა ხოლმე თვალს დუქნების ფანჯრებს, სადაც გამოწყობილი იყო მუშტრის საჩვენებლად მრავალ-ნაირი სანოვაგე და საჭმელები. ყოველს ფეხის გადადგმაზედ ხედავდა მხიარულს ხალხს, თავის ბედის მადლობელს ადამიანებს, რომელნიც შედიოდნენ და გამოდიოდნენ დუქნებიდგან და ყიდულობდნენ ძვირფას სანოვაგეს. სამზარეულოებიდამ გამოდიოდა სუნი გემრიელის საჭმელებისა, მდიდარის სახლის ფანჯრებში ხედავდა, რომ მთელი ჯალაბობა მხიარულად სხდებოდა სადილზედ. — ყველგან მაძღრობა და მხიარულება იყო.

— ეჰა! ამბობდა თავის-თავად რამბერი: დღეს პარიჟში ყველას არ ყოფილა ჩემებრ ულუკმაპუროთ.

მარტოობა უბედურისა უფრო ძნელი ასატანია ხალხში, რომლის ხმაურობაც მასხარად აგდებს ჰგონია საწყალს და ეს მოჰგვრის ხოლმე თვალში გაბოროტების წყევა-კრულვის ცრემლსა. როცა ადამიანი, მწარე სევდით შეპყრობილი მარტოა ცარიელს ოთახშიც მას კიდევ შეუძლიან თავი დაივიწყოს, მიჰსცეს და დრო გაუგებრად გაატაროს. ხოლო თავის გარეშემო კაცი რომ ხედავდეს ყმდვენს გულ-გრილს და მხიარულს ხალხს, ესმოდეს ხმა-მაღალი ხარხარი და ამასთანავე ჰგრძნობდეს თავის მწუხარებას მაშინ, როცა სხვანი აქ ყველანი მხიარულებენ, — ეს ერთი იმისთანა ტანჯვა და წამებაა, რომელსაც მოიაზრებენ მარტოისანი, ვინც უბედურობით მოწყლულნი მარტოდ-მარტოდ ოდესმე ჩავარდნილან მხიარულს ხალხში დღესასწაულ დღეს.

დრო გადიოდა და რამბერი მაინც კიდევ დაეძებდა შემთხვევას, რომ ბედი როგორმე ფათერაკით მაინც ხელთ იგდოს, მაგრამ ვერას გახდა რა. ჯერ მინამ სინათლე იყო, იმედი ჰქონდა, მაგრამ, როცა დაბინდდა, წვიმაც წამოვიდა და ხალხი გათხელდა ქუჩებში, მაშინ უბედურმა რაღაც გაბოროტებით და ღვარძლიანათ უთხრა თავის-თავს:

— რავუყოთ? ნურც დღეს გვექნება სადილი!

ამ დროს რამბერი აუსტერლიცის ხიდზედ მიდიოდა. დაქანცული, მშიერი, გვემული ხორცისა და სულის ტანჯვითა, მსუნაგობით დააცქერდა ბნელს სიღრმეს მდინარისას, რომელიც თითქო იწვევდა უბედურსა. რამბერი შედგა და სახეზედ გაურბინა საზარელმა ღიმილმა, რომელიც ცხადად ამბობდა: „კარგი იქნებოდა ამ წყლის რბილს ლოგინზედა მივსცე თავი საუკუნო ძილსა და დავიწყებასაო." რა თქმა უნდა, რომ წყალში გადავარდნილიყო, ერთბამად ბოლოს მოუღებდა ამ უნუგეშო და გულ-საკვდავს ცხოვრებასა, მაგრამ ცეცხლ მოკიდებულ თვალ-წინ წარმოუდგა საყვარელი სახე ჟაკისა.

— საწყალო ბალღო! ვის გიპატრონებს, მე რომ აღარ ვიყო? წაიდუდუნა ეს, გაიქნივა თავი და გიჟსავით გაქრინდა თავის სახლისაკენ.

რამბერი გაიტაცა მთლად მხურვალემ, გაუურმა სურვილმა, რომ გულზედ მიიკრას თავისი საყვარელი შვილი, რომელიც, თითქო მთელი წელიწადი არ უნახავსო, ისე ეწვენა. ჟაკი დახვდა რამბერს მეკარის ოთახში, ჯაროზანას თამაშობდა სხვა პატარა ბალღებთან. მამამ ისე მაგრა მიიკრა გულზე, რომ კინაღამ არ დაახრჩო.

— მე გიყვარვარ, ბალღო, თუ არა? მითხარ! უთხრა შვილს მამამ.

— ჰო, მამა, უპასუხა ბალღმა, მაგრამ აკოცა მამას და დაუმატა: სად იყავ? ძალიანა მშიან.

— არა გიჭამია რა?

— არა.

— მეკარემ არა მოგცა რა?

— არ მითხოვნია. ჩვენი სახლი ხომ არ არის.

— ჩვენი სახლიო, გაიმეორა ნოელმა და მუშტები მოკუმშა, რომ მოაგონდა ცივი, ცარიელი ჩარდახი, რომელსაც მისი სახლი ერქვა: — როგორ იქნება რომ ვერა ვიშოვო რა. წამო, წავიდეთ, ჟაკ.

ხელში აიყვანა ბალღი და გამხალებული გავიდა ქუჩაში. ბალღი ტიტინებდა:

— მეღინძმ არც ერთი სალდათი არ მაჩუქა. ახლა სათამაშოების სასყიდლად მივდივართ განა, მამი! ჰო, ჰო, გეთაყვანე!

— წამო, წამო! ეუბნებოდა ენის კვნეტით ნოქლი.

ბულვარზედ რომ გავიდნენ, ბალღი ჩამოსვა მიწაზედ და ბალღი ბაცბაცით აედევნა მამას თავის დახვეულ წუღებით. საწყალს ბაშვს თვალი სულ მუდამ დუქნებისაკენ ეჭირა და გახარებულ ფანჯრებზედ იშვერდა ხელსა. რამდენჯერი ჰგრძნობდა რომ შვილი ხელს მოჰკიდებდა ხოლმე და ხვეწნით და მუდარებით ჰსთხოვდა:

— მამიკან, სალდათი მიყიდე, შენი ჭირიმე! მამი, შაქრის პური მიყიდე! ხილი მიყიდე!

ეგ სიტყვა მიყიდე უწვლავდა გულს უბედურს მამას, მრისხანით მოაცილიდა ხოლმე შვილს მაცთურ ფანჯრებიდამ და ეტყოდა:

— აქედ ნუ იყურები, ყაკ.

— რა რიგად მიჭერ ხელს, მტკივა,— უთხრა ბოლოს ბალღმ.

უბედური უნებლიედ მუხრუჭსავით უჭერდა ხელს ყაკის პატარა თათსა.

— მაპატიე, ჩემო გვრიტიკო, მე განგებ არ მომიჭერია, უპასუხა მამამ და გონზედ მოვიდა.

— გაპატიებ, თუ აი იმას მიყიდი, უთხრა ბაშვმა და გაიშვირა ხელი სათამაშოზედ, რომელიც სათამაშოების დუქნის ფანჯარაში ეკიდა.

რამდენჯერმე დაავლო ხელი ბაშვსა, გამხალებული წავიდა და როგორც ქურდი ერიდებოდა უფრო გახარებულს ქუჩებს. როცა მეტი გზა არ იყო, უნდა გახარებულ დუქნების წინ გაევლო, შვილს თვალებზედ ხელს აფარებდა და სხვილი ცრემლი გამორიტყმისა ჩამოუცვივოდა ხოლმე ღოყეებზედ. ამ ყოფით მამაკაცმა უცბათ იგრძნო, რომ ყაკი ხელზედ ჰკოცნის და შესაბრალისად ეუბნება:

— მამი, ჰსტირი? რათა? მე ვიცი რომ შენც ისე მშიერი ხარ როგორც მე. პურს როდისა ვჭამთ?

— კმარა მოთმინება! დაიძახა რამბერმა და შეუხვია ბუნდათ განათებულს ვიწრო ქუჩას.

იქ შედგა, ძლივსღა იბრუნებდა სულს, სასოწარკვეთილებისაგან გონება არეული. ფული უნდოდა, ბალღი პურსა ჰსთხოვდა. ამ დროს დაუპირდაპირდა ერთი ღიპიანი კაცი, ბეწვიან ქურქში გახვეული, ხელში დიდი ყუთი ხილისა ეჭირა და მოიმღეროდა. რამბერმა მაშინვე მოიშვლიპა ქუდი და უთხრა მკვახედ, ისე ყრუ ხმით, რომელშიაც ვედრებაც იყო და მუქარაცა:

— ღვთის გულისათვის.

— მოწყალებას ითხოვთ... უთხრა იმ კაცმა და უნებლიეთ უკან დაიწია.

— ბალღი მშიერი მყავს. მე თვითონ არას ვითხოვ, მე...

ერთის წუთის წინად რამბერის ხმას ბძანებლობის რიხი ჰქონდა, ეხლა კი ძლივს ენას აბამდა. მარტო ნაღვერდალსავით ცეცხლმოკიდებულ თვალებში გამობრწყინავდა გაბოროტება და მტკიცე განზრახვა. ღიპიანმა კაცმა მხრები აიჭიმა, ფული ჩაუგდო ქუდში, სწრაფად მოშორდა, წავიდა და წინანდელებრ მიიმღეროდა.

რამბერს მადლობა უნდა ეთქვა და ეკითხნა ვინაობა, რომ მერე, როცა შეიძლებს ფული უკანვე დაუბრუნოს, მაგრამ ის კაცი იქვე ახლოს ერთს სახლში შევიდა და ნოელი კი გაშეშდა იმ ადგილას, როგორც ერთი უსულო რამ.

— მე მოწყალება ვითხოვე, მე! ჰსთქვა მან ბოლოს: რა ვუყოთ რომ ვითხოვე? ვისი ბრალია?

ამოიღო ქუდიდამ ფული და როგორც ბავშვი სიხარულით ათამაშებდა ხელში ვერცხლის ფულს, რომელიც ეხლა მისთვის მთელი განძი იყო.

— მშიერი ხარ განა, ჩემო ჟაკ! ამბობდა იგი: წავიდეთ პური ვჭამოთ, სათამაშოსაც გიყიდი. შენ გეგონა, მარტო შენ დარჩები.

რომ არას ჰყიდიან? არა, საწყალის შვილებსაც ნება აქვთ ისიამოვ-ნონ დღესასწაულ დღეს!

შევიდა პირველს დუქანშივე, რომელიც კი წინ შეხვდა. მოითხოვა ქათამი, ნაზუქი და ღვინო. ჟაკი მივარდა საჭმელს და მადიანად დაიწყო ჭამა. შვილი რომ გამხიარულებული ნახა, რამბერს ყოველისფერი გადაავიწყდა

— შენ რატომ არ სჭამ, მამი? ჰკითხა ბალღმა.

— მე არა მშიან.

და მართლაც, წყალ-ღვინოს მეტს არაფერს მიეკარა.

— მე შაქრის სალდათი მინდა, ჰსთქვა ჟაკმა დუქნიდამ რომ გა-მოდიოდნენ.

რამბერმა კიდევ რამდენიმე გროში დახარჯა და უყიდა სალდათი. გზაზედ, ბალღს ხელზედ დაეძინა. შინ რომ მოვიდა ფთხილად მიაწვინა ბავშვი გამოფლეთილ ლეიბზედ, რომელიც ლოგინად ჰქონდა. მერე ჩამოჯდა ძირს და რაღაც არეულის ხმით უთხრა მე-კარეს:

— მე სამხრის საჭმელად მივდივარ. თერთმეტი საათია ღამისა, მგონი, დროა.

ღონე მიხდილი შიმშილით, სიცივით და გულის ტანჯვითა, უბე-დური მიდიოდა, რომ ერთი ჭიქა არაყი დაელია და ღონეზედ მო-სულიყო. გული არ უდგებოდა ერთს ადგილას, უნდოდა ხეტიალიყო, რომ ძარღვები დაეწყნარებინა და მოესვენებინა ციებს, რომელიც აძაგ-ძაგებდა.

ქუჩები, რომელზედაც მიდიოდა, ხალხით, ხმაურობით და ბრწყინ-ვალებით იყო სავსე. ყოველს ფეხის გადადგმაზედ მხიარული კასკასი და სიცილი ისმოდა. დუქნების ფანჯრები გაჩაღებულნი იყვნენ. სალ-ხინო დარბაზებში შექცევა, როკვა და თამაშობა იყო მუზიკის ხმა-ზედ. რამბერი კი სულ წინ მიდიოდა და მიდიოდა ელისეის მინდვრებისა-კენ. იქ ბნელ ხეივნებ ქვეშ სუფევდა ჩრდილი და დუმილი, რომელიც უნებლიეთ ელდას მოჰგვრიდა კაცს. ამ მარტოობაში, წვიმა, რომე-

ლიც ჟინჟლავდა მთელს დღე, უფრო საგრძნობელი იყო და სისველე მუხლებამდე უვლიდა ტანში ადამიანს. ნოელსაც დაურბინა ტანში ჟრჟოლამ; ამ ბნელა ჯანღიანს ღამეში მარტოდ მიმავალი ფიქრობდა თავის უნუგეშო ბედზედ, თავის უიმედო მომავალზედ და რაღაც ღვარძლმორეულ გულის ღელვით იფშვნეტდა თავის დაკოდილს ხელსა. უცბად შედგა ფიცრულის შენობის წინ, სადაც კუკების კამედია იყო და რომელიც ერთხელ ეჩვენებინა პატარა ჟაკისათვის. რომ მოაგონდა ის მხიარული დღე, ის სიხარული ჟაკისა, იმისი გულიანი სიცილი უნებლიედ თვალეში ცრემლი მოერია საწყალობელს. მწარედ გაიქნივა ხელი და მაშინვე უკან გამობრუნდა. ეხლა კი შინ დაბრუნება ძალიან მოუნდა.

მაგრამ ორი ბიჯიც არ გადმოედგა, რომ ხეების ჩრდილიდამ ვიღაცა გამოვიდა და პირ-და-პირ ამისაკენ წამოვიდა. სანათურის წინ რომ გამოიარა, დაინახა რომ ქალია, შავ აბრეშუმის კაბა აცვია და ზედ ასხია ხელ და ხელ წამოსხმული წამოსასხამი, თეთრის ბეწვით მორთული. თუმცა თავზედ ყაბალახი ეხურა, მაგრამ თვალი მოჰკრა ბრწყინვალე თვალებს, გაფითრებულს და შეწუხებულს სახეს, რომელიც სიტურფით იყო სავსე. სწრაფად მოვიდა ქალი ნოელთან და მტკიცე ხმით მოჭრით უთხრა:

— გინდათ კაი საქმით ფული შეიძინოთ?

რამბერმა უნებლიედ უკან დაიწია. ამ განმარტოებულს ბნელ ადგილას მარტო ორი სულიერი იყო: კაცი და ქალი, ერთი თვითონ ღატაკი და მეორე ქალი, როგორც ეტყობოდა, მდიდარი და წარჩინებული. და მაინც უკან დაიწია ღონიერმა და ჯანიანმა ღატაკმა და არა მდიდარმა და უღონო ქალმა. ფულის ხსენებამ ელდა ჰკრა.

— ნულარ იცდით, დროს ნუ ჰკარგავთ. საქმე ადამიანის სიკვდილ სიცოცხლეზეა მიმდგარი.

— რა უნდა დამსაქმოთ? ჰკითხა რამბერმა, რა მიუახლოვდა უცნობს ქალს და გადისვა ხელი შუბლზედ, რომელზედაც ცეცხლი ეკიდებოდა, როგორც სითვრეში მყოფს.

— თქვენ ღონიერი ჭსჩანხართ და რასაკვირველია, ვაჟკაცობაც არ გაკლდებათ, განაგრძო ქალმა აჩქარებით: და იმედიცა მაქვს, რომ პატიოსანი კაციცა ხართ. მაინც და მაინც რასაც მე ვითხოვ ძნელი საქმე არ არის. ხეივნის ბოლოს, ალაყაფის კარების ახლო, ბოყონის მხრით ერთი პატარა სახლია, გარეთი კედელი წითლად აქვს შეღებილი... ხომ გესმით!

— დიაღ, უპასუხა რამბერმა და გონება აადევნა მის თითქო შიშით აღტაცებულს მოძრაობას და აჩქარებულს ლაპარაკს.

— ძალიან კარგი. ერთი ყმაწვილი კაცი უნდა მივიდეს იმ სახლში...იმას იქ ელიან. უსათუოდ მივა ის უბედური! ისე უნდა მოახერხოთ, რომ იმ ყმაწვილ კაცს იქ შესვლა არ მოუხდეს მე თვითონ ვერ მივირბენ იქ, მე არ შემიძლიან გავაფთხილო. გინდათ თუ არა დაიხსნათ სიკვდილიდან ის ყმაწვილი კაცი? თქვენთვის ის ისეთივე უცნობია, როგორც მე... ჰა, რას იტყვით? იხსნით კაცს სიკვდილისაგან თუ არა?

— განა იქ შიში რამ მომელის? იკითხა რამბერმა.

— არაფერი, უპასუხა ქალმა, მაგრამ გულდაჯერებით კი არა.

— უფრო ცუდი.

— რათა?

— იმიტომ რომ მე იქ წავალ, უთხრა გულ უბრყვილოდ რამბერმა.

ქალმა მოხედა ამ ძონძებიანს ლატაკსა მხურვალე მადლობის თვალითა და წარმოსთქვა მარტო: მადლობელი ვარო. მაგრამ ამ სიტყვაში გამოითქვა ყოველი. მისმა პატარა ხელმა დაუწურო მეინა ნოელის ხელს, აკოცა და ღონივრად მოუჭირა.

— აბა გაიქეცით! უთხარით, — რომ კლარა გთხოვსთ თქო, რომ მაგ სახლში არ შეხვიდეთ თქო. არ დაივიწყოთ! აბა ჩქარა, თორემ მერე გვიანღა იქნება.

ქალმა ხელმეორედ უთხრა სახლის ნიშნები. მგონია, ვერავინ გაუძლებდა იმ ქალის გულ მხურვალე ვედრებასა და ნოელიც იმ ჟამ-

რის ხალხს ეკუთვნოდა, რომელნიც ყოველთვის თავ-გადადებულნი არიან მოყვასისათვის და მოძმისათვის.

გაიმართა კიდეც წასასვლელად, როცა ქალმა შეაყენა და ჩაუყარა ხელში ოქროები რაც კი ქისიდამ წამოყარა. რამბერმა გაიგონა ბზენა ოქროსი, დაინახა სანათურის შუქზედ ის ბედის წერის ყვითელი ბრჭყვიალი, რომელიც ჰცდენს ხოლმე კაცის მკვლელს, ათრობს ძუნწს, ხიბლავს, თვალთ უბრმავებს და გონებიდამ შლის ამოდენა ხალხსა. თითქო გაშეშდაო ეს ოქრო რომ დაინახა. რას მოასწავებდა? რით იშოვა? თუ რამ შველაა საჭირო, ხომ ყოველთვის მზათ არის უსასყიდლოდ მიეშველოს მოყვასსა! რამბერს უნდოდა ოქრო უკანვე მიეცა, ან გადაეყარა. მაგრამ უმალვე თვალ წინ წარმოუდგა საწყალი ყაკი ძონძებში გახვეული, თავისი ღარიბი, ცივი სადგური, უიმედო ყოფა მუშაკისა, რომელსაც სამუშაო ვერ უშოვია.

ამასობაში ქალი თითქო ჩურჩულით ეუბნებოდა:

— მე მგონია თავის დღეში არ მეცოდინოს თქვენი სახელი და ვერც ჩემსას გაცოდინებთ; ეს კი გახსომდეთ, რომ არის ქვეყანაზედ ქალი, რომელსაც თქვენის შემწეობით არც რაიმე უზნეო საქციელი წამოაწითლებს და არც რაიმე აგ-კაცობა გააფითრებს. ეხლა კი წადით! მშვიდობით!

ეს ჰსთქვა და სწრაფად გაჰქრა ხეების ჩრდილში და სულ ამას იძახდა: წადით, წადით!

რამბერს ეგონა, რომ ყოველი ეს სიზმრათ მეჩვენაო. ადგილიდამ არ იძროდა და მღელვარებით ჰკუმშავდა ხელში ოქროებსა. თავის-თავსა ჰკითხავდა, ეს ყველაფერი რაც ვნახე და გავიგონეო, ცხადია თუ სიზმარიო. ბოლოს ამაყად თავი მაღლა აიღო და ჰსთქვა:

— აბა, რამბერ, წადი და ეს ფულები დაიმსახურე!

რამბერმა გასწია.

მივიდა ნანიშნევ ალაყაფის კართან თუ არა, დაუწყო ძებნა წითელ კედლიანს პატარა სახლს. ბოლოს როგორც იყო იპოვა. გარედამ წითელი კედელი ეგლო ისეთის სილამაზით მოყვანილი, რომ ცხა-

დი იყო ან მდიდარს ვისმეს ეკუთვნოდა და ან გამოჩენილს დიდ-კაცსა.

— ეს არისო, ჰსთქვა რამბერმა და მივიდა კარებთან.

კარი ღია დახვდა და რომ შავიდა ნახა რომ ბაღში ამოჭყუფ-თავი. ხეივნის თავში, ოც-და-ათს ნაბიჯზედ პატარა დაბალი სახლი დაინახა. ფანჯრებში სინათლე არ იყო და ისეთი დუმილი იყო, თითქო ან ყველას დაუძინიათ, ან დახოცილანო.

— მე იქ არ შევალ, ჰსთქვა რამბერმა: აქ მოვიცდი და როცა უმაწვილი კაცი მოვა, აქედამ ვეცდები დავაბრუნო.

დიდხანს არ მოუნდა ლოდინი. ამ ბნელა სახლიდამ რაღაც არეული ხმაურობა მოესმა. რამბერი სახლის შესავალს კარებს მივარდა, მაგრამ დაკეტილი დახვდა. მაშინ გარს შემოუარბინა სახლს და ნახა, რომ ერთს ფანჯარაზედ თუმცა მძიმე ფარდაა ჩამოფარებული, მაგრამ სინათლეა. სწორედ ამ ოთახიდამ გამოდიოდა ხმა რაღაც ცხარე ლაპარაკისა. ფანჯარა ძირის სართულისა იყო ისე რომ კაცი შესწვდებოდა. ნოელმა ფანჯრის ძირას ხელი ჩასჭიდა, აიწია მაღლა და დაუწყო ყურება. თუმცა ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, მაგრამ ფარდის ნაკეცებ შუა ცოტა ღია ადგილი იყო და იქიდამ დაინახა, რომ მაღლა ხვამლი ჰკიდია და იმის სინათლეზედ ორი კაცი მოჩანს. ერთი ტანად მაღალია და მოხდენილი; ზედ აცვია სერთუკი, თავიდამ ბოლომდე შეკრული და თავზედ შლიაპა ხურავს. იგი იდგა და არხეინად ხელს ისვამდა ლამაზად მოყვანილს შავს წვერზედ. მეორე ქერა, ფერ მკრთალი კაცი იყო. გულ ხელ დაკრეფილი იდგა უშლიაპოდ რაღაცაზედ მიყუდებული და ისეთი სახის მეტყველება ჰქონდა, თითქო იბრძვისო რომ რაღაც ძვირფასი რამ ხელიდამ არ გამოეცალოსო. მათ შუა პატარა სტოლი იდგა რაღაც წვრილმან სამკაულებით მოწყობილი, რომელთ შორის როგორღაც უცნაურად ბრწყინავდა ქარქაშიდამ ამოღებული ანდალუზური სატევარი.

საკვირველია, რომ რამბერის თვალი ყველაზედ უწინარეს ამ სატევარს შეაჩერდა და ჟრჟოლამ დაურბინა ტანში.

ეტყობოდათ, რომ ცხარე ლაპარაკი ჰქონიათ და გულზედ მოსულები ორივ გახურებულან. აგრე გაჯავრებულ გულზედ კაცს გონება დაეხშობა ხოლმე და მაშინ მხეცური სურვილები წინ წამოიწევენ. მაშინ ყველაფერი მოსალოდნელია, ყველაფერი შესაძლოა რომ მოხდეს.

ორნივ ერთმანეთს პირ-და-პირ თვალებში უყურებდნენ რისხვით და მუქარით.

— თქვენ მე უნდა მომცეთ ის, რაც მე მეკუთვნის, უთხრა მტკიცეთ, მკვახედ და რიხიანად უფროსმა და ხელი გადისო წვერზედ.

რამბერს ჟრჟოლამ დაურბინა ტანში. თვალი მოჰკრა, რომ ელვა მოსილი თვალი ამ კაცმა სატევარზედ გაასხერა. იმ წამსვე მოესმა პასუხი ემაწვილი კაცისა: „არას ოდეს.“ ამ სიტყვაზედ შავ წვერიანი კაცი წამოხტა და სწრაფად წაავლო ხელი სატევარს.

— მომკლავს! დაიძახა რამბერმა და რაც ღონე ჰქონდა მიაწვა ფანჯარას, მაგრამ არ გაეღო; მაშინ გატეხა მინა, გადაჰსწვდა; შიგნიდამ გააღო ფანჯარა და გიჟსავით ჩახტა ოთახში.

ემაწვილი კაცი ძირს ეგდო და შავ-წვერიანი გაფითრებული, როგორც ქაღალდი, მთელის ტანის კანკალით ჯიბეებს უჩხრეკდა.

— არიქა! კაცი მოკლეს! დაიყვირა რამბერმა.

უცნობი ტანში გაიმართა და თვალი გაუსწორა ნოელს. ხელში ეჭირა პატარა წითელი ქისა.

— თქვენ მოჰკალით კაცი! დაიძახა რამბერმა და ჰგრძნობდა, რომ სისხლი თავში აუვარდა.

უცნობმა ხმა არ გასცა, სწრაფად დაიწია კარებისაკენ, ამოიღო ჯიბიდამ რევოლვერი და დაუმიზნა ნოელს.

— მაგით ვერ შემაშინებ! შეჰყვირა რამბერმა და ეცა უცნობსა.

რევოლვერი გავარდა. ნოელმა ძირს დაიღუნა თავი და აიცდინა. ტყვია კედელს მოხვდა, მაგრამ მინამ რამბერი ისევ ტანში გაიმართებოდა, იმ უცნობმა კარში გასვლა მოასწრო და არხეინად გარედამ ჩაჰკეტა კარები.

რამბერს უნდოდა ფანჯრიდამ გადმომხტარიყო და კაცის მკვლე-ლისთვის გზა გადეჭრა, მაგრამ ამ დროს ყმაწვილმა კაცმა შესაბრა-ლისად დაიკვნესა. ჯერ უნდა დაჭრილისათვის ეშველნა და მერმე ეფიქრნა ავ-კაცობის გადახდევინება. რამბერი მიუბრუნდა ყმაწვილ კაცს, ჩაჯდა, ფეთხილად აუწია თავი, მუხლებზედ დაიდო და საგინძი გაუხსნა.

ყმაწვილი კაცის სახეს მკვდრის ფერი ედო და დიდი ცის ფერი თვალები უსიცოცხლოდ შემოსცქეროდნენ ნოელსა.

— არიქა! ეი! არავინა ხართ! უყვიროდა ნოელი და თვალებში ჩასჩქე-როდა რა დაჭრილს ეუბნებოდა თითონაკ არ ესმოდა რას: გაიქცა, მე ჩემის თვალით ვნახე ყველაფერი, მე ყველაფერს ვიტყვი, არ დავმა-ლავ, როცა მკითხვენ. ძალიან გწუხებთ განა ტკივილები?

დაკოდილი ხმას არ იღებდა და მარტო უაზროთ აქათურებდა მარჯვენა ხელს, თითქო რაღასაც ეძებსო.

— ქისას ხომ არ ეძებთ? ჰკითხა რამბერმა.

ყმაწვილ-კაცის სახემ გამოჰსთქვა რაღაც ნაღველი და მწუხარება.

— იმან წაიღო, დაუმატა რამბერმა.

უბედურის გულიდამ აღმოხდა ერთი საშინელი, მიყრუებული კვნე-სა. უნდოდა საწყალს წამოეწივნა. მაგრამ თავი ვერ დასძრა და ისევ რამბერის მუხლებზედ დაეცა. ძლივ ძლიობით წამოიყრანტალა:

— ვაიმე დედავ!... ვაიმე მამო!...

ტუჩებზედ სისხლის ქაფი მოადგა და ხელები უსიცოცხლოთ გაეშხლართა იატაკზედ.

რამბერი მაშინათვე წამოხტა, ხმა მაღლა მოჰყვა ყვირილს, მი-შველოთ და ეცა ხან აქედ ხან იქით, რომ ოთახიდამ გასავალი იპო-ვოს. იპოვა კარი, მაგრამ რაღაც ბნელ ოთახში გადიოდა. უყვიროდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ ხმას არავინ აძლევდა. მაშინ ამ ხელ ღონიერს გოლიათს მუშა-კაცს ტანში ჟრჟოლა მოუვიდა; მარ-ტოთ ყოფნამ ამ მკვდარ ცხედართან ბნელს და ცარიელს ოთახში ცივი ოფლი დაასხა.

— ვა! არავინ არ მოვა!... პოლიციას მაინც შევატყობინო... ჰსთქვა მან, შემოიკრიბა რაც ღონე ჰქონდა, გაამტვრია ფანჯარა და ეცა ბაღის კარებს, საიდამაც ამას წინად შემოვიდა. კარი მიხურული იყო და გარედამ არეული ლაპარაკი ისმოდა, რამბერი შედგა. უსათუოდ იმ ავაზაკის ამხანაგები არიანო, ან თვითონ მოსულა და თან მოუყვანია თავისი ამფსონებიო.

— ვნახოთ, რა იქნება! ჰსთქვა თავის თავად რამბერმა და წიხლი ჰკრა კარსა.

იმავ წამს რამდენიმე კაცი ეცა ყელში და მკლავებში რამბერს; სხვანი შეცვივდნენ სახლში. მოშორებით ხალხი მოჩანდა და იძახდნენ: აგერ კაცის მკვლელი! აგერ ქურდიო!

— გამიშვით! რა გინდათ ჩემგან! იძახოდა ნოელი: პოლიციის კამმისარს ვეძებ, აქ კაცი მოჰკლეს. გამიშვით იძახდა გულზედ მოსული: რისთვის მიჭერთ? გეუბნებით მეთქი, რომ ყველაფერი რაც ვნახე პოლიციას უნდა ვუამბო.

— რაც გენებოთ უამბეთ, უთხრა ერთმა დამჭერთაგანმა და უფრო მაგრა ჩაავლეს ხელი.

რამბერს თავბრუ დაესხა, არ ესმოდა მის გარეშემო რა ამბავი ხდებოდა. ეგონა რომ ან ჭკუიდამ შევცდიო, ან საშინელს სიზმარში ვარო. ამას კი ცხადათ ჰგრძნობდა რომ ყოველ მხრიდამ მუჯლუგუნებს ჰსცემდნენ; რომ ქუჩაში, გარს დიდი ხალხი ახვევია და წინ ეტლი უდგას, რომელშიაც ასწიეს და მკვდარსავით ჩასვეს. გვერდით და წინ მოუსხდნენ ვიღაც უცნობნი.

— სად მიგყევართ? ჰკითხა მან.

— თქვენ თვითონ არ ეძებდით პოლიციის კამმისარს? უთხრა დაცინვით კაცმა, რომელიც პირდაპირ უჯდა ნოელს და მუხლები რამბერის მუხლებზედ მიებჯინა.

— მართალია, უპასუხა რამბერმა და წყნარის, მიქანცულის ხმით დაუმატა: ერთი ეს სიკეთე მიყავით, ნება მომეცით მუხლები გავიშალო; ძალიან მოვწყდი.

საცოდავს ღონე სრულებით წამოერთვა; თითქმის გულ შემოყრილი დაეცა ეტლის ბალიშებზედ.

რამდენსამე ხანს შემდეგ ეტლი შევიდა დიდ ალაყაფის კარებშა, რომელიც განათებული იყო წითელ სანათურებითა; რამზერი აიყვანეს ბნელს კიბეზედ მეორე სართულში; შეიყვანეს ერთს დიდს ოთახში, მაღლა კანდლები ეკიდა და ისინი ანათებდნენ ოთახს. ამ ოთახში რამდენიმე კაცი იყო, ზოგი ჰსწერდა და ზოგი თბებოდა ბუხრის წინ. რამზერი ხის სკამზედ ჩამოსვეს და ხუთმეტ წუთამდე ეგრე იჯდა უძრავად და გარინდებული.

ბოლოს სხვა ვიღაცანი შემოვიდნენ და გაიყვანეს მეორე ოთახში; იქ იჯდა ერთი ვიღაც ჩასუქებული კაცი, თურაშაულ ვაშლსავით ჩაწითლებული; წინ სტოლი ჰქონდა და ზედ ედგა ორი სანთელი და ქაღალდები ეწყო.

— თქვენა ბძანდებით პოლიციის კამმისარი? ჰკითხა რამზერმა.

კამმისარმა შეხედა ნოელს გაოცებით, თითქო ითაკილაო. მას ეწყინა, რომ ის კაცი ჰკითხავდა, ვისთვისაც თვითონ უნდა ეკითხნა. მეორე იმპერიის მოხელე, როგორც ის ბატონი ბძანდებოდა, უფრო ადვილად აპატიებდა კაცს დანაშაულობას, ვიდრე ამისთანა კადნიერებას და როლების შეცვლას. მაგრამ მაინც არ უსაყვედურა ნოელს, თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:

— მე ვარ.

— მაშ მოისმინეთ ჩემი ჩვენება.

— უკაცრავოთ, უთხრა კამმისარმა იმ თავმოწონებით, რომელიც მის ხარისხს შეეფერებოდა, თვითონ დაუწყო გამოკითხვა.

ნოელი ალალად და გულ მართლად უგებდა პასუხს ყოველს მის კითხვაზედ. კამმისარმა ნება მისცა ლაპარაკისა, ნოელი მოჰყვა და აუწერა ყოველივე ის საშინელება, რაც ამაღამ ბედზედ შეემთხვა და ნახა, კამმისარი ყურადღებით უსმენდა თავ-ჩაღუნული და ჩუმ-ჩუმად ათვალიერებდა რამზერს. როცა რამზერმა გაათავა, კამმისარმა თავი მაღლა აიღო და მძიმედ წარმოსთქვა:

— მაშ არა ტყუდებით რომ თქვენ მოჰკალით კაცი, რომელიც ჩვენ მკვდარი ვიპოვნეთ?

პირველ ხანში რამბერი ვერ მიუხვდა, რის თქმა უნდოდა კომმისარს. ისე ალალად და გულ მართლად ნაამბობის პასუხად, ამას ასეთი საშინელი სიტყვა უგდეს: „მაშ არა ტყუდებითო რომ თქვენ მოჰკალითო!“ ბუნდად, გაშტერებით შეხედა კომმისარსა, მერე უკან მოიხედა და დაინახა ისინი, რომელთაც დაიჭირეს. არხეინად იდგნენ და ულვაშს იგრეხდნენ. საცოდავი გაფითრდა, თითქო რაღაც უხილავმა ძალამ წარიტაცაო. გულს ცეცხლი მოედო, გამოიჭიმა და აჩქარებით წამოიძახა:

— რაო! თქვენ მე მკითხავთ... პირველში ვერ გავიგე... თქვენ მე მკითხავთ: მე მოვკალ თუ არა? უკაცრავად, ბატონო კომმისარო, ეს მეტის მეტია! მითამ ვინა გგონივართ! მე მუშა კაცი ვარ და ვამოქმედებ ხელოსნის იარაღს და არა კაცის მკვლელის დანასა. არა, უთუოდ კარგად ვერ გავიგე. როგორ იქნება როგორ, რომ მე დამსახოთ მკვლელად იმ ყმაწვილ-კაცისა, რომელსაც, ვაი შენ ჩემო თავო, წინ ავეფარებოდი და ისე დავიხსნიდი რომ მივსწრობოდი.

— მაშ არა ტყუდებით? ცივად ჰკითხა ხელმეორედ კომმისარმა.

— როგორ გინდათ, რომ გატყუდეთ? იცით რასა მწამებთ! ჩემთვის რომ ეთქვა ვისმეს კაცის მოკვლის შეძლებო, პირში ჩავაფურთხებდი. თქვენ კი არხეინად მეუბნებით მასვე, იმიტომ რომ კომმისარი ბძანდებით და მე თქვენთან მომიყვანეს. ის კი არ იცით, რომ მე თვითონ დაგეძებდით თქვენ. განა კაცის მკვლელი დაეძებს პოლიციას? მე რომ მომეკლა, იქ რაღა დამაყენებდა, გავიქცეოდი. ვაი სულელი, თავს ვმართლულობ კიდეც... გამიგონეთ, ბატონო კომმისარო, მე ოსპიტალის ბულვარზედ ვდგევარ, სახლის ნომერი 115-ია. მე მქვიან ნოელ რამბერი, ამ ერთის თვის წინად პოტონიეს ქარხანაში ვმუშაობდი, მე მატანტალა კაცი არა ვარ, იკითხეთ, ჩემი ამხანაგები გეტყვიან, რომ პატიოსანი კაცი ვარ და თუმცა ქარხანის პატრონებმა უარი მითხრეს, რადგანაც სამუშაო შემოაკლდათ, მაგრამ

ყოველთვის პატივს გი მცემდნენ. ყველაფერი ამ თითების ბრალია, თითები ჩარხში მომყვა, დამემსხვრა და უნდა მომეჭრა; ვეღარ ვმუშაობდი, მინამ მოვრჩებოდი. ეს რომ არ მომსვლოდა, აბა რა თქმა უნდა რომ ღამით გარედ არ ვეხეტებოდი. მაგის ჩვეული არა ვარ... არა, რა მენაღვლებოდა შინ დავრჩენილვიყავ ჩემს პატარა ბალღთან. ჯერ ის სულ პაწაწაა, მაგრამ აბა ერთი გაუბედეთ და უთხარით, რომ მისი მამა კაცის მკვლელია!... კაცის მკვლელი!... ეგ ხომ ჭკუაში მოუსვლელია, ბატონო კამმისარო. მე და კაცი მოვკალი!... რას ამბობთ? ვინ დაიჯერებს! მე ხშირად მშიერი ვყოფილვარ და ერთხელაც ფიქრად არ მომსვლია ლუკმა პურის მოპარვა. აი რას გეტყვით: შესაძლოა მკვდარი ვენახეთ სიცივისაგან და შიმშილისაგან გაფიჩხებული ჩემს ჩარდახში ჩემს პატარა ბალღთან ერთად, მაგრამ რომ ფიქრად მომსვლოდეს როდესმე სხვის ჯიბისაკენ ხელის გაწვდენა, ანუ დანის დაცემა ვისთვისმე... არა, არა!... მაგას ვერავინ ვერ მაკადრებს! ვერავინ ვერ დამწამებს!

საცოდავი ლაპარაკობდა, იქნევდა ხელებს ცეცხლმოკიდებული და აღელვებული: ზოგჯერ ხრინწიანი ხველა მოუკვეთდა ხოლმე სიტყვას და თვალში ცხარე ცრემლი მოეგუბებოდა. კამმისარი ხმა ამოუღებლივ ყურს უგდებდა და პატარა ქაღალდის საჭრელს ხის დანას ხელში ათამაშებდა მერე შეუბრუნდა ერთს პოლიციის მოხელეს, ნოელის დამჭერსა და ჰკითხა:

— ნივთიერი გეში არის რამე?

პოლიციის მოხელემ ანდალუზური სატევარი მიართვა; სატევარის პირი სისხლში იყო მოსვრილი.

— მაშ ეს თქვენი სატევარი არ არის? ჰკითხა კამმისარმა.

— მე ეგ სტოლზედა ვნახე. იმან მაგას წამოავლო ხელი და მაგით მოჰკლა საწყალი უმაწვილი.

— კარგი, უპასუხა კამმისარმა: ხვალ ყველაფერს შევიტყობთ.

უსმანს და რამბერი სხვა ოთახში გაიყვანეს. იქ ერთმა მოხელემ გვარი და სახელი ჰკითხა და ჩაწერა წიგნში. მერე ჯიბე და უბეები გაუჩხრიკეს და უპოვეს ოქროები.

— თქვენ და სამასს სამოცი ფრანკი? სად გიშოვიათ და როგორ? ჰკითხა კამმისარმა, როცა მოუტანეს ამისთანა მძიმე საბუთის ამბავი.

— სამას სამოცი ფრანკი! დაიძახა გაოცებით რამბერმა და გაიფიქრა, რამდენი სათამაშოები მოუვა ჩემს ჟაკსაო.

სულ გადავიწყებული ჰქონდა ეს ფული, მარტო ეხლა მოაგონდა და დაწვრილებით უამბო როგორ შეემთხვა ელისეის მინდვრებზედ ერთს უცნობს ქალსა; რა საქმე დაასაქმა იმ ქალმა, რა რიგად მადლობა გადუხადა და ხელში ჩაუყარა ოქროები, რაც კი ქისაში ჰქონდა.

— მე ეს კი ველარ გიამბეთ, დაუმატა რამბერმა; მე ხომ იმის კამოისობით წაველ ბოჟონს... უხ, რა რიგად მტეხს თავი. მე სულ გუნებაში აღარ მომსვლია ეგ ამბავი... ყველაზედ უწინარეს კი ეგ უნდა მეამბნა.

— რასაკვირველია, შენიშნა კამმისარმა, ეჭვით ჩაიცინა და გავიდა ოთახიდამ.

რამდენიმე ჯარის კაცი შემოვიდა და ნოელი ჩაიყვანეს ბნელს კიბეზედ სატუსაღოში; იქ საწყალი დაეცა იატაკზედ ღონე მიხდილი.

— სულ ერთია, ხომ სადმე უნდა მომესვენა, იფიქრა საცოდავმა: ჩემს ჟაკსა მეკარეს სახლში ჰსძინავს, მე კი... სულ მოშლილი ვარ... ქანცი გამიწყდა.

ერთმა ჯარის კაცმა ნახა რა მისი ფერ მიხდილი, დაქანცული სახე და ლაფში ამოწუნწლული ძონძები, შეეცოდა და მიაწოდა ნატეხი პური და ერთი ჯამი წყალი. ნოელი იმ ღონე მიხდილობამდე მივიდა, რომელსაც სიკვდილიდა მოსდევს. წყურვილი მოიკლა წყლით და მგელსავით მივარდა პურს. მერე სახეზედ გა-

უძღვა იმ უგონო და კმაყოფილების ღიმილმა, რომელიც მოუვა ხოლმე ან ახლად გამობრუნებულს დამშეულს სნეულსა, ან კიდევ შიმშილისაგან სიკვდილამდე მიხწეულს ადამიანსა. როცა საჭმელს მის-წვდიან, ისე გაუწყდა ქანცი, ისე მიეხადა ყოველივე ღონე, რომ აღარ ესმოდა რა მოხდა და რა იყო იმის თავს. ეგრეთ ქანც გაწყვეტილს და ილაჯ წართმეულს ჩაეძინა იმ ტყვიასავით მძიმე და მოუსვენარის ძილითა, რომელიც მოუვა ხოლმე დაღალულს ჯარის-კაცს ომის გა-დახდის შემდეგ.

მაგრამ ზოგჯერ ძილი უფრო უარესია, ვიდრე ცხადი. საცოდა-ვი რამბერი, თითქო სარეცელშიაც ისე ტრიალებდა თავის ხმელს ლოგინზედა და საშინელი სიზმრები ეზმანებოდა. ესიზმრა რომ ვი-თომ ჟაკი აკვანში წევს, ქუნთრუშა შეჰყრია და ამაოთ იძახის მიშვე-ლეთო. ნოელს უნდოდა წამომდგარიყო და გაქცეულიყო შვილისაკენ; მაგრამ ნება არ ჰქონდა, და როგორც სულთ ამოხდომის დროს ისე თავიდამ ფეხამდე იწურებოდა ხოლმე ცივს ოფლში მჭლე ტანი ამ მართლა და საცოდავის ადამიანისა.

## II

კაცი, რომელმაც ნოელ რამბერის თვალ წინ წამოავლო ხელი ანდალუზურს სატევარს, ჩასცა გულში უბედურს ყმაწვილ-კაცს და გაიქცა დამბაჩა რომ დასცა თვითონ რამბერს, იყო დანიელ მორტალი. ეს სახელი დღესაც ახსოვთ პირენეის მაზრის მცხოვრებელთ, რადგანაც მორტალი ამ ოცის წლის წინად იქა ყოფილიყო მმართველად და-ნიშნული და ბევრი ასეთი საშინელი და საძაგელი საქმეები ჩაედინა, რომ მეტი აღარ იქნებოდა. ეს იმისთანა მოუსვენარი და პატივ-მოყვარე კაცი იყო, რომელთაც ამოქმედებს ხოლმე მარტო ფულის სიხარბე და ანგარება და რომელნიც თაყვანსა ჰსცემენ მარტო მას, რაც გამარჯვებულია ამ წუთის სოფელში და რასაც ძალა და უფლება ხელთ უპყრია. ამისთანა კაცები ხშირად უფლებას ხელში ჩაიგდებენ, ხოლმე, როცა რომელიმე საზოგადოებრივი უბედურება მაგის შემთხვე-

ვას მიჰყაცემთ. მაშინ საკვირველი აღარ არის რომ პატიოსანი კაცები ზურგს შეაქცევენ უფლებას, რომელიც ამისთანა კაცების ხელში ჩავარდება ხოლმე.

დანიელ მორტალის ყოფა-ცხოვრება ბევრს თოკში იყო გამოტარებული; ლხინი ბევრჯელ შეჰსცვლია ჭირათ და ჭირი ლხინათ; ერთობ ცხოვრება მისი ჩირქიანი იყო და ამაზედ უარესიც თუ კი უარესი შეიძლება. მინამ დიდს და გამოჩენილს ადგილს დაიჭერდა, მან დიდხანს აწოწიალა თავისი ცხოვრება თავ გამოუჩენლად და მრავალ გვარი სავთხე და ფათერაკი ნახა. იგი იყო ძალიან მდიდარის კაცის შვილი. ჯერ სულ ახალ გაზდა იყო, როცა ობლათ დარჩა მამეულის უზარმაზარის ქონებითა. მალე მოუღო ბოლო ამ ქონებას ქეიფობაში და სალახანობაში. ბუნებამ იგი რკინათ ანუ უკეთ ვჰსთქვათ, ქვათ შეჰქმნა როგორც ხორცითაისე სულითაც. ტანათ იყო მაღალი, წარმოსადეგი სახით ურცხვი და ლამაზი; თვალები ხაზი ჰქონდა, მაგრამ მხნეობასაც გამომეტყველებდნენ; შავი წვერი აბრეშუმს უგავდა და ერთობ მეტად მოხდენილი რამ იყო და საოცარის ძალ-ღონის პატრონი. ამისთანა კაცნი, თუ სიკეთეს მიაქცევენ თავის ძალ-ღონეს, ქვეყანას გადაახალისებენ, ხოლო თუ თავის გულის თქმას აჰყვებიან, ამღვრებენ ხოლმე მარტო ზღვას ბოროტებისას ძალიან გამჭრე გონების თვალი ჰქონდა და სწრაფად მიხვდებოდა ხოლმე ყოველისფერს; ბევრი წიგნი წაეკითხა თავის სიცოცხლეში, მაგრამ მკლავების ვარჯიშობას უფრო რჩეობდა, ვიდრე ჭკუისას. ძალიან კარგად იჯდა ცხენზედ, ძალიან კარგად იცოდა ხმლის ხმარება დუელში და ამ დროების დიდ-კაცთა სამარცხვინო შვილების შორის სამაგალითო რამ იყო. გათქმული იყო როგორც ურცხვი შემაცდენელი ქალებისა, როგორც საკვირვლად ბედნიერად ქაღალდის მოთამაშე, როგორც ათასგან დუელის მქონე, — და ამ ამბებში მყოფს, რაცა თქმა უნდა, ყოველს დღეს ხელიდამ ეპარებოდა მამეული სიმდიდრე.

ერთს მშვენიერს დღეს შეიტყო თავის ვექილისაგან, რომ მთელი მისი ქონება შეჭმულია და ამასთანავე იმავ საღამოს შინ მობრუნდა მძი-

მედ დაჭრილი ერთის ღარიბ მედუქნისაგან, რომელსაც ქალი შეუცდინა. ამ მძიმე და ხან-გრძლივ ავათმყოფობაში მორტალმა დააკვირვა თვალი თავის ყოფა-ცხოვრებას და იმ აზრზედ დადგა, რომ მე ბედს უფრო ფართო და დიდის მოქმედებისათვის ვყავარ დანიშნულიო, და გულს ულრღნიდა შური ბონაპარტის მიმართ, რომლის პატივ-მოყვარეობის უგუნური სიზმრები მაშინ არავისთვის საიდუმლო არ იყო. სიღარიბის შიში სრულებითაც არ აწუხებდა, იცოდა რომ როგორც იქნება დღეს თუ ხვალე უჯაფოდ შეიძენდა სიმდიდრეს; მისი წყურვილი იყო ერთის დიდის თანამდებობის შოვნა როგორმე. ესეც კი იცოდა, რომ მინამ საფრანგეთში ლუდოვიკ-ფილიპე ხელმწიფობდა, ბრწყინვალე თანამდებობის კარი დახშული იყო მისთვის. ამიტომაც გამოეთხოვა ძველს ევროპას და ახალს ქვეყანაში, ამერიკაში ჰსცადა თავისი ბედი.

ამ სახით ოც-და-ოთხის წლის ყმაწვილი-კაცი დანიელ მორტალი გადავიდა ამერიკაში სიმდიდრის შესაძენად და იქ რვა წელიწადი დაჰყო. ბევრი იმისთანა ჭირი გამოიარა, იმისთანა ნაკლებულება, იმისთანა სიღარიბე და უბედობა, რომ სხვა უიმისო მიწასთან გასწორდებოდა, მაგრამ ის კი უფრო გამხნევდა და ამოდენა კაი-ვაგლახმა არა დააკლო რა მის უძლეველს ბუნებასა. ეს სვე მისის ცხოვრებისა ბნელია: აქ ზღაპარი და მართალი ერთმანეთშია არეული. ეს კი სარწმუნოა, რომ ხან მომღერალათ იყო ფილადელფიაში, ხან ოსტატათ ნიუიორკში, ხან ავაზაკების წინამძღოლათ რიოგრანდოში; ერთგან მთხოვარა გლახათ, მეორეგან — მდიდარ დიდ-კაცათ; კალიფორნიაში მადნის მთხრელ მუშათ, ბოსტონში გაზეთის რედაქტორათ და იგი ყველგან მხიარული, მომზიდველი, მუდამის ღიმილით თამამათ და ურცხვად მეტიჩრობდა ამერიკელთ-შორის, რომელთაც არაფერი არ აკვირვებს ხოლმე და რომელნიც არაფერს არ ერიდებიან და სულ წინ მიდიან და მიდიან იანკების აშვებულ ხომალდსავით. რვა წლის განმავალობაში მორტალმა ათჯერ შეიძინა სიმდიდრე და ათჯერვე გაფლანგა. ბოლოს მეთერთმეტე ჯერ რომ შეუძგა სიმდიდ-

რის შოვნას, იგრძნო რომ ამისთანა ყოფა მოჰსწყინდა. აპირობდა მეხიკაში მდიდარის ქალის შერთვას, იქვე ზედ-სიძეთ შესვლას და დასახლებას საცოლოს მდიდარს მამულებში, მაგრამ ამ დროს უცბათ მოუვიდა ამბავი, რომ საფრანგეთში 1848 წლის რევოლიუცია ასტყდაო. რაც უწინ ნატვრა ჰქონდა, ეხლა ერთბამად გამოეღვიძა გულში; დაინახა რომ უწინ შეუძლებელი, ეხლა შესაძლოა და გამოფრინდა ევროპიისკენ. ისე წავიდა, რომ არც კი მოჰგონებია საცოდავი მეხიკანელი ქალი, რომელმაც ჯავრით წაიჭირა ყელში თავისი მშვენიერი თმები და ისე დაახრჩო თავი. ამისთანა წვრილმანებს, როგორც თვითონ მორტალი ამბობდა ხოლმე, რასაკვირველია, ყურსაც არ ათხოვებდა.

საფრანგეთში რომ მობრუნდა, ახირებულის მხნეობით მიჰსცა თავი საპოლიტიკო მორევს. იმისთვის სულ ერთი იყო, რომელს დასსაც უნდა ემსახუროს; კარგად იცოდა რომ, თუ გაჭირდა, ყველას ერთნაირად უღალატებდა. გულში მარტო ისა ჰქონდა, რომ რაზედმე ფეხი მოიკიდოს და თავისი ნატვრა აისრულოს. ჯერ რადიკალებს მიემხრო, მერე ნახა რომ ქარი სხვაგნიდამ უბერავს, დიდის ოსტატობით გადვიდა რეაქციონერებში და ყველგან გაზეთებში, თუ ხალხში რეაქციის აზრებს ჰქადაგობდა. აღჭურვილი ცხოვრების ვითარების ზედ-მიწევნილ ცოდნითა და ადამიანის არაფრად ჩამგდები, მით უფრო საფთხილო და საშიში იყო, რომ თავის სიხარბეს სიმდიდრისას და თანამდებობის შოვნისას არ აჩენდა და იბირებდა ხალხს თავის ჭკუისა და თვალადობის მიმზიდველობითა.

მაინც თავის წადილი ვერ აისრულა. აძლიეს, როგორც ბევრს სხვას, რაღაც ნაწილი მოხელეობისა, მაგრამ ამისთანა გაუმაძღარს პატივ-მოყვარეს მცირე რამ წყურვილს როგორ მოუკლავდა. დანიელ მორტალს მომეტებული და უკეთესი უნდოდა. ამის ლოდინში იგი თვალს ადევნებდა საპოლიტიკო საქმეებს, როგორც გარეშე მაყურებელი, ხოლო ტაშს კი უკრავდა ყოველს ოინს რეაქციონერებისას და ხელს უწყობდა ყოველს ცილს, რომელსაც კი ჰსწამებდნენ ხოლმე

დამარცხებულს რადიკალებს. ბევრი მის მეგობართაგანი მთავრობის სათავეში იდგა და იმათ ხშირად მოუწონებდა ხოლმე საქციელს და ბარაქნილით აქეზებდა. ერთი ამისთანა მისი მეგობარი, მისი ძველი ამხანაგი და ამფსონი, პრეფექტათ იყო იმ დროს, ჟირონდის მაზრაში. მორტალი იმასთან იყო სტუმრად, როცა მოუვიდათ ამბავი ორის დეკემბრისა *). გადაცემას და გაბრაზებას ყოველ. პატიოსან კაცისას საზღვარი არა ჰქონდა; ხოლო ბევრს სხვას იმედი მოეცა, რომ პატივის და სიმდიდრის კარი გაეღებოდა. მისნი გაუბედავნი ჭოჭმანში იყვნენ, გამბედავებმა დრო აღარ დაჰკარგეს, და მიეცნენ დროთა მიმდინარეობას, რომელიც ყოველთვის უქადდა. მართალი უნდა ჰსთქვას კაცმა, მორტალი ამ უკანასკნელებში არის. ერთის წუთსაც არ შეფერხებულა, არ უყოყმანია. მაშინვე მიხვდა რა მოულოდნელი ბრწყინვალე გზა გადეშალა წინ. მაგრამ ამ ამბავმა იმისთანა დროს მოასწრო, როცა შესაძლო იყო, რომ ჭკუის გამჭრიახობა მას აღარ ჰქონოდა.

სწორედ წინა ღამეს წაეგო უშველებელი ფული ორასი ათასი ფრანკი და ერთის იქაურის გამოჩენილს არისტოკრატს ლავერდაკს მოუგო. მორტალს გროში არა ჰქონდა თურმე და იმედიც არა ჰქონიყო ეშოვნა სადმე ამოდენა ფული, ამდგარიყო და გუნება არეული წამოსულიყო შინ. ამ დროს წიგნიც მიასწრეს ხელში თავის მეგობარ პრეფექტისაგან, რომელიც ჰსწერდა, რომ დაუყოვნებლივ ჩემთან მოდიო, ძალიან მძიმე საქმე რამ არისო. ადგა გულ-მოკლული წაგებასაგან და წავიდა საპრეფექტოში.

— ძალიანი ამბავია, უთხრა პრეფექტმა და მიაწოდა დეპეშა: მითხრე რა უნდა ვქნა? რესპუბლიკა გაუუქმებიათ, ნაციონალური კრება დაუთხოვიათ, პარიჟში ომია თურმე, აქაც უსათუოდ ასტყდება. რა უნდა ვქნა, რა გზას დავადგე? ვეწინააღმდეგო, თუ მივემხრო?

---

*) ამ დღეს ნაპოლეონმა III უღალატა საფრანგეთის რესპუბლიკას, გააუქმა იგი და თვითონ დაჯდა იმპერატორათ.

ჯერ პრეფექტს თავისი არ გაეთავებინა, რომ მორტალმა ასეთი გამოიყვანეს კიდეც. დაუჯერებელის სისწრაფით მოისაზრა ყოველის-ფერი, ყოველსფერს მიხვდა და სიხარულით აევსო გული, რადგანაც იგრძნო, რომ აი კვლავ გადეშალა ჩვეული მოედანი თვისი, ბრძოლი-სა, მრავალ-გვარ საფიქრის და ოცნებისა.

— გაიგე ადამიანო, განაგრძო პრეფექტმა: რომ წესიერების, საკუთრების, ოჯახობის გადარჩენის დღეა.

— ყოველივე ეს გადასარჩენია და შენ კიდეც ყოყმანობ! წარ-მოსთქვა დაცინვის ღიმილით მორტალმა: ვირი ყოფილხარ შენ, ჯო-რი და სხვა არარაობა. ჩვენმა საათმა დაჰკრა და შენ არც კი ხედავ შენს ბედნიერებას! ნება მომეცი, მე ვიმოქმედო, მე გავუძღვე ყველა-ფერს: ეს ჩემი საქმიანობაა. ხომ იცი მე შენ ცუდს არ გირჩევ.

მორტალი შინ მობრუნდა მხიარული, გახარებული. ხედავდა რომ პირველი ნახევარი მისის მოუსვენარის ცხოვრებისა დასრულდა, რომ ახალი ხაზი დაუდგა, ხაზი — მომავლისა; რომ არამც თუ მარტო ამისთვის, მთელის საფრანგეთისათვის ახალი დრო მოვიდა, ყოველივე აირივ-დაირივა და ამ არეულობაში ამასაც თავის წილად კარგი ლუკმა შეხვდე-ბა. შინ რომ მოვიდა, ლავერდაკის ბარათი დახვდა. ძალიან თავაზიანად ჰსწერდა მორტალს, თუ გნებავთ კიდევ ერთმანეთს, აგვებოთ საქმე-თოთ ესე წინ დაუხედავად წაგებულია და თუ არა, რამდენიმე ხანსაც გნებავთ დაგაცდით, რადგანაც ამისთანა მოგებას არ ვიბედავ შევ-რაცხო ქაღალდის თამაშის გამო, რომელიც ჩვეულებისამებრ ოცდა-ოთხის საათში უნდა გადახდილ იქმნასო. ამ კეთილ-შობილურმა სულ-გრძელობამ გული კი არ მოჰგვარა მორტალს, პირიქით, გააბრაზა. ეგონა, რომ ეგ უკადრისი და სათაკილო სიბრალულია ჩემდამი ჩემის მეტოქისაო, წამოავლო გაჯავრებულმა კალამს ხელი და მისწერა ლავ-ერდაკს, რომ, მართალია, ახლა ფული ორასი ათასი ფრანკი ხელად არა მაქვსო, მაგრამ ქაღალდის თამაშის ვალი — სინიდისის ვალიაო და თქვენ რამდენიმე დღის შემდეგ სრულიად მიიღებთო. ეს წიგნი გაუგზავნა თუ არა, მაშინვე საპრეფექტოში წავიდა, რადგანაც იქ

მოუთმენელად ელოდებოდნენ. იქ ყველაფერი დავიწყებას მიჰსცა, მხოლოდ ის კი ახსოვდა რომ დაუყოვნებლივ ჯარები უნდა გამოაყვანინოს, რომ პირენეის გულ-ფიცხი ხალხი შეშინდეს.

იმ საუბედურო დროს არსად მთელს საფრანგეთში ხალხი ისე არ უჩაგრავთ, უწყალებიათ და უტანჯნიათ, როგორც ამ პირენეის კუნჭულში, სადაც რამდენისამე დღით ბედმა დანიელ მორტალი შემოაგდო. ის ოინების მაძებარი სრულად დაეპატრონა იმ საშინელს ამბებს; თითქმის მთელმა მხარემ ხელში იარაღი აიღო, რომ გამოესარჩლოს შეგინებულს და ფეხ-ქვეშ გასრესილს კანონს; ჯარები შეუწყალებლად ხოცავდნენ და ჰსდევნიდნენ აჯანყებულებს, როგორც მწევარი ნადირს და ბევრი ხანი არ გასულა, რომ მარტო აოხრებული სოფლებიღა ჩანდა და ქვითინი ისმოდა ქვრივისა და ობლებისა. დამარცხებული ხალხი ხორცს იგლეჯდა გაბოროტებისა და ჯავრისაგან და დანიელ მორტალი კი ცხენით წინ მიუძღოდა ხოლმე ჯარსა და რჩევას აძლევდა მოხელეებს, როგორც გამოცდილი კაცი. აჯანყებულების დამარცხებას მოჰყვა სასჯელი. არამც თუ ჰკარგავდნენ და ჰზავნიდნენ სასჯელად მართლა დანაშაულებს, არამედ იმათაც, ვისზედაც კი ეჭვს მიიტანდნენ. საითაც კი უნდა მიგეხედნათ, ნახავდით რომ ის უბედურები ბორკილ გაყრილნი როგორც ავაზაკნი დასტა-დასტად მიჰყავანდათ გადასაკარგავად.

ზარ-დაცემულმა ხალხმა ხმა გაიკმინდა. თუმცა კაცის დაჭერა და დაკარგვა იმ დროს არავის არ აოცებდა, მაგრამ ყველას გაუკვირდა, როცა გაიგეს რომ სხვათა შორის ლავერდაკიც დაიჭირესო... მართალია, მან როგორც პატიოსანმა კაცმა ხმა-მაღლა გაჰკიცხა ორის დეკემბრის დამნაშავე ნაპოლეონი III, მაგრამ არას დროს იგი არ ითვლებოდა არც რადიკალად, არც მოქმედების კაცად. კეთილ-შობილი, სიტყვით ლიბერალი ლავერდაკი იყო მდიდარი არისტოკრატი, და უფრო ლხინსა და ქეიფს მისდევდა, ვიდრე პოლიტიკასა. თამაშობდა ქაღალდს, დოღებში სანაძლეოს იჭერდა, სადაც კი საქეიფო სადილი და ვახშამი იქნებოდა, ყველგან პირველი ის იყო და ერთობ ძალიან

ხელ-გაშლილი ცხოვრობდა და ჰფლანგავდა ცოლის მზითებს; თუმცა ცოლი და თავისი ორი ვაჟი-შვილი ძალიან უყვარდა, მაგრამ არ ესმოდა კი, რომ ყველას აუბედურებდა, იმიტომ-რომ ისე წინდაუხედავად ჰსჭამდა თავის ქონებას. აბა ამისთანა ჭკვიანის კაცს, რომ პოლიტიკური ბრალი შეჰსწამეს, რა საკვირველია, ყველას გააოცებდა.

ლავერდაკის ცოლს უნდოდა შეეტყო ქმრის დაჭერის მიზეზი, მაგრამ პრეფექტმა არ მიიღო. ერთხელ საღამოს ჟამს სახლს პოლიცია მიესია და დაუწყო ჩხრეკა ყველაფერს რაც კი სახლში იყო. რაც ქაღალდები ნახეს, სულ მოაგროვეს, თითქო ლავერდაკი რაიმე საპოლიტიკო შეთქმაში ერივა. ყველაზედ უფრო ბეჯითად იქცეოდა ერთი ვიღაც უცნობი კაცი, რომელიც პოლიციის კომისარს თან მოჰყვა. ეს კაცი ლავერდაკის ცოლს უწინ არსად არ ენახა და არც იქაური იყო. ეს იყო დანიელ მორტალი. რა ქაღალდსაც კი მიაწვდიდნენ ხოლმე, ის ამბობდა გულზედ მოსული: ეს ის არ არისო, არაო.

აშკარა იყო რომ მორტალმა ვერ იპოვა, რის პოვნაც უნდოდა. როცა პოლიცია და მორტალი წავიდნენ, უმცროსმა შვილმა, ექვსის წლის ჟორჟმა მიუტანა დედას წითელი ჩანთა, რომელიც მის მამას ლავერდაკს ყოველთვის თან დაჰქონდა.

— აი დედი, უთხრა შვილმა ლავერდაკის ცოლს: იქნება ამას ეძებდნენ. ქაღალდებს რომ აქოთებდნენ, მაშინ ძირს ჩამოვარდა და მე ვიღე. სწორედ იმ ჯავრიან კაცის ფეხებ წინ ეგდო.

ლავერდაკის ცოლმა გახსნა ჩანთა და ნახა რაღაც ბარათები ქმართან მოწერილი: ყველა ბარათი იცნო, ხოლო ერთი ხელმოწერილი დანიელ მორტალისაგან არ ეცნობოდა და იმ ბარათში მოხსენებული იყო რაღაც ქაღალდის თამაშის ვალი. რაღა თქმა უნდა, რომ ამ ბარათს ყურიც არ ათხოვა და უნდოდა სტოლზედ მიეგდო. მაგრამ ამ დროს რაღაც ნუხსას, ქმრის ხელით დაწერილს, თვალი მოჰკრა. საცოდავმა ქალმა ტუჩებზედ მიიკრა ძვირფასი ნაწერი ქმრისა და თითქო წმინდანის ნაწილიაო შეინახა.

ამასობაში ლავერდაკი ციხეში ჩასვეს სხვათა აჯანყებულთა შო-

ერის, რომელთაც თავის იარაღისათვის ხელი წაევლოთ, როცა ნაპოლეონის III ჯარინები შეეტყოთ. აქ ყველა გვარის და წოდების კაცი იყო. სოფლელები, სოფლის ნაცვლები, ადვოკატები, ნოტარიუსები და რედაქტორები გაზეთებისა. ამ სხვა და სხვა ჯურის კაცთა შორის ლაპვერდაკმა დაინახა ერთი კაცი, რომელსაც დიდს და გულითადს პატივსა სცემდნენ. ის კაცი ექიმი იყო, ერთი იმ მკურნალთაგანი ღარიბთათვის, რომელთ ცოდნა და ხელოვნება ყოველთვის მზათ არის უბედურთა სამსახურისათვის. მას ერქვა პასკალ არტესი. მთელი სიცოცხლე ამ კაცისა იმისთანა კაი კაცობაში და თავ-გაწირვაში იყო გაჰყლილი, რომ თვითონ მტერიც კი პატივსა სცემდა.

ჯერ კიდევ ოცის წლისა იყო, როცა მოშორდა თავის დედ-მამას და წავიდა პარიჟში. იყო მდიდარი, ლამაზი; გძელი თმა უმშვენებდა ჭკვიანურს და გაბედავს სახეს, შემკულს მშვენიერის და ბრწყინავის თვალებითა. მას შეეძლო და შეეფერებოდა კიდეც, რომ პარიჟში მარტო ქეიფი ეწია, როგორც სხვა მდიდარის კაცის შვილებს, მაგრამ ამან უარ-ჰყო იმისთანა უკადრისი ცხოვრება. როცა ახალ-გაზრდობა წაიტყუებდა და ლხინში სადმე დაესწრობოდა, მაშინაც კი ტანჯულების და ჩაგრულების ნაღველი მოაწვებოდა ხოლმე გულზედ და ამ ტანჯულთა და ჩაგრულთა შეჰსწირა კიდეც ყველაფერი, რაც ჰქონდა: თავისი ყმაწვილ-კაცობა და სიმდიდრე, კაი-კაცობას შეჰსწირა თავისი სიცოცხლე სიხარულით, ღიმილით, ჩუმად იყო, არა ყვიროდა რომ აი რა კაცი ვარო და ყოველს ჭირში თავის ამხანაგებთან ერთად ჩაებმოდა ხოლმე უღელში და რაც შეეძლო მხარს აძლევდა.

ციხეში დამწყვდეული იგი ჰსწუხდა თავის-თავისთვის კი არა, თავის საწყალ ავათ-მყოფებისათვის. თუმცა ამისი სახელი მაშინ გათქმული იყო, მაგრამ არ აჰყვა ქვეყნის მაცთურებას და თავი სრულებით ღარიბებისათვის გადასდო, შეიქმნა ექიმათ იმ ტანჯულთათვის, რომელთაც გროში არა ჰქონდათ რომ ეწამლათ და თავი მორჩინათ. საკვირველის ლოლოპით და ალერსით ექცეოდა თავის ავათ-მყო-

ოვეს, თავის ხარჯით უყიდდა ხოლმე წამალს და როცა მადლობას უხდიდნენ, ეუბნებოდა ღიმილით:

— რას ბძანებთ! მადლობელი მე უნდა ვიყო თქვენი და არა თქვენ ჩემი. განა ვერა ხედავთ, რომ მე წამლებსა ვცდი ხოლმე. მხოლოდ იმის მაგიერ რომ კაცი მოვკლა, ვარჩენ ხოლმე. ეს არის და სხვა არაფერი.

ციხეში ჯდომის დროს არტესი უვლიდა თავის ამხანაგებს და ისე იქცეოდა, რომ ციხის ყარაულებმაც კი შეიყვარეს. ერთხელ ტუსაღები აჯანყდნენ, ცუდს პურს გვაჭმევთო. ციხის კამენდატმა უბძანა, რომ ვინც გაბედავს და პურს დაიწუნებსო, თოფით დახვრიტეთო. მაშინ არტესი წამოდგა წინ და გული მიუშვირა, მე ვიწუნებ, დამხვრიტეთო. ვერავინ ვერ გაბედა ამისთვის დაეძაგებინათ რამე და მეორეს დღეს უკეთესის პურის ძლევა დაიწყეს.

— თქვენი მადლობელნი უნდა იყვნენ, რომ პური გამოუცვალეს ტუსაღებს, ეუბნებოდა ერთი აფიცერი მეორეს დღეს: მარტო ერთი თქვენა ხართ, რომელსაც ჩვენი სალდათები ვერ გამოიმეტებენ და ხელს არ შეახებენ.

ლავერდაკმა დაინახა თუ არა არტესი თავისთან ახლო, ჰკითხა:

— თქვენც აქა ხართ, არტეს? თქვენც ტუსაღი ხართ?

— როცა კანონს ფეხ-ქვეშა ჰსთელენ, მაშინ ყველანი კანონის მომხრენი დევნულნი უნდა იყვნენ, უპასუხა არტესმა: ამას ლოღიკა ითხოვს.

— მე მეგონა თქვენ პარიჟში ხართ?

— იქ ვიყავ, მაგრამ რა კი რესპუბლიკის დამხობის ამბავი შევიტყე, აქეთ წამოველ, რადგანაც აქ ჩემთვის უფრო ბევრი საქმე იყო. მე კანონის მოსარჩლეთა დასში ჩავდექი. ჩვენ ყუმბარებით წინ დაგვხვდნენ, დაგვამარცხეს; მეც სხვებთან ერთად დამიჭირეს. მე დამნაშავე ვარ, რადგანაც კანონს გამოვესარჩლე და აი ვუცდი სასჯელს რადგანაც ჩემს მოქმედებას ავ-კაცობათ დასახვენ გამარჯვებული ვაჟ-ბატო—

ნები. ყველა-ყველა და, თქვენ როგორ მოხვდით აქ? განა ჩვენს მხარეზედ გადმოხვედით?

ლავერდაკმა უამბო ისტორია თავის უცნაურის დაჭერისა, რომლის მიზეზიც ვერას გზით ვერ გამოეცნო.

— კიდეც ამაშია ჩვენი ღონე თუ უღონობა დაუმატა მან: ჩვენ, მართალია, არავისთვის საჭირონი არა ვართ, არავის უნდივართ; ჩვენ ერთი ქეიფის კაცები ვართ და დროთა ბრუნვას მხარს უქცევთ და არაფერში ვერევით ხოლმე, მაგრამ სინიდისი კი გვაქვს და იგი გვაუწყებს ხოლმე რა არის ნამუსი და რა არის უნამუსობა. მე ყოველთვის თქვენ დაგნატრიდით, არტეს, და ყველგან ვამბობდი, რომ თქვენ გარდა სხვა კაცი არ მინახავს, რომელიც თავის გულ-ახდილ პატიოსან ცხოვრებით თქვენსავით პატივსაცემი იყოს.

— მე მარტო ჩემს მოვალეობას ვასრულებდი, უპასუხა გულ-ალალად არტესმა.

— კიდევ კარგია, რომ თქვენ იცით მაინც რისთვისა ხართ დაჭერილი, უთხრა ოხუნჯობით ლავერდაკმა.

ჩააკვირდა რა თავის-თავის გარემოებას, ლავერდაკს ენიშნა რომ ამის დაჭერა მორტალის საქმე უნდა იყოს, რადგანაც ამისი დიდი ფული ემართა და ყველამ იცოდა, რომ ამ ალიანქოთში ის იყო, რაც იყო. ეს აზრი ლავერდაკმა არტესს უთხრა, მაგრამ არტესმა, თვითონ თავიდამ ფეხამდე პატიოსანმა, არ დაიჯერა, კაცს იქამდე დაემდაბლებინა თავი, რომ აქაო და ვალი მმართებსო, მოვალე ციხეში ჩავაგდოთო, ეგებ ამით ვალს გადვურჩეო.

— აი ვნახავთ, უთხრა ლავერდაკმა: ხომ სამართალში ჩაგვაგდებენ და მაშინ ყველა გამოჩნდება; მაშინ შეიტყობთ ჩემი ეჭვი მართალია, თუ არა.

ეს ეჭვი მარტო ლავერდაკს არა ჰქონდა, ყველა ამისი ნაცნობი ამას ამბობდა, რომ მახე მორტალმა დაუგო: ამაზედ გული უფრო მაშინ დააჯერეს, როცა შეიტყვეს, რომ მორტალს ქაღალდის ვალი ემართა და აქამომდე არ მოეშორებინა.

— აი საცოდავი რისთვის დაიჭირეს, ეუბნებოდნენ ჩურჩულით ერთმანეთს ლავერდაკის ნაცნობები და ელოდნენ, ვნახოთ სამართალი რას იტყვისო.

მაგრამ სამართალი სად იყო? ერთს დღეს სულ ტუსაღები, ბორკილ-შეყრილნი ორ-ორად დაამწკრივეს, ჯარი გააყოლეს და ტულონში გაგზავნეს. სხვათა შორის არტესი და ლავერდაკიც იყო, რომელნიც ალალ-ბედზედ ერთის ხელ-ხუნდით იყვნენ ერთმანეთზედ გადაბმულნი. წინა რიგში ესენი იდგნენ და უკან სხვა ოთხასი ტუსაღი იყო. მინამ გაგზავნიდნენ ამათ, პრეფექტმა გამოუცხადა წინამძღოლს აფიცერს, რომ თუ ვინმე გაბედავს და გაქცევას დააპირებსო, მაშინვე იქავ თოფით დახვრიტეო. მორტალიც მაშინ პრეფექტს გვერდით ედგა. ლავერდაკმა თვალი მოჰკრა, რომ მორტალმა აფიცერს ესა და არტესი დაანახვა.

დეკემბრის ცივი დილა იყო. თხლად და ცუდად ჩაცმულნი სიცივისაგან კანკალებდნენ საცოდავი ტუსაღები და ისე მიდიოდნენ მობუზულები. ბევრს მოაგონდა თავისი ცოლი, შვილები, თავისი სახლი და მინდვრები და მწარე ცრემლი მოერია თვალებში. ზოგნი კი, თითქმის უსუსური ბალღები, თავ-მოწონებით და გულადათ მიდიოდნენ და ხან-და-ხან ხმა-მაღლაც მიიმღეროდნენ სამხიარულო სიმღერებსა. მაშინ აფიცერი მივარდებოდა ხოლმე და შეუტევდა:

— ჩუმათ, თქვე ვირებო!

— აი უბედური კაცი! ფიქრობდა გულში არტესი: ამასა ჰგონია, რომ თავის მოვალეობას იხდის.

შუადღისას ეს საცოდავები დაასვენეს და ნება მისცეს პური მოეტეხნათ და იქავ წყაროზედ წყალი დაელიათ. მერე ისევ გზას გაუყენეს. როგორც წინა ვსთქვით, ლავერდაკი და არტესი ყველაზედ წინ მიდიოდნენ და უკანებს ამათის ლაჯისათვის უნდა შეეწონათ თავიანთი ლაჯი.

— ცივილიზაცია წინ მიდის, ძმაო არტეს, ეუბნებოდა ხუმრობით ლავერდაკი: ქვეყანას ახალი დრო მოსდის.

— არა უშავს რა, უპასუხა არტესმა: სიმართლე და ჭეშმარი-ტება უკვდავნი არიან.

თავ-თავქვე იყო ერთს ადგილას, ძალიან დაქანებული. არტესს და ლავერდაკს უკანიდამ რომ ხალხი მოაწვა, თავი ვერ შეიმაგრეს და გაქანდნენ.

— ეს რა ამბავია! დაუყვირა აფიცერმა და გზა გადუჭრა: გაქცევას აპირებთ?

— გაქცევას კი არა, უპასუხა ლავერდაკმა: აბა როგორ გავიქ-ცევით, ავაზაკებსავით ბორკილი გვაყრია.

— ღირსიცა ხართ. მაგრამ გაფთხილდით, თუ ერთი კიდევ აჩ-ქარება შეგამჩნიეთ, ბძანებას ავასრულებ და აქვე დაგხოცთ ძაღლებ-სავით.

— მოწყალეო ხელმწიფევ, უთხრა არტესმა თავ-მომწონედ და თამამად: ჩვენ ფეხი აუჩქარეთ, იმიტომ რომ უკანიდამ ხალხი გვა-წვება და ამ თავ-თავქვეზედ თავი ვერ შევიმაგრეთ. ჩვენ ფიქრადაც არა გვაქვს გაქცევა. ჩვენ თქვენ ხელში ვართ, იმედი კი გვაქვს რომ, როცა იქნება სამართალსა ვნახავთ. თუ გაუსამართლებლად გინდათ საქმეს ბოლო მოუღოთ, რაღას იცდით, აი აქ არა ვართ, დაგვხვრი-ტეთ: ჩვენ თქვენები ვართ.

— ჰა! დაიძახა აფიცერმა: აბა ერთი კიდევ დააპირეთ გაქცევა და მერე ნახავთ რაც იქნება.

გზა უფრო და უფრო დაქანებული გამოდგა. თუმცა ძალიან ცდილობდნენ ლავერდაკი და არტესი არ აჩქარებულიყვნენ, მაგრამ იმოდენა ხალხი აწვებოდა უკანიდამ რომ ვერას ღონისძიებით ვერ შეიმაგრეს თავი და კიდევ მაინც ფეხი აუჩქარეს და სირბილით გა-ქანდნენ.

— აი დაგწყევლოთ ღმერთმა! აკი გაგაფთხილეთ! დაუყვირა აფიცერმა, ამოიღო ბუდიდამ დამბაჩა და დაუმიზნა ლავერდაკს.

უბედურმა ლავერდაკმა უკან მოიხედა და კინაღამ შუბლი არ შეა-ხეთქა დამბაჩის ლულას, დამბაჩა აგვარდა და ლავერდაკის თავის ქა-

და გაიფანტა ნაჭუჭსავით. სისხლი და ტვინი ზედ შეასხა არტესს პი-რის სახეზედ და ტანის სამოსზედ. საშინელი ხმა ელდისა და გააფთრე-ბისა აღმოხდა იმდენი კაცის გულიდამ და ტუსაღები შედგნენ. პას-კალ არტესი გაიმართა ტანში და გაფითრებული ამაყად უცქეროდა კაცის მკვლელს, რომლის ხელშიაც ჯერ კიდევ ჰბოლავდა დამბაჩა. გვერდით ეგდო წუთის სოფელ გამოსალმებული გვამი ლავერდა-კისა.

არტესიც ელოდდა სიკვდილს და ზიზღით და უშიშრად შეჰყუ-რებდა თავის ჯალათსა. ერთის მოკვლა როგორც ეტყობოდა, საკმა-რისი არ იყო. აფიცერმა რისხვით გადაავლო თვალი ტუსაღებს, რო-მლებიცა წყევა-კრულვით ხმაურობდნენ, და მკვახედ უთხრა:

— თქვენც ეგ დღე დაგადგებათ, თუ მაგ ყვირილს არ მო-იშლით.

სალდათები გაფითრებულნი იდგნენ და თრთოდნენ სირცხვილი-საგან და საწყალი ტყვეები კი, ღონემიხდილნი ციხეში ხანგრძლივის ტყვეობითა, ჩაჩუმდნენ და გამწარებულნი დაჰყურებდნენ მკვდარს ლა-ვერდაკსა.

— ჰა! დაიძახა განმწყრალმა აფიცერმა: წყნარად იყავით! მე-რე მიუბრუნდა არტესს და უთხრა: თქვენზედაც კი ახი იყო, რომ დამეცა დამბაჩა.

— რატომ არ დამეცით? უპასუხა არტესმა და მოიწმინდა პირი-სახიდამ სისხლი და ზედ შენთხეული ტვინი.

— რაო? თქვენ სიტყვის შემობრუნებასაც მიბედავთ!

— დიაღ, და ამასთანავე ვითხოვ თქვენი სახელი მითხრათ, რომ მერე როცა გამანთავისუფლებენ, ის დღე დაგაგონოთ, რაც ლავერდაკს თქვენ დააყენეთ.

ისე გააფთრდა ამ სიტყვაზედ აფიცერი, რომ გაიძრო ხმალი და მიუხტა არტესს, მაგრამ ერთმა სალდათმა შეაყენა და ხმა მაღლა უთხრა:

— კმარა, დალახვროს ღმერთმა! კმარა, ჩვენ მართლა და კაცისმჭამლები ხომ არა ვართ!

აფიცერმა შემოხედა სალდათს შიგ თვალებში, სალდათი არ შეკრთა. თავის ჭაღარა ულვაშს იგრეხდა და ძლივს იმაგრებდა თვალში მოგუბებულს ცრემლს.

— შენ ეი ბერო-კაცო, საცა შენი საქმე არ იყოს ნუ ერევი ხოლმე; ჰსთქვა აფიცერმა, მერე მობრუნდა და უბძანა: დაიძარითო.

პასკალ არტესი ამ სახით გადარჩა, მხოლოდ სიკვდილისაგან კი. ბევრი წელიწადები გაატარა ციხეში გდებით, ხან სენ მიშელში, ხან ლამბესში და ხან კორტში, ბოლოს კი როცა გამოუშვეს და ისევ საფრანგეთში მოტრიალდა, ყველაზედ უწინარეს ისა ჰქმნა, რომ ლავერდიეს მკვლელი დუელში გამოითხოვა.

დუელი მოუხდა ბელგიაში და არტესმა მძიმედ დასჭრა თავისი მტერი ისე, რომ ორ წელიწადს უკან თან გადაჰყვა კიდეც თავის დაჭრილობას.

ეს ამბავი 1861 წ. იყო. ამ უკანასკნელს ათს წელიწადში მორტალმა დიდი სიმდიდრე შეიძინა. აბა ყოველთვის გამოპრანჭული, საგანგებოთ მორთული, ვის ეგონებოდა, რომ ეს კოხტა კაცი რიო-გრანდოს ავაზაკია. ერთის სიტყვით, მორტალმა გულის წადილი აისრულა: სიმდიდრე და ძალა ხელში ჩაიგდო. მას არამც თუ თავს ევლებოდნენ, მისი ეშინოდათ კიდეც; ამასაც მეტი არა უნდოდა რა. სრულებით ბედნიერი იქნებოდა რომ ჰყვარებოდა იმ ქალს, რომელიც თვითონ სიყვარულით შეირთო. მორტალს ანგენის წყლებზედ შეხვდა ერთი მართლა და საოცარის მშვენიერების ქალი. აქამომდე ბევრი ცუღლუტობა გამოიარა ქალებთან, მაგრამ არც ერთი არ შეუყვარებია. ეხლა კი სწორედ ცეცხლი მოეკიდა მის გულს, რაკი ის ქალი ნახა. დაჩვეული ქალის სწრაფად მოხიბლვას, ეხლა რომ შეხვდა ქალს, რომელიც სრულებით არა თანაუგრძნობდა, უფრო აპილპილდა, უფრო განუძლიერდა სიყვარული. რაც უნდა დამემართოსო, იფიქრა გულში: ის ქალი ჩემი უნდა იყვესო, ადგა და ჰსთხოვა ქალის ხელი მის ბებერს მამასა,

გალატაკებულს არისტოკრატს. კლარა — ქალს ეს სახელი ერქვა — პატარაობითვე მამის მორჩილი იყო და მთელი თავისი ყმაწვილ-ქალობა ზედ დაასრულა, რომ ფხუკიასს და თავ-მოყვარეს მამას ასიამოვნოს, ამიტომაც ხმა ამოუღებლივ აასრულა მამის სურვილი და შეირთო დანიელ მორტალი. ეს კი ჰქონდა ნუგეშათ, რომ მინამ მამა ცოცხალი ჰყვანდა ქრმის მეოხებით დიდ-კაცურად აცხოვრა თავის სახლში

ნაზს, მოსიყვარულეს და მეტად კარგს კლარას ეგონა, რომ როცა კარგად გავიცნობ მორტალსაო, იქნება შემიყვარდესო, მაგრამ ამაოდ. ამ თოკიდამ გამოშვებულს კაცს არ მიეკარა, არა და არა კლარას პატიოსანი გული, თუმცა — კაცმა მართალი უნდა ჰსთქვას — მორტალი ძალიან ცდილობდა, რომ კლარა მოინადიროს. კლარა თითქო სულით ჰგრძნობდა მორტალის ავ-კაცობასა და შიშით ფთხოდა და განზედ უდგებოდა. მორტალი ამ დროს პარიჟში ცხოვრებდა. ქალმა იგრძნო რა თავის თავის სრული უბედურება, ჰსთხოვა ქმარს, როგორც მოწყალება, რომ ნება მომეციო ჩემთვის ვიყოვო და საზოგადოებაში ნუ მაიძულებ სიარულსაო. მორტალი ჯერ დაჰყვა ნებას, მერე კი ამ ყოფამ მოთმინებიდამ გამოიყვანა. მან ძალა დაატანა კლარს რომ ხალხში გამოვიდეს და კლარამაც დაიწყო სიარული ბალებში. კლარას სიტურფემ მოიზიდა ყველას ყურადღება და მორტალს ეს ძალიან უხაროდა. კლარას კი აინუხშიაც არ მოსდიოდა თავისი სილამაზე და მკვეუნის ქება. თუ მეტი გზა არ არისო, ამბობდა კლარა გულში: ისევ იმისთანა სახლში ვივლიო, საცა ჭკუიანს და განათლებულს ხალხს შევხვდებიო. ამისთანა სახლი გორდონის სახლი იყო, თავისის ქრმის ვექილისა. საღამოობით იქ თავს მოიყრიდნენ ხოლმე ლიტერატორები და სხვა გამოჩენილი კაცები. ამ არჩეულს საზოგადოებაში კლარა თავს გაირთობდა ხოლმე და სიამოვნებდა. თუმცა თვითონ უფრო სხვას ყურს უგდებდა, ვიდრე ლაპარაკობდა, მაგრამ როცა კი იტყოდა რასმეს, ისეთს მოსწრებულს და ზედ გამოჭრილს იტყოდა, რომ ყველამ აღიარა კლარა მეფვათ იმ პატარა აკადემიისა.

სხვათა შორის კლარას ყურადღება მიიქცია იმ ერთმა უმაწვილმა კაცმა, ქერა თმიანმა, თეთრ-მკრთალმა და სუსტის აგებულებისამ. ეს უმაწვილი კაციც კი ხშირად შემოჰსცქეროდა ხოლმე კლარას. კლარას არას დროს არ დაჰკვირვებია და თვითონ ისიც როგორღაც ერიდებოდა ხოლმე. კლარამ მარტო ის იცოდა, რომ შემუსიკე იყო და კონსერვატორიაში მეცადინეობდა. ერთხელ სახლის პატრონის ცოლს ჰკითხა კლარამ ამ უმაწვილ კაცის ვინაობა.

— რას ბრძანებთ! წამოიძახა გორდონის ცოლმა: განა თქვენთვის არ წარმოუდგენიხართ? პოლ ლავერდაკია.

მაშინვე წავიდა, რომ მოიყვანოს და წარმოუდგინოს კლარასა, მაგრამ უმაწვილ-კაცმა უარი ჰსთქვა და უთხრა:

— მომიტევეთ, ბატონო! ისეთის გვარის კაცი ვარ, რომ ჩემი გვარი მორტალების ყურისათვის ვერაფერი სასიამოვნოა.

ეს ჰსთქვა და უმაწვილი კაცი მაშინვე ოთახიდამ გავიდა. გორდონის ცოლმა ეს უცნაური სიტყვები გადასცა კლარას. კლარას ეცა, რადგანაც ლავერდაკის გვარი თავის დღეში არ გაეგონა. თეთრ-მკრთალმა უმაწვილმა კაცმა ამ სიტყვებით უფრო განუძლიერა კლარას ცნობის მოყვარეობა. აშკარა იყო, რომ აქ რაღაც საიდუმლო რამ არის, მაგრამ რა არის? კლარას მაშინვე დანიელ მორტალი გაახსენდა, უსათუოდ, ჩემი ქმარი უნდა იცნობდეს ლავერდაკსა და გული აუკანკალდა, რადგანაც წინად იგრძნო, რომ აქ რაღაც საშინელი, საიდუმლო ამბავი უნდა იყოს, რაშიც ჩემი ქმარი ურევია.

— ლავერდაკს იცნობთ? ჰკითხა კლარამ ქმარს, როცა შინ წამოვიდნენ ქეიფიდამ.

— ლავერდაკს! დაიძახა მორტალმა და სახეზედ ჟაჟრმა და ელდამ გადურბინა; მაგითი მითამ რის ქმნა გინდათ!

— მაგდონი არაფერისა, უპასუხა ცივად კლარამ და შეაჩერა თავისი პატრონისანი, გულამდე გამჭრეტავი თვალები ქმრის აფორიაქებულს სახეს: დღეს ჩემთვის უნდოდათ გაეცნოთ ერთი უმაწვილი კაცი, რომელიც გვარად ლავერდაკია.

მორტალმა აჩქარებით, თითქო საოცნებაშიაო, დაუწყო გამო-კითხვა რა სახისაო, რამდენისა ხნისაო და სხვა ამ გვარი და თან უნებურად ენაზედ მოსდიოდა:

— ლავერდაკი! ლავერდაკი!

— მაშ თქვენ იცნობთ? ჰკითხა მკვახედ კლარამ.

— არა, მაგრამ, იქნება, მამას კი ვიცნობდი.

— თქვენი მტერი ხომ არ იყო?

— არა.

— მეგობარი?

— მე ძალიან შორეულად ვიცნობდი.

— მაშ შვილმა რატომ არ ინდომა ჩემი გაცნობა?

— არ ვიცი.

კლარა ახლა კი დარწმუნდა, რომ მისი ეჭვი უსაფუძვლო არ არის; ცხადი იყო, რომ რაღაც მძიმე, საუბედურო ჯაჭვი გაბმულია მის ქმრისა და იმ ყმაწვილ-კაცის შორის. ხოლო რა ჯაჭვი? მორტალს უნდა ეშინოდეს ლავერდაკისა, თუ ლავერდაკი უნდა თაკილობდეს მორტა-ლის წინაშე. ეს არ იცოდა და რასაკვირველია, ამას ვერც შეიტყობდა მორტალისაგან. არც იმათ ღირდა რომ ეკითხნა, ან არას უპასუხებდა, ან არა და იცრუებდა. მაგრამ ჰგრძნობდა კი რომ ამ საიდუმლოში დაფარულია რაღაც უბედურება, რაღაც სამარცხვინო საქმე და იქნება ავაზაკობაცა. კლარას ყოველთვის შეშინებია დანიელისა, ყოველთვის ში-ნებია მისის ყოფილის ცხოვრებისა და ახლა უფრო მეტის ელდით უყურებდა მის წარსულს, უყურებდა იმ გრძნობით, როგორც კაცი ფრიალო კლდეზედ მდგომარე დაჰყურებს ხოლმე უძირო სიღრმეს, მის ფერხთ წინ პირდაღებულს. თუმცა კლარა, როგორც ყოველი ქალი, სუსტი და ნაზი იყო, მაგრამ ის მხნეობაცა ჰქონდა, რომელ-საც დაუბადავს ხოლმე კაცს შეგინებული გრძნობა პატიოსნებისა. ამი-ტომაც გადასწყვიტა, რომ რაც უნდა დამემართოსო, თვითონ ლა-ვერდაკს უნდა გამოვკითხო ეს საიდუმლო ამბავიო, რომელიც ძალიან აწუხებდა.

სურვილი მალე ვერ აუსრულდა, რადგანაც სამს ოთხს კვირას ლავერდაკი აღარ მოვიდა გორდონებთან. ბოლოს კლარამ იკითხა რა მიზეზია, რომ აღარ დადისო, გორდონის ცოლმა უთხრა სიცილით ყურში, თქვენ მოსწონხართ და გერიდებათო. ამ სიტყვებზედ თვითონ ლავერდაკმაც შემოაღო კარი, შემოვიდა და ორივე ქალს პატივისცემით თავი დაუკრა. იმავ წამს გორდონის ცოლი რაღაცისათვის გაიხმეს და კლარა, გაფითრებული, აღელვებული მარტო დარჩა ყმაწვილ-კაცთან.

— უკაცრაოდ არ ვიყო და ერთი მითხარით: რატომ არ გინდოდათ მე გაგეცანით, ჰკითხა აჩქარებით და მოშრით კლარამ.

— ბატონო...

— რატომ არ გინდოდათ? თქვენ გეთქოთ რომ თქვენი გვარი ვერაფრად ესიამოვნება ვითომ ჩემს ყურსა. მე ეს არ მესმის. მითამ რა გინდოდათ ამით გეთქვათ?

— მე, არაფერი, უპასუხა ლავერდაკმა: გთხოვთ, მომიტევოთ.

— არა, არა, თქვენ ვერ მიმიხვდით, რისთვისაც გკითხავთ, მე საყვედურისათვის კი არა გკითხავთ და არცა მაქვს ამის უფლება. მე მარტო მინდა საქმე შევიტყო.

— საქმე შეიტყოთ? განიმეორა ყმაწვილმა კაცმა და აირია.

— დიაღ, მინდა შევიტყო და თქვენ უნდა შემატყობინოთ. მე ჩემს ქმარსა ვკითხე, მაგრამ უარი მითხრა. მე მარტო ეს ვიცი იმოსაგან, რომ როდესღაც მამა თქვენს იცნობდა თურმე. თუ ამ საქმის გახსენება თქვენთვის სამძიმოა, ნურას მეტყვით და მომიტევეთ ჩემი კადნიერება. ხოლო თუ მარტო ჩემი საწყენია, გევედრებით ყველაფერი სისწორით მიამბოთ. ლავერდაკის გვარი საწყენი რად უნდა იყოს მორტალების ყურთათვის?

პოლ ლავერდაკი გაფითრებული იდგა ქალის წინ, ტუჩები უთრთოდნენ და ძლივს დამორჩილებული ჯავრი გამოჭკრთა მის ცეცხლსავით ანთებულს თვალში. პასუხი არ გასცა, როგორც კაცმა, რომე-

ლიც ეთხოვლობს სიტყვა პირიდამ არ ამომივიდესო, რადგანაც ის სიტყვა გულს შუაზედ გაუპობსო.

— მორტალი იცნობდა მამა თქვენს? ჰკითხა კლარამ.

— თვითონ ხომ გითხრათ? ჰკითხა თავის რიგზედ ლავერდაკმა.

— დიახ.

— ისიც გიამბოთ, როგორის სიკვდილით გადიცვალა მამა ჩემი?

— არც კი უთქვამს რომ მამა თქვენი გარდაცვალებულია.

— მაშ თქვენ არა იცით რა?

— არაფერი, სრულებით არაფერი! დაიძახა კლარამ: მაგრამ მინდა კი რომ ყველაფერი ვიცოდე. აქ რაღაც საზარელი საიდუმლოა... გემუდარებით, ნურას დამიმალავთ, ყველაფერი მიამბეთ!

ამ სიტყვებში იმოდენა მწუხარება და გულის-ტკივილი იყო, რომ ლავერდაკს ქალი შეებრალა. გორდონის ცოლმა მართალი ჰსთქვა; ლავერდაკი ნახვისვე უმალ მიიზიდა კლარამ, თუმცა მისმა გვარის ხსენებამ კვლავ განუღვიძა ფარული მტრობა მორტალისა, რომელიც პატარაობიდამვე ისე მიაჩნდა, როგორც მამის-მკვლელი. ბევრჯელ გაეგო, რომ ქაღალდის ვალი დარჩა მორტალზედ; რომ მორტალმა ის ვალი იმით მაიშორა, რომ უბრალო კაცი გარია საპოლიტიკო დანაშაულობაში და ძალად მოაკვლევინა; რამდენ ჯერ უნახავს მამის წითელი ჩანთა და შიგ მორტალის ბარათი, რომელიც კარგად გამოადგებოდა, თუ ჯავრის ამოყრას მოინდომებდა. ბევრჯერ უხვეწნია საყვარელს დედას, თავი დაანებეო, ჯავრის ამოყრას ნუ ინდომებო, დეე გამარჯვებულმა ავაზაკმა იფარფაროსო; შენ კი მარტო შენს თავს მიაქციე ყურადღებაო და ეცადე პატიოსან-კაცათ ყოფნასაო. თუმცა გულსა ჰსწვავდა ბოროტი, რომელსაც დედის მუდარების გამო, ეგრე დაუსჯელად უნდა ეფარფარნა, მაგრამ მაინც დედას ხათრი აღარ გაუტეხა და მორტალი მიანება თავის ბედის-წერას. ხოლო როცა მორტალის ცოლს კლარას შეხვდა, კვლავ აუფორთხალდა გულში დაუძინებელი მტრობა მამის-მკვლელის მიმართ. გარნა ეს მტრობა არ გადადიოდა ცოლზედ. როცა ყმაწვილი-კაცი დააკვირდებოდა ხოლმე კლა-

რას პატიოსანს და კეთილ-შობილებით სავსეს სახეს, ჰგრძნობდა, რომ კლარა მონაწილე კი არ იყო ქრმისა, არამედ გაუბედურებული და წამებული მის ხელში, და ყმაწვილ-კაცს უნებლიეთ გული შეჰს-ტკიოდა ამ ქალისათვის. ჯერ მართალ სიყვარულამდე ლავერდაკის გუ-ლი შორს იყო, მაგრამ ის გულის ღელვა, რომელსაც ლავერდაკი ჰგრძნობდა, სათავეა, საიდამაც სიყვარული იბადება ხოლმე. ტრფია-ლების პირველ ხანში კაცს მოწონებულ ქალთან მარტო დაახლოვება უნდა და არა მისი დაკუთვნება; ამ ხანში სურვილი წმინდაა და შეუ-ხებელი. ჯერ წარმოსდგება ხოლმე გამოუცნობელი შემსჭვალულო-ბა ორთა სულთა შორის და მერე გადიქცევა ხოლმე ცეცხლ-მოკიდე-ბულ ტრფიალებათ.

ლავერდაკი ხედავდა რა, გულ-აღელვებულს ქალს, რომელიც ემუ-დარებოდა, ეხვეწებოდა მართლის თქმას, ჰფიქრობდა, მოდი და ვუამ-ბობო მამის-ჩემის სიკვდილის ამბავსაო, მაგრამ ქალი შეეცოდა, გულს გაუხეთქს ეს ამბავიო, და ამის მაგიერ ეს უთხრა:

-- მგონია, მორტალს მამი-ჩემის ვალი ჰმართებია.

— ვალიო!

— დიაღ, ქაღალდებში რაღაც ბარათი ვიპოვე... მაგრამ არაფე-რი მნიშვნელობა კი არა აქვს.

ეს სიტყვები განგებ სიცილითა ჰსთქვა, თითქო არაფერიაო, მაგ-რამ კლარა კი მიუხვდა, რომ ლავერდაკი რაღასაც ერიდება.

— ეგ, უსათუოდ, საიდუმლო რამ უნდა იყოს, და საზარელი საიდუმლოც, იმიტომ-რომ თქვენ გეძნელებათ თქმა! წარმოჰსთქვა კლარამ და გულში ელდამ გაურბინა: ერთი იფიქრეთ, თუ მანდ სა-მარცხვინო რამე. ეგ სირცხვილი მეც შემეხება. მეც მორტალის გვარს ვატარებ! მე მანდა გულ-დაჯერებული ვიყო, გესმით, გულ-დაჯერებუ-ლი, რომ ეგ გვარი უჩირქო და ჩემთვის სათაკილო არ არის.

— ბატონო...

— გიკვირთ ჩემი ეს კადნიერება განა? მართალი ხართ. მე პირ-ველად გელაპარაკებით და გაგანდეთ კი ჩემი ფარული, შემაწუხებელი

ფიქრები. მე როგორღაც აზრათ მომდის, რომ თქვენ რაღაც საშინელი საიდუმლო იცით და გთხოვთ მიამბოთ.

ლავერდაკმა არ იცოდა რა ექმნა. მას შეეძლო, მას უნდა ეთქვა ყველაფერი, რადგანაც ამით შეატყობინებდა ქმრის ავ-კაცობასა და; იქნება იმას ხელიდამ ამით დაეხსნა კიდეც ეს პატიოსანი ქალი; მაგრამ შიშობდა ვაი თუ ამით თავ-ზარი დავცე ამ უბედურს და არა-რაის ეჭვის მქონებელს ქალსაო. ამის გამო ხელახლად იტყუვა, ანუ უკეთ ვსთქვათ, დამალა ნახევარი და უთხრა:

— მორტალს მამი-ჩემისა ქმართა და არ დაუბრუნა. ამის მეტი მათ-შორის არა ყოფილა რა, ამის მეტი მეც არა ვიცი რა.

— მეტი არაფერი. მართლა? აბა ერთი ის ბარათი მიჩვენეთ, რომელიც ქაღალდებში გიპოვნიათ.

— განა ისე კი არ მიჯერებთ?

— თუ ეგ ბარათი მართლა არის, მორტალი ქმარად უნდა გა-გისწორდეთ.

— ეგ იმისთანა ვალია, რომელსაც კანონი არ შეიწყნარებს.

— ქაღალდის თამაშობისა ხომ არ არის?

უმაწვილი-კაცი ჩაჩუმდა და არა უთხრა რა. რაც ჰსთქვა, მისის აზრით, ისიც მეტი იყო; კლარამ პირ-და-პირ თვალებში შეხედა და გულ-გრილად უთხრა:

— თუ არა ვცდები, მაგისთანა ვალი სინიდისის ვალია: უმორჩილესად გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ, ის ბარათი მე მიბოძოთ. მე თვითონ წარვადგენ საზღვევინებლათ. მე მინდა მორტალის მოვალეთ შევიქმნე.

— რაო? ჩემს მოვალეთ? იკითხა გაბოროტების ღიმილით მორტალმა, რომელიც უეცრათ ძრიელ თავს წამოადგა.

ლავერდაკმა სწრაფად მოიხედა, იცნო მორტალი და გაფითრდა, გული აუტოკდა და ჯავრის ამოყრის წყურვილმა მთლად შეიპყრა. რა გამწარებულის სიხარულით თვალს მისას გაადევნა მამის-მკვლელს, მაგრამ მის წინ იდგა ნაზი და მშვენიერი ქალი, და ამას მოერიდა.

მორტალსაც კი ენიშნა, რომ მის წინ ჭოლო ლავერდაკია. ისეთის თვალით შეხედა, თითქო მონადირემ ნიშანში ამოიღო ნადი-რიო. ერთს წამშივე მოისაზრა ამისთანა მტრისაგან რას უნდა გამოელოდდეს და ისეთ ნაირად აიჩიმა ტუჩები, რომ თითქო აინუნ-შიაც არ მოუყვიდაო ამისთანა სუსტი მტერიო. რაც შეეხება კლა-რას, იგი გაშტერებული, ხმა გაკმენდილი, გაფითრებული შეჰყურებდა ორივეს და იცდიდა, ვნახოთ რით გათავდებაო.

— თქვენი აკადემია თქვენ გელოდებათ, უთხრა ცოლს მორ-ტალმა და მკლავი მიაწოდა, მერე მოუბრუნდა ლავერდაკს და დაცინ-ვითაც და თავაზიანადაც უთხრა: უკაცრავად, მოწყალეო ხელმწიფევო, რომ ჩემი ცოლი მევე მიმყავს.

მორტალი მკლავი-მკლავ გაყრილი გამოვიდა და გამოიყვანა ცო-ლი, გაფითრებული და გაშტერებული, თითქო მკვდარიაო. ჯერ კა-რის დირეს იქით ფეხიც არ გადაედგათ, რომ მორტალმა ბძანების ხმით უთხრა ცოლს:

— შინ წავიდეთ.

კლარა არ ეურჩა. ეტლში ჩასხდნენ; მთელს გზაზედ მორტალს ხმა არ ამოუღია. შინ რომ მივიდა, ხმა-ამოუღებლივ მივიდა, ცოლს ხელზედ აკოცა და თავის ოთახში შევიდა. საცოდავს ქალს ცივმა ოფლმა დაასხა, რა ნახა თავის ქმრის ასეთი ყინულსავით ცივი გულ-დინჯობა და მთელი ღამე ძილი არ მოჰკარებია არეულ ფიქრებისა და ეჭვის ჯაფით. ყველაზედ მეტს ის აწუხებდა, რომ ლავერდაკმა ყველა-ფერი მითხრა, თუ რაც უფრო სამძიმოა, ის დამალაო: რაც უნდა მომივიდესო, ყველაფერი მორტალს უნდა გამოვათქმევინოო.

მეორე დილას, თვალი გაახილა თუ არა, მორტალი შევიდა ცო-ლის საწოლში და იმავე ცივის-თავაზიანობის კილოთი, როგორც გუ-შინ, ჰსთხოვა ცოლს ერთი ძალიან საჭირო-ბარათი უნდა დამიწეროო და მიაწოდა სტოლიდამ საწერ-კალამი და ქაღალდი.

— უკაცრავად კი რომ ძილი დაგიფთხეთ და გთხოვთ თქვენის ლამაზის ხელით ორიოდე კალამი მოუსვათ.

— რის დაწერა გინდათ?

— ყველაფერს მოგახსენებთ. როგორც თქვენ ისე მეც მინდა ლავერდაკის ნახვა; მაგრამ ჩემს სიტყვაზედ არ მოვა, თქვენ კი რომ მისწეროთ მაშინათვე მოფრინდება. ხომ გესმით?

— მესმის და მაინც არაფერს მივწერ. მე თითქმის არც კი ვიცნობ ლავერდაკსა. მე ვგრძნობ რომ აქ რაღაც მახეა გაბმული, რაღაც მანქანებაა.

— საშიში ნურა გგონიათ რა. ეგრე აჩქარებული ნუ ხართ. მე გეუბნებით, რომ ლავერდაკთან საქმე მაქვს. ცოტა რამ სამდურავი გვქონდა ერთმანეთში მე და ლავერდაკის მამას და იმ სამდურავის გამო ის ყმაწვილი მერიდება. რომ გაიმბოთ ეს, შორს წავა. ეხლა შერიგება მინდა და საჭიროა შუა-კაცი. შუა-კაცათ კიდევ თქვენ უნდა გავიხდეთ, ჩემო კარგო კლარავ! აიღეთ კალამი და დასწერეთ.

— კარგი, უთხრა კლარამ: აბა რა დავწერო?

— აი ეს დასწერეთ: „მე მსურს, მოწყალეო ხელმწიფევ, ქუბ-ნებოდა დანიელ: ის ბარათი ვნახო, რომლითაც მორტალს ლავერდაკის ვალი ჰმართებს. აქ რაღაც საიდუმლოა და მე მინდა მისი შეტყობა. ოღონდ დამინიშნეთ ადგილი და დრო და თვითონ მე მოვალ.“

— თქვენ საიდამ იცით, რომ ლავერდაკს ეგ ბარათი აქვს?

— მე გუშინ ყურს გიგდებდით, როცა თქვენ ლაპარაკობდით, უპასუხა ღიმილით მორტალმა და ხელი მოჰკიდა საცოდავის ქალის თითქმის გაყინულს ხელსა. აბა ეხლა თქვენი სახელი მოაწერეთ, კლარავ.

ქალი დაიძრა, უნდოდა წამომდგარიყო, მაგრამ მორტალმა ბრძიყ-ჟულად მოექცა და ძალად მოაწერინა სახელი.

— მაშ მართალი ყოფილა! წარმოსთქვა გულ-გაფეთებით კლარამ და გაოცებით შეხედა ქმარსა, რომელიც ბარათს აჩხეინად ჭკე-ცავდა: მაგ ბარათს ლავერდაკს გაუგზავნით?

ამ დრომდე კლარას ეგონა, რომ ქმარი ხუმრობსო და ჩემი გამოცდა უნდაო, ამიტომაც დაუჯერა და დაწერა იმ აზრით კი, რომ თუ გაჭირდა ბარათს არ დავანებებთო და სხვა არა ფერს რა კბილით გავგლეჯთ.

— აბა ეხლა ადრესი დააწერეთ, უთხრა მორტალმა ბძანებლობითა.

— არას დროს!

— თქვენი ნებაა.

თვითონ დააწერა: უფალს ლავერდაკს, ტოტვილის ქუჩა, № 20, თავაზით დაუკრა ცოლს თავი და დაცინებით ჰსთქვა:

— აი მზათაც არის, ჩემო კარგო კლარავ. თქვენ იქნება დავიწყებული გაქვთ რომ დღეს 31 დეკემბერია, მე გთხოვთ ნურც დღეს და ნურც ხვალ ნურავის ნუ მიიღებთ. თქვენ აქ დარჩებით და რაც საჭიროა, აქ მოგართმევენ. ახალი რომანები ხომ არ გინდათ, რომ თავი გაართოთ? იმედი მაქვს, არსად წაბძანდებით, ესეც კია, უთხრა შეკახედ ბოლოს: რომ გინდოდეთ კიდეც, სახლიდამ გარედ არავინ არ გაგიშვებს, ბძანება მიმიცია.

მორტალი გავიდა, კლარა მარტო დარჩა ოთახში და მისი ყოფა საშინელი ყოფა იყო. იგრძნო რომ მახეში გაება, იგრძნო რომ მორტალმა გულში რაღაც განიზრახა. აშკარად ხედავდა, რომ ურყევლივე წინააღმდეგობა და ხელის შეშლა ეხლა ამაოა. ის ბოროტი კაცი აისრულებს მას, რაც განიზრახა. მაგრამ რა განიზრახა? ჰგრძნობდა, რომ ამისთანა კაცი ერთს საზარელს რასმეს მოახდენს და ელდამ შეუკუმშა გული. ერთი ეს ნუგეშათ ჰქონდა, რომ ლავერდაკს გაუკვირდება ეს ბარათი, ვერ გაიგებს რა ამბავიაო, მომთხოვსო, ამიხსენი ეს რას ნიშნავსო და პასუხი რომ არ მიუვა ჩემგანაო, იფიქრებს, უსათუოდ ჩემი გაბრიყვება უნდოდა ვისმეო და ამ ბარათს დავიწყებას მისცემს. აბა როგორ დაიჯერებსო, რომ პატიოსანი ქალი მარტო უბრალო ცნობის-მოყვარეობის გამო უმაწვილ-კაცთან აპირებდეს მისვლასაო, სხვას ამის მეტს გულშიაც ხომ არას გაიტარებს

სთო, იმოდენად როგორც გაკადნიერდებაო. ამ რიგად დარწმუნებული იყო, რომ ლავერდაკი ბარათს ყურსაც არ ათხოვებს.

მართლათაც, მიუვიდა ბარათი თუ არა; ლავერდაკს მეტად გაუკვირდა. რასა თქმა უნდა, ფიქრათაც არ მოსვლია ის, რაც ამ შემთხვევაში მოუვიდოდა სხვას უმისოს. ის მიხვდა, რომ საცოდავი კლარა უბედური ქალია; რომ გულს უღრღნის ქმრის ამბავის შეტყობის სურვილი. რა თქმა უნდა, რომ იამა მარტოთ ესხავა კლარასთან მარტოთ ვლაპარაკებიო. ამას გარდა, შემთხვევა ეძლეოდა, რომ თავის დაუძინებელს მტერს; თავის მამის მკვლელს ყველაფერი შხამად ამოადინოს. რა კი ყველაფერს გაუმჟღავნებდა კლარას, ერთბამად მოუწამლავდა სიცოცხლეს ბედნიერს ქმარს და სულ-დაბალს მამის-მკვლელსა.

— ჰო, ჰო! სთქვა თავის-თავად ლავერდაკმა: დავუნიშნავ დროს და ადგილს და იმ ქალს ვინახულებ. მე ვაჩვენებ ბარათსა, რომელშიაც ის ავაზაკი აღიარებს ვალს, ჯვრის ურცხვათ გადახდილს, მე მორტალის ჯვარს ამოვიყურე ისე, რომ არც კი ზმანებოდეს.

დიდის თავაზით მოჰსწერა კლარას, მე ლოდინს დაგიწყებთ ერთის ჩემის მეგობრის სახლშია; ჩემი მეგობარი თვითონ რომში წავიდაო და სახლი მე ჩამაბარაო, და ბოლოს დასწერა რომ ის სახლი ბოყონწმიდაო და იმით არის შესანიშნავიაო რომ წითლად შეღებილი გალავანი არტყიაო.

ეს პასუხი რომ მიიღო, დანაკლ მორტალმა თავის ცოლს წაუკითხა, და რადგანაც კლარას დიდხანს დაწყევლეულს ვერ შეინახავდა, ჰხოხოვა, რომ მიჰსწერეო და ხვალ საღამოზედ დაუნიშნე დროო. კლარამ ეხლა კი გადაწყვეტილი უარი უთხრა, თუმცა მორტალი არწმუნებდა, რომ ლავერდაკს არა დაუშავდება რაო, მე მარტო ვალით მინდა დავუბრუნოვო, რადგანაც დიდი ხანია სინიდისს მიმძიმებსო. ხოლო რა კი ნახა, რომ ცოლი ძალიან მაგარზედ დგას, გულზედ მოვიდა და კინაღამ მოთმინებიდამ არ გამოვიდა, მაგრამ ფავი დაიჭირა და იმავე გულდასკვლავის გულ-კეთილობით აკოცა ხელზედ ცოლს, ჰსთქვა „შენი ნებააო“ და გავიდა ოთახიდამ.

მაშინვე გაუგზავნა კაცი ლავერდაკს და სიტყვით შეუთვალა, რომ თქვენი ნაცნობი ქალი დანიშნულს ადგილას მოვა ხვალ პირველს იანვარს ღამის თერთმეტს საათზედაო.

ის ღამე კლარამ დიდის მწუხარებით გაატარა. ისე მოეშალა ძარღვები და ავად გახდა, რომ თვითონ მორტალიც კი შეშინდა. მორტალს მაინც კიდევ უწინდელის აღტაცებით უყვარდა და სწორედ იმისთანა გულ-ქვა უნდა ყოფილიყო კაცი, რომ ეგრე გამოემეტნა და ეწვალებინა ცოლი, როგორც მორტალმა აწამა იმ დღეს. ბოლოს კლარა ისევ კარგად შეიქმნა და მორტალს გულზედ მოეშვა. კლარას კარგად დაეძინა და მეორეს დღეს სულ ჯან-მრთელად გაიღვიძა, თუმცა თავი კი მძიმედა ჰქონდა. სადილობამდე ქმარი არ უნახავს; იჯდა ბუხრის წინ და ფიქრობდა, როგორ გაიპაროს შინიდამ რომ ლავერდაკი ნახოს და გააფთხილოს. ბოლოს, მორტალიც შემოვიდა, ძვირფასი საჩუქარი საახალწლოთ მოართვა და თავაზით უთხრა:

— მომილოცავს ახალი წელიწადი, ჩემო კლარავ! დღეს როგორა ხარ?

პასუხის მაგივრად, კლარა წამოდგა, გაიმართა ტანში და მწყრალად ჰკითხა:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ პასუხი გაგიგზავნიათ ლავერდაკისათვის. დღეს მიდიხართ იმის სანახავად?

— დაგვიანება აღარ შეიძლება, უპასუხა მორტალმა: მაგრამ ნუგეშინიან. არც ლავერდაკს დაუშავდება რამე და არც მე.

სიტყვის გაგძელება აღარ უნდოდა მორტალს, თავი დაანება ცოლს და გამოვიდა ოთახიდამ. კლარას უწინდელზედ უფრო მეტად მოუკვდა გული. იქამდი გაშმაგდა მწუხარებისაგან, რომ ყველაფრისათვის თავი გამოიმეტა. დაარიგა თავისი გოგო, რომ ცოტა ხანს გაეტყუებინა სითმე კარის-მცველი, თვითონ ხელდახელ გადიცვა წამოსასხამი, გაიპარა სახლიდამ და გავიდა ქუჩაზედ. კინაღამ საცოდავს დამბლა არ მოუვიდა, რომ მარტო ნახა თავისი-თავი ქუჩაში ბნელს ღამეში. მაგრამ ღონე მოიკრიბა და გასწია ალალ-ბედზედ, რადგანაც არ იცო-

და ბოყონის ჯიბანი საით იყო, ამ სახით თვითონაც არ იცოდა როგორ და რა გზით მივიდა ელისეის მინდვრებზედ. საოცარი ეს იყო, რომ რამოდენადაც შორს მიდიოდა, იმოდენად უფრო უწუხარდებოდა გული. ბოლოს ყოველივე შიში გადუვარდა გულიდამ და ეხლა თუ ეშინოდა რისამე, მარტო იმისი ეშინოდა, ქმარს არ შეხვდე ლავერდაკის მაგიერო. ლავერდაკის ნახვას კი სულით და გულით ნდომულობდა.

— ახ ნეტავი შემხვდეს ვინმე, გავაქციო იმ უბედურის სამველათაო, ამბობდა გულში და მოუსვენარის თვალით აქეთ-იქით ეძებდა, იქნება ერთი კეთილი კაცი გამომაჩნდესო, რომ მიშველოსო დავიხსნა ის საწყალი უმაწვილი-კაცი ფათერაკისაგან და ვინ იცის, იქნება, სიკვდილისაგანაცაო.

სწორედ ამ დროს ნოელ რამბერი შეხვდა.

რასაც შიშობდა საცოდავი ქალი, სწორედ ის მოხდა. დანიელ მორტალმა ჩაიდო ჯიბეში დამბაჩა და გასწია ბოყონს. დანიშნულს საათზედ ლავერდაკმა კარი გაუღო და დაინახა თუ არა დანიელი, ფერი ეცვალა.

— თქვენ, მგონია, მე არ მელოდით! უთხრა დანიელმა.

— სრულებით არა, უპასუხა ლავერდაკმა და გონზედ მოვიდა მის შემდეგ რომ გულში ერთ-წამათ გაურბინა: ნუ თუ კლარამ ეს მახე დამიგო.

— მოწყალეო ხელმწიფევ, უთხრა მკვახედ მორტალმა, როცა უმაწვილმა-კაცმა შეიყვანა ერთ პატარა ოთახში: თქვენ ერთი ბარათი გაქვთ, რომელიც მე არ მინდა რომ სხვის ჯიბეში იყოს. ჩემს ხელნაწერებს მე თვითონ ვინახამ ხოლმე. მე ძალიან მადლობელი ვიქნები, რომ დამიბრუნოთ.

— ნუ თუ თქვენმა მეუღლემ თქვენ გამოგგზავნათ აქ თავის მაგიერ? უპასუხა ლავერდაკმა, გულ-ხელი დაიკრიფა და რაღაცას მიეყუდა.

— ჩემი მეუღლე აქ არაფერს შუაშია; თუ თქვენ ბზდეს მოხ-

ვლით, დამიჯერეთ, ეგ მარტო ჩემი უნარია. ეხლა ჩვენ მარტონი ვართ, ერთმანეთს გულ-და-გულ უდგევართ და მე ვითხოვ მომცეთ ის, რაც მე მეკუთვნის.

— უკაცრავად, ეგ ბარათი ჩემს ოჯახს ეკუთვნის და არა თქვენ; და მგონია მჯირათაცა გაქვთ გასაღებული; მერე ვინ გითხრათ, რომ მე მაქვს?

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ეხლაც თანა გაქვთ: თქვენ დაპირებული ხართ, რომ თან მოიტანდით და რადგანაც პატიოსანი კაცი ხართ, სიტყვას არ გასტეხდით.

— მადლობელი ვარ კარგის სიტყვისათვის, მაგრამ მაგისთანაები კერაფრად უხდება თქვენისთანა კაცს.

ეს რომ უთხრა ლავერდაკმა უნებლიეთ გადახედა ანდალუზურს სატევარს, რომელიც სტოლზედ იყო. მორტალმა ამ ამბავს თვალი მოჰკრა და როგორც კარგმა მოჭიდავემ ჩუმ-ჩუმად ჩაიცინა.

— ხელმეორედ გეუბნებით, ჩემთვის ძალიან საჭიროა ბარათი, რომელიც ეხლა ჯიბეში უნდა გქონდეთ, უთხრა მორტალმა წყრომით და ხმა აიმაღლა.

— მეც ხელმეორედ გეუბნებით, რომ თავის დღეში ვერ მიიღებთ, უთხრა ლავერდაკმა მისებრ ხმა-მაღლა: თქვენ ხომ უიარაღოთ არ მოხვიდოდით და აი მომკალით. თქვენი შესაფერი საქმე და თქვენი ხელობა ეგ არის.

— უბედურო! დაიძახა მორტალმა და ფერი ეცვალა.

— განა მე ყველაფერი არ ვიცი! განაგრძო ლავერდაკმა: განა თქვენს უნამუსო საქმეზედ არ შემიძლიან დავსწერო: კაცის-მკვლელია, მეთქი.

— მაგისთანაები აქ უადგილოა, წარმოჰსთქვა მორტალმა: მე მინდა ეგ ბარათი ხელში ჩავიგდო და თქვენ მომცემთ კიდეც.

ლავერდაკმა თვალი თვალში გაუყარა, გული მოიცა, კინაღამ სატევარსაც ხელი არ წაავლო და ხმა-მაღლა შეჰყვირა:

— არას დროს! არას დროს!

სწორედ ამ წუთში რამზერმა თვალი მოჰკრა, რომ შავ-წვერიანმა კაცმა სწრაფად წამოავლო ხელი სატევარს და როცა პატიოსანმა მუშამ შეამტვრია ფანჯარა და ჩახტა ოთახში, უმანწვილი-კაცი თითქმის მოკლული იყო კიდეც.

(შემდეგი იქნება).

# სხვა-და-სხვა ძველი ლექსები

## ლექსი მეფე თეიმურაზ მეორისა *)

მე უსწავლელსა ვით მეძლოს ვისმე ვსთქვი ანბანთ ქებანი,
ბრძენს უნდა ექო იმისი ციმკიმი ბრწყინვალებანი;
მინდა რუსთველსა შევჰკადრო სიტყვითა ბაასობანი:
ვჰკითხოთ რაზედ თქვა ლექსები ტკბილი ღრმად მეტყველებანი.

ვუთხრათ რად დაშვრი ტყუილზედ, რაც ჰსთქვი არ იყო წესითო.
ამას მოწმობენ ქართველნი, იმერელი და მესხითო;
არ აქვთ მას თქვენი ნათქვამი, ნეტავი მე მასესხითო,
დიდათაც გამომადგება რუსეთსა შისი ლექსითო.

ნესტან დარეჯან ვინ იყო, რომ აქო დაუცხრომელად,
ტყუილის ტარიელისთვის ჰსტირს ცრემლის შეუშრობელად,
რას ღრმა ლექსებით შეამკობს მათ ენა დაუშრომელად,
წყნარათა ვკითხოთ, არ გაწყრეს, არ დავრჩეთ შეუნდობელად.

აწ მოგახსენებ, რუსთველო, რაც ჩემი სიტყვა არი სად:
ნესტანჯარ ესრეთ გიქია არ თუ სხვის შესადარისად,
თინათინ მზესა წუნობსო, თქვენ ბრძანედ ქებად გმარისად,
ცუდმადს მიჯნურსა ახელებით ერთმანერთის გასახარისად.

*) ამ ლექსს სათაურად აწერია: ყოველთა მელექსეთა უმჯობესსა დიდსა ფილოსოფოსსა, მცოდნესა ბრძენსა რუსთველსა ზედა, ბაასი მეფის მეორისა თეიმურაზისაგან პეტრე ბურლს.

არ გაგონილა ინდოეთს ნესტან დარეჯან ქალადა,
არცა ტარიელ კაცს ერქვას, გიწოდებია ძალადა;
არაბის ტანში თინათინ არ იყო ბროლ-ფიქალადა,
ვერც ჰპოებთ ავთანდილსაცა მისის ქმნით განამთვრალადა.

არა ყოფილა ფარსადან ქმნას სამეფოზედ მჯდომელად,
არცა განთქმული ინდოეთს რომ ყოფილიყოს მფლობელად
გამოჩნდით მათთვის ღირს ქმენით რას ლექსის შესამკობელად
ტარიელ, ნესტან-დარეჯან ჰსთქვი ერთმანერთის მდომელად.

ეს შვიდნი სახელმწიფოსნი დიდნი კარვნი და არ ავი,
არც მჯდარა მეშვიდედ შეფედ სარიდან მტერთან მზარავი;
არც კაცი, არცა ჰქონია სახლი სამყოფი კარავი
გაკეთებული სიბრძნითა, არ არის დასათვარავი.

არ თქმულა მეფედ არაბეთს როსტევან სახელდებულად,
არც მისს ასულად თინათინ რომ სხვასთვის ეთქვას ქებულად,
ვერც ავთანდილზედ მემოწმნენ, იმისთვის თავ-დადებულად,
და დაგისხავსა ტყუილად მიჯნურებ ცეცხლ-მოდებულად.

თქვენი ღრმად მეტყველებანი უცხო რამ საკვირველია,
თუმცა მართალზედ თქმულიყო რად ტკბილი საყურველია;
ვეფხის ტყაოსნის ლექსები სხვას ლექსთა გამკიცხველია,
საქართველოსა კაცთათვის სატრფო და სასურველია.

შენი ნათქვამი საღმრთოდ თუ საეროდ მოიხმარების,
ჰსჯობდა მასზედა თქმულიყო, ვის მზე არ შეედარების,
ევროპიაშა რომელსა ზნელი არ მიეკარების,
ვინც რომე ნათობს ნიადაგ, შუქი არ დაემალების.

მიგება ბრძნის რუსთველისაგან, მისვე მეფის მეორის თეიმურაზისადმი, და მისგანვე პასუხად ნათქვამი.

ძმანო, არ ძალ-მიძს პასუხი, არ მწარედ, არცა ტკბილადა,
ეს ვერ შევიტყე მოდავედ ჩემზედ ვინ ატეხილადა?

ექვსასის წლის მკვდრის ბასსი, არ ოდეს გაგონილადა,
მელექსე მელექსისაგან არას დროს დანდობილადა.

ვინ არის ჩემზედ მეტყველი, მეტყობა დია მსურისა,
თუ ვინმე დიდი კაცია, მიგდება უნდა ყურისა;
არამც რომ დამკვრელი იყოს სტვირისა, ჭიანურისა,
ზედან ამღერდეს, შაირებს ნათქვამს, ბისტიკას ცრუისა.

დიდის გვარისა თუ იყოს, ან კარგად ხსენებულიო,
ან მეფე საქართველოსი, ან თუ უფლისა წულიო,
რასაცა გეტყვით უამბეთ ეს ჩემი სიტყვა სრულიო;
მკვდრის ლაპარაკსა რას აქნევს, კაცსა არ ედგას სულიო?

როდესაც საქართველონი იყო ხელმწიფის ერთისა,
მაშინ მას ჟამსა მე ვიყავ შინა ყმა თამარ მეფისა.
კურთხეულმცა არს ხსენება, მპყრობელი დიდის ქვეყნისა,
იმისგან პატივ-ცემული ვახლდი მდივანი სკეფისა,

ფილოსოფოსთა მესწავლა, წიგნი მეკითხა ბევრიო,
მოსწონდა ჩემი მდივნობა ვის მორჩილებდა ერიო:
მიბრძანა: რადგან ცოდნა გაქვს, ლექსები გამოსთქვენიო,
გინახავს ყველასა, მოგწონსცა სულ ჩემსი დანაწერნიო.

რადგან მიბრძანა არ მქონდა მე საქმე დასალონები,
ვწეროვე ამბავი, ლექსად ვსთქვი, ვეჭვ იყოს მოსაწონები,
საღმრთოდ, საეროდ სრული და რა ტკბილად გასაგონები,
კაცთათვის საკითხავადა სურვილით მოსანდომები.

უთქვამს თუ ცუდი შაირი მე ცუდად ვისზედ მეთქოსა,
ტარიელ, ნესტან-დარეჯან ტყუილად სიტყვით მექოსა;
ავთანდილ თინათინითურთ ზრახოს არ ესახელოსა,
რათ უნდა ცილსა მწამებდეს, ჯვარითა გამახელოსა?

როს ქვეყანაზედ ვსცხოვრებდი ვიყავცა გალაღებული,
ხელმწიფე მყვანდა მაღალი, დიდათაც გადიდებული,
მას დროს ქართველნი არ იყვნენ მტრისაგან შეწუხებული,
მხიარულნი და შვებულნი ლხინობდნენ გახარებული.

მამა შენს შენგან უკეთეს ჰქონდა მას სიბრძნე გულისა,
მასაცა უთქვამს შაირი მიჯნურთა დადაგულისა.
ვინც წაიკითხავს ჩემს ნათქვამს, მიგდება უნდა ყურისა,
ჩემმან ლექსებმან ერთი ჟამსა მამაცა გაგიგულისა.

რაც სიბრძნით ლექსები მეთქვას დაგიგდებ ქართველებსაო,
მიჯნურობისა საქმესა, სიტყვას დავსწერდი მთელსაო,
ევროპიაში ვის აქებს რომ არ შეუდრის მზესაო,
თუმცა აგრეა, ჩემს მეტი ვერ იტყვის შესაფერსაო.

თუ მე მაგ დროსა მეცოცხლა გავირჯებოდი მე დიდ,
ვისაც შენ აქებ, მაგაზედ, კარგ ლექსსა გამოვსთქვემდია,
რას სიტყვით შევამკობდი და შენ კარში გაგაგდებდია,
რადგან შენს საქებრად დარჩა, მას არ ჰქონია ბედია.

იოსებ ტფილელმა შეუთვალა ეს ამიცანა იაკობ შემოქმედელს.

სიბრძნემ თავისა თვისისა, სახლი იშენა გებული,
მას შვიდნი სვეტნი შეუდგნა, შვიდნივე მწინდა გებული,
სიკვდილით მოკლა სიკვდილი, დაიხსნა ცოდვით კრებული,
ამისი ახსნა თქვენგან მწადს, ვიცი კაცი ხარ მცნებული.

იაკობ შემოქმედელის ნათქვამი პასუხი.

სიბრძნე ქრისტეა და სახლი უბიწო მისი მშობელი,
მუნ შვიდნი საიდუმლონი ჰყო მტერთა დასამხობელი;
სიკვდილი ჯვარ-ცმა ქრისტესი ლახვართა დასასობელი;
თვით-მცნობსა, ცნობა გებრძანა; რას გკადრებ მე უცნობელი!

დავით მღვდელს ეთქვა ურია ყოფილსა, ზაქარია გაბაშვილის
მოძღვარზედ გიობა უფერული.

ძე ღვთისა ქვეყნად კაც იქმნა, ადამს მიესმა ძახილი,
სვიმონის და ნათლის მცემელისა, ხელ მკლავს ჰქონდათ მუდახილი.
ჩვენს პატრიარხს აუგედრიუნეს, გაავეთე გაბას-შვილი,
მან ჰკუმო თავისი მოწაფე, სატანას ქმნა ყმა შვილი.

ქართლსა და კახეთს მოძებნა, იპოვნა ერთი უცები;
კათალიკოსად დაგვისვა, განჰკვირდნენ ბერნი, ხუცები!
სამს ეპისკოპოს ერთს კვერას შეუკრნა ხელნი, ტუჩები,
ტფილელსა და სამებელსა, ურბნელს წაართვა კვიცები.

სად მართებდა და სად არა, მარად იძახდა ნუ ჰსწირავ!
სამღვდელო ასე ეგონა, ვით ნოემბრისა ბუზი რამ.
კირილეს მეტად მტერ ექმნა, მან უპასუხა წუწკი რამ,
იმ ზაქარიამ ხუცესმა ლომებრ ამოჰკრა კუდი რამ.

იმ ხუცესმან, მავნებელმან ვნებულ-ჰყო ქართლი, კახეთი,
ყველა ჭანგში დაიჭირა, ხელ-ფეხს უკრემდა მახეთი!
არც პატრიარხებს ჰსჯერია, საბერძნეთი და ვლახეთი;
უფრო ქვემ-ქვემ მიხრეკი იყო დამშვიდებულის სახეთი.

მან ცხადი უსამართლო ქნა, მდივან-ბეგს იოანეზე,
სრულ ხელი აღებინა სახლსა და არე-მარეზე;
შეაგდო და პატიმარ ჰყო, ოთხსა და ხუთსა მთვარეზე,
შეუტყო მეფემ ერეკლემ, პირს უსდვა მინდორს მწვანეზე!

არ შეუშვებდენ ქარავანს, განჯაშია წასასვლელად.
ორის თუმნის გულისათვის მეფეს მოუხტა სათქმელად;
არ მოეშვა, გაისტუმრა, ხანის ხელით დასატყვევლად,
მან ხელი ჰკრა, სულ დაჰყიდა, აღარ უტევა თავ მრთელად.

საქმენი ჰქმნა საკვირველნი, ცხოვრებაში დასაწერი;
ცილი დაჰსდვა ქართლს და კახეთს ჯოჯოხეთში გასაწვევი;
აღმოსავლეთის და დასავლეთის საძრახისად მისაწვევი;
თვითან ხელ-ფეხ შესაკრავი, დასარცხობლად ასაწევი.

ამპარტავნების ეშმაკმა გარ შემოავლო არშია,
ღომებრ უყვირა, აძახა, ვერ დაეტია ტანშია;
ცოდვის უფსკრულსა ჰშთაზიდა, ხელთ მისცა თვისი მაშია.
რა კაი საქმე იმან ჰქმნა, ნუმც გაერევა ჯარშია.

მიმოშლად იწყო გალობა ქართულს ენაზე თქმულები,
ზმაც შეშალა და სიტყვაცა, ჩაურთო შიგ სპარსულები.
მე ვუთხარ გლახას ნათამძეს: შენ იმას უგდე ყურები,
იშალა სრულად გაგიყდეს, გაუწყრეს წმინდათ სულები.

სულით, გულით და გონებით ანგარებას გარეულმან,
ვის ავათ-მყოფზედ ილოცა, ვერ მოიხედა სნეულმან!
სიტყვა სთქვას ასეთ-ასეთი, ვით ანგელოზში რეულმან,
ეს რა საქმე ჰქმნა იმ კაცმა ხუცესმა კვინოპ-გრძნეულმან.

ცილებით წულულება დამდვა გასრისხებულმან სონლეულმან,
ვერარც განმკურნა სამღვდელომ და ვერარც მეფემ ლომ-გულმან.
ჭანგი დამკრა სამსლით სავსე, რა ვჰქნა დამწვარ დადაგულმან?
ზედაც დამართო შიმშილი, ირაკლი სახელ-დებულმან.

გამოჩნდა ჩემი შემსმენი, რომელს მიეგო სამართლად,
არკადი სიძვით ნაშობი, ხელში მომეცა ბარათად.
ეკკლესიაში მიამბო ანასტასიამ ნამაქად,
მეფის და პატრიარხისგან სამართალს ვითხოვ მარაქად.

სამნი ცუდ ფილასოფოსნი სახლში იშენა მეტეხში,
იოსებ ჯანდიერის ძემ, სახლში იშენა მეტეხში;
კვირას დღეს მწირველი იყო, არკადი უდგა მას მხარში,
მის მაყურებელს მოძღვრის ცოლს კბილებში ჰქონდა ხაშხაში.

კბილეში იწულა საზრმთელად მან ეშვმან მაღნარისამან,
ისწავლა მან წყალში ცურვა, ვით შვილმან მენავისამან;
დედათ პირთ ფარდა ახადნა მოქმედმან მიმოსვლისამან,
მან შეიკრიბნა თაბუნნი მამქნევმან ბასრის ხმლისამან.

ზაქარია გაბას-შვილი უწინ იყო რის მოქმედი,
მან ჰგმო ანტონი მეფის-ძე მისი კეთილის მოქმედი,
ეშმაკეულსა გაეზრახა, მათ ქმნა წინა-მორბედი,
განსუქნა და ჯანსხვა, განზრქნა, დაუტევა შემოქმედი.

ხორცი ჰსთქვა ქრისტეს ჩვენისა გარე-შემოუწერლათა.
ყივთთა და აბაში ემჰსგავსა, სამხრეთს გაგარდა გულათა.
სული მისცა ჯოჯოხეთსა, ცეცხლი მოიწვა მწველათა,
რომელნი ერჩნენ მის სიტყვას, უკან შეუდგნენ დევნათა.

ვერ ვნახეთ მისებრივ კაცი ურცხვი, პირ მიუტეხელი,
ძმათ-მომკლე, დამკარგავი, ქართველთა მკვდართა მკრეხელი:
სისხლის სმითა გაბერილი, წაღმართ-უკუღმართ მხედველი,
ვინც მოატყუის იამის იუდეზრ ვეცხლის მხვეწელი.

ზენონს რა რჯიდა საწყალსა, უგუნურსა და სულელსა,
სამსჯავროს წარსდგა იქადდა, სიტყვას ანპარტავნულელსა.
წინა განმზადა უფალმან, სიტყვა მცა უნაგლეულესსა,
ხელთ მომცა საჭეთ მპყრობლობა, ნავს ვიხმარ უდაბურებსა.

ღმერთმან ლევიტელთ ტომებში გედეონს მისცა მხნეობა,
მადიამელნი აოტნა, ხელში წაართვა მძლეობა;
იერუსალიმი იხსნა, მან შექმნა მთვარე მზეობა,
შვილნი ქრისტეს შეუდგინა, მიეცათ ჯვარზედ მხნეობა.

შენ მოგიწერ საყვარელსა პართენს ელიოზას მესაჭ
ორს პატრიარხს ემსახურე იუდიანთ მეფის მზესა;
შენს მამათ პაპათ საუნჯე მცხეთას საყდარში გიძესა,
გაასპეტაკე, მიუპყარ ოდეს მოვიდეს სიძესა.

წიგნი მიერთოს მეფის მას და არ ურის შეტელსა,
ვლადიმერის ბრწყინვალებას, ქართლს მცხეთას ცხოველს სვეტელსა;
სასანთლეზე მნთობარესა, კელაპტარს დაუშრეტელსა,
მისს მტერთ თვალით დამშრეტელსა, მღის ცეცხლით მტკჳნეულსსა.

ამისი მაგიერი უპასუხეს დავითს, ზაქარია მოძღვრის ერთ-გულთა ვიეთმე.

ეგ შენი ენა, გულთა სატკენა მესმის, ვეჭვ მწვირე აღმოვიდენა,
არა გაქვს თმენა, მით რომ არ გრცხვენა, მოიჭერ ენა, ავთ ნაყოფთ მფენა,
მძაფრ იწყე რგენა, მოყვასთა რქენა, ამით შეუქმენ ყოველთა წყენა,
მოგჳკლდა ლხენა, შეგექმნა ქშენა, მოგხვდა პალატით შორს გადაგრენა.

ცას ჰქუხ მოგდე სრულიად, აწ იმყოფები ქალაქსა;
საქციელ, ქცევა-სიტყვითა შეგადრი პეტრე დალაქსა,
მეწვრილმანობა შეგფერობს რომ ჰყიდდე საკმელ და ლაქსა.
ნაყოფნი შენნი გაწამებენ, აღზრდილხარ ავსა ალაგსა.

ვარსკვლავთა ჰრიცხავ, ალექსის კიცხავ, ამით გჭირს მეტად საქმე ავები,
სახელი უცხო დაიგდე, ურცხო, როდეს წარმოჰსთქვი, სიტყვა მწვავები.
მოლომონ გწამებს არ ცილს შეგწამებს აზრუმში გისვამს ცხელი უავები,
მორდალი მოგწერს ამით გარ-მოგწერს დედუკას გშვენის დალალ-კავები;

რად იქმნები უცხოდ ზრდილი თაქთაქიანთ ვეცხლით ფრთილი,
შენ გაშინებს შენი ჩრდილი, ოსმალთში ხარ გამოცდილი.
ცუნდრუკობით გაქვს ხადილი, აღგისრულდა არ წადილი,
რადგან გხურავს თავს მანდილი, პალურსა გცვამს შენ თანდილი.

ქრისტიანობა მოგატყვა, არკადის შურით რკენამან,
არ მოასვენა მხატვარი მაგ შენმა შმაგმა ენამან;
მრავალი გავნო შენ, დავით, მაგისმა გამოჩენამან,
რა ქე იხილე მუნითგან მიგრიდა თვალთა ჩენამან.

მდივნის-შვილი წინა-მძღვარი შენზე მდივნობს, კალამს იღებს,
რაც სულში დაუმალავს, თავში გესვრის გამოიღებს.
ვინც რომ სიტყვით დაასრულე, მათ წილ დავას შემოიღებს,
შენის ფინთის გულისაგან მყრალს პასუხსა წამოიღებს.

ურიათ-გვარო, შემცდარო, თაქთაქთგან გამო-ნაცემო,
არკადის ნაპალურევო, ბაჯგაშვილისგან ნაცემო,
ლანძღვის არ დასაჯერებო, ჯოხით და კეტით საცემო,
მოჰკვეთე დავით შენ შორის ეგ . . . . . . . .

დავით ქვეყნისა მგინაო, სოფელმა შეგარცხვინაო,
საქმისთვის მუდამ მდრტვინაო, მილქუბო მყრალად მხვრინაო,
დათვებრივ ოთხზე მბრდღვინაო, კატებრივ ფრუტინვით მსრსინაო,
ქვეყნისგან დასაცინაო, სიმთვრალით პირქვე მძინაო.

ვიცი, არ დაჰსთმობ, დედუკავ, ესდენ შენზედა თქმულებსა,
წახვალ, მოსძებნი შემწყსა ქრთამად გაიღებ ფულებსა,
ბრმასა და კოჭლსა გელიას წააწყმენდილებ სულებსა,
მისსა კნეინა შენგან წყლულეს დაადებ მალ-მალ შულებსა.

ეგებ გეგონოს, დაუთხან, რომ გვეშინოდეს ბრმისაგან,
რა შეუძლია რა იცის, დამბრმალსა დიმიტრისაგან,
ეგების გქონდეს იმედი, მაგისის ავის ყბისაგან,
აკ-ყბას რა უნდა იკითხოს აზრამა მუშრიბისაგან -

მუდამ აყივნებ მამათა, მით ემჰსგავსები ქამსაო.
რადგან არ ჰსდგები, არ წუნარობ, შენი გაკრეჭა ჰხამსაო,
შენსა სიგიჟეს, ხუცესო, განჰკვირებულა ხამსაო,
შენ ჟამსა სიკვდილისასა ვეღარ იშოვნი ხამსაო.

ნუ ერწმუნები გელიას, მაინც იცის ნასები,
ნურც ოსეს ძესა დიაკონს რომ არის განზრახვები.

მანუჩარ მოგცემს წინწიბურს, რადგან გყავს ქმაკთ დასები,
გაშმაგებულხარ, ხუცესო, ორ ტყულად დაიყასყები!

შაირს ახშირებს, დედუკა, არ ლამაზ ანარნარებსა,
ზოგთ აქებს, ზოგთა საქიქთა ლექსით ხშირად მააგარებსა;
ბაზარში ჩხუბობს დამთვრალი, ხმარობს კეტსა და სარებსა,
ღამით სახლებში უხდების, ამტვრევს დახშულსა კარებსა.

მიდი, დავით, ბრმასა მიმართე არ ვინ გივის მისგან კიდე,
ართვენ ლექსნი პირველ ოთხნი და თუ სამი გაამშვიდე;
საღმრთო სული განიოტე, მადლთა შენგან აღმოფხვრიდე,
ჯოჯოხეთი გაისახლე, სატანასთან მარად ზმიდე.

გიყვარს ჭორი, მითქმა-მოთქმა და ზღაპარი მღედრი, დავით,
მხევლებრ მტერობ. ენას მახვავ, არა მამებრ ლესავ დავით,
გსურის შიგოთი მიცმა-მოცმა დიაცებრი ვითა დავით;
გაგიცუდდა რქენა, მღერა და ყუმარი მღერა დავით.

შემწყე მაჭყავ მიგიშველებს მარკოზიანთ ზაქარია.
შენი ყოვლი სიავკაცე თითო თითოდ აქ არია,
გაგიშმაგდა ჭკუა ხელად რა ცოფია რა ქარია?
თქმულნი შენნი უკელა კაი ადაიახნური შაქარია.

დავითს უჩივის გიჩებას ორბელიანი ჭაბუა,
ამბობს: მტრად გარდამეკიდა იუდიანთა რაბუა,
გვეტყვის: მიხედეთ, რასა ჰგავს ბუკიოტია რაბუა,
გვჯობს მასპინძელი მსტოვართა ნამუსით მღედრი რაბუა.

ბაზარში გპოვე დამთვრალი, ტალავრულმა და წიწამა.
დოლენჯის შვილმა მიქელმა სიბოროტეზედ გიწამა,
სამთავ იზახეს, დედუკა, ალავსო ჟოგლმა ბიწამა;
მისნი საძაგნი საქმენი ველარ დაჭყარეს მიწამა.

რას ამპარტავნობ, ქეშიშო, ქრცხინვალელი ხარ ურია,
ურიათ ქრისტიანეთა მუდმისად სისხლი სწყურია;
არ შენის ბოროტებითა, ეს, რა მოსასურია,
ესე ყველაი შენცნივ გჭირს, სხვათ ნურკვის ნუ ემდურია.

ავ-უბავ, ავ-გვარო, ავ-ენავ, რა დაიყვინე გინება,
როს შეექცევი ბოროტად ის არის შენი ლხინება;
ქალაწუნობა დყდლური ხომ შენმან გულმან ინება,
ავი ხსენება ამდენი ნურვისგან ნუ გეწყინებს,

ჩათუტო, ჩინჩავატურო, მრავალ ჯერ აზრუმს რებულო,
ნაქვრივალო და ნათრევო, თაქთაქის ძისა ხლებულო;
ძაგიას მურალო, სხვის შვილო, ორისავ სოფლის კლებულო,
რუსკიპებს და დიაცებში ავ-გვარად ბრალ-დადებულო!

ნაზიათ მრჩევლო, წერწეტო, ყელ ბროლო, მინავ სათუნა,
ტრიფიალთა შენთა მომკვლელო, მზისებრივ მოკამათუნა;
რა გნახა შენმა გელიამ, თვალები დააფათუნა,
განა ვერ გიცნობთ, დათუნავ, . . . . . . . . . .

დავითის შმაგად ქცევასა ნეტარ ვინ მოუწვდებოდისა,
თაქთაქის შვილის ნასყიდი, ტრაპიზონს რად დარბოდისა?
აზრუმში დასდგა, გამართა კრცხინვალს ამბავი მოდისა,
ძაგიას გვარის შვილია ჭკვა როდის შერჩებოდისა.

თუ შემცდარიც არ ყოფილა, ახლა ნახეთ მისი ჭკუა,
სახლიც დაღმენ გამოაგდეს, მხატვარი ჰყავს კიდევ შუა:
თავში ტვინი აღარ უძევს სირცხვნემა მოატყუა,
ტეტია ჰსცემს კბილებშია, მოუნდება საჭმლად ფუა.

ბერსა ხოჯას და ჭაბუას, გვწადს, დავაფ, შენი ყივნება,
ბევრჯელ გვინახავს აზრუმში შენი ფალავნად რკინება,

სტამბოლში გალანძღული ხარ, ჩვენგან რაღა გინდა გინება,
მარკოზის შვილის ცინგლები ტუჩზედაც დაგედინება.

შენებრ გიჟი არ მინახავს არცა ყმა და არცა პერი,
ზაქარია როდის მოგცემს, თავრიზს ჭპოკე შესაფერი;
სხვა კარგი რამ არ გეგონოს საჭმლად რომ აქვს შავი ქერი,
. . . . . . . . . . . . . . . . . . . *).

საშოვნელად მოიარე ოდიში, დიდი გურია,
ოსმალოში იწანწალე, ვერსად იშოვნე პურია;
ეშმაკს საჯდომად ჭყევხარ, როგორც რომ ქორსა ფურია;
გიჟი, შემცდარი ურია, ჩვენში ვინ გამოურია.

მაგიას განაყოფიხარ რად იქნები კარგი ნაშა,
არსად დაგრჩა უნახავი არც ვეზირი, არცა ფაშა.
. . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . .

დავით ურია ყოფილა, რად დამდგარხარ ავსა გზასა,
ბქავ ოსმალთ მიაშურე, იქ დაგხვდება ყველა მზასა;
უკვას გასმევენ ჩხირითა, გიმრავლებენ შენა სმასა,
ყოვლისა ავის მომქმედი ემჭსგავსები ავსა თხასა.

ეგე გაქვს ძველი რიგი განიზრახავ ყველასა ავსა,
რასაც სხვისას მოიგონებ ესევე გაქვს შენსა თავსა.
ურცხო, გლისპო, ბევრს გათრევენ გამჭსგავსებენ ნათრევს ფარცხსა,
ზეციერნი ქვეყანითურთ ეშმაკებთან შენცა გრაცხსა.

არა ხარ გმირი მამაცი, გეძახიან ჭკავსა ხრდალსა,
ავის ენის პატრონი ხარ ვერ გაივლი კეთილ გზასა;
რაც ავი გჭირს, ვერვინ ვიტყვით, ხელს ავიღებთ კიდევ სწვასა.
. . . . . . . . . . . . . .

---

*) აქ და სხვაგანაც სადაც წერტილებია სტრიქონის მაგიერ უწმაწური სიტყვებია ხმარებული და მათი დაბეჭდვა სათაკილოთ დავინახეთ.

. . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . .

არა თუ სახით წოგია და არცა მესხი ტროგია,
შენთვის აცვია კონკია, გასდის მას ცრემლთა კოკია.

ეს მეფის ვახტანგის ნაბრძანებია: საუკუნო იყავნ სახსენებელი მისი სუფევით. *)

მე უმცროესმან ძმათაგან, ვახტანგმან სახელ-დებულად,
ვჰქმენ ოთხ-წელ მცხეთა ურბნისა, სადგურ-გამარა გებულად,
ტფილისს სიონი ხელ-ახლა მევმერძე ქანდაკებულად,
ჩემ-თვისცა სახლი სარკისა, შიგ ლხინი მოწონებულად;

სტამბა მოვიღე ვლახეთით, ვამრავლე წიგნთა მელანი;
ქციის რუ ხუნანს წავიღე, გაღმითად მოვრწყე ველანი,
მაშავრის რუ ხოძ ტბას შევრთე, შიგ თევზი ჩავჰსხი ყველანი,
ქსე მთას მოვინადირე, ვხოცე ირემი მგელანი;

სამართლის-წიგნი დავჰსწერე, მსაჯულს არ უნდა ცილობა,
ვეფხვის-ტყაოსნის თარგმნობა, სხვა წერილთ არ ვჰსთქვა ცილობა;
ჩემ-თანა მყოფთა ჭაბუკთა, უქმნია კარგა-ზდილობა;
ბოლოს მიმიღო სოფელმან, სიმდიდრე მეფეთ-შვილობა.

თქმული შაირი ბარათასშვილის აბაშის შვილის [illegible] ძმაზედ.

წინას შებმაში მოვიდენ დავით, მერე აბაშის,
თითო ხელი სამგლავეში ამოეყოთ კაბაშია;
თითოს ოთხი თავი მოაქვს, შეიქნება რვა ბაშია,
ჩემიმც მტერი დაესწრება იმათ ომსა შებმაშია.

*) ამ სახით არის სათაური ამ ლექსისა დედანში.

## გოჩას თქმული.

მთიულნი ცხენსა მოგპარვენ, თუ თვალი დაიხუჭია,
მიბძანდი საციციანოს მოგართვან ბატის კუჭია,
საამილახვარო პიჭკები მკერდ სქელი, შიგნით ფუჭია;
დოიანთ ბარათიანთა ხმალზედ აცვდებათ მუჭია.

## თამარ მეფის საფლავზედ ნათქვამი.

როს გავიზარდე, გავივსე, თავი ცათამდის გავიღე,
მისრეთს ხმალი ვჰკარ, დარუბანდს, მუნ საბალახე ავიღე;
დასავლეთს პალო მოვჰსწვალე, რასხის წყალს გაღმა გავიღე.
ამა ყოვლისა მოქმედმან სული ვარძიას დავიღე.

# ისტორიის მასალა.

## ანტონ კათალიკოზის წერილები:

### წერილი I.

ზაქარიას ყოვლად პატიოსანსა ღირსსა მამასა.

ანტონი არხი-ეპისკოპოსი ვლადიმირისა და იერო-პოლისა უფლისა მიერ მოგიკითხავ.

თქვენის მაღალ-ღირსების ოდესმე ძეთაგანი მითვა წმიდითა მით პირველებრითა სიყვარულითა და ვჰსდებ დასაბამად სიტყვისა სიყვარულსა რომელ-არს ნამდვილ სატრფიალო იგი და ყოვლად საყვარელი არსება.

კაცო ღვთისაო, თქვენისა მაგის მაღალ-ღირსებისა მომართ განმაახლებ ძველისა სიყვარულისა, ვიკითხავ თქვენსა წმიდასა და უზადოსა ცხოვრებასა თუ ვითარ უწუხრად ჰსცხოვრებ ესდენ შფოთთა შინა და ტყვენვათა ქრისტეს სამწყსოთასა სახლეულითურთ თქვენით.

ველოდი მე მგონებელი, ვითარმედ წარმომიცემდი ეპისტოლესა ნუგეშინის ცემად მწირობისა ჩემისა, გარნა დადგა მოლოდებადი იგი ჩემი და მეცა მენება წელინდელსა ზაფხულსა ოდეს წარმოვჰგზავნე ტფილისელი ვინმე მოქალაქე საქართველოდ მოწერაი შენდა ეპისტო-

ლისა წმიდითა სინიდისითა, მაგრამ რომელმანმე მიზეზმან დამაბრკოლა და ამისთვის ვერ სადამე აღვასრულე ნებებული იგი მოქმედებით განმგულის-მსიტყველმან მიზეზითა მით ნიშნისა რაიმესა ხილვისათა. ნუ უკვე ჩემზედ გიწყრებოდა გული, რათა არა უმეტეს აღმძრველად-მცა გამოვჰსჩნდე. კვალად მენება ოდიგისაცა წარმოცემაი ატლასსა ზედან დაბეჭდილისა მცნობელსა ვითარმედ ჰსწადს ღირსებასა თქვენსა, გარნა იგიცა მითვე მიზეზითა დავაყენე, მით რამეთუ კაცისა მყოფისა უბადოებასა შინა არა რაიმე საამებელად გამოჩნდეს ვისდამე.

თუ სადმე ჩემისა ცხოვრებისა სმენა ენებოს პატიოსნებასა თქვენსა, ნასმენ ექმნების მისისა მის იმპერატორებისა დიდებულებისაგან შეწყალება ჩემი და კვალად ჰრწმუნება ერთა და სამწყსოთა, რომელი უკეთუ თვითოეულად და წვლილად შემოვიყვანნეთმცა მოთხრობად, — ფრიად განვრცნეს წერილი, გარნა მე არა ვმრთულობ ვითარცა იგი სულითა, ეგე სახედ არცადა სხეულითა, რომელი არა თუ სიმძიმისაგან ჰაერისა შემხდომიეს, არამედ ურთი-ერთ-არს მრავალთა სენთა ერთადზავებითა.

ვითხოვ თქვენისაგან მამობრივისა სიყვარულისა, რათა განასხოლოთ ჩემდამო. პირველი იგი სიყვარული და სიმშვიდისა ურითა შემუსრო კერპი სიძულილისა და თანად ვჰქმნა მეცა ეგრე და ორთავე ნამუსრევი იგი ბოროტისა მის კერპისა ძალთა მივუყარნეთ და ესრეთ ურთი-ერთის განწრფელებულითა სვინიდისითა და წმიდითა გონებითა წარვდგომა წინაშე საღმრთოისა საკურთხეველისა ღირსებით განვჰკმზადნეთ და შორით წმიდა იგი რაისა მიმართობაი ჩვენი კვალად განვიშორისოთ, რომელი იგი ოდესმე მრჩობლობდა ჩვენ შორის სულიერისაებრ მამობისა და ძეობისა განუკვეთელისა და მეგობრობისა მებრ განუშლელისა და ურთი-ერთის ვჰყოფდეთ ლოცვასა ერთმანეთისათვის, რათა თანად ორნივე ღრუბლითა ალტაცებად და ჰაერთა ზედა მიგებებად ღირს-ვიქმნეთ.

ყოვლად უნდოი არხი-ეპისკოპოსი ანტონი
ვლადიმირისა და იერო-პოლისა.

დაიწერა ქალაქსა ვლადიმირს, 1759.

## წერილი II.

ანტონი კათალიკოსი პატიოსანსა მღვდელსა, უპირა-
ტესსა ალექსის, უფლისა მიერ გახარებ.

ოდეს იგი იოსიას ვისმე მიერ ახლისა წმიდა წმიდათა და სახლისა უფლისა განწმდებოდა, საკურთხეველნი ბაალისნი დაემხობოდეს, ხერტუნი განისხირპებოდეს და მაღალნი დაემხობოდეს და ჩვენ ქურუმად მათ მიერ შერაცხილნი განვიდევნებოდით და შენცა ჩვენთანაზიარნებისა ჩვენისა იქმნებოდი, გარნა არა თუ ესენი ესრეთ, არამედ იტყოდა მათთვის სული-წმიდა: შემომიკრბენით მე წინასწარ-მეტყველნი ბაალისნი, რომელნი ჭამენ ტაბლისაგან იეზაბელისა, მათ-რამეთუ წინასწარ-მეტყველთა მათ სისხლისათა, რომელთა მალე არიან ფერხნი მათნი დათხევად სისხლისა მართლისასა, განჭრიცნეს რა აქაბისებრნი იგი ნაბოთეს ვენახისა მიხდანი ნემანის მიმართ, გეეზისებრნი ვეცხლისა საიდუმლოთა ზედა მოფარდულობანი და ვეცხლი იგი წარწყმედელი მეათორმეტისა წარწყმედულისა მის, მოციქულისა. არარაი ჰქმნეს სხვაი, გარნა სირცხვილისა საუკუნოსა დადებს საქართველოსა ზედა, განბნევა ჩვენ შეკრებულთა, არა თუ სახელისათვის ჩვენისა, არცა მათისა, არამედ უფლისა, რამეთუ სახელითა თვისითა მოსრულთა ჩვენ, სახელითა უფლისათა მოსრულნი, აღგვჭრნეს და განგვასხნივნეს და შენიცა სისხლი იგი დათხეული მაშინ აღვიდოდა წინაშე უფლისა სისხლისა თანა აბელ-მართლისასა და ზაქარიასსა, რომლისათვის იყავნ ნება უფლისა უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ხოლო შენ, საყვარელო მეგობარო, უწყოდენ სავსებით ვითარმედ მაშინდელსა მას შეკრებულებასა ქედ-ფიცხელისა მაგის ერისასა და გულ-მძიმეობასა მას დაუსწავლელებრსა. შურსა რაოდენიცა კიცხვანი და რაიცა ჰქმნეს ჩვენზედა, თავსა ზედან ჩემსა მოუყვანიეს მირითგან უმსჯავროდ: პატიოსნისა თავისა შენისა უპატიოებ უმგვეთ-

რეს განსჭრას შინაგანთა ჩემთა, რამეთუ არა კიდეგან მიზეზისა იყო დაჰსჯილება ჩვენი უკეთურებათათვის ჩვენთა. გარნა შენისა პატიოსნებისა კიცხევა ავაზაკთაგან და შემრთავთა სახლსა სახლისა მიმართ და აგარაკთა აგარაკისა მიმართ რომელ გეწია მიზეზითა ჩვენითა მეკდიმების ღვთისაგან ჩემისა და შენსაცა განკრძალულსა ღვთის-მოშიშებასა ვევედრები, რათა მოტევება ჰყო ჩემზედა ბრალისა მის, რომელი დაჰსდევ თავსა ჩემსა უპატიოება შენი.

ჰყავ უკვე სიყვარული, ძმაო, და მაუწყე განცდილისა და ვნებულისა ცხოვრებისა შენისა ჰსამბავნი და დაამენ წუხვანი გულისა ჩემისანი. გარნა ნუ ჰსწუხ ჩემთვის, ვითარმცა წარწყმიდეს მე მგონებელთა ვითარმედ მიჰყიდეთო მადიამელთა, არამედ უფროსღა წარმომგზავნეს მე ერისა მიმართ წმიდისა, რომელთასა გონებასა ზედა გამოწერასა და დადებასა მათდამი ახლისა აღთქმისასა წინასწარ-მეტყველებს საკვირველი იერემია. მე არცა ერთისა ადგილისაგან მაქვნდა გარეშეწერა განთვისებით რამეთუ, წესი ესე ერის კაცთა არს და არცა ჩვენი, არამედ ყოველი ქვეყანა ჩვენი არს, რომელიცა სავსებითურთ უფლისა არს.

მერმეცა ჰგონესვე მრავალთა მაგათ დალილათა, და ასკალონელთა, და აზოტელთა, და გეთელთა რამეთუ ძალნი მღვდელობისა ჩვენისანი, რათა იყვნენმცა კოწოლთა შინა თმათა ჩვენთასა; გარნა არა ეგრეთ, არამედ სხვა დიდება არს მზისა და სხვა დიდება არს ვარსკვლავთა, რამეთუ დათესვადნი იგი ხრწნილებით და განხრწნადნი სამარესა შინა არა ძალნი მღვდელობისანი არიან, მით რამეთუ მღვდელობა ნაწილი არს პირველი თვითოეულსა ზედა კაცად-კაცადსა მოფენილთაგანი სულისა წმიდისა ნიჭთაგან, რომელნიცა აქა განჰსწმედენ და მერმესა მას ანუ სიმზეესა, ანუ მთოვარებასა და ანუ ვარსკვლავესა მიანიჭებენ.

ხოლო მეუფესა მას საუკუნეთასა, უხრწნელსა, უხილავსა, ხოლოსა, ბრძენსა ღმერთსა პატივი და დიდება უკუნითი უკუნისამდე ამენ.

ჩუმმა კრებულმა არხიმანდრიტმა სტეფანემ, მიხაილ, ზაქარიამ და სხვათ სიყვარულით მოგიკითხეს, და ურთი-ერთს გაამხნევნეს.

ქ. ჩემს სულიერს დას შენს მეუღლეს და შენს შვილს გიორ-გის ლოცვა-კურთხევით მოვიკითხავ.

## წერილი IV

### პატიოსანსა მღვდელსა დეკანოზსა, პროტო პრეზვი-ტერეს ოთეც ალექსის.

ანტონი არხი-ეპისკოპოსი, უფლისა მიერ მოგიკითხავ.

შენისა ღირსებისა ეპისტოლე მომეცა მე, რომლისათვის ვმად-ლიერ ვარ, ვითარმედ არა დავიწყებულად მრაცხე, მკვდრად, დავიწყე-ბულად. მკვდრად მწუდარი ესე ნათესავთაგან, ძმათაგან, მეგობართა და მოყვასთაგან და თანად ყოველთა მართალთა და ცრუთაგან და ცხად-გიყოფიეს სარკესა ზედა გულისასა ხატი სიყვარულისა, დახატული ღვთის-სახისაგან ხატების მჴსგავსებითა ღვთისათა კალმითა იერია-დის მის კაც-კეთილობისა შენისათა.

და რად სადამე ეტკივი? ესე განაკვირვებს საიდუმლოსა გონებისა ჩემისასა, რომელმან არა სადა ვჰქმენ შენთანა ნიში სიყვარულისა, გარნა იგი უფროს დიდ-იყოს კეთილი, მით რამეთუ წარმართთაცა და კაცთა მოქალაქეთა და სოფლისა თანა შეკრულთა ეგრეთ ჰყვან.

ხოლო შენ, ვითარცა ასწავებ ეგრეთ ჰყოფ და ვითარკა ჰყოფ, ეგრეთვე ასწავებ.

მოვედით აწ სულნი იგი ყოვლად-წმიდა ჩვენ შორისა რამეთუ მი-სითა მით ყოვლისა გარე-შემცველითა და ყოვლისა მპყრობელითა მით ძლიერებითა დალა თუ სიშორე სადაობითა ჩვენი, მაგრა ერთითა მით წესითა ყოვლად-წმიდასა მას სულსა შორის ერთ და იგივე და მიმ-ღონდენ ჩვენ წროველსა მას ადგილსა, რომელნი არა ნივთიერისა რა-სამე შემინებისა ძლით მოყვას-ვართ აწ, არამედ საღმრთოისა მის

ბრძანებისა და მორჩილებითა თანად კრულ და თანა-მყოფ, რომელსა ვერ განჰხსნის ვერა რაი აქა ქვეშეურთაგანი განმკვეთი ხრწნილებაი, რამეთუ ზეცისა ეკკლესიისა მღდელ-სასწაულეთა წესი არს ესე.

ჩემისა უნდოისა ცხოვრებისა განწიალება უფსკრულთა და ღელვათაგან ძჳრთასა, რომლისა მომიცუდეს ღელვანი იგი განსაცდელთანი იუწყე დედის დისა ჩემისა გამო მოწერილისაგან ჩემისა ეპისტოლისა.

მჰგონებელთა უკვე კაცთა ქართველთა ჩემდა იონა ყოვად ჰგონეს დაცხრომაი საქართველოსა ზედა აღძრულთა მათ ღელვათა და პერვათა რისხვისა ღვთისათა და გამოიღეს წილი ზღვასა შინა ჰშთაგდებად ჩემდა. გარნა ჰშთაგდებასავე მყის არა დაჰსცხრეს და არცა დაყუდნეს ქარნი და ღელვანი განსაცდელთანი და მე არა თუ მოვიწიე ნინევად, არამედ მეთა შორის სიონისათა, სადა არიან მთანი საღმრთოსა სათნოებისანი გარემოს წმიდისა ამის შესაკრებელისა და უფალი გარემოს ერის ამის წმიდისა.

მთხარის ვნებათაგან არღარა სხვა-და-სხვათა განცდაი შენის ძჳრსებისა და მათცა მათ ვნებათა მოკლებაჲ, რამეთუ მემან ამდაფუნისამან ვულიანელმან ამან, რომელმანცა აღმართა მელი შენთვის, სრულიად ვერ მოვაშთო მასზედა, დაღათუ გბრძო, არამედ შეიმუსრნეს მრავალ ღონენი მისნი; საბრხენი და სხვაი მაქვს დადებულ შორის ჩემსა, რამეთუ განგრძელდეს ჟამნი. მაგრა იგივე დამოკიდოს მელსა მისვე ზედა თვის ძლითისა და შენ მის-მიერ განცდილი უმჰსჯავროდ შამხილებელ-ექმნე ბრწყინვალედ შემსმენელსა მას შენსა ცრუსა წინაშე პირ უთნებელისა მის მსაჯულისა ღვთისა; სიტყვისაებრ სულისა წმიდისა სიბრძნეთა შინა სოლომონისთა და ღრუბლითა აღტაცებული ჰაერთა ზედა უფლისა თანა ყოვასა მიემთხვივო, რომელსა დიდება უკუნითი, უკუნისამდე, ამინ.

ჩემს ნათლიას, თქვენს მეუღლეს, და ოთეც გიორგის თქვენს შვილს ლოცვა-კურთხევას მოვუწერ. მოლარეთ ხუცის კაცი გიორგის წამოსვლას აპირებს და ამის ხელით დაჰბადებას მოვართმევ.

მდაბალი არხი-ეპისკოპოსი ანტონი,
ვლადიმირისა და იარო-პოლისა.

დაიწერა ქალაქს ვლადიმირს.
მაისის 13, წელსა 1758.

## წერილი IV

### რუსეთით ანნა-ხანუმ დედოფალთან მოწერილი სამძიმარი მეფის თეიმურაზ მეორისა.

ყოვლად სანატრელისა საქართველოს კათოლიკოს პატრიარხისა, მეფის იესეს-ძის ანტონის მიერ.

ყოვლად ბრწყინვალესა მეფესა, მისს სიმაღლეს საქართველოს დედოფალს ანნა ხანუმს.

რაი დაწყება დავჰსდვა საიგაოდ ძნელ-ბედმან აწინდელისა სიტყვისა? რაი ნივთნი სიტყვათანი შევკრიბნე, ვიკადრებ და ვიტყვ? თუ ვჰსთქვა უმაგალითოდ დღეს ბნელ ბედობა კვეთებულისა მომართ, რომელი აქამომდე უდიდესსა შინა დღე კეთილობასა ჰყვაოდა?

შენ ამაღლებულსა ვისმე მაღალთა მეფეთა მოსაყდრესა პორფირისაგან, გულის განსალახვრელად განშიშვლებულსა, მეფა თამარის საყდრით ქვე დაკვეთებულსა, შენისა მის წილ დიდისა ოლიმპიურისა ბრწყინვალებისა საზაროთაგან, ბნელთა ღრუბელთა დაივარულსა, პორფირ გარდაგებულთა ცხედართაგან, ვაი, ვაი! სავალალოთა და სატყებართა მთხრებლთა შთანარცხებულსა გეუბნვი გონება უქონელი, ყური მომიგდე უბედოსა საიგავოდ, პატიჟებულსა ხელმწიფე-მშობელთა. მშობელთა თუ ჰსთქვა, რომელთაც მიხედვა თვინიერ მახლობელთა ბნელ იყო, ვაი, როგორ ვჰსთქვა, მრავალთაგან გინებისაცა მიზეზსა დაობლებულსა, ატირებულსა, უცხოსა ყოველთა წინაშე ანდაზასა! მეფე თეიმურაზ, ჩემი სატრფიალო, ბიძია, ჩემი ბიძა, ჩემი მამა! ასეთი მამა რომ... ღმერთო ნუ მიწყენ და ძმადაც მოვესწარ, მეგობრადაცა. ღმერთო, ნუ განრისხნები ამხანაგადაცა. ჩემი ამაღლებული ხელმწიფე! ჩემი კეთილ-მსახური და ქრისტეს ერთგული მეფე! მართალი, მშვიდი, ძლევა შემოსილი, თვალ-უხვავი, მოწყალე, მოსამართლე, ჩემი ხელმწიფე მეფე თეიმურაზ ოც-და შვიდისა წლისა ჭაბუკი ვნახე, როდესაც მე ძნელ ბედათ შობილი შვიდის წლისა ვიყავ! მაგონდება მისი იერიქოს ვარ-

ჭის უმეწამულესი ტუჩები! ზედ მაჯრით ამბრის მარცვალნი რომ გადა-შლოდა ლალის უელვარეს ბაგებს რომ გახსნიდა და სპარსეთის ზღვიდამ ამოღებულის მარგალიტის უბრწყინვალესს კბილებს რომ გამოაკრთოლებდა. შვენიერად მოხდომილს სახეს რომ ქვე ეგტრას ჯავშნის უშიერილესი ჯუბა შემოხვეოდა და ზე ახილღესის მოზიდული მშვილდი მოწვდილი იყო, ქისმონის ტბათა რომ ეთიოპიის ლაშქარი შემოხვეოდა, ტანი სიმხნისა და სიხარნარისა კერძოებად მქონი ლომებრის მოძრაობით მიმოვრდებოდა, იძრვოდა და მისებრ დაუდნებოდა; სიფაყის უვავილით და სხვა და სხვას ბრვიალით რომ მეჭურეტთ განაკრთობდა, იცინოდა დიდის ხმით, ხარხარობდა თავის უსაშეალოდ; გულით ზე შეწეუდს დას სხვა და სხვას შესაბნედს სიხარულის ელდას უხშირებდა. ვნახე კვლავ ოცდა თოთხმეტის წლისა ამავ შეხახედავით, ამავ თვალ-ტახედობით, ამავ ხელმწიფის შვილობით. ხან ცხენზედ მჯდომი, ხან თოფ იარაღ მორტუმული, ხან შვენიერად მომღერალი შევჭსცხრებოდი. ბატონო, კიდეც თუ ჭსთქვა, ვეთამაშებოდი, შევხაროდი, მამის ტოლობით, მამა მეგონის, როდის ჩემ ხელმწიფეს თავის დასთან ვნახი. იქ მმობის კადნიერებასაც მაღირსებდის, ამად რომელ მეფე თეიმურაზ თავის დასთან ემაწვილურად ნებიერობდა, ძმურად და გაზრდილურად თვალით შეახებდა; გულს უმრთელებდა ჭირთაგან, ჭხშირის სულთქმის ჩვეულებას უუნებდა, უმაწვილობდა, ხარობდა, სხვა და სხვას განსაცხრომელის სიტყვით თავის დას ახარებდა. კვლავ ვნახე, რომ შვენიერს სახეს კიდეც ულამაზებდა, აქა იქ მხცენი შემოსვლოდა. საჭაბუკო და სახელმწიფო ქცევანი ერთად გარდაჩავებოდა, ხელმწიფეს ცოლთან ერთმანეთის შესაფერობით ერთად მსხდომნი და მე მეჭურეტსა სიხარულის ლაშქარი შემომესეოდა და ყოველს გონების ნაქონებს მომირბევდა; ობლობითის გული, დაჩაგრულობის ჯაჭვნი მერღვეოდა, მამა დედათ, ძმა დის ერთად ხედვა ემაწვილობის ყვავილს სხვა და სხვა ფერად განმიშლიდა, და როდესაც სულისა მიერ ყოვლად წმიდისა საქართველოს საყდრის სამეფოს მპყრობელად მიიწოდებოდა. მა-

შინ მე დიდს და მაღალს სასანთლეზედ დადგმად მიმიყვანებდა. ვაი, ვაი! ჩემგან ცხებას სამეფოს მიიღებდა, რომლისაც დიდად სამართლიად შემწყნარებოდა და ის შეწყრომა რას სიტკბოებას წარმომიდგენდა. მამა მისარჩლიდა და მათი ამაღლებული ეზო, ჩემის დიდის ბედნიერების ნითთაგან ივსებოდა; ერთისა შეწყრომა დედობრივ მოწლე, სახიერი ნაწლევთაგანი და მეორის სარჩლევა მამისაგანი ქეს ზედა სანებიერო, სავსე წყალობითა და მშობლობითითა მოწლეობითა და რაღა ვსთქვა ამას იქით ჩემი გაუკეთურება და მამისა სახიერება ჩემი, მამისადმი საკლავად თავის მიცემა სხვა და სხვას მიზეზებითა და მტერთაგან ჩემთა სიკვდილად აღძვრისა მისისა მეცადინეობა და მამისა დაღათუ მათდამი მიდრეკილება, მაგრა ჩემ აზესალომს ზედა იგივე, სულ-გრძე-ლება, იგივე სახიერება და რა რუსეთის იმპერიაში შემობრძანდა, მა-მობრივ წყალობითის ჭეშმირის ქრისტოლების ბოძება, თუ ჩემს უბე-დობას წინა აღმდგომი არ ექმნა ჩემის ნახვისა მონარხისა მიმართცა მოჭხსენებითა დიდი სურვილი.

ვაი, რაღა ვსთქვა, მრავალნო ხელმწიფენო! აჰა სატრფიალო თქვენი დიდება მეფობისა თქვენისა, გვირგვინ მპყრობელობისა, შვე-ნიერება სიხარულისა, სამდიდრე—ბედნიერობისა, წარჭხდა, მოიმანგლა, განიწვალა, მძვინვარედ იხრწნა უცხოთა თემთა შინა, მოიღო დაცხრო-მა მისმან მართლ-მადიდებლობითმან მდიდარმან ცხოვრებამან. თქვენი ნებიერი ძე თეიმურაზ ანატომითაც განიცადა, ეს ვნებაც შეეხო, ესეც ისაჭიროვა ამითაც თქვენნი დიდებულნი სამარენი ვაების ზედა დასა-მახელ იქმნეს.

ჩემო ხემწიფევ დედოფალო, განმაცვიფრებს თქვენი გონებად მოლებაი და ის გამოუთქმელი საზარი ხმაი და თქვენგან ჭსმენა. ნუ მიწყენ კადნიერებას მეწყალევი; ცოცხალევი და მემკვიდრენი მკვდარი; ულისაბედის მპრტარა იბლობს სულის გვედრს მიყენებს, თავისი ხელ-მწიფე მამა რასაც თუ არე ჭნახვედა საკვიზმაკს ჩასაცმელს და იარაღს ელისაბედს მასტანად თური ხარობდა.

მოკვდა ჩემი ხელმწიფე, მეფე თეიმურაზ! იმის ყოვლად დიდებულის კუბოს თაყვანისცემა არ მეღირსა ჩემმა ძნელ-ბედობამა, ვერ ვჰმსახურე სნეულსა ჩემის ხელმწიფის თავისას დის სანაცვლოდ, ჩემის უბედურების წყაროდ სავალავადცა ვერ მივჰყევ, რომელსაც ოდესმე ჩემგან დამარხვის მოლოდინი დიდად ბედნიერობად აღუჩნდებოდა, ერეკლეს და ანნას შუაზედ ვერ დავჰსჯედ და მათთან დაობლების სატირლად ვერ ავსტუდი, რომელთაც თანაჰსწორი შვილება ოდესმე ჩემს ხელმწიფეთ მამა დედათაგან ბუნებით და არა შეძინებით მომელო, თქვენ გულ-შემოყრილსა და მწარედ შთობილსა ვერ მოგიარე, შეჭირვებულსა ნუგეშით ვერა გმსახურე და ელისაბედის ობლობის ნუგეშად ჩემის სამსახურის ჩვენების მეცადინეობა ვერ წინა დავიდევ.

ვჰსტირ, ვჰკვნესი, ვჰალალებ მეტად უცხოებაში სიკვდილის მომლოდნე, დედა აღარ მყავს, აღარც ის დედა მყავს, რომელიც მცხეთას თვით მე მივასამარე. მამა, თუმცა ექვსი წელიწადია აღარა მყავს, მაგრამ ის ობლობა სიცოცხლით ამ დღეს ბედნიერობად მიმაჩნდა, ვახტანგ აღარ მყავს, დედიდა ხვარაშან მომიკვდა და ჩემი სიყვარულის ზატიყი მკვდარსაც მიეხადა რომ მეფის ერეკლეს ქალი სამის ხელმწიფის ძმების დაი, ორის ხელმწიფის ძმისწულების მამის დაი ცილდაწამებული ძაღლთა და მხეცთ მისაგდებლადცა დაისაჯა.

ჰრჩევით მოგახსენებ, სიცოცხლეს ამისთვის მაშინც ეცადე რომ ელისაბედ კიდევ არ დაობლო, ღმერთსაც არ იამება რომ არ გაუფრთხილდე. უსახო რა ქმნილა, თუმცაღა ვერ მოგახსენებ, მაგრამ პავლეს თესალონიკელთა მიმართის სიტყვასა წინა დავიდებ და იომინე ქრისტეს ტრფიალეთი და მოწამეთ.

რაც მმართებდა, რა თქმა მინდა, იმას სად შევიძლებდი, მაგრამ მადლმოდებულის წიგნის მიზეზი ეს არის, — არ შემეძლო, სიცხეს მაძლევდა ამ დღეებში.

## წერილი V

## ალმასხანთან მიწერილი

უგანათლებულესო ძეო მეფისაო!

ჩემო ხელმწიფის შვილო, ყოვლად სატრფიალო ძმის-წულო!

ჩემის ყოვლის გრძნობადის უპიროსა ამოვნებისა თვით მფლობელო ხელმწიფევ, ჩემის გულის უმწვერვალესის ერთგულობის საყდარზედ მჯდომარეო, შენი ჭირიმე, შენი სკვდა მე და შენა ქარები მე.

შენმა წიგნმან მეტად შენს საალერსოდ ალმძრა, გული შენკენ მორბის და მსურს რომ შენს ვარდზედ ჯინჭველ შეყრილს და შროშანზედ დაყრილს ამბრის მარცვალს გრძნობადის საყნოსით ვჭვნოსვიდე და იათაგან უმჟუჟრესსა და უსუნნელესსა, ყოვლად შვენიერს ქოჩორზედ ბაგეს შევახებდე.

ვაი რა კარგი სანახავი იქნები ეგ ჩემი საკუთარი ვარდი მთიულის ნისლისაგან ცვრეული და რომლისაც შენს უმაღლესს მშობელთაგან სამღრთოს განგებით დარგულს შვენიერს წალკოტში შენთან შემოსილს ყვავილებთან ხამთყვი ვარდიდა ინერგვი, მაშინ რა უცხოდ გაიფრჩქვი და მამის შენის ერთგულთ მჭვრეტელთ გულებს რა აამებ და გაახარებ. მე რა ვიცი, სადაც სიტყვა საქმეზედ უმდაბლესობს, მუნ დუმილი შესაფერის.

მინდა რომ შენს განსაკვირვებელს, . . . *)ფილოსოფოსობდე და შენს შვენიერ სიტყვაობაზედ ვრ . . . . . . . . . . . . . . . . სჭძლევს სიტყვასა და დუმილი შესაფერად ვრაცხე.

ეს ჭეშმარიტი უწყებაა, თქვენის უგანათლებულესობის მეტი თითქმის არა მეჩვენება რა, არა მესმინება რა და არა შემხვდება რა. რომ გონებას შენ მისცემდე, ასეთი ვნება სნეულებითი ანუ შინაგან სულისა შფოთია ანუ გარეგან შესდომილნი. ბრძოლანი მოიწყვიან

*) აქა და ქვევით საცა წერტილებია, ჩვენდა სამწუხაროდ, სიტყვები გამოშვებული იყო დედანში, რომლიდამაც ჩვენ ამ წერილებს ვბეჭდავთ; საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ დედანი ვერ იყო საკმაოდ კარგად გადაწერილი და ამიტომაც დედანის ბრალია, თუ სადმე ფრაზა კარგად ვერ არის დასრულებული.

ჩემზედა, რომ შენის ჩემზედ მოწყალების ნუგეშინის ცემა არა ჰსმლევდეს და არ უკუნ აქცევდეს.

შენის მშვიდობისა და სიმრთელით ცხოვრების და შენის მაღლის დიდ-გვარობის და განსაკვირვებელის ზრდილობის და შენის ჩემგან არა თუ მოწონებულისა ოდენ უცხოს სატრფიალოს პოლიტიკოსობ, ის შესაფერი ქცევა მესმის, რომლითაც ყმათა შენთა გულები მონებრივის ერთგულობის და სიყვარულის საკვრელით გულსა შენსა თანა შეწებით შეგიკრავს, რომლისათვის ცრემლით და სიხარულით მმადლობელ-ვარ ძალისაებრ ჩემისა, განსაბრძნობელისა შენისა სულისა მიმართ ღვთისა.

ჩემს ამბავს ვიცი იკითხავ აბა, შენი ჭირიმე, რადგან შენ მოგშორდი როგორიღა უჭირველობაა.

ვიცი თქვენს სამთავროში მანდაურთა ხელოსანთაგან ქმნილნი ინდურნი შალნი და სპარსეთისა ბადილანი და ფრანციისა და ვენეციისა ოქროსა და ვერცხლისა სხეპლათა ოქრო-ქსოვილნი ლარნი მოგერთმევიან. ხომ უმაწვილი ხარ და ამაებზე დიდად შეექცევი და ჩვენ სადაღა მოგაგონდებით და ამას რაღა თქმა უნდა, რომ ხევურთა პალატთა და წყალგოტთა და სავარდეთა სისტემანი და განკარგულებანი, და მანდაურთა ბრძენთა მესტიხეთა და პიიტიკოსთა, რომელთამე სიტყვითნი ქების სიტყვაობის მოხსენებანი და შაირ-სიტყვაობათა მუსიკათა შინა დატკბობანი გულსა შენსა ჩვენთანა ყოფისაგან წარიტაცებენ და ვერღარა გჭპოვოთ საჩვენოდ.

აქაურს ამბავს მოიხსენებთ, თქვენს დას ქეთევანს ხომ ვაჟი ეყოლა და თქვენი ნათლია და გარსევანის ჯამდელი ფათმა ბებიაობაზედ შეიცილნენ და ნათლიამან დაინება.

ჩემი შენთან საუბარი სრულებაზედ მივიდა და ჩემი დღეინდელი სიხარული და ჩვენგან სიტყვაც დაჰსდგა.

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი თქვენ თანა, ამინ.

## წერილი VI

### იოანე მდივან-ბეგთან მოწერილი ვლადიმერიდამ.

ბრწყინვალესა მთავარსა იოანე ორბელიანსა, მსაჯულთ უხუცესსა ყოვლისა ქართლისასა, უსასყიდლოსა მეგობარსა ჩემსა!

ანტონი არხიეპისკოპოსი სიყვარულით მოგიკითხავ.

ჰხსენება შენი პირსა შინა ჩემსა ვითარცა თაფლი დაჰსტკბების და ვითარცა მუსიკისა ლექსსა შინა ღვინოი და ოდეს შენისა მის სიბრძნის-მოყვარის გონებისა თანწყობილი მიდმოიბდეს, რა გონებასა შენსა წარმომიდგენს თვის შორის წერილსა აღუშლელსა ხატსა და ქსრეთ წარჰყუვების მას და შენისა სიბრძნის-მოყვარებისა ჰშთაგონებს წალკოტსა მას. უკვე ვიტყვი სადა ღვაწლნი შენისა ფილოსოფოსობისა დაჰკრგვენ და ჰფშოდი მათ მიერ ჩემ-შორის უსასყიდლოითა მით წმიდითა სიყვარულითა.

რაიმე გრქვა, ანუ რაიმესა გამჰსგავსო. შენნი სიტყვანნი შორით მოსრულნი დისა შენისა ეპისტოლესა შინა წარვიკითხენ, რომელნიცა ვამჰსგავსენ შორით მოხმულთა კასიათა და ხმელნი იგი ლექსნი ნასხმანთა ჩემთაებრ ხელოვნისაგან მწიგნობრისა ნაწერთა უსწორენ და უფროს ჩემსა გავშორთა შესაბამებისა შევიყვარენ, გარნა შენ ჭოიდიდად მეტყველო და სოფლის-მოყვარეო, რაიმე ჰსთქუ შენისა, ანტონის-თვის, მენ-თვის დავითისებრ ორნათანის ზედა მტირალისა.

რად ხადამე არა ჰგონებ ვითარმედ ესწვი იგი, ოქროისა გამოწვდილისა სიყვარული, რომელიც მაქვს შენდა, არა რაიმეითა განიხსნას თვინიერ მანგლისა მფრინველისა და ძვირ-ფასობა იგი ქვისა მის, მრავალ-სასყიდლისა შენისა მეგობრობისა, არა იეფ იქმნას ჩემ-შორის, არცაღა წარხვეწასა მიეცემ ვისგანმე ვიდრე საფლავი განმაშორებდეს მას.

გარნა შენ შვენების-მოყვარეო, რად მიემჰსგავსები ჩემდა წელიწადისა მოქცევასა, არა თუ მზისა მუნვე თვისადმივე ადგილ სიმგრგვლედ

ქცევასა, ჭრამედ უფროსღა დღეთა წარსრულთა და უდგრომელთა, და თანა ჭუკები ჩემდა ძროთა წელიწდისათა ოდესმე სიგრილისა, და ოდესმე სამხურვალისა მიმღებელი, ოდესმე ზამთარ მექმნენი მე და ოდესმე შენზედ მშვენიერ გაზაფხულ და ყოველითურთ არეობასა მიემსგავსები, სადა ყვავილნიცა მცირედ შენობასა და სადაფნიცა მარგარიტთა ბნევასა მიეცემიან. გარნა შენ არად შემწონი არცა ერთისა კლეოპატრას სადმე სირიელ მშვენებელისა დაიდგამ სადარსა და შენდენ წარმოდგომილთა ხატებასა იქმნები ცხოველ მხატვარ და ესრეთ წარმოიტყვებ შენგან ერთგულებით შემყვარებელთა შენთა.

ვინაიცა უდაბნოება შენისა სიშორისა და განშორებაი შვილთაცა თორე მარილთა და ტყვათა უჩინოჩვეულება, განიდა და მხოლოდ გონებათა შინა ოდენ დამთიენი ცხოველობისა მხარეობსა მე მხოლოსა და შენ არს რათა მგამელი ზმასაც მხიარულითა შარითა ლიმილითა მხედ ახალთა მეგობართა, დავიწყებისა ქართა მომბერავ და აგრეთვე სიმხურვალესა მოუშვებ შეწვად მვალთა ჩემთა და თურქენით რეტრო განშლილობით მძლოი სჩრდილისა შენისა სავრცელსა არცა მიტევებ და ესრეთ ყოველითურთ დამივიწყებ და შენისა წყნილისა ღრუბლითა ცვართა მათ სიტყვათა შენთასა არა ჭირთეი ჩემად. გარნა უწყოდე ესე შენმან ბრწყინვალებამან, ვვალად დაღათუ არა ვეჭმსგავსები სიმაღლე ხედვისა აღმსწრაფეს არწივსა, ეგრეთვე არცა ერთენი ჩემნი კალამად ორ ენაობენ და ამით არ სადამე განვეშორები შენსა მეგობრობასა. მე მარტივი ვარ და ლიტონი და სხვათა და სხვათა თქვენს სიუხვის მოყვარეთა შენათვისართაგან შეუზავებელ და თქვენდა იყავნ ყოველნი სუფევანი ქვეშეურთანი განმოხატვასა შისა ყამთასა და ჩემდა, თუ სადმე მალირსებ, შენი იგი მეგობრობაა და სიყვარული და ჩემთვის განუშორელი თვისებაი. — და სხვანი იგი ყოველნი თქვენდა.

მესმა ვითარმედ უგმოქცეულ-ხარ საქართველოდვე, რომლისათვისცა მადლობისა მიმცემი ღვთისა ჩემისა იშვებს შინაგანი გაცი ჩემი, გარნა ითნოს ღმერთმან, რათა უგმოიქცე ჭეშმარიტებადცა და შეისა მის სიბრძნის მოყვარებისა შესაფერ მართლ-მადიდებელ იქმნე,

დამტევებელი ახალთა და ძველ-შემოსრულთა არა ჭეშმარიტთა სარ-წმუნოებითთა ჰსჯულთაცა.

ვითხოვ შენისაგან სიბრძნის-მოყვარებისა რათა ჩემ-ზედა მირ-ველებრ წარმოადგინდე ნექტარია სიყვარულისათა და დამათრობდე ამ-ბროსიათა მათ მიერ მწირობით გვალულსა და განხმელსა შენისა სი-შორისა მიერ.

თუ სადმე ინებებს ცნობად ბრწყინვალებას თქვენა ცხოვრებისა ჩემისა ვითარებისა სმენად, ვარ ცხოვლად — დაღათუ არ სიმთელით, აღ-რაცხილი როსსიისა იმპერიასა მღვდელ-მთავართა შორის ბრძანებითა მისისა მის იმპერატორების დიდებულებისათა.

მე შენმან ანტონი დავჰსწერე გონებისაგან ჩემისა წარმოშობი-ლი სიტყვაი და წარმოვეც შენდა და ქარეთ მხიარულ ვიყავ ოდეს ჰბადებოდა გონება სიტყვათა წერად შენდამი, ვითარ მეჭვრეტი პი-რის-პირ გზრახვიდი.

ხოლო ყოვლეთა ზედა და ყოვლესა შინა იდიდებოდენ ყოვლად წმიდა იგი სამება ღმერთი აწ და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

# იმერეთის ისტორია*)

## დაწყება იმერთა და ოდიშ აფხაზთა მეფობისა და მთავრობისა, რომელსა უწინარესნი მემატიანენი ანუ ისტორიკოსნი უწოდებენ ეგრისად.

### ნიკოლოზ დადიანისა.

ოდეს მოჰკლა პირველმან მეფემან საქართველოისამან ფარნავაზ აზონ ერისთავი და დაიპყრა საქართველო; მაშინ ეგრისის მდინარეს დასავლეთისანი არა მორჩილებდენ ფარნავაზს, არამედ მეფესა ბერძენთასა, ხოლო ეგრისის მდინარის აღმოსავლეთისანი დაშთენ ფარნავაზის მორჩილებასა შინა. ხოლო ფარნავაზ განჰყო ეგრისი, თვისა მორჩილებასა შინა მყოფი, ორ საერისთაოდ დასვა ქუჯი ერისთავი ეგრის, რომელი აღაშენა ეგროს, ხოლო ამათ უწოდეს ბედია, ვინათგან ქუჯიმ ჰპოვა ბედი მუნ და ამის გამო უწოდეს ბედია; და მისცა ქუჯის საერისთაოდ რიონის დასავლეთი, და ჩრდილოეთი ზღვამდე და ეგრისის მდინარემდე სრულიად სვანეთი, და მეორე დასვა შორაპანს და მისცა საერისთაოდ ნაშთი ეგრისისა რომელი არს რიონის

---

*) ეს მოთხრობა ნ. დადიანისა არის ამ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ხანებშია დაწერილი და ავტორი ერთს ადგილს ამბობს, რომ სოლომან პირველიდამ რაც ცნობანია ამ წიგნში მოყვანილიო ,,ჯერედ არსად აღწერილ არიანო, არცა ძველსა და არცა ახალსა ქართველთა ისტორიასა შინაო". მართალიც არის და ამიტომაც ღირს საცნობად ვნახეთ და ვბეჭდავთ თავიდამვე შეუცვლელად.

აღმოსავლეთით და სამხრეთი ზღვამდე, და ლიხის მთამდე. ხოლო შემდგომად ამისა დაიპყრა ნაშთი ეგრისისა ვახტანგ გურგასლან და კეისარმანცა მოსცა ზითვად ცოლსა ვახტანგისასა, გარნა შემდგომად მიუღო ერეკლე კეისარმან და დასვა თვისი ერისთავი ანაკოფიას და უწოდდნენ აფხაზთა ერისთავსა და ეპყრა ეგრისის მდინარის იქითი კეისარს (ხოლო ეგრისის მდინარე ეწოდების ღალიძგას): ხოლო იყო რა აფხაზთა ერისთავად ლეონ და იხილა უძლურება ბერძენთა, მაშინ თვით დაიპყრა სრულიად ეგრისის ქვეყანანი ლიხის მთიდამ ვიდრე ზღვამდე და ხაზარეთამდე, და იწოდა მეფედ აფხაზთა წელსა ქრისტესით 786. ამათგან მეფენი მეფობდენ ვიდრე ბაგრატიონამდე ხოლო იქმნა რა მეფედ ესე ლეონ არღა უწოდა ეგრისი, არამედ აფხაზეთი. ხოლო ამან განჰყო რვა საერისთაოდ ეგრისი, რომელსა უწოდა აფხაზეთი 1) დასვა აფხაზთა და მისცა აფხაზეთი ჯიქეთი, ვიდრე ზღვამდე და ხაზარეთის მდინარემდე; 2) დასვა ცხუმს და მისცა ეგრისის მდინარეს იქითი ანაკოფიას ალანეთითურთ; 3) დასვა ბედიას ეგრისის აღმოსავლეთიდამ, ცხენის წყლამდე; 4) დასვა გურიას და გურიაცა ამან უწოდა, და უწინარეს ადგილსა გურიისასა სხვასა უწოდებდენ; 5) დასვა რაჭას და ლეჩხუმს; 6) დასვა სვანეთს; 7) და [illegible] შორაპანს რიონისა და ხანის წყლის აღმოსავლეთისა ლიხამდე სრულიად არგვეთისა; 8) დასვა ქუთაისს ვაკის ოკრიბისა. ამან მეფემან აღაშენა პირველ ტახტად ანაკოფია, ხოლო მერმე ქუთაისი და აღაშენა ქალაქი და ციხე: ხოლო მეფე ესე მიიცვალა წელსა ქრისტესით 806.

ხოლო იქმნა მეფედ ძე ამისი გიორგი და დაიპყრა საქართველოცა და მოკვდა წელსა ქრისტესით 877.

ხოლო შემდგომად ამისა განდიდებოდენ მრავალნი მეფენი აფხაზეთისანი, ღირს სახსოვარნი, რომელნიცა ეპყრათ აფხაზეთი და საქართველო, გარნა შემდგომად ამა გიორგი მეფისა არღარა ვინ დაშთა მემკვიდრედ აფხაზთ მეფეთა. და უძეობით ქმნილთა აფხაზთა ითხოვეს დავით მეფისა კურაპალატისაგან მეფედ აფხაზთა ბაგრატ, ძე გურგენისა,

ასულის წული გიორგი აფხაზთ მეფისა: ინება და მოსცა და მოიყვანეს აფხაზეთს და აკურთხეს ქუთათის მეფედ წელს ქრისტესით 985 და ამ ბაგრატიდამ იქმნა აფხაზთა მეფობა ბაგრატიონთა: ხოლო მეფობდნენ აფხაზთა ზედა მეფენი იგი აფხაზთანი წელს 199. ხოლო ამ ბაგრატის პირველის მეფობიდამ ვიდრე ლაშას ძის დავითის მეფისა და რუსუდანის ძის ნარ-დავითის მეფისამდე იყო ერთ მეფობისა ქვეშე სრულიად აფხაზეთი მეფობასა ბაგრატოვანთასა. ხოლო ამა ორთა და ვითა სამეფოსა განყოფამდე გარდახდენ წელნი 274.

ხოლო იქმნა ამისა შემდგომად მეფედ ნარ დავით ძე რუსუდანისა იმერეთს წელს ქრისტესით 1259. ამიერიდამ იწოდა დავით, და ამას ქვემონი მეფენი მეფედ იმერეთისა და არღარა აფხაზთა. ხოლო ნარდავით მეფობდა ვითარ ზემო აღიწერა და უმეტეს სცნობთ დიდსა ქართველთ ცხოვრებასა შინა და გარდაიცვალა ნარ დავით მეფე წელს ქრისტესით 1293.

ამის შემდგომად მეფე იქმნა ძე მისი კონსტანტინე და ამას აღუდგა ძმა თვისი მიხაილ, და იქმნა სამეფოსა შინა იმერეთისასა დიდი უთანხმოება, და ჟამსა ამას გრიგოლი დადიანმა დაიპყრა საერისთო ცხუმისა და სრულიად ოდიში ანაკოფიამდე; ეგრეთვე შარვაშიძემან აფხაზეთი; გურიელმან გურია, სვანთ ერისთავმან სვანეთი და არღარა მორჩილებდენ მეფესა საქართველოისა და იმერეთისასა. შემდგომად გარდაიცვალა გრიგოლ დადიანი წელს ქრისტესით 1323, და დაჯდა ძე მისი მამია დადიანად, და ამან უმეტეს განიმტკიცა ოდიში ვიდრე ანაკოფიამდე.

ხოლო ამის შემდგომად იქმნენ მრავალნი მეფენი შთამონასხნი ურთიერთისანი და იქმნა მეფედ გიორგი და ამან განიზრახა კვალად დაპყრობა მთავართა და წარვიდა პირველად ვამეყ დადიანსა ზედა გამზრახი ესრეთ, (უკეთუ ესე დავიმორჩილო სხვანიცა დამორჩილებულ მექმნებიან), შემოიკრიბნა სპანი იმერეთისანი და შთავიდა ოდიშს. ეწყვნენ ურთიერთას მეფე დადიანი და იძლივნენ სპანი გიორგი მეფო-

სანი, მოჰკლეს მენგრელთ მეფე გიორგი ბრძოლასა შინა, და გამარჯვა ვამეყ დადიანსა წელს ქრისტესით 1392. ხოლო განზრახვითა ვამეყ დადიანისათა წამოვიდა მეფე ქართველთა გიორგი, ძე ბაგრატ დიდისა და დაიპყრა იმერეთი. მოკვდა ვამეყ დადიანი და იქმნა დადიანად ძე მისი მამია. მოჰკლეს ესე მამია დადიანი აფხაზთა ბრძოლასა შინა და იქმნა დადიანად ძე მისი ლიპარიტ წელს ქრისტესით 1414. ხოლო შემდგომად დაიპყრა ბაგრატ მეფემან იმერეთი და თავისუფლებასა ზედა მთავართა მათ დადიანსა, გურიელსა და შარვაშიძესა ხელი მოუწერა ხოლო ჟამსა ამას მიიცვალა ლიპარიტ დადიანი და იქმნა დადიანად ძე მისი შამადავლე, მოკვდა შამადავლე წელს ქრისტესით 1474. და იქმნა დადიანად ძმა შამადავლესი ვამეყ. ჟამსა ამას განძლიერდა ბაგრატ მეფე და დაიპყრა საქართველოი, ხოლო ოდეს იხილა ვამეყ დადიანმა განძლიერება ბაგრატ მეფისა არა სწადოდა უმეტეს განძლიერება ბაგრატისა, ამისთვის შემოიკრიბა ვამეყ დადიანმა შარვაშიძე და გურიელი და დაუწყო რბევა და ოხრება იმერეთსა, და დაპყრობა. და ოდეს მიესმა ესე ბაგრატ მეფესა, ქართლს მყოფს, წარმოვიდა მჴსით და შეიკრიბა სპანი ქართლისა და იმერეთისანი. დაუწყო დადიანსა ოდიშს და იქმნა ძლიერი ომი, სადა მოსწყდენ ორგნითვე მრავალნი და იძლია დადიანი წელს ქრისტესით 1477. მაშინ შევიდა მეფე ბაგრატ ოდიშსა შინა და მოაოხრა, გარნა კვალად შეიმტკიცა დადიანი და ქმნეს მშვიდობა და შემდგომად მოკვდა მეფე ბაგრატ წელს ქრისტესით 1478 და დაიფლეს გელათს.

შემდგომად მეფე იქმნა ძე მისი ალექსანდრე. ჟამსა ამას მოვიდა კონსტანტინე მეფე ქართველთა და დაიპყრა იმერეთი შემწეობითა ვამეყ დადიანისათა. ჟამსა ამას მოკვდა დადიანი ვამეყ, და იქმნა დადიანად ძმა შამადავლესი ლიპარიტ. მოკვდა გურიელი კახაბერ, და დაჯდა გურიელად ძმა მისი. ხოლო განდევნულმან მეფემან ალექსანდრემ კვალად დაიპყრა იმერეთი, გარნა დადიანსა ლიპარიტს არა ენდოდა მეფობა მისი და აწვია კვალად კონსტანტინე მეფე და მოვიდა სპითა ქართველთათა და აქედამ დადიანი და დაიპყრეს იმერეთი, და

ოდეს წარვიდა მეფე კონსტანტინე საქართველოდგა მაშინ მეფემან ალექსანდრემ ზავ ჰყო დადიანისა თანა და დაიპყრა სრულიად იმერეთი შეწევნითა დადიანისა ლიპარიტისათა. ხოლო ამანა ალექსანდრემან იმეფა მშვიდობით და მიიცვალა ესეცა და ცოლიცა ამისი თამარ დედოფალი ქორონიკონსა ერთსა წელს ქრისტესით 1510 და დაეფლნეს ორნივე გელათს.

მეფე იქმნა ძე ალექსანდრესი ბაგრატ. ამის ჟამშიდ მოვიდნენ ოსმალნი წინამძღვრებითა მზეჭაბუკ ათაბაგისათა და მოსწვეს ქუთაისი და გელათი თურქთა. ამან მეფემან ჰყო გელათი საეპისკოპოსოთ თანა თნებითა სამღვდელოთათა, და დასვა გენათლად საყვარელი ძე მელქისედეკ წელს ქრისტესით 1519. ჟამსა ამას წარვიდა მამია გურიელი ქართლს, რათა ჰყოს დავით ქართველთ მეფისა და კახთ ბატონისა ლეონისა შვილს ზავი, გარნა ეწყო მეფე დავით გურიელსა და იძლია მეფე, და შემდგომად ზავ-ჰყო მათ შორის გურიელმან და შემდგომად მოვიდა გურიას. ხოლო ჟამსა ამას შეიკრიბენ დადიანი მამია, და გურიელი მამია და წარვიდენ ჯიქეთს სპითა მრავლითა, რათა ჯიქნი აწუხებდნენ მიხდომითა გურიასა და ოდიშს, ზღვით ნავებითა მისრულთა ჯიქეთს ეწყვნენ ჯიქნი სიმაგრით, გამოჰყვეს ბრძოლა ძლიერი და აოტნეს სპანი დადიან გურიელისანი, და მოჰკლეს დადიანი მამია, და შეიპყრეს გურიელი მამია, და აღიღეს ალაფი და ივარი მათი წელს ქრისტესით 1532. ხოლო შემდგომად დასვა დადიანად ლეონ და გურიელი მამია დაიხსნა ძემან მისმან როსტომ, შემდგომად მოკვდა გურიელი მამია, და იქმნა გურიელად ძე მისი როსტომ . ხოლო მეფემან ბაგრატ დასვა რაჭას ერისთავად ჩხეიძე შოშიტა: და მისცა რომელიმე სახასოდ დაბანი და ციხე მინდა, ვინაითგან რაჭა იყო უწინარეს სამეფოდ. ხოლო ბაგრატ მეფემან შემოიკრიბა დადიან გურიელი და წარვიდა შურის საძიებელად მზეჭაბუკი ათაბაგისა, ხოლო ათაბაგმან შემოიკრიბა სპანი, დაეწყო მეფესა და იქმნა ომი ფიცხელი. იძლია ათაბაგი და შეიპყრა ათაბაგი ისაკართუმელამემ, მელვინემან გურიელისამან და მოართვა როსტომ გურიელსა,

და გურიელმა მიართუა ბაგრატ მეფესა. ხოლო მეფემან უბოძა გურიელსა ჯილდოდ ამისა აჭარა და ჭანეთი და მეფემან ჰპატიმარ ჰყო ათაბაგი და თჳთ დაიპყრა სამცხე სათაბაგო. ხოლო ძე ათაბაგისა წარვიდა წინაშე ხონთქრისა და ითხოვა შეწევნა ხონთქრისაგან და შეეწია დიდ ძალითა სპითა. შეიწია ბაგრატ მეფემან მეფე ქართლისა, ხოლო დადიან გურიელნი არამწე ექმნენ, დაეწყვენ ოსმალთა სპანი საქართველო იმერეთისანი, გარნა სძლიესთ ოსმალთა, მოჰკლეს ძე გურიელისა ქაიხოსრო და დაიპყრა კვალად სამცხე ათაბაგმან. ხოლო მიზეზითა ამით მეფემან ბაგრატ მოუწოდა ქუთაისს შინა ლეონს დადიანს და შეიპყრა მცბიერებითა და პატიმარ ჰყო. ხოლო მეფემან მიუმცნო გურიელსა რათა წარვიდეთ ერთად და დავიპყრათ ოდიში და განვიყოთ წილად და ჩვენდა იყოს ოდიში, სწადოდა მეფესა რათა მცბიერებით შეეპყრა გურიელი, გარნა სცნა გურიელმან მეფისა მცბიერებისა სახე და არღარა მივიდა და უნდოდა მეფესა აღმოხთა თვალთა პყრობილის დადიანისა, გარნა გურიელისა და ოდიშთა მოზიდვესათვის არღა აღასრულა და დადიანი პატიმარ ჰყო გელათის სამრეკლოსა შინა, გარნა განზრახვითა ათაბაგისათა ჩხეიძემ ხოჯალანდრემ გამოაპარა დადიანი ლეონ და მიგვარა ათაბაგსა ახალციხეს. ხოლო შემდგომად სთხოვა გზაი გურიელსა, და ნება სცა გურიელმან გზისა და წარმოიყვანა ათაბაგმან დადიანი ლეონ, მოიყვანა ოდიშს და დაიპყრა ლეონ სამფლობელონი თვისნი. ჟამსა ამას მიუღეს გურიელსა ოსმალთა აჭარა და ჭანეთი. და აღაშენესთ ციხე ოსმალთა გონიას და ბათომს. ხოლო შემდგომად ამისა მიიცვალა ბაგრატ მეფე წელსა ქრისტესით 1548 და დაფლეს გელათს.

შემდგომად ბაგრატისა მეფე იქმნა ძე მისი გიორგი, ამან დაიზავა დადიან გურიელი და მეფობდა მშვიდობით. ამან მოიყვანა მეუღლედ ჩერქეზ ბატონის ასული რუსუდან. ჟამსა ამას მოკვდა გურიელი როსტომ და დასვა მეფემან გიორგი ძე როსტომისა გურიელად. ამა გიორგი გურიელსა ჰყვანდა მეუღლედ ლეონ დადიანისა ასული, და იგი განუტევა და შეირთო მეფისა გიორგის და.

მესაიდა კგრიდვე ლევან დადიანის ძმამან გიორგიმ განუტევა ცოლი თვისი, დაი გიორგი გურიელისა, და წარგვარა ბიძასა თვისსა მათუ-ლდას მეუღლე სიკეკლუცისათვის და მან შეიუღლა, და ამა ვითარის საქმით იქმნა მტერობა შორის დადიანისა და გურიელისა. ვერღა დაუდგა დადიანი ორთავე მეფესა და გურიელსა და წარვიდა კონსტან-ტინუპოლედ წინაშე სულტანისა. ხოლო სულტანმან შეიწყნარა პატი-ვით და მისცა დიდი ძალი მხედრობა და წარმოვიდა და დაებარგა დადიანი სატყეპელსა, მხილველი ამისი შეშინდა გურიე-ლი და ევედრა დადიანსა, ხოლო დადიანმა სთხოვა თვისისა ასულისა განტევებისათვის განსატევებელი (ესე იგი სისხლის გარდახდა) და ულონო ქმნილმან გურიელმან მოსცა ათი ათასი დრაკანი და ზავ ჰყვეს, და წარმოვიდა დადიანი და დაიპყრა სამფლობელო თვისი სრუ-ლიად. ხოლო მეფემან ამან გიორგი მოკლა ჯავახ ჩილაძე მეგობ-რობისათვის დადიანისა და დაიპყრა მეფემან მამული ჩილაძისა. გარ-ნა არა მისცეს მეფესა ჩილაძისა მამული დადიანმა და გურიელმან და მოადგენ მეფესა და მამული ჩილაძისა ნახევარი დაიპყრა დადიანმა და ნახევარი გურიელმან. ხოლო შემდგომად ამისა მოკვდა დადიანი ლევან წელს ქრისტესით 1572, რამეთუ ნადირობასა შინა ცხენმან უბრკმა და მოსტეხა კისერი და მოკვდა. და იქმნა დადიანად ძე მისი გიორ-გი. ხოლო გიორგი მეფემან ძესა თვისსა ბაგრატს მოუყვანა ცო-ლად და დადიანისა გიორგისა. ესე შეერთება დადიანისა და მეფისა შეუძნდა გურიელსა, დაიმურა და გარდაბირა ძმაი დადიანისა მამია და შერთო გურიელმან და თვისი მამიას, და შემოიკრიბნა სპანი თვის-ნი, მოუხდა დადიანსა ზუგდიდს, და იქმნა ბრძოლა, გარნა იძლია დადიანი გიორგი და წარვიდა ავხაზეთს და იქმნა დადიანათ ძმა მისი მამია. ხოლო ჟამსა მას, მოვიდა დაი დადიანისა გიორგისა და სძა-ლი მეფისა გიორგისა და განაახლეს კვალად მოყვრობა მეფემან და დადიანმა და მისცა მეფემან ცოლად დაი თვისი გიორგი დადიანსა და ესე ვითარითა საქმითა კვალად იქმნა გიორგი დადიანად და მამიასა ძმასა გიორგი დადიანისასა მისცეს ჩილაძისა ნაქონები მამულნი და

იქმნა მშვიდობა. ხოლო ჟამსა ამას მოიგონა, ბათულიამ ბიძამან გიორგი დადიანისამან ოდეს წაგვარა ცოლი, შურის გება მის წილ დაუნდოდა რათა მოეკლა დადიანი გიორგი, და ამა ბათულიას ეპყრა საჯავახო მიცემული წილად დადიანისაგან. ხოლო მახლობელობისათვის შეიზრახენ გურიელთან მეფე გიორგი და დადიანი გიორგი, რათა მოჰკლას ბათულია და საჯავახო მისცეს გურიელსა. ამა ვითარითა ზირებითა დაიჭირა გურიელმა ბათულია და არა მოჰკლა, და ტყვე ჰყო ლეხოურს და საჯავახო დაიპყრა გურიელმან, და შემდგომად ბათულია მოკვდა ლეხოურს შემდგომად ჟამისა ამის მოკვდა დადიანი გიორგი და მამიამ, ძმამან მისმან მოიპარა მცირე ყრმა ძე გიორგი დადიანისა ლევან და შეამწყვდია ციხესა შინა მხეთს. ხოლო ყრმა უთმინობითა გარდმოვარდა კედლით და მოკვდა. ესე საქმე დადიანმა მამიამ მიზეზ ჰყო გურიელსა ზედა, აღილაშქრა და წარვიდა სპითა გურიელსა ზედა, ხოლო მისრულსა გურიას დადიანსა ეწყო გურიელი და იქმნა ბრძოლა ძლიერი. იძლია გურიელი და წარვიდა კონსტანტინეპოლს, და გურიელად ჰყო დადიანმა ტომი გურიელისა ვახტანგ. ხოლო ჟამსა ამას მიიცვალა მეფე გიორგი წელსა ქრისტესით 1583.

გამეფდა ძე გიორგისა ლევან წლისა თორმეტისა, ამან შეირთო დაი დადიანისა მამიასი მარეხ. ჟამსა ამას მოვიდა გურიელი და დაიპყრა სამფლობელო თვისი, რომელი გარდაჰგდო გიორგი დადიანმა სტამბოლს. ხოლო რომლისამე მიზეზითა დიდნი მტერნი იქმნენ ესე მოყვარენი მეფე ლევან და დადიანი მამია. ამისთვის შეკრიბა სპანი მამია დადიანმა და მოვიდა ქუთათის. ამას ეგებეთა მეფე ლევან სპითა იმერეთისათა და იქმნა ბრძოლა სასტიკი, იძლია მეფე ლევან და შეიპყრეს თვით მეფე წელსა ქრისტესით 1590 და წარიყვანეს ოდიშს და პატიმარ ჰყო ციხესა შინა ჩხეთს და მოკვდა მუნ პყრობილებასა შინა ლევან მეფე.

შეიზრახენ იმერელნი და ჰქმნეს მეფედ ბიძის ძე ლევანისა, ძე კონსტანტინესი. ჟამსა ამას გარდაიცვალა დადიანი მამია და იქმნა დადიანად ძე მისი მანუჩარ. ესე მანუჩარ დაესხა ალექსანდრე გახ-ბა-

ტონს, და მოიყვანნა ასული მისი მეუღლედ ნესტან-დარეჯან და იქორწინა. ხოლო მეფესა როსტომს წაართვა მეფობა ბაგრატ თეიმურაზის ძმამან შეწევნითა გიორგი გურიელისათა. ჩმაკგ ქორონიკონსა მოვიდა მეფე ქართველთა სიმონ და მიუღო იმერთ მეფობა ბაგრატს და შეპყრობილი წარიყვანა ქართლად. ხოლო როსტომ წარვიდა მანუჩარ დადიანისა თანა, შეეწია დადიანი მანუჩარ, შეიკრიბა სპანი თვისნი, მოვიდა, აღიღო ციხე ქუთათისა და ჰყო მეფედ კვალად როსტომ. შემსმენელი ამისი მეფე საქართველოისა სიმონ წარმოვიდა მრავლითა სპითა და დიდროსნების ზარბაზნებითა და არტილერიის განწყობილებითა, მოვიდა იმერეთს და განაძო როსტომ მეფე და განიქცა კვალად მანუჩარ დადიანისა თანა და სიმონ მეფემან დაიპყრა სრულიად იმერეთი და აღიღო ციხენი და რაჭა იმერეთისანი. ხოლო განმარჯვებული წარმოვიდა ოდიშის დასამხობელად, მცნობმან მანუჩარ დადიანმა შეიკრიბა სპანი მრავალთანი, მამღონმან ღვთისამან არა რიდა სიმრავლესა სიმონისასა. დაესხა ოდიშკვითს და აოტა და მოსრნა და აღიღო ყოველნი სიმდიდრენი სიმონ მეფისანი და ზარბაზანნი დიდროსნნი, და ყოველი განწყობილება არტილერიისა და წარმოგზავნა ოდიშს და როსტომ კვალად მეფედ ჰყო იმერეთს, და აღიღო ყოველნი ციხენი რაჭა იმერეთისანი და მისცა როსტომს ამას ქორონიკონსა უშვა ძე ლევან მანუჩარ დადიანსა ნესტარ-დარეჯან და შობასა მოკვდა ნესტან-დარეჯან, ხოლო ლევან ყრმა წარიყვანა ბიძამან მისმან კახ-ბატონმა და აღზარდა ვიდრე სრულ ჰასაკამდე. ხოლო შემდგომად გიორგისა მოიყვანა მეუღლედ მანუჩარ დადიანმა ქვრივი ვახტანგ გურიელისა და ასული ათაბაგისა. ჟამსა ამას მოკვდა გურიელი გიორგი, და იქმნა გურიელად ძე მისი მამია, და იყვნენ დიდსა მშვიდობასა შინა მეფე იმერეთისა როსტომ, დადიანი მანუჩარ და გურიელი მამია. ხოლო ჟამსა ამას მოაყვანინა მანუჩარ დადიანმა კახეთით ძე თვისი ლევან, რომელი იყო მაშინ წლის ათ-სამეტისა. ხოლო ჟამსა ამას მოკვდა მეფე როსტომ წელსა ქრისტესით 1605.

ვინათგან არღა ვინ იყო მემკვიდრე და ტომი მეფეთა, ამისთვის მოიყვანნეს ძმა როსტომისა ნაშობი მხევლისაგან (ესე იგი ბუში) გიორგი და დასვეს მეფედ. ხოლო ჟამსა ამას გურიელი მამია შევიდა აჭარას, მოსწყვიდნა, აღიღო სიმაგრენი და დაიპყრა მისთვის აჭარა. ხოლო ჟამსა ამან ხრომან და გუნდმან განმრავლებულმან ირმისამან სანადიროსა მყოფი მანუჩარ დადიანი წარიტაცეს და მოჰკლეს იგი წელს ქრისტესით 1611, და დასვეს დადიანად ძე მისი ლევან ნაშობი კახთ-ბატონის ასულისა. ამა ჟამსა მეფემან გიორგიმ მიუღო მამულნი თვისნი პაატა წულუკიძესა, რომელსა უწოდდნენ წუწკსა. წარვიდა ესე პაატა წუწკი და მივიდა ლევან დადიანისა თანა და მან პატივით შეიწყნარა. (ესე პაატა იყო კუტი ფეხებითა) ესე პაატა მარადის აწვევდა და განუზრახევდა ლევან დადიანსა მტერობასა იმერთ მეფისასა. ჟამთა ამათ მეფემან გიორგიმ მოუყვანა შვილსა თვისსა ალექსანდრეს მეუღლედ ასული გურიელისა. ხოლო ამა ალექსანდრეს უშვა გურიელის ასულმან ძე ბაგრატ, გარნა ორისა წლისა შემდგომად შესწამა ცოლსა თვისსა გურიელის ასულსა სიძვაი ერთსა ქუთაისელ ვაჭართა თანა და ამისთვის განუტევა ცოლი თვისი და წარგზავნა თვისის ძითურთ მამისა თვისისა გურიელისა თანა. ხოლო ჟამსა ამას წარვიდა გიორგი მეფე სპითა თვისითა დამორჩილებად დადიანისა. გარნა ოდეს ცნა დადიანმა, ამხედრდა სპითა თვისითა და მიეგება თვით და შეიბნენ გოჭიაურზედ და იქმნა ომი სასტიკი. დასძლო დადიანმა და შეიპყრეს მრავალნი დიდებულნი იმერეთისანი და განმდიდრებულნი ალაფითა წარმოვიდა ოდიშადვე წელს ქრისტესით 1623. ხოლო ჟამსა ამას მოკლა მამა თვისი გურიელი მამია ძემან მისმან სვიმონ. ხოლო ამა სვიმონს ჰყვანდა და ლევან დადიანისა ნაშობი ათაბაგის ასულისა. და რა ცნა ლევან დადიანმა სვიმონ გურიელისა ესე ვითარი უკეთურობა მოკვლა მამისა, წარვიდა სპითა თვისითა გურიელსა ზედა და დაუპყრა ლანჩხუთი, და წარგზავნა დესპანი სვიმონისად ვინათგან ჰქმნა ესე ვითარი ბოროტება. მე არღარა მწადნელი სიძობისა შენისა მომეც დაი ჩემი მარიამ. მსმენელი

სვიმონ გურიელი არღა დაემორჩილა. და ვინათგან იყო მამაცობასა შინა მხნე სვიმონ, ამისთვის შეიკრიბა სპანი და წარმოემართა დადიანსა ძლიერად, გარნა იძლია სვიმონ გურიელი და შეიპყრეს სვიმონ ბრძოლასა შინა, და მამის მკვლელობისათვის აღმოხადნა ორნივე თუალნი, და დასვა გურიელად ქაიხოსრო და წარმოიყვანა დაი თვისი მარიამ და მოვიდა განმარჯვებული სამყოფელთა შინა თვისსა ოდიშს. ხოლო ამან დადიანმა ლევან იწყო მტერობა იმერეთისა და [illegible], რომელ ვერღა წინააღუდგნენ იმერელნი ვერცა ომით და ვერცა ცხადად და უფროს მრავალ ქმნა კნინად და დაიპყრა იმერეთი სრულიად. ხოლო ჟამსა ამას მეფემან საქართველოისამან როსტომ სთხოვა დაი თვისი მარიამ ქვრივი სვიმონ გურიელისა მეუღლედ და მისცა. გარნა აქუნდა შიში გზასა კვალად გიორგი მეფისა, ამისთვის შეითქუნეს და მოვიდა მეფე როსტომ ოკრიბასა, და დადიანმა შეკრიბა სპანი თვისნი, წარმოიყვანა დაი თვისი მარიამ, გამოვლო სამეგრელო და ლეჩხუმი, შევლო და მივიდა კაკას ხიდსა წყალსა, მუნ დახვდა როსტომ მეფე ქართლისა, მისცა დაი თვისი დედოფლად და წარვიდა როსტომ. გარნა გიორგი მეფემან იმერეთისამან ჰყო ზავი მარჯუეთ შემოიკრიბა სპანი რათა უწყოს დადიანსა, წარვიდა მცირეთა კაცთა განმარტოებით სპათა დადიანისათა და მცირეთ მოთქმულთამან აღასრულა წადილი თვისი. აგრეთვე უკუ დადიანმა, წარმოავლინა სპანი, შემოერტყმნენ გარს გიორგი მეფესა, შეიპყრეს და მიჰგვარეს დადიანსა, იგი მსწრაფლ აღმხედრდა და წარვიდა ოდიშს და პატიმარ ჰყო მეფე და შემდგომად ძემან მისმან ალექსანდრე დაიხსნა მამა თვისი გიორგი მეფე. წარუგზავნა დადიანსა ციხენი ჩიხორისა და ჩხარისანი სრულიად და დაიხსნა მამა თვისი, მოიყვანა ქუთაისს. და მცირე ხანსა შემდგომად გარდაიცვალა წელსა ქრისტესით 1639 და დაუტევა ძენი სამნი: ალექსანდრე, მამუკა და პეტრე.

შემდგომად მამისა თვისისა იქმნა მეფედ ალექსანდრე. ხოლო ამა ალექსანდრესა უმეტეს მტერ ექმნა ლევან დადიანი, დაუძლონა ქმნილმან მეფემან ალექსანდრემ შემოავლო ზღუდე დიდი ქუთათის სასახ-

ლესა, და მოიყვანა ყოველთა წარჩინებულთა ცოლ-შვილნი და დაად-გინა მას შინა და თვითცა იმყოფებოდა მუნ, რათა არა მიერთდნენ დადიანსა ჰყო ესე მისთვის. ხოლო დადიანმა ლეონმა სიმდიდრითა აღმატებულმან აღაშენა თვისდად განბრწყინვებულნი სასახლენი 12 ოდიშსა შინა და ავხაზეთსა ყოვლითა თვისითა განწყობილებითა, რამეთუ არა წარიღის ერთიდამ მეორესა შინა არა რაიმე სახმარებელნი და არცა ცხენი, არცა სხვანნი საჯიხონი სახმარნი ნივთნი, არცა ცხოველთა და არცა უცხოველოთანი. გარემოს წყაროთა უახლოესთა დადგა ფიალნი ოქროსანი და უშორესთა ვეცხლისანი დაბმული ძეწკვებითა, და მოგზაურნი მიიღებდენ წყალსა მით, ვინათგან ვერვინ იკადრებდა ქურდობასა, ანუ ძარცვა ავა-ზაკობასა ქვეყანასა შინა მისსა. ხოლო ამასა ჟამთა მოიწვია ძმა მე-ფისა ალექსანდრესი მამუკა, და ამან დაუწყო რამოდენიმე ბრძოლა და წინააღმდეგობა დადიანსა ლეონს, ვინათგან შეიქმნა მამუკა ფრიად სა-ქებელი კისკასი და მარჯვედ მქცევი მხედრობასა შინა და მრავალჯერ-ცა დაამარცხა მრავალნი გუნდნი მეგრელთანი. ჟამსა ერთსა მოვიდა დადიანი მოსარბევად იმერეთისა, ხოლო მეფე უღონო ქმნილი ვერ-ღა განვიდა ქუთათისა გარე, მაშინ განვიდა მამუკა ბრძოლად დადია-ნისა, შეხვდა რამოდენსამე მეგრელთა, დასცა ერთსა მეგრელთაგანსა შუბი და დასცა ცხენითურთ, მაშინ უბრკმა ცხენსა მამუკასასა და დაე-ცა. მხილველნი მამუკას დაცემისანი ლტოლვილნი მეგრელნი მოიქ-ცნენ და შეიპყრეს მამუკა და მიგვარეს დადიანსა. მხიარულ იქმნა და-დიანი წინააღმდეგისა შეპყრობისათვის და წარიყვანა მამუკა ოდიშს. ხოლო ჟამსა ამას მოვიდა კახთ-ბატონი თეიმურაზ მეფისა ალექსან-დრესა თანა და ალექსანდრემ წარმოგზავნა ლეონ დადიანისა თანა, რა-თა პატივსცეს და განუტეოს მამუკა, ვინათგან იყო თეიმურაზ კახ-ბატონი ბიძა-შვილი ლეონ დადიანისა. თუმცაღა სწადოდა განტევება მამუკასი პატივისათვის ბიძის ძისა თვისისა თეიმურაზისა, გარნა ზე-მოხსენებულმან წუწკმან პაატა წულუკიძემან რომლითამე ცბიერებითა არა აუვლა დადიანი ქმნად ამისა და წარმოვიდა თეიმურაზ ბატონი კახთა ცალიერი და შემდგომად დასწვეს ორნივ თვალი მამუკას უმა-

სა, უებროსა რომელ ესე ჰქმნა ლეონ დადიანმა საწყინელი ყოველთა-
გან, და უჯერო და არა შესაშვენ გონიერთა, გარნა იქმნა მის წუწკი-
საგან ესეთი ყოველთა საწყინელი საქმე და შემდგომად ყამ რაოდე-
ნისამე გარდაიცვალა მამუკა ოდიშს წელს ქრისტესით 1654. ულო-
სო ქმნილმან ყოვლითურთ და შეიწროებულმან ალექსანდრე მეფემან
წარავლინა დესპანი რუსეთის ხელმწიფის ალექსისა თანა, რათა მწე ეყოს,
დაიხსნას დადიანისა კირთებისაგან. ხოლო რუსეთით მოვიდა დესპა-
ნი და ნიჭნი დიდნი, გარნა შეწევნა არა რაი, ხოლო ყამსა ამას
ლეონ დადიანსა კაცსა ყოვლად სახსოვარს მისცა სოფელმან ნიჭი
თვისი და მიიცვალა წელსა ქრისტესით 1657. და ვინათგან არა დაშ-
თა ლეონს შვილი, ამისთვის ოდიშართ დასვეს დადიანად ლიპარიტ
ძმა მისვე ლეონისა, ნაშობი ათაბაგის ასულისა. ამის მსმენელი მეფე
ალექსანდრემ შემოიკრიბა სპანი, წარვიდა ოდიშს, მოსწყვიდნა, მოს-
ტუვენა და მოამოხრა, აღიღო ციხენი, გამოიღო საგანძურნი, და ქო-
ნებანი ლეონ დადიანისანი, შეიპყრა წარჩინებულნი სრულიად ოდიშო-
სანი და დაახსნევინა ყოველთა თავი ვეცხლითა, გამოართვნა მათვე
ძენი მძევლად და დასვა დადიანად ვამეყ ძე მამია დადიანისა, და მო-
ვიდა გამარჯვებული იმერეთს (აქა იხილეთ თუ ერთი კეთილი ცვამი
ვითარ მოაკლდების ქვეყანასა). ხოლო ლიპარიტ წარვიდა ახალ-ციხეს
და ევედრა როსტომ ფაშას და როსტომ საქართველოს მეფესა, მათ
მოსცეს სპანი, მოეწყო გურიელიცა ქაიხოსრო და ჭილაძე, მი-
ქელაძე და გამოვიდენ რიონს. ამის მცნობი მეფე ალექსანდრე სპი-
თა თვისითა განვიდა ცხენისწყალს და იქმნა ბრძოლა ძლიერი და სას-
ტიკი ბანძას. და მოისრნენ ორგნითვე მრავალნი და გამარჯვა მეფეს
და ლიპარიტ დადიანი და გურიელი ქაიხოსრო ლტოლვილნი წარვიდ-
ნენ სტამბოლს, ხოლო ლიპარიტ მოკვდა სტამბოლს და ქაიხოსრო
გურიელი მოვიდა და ბძანებითა ხვანთქრისათა კვალად დაიპყრა გუ-
რია. გარნა შეუჩინა მეფემან მაჭუტაძე და მოკლა მაჭუტაძემ გურიე-
ლი ქაიხოსრო ღალატით და გურიელად იქმნა კვალად დიმიტრი. ყამ-
სა ამას გარდაიცვალა მეფე ალექსანდრე წელს ქრისტესით 1660.

ხოლო იქმნა მეფედ ძე მისი ბაგრატ ნაშობი გურიელის ქალისა, რომელი პირველ განაძო მამამან მისმან ალექსანდრე, ხოლო ამა ბაგრატს მისცა ცოლად დედის ნაცვალმან თვისმან დარეჯან ძმისწული თვისი და ისაძა გერი თვისი. ხოლო ექვსისა თვისა შემდგომად დარეჯან დედოფალმან შეიპყრა ბაგრატ გერი თვისი და აღმოხადნა თვალნი, მოიყვანა ვინმე მეფეთა მონათესავე, რომელსა ჭუჭუნიას შვილობით უხმობდნენ, შეირთო ქმრად იგი და დაიპყრა თვით იმერეთი და ვახტანგს უწოდა მეფედ. ამისთვის კერძონი ბაგრატისანი იმერნი ევედრნენ ასლან ოდიშარსა ჩამოვიდა ასლან ოდიშა სპითა, შეკრბნენ დადიანი, გურიელი, შეიპყრეს ვახტანგ და დარეჯან დედოფალი, ხოლო იმერეთს და სხვა მეფედ ბაგრატ უთვალო, და ესენი წარიყვანა ოდიშად ტყვედ და პატიმარ ჰყო ოდიშის. ჟამსა ამას დადიანმა ვამეყ დაიპყრა იმერეთი ბჟუჯის წყლის დასავლეთის კერძონი, და აღმოსავლეთის კერძონი დაუტევა მეფესა საქართველოისასა. ხოლო ჟამსა ამას იმზახლეს მეფე ქართლისა ვახტანგ და ვამეყ დადიანი, გარნა ქალი ითხოვილი ვახტანგის ძისა არჩილისი დადიანმა ვამეყ მისცა ლოლაპარიძეს პაპუნას, ამისთვის მეფე ვახტანგ ეზრახა აბაშიძე პაპუას და მოჰკლეს ბეჟან ლოლაპარიძე. ხოლო ჟამსა ამას წარმოემართა სპითა ვახტანგ მეფე და გარდმოვლო ლიხის მთა, აქათ ვამეყ დადიანი წარმოემართა სპითა და მოვიდა სახჩერეს. გარნა მეფესა ვახტანგს შეურთდა გურიელნი და იმერნი სრულებით და ლაშხის შვილის ხოსია თავი ლეჩხუმისა. მხილველი ვამეყ დადიანი ამა ვითარ ძლიერი შეკრებულთა ვერ წინა აღუდგა ბრძოლად და წარვიდა ოდიშს. ხოლო ვახტანგ მეფემან აღიღო ციხეები იმერეთისა, მოადგა ქუთათისს და გამოიყვანა ბაგრატ მეფე იმერეთისა. მაშინ შეიკრიბა იმერნი და იმერელ საქართველოის სპითა მივიდა ოდიშს, ვერ წინა აღუდგა დადიანი ვამეყ და წარვიდა სვანეთს, ხოლო ვახტანგმა მოსპონა ურჩნი ოდიშისანი, მოადგა ჭაქვიჯის ციხესა, აღიღო და გამოიყვანნა ცოლშვილნი ვამეყ დადიანისანი და საგანძურნი ყოველნი და მივიდა ზუგდიდს. ხოლო შემდგომად დასვა დადიანად ლევან და მისცა ძმისწუ-

ლი თვისი მეუღლედ თამარ. ხოლო შერჩენითა ხოსია ლაშხის შვილი-სათა მოკლეს ვამეყ დადიანი სვანეთს ვახტანგ მეფის საქმითა. ვახტანგ მეფემან მოიყვანა ძე თვისი არჩილ და დასვა იმერეთს მეფედ წლისა 14 და აკურთხა ქუთათის წელს ქრისტესით 1661. შემდგომად წარვიდა ქართლს და წარიყვანა მეფე ბაგრატ ტყვედ. გარნა სოხოვა იმერთა საზოგადოებამან კვალადვე ბაგრატ და წარიყვანა ძე თვისი არჩილ და ისმინა თხოვნა საზოგადო იმერთა და მისცა ბაგრატ და ქმნეს იმერთა კვალად მეფედ იმერეთს ბაგრატ. გარნა დადიანმა ლევან არა ინება მეფობა ბაგრატისა და ამისთვის აღმხედრდა სპითა ბაგრატის ზედა ლევან დადიანი, მოეგება მეფე ბაგრატ, იქმნა ბრძოლა ძლიერი და შეიპყრეს ლევან დადიანი და მოართვეს ბაგრატს. ხოლო შეაწირვა დადიანი ტყვეობითა და მოაყვანინა ცოლი თვისი თამარ და შეირთო მეფემან ბაგრატ, და დადიანსა ლევანს მისცა და თვისი. გრაშამის ნაცოლარი, უქმნა ქორწილი და განუტევა, კვალად ოდიშს დადიანად. ხოლო ამა ვითარით ჟამთა განდიდნა სეხნია ჩხეიძე და მისცა ოსმალთ ციხე ქუთათისა, გარნა რაოდენისამე ჟამისა შემდგომად შეტყუებითა ალიღო ციხე ქუთათისა ბეჟან ლორთქმანიძემ მოურავმან და მოსრნა ოსმალნი და მისცა ციხე მეფესა ბაგრატს. ხოლო ამათ ჟამთა სათაბაგოს ტყვედ მყოფმან დარეჯან მისცა ათასი მარჩილი ქრთამად ფაშასა და ამა ჟამსა ესმა ფაშასა მოსრვა ოსმალთა ქუთათის. ამა ორთა მიზეზთა გამო წარმოვიდა სპითა ფაშა, გარდააგდო ბაგრატ საქართველოდ და მეფედ ჰყო დარეჯან და ქმარი მისი ზემოხსენებული ვახტანგ, ხოლო ამა ორთა მეუღლეთა ქმნეს ვაზირობას მათსა პირველ გამგებლად ლაშხის-შვილი ხოსია თავი ლეჩხუმისა და მეფობდნენ ესრეთ. შემდგომად შეიზრახნენ იმერნი, და გარდმოაბირეს სეხნია ჩხეიძე და შეუჩინეს დარეჯანს დედოფალსა და დედასა ჩვეულებრ ოდეს იმყოფდა თავსა თვისსა, მაშინ შევიდა სეხნია, იდუმალ დასცა შუბი დედოფალს დარეჯანს და მოჰკლა ციხესა შინა ქუთათისისა, ხოლო იმერთა ასპარეზსა შინა მიმოთხეული ვახტანგცა მეუღლე დარეჯანისა მოჰკლეს. მოიყვანეს გურიელი დიმიტრი და ქმნეს მეფედ

წელს ქრისტესით 1668. გარნა შემდგომად მცირედისა ჟამისა შეიპყრეს იმერთა და აღმოხადეს თვალი დიმიტრი გურიელსა. ხოლო იმერთა სთხოვეს საქართველოისა მეფესა შაჰნაოზს ბაგრატვე და მან მოსცა და დასვეს მეფედ იმერეთს. ხოლო სეხნია ჩხეიძემ არა ინება მეფობა ბაგრატისა და აღიღო ციხე ქუთათისა და მისცა ოსმალთა, რომელიცა ეპყრათ ოსმალთა, ვიდრე მეფობამდე პირველის სოლომონისა, რომელიცა ნებითა მისვე მეფის სოლომონისათა აღიღეს რუსთა. ხოლო ლეონ დადიანმა იძია შური ცოლისა წაგვრისათვის და მოუხთა მეფეს ქუთათის და განდევნა მუნით და წარვიდა რაჭას და დადიანი დაებანაკა გეგუთს. ხოლო მეფემან შემოიკრიბნა რამოდენიმე სპანი და შეება დადიანსა და იძლია დადიანი და შეიპყრესცა, გარნა განუტევა კვალად დადიანი, ვინათგან იყო სიძე მეფისა ბაგრატისა. ხოლო ჟამსა ამას იყო გურიელად გიორგი, რომელი ეტრფიალა ცოლსა ბაგრატ მეფისასა ზემოხსენებულს თამარს, რომელი წარგვარა დადიანსა ლეონს. ამისთვის გურიელმა მისცა ქრთამი ბევრი ფაშასა, რათა წაართვას მეფესა ბაგრატს და მისცეს მას. ხოლო ფაშა წარმოემართა სპითა მრავლითა მეფესა ზედა, მცნობმან ამისმან ბაგრატ ცოლი თვისი თამარ წარგზავნა ციხესა შინა კვარას და თვით ეწყო ბრძოლად ფაშასა, გარნა იძლია იმერნი და მეფე ბაგრატ უთვალობისა გამო ვერღა ივლტოდა და შეიპყრეს, და ვინათგან სცნა ფაშამან ვერ აღიღებს კვარის ციხესა, ამისთვის ბაგრატს გამოართვა მრავალი ქრთამი და მისცა კვალად მეფობა და წარიყვანა მძევლად ძე მეფისა ალექსანდრე (რომელი ესე ალექსანდრე იყო შობილი ლეჩხუმელის კოხილის ცოლისაგან, რომელსა ბაგრატ მეფე თან-ეყოფოდა სიძვად. და ვინათგან არა ესვა სხვა ძე ბაგრატს, ესე მოიყვანა და უწოდა ალექსანდრე და ზრდიდა ძედ თვისად პირმშოდ) და წარვიდა ფაშა. ჟამსა ამას აღიღო ქუთათისი მეფემან ბაგრატ და განსდევნა ოსმალნი და რა სცნა ესე წარმოავლინა ასლან ფაშამ დესპანი და სთხოვა მეფესა ციხე ქუთაისისა და მისცეს ძე თვისი ალექსანდრე. მაშინ მეფემან განზრახვითა იმერთათა მისცა ციხე ქუთათისა ოსმალთა და მოსცეს

ძე მისი ალექსანდრე. ხოლო ბაგრატ მეფესა უშვა თამარ ცოლმან მისმან, რომელი წაგვარა ლეონ დადიანსა ძე გიორგი, რომელმანცა განიხარა ფრიად. ჟამსა ამას ჭყონდიდელი ჩიქოანი განდიდდა ფრიად და შეიქმნა დიდი მისანდო ლეონ დადიანისა და ჰყვანდა ამა ჭყონ-დიდელსა ძმაი კაცია ჩიქოანი და თვის ძმისა ჭყონდიდელისა გა-მო ესეცა განდიდდა და პატივს-ცემდა მეფე ფრიად; და ამის-გამო უსმენდაცა ლეჩხუმელნი კაციას. ხოლო მოიყვანა ძმაი თვისი კაცია ჭყონდიდელმან დადიანისა ლეონისა თანა, და მისცა დადიანმა სრუ-ლიად სალიპარტიანო კაცია ჩიქოანს და იქმნა დიდი მისანდო დადია-ნისა. იყო ესე კაცია მხნე და შემმართებელი საქმისა. ხოლო ჟამსა ამას მოვიდა არჩილ ბაგრატოვანი და მიუდგა დადიანი და გარდააგ-დეს ბაგრატ უთვალო და იქმნა მეფედ იმერთა არჩილ, წარგვარა არ-ჩილ თამარ დედოფალი ბაგრატსა და მისცა გვალად ლეონ დადიანსა. ხოლო ბაგრატ უთვალო ევედრა ხვანთქარსა და მისცა შეწევნა სპითა უმრავლითა, გარდააგდეს არჩილ და მისცეს მეფობა ბაგრატსავე. მაშინ შეიკრიბნა იმერნი და წარვიდა დადიანსა ზედა და დადიანი ეწყო ბრძო-ლად, გარნა იძლია დადიანი და გვალად წაართვა ცოლი თვისი თამარ, წარმოიყვანა და მოვიდა ქუთათის. შემდგომად მცირედისა ხანისა მოკ-ვდა დადიანი ლეონ წელსა ქრისტესით 1681. ამა ლეონ დადიანის ძე მანუჩარ ჰყვანდა გიორგი გურიელსა მძევლად, რომლისამე საქმი-სათვის და ოდეს მიიცვალა ლეონ, სთხოვეს ოდიშართა მემკვიდრე მა-თი მანუჩარ დადიანად, გარნა ვინათგან არა იყო მემკვიდრე დადია-ნისა თვინიერ მანუჩარისა. მაშინ განიზრახა თვითვე დაჭერობა გუ-რიელმა ოდიშისა, ამისთვის მოჰკლა ურმა მანუჩარ ძე ლეონ დადია-ნისა და თვით წარმოემართა ოდიშსა ზედა, გარნა შეცნობმან ოდი-შართა განამაგრეს ციხეები და არა შეუშვეს ოდიშს გურიელი და უკუნ იქცა სირცხვილეული. ხოლო ამა ჟამებთა შინა არჩილი მეორედ წარვიდა რუსეთად და ბაგრატ მეფე უთვალო მოკვდა იმერეთს წელსა ქრისტესით 1681 და დაფლეს გელათს. და ვითარ არღარა ვინ იყო ტომი მეფეთა, მოიყვანეს გურიელი გიორგი იმერთა და ჰყვეს მეფედ,

არამედ ოდიში იყო უპატრონოდ და კაცია ჩიქოვანი იყო თავი და გამგე მათი. ხოლო ჟამსა ამას დიდათ ეკირთებოდენ აფხაზნი ოდიშართ და სტყუევნვიდენ ხმლითა თუ ზღვით და დაიპყრეს აფხაზთა ვიდრე ეგრისამდე მდინარისა, და თვით დაეშენებოდენ აფხაზნი და არღარა იყო ეპისკოპოსნი დრანდასა და მოქვს. შემდგომად ამისა მოკვდა კაცია ჩიქოვანი და დაიპყრა ლიპარტიანობა ძემან მისმან გიორგი უმცესს მამისა თვისისა.

ხოლო გიორგი გურიელი, რომელი იყო მეფედ იმერთა, იყო იგი სიძე ზემოხსენებულისა ბაგრატ მეფისა უთვალოსა, რომელსა ჰყვა ასული ბაგრატისი დარეჯან, ნაშობი თამარისაგან, რომელი წარგვარა ლეონ დადიანსა ბაგრატ, რომელი ზემოთ ვახსენეთ, და ოდეს იქმნა იმერთა ზედა მეფედ გიორგი გურიელი, განიზრახა ღმერთი და განუტევა ცოლი თვისი ზემოხსენებული დარეჯან ასული ბაგრატისა, და შეირთო სიდედრი თვისი თამარ დედოფალი, ვინათგან იყო იგი შვენიერებითა მდიდარი ფრიად. (ოქმულ არს ამა თამარისათვის, ოდეს იქმნა მიდგომილ ამა გიორგი გურიელისა თავის სიძისაგან შვა ცეცხლი და მოკვდა). ჟამს ამას ვინათგან იყო ოდიში უპატრონოდ, მაშინ გიორგი ლიპარტიანმა ძეი ლეონ დადიანისა ნაშობი მხევლისაგან სახელად ლევანვე, დასვა დადიანად სათნოებისათვის მეგრელთა და წინააღმდეგად გურიელისა. ვინათგან დაშთა იმერეთი უმემკვიდროდ და იქმნა მეფედ გიორგი გურიელი, ესე შეუძსდა გიორგი მეფესა საქართველოისასა და ჰყვანდა მისთანა ძეი ბაგრატ უთვალოსა ალექსანდრე ნაშობი ხარჭისაგან, რომელიცა ზემო ვახსენეთ, ამისთვის სთხოვა უსუფ ფაშასა, რათა ჰყოს იმერთა ზედა მეფედ ალექსანდრე. ხოლო ფაშამან ესე უოკლებლად აცნობა ხონთქარსა და ნებითა ხვანთქრისათა შთამოვიდა იმერეთად ფაშა და ჰყო მეფედ ალექსანდრე წელსა ქრისტესით 1682, და გიორგი გურიელი წარვიდა გურიადვე. ხოლო შემდგომად სიკვდილისა თამარ დედოფლისა შეირთო გიორგი გურიელმან ნაცოლარი კაცია ჩიქოვანისა დედისნაცვალი გიორგი ლიპარტიანისა.

ხოლო რადგან იქმნა მეფედ ალექსანდრე ძე ბაგრატ უთვალოისა, არა ინება მეფობა მისი გიორგი ლიპარტიანმა და შოშიტა რაჭის ერისთავმა და ბეჟან ლორთქიფანიძემ, შეკრბნენ ესენი და მიერთნენ გურიელსა, არამედ გურიელმან საბრძოლველად წამოსრულმან განძარცვა ხატი ვლაქერნ ღვთის-მშობლისა და ჰყო სამკაულად თვისად. მოვიდა გურიელი სვირის და შემოეყრნენ გიორგი ლიპარტიანი, რაჭის ერისთავი შოშიტა, და ლორთქიფანიძე და ჩიჯავაძენი. ხოლო ალექსანდრეს დაშთა აბაშიძენი და ზემო მხარნი, რომელთაცა მაშინ განდიდებულ იყო პაატა აბაშიძე და გიორგი მიქელაძე. იქმნა ბრძოლა ძლიერი როკითს წელს ქრისტესით 1684, გაემარჯვა ალექსანდრე მეფესა და მოჰკლეს გურიელი გიორგი (ამისთვის იტყვიან უცნაურითა გვემულითა მოკვდაო) მოკლეს გვალად რაჭის ერისთავი შოშიტა. ხოლო ალექსანდრესა მოჰკლეს აბაშიძე ლუკან და პაატა დაჰკოდეს და მოიქცა ალექსანდრე გამარჯვებული, და დაიპყრა იმერეთი, ხოლო გურიას დასვეს გურიელად მალაქია ძმა გიორგისა. ჟამსა ამას მოკვდა აბაშიძე პაატა და იქმნა სააბაშიოს პატრონად ძმა მისი ნაბერალი მალაქია, რომელმან იწოდა გიორგი და განდიდდაცა ფრიად. ამან შეირთო ნაცოლარი გიორგი გურიელისა და დედის ნაცვალი გიორგი ლიპარტიანისა, რომელი ზემოთაც გახსენეთ. შემდგომად რამოდენისამე ჟამისა გურიელად ჰყვეს ძმისა გიორგის ძე თნებითა გურიელისათა. და მალაქია მონაზონ იქმნა და მისცეს შემოქმედი. ხოლო ჟამთა ამათ ლეონ დადიანმა მიიყვანა მეუღლედ და ალექსანდრე მეფისა თინათინ თნებითა გიორგი ლიპარტიანისათა. ვინაითგან იგი თაობდა ოდიშ ლეჩხუმსა ზედა, და მისითა ნებითა იყო ლეონ დადიანად სახელით ოდენ. ხოლო საქმით ყოველივე იყო გიორგი ლიპარტიანისა. გარნა ჟამსა ამას იყო დიდი ჭირი ავაზაკთაგან ავაზაკობითა და ტაცებითა, ჯიდიშარის ზედა. ხოლო ჟამსა ამას მოვიდა არჩილ მეფე ბაგრატიონი რუსეთიდამ და მოიყვანა ორნი ძენი თვისნი, ალექსანდრე და მამუკა და ძენი თვისნი წარავლინა, დვალეთს და თვით მოვიდა რაჭას. ხოლო ეზრახნენ იმერნი, რათა ჰყონ არჩილ მეფედ და იმერთა მის-

ცეს პირი არჩილს. მოვიდა არჩილ და რაჭის ერისთავი ვგელის თავს და მიერთო მას გიორგი ლიპარტიანი, წილაძე და მიქელაძე და ლორთქიფანიძენი. ამის გამხილველმან ალექსანდრე მეფემან დაუწყო ზრახვა ლიპარტიანს, დაუმტკიცა ლეჩხუმი და კვალად მიერთო ალექსანდრეს.

ამისათვის ვერ წინა ალუდგან ალექსანდრეს არჩილ (ვისიცა იქმნებოდა ლიპარტიანი მპყრობელი ოდიშ-ლეჩხუმისა ძლევაცა მისი იქმნებოდა) და წარვიდა არჩილ ოდიშს. ხოლო ოდიშიდამ ავხაზეთს სწადოდა წარსვლა ყირიმის ხანთან, სადა ყვანდა ელჩნი წარვლინებულნი. ხოლო არჩილ რა მივიდა ავხაზეთს მოეგება შარვაშიძე, ისტუმრა პატივითა ვითარცა მეფე და იყოფებოდა ზუფუს ჟამ რაოდენმე, არამედ ვერღარა მპოვნელი გზისა უკმოიქცა და მოვიდა ოდიშს, გარნა ვინათგან ლიპარტიანი იყო მეფისა ალექსანდრესი, ვერღარა დადგა ოდიშს, წარვიდა და მივიდა საჯილათ სამიქელათს, და მუნით წარვიდა რუსეთად, და წარიყვანა ძმის წულნი თვისნი ძენი ლევანისანი ქაიხოსრო, ვახტანგ და დომენტი და იყოფებოდა დიგორს. ხოლო ჟამთა ამათ ისაქმა არჩილ ხვანთქარსა თანა, ბრძანა ხვანთქარმან და წარმოავლინა აზრუმის ფაშა, განაძეს ალექსანდრე, რომელი წარვიდა ერეკლე მეფისა თანა ქართლს, და იმერეთი მისცეს არჩილს და ქმნეს მეფედ და დამორჩილდენ ყველანი იმერნი არჩილს, თვინიერ გიორგი აბაშიძისა და ოსმალნი წარვიდა ახალციხედვე. ხოლო ჟამისა რაოდენისამე შემდგომად შემოიკრიბნა არჩილ სპანი იმერეთისანი და სთხოვა ლიპარტიანსა შეწევნა, მოადგა ქუთათის ციხესა, რომელიცა დიდათ შეაიწრა, რომელ მეციხოვანენი სჭამდენ ჯღანთა, რომელთა არა რაი აქვნდათ, ხოლო ამა ჟამსა რომლისამე საქმისათვის გულ-გლეიბულ იქმნა ლიპარტიანი არჩილს მეფესა ზედა, და ლიპარტიანი შემოდგომილ იყო ერთი მხრით ციხესა ქუთათისისა ძლიერად, და გულგლებისათვის არჩილისა გამოიყვანა იდუმალ ოსმალნი და მისცა მრავალი საზრდო და განამაგრა ციხე და თვით წავიდა ოდიშს. მხილველი ამისი არჩილ მეფე დიდათ შესწუხნა და შემოეცალა ციხესა,

ვინათგან ემინოდა ლიპარტიანისაგან და შემოიფიცნა განახლებით კუალად იმერნი. გარნა იქმნა ქრისტიანეთათვის საგლოველ საზავთე-ბელი არ გამოვიდენ ციხიდამ ოსმალნი და შემუსრეს ქუთათის ეკკლე-სია ყოვლად წმინდისა დიდ მშვენიერად გებული, რომლისა საფუ-ძველნი დღესაც გვაჩვენებს დიდ შუენიერებასა მისსა (ამისთვის ქმნეს ოსმალთა ესე ვინათგან ციხესა მას აგნებდენ მუნით ძლიერად) წელს ქრისტესით 1691, ხოლო ალექსანდრე მეფე წარვიდა ახალციხეს და მწე ეყო ფაშას ახალ ციხისა და წარმოჰყვა იმერეთს სპითა და მისცა იმერეთი და არჩილ მეფე წარვიდა რაჭას და რაჭიდამ რუსეთს. გარნა გზასა ზედა უღალატეს ჩერქეზთა და არჩილს ყოვლად საქებელითა სიმხნითა თვისითა და მამაცობითა ვერა ავნეს, და რუსეთად ვერღა წარვიდა და უკუ-ქცეულმან ბრძოლითა გამოვლო ჩერქეზი და მოვიდა საქართველოდვე. ხოლო ალექსანდრე მეფობდა იმერეთს და განუტევა ცოლი თვისი დიდებულის ქალი რომელსა თანა ჰყვანდა ორნი ძენი სვიმონ და გიორგი უქორწინებელად, და შეირთო სჯულიერითა ქორ-წინებითა გიორგი აბაშიძის ასული თამარ, რომელი იყო მას ყამსა 10 წლისა. ყამთა ამათ განძლიერდა ლიპარტიანი გიორგი და არღარა ინება დადიანისა ლეონისა დადიანობა, განაძო იგი და წარვიდა სტან-ბოლს და მუნ გარდაიცვალა. ხოლო გიორგი ლიპარტიანმა დაიპყრა ოდიში და ლეჩხუმი, გარნა არა იწოდებოდა დადიანად, არამედ ლი-პარტიანადვე. ხოლო ესე მეფე ალექსანდრე, თუმცა იყო მხნე ახოვა-ნი და აღნაგითა შუენიერ, გარნა იყო ცუნდრუკ და წინა-აღმდეგად მქცევი სჯულისა, ამისათვის სძულობდენ იმერნი და ცოლიცა თვისი თამარ დედოფალი აბაშიძის ასული და სწადოდა განტევება. ამისთვის ეზრახა მამასა თვისსა, რათა წარგვაროს და მისცეს მეფესა გიორ-გის. ხოლო აბაშიძემან გიორგიმ სიყვარულისათვის ასულისა არღარა მიხედა უჯეროებასა და ეზრახა იმერთა და ვინათგან სძულობდენ იმერნი ალექსანდრესა შეკრბნენ კათოლიკოს ეპისკოპოსნი; ერისთავი პაპუნა და სხვანი წარჩინებულნი იმერეთისანი და მოადგენ სკანდეს მყოფს ალექსანდრეს და შეიპყრეს და წარუგზავნეს გიორგი მეფესა

(ვინათგან მტერ იყვნენ გიორგი მეფე და ალექსანდრე) მოიყვანეს რუის, მოაშთვეს და დაფლეს მუნ წელს ქრისტესით, 1695. შთამოიყვანეს არჩილ და დასვეს მეფედ. ხოლო თამარ დედოფალი ეზრახა გიორგი მეფესა, რათა შეირთოს, გარნა არა ინება მეფემან გიორგი, მერმე აბაშიძე ეზრახა არჩილს, რათა შეირთოს თამარ ასული თვისი ნაცოლარი ალექსანდრესი, რათა უმეტეს დაიმკვიდროს იმერეთი, გარნა არცა მან ინება ვინათგან იყო საწინააღმდეგო სარწმუნოებისა. ხოლო გიორგი აბაშიძე ეზრახა გიორგი ლიპარტიანსა ნებითა ასულისა თვისისა თამარისათა და მოიპოვეს მონათესავე მეფეთ მეფეთა ვინმე ოდიშს, სახელით გიორგი, მოიყვანეს, შერთეს იგი თამარს და უწოდეს მეფედ წელს ქრისტესით 1696. ხოლო არჩილ წარვიდა დვალეთს და იმყოფებოდა მუნ. ხოლო ესე გიორგი იყო უგულითურთ უმსგავსო და შეუგვანებელი მეფობისა (რომელსა გიცხვით უწოდებდენ გოჩიასა) გარნა ყოველსა საქმესა მისსა მართვიდა აბაშიძე და ფლობდა ყოველსა იმერეთსა იგი აბაშიძე გიორგი. ხოლო უწესოდ ქცევისათვის შეიძულა მეფე ესე დედოფალმან თამარ, და სწადოდა განტევება, ამისთვის აბაშიძე ეზრახა არჩილს კუალად მოვიდეს, რათა შეირთოს თამარ ასული თვისი ცოლი გიორგი მეფისა, და იქმნას იმერთა ზედა მეფედ, გარნა არჩილ არა ინება და წარვიდა დვალეთს. მაშინ შეკრბნენ ყოველნი იმერნი და რაჭველნი ერისთავი აბაშიძისა თანა და განაძეს გიორგი მეფე და მოუწოდეს არჩილს, გარნა არჩილ არა ინება მეფობა იმერეთისა, ვინათგან ჟამსა მას იყვნენ იმერნი ურჩუვნიერნი, ფიცის მტეხელნი, ტყვის მყიდველნი, მკლელნი და უღმთონი, არა თუ წარჩინებულნი მხოლოდ, არამედ მდაბიონიცა. გარნა იძულებულმან თვისთაგანცა წარმოვიდა არჩილ და მოვიდა იმერეთს და დაიპყრა იმერეთი. ხოლო მცნობელმან ამისმან ახალციხის ფაშამან არა ითნო მეფობა არჩილისა, წარგზავნა კაცი მოიყვანა სვიმონ ალექსანდრეს ძე, რომელსა ზრდიდა ერეკლე მეფე საქართველოსა და შთამოიყვანა სპითა დიდითა იმერეთს, მისცა იმერეთი სვიმონს და იქმნა სვიმონ მეფედ იმერთა ზედა. ხოლო არჩილ წარვიდა რუსეთად.

იქმნა იმერთა ზედა მეფედ სიმონ, ამას ეზრახა აბაშიძე გიორგი და მისცა ასული თჳსი ანიკა ცოლად და იქორწინა მეფემან ანიკასა ზედა. გარნა იყო პირველ გამგებელად იმერთა ზედა აბაშიძე გიორგი და თამარ ასული აბაშიძისა ნაცოლარი მეფისა გიორგისა დედოფლობდა და მსახურებდენ ყოველნი იმერნი. ესე შეუძნდა მეფესა სვიმონს, შეშინდა და დაუტევა იმერეთი და წარვიდა ქართლს ერეკლე მეფისა თანა. ხოლო დედოფალმან თამარ ასულმან აბაშიძისამან ინება შერთვა გიორგი ლიპარტიანისა და ინება ლიპარტიანმანცა და ამისთვის წარვიდა თამარ ოდიშს, შეირთო თამარ ლიპარტიანმან და განუტევა ცოლი თვისი მიქელაძის ასული, რომელსა თანა ჰყვა შვილნი ძენი მოწიფულნი და მიერიდამ უხმობდენ თამარს იმერთ-ოდიშართ დედოფლად. შემდგომად ამისა განსდგენ რაჭველნი აბაშიძისაგან, გარნა აბაშიძე შეუხდა რაჭას მოსწვა, მოსტყუევნა და დაიმორჩილა და მოვიდა იმერთსავე. ამათ ჟამთა განიზრახა მამია გურიელმა მეფება სვიმონისა და მოიყვანა სვიმონ, განატევებინა ასული აბაშიძისა ანიკა და მისცა გურიელმან და თვისი და შეირთო. ესე შეუძნდა აბაშიძესა, მოუწოდა გიორგი ლიპარტიანსა და შეკრბენ საჭილაოსა და ეზრახნენ გურიელსა, რათა მოჰკლას სიმონ მეფე და თვით გურიელი ჰყონ მეფედ, ესე არა ინება გურიელმან და ნება-სცა მათ. მაშინ წარავლინეს მათ კაცნი, და ცოლისა თვისისა თანა მწოლი სვიმონ, ოდეს განვიდა ბუნებითისა საჭიროსა ადგილსა, ჰკრეს თოფი და მოჰკლეს სვიმონ წელსა ქრისტესით 1701. მაშინ მოიყვანეს მამია გურიელი და დასვეს მეფედ იმერთა, გარნა თუმცა იყო მეფედ გურიელი, გარნა სამეფო ყოველნი დაბანი, აგარაკნი და შემოსავალნი ეპყრა აბაშიძესა და ასულსა მისსა თამარს ცოლსა ლიპარტიანისასა, და ახლდათ ყოველნი იმერეთისა წარჩინებულთა და აზნაურთა ძენი. და ამა ვითარებისა მხილველი გურიელი წარვიდა გურიასავე. ხოლო მთავრობდა აბაშიძე და განაგებდა ყოველი იმერეთი მის მიერ. ჟამსა ამას აწუხებდენ დიდად ავხაზნი ოდიშსა ტყვის ყიდვითა და კაცთა კლვითა, ამისთვის სთხოვა აბაშიძეს შეწევნა ლიპარტიანმა. წარვიდნენ ორნივე ავხაზეთს. ვერ წინააღუდგნა

შარვაშიძე და მოსწვეს, მოტყუენეს აფხაზეთი და დაიპყრა ლიპარტიან-მა ოდიშის საზღვრის აფხაზეთი, გაარიგა შარვაშიძე და მოიქცა ორ-ნივე აბაშიძე ლიპარტიანი გამარჯვებულნი. ხოლო შემდგომად სიკვდილისა სიმონ მეფისა ძმაი მისი გიორგი წარვიდა ახალციხის ფაშასთანა და დაიზრდებოდა მუნ. ხოლო განდიდდა რა აბაშიძე არცარა მორჩილებდენ ფაშასა, ამისთვის შეასმინა ფაშამან ხვანთქარ-სა, ხოლო ხვანთქარმან წარმოავლინა აზრუმის ფაშა, რათა დასჯოს იმერეთსა შინა 7 წელი. წარმოემართა ფაშა შავის ზღვით გურიით და ქაია თვისი წარმოავლინა ახალციხით, ფაშასა შეეერთა, გურიელი აღმოვიდა ოდიშს და აღიღო რუხის ციხე, და აღაშენა ანაკლიას ცი-ხე; ხოლო ქაია და ფაშა ახალციხისა შთამოვიდა იმერეთს და მოს-ტყუენეს იმერეთი და აღიღეს ჯალა ტყის კოშკები. ჟამსა ამას მოკვდა ხვანთქარი სულთან მუსტაფა და დაჯდა სულთან ახმეტ და ამისთვის იქმნა ამბოხება ოსმალთა შინა და გაბრუნდენ და წარვიდენ ოდიშ იმერეთით ოსმალნი, გარნა უკუბრუნებისა ჟამსა ქეჯამ იჩემა ნათე-საობა აბაშიძისა და ეგრეთვე ქეჯასი აბაშიძემ და ამის გამო შეიყვარ-ნენ და ხახეს ერთმანერთი და ქეჯამ იშვილა გიორგი ალექსანდრეს ძე, და აბაშიძე ჰყო მეურნედ მისა, და ესე ვითარად წარვიდა ქეჯა. გარნა აბაშიძემან არა დაიცვა ქეჯასადმი პირ მიცემული, უბრძანა იმერთა და შეჰკრეს ფერსათი და დაუწყეს სროლა, კოლა ფაშა მოჰკლეს ისაუ ახალციხის ფაშა დაჰსძრეს და მრავალნი დახოცეს და გარდარჩენილი მივიდენ ახალციხეს და ეგრეთვე ოდიშს მყოფმა ფაშამ განვლო გუ-რია და წარვიდა. ხოლო აბაშიძემან დაიპყრა კვალად მთავრობა იმე-რეთისა წელს ქრისტესით 1703. ხოლო გიორგი ძე ალექსანდრე მეფისა, რომელი დაუტევა ქაიამ მეფედ, შეშინდა აბაშიძისაგან და შე-ვიდა ქუთაისის ციხესა და გიორგი მიქელაძე ერთგულებდა მას. ხოლო ქუთაისის მყოფობისა და მწირობისა გიორგი მეფისასა შეეწეოდა ვახტანგ გამგებელი ქართლისა და წარმოუგზავნიდა მრავალსა საფა-სესა. ამათ ჟამთა დიდათ განდიდდა აბაშიძე და დადიანი და გურიელი მოწოდებითა მისითა იყვნენ მარადის მასთანა. ხოლო მტერ იყვნენ

ლიპარტიანი და გიორგი მიქელაძე, ვინათგან დაიყო გიორგი მიქელაძისა, რომელი განუტევა ლიპარტიანმა ცოლი თვისი და ნება ყოფითა აბაშიძისათა გამოაძო ლიპარტიანმა გიორგი მიქელაძე მამულით თვისით და წარვიდა მიქელაძე ქართლს და ლიპარტიანმა დაიპყრა საჭილაო და სამიქელაო. შემდგომად ამისა განუდგა ძმაი თვისი ლიპარტიანსა იესე და მივიდა ქუთათის გიორგი მეფისა თანა. ამა იესეს ეპყრა ლეჩხუმი ნებითა ლიპარტიანისათა. მსმენელი ამისა წარვიდა ლიპარტიანი და უმეტეს თვისდად მოიმტკიცა ლეჩხუმი და მისცა გასამგებლოდ ძესა თვისსა ბეჟანს და დადიანობა მისცა პირმშოსა ძესა თვისსა კაციას და თვით იწოდებოდა ლიპარტიანად. გარნა ძენი მისნი იყვნენ ბრძანებასა ქვეშე მისსა. ხოლო უმრწემესსა ძესა თვისსა მონაზონსა გაბრიელს უბოძა ჭყონდიდლობაი, ამათ ჟამთა მთავრებთ და საამებლად შარნაოზ მეფემან მისცა და ხელმოწერით დაუმტკიცა პაატა აბაშიძეს სვერი, ლიპარტიანს სამიქელაო და საჭილაო, გურიელს საჯავახო და ჩიჯავაძენი, ხოლო აბაშიძემ გიორგიმ მთავრობასა შინა მისსა დიდათ დაამშვიდა იმერეთი, სადა არა სადა იყო პარვა, ავაზაკობა და ტყვის ყიდვა და არცა კაცის კვლა. ხოლო ჟამსა ამას მწე ექმნა მეფე ვახტანგ ქართლისა გიორგის ქუთათის შემწყნარებულსა და ეზრახა იმერთა მეფობისა მისისათვის. ეთანხმნენ იმერნი კათალიკოს მიტროპოლიტნი და რაჭის ერისთავი შოიქტა რა გამოიყვანეს ქუთათისიდამ გიორგი და უწოდეს მეფედ წელსა ქრისტესით 1707.

იქმნა მეფედ გიორგი ძე ალექსანდრესი, მაშინ იმერნი ყოველნი განივლტოდენ აბაშიძისაგან და მიმართეს გიორგი მეფესა. მხილველმან ამისმან აბაშიძემან სთხოვა ლიპარტიანს შეწევნა და ლიპარტიანი წარმოემართა სპითა და დადგა ვაკესა შინა, ხოლო მეფე იყო ქუთათის რაჭის ერისთავით და იმერეთით. ხოლო ჟამსა ამას მოკუდა ცოლი ლიპარტიანისა თამარ დედოფალი ზემოხსენებული, ასული გიორგი აბაშიძისა. მოიხსენეს შური ძეთა ლიპარტიანისათა მამისა თვისისა ვინათგან განუტევა დედა მათი მიქელაძის ქალი, ამისთვის დაუ-

ტყვეს მამაი და მიერთდენ გიორგი მეფესა, ეგრეთვე ვახტანგ მეფე-მან ქართლისამან მისცა ასული თვისი ანუკა ცოლად ვახუშტი აბაში-ძესა და ამითი უკუპირა ბიძასა მათსა და შემოერთო მეფესა ზურაბ სიმონ და ვახუშტი და ქსე ვითარითა საქმითა განძლიერდა მეფე გიორგი. ხოლო უკუუდგა ერისთავი მეფესა და მოვიდა ლიპარტიანთა თანა. ამისმა მცნობმან მეფემან დაუსხა თავს ლიპარტიანს და ერის-თავს და აოტნა იგინი და განემარჯვა მეფესა წელს ქრისტესით 1709. ამათ ჟამთა სთხოვეს მეფესა ლიპარტიანთ მეთა, რათა შეეწიოს მამასა მათსა ზედა. უსმინა მეფემან, წარვიდა სპითა, ლიპარტიანი ვერ წინა აღუდგა და წარვიდა ავხაზეთს შარვაშიძისა თანა და ოდიშს კაცია მე ლიპარტიანისა ჰყვეს დადიანად და ლეჩხუმი მისცეს უმცროსსა ძმასა მისსა ბეჟანს და მეფე უკმოიქცა იმერეთადვე. ხოლო ჟამსა ამას არა მწე ეყოფოდა მეფესა გურიელი, ვინათგან ერჩივა აბაშიძესა, ამისა-თვის წარვიდა მეფე სპითა გურიას და გურიელი ვერ წინა აღუდგა. მოსწვა, მოსტყუვენა, გურია და მოვიდა იმერეთს. გარდაიცვალა დადიანი კაცია მე ლიპარტიანისა ხუნაგისა ჭირითა ჟამსა ამას; გამგო-ნე ამისი ლიპარტიანი, მოვიდა ავხაზეთით და დაიპყრა ოდიში, ეზრახა გურიელსა და შეირთო ცოლად ასული გურიელისა თამარ, ხოლო აბაშიძე წარვიდა ვახტანგ მეფისა თანა ქართლს, და შეიწყნარა მან პატივითა, ვინათგან იყო ძმისწული მისი ვახუშტი სიძე მეფისა ვახ-ტანგისა, რომელი უწინარეს მოვიხსენეთ: ხოლო ვინათგან იყო მეფე გიორგი ცუდრუკი და ანგარი, ამისთვის შეიზრახნენ ლიპარტიანი, რაჭის ერისთავი, ბეჟან ლეჩხუმის ბატონი და ამას თანა იყო ზურაბ აბაშიძე, შეითქვნენ ესენი, მოიყვანეს გურიელი და ჰყვეს მეფედ და გიორგი წარვიდა ქართლს ვახტანგ მეფისა თანა და ისტუმრა დიდის პატივით გორს და აბაშიძეცა იყო მისთანა, და ვახტანგ მეფემან ქართლისამან ზავ ჰყო მათ შორის და აბაშიძე განუტევა იმერეთს და მოვიდა გურიელისა თანა, რომელი დროსა მას მეფობდა იმერთა ზედა. ხოლო გურიელმან დაიპყრა იმერეთი და გურიას გურიელად ჰყო ძე თვისი გიორგი. შემდგომად ამისა გიორგი მეფე წარვიდა

სამცხეს, სადა შეიწყნარა ისაყ ფაშამან დიდის პატივით და აღუთქვა შემწეობა; ახლდა მუნ მეფესა აბაშიძე ზურაბ განგდებული გურიელისაგან და ბიძისა მისისაგან. ხოლო ახალ-ციხით ქჩრახა მეფე ბეჟან ლეჩხუმის პატრონსა ლიპარტიანის მეს, წარმოვიდა ახალციხით ღამით, ახლდა თან ზურაბ აბაშიძე, გამოვლეს იმერეთი და მოვიდნენ ლეჩხუმს; შეიკრიბა ლეჩხუმის ჯარი ბეჟან და მოვიდა მეფით არგვეთს. აქედამ წარვიდა იმერეთის სპით გურიელი, რომელი მეფობდა მას ჟამსა, ახლდა აბაშიძე ერისთავი და გურიელნიცა, და იქმნა ბრძოლა ძლიერი და კნინღა განდრკენ მეფისანი. მაშინ მხილველი ამისი ბეჟან ლეჩხუმელი მოუხდა მარჯვენით კერძო მამაცად და სცემდა ძლიერად, სადა მოეკლეს წულუკიძე და განსდრიკა მხარე იგი და შეუხდა შუაგულ რაზმისა შუა და აოტნა იმერთა სპანი და ივლტოდა გურიელი და წარვიდა რაჭას. ხოლო გიორგი მეფემან დაიპყრა იმერეთი და აბაშიძე წარვიდა საქართველოდვე. (ხოლო აქა ნაშთსა არჩილისასა ვიტყოდეთ. ოდეს წარვიდა რუსეთად მისრულსა აშტარხანს, მოეგება ძე თვისი ალექსანდრე, რომელი წარეყვანა ხელმწიფესა დიდსა პეტრეს საფრანგეთს და ესწავლნა ხელოვნება ზარბაზან ყუმბარისა და ცეცხლსასროლისა. მივიდა არჩილ მეფე მოსკოვს და პატივით შეიწყნარა ხელმწიფემან რუსეთისამან, მერმეთ მისცა მამული დიდი და ძესა მისსა ალექსანდრეს ფელდცეხ მეისტრობა (რომელთა არტილერიათა პირველი გამგეობა). შემდგომად ალექსანდრე ბრძოლასა შინა შეიპყრეს შვედელთა და წარიყვანეს პატიმრად სტოკოლმას და იყო მუნ ალექსანდრე, ხოლო არჩილ მოსკოვს; შემდგომად განუტევეს ალექსანდრე დროთა, რათა იხილოს მამა და ცოლი თვისი, არამედ მოსრული რიგას გარდაიცვალა ალექსანდრე შირიმის სენითა წელს ქრისტესით 1710 და მოსწყდა უძეოთ, ხოლო გვამი მისი მოიტანეს მოსკოვს, მისცა ხელმწიფემ დონის მონასტერი სასაფლაოდ და დაფლეს მუნ. ხოლო შემდგომად დიდითა მწუხარებითა მოკვდა არჩილ მეფე წელს ქრისტესით 1710 და დაფლეს იგიცა დონს დიდითა პატივითა, ხოლო მამული მისი დარჩა ცოლსა მისსა დედოფალსა ქეთევანს და ასულსა

მისსა დარეჯანს რომელთა ეპყრათ აღსასრულამდე). ხოლო იმერეთს შეიზრახენ გურიელი და დადიანი, ერისთავი, აბაშიძე და ბეჟან ლეჩხუმის პატრონი და შეკრბენ ესენი და მოვიდენ ოკრიბას, აქეთ მეფე იდგა ქუთაის სპითა იმერთათა და ახლდა აბაშიძე ზურაბ და სიმონ. იქმნა ბრძოლა ძლიერი და აოტნეს მეფე გიორგი და წარვიდა ქართლს და იქიდამ წარვიდა ახალციხეს ისაყ ფაშისა თანა. არამედ ჟამსა ამას მოკვდა გურიელი მამია წელს ქრისტესით 1714, იანვარს 5. წარიღეს გურიას და დაფლეს შემოქმედს სასაფლაოსა მამათა მათთასა და იქმნა გურიელად ძე მისი გიორგი. მცნობი ამისი მეფე გიორგი ჩამოვიდა ახალციხით და დაიპყრა იმერეთი. მაშინ განუტევა მეფემან ცოლი თვისი როდამ გიორგი მეფის ასული და შეირთო და ერისთვისა მამია გურიელის ნაცოლარი. ჩამოვიდა მეფე ერისთვით და მოიმტკიცა დადიან გურიელი, ხოლო ბეჟან ლეჩხუმის პატრონი და ზურაბ აბაშიძე უკუდგენ დაეკირთებოდენ ქვეყანათა და ბეჟანისა გამო გამდგარ იყო პაატა მხეიძეცა. მერმე სთხოვა ბეჟან ლეჩხუმელმან მეფესა და მისცა 4000 მარჩილი, რათა განაძოს მამა მისი ლიპარტიანი და ჰყოს იგი დადიანად, თანხმა იქმნა მეფე და წარგზავნა ერისთავი და აბაშიძე შემწედ მისა და შეეერთა ბეჟან და მასთანა ზურაბ აბაშიძე და წავიდენ ოდიშს, ვერ წინა აღუდგა ლიპარტიანი და იქმნა დადიანად ბეჟან წელს ქრისტესით 1715. არამედ ციხენი ეპყრნენ კვალად ლიპარტიანსავე. მცირისა ხანისა შემდგომად ეცრუა მეფე ბეჟან დადიანსა და შემწე ექმნა ლიპარტიანსა და იქმნა კვალად ლიპარტიანი დადიანად და ბეჟან და ზურაბ აბაშიძე წარვიდა ლეჩხუმს, ვინათგან ბეჟან ლეჩხუმის პატრონი და ზურაბ აბაშიძე ერთი იყვნენ ყოველსა საქმესა შინა. შემდგომად ამისა მოიყვანა თვისთათანა მეფემან ლიპარტიანი და განაზრახა, რათა დალაშქროს ბეჟან ლეჩხუმს. მცნობმან ამისმან ბეჟან, ვინათგან არა დასცხრების შუღოთესა თვისისა მამისა და მის შორის, ამისთვის მოაცთუნა მამა მისი, მოიყვანა მისთანა, მოჰპარა ძილად მწოლარეს საჭურველი თვისნი და შეიპყრა მამა თვისი ლიპარტიანი თვისის ყმით და პატიმარ ჰყო ციხესა შინა, მოიყვანა დედა თვისი მიქელაძის ასული, რომელი განუ-

ტყვა ლიპარტიანმან და მოუდგინა ქმარსა თვისსა და იყვნენ ზოგად, ვიდრე აღსასრულადმდე მათდა. ხოლო შთამოვიდა ოდიშს მოსრნა მიმდგომნი მამისა თვისისანი და დაიპყრა ოდიში და იწოდა დადიანად. ხოლო გიორგი მეფე ზამთარსა ამას მიუხთა ზურაბ აბაშიძესა და მოსტყვევნა მამულნი მისნი ბეჟანის სიყვარულისა გამო. ამისთვის ევედრა ბეჟან დადიანი და ზურაბ აბაშიძე, ასლან ახალციხის ფაშასა და აღუთქვეს ქრთამი დიდი, რათა მწე ეყოს მეფესა ზედა და ჰყოს მეფედ გურიელი. უსმინა ასლან ფაშამ და წამოვიდა სპითა, აქათ მეფემან შეიკრიბა სპანი. ხოლო ფაშას მიეგებნენ ბეჟან დადიანი და ზურაბ აბაშიძე, იქმნა ბრძოლა სვიმონეთს და ივლტოდა მეფე და წარვიდა ქართლს, წელს ქრისტესით 1715. მოიყვანეს გურიელი და ქმნეს მეფედ. მაშინ ერისთავი იყო ერთგულ მეფისათვის, ეზრახნენ ერისთავსა, მისცა ერისთავმან ასული თვისი გულქან ცოლად ბეჟან დადიანის ძესა ოტიას და ამით იქმნა მშვიდობა მათ შორის, და ფაშა წარვიდა ახალციხეს. ხოლო გურიელი ვინათგან არღა მეფობდა ნებასა ზედა თვისსა, ამისთვის წარვიდა გურიადვე. მაშინ სამთა ამათ მთავართა განიყვეს იმერეთი სამ ნაწილად და დაიპყრეს თვის თვისი მხარე. ხოლო გურიელსა გიორგის აღუშურდა დედა თვისი ელენა, მოიყვანა მონაზონ ყოფილი ძე თვისი, განატევებინა ბერობა, უწოდა ქაიხოსრო და ქმნა გურიელად, მოიყვანა ქრთამითა დადიანი ბეჟან, და მისთანა ერისთავი და ზურაბ აბაშიძე სპითა მათითა და განაძო გიორგი, მათ მოარბიეს გურია, მოიღეს ქრთამი და წარვიდნენ. მისრული ახალციხეს გიორგი გურიელი და მუნ მყოფი მეფე გიორგი ემზახლნენ ურთიერთსა, რამეთუ შემდგომად შეპყრობისა ლიპარტიანისა ცოლი ლიპარტიანისა, თამარ გურიელის ასული წარვიდა გურიას და ესე შეირთო მეფემან გიორგიმ. ხოლო ახალციხეს ვერ მშოველთა შემწეობისათა წარვიდნენ მეფე და გურიელი სტამბოლს და რა მივიდნენ აზრუმს, აზრუმის ფაშამან მოსცა სპანი გურიელს, წარმოვიდა და მოვიდა გურიას, განაძო დედა და ძმა და დაიპყრა გურია, ხოლო მეფე წარვიდა სტამბოლს. კვალად გურიელობა გიორგისა შეუძნდა

გურიის ერისთავსა და ნაკაშიძეს, ვინათგან იყვნენ მიმდგომნი დადიანსა და ძმისა მისისანი. ამათ მოუწოდეს ბეჟან დადიანსა, რამეთუ ასული დადიანისა მეუღლედ ჰყვა ბეჟან ნაკაშიძის შვილსა გიორგის. მოსრულსა სპითა გურიას დადიანს ვერ წინა აღუდგა გურიელი და წარვიდა ბათომს. ხოლო დადიანმა მოსტყუვნა გურია და წარვიდა ოდიშსავე. მოქცეულმან გურიაზედ კვალად დაიპყრა გურია გურიელმან გიორგი. ხოლო ამათ ჟამთა დიდი მეგობარი და მოყვარულნი ერთმანერთისანი ბეჟან დადიანი და ზურაბ აბაშიძე, რომლითამე მიზეზითა დაუტევეს მეგობრობა და შემოუვიდათ განხეთქილება. წარვიდა ბეჟან დადიანი, მიუხთა ზურაბ აბაშიძესა, ვერ წინა აღუდგა ზურაბ და შევიდა სვერის ციხესა და ბეჟანმან მოსტყუვნა მამულნი ზურაბისანი და მოვიდა ოდიშადვე, ამათ ჟამთა შეუპყრნა ბეჟან დადიანმან ყმანი მოყვრისა თვისისა ერისთვისანი და დაიჭირა ძმა თვისი მანუჩარ და პატიმარ ჰყო ციხესა შინა ლეხვირისასა. ამათ ჟამთა ეზრახა გურიელი დადიანსა, რათა მისცეს ასული თვისი მას მეუღლედ, რომელი ჰყვა ცოლად ნაკაშიძეს გიორგის, მისცა ნება ბეჟან დადიანმან ქმნად ამისა. მაშინ გურიელმან განაგდო თვისით მამულით ერისთავი მისი და მერმეთ მოადგა ციხესა შინა მყოფს ნაკაშიძეს, აღიღო ციხე, გამოიყვანა ცოლი ნაკაშიძისა ქალი ბეჟან დადიანისა, განუტევა გურიელმან ცოლი თვისი შარვაშიძის ასული და შეირთო ნაკაშიძის ნაცოლარი და მოემტკიცა გურია დადიანის გამო. ხოლო სტამბოლს შთასრული გიორგი მეფე მოვიდა ახალციხეს და ბრძანებითა ხვანთქრისათა შემწე ექმნა ახალციხისა ფაშა სპითა და მოვიდა იმერეთს. თუმცა არა სწადოდათ მთავართა მათ ზემოხსენებულთა, რომელთა ეპყრათ იმერეთი, მეფობა გიორგისა, გარნა ძლიერებასა მისსა ვერ წინა აღუდგა და დაიპყრა იმერეთი. ხოლო ზაოჭრულსა მას შეიზრახნენ სამნი ესე დიდ-შემძლენი კაცნი დადიანი, აბაშიძე და ერისთავი და შეუპყრნეს სიმონ აბაშიძე მეფესა გიორგის, რათა მოჰკლას იგი, ხოლო სიმონ თანხმელის ციხესა შინა მყოფი მეფე ისტუმრა და ნადიმსა ზედა მოჰკლეს თევდორობის შაბათს წელს ქრისტესით 1720

და კვალად განიყვეს იმერეთი სამთა მათ სამად, დაიპყრეს. იყო საქართველოს მეფისა თანა შვილი გიორგი მეფისა ალექსანდრე აღსაზრდელად და რა მოჰკლეს მამა მისი, მოითხოვა ისაყ ფაშამან ალექსანდრე მეფედ ყოფად იმერეთსა ზედა და მეფემან საქართველოისამან ვახტანგ წარავლინა ნიჭითა დიდითა და ხვანთქარსაც ებრძანა მეფობა ალექსანდრესი. მაშინ შეკრიბნა ფაშამ სპანი და ჩამოვიდა იმერეთს. ხოლო ბეჟან დადიანმა და მასთანა ზურაბ აბაშიძემან არა ინებეს მეფობა ალექსანდრესი. მაშინ მოადგნენ ცუცხვათის ციხესა ზურაბისას და აღიღეს ოსმალთა შეთხრით და დაასხეს მას შინა იენგიჩარნი. ხოლო ცუცხვათიდამ წარვიდენ ლეჩხუმს ბეჟან დადიანსა ზედა და შევიდენ ლეჩხუმს და მოსწვეს, მოსტყუვნეს და რაიც მალ ედვა ებრძოდა ბეჟან მხნე ახოვნად. შემდგომად უკუმოიქცენ ოსმალნი გამოვლეს რაჭა და მოვიდენ ქუთათის. მაშინ უზრახა ბეჟან დადიანი ფაშასა და მისცა ქრთამი 12 ქისა, რათა მოჰკვეთოს თავი ოტია ჩხეიძესა, ვინათგან იყვნენ მტერნი დადიანი და ოტია ჩხეიძე, მიიღო ფაშამ ქრთამი და მოჰკვეთა თავი ოტია ჩხეიძეს. განუტევა ფაშამ ერისთავი, ვინათგან მტერ იყვნენ დადიანი ბეჟან და ერისთავი, მოიყვანა ბეჟას დადიანი, ჰყო ალექსანდრე მეფედ იმერთა წელს ქრისტესით 1721. მოუძღვინა ბეჟან დადიანი მოურნედ და თვით წარვიდა ახალციხეს.

ხოლო ალექსანდრემან დაიპყრა იმერეთი თვინიერ რაჭის ერისთავისა. მერმეთ ემზახლა ბეჟან დადიანსა და მისცა დადიანმან ასული თვისი მარიამ ცოლად. არამედ თუმცა იყო ალექსანდრე მეფედ, გარნა ბეჟან დადიანი იყო მოქმედი და მმართებელი ყოვლის საქმისა. ამა ჟამსა წარვიდა აბაშიძე გიორგი ქართლს ვახტანგ მეფისა თანა და მოკვდა ტფილისს წელს ქრისტესით 1722 და გვამი წარმოიღეს და დაფლეს [illegible]. ამათ ჟამთა მეფე ალექსანდრე და ბეჟან დადიანი შემოადგნენ ჯვარის ციხეს ოკრიბას, რომელი ეპყრა ერისთავის ძმას ბედქასნს გენათელსა, შეუთხარეს და აღიღეს. ჟამსა ამას ერისთავი შოშიტა მოუხთა მეფესა სკანდას მყოფსა, ხოლო მეფე შევიდა ცი-

ხესა შინა სკანდას და განერა და ერისთავმან მოსწვა, მოსტყვენა რაო-დენიცა ჰპოვა და წარვიდა რაჭას.

წელს ქრისტესით 1725. გამოვიდნენ ოსმალნი ფოთს, აღაშენეს ციხე და დასვეს ფაშა, ხოლო შემწეობითა ბეჟან დადიანისათა შეუხთა რაჭას და მოაოხრა რაჭა მეფემან ალექსანდრე ნაცვლად სკანდას მოხ-დომისა. ეგრეთვე მეფე ალექსანდრე და დადიანი ბეჟან მოადგნენ შო-რაპანის ციხესა, რომელი ეპყრა ლეონ აბაშიძესა, გიორგის ძესა, და აღიღეს და მას შინა დებული ქონება სრულიად წარიღო დადიანმა, ხოლო ციხე მისცეს ზურაბ აბაშიძესა. ჟამსა ამას მიიცვალა გურიელი გიორგი და დაჯდა გურიელად ძე მისი მამია ნაშობი შარვაშიძის ასულისა. ჟამსა ამას გარდაიცვალა ერისთვის ცოლი მარიამ მეფის ქა-ლი, და ჰყვეს ზავი დადიანმა ერისთავმან და მისცა ერისთავს დადიანმა ასული თვისი ნაცოლარი გიორგი გურიელის ერისთავს ცოლად. ესე არა სასიამოვნოდ აღუჩნდა ზურაბ აბაშიძესა და შეასმინა დადიანი ისაყ ფაშასა, ხოლო ფაშამ წარმოავლინა ძე თვისი უსუფ ფაშა და ჩამოვიდა იმერეთს, მიეგება მეფე და დასდგნენ გეგუთს. ხოლო მიი-წვია დადიანი ბეჟან უსუფ ფაშამან და მივიდა ურიდლად და ოდეს შევიდა კარავსა ფაშისასა, მაშინ დამალულმან დასცა ხანჯალი ბეჟანსა მაჰმად ბეგ მესაჭურჭლემან ფაშისამან და მოჰკლა დადიანი ბეჟან და თავი მისი წარგზავნეს წინაშე ხვანთქრისა წელს ქრისტესით 1728 და წარვიდა ფაშა ქართლს და ბეჟანის წილ იქმნა დადიანად ძე მისი ოტია. ხოლო ჟამსა ამას შეიშურვენ ოტია დადიანი და ძმა მისი კაცო, შეიპყრა ოტიამ კაცო და მიაბარა ერისთავს და მან პატიმარ ჰყო კვრას ციხესა შინა. ამათ ჟამთა მოადგა ერისთავი სადგმელს ციხესა იაშვილისასა, მაშინ მეფემან წარუგზავნა ლეონ აბაშიძე ერის-თავსა თანა ვინათგან ლეონ იყო დედით ძმა ერისთვისა, რათა მოე-ცალოს ერისთავი ციხესა იაშვილისასა. გარნა ერისთავმან შეიპყრა ღალატით ლეონ აბაშიძე და წარუგზავნა დადიანსა; გარნა დადიანმა პატივით განუტევა ლეონ და შემდგომად მივიდა ლეონ აბაშიძე მე-ფისა თანა. ამათ ჟამთა მოკვდა ერისთავი შოშიტა და იქმნა ერის-

თავად მე მისი გრიგოლ. ხოლო ჟამსა ამას გაიპარა ძმაი დადიანისა კაცო კვარიდამ და მივიდა მეფისათანა. ამათ ჟამთა მოკვდა ცოლი მეფისა ასული დადიანისა ბეჟანისა და შემდგომად მეფემან შეირთო ასული ლევან აბაშიძისა ცოლად და იქორწინა წელს ქრისტესით 1732 ხოლო მეფემან ასული თვისი ნაშობი დადიანის ქალისა მისცა ცოლად გურიელსა მამიას. იხილეს ესე და ამისთვის დადიანმა გარდაბირა მეფესა ძმა თვისი მამუკა და მოიყვანა დადიანმა და შერთო დაი თვისი ცოლად. შეაკრიბა დადიანმა ოდიში, ლეჩხუმი და ავხაზნი და შეეწია ერისთავი და ზურაბ აბაშიძე და მივიდა დადიანი იმერეთს და დასდგა გეგუთს და აოხრებდა იმერეთს. ხოლო ალექსანდრე ვერ წინა აღუდგა და შევიდა ქუთათის ლევან აბაშიძით და მოადგა დადიანი ქუთათის, გარნა ვერ აღიღო და მოეცალა. ამათ ჟამთა მოვიდა ფაშა ფოთს, რათა უმეტესად დაიპყრას კიდურნი შავის ზღვისანი, ხოლო რა სცნა მეფემან ალექსანდრემ მივიდა ფაშისა თანა და ერთად წარვიდენ ოდიშს, გარნა არა მივიდა დადიანი და დახიზნულ-ყო ყოველი ოდიში, მუნით წარვიდენ და მოსწვეს ეკლესია წმიდისა გიორგისა ილორს და აღძარცვეს კრამიტი პრჯნისა და მუნით შევიდენ ავხაზეთს და მეურიგდა შარვაშიძე მპყრობელი ზუფუსი და მაჭმადიან ჰყვეს იგი და ყოველნი მისთანა მყოფნი და განვიდენ კოდორად.

ხოლო ახლდა ყოველთა ამათ საქმეთა შინა მეფე ალექსანდრე ფაშასა, რათა შემდგომად უკმობრუნებისა დაუმორჩილოს დადიანი ოტია. მაშინ განემზადა ფაშა წასასვლელად ჯიქეთს და აწვია მეფეცა. გარნა მძიმედ აღუჩნდა ესე მეფესა და ღამესა მას გამოიპარა მეფე სპითა თვისითა და დილასა დევნა უყვეს ოსმალთა და მოეწივნენ პირსა ზედა ეგურისასა. ხოლო იმერთა განამაგრეს კიდური მდინარისა და რაოდენითა მით კაცითა განერა მეფე და მოვიდა ციხესა შინა კაცო დადიანის ძისასა და დანაშთენი იმერნი ჯიალაფეს ოსმალთა და ავხაზთა. ოდეს სცნა დადიანმა მოსვლა მეფისა ციხესა შინა კაცოსა, მოადგა გარს რაოდენ დღემდე, გარნა შემდგომად ზავ ყვეს, მოსცა მეფემან მძევალი და წარვიდა იმერეთს წელს ქრისტესით 1733.

შემდგომად ამისა უკუუდგენ ფაშას ავხაზნი და დაუწყეს ძარცვა, სროლა და კვლა და წარმოვიდა ფაშა ოდიშადვე, გარნა შეკრბენ ავხაზნი, დაესხნენ ოსმალთა და ფაშა ივლტოდა ზღვით და ყოველნი სპანი მისნი აიალაფეს ავხაზთა და სძლეს ყოვლითურთ და მრავალნი მოიშთვნენ ზღვასაცა და შემდგომად აფხაზთა დაუტევეს მაჰმადიანობა დაიპყრეს თვისივე სჯული. (არამედ ძლევასა ამასა იტყვიან სასწაულად, აწმინდისა გიორგისა ილორისასა, რომელ დამესა ამას უტყოდა აფხაზთაგან სვლასა და განამლიერებდა მათ ბრძოლად.) ხოლო შემდგომად ამათსა უკუიქცეს კვალად მამუკა მეფესა დადიანმა. ერის-თავმან და ზურაბ აბაშიძემან. შეკრბენ სპითა მრავლითა და მოვიდენ. ალექსანდრემან ჩიხორს მდგომმან შემოიკრიბა გურიელი მამია, ლევან აბაშიძე, დადიანის ძმა კაცო და სხვანი იმერნი და შეიბნენ ჩიხორს და მოისრნენ ორგნითვე უმრავნი და სძლო ალექსანდრემ, ხოლო დადიანმა ოტია ბრძოლასა ჟამს შინა განადიდა სიმხნე თვისი და სამაგალითოთა მამაცობითა ადიდა სახელი თვისი, რათა შუა რაზმთა შინა შესლვითა მოსრნა მრავალნი. გარნა შემდგომად ჰკრეს მას შვიდი თოფი და სამსა ადგილსა დაჰკოდეს ლეკურითა და შემდგომად ესევითარი დაკოდილი დაირჩინეს. დაჰკოდეს ზურაბ აბაშიძის ძე დავით; ალექსანდრეს კერძოთ მოჰკლეს კაცო ძმა დადიანისა და გამარჯვება დაშთა ალექსანდრეს კერძოთ წელს ქრისტესით 1734. ხოლო დადიანი ოტია წარმოიყვანა მეფემან და დაადგინნა მკურნალნი და განკურნა და სთხოვდა ლეჩხუმსა მეფე, გარნა არა ნება-სცა დადიანმა, ეზრახა ზურაბ აბაშიძისა გამო დადიანი ისაყ ფაშასა და მისცა ქრთამი დიდი, რათა შეეწიოს. მან წარმოავლინა მახმად-ბეგ და გივი ამილახორი სპითა ოსმალთ ქართველისათა, და მოვიდენ საჩხერეს, ამას მხილველმან ალექსანდრემ გამოართვა დადიანსა ოტიას საჯილაო, სამიქელაო და განუტევა დადიანი, მოვიდა მეფე საჩხერეს, მისცა და თვისი მახმად-ბეგს და წარვიდა ოსმალნი. დაზავდენ დადიანი, ერისთავი, და ზურაბ აბაშიძე მეფისა თანა, და დაიპყრო იმერეთი ალექსანდრემან. ამას ჟამსა მოიყვანა მეფემან დავით აბაშიძე ძე ზურაბი-

სა, რომელი იყო სიძე მეფისა ალექსანდრესი, და პაპუნა წერეთელი, და ერთავე თავი მოჰკვეთა ღალატითა და წარვიდა მსწრაფლად, რათა დაიპყრას მოდინახის ციხე, გარნა ცოლმან და ძმამან პაპუნასსამან განამაგრეს ციხე და ვერ იშოვა მეფემ ციხე იგი. იხილეს რაი ესე ვითარი მოქმედება წარჩინებულთა რამეთუ ხებავს ყოველთა მოწყვეტა, ამისთვის შეკრბენ დადიანი, ერის-თავი გრიგოლ და ზურაბ აბაშიძე და ოდეს სცნა ესე ალექსანდრემან, მოითხოვა ლეკნი შანშე ქსნის ერის-თავისაგან და წარმოუგზავნა 500 ლეკნი, წარმოუძღვა ალექსანდრე და მოვიდა ოდიშს, და ვერ წინააღუდგა დადიანი; და ალექსანდრემან მოსწვა, მოსტყვევნა ოდიში და უკმოიქცა იმერეთადვე. ხოლო ჟამისა რაოდენისამე შემდგომად შეიკრიბა დადიანმა ოტიამ აფხაზნი და ოდიშარნი და მოერთვენ დადიანსა, ერის-თავი და ზურაბ აბაშიძე, და ვერ წინააღუდგა ალექსანდრე, გამოუშვა დადიანმა მარბიელნი და მოსწვეს სასახლე მეფისა ვარ-ციხე წელს ქრისტესით 1740; მოსწვეს, მოსტყვევნეს იმერეთი და უკუნვე იქცა ოდიშადვე დადიანი ოტია. ამათ ჟამთა წარავლინა ალექსანდრე მეფემან ძმაი თვისი გიორგი და ლევან აბაშიძე ქართლს ვახუშტი აბაშიძესა ზედა, რათა შეიპყრან იგი, და უცნობელად დაესხენ ტეძერს მყოფს და ვახუშტი გამაგრდა სახლსა შინა და დაიწყო თოფითა ცემა, მაშინ ამათ შეუდგეს ცეცხლი სახლსა ამას. იხილა ვახუშტიმ ცეცხლი, გამოვარდა და მიენდო ბიძისძესა თვისსა ლევანს, მათ მოჰგვარეს მეფესა და პატიმარ ჰყვეს ციხესა შინა ნავარძეთისა, სთხოვდა მეფე 500 ქესა თეთრსა და ციხესა ვახანს და ესე არა ინება ვახუშტიმ მიცემად, მერმეთ მოვიდა კათალიკოსი დომენტი განტევებისათვის ვახუშტისა, გარნა არა პატივსცა ალექსანდრე. კვალად წარმოავლინა ისაყ ფაშასა ცხენი აღკაზმული და ჭურჭელი და ოცი ქესა თეთრი რათა განუტეოს ვახუშტი და არა ინება მეფემან, გარნა ისაყ-ფაშამან აღუსრულა თხოვნა ანუკა ვახტანგ მეფის ქალსა, ცოლსა ვახუშტი აბაშიძისასა და გაზაფხულს წარმოავლინა ფილარიდის შვილი სიძე თვისი სპითა. ამა ჩამოსრულს იმერეთს შეერთდა დადიანი და სხვანი იმერთა თავადნი. იხილა რა მე-

ფემან, დახიზნა ხიზანი თვისი ხარაგეულს და თვით წარვიდა ქართლს წელს ქრისტესით 1741. წარჰყვნენ მეფესა მამუკა ძმა თვისი და ლევან აბაშიძე და ვახუშტი. წარიყვანეს პყრობილი. მაშინ მოიყვანეს გიორგი ძმა ალექსანდრესი ნაშობი გურიელის ასულისა, და ქმნეს მეფედ და წარვიდნენ ოსმალნი. ხოლო ალექსანდრე მისრულმან ქართლს განუტევა ვახუშტი და თვით მივიდა ხანისა თანა, რომელი იყო შაჰნადირისაგან დადგენილი საქართველოსა შინა. ხანმან ამან პირველად პატივსცა ალექსანდრეს და მერმეთ შეიპყრა. ამის მხილველი მამუკა და ლეონ და სხვანი იმერნი ივლტოდნენ და მოვიდნენ იმერეთს. ხოლო მეფემან ალექსანდრე წარავლინა ელჩნი ვედრებად შაჰნადირისა დარუბანდს. შაჰნადირმან ელჩთა მათნიჭა პატივი და წარმოუვლინა კაცი რა უმით ისაყ-ფაშასა, რათა ალექსანდრე ყოს იმერეთს მეფედ. უსმინა ისაყ-ფაშამან და ალექსანდრე შთამოიყვანა იმერეთს და ჰყო მეფედ და შეამტკიცა დადიანი, მისცა იმერეთი და მერმეთ წარვიდნენ ოსმალნი. ხოლო გიორგი ძმა მეფისა წარვიდა ოდიშს. კვალად მცირედისა ჟამისა იქმნა მეფესა და დადიანს შუა შური. ესე ალექსანდრე მეფემან აბრალა დედის-ნაცვალსა თვისსა თამარ გურიელის ასულსა (რომელსა უწოდდენ კოშკიბროლად) შეიპყრა და მოჰკვეთა თავი. ხოლო დადიანი წარმოემართა სპითა და მოვიდა ბებუთს და შეიკრთა ერის-თავი გრიგოლ. ხოლო მეფე შევიდა ქუთაისს და არა ეძლო ბრძოლა პირის-პირ, გარნა რომლისამე მიზეზისათვის უგმოიქცა დადიანი და მომავალსა ეწივნენ იმერნი და დაუწყესთ თოფითა ცემა, მოჰკლეს ერის-თავი გრიგოლ და ივლტოდნენ ოდიშარნი წელს ქრისტესით 1743, და ნაცვლად გრიგორისა ერის-თავად ჰყვეს ძმა მისი ვახტანგ. შემდგომად შერიგდნენ მეფე და დადიანი, იქმნა მშვიდობა და მეფობდა ალექსანდრე იმერეთს. ხოლო რაოდენისა ჟამისა, ამა მეფემან განძარცვა ხატი ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობელისა (რომელსა უწოდებენ ხახულისა ღვთის-მშობელსა) და ამის ძლით წარმოსცვივნდნენ ორნივე თვალი და მოკვდა თვესა მარტსა წელს ქრისტესით 1749, და იქმნა მის წილ მეფედ ძე მისი სოლომონ.

ესე პირველი სოლომონ იქმნა მეფედ იმერთა კაცი მხნე, ახოვანი და მამაცობასა შინა ქებული. ამან შეირთო მეუღლედ აფხაზეთის თავადის ზუგუს მცხოვრების ინალის შვილის ასული. გარნა ვინათგან იხილა თვინიერ დადიანისა მეფობა მისი შეუძლებელ არს, ამისთვის განუტევა ინალის შვილის ასული და შეირთო ოტია დადიანის ასული მარიამ, რომელი იყო დედათა შორის ყოვლად კეთილ-სახსოვარი. გარნა ჟამსა ამას მძლავრობდენ იმერეთს ოსმალნი და ეპყრათ იმერეთსა შინა ოსმალთა სიმაგრენი ციხე ქუთაისისა, შორაპანისა, ცუცხვათის და ბაღდადისა და მძლავრობდენ დიდათ, გარნა მხნე ახოვნებითა თვისითა დიდათ წინააღმდეგობდა სოლომონ ოსმალთა, მრავალთა სრვიდა, მრავალთა ხოცდა და მრავალთა ატყვევებდა და ოსმალნიცა მრავალ-გზელ გადააგდებდენ მეფობიდამ. გარნა კვალად მეფედ მოიქცეოდა შეწევნითა დადიანისათა, და თვისითა მხნე ახოვნებითა და მრავალნი ძლიერნი სერესკალნი ოსმალთანი შეწევნითა დადიანისათა დაამარცხნა და არცხვინა და უკუნ აქცია და ესრეთ მეფობდა მეფე სოლომონ. ამან წინა-აღმდეგობისათვის თვისისა დაამდაბლა სახლი თავადთა აბაშიძეთა, თუმცა იყო სახლის-შვილი აბაშიძისა მეფე ესე, გარნა არა რიდა და წარკვიდა პაპა მეფისა ამის ლევან აბაშიძე ახალციხეს და მოიცა ძალი ოსმალთაგან და მოვიდა აბაშიძე იმერეთს დიდითა სერესკლებითა. მცნობმან ამისმან მეფემან სთხოვა შეწევნა სიმამრსა თვისსა დადიანსა ოტიას. და ვინათგან კაცი მამაცი დადიანი ოტია მოუძლურებულ იყო მოხუცებულობისა გამო, ამის თვის წარმოუვლინა ძე თვისი კაცია შესაწევნელად სიძესა თვისსა მეფესა და წარმოვიდა კაცია სპითა ოდიშ-ლეჩხუმ აფხაზთა, და აქათ მეფემან შეიკრიბნა რამდენიმე იმერნი. გარნა უმეტესი მიდრეკილ იყო აბაშიძისა ლევანისა მიმართ; და შეერთებულნი მეფე და კაცია დადიანის ძე მიუხდნენ ხრესილს მყოფს ოსმალთა განდიდებულთა მხედრობათა და შეიქმნა ბრძოლა სასტიკი, სადა მამაცად ბრძოდენ მენგრელნი და ლეჩხუმელნი და განსდრიკნეს თათარნი, მიეწივნენ მენგრელნი და მოჰკვეთეს აბაშიძე ლევან პაპა მეფისა, შეიპყრეს აბაშიძე გედევან და მოჰკ-

ბჟარის მეფესა და შემდგომად დასწვა თვალნი მეფემან. კვალად მეგრელთ შეუპყრეს გოლა-ფაშა და სპასპეტი მხედრობისა ამის ბაშალა და მოჰკვეთეს ორთავე თავი და გაუმარჯვათ დიდათ და სახელოვნად მეფესა და დადიანსა, წელსა ქრისტესით 1756, რომელ კაცსა ერთსა მოჰყავდა ათი ოსმალი შეპყრობილი და აღიღეს ალაფ ბარგნი უმრავლესნი და თუმცა სადამე განერა რაოდენიმე ოსმალნი ივლტოდენ ახალ-ციხეს. ხოლო მეფე და დადიანი მოიქცენ გამარჯვებულნი სასახლადვე თვისდად, გარნა ძე დადიანისა მწუხარე იყო, ვინათგან მხლე მისი შარვაშიძე ხუტანია მოჰკლეს ბრძოლასა ამას შინა, რომელმანცა სამაგალითოდ წარმოაჩინა მამაცობა და სიმხნე მისი სადა სხვათა სახელოვანთა ბრძოლათა შორის ხრმლითა განჰკვეთა თექვსმეტი ოსმალნი და შემდგომად ოსმალთ რაზმთა შუა-გულობასა მყოფი მოჰკლეს შარვაშიძე ხუტუნია. ამათ ჟამთა გარდაიცვალა დადიანი ოტია და იქმნა დადიანად კაცია. ამა წელს დაბნელდა მზე წელს ქრისტესით 1758. შემდგომად რამოდენისამე ჟამისა კაციამ დადიანმა განუტევა ცოლი ისელის შვილის ასული და მიიყვანა მეუღლედ დიდითა და სახელოვანითა მზითვითა საქართველოისა და კახეთ ცხებულის მეფის თეიმურაზის ასული, და სახელოვანის მეფის ერეკლესი ელისაბედ, რომლისა ქებანი წარიწერებოდენ ამა სამეფოთა და სამთავროთა კიდით-კიდემდე. ხოლო შემდგომად ორისა წლისა შობასა ზედა ყრმისასა მოკვდა სანეტარო ესე დედოფალი ელისაბედ სამწუხარო და საგლოველად ყოველთა სამეფოთა საქართველოისა და სამთავროთა სამეგრელოისათა, და დაიგლეს ცაგერს, ვინათგან გარდაიცვალა სამთავროსა სასახლესა მურის წელს ქრისტესით 1770 და შემდგომად მძიმისა გლოვისა შეირთო ცოლად დადიანმა კაციამ ასული პაატა წულუკიძისა ანნა. მეფემან ამან სოლომონ ოდეს იხილა, რომელ ვერ განთავისუფლდების ოსმალთ მონებისაგან, ამისთვის ევედრა როსიისა იმპერატრიცას ეკატერინა მესამესა, მან წარმოუვლინა მხედრობა და აღიღეს ციხე ქუთათისა, შორაპნისა, ცუცხვათისა და ბაღდადისა და მრავალნი მოსრნეს, მოსწყვიდნეს ოსმალნი და სხვა დაშთომილნი გან-

დევნეს და იქმნა თავის-უფალ მეფედ სოლომონ. ხოლო შემდგომად წარმოვიდენ, იწინამძღვრეს დადიანი და შემოადგენ ფოთის ციხესა, გარნა ვერ აღიღეს, და შემდგომად განვლეს იმერეთი და წარვიდენ საქართველოთი რუსეთადვე წელსა ქრისტესით 1770. შემდგომად მეორესა წელსა მოვიდნენ კვალად რუსნი და შემოადგნენ კვალად წინამძღვრებითა დადიანისათა ფოთს, გარნა ვერცა მაშინ აღიღეს და დასწამეს გამაგრება ფოთისა თავადსა სამეგრელოსასა ხახუს ჩიჩუას, შეიპყრეს რუსთა, წარვიდენ და თანა წარიყვანეს ჩიჩუაცა და მიიწივნენ რა მოსდოქს, მოკვდა მუნ ჩიჩუა და დაფლეს. ამან მეფემან აღხოცა ერის-თაობა რაჭისა, შეიპყრა ერის-თავი რაჭისა როსტომ და ძე მისი გიორგი და სხვანი მცირე-წლოვანნი შვილნი მისნი და დასწვნა ამათ ყოველთა თვალნი, ვინათგან სწამობდა ორგულებასა და მამულნი მისნი რომელნიმე მისცნა თავადთ წერეთელთ პაპუნასა და ძმასა მისსა ზურაბს და რომელნიმე თვით დაიპყრა სამეფოდ თვისდად. ხოლო იყვნენ მოყვარენი ესე ორნი მეფე სოლომონ და დადიანი კაცია დიდსა და სრულსა სიყვარულსა შინა ყოვლითურთ, გარნა რომლისამე მიზეზითა და ავთა კაცთა მოქმედებისაგან სიყვარულისა წილ შექმნათ შური დიდი ურთი-ერთას შორის და არბევდა მეფე ოდიშს, მრავალჯერ დაეკირთებოდა, გარნა არცა დადიანი აყენებდა და მრავალჯერ ესეც არბევდა იმერეთ-რაჭასა და ესრეთ განვლო ჟამმან საკმაომან. ჟამსა ამას გარდაიცვალა ღირს-სახსოვარი დედოფალი იმერეთისა მეუღლე სოლომონ მეფისა მარიამ და კაცია დადიანისა. შემდგომად გლოვისა მეფემან ამან შეირთო წულუკიძის ასული გულქან, ნაცოლარი მიქელაძის აზნაურის ქაჯაიასი. შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოკვდა ძე სოლომონ მეფისა ალექსანდრე და დაშთა მეფე უძეოდ და დაფლეს გელათს. ვინათგან ალექსანდრე იყო დის-წული კაცია დადიანისა, ამისთვის წარვიდა დადიანი შესაფერითა დიდებითა და მივიდა გელათს და იტირა დის-წული თვისი ალექსანდრე, თუმცა დიდი შური იყო მეფესა და დადიანს შუა, მაგრა სიყვარულისათვის დის-წულისა არა რიდა მისვლა იმერეთსა შინა, და მშვიდობით მოიქცა. ჟამსა ამას

ჴოვლობდენ ავხაზეთის შარვაშიძენი ზურაბ, ქელაიშ აჴმედ-ბეგ და ბექირირ-ბეგ. ამათ შეიკრიბნეს ჯიქნი, ალანნი, ზუხუა და მაზუმაი და ამასთან ავხაზეთი და წარმოემართენ დადიანსა ზედა, განუდგენ დადიანსა საპყრობელი თვისი ავხაზეთი სამურზაყანოდ წოდებული და მიერთვენ მათ ხსენებულთა შარვაშიძეთა. მცნობმან ამისმან დადიანმა შეიკრიბა სპანი თვისნი ოდიშ-ლეჩხუმისა და სვანეთისა და დაებანაკა რუხს კიდესა ზედა ეგურისასა. გარნა რა სცნო სიმრავლე და ძალი შარვაშიძეთა, მაშინ თუმცა იყვენ მტერად მეფე სოლომონ და დადიანი, გარნა მაშინცა მიუწერა ავთრათი მეფესა და შეუთვალა: „მოვიდენ აგარიანნი დასამხობელად ჩემდა და სამფლობელოისა ჩემისა და შებღალვად ქრისტიანობისა, და ნუ მოიხსენებ ჩვენ ორთა ურთიერთისა წყინებასა და მოვედ შემწედ ჩემდა და სახელოვნითა გულითა, და აწცა ჟამი მოიხსენო მსახურება ჩემი ხრესილის ბრძოლისა."
მოვიდა რა წერილი დადიანისა მეფისა თანა და წარმკითხველმან წერილისამან მსწრაფლ ბრძანა შეკრება იმერთ სპისა და წარმოემართა სახელოვნად და მოვიდა დადიანისა თანა. მხილველი და მოხარული დადიანი მეფისა მიეგება და უამბორეს ურთი-ერთსა დამვიწყებელი ყოვლითურთ შურისა ურთი-ერთისა და დაებანაკნენ მახლობელ ერთმან-ერთისა. შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდენ ავხაზნი და მიუწვდებლად გამოვიდენ ენგურს და დასდგენ პირის პირ მათსა. მეორესა დღესა ამხედრდენ ავხაზნი და წამოემართენ ზარბაზან არტილერიით და დიდ ძალითა მხედრებითა მეფესა და დადიანსა ზედა, აქათ მიეგებნენ სპანი მეფისა და დადიანისანი და შეიქმნა საშინელი ბრძოლანი. მაშინ მეფე ამხედრდა ჩვეულითა კისკასითა გულითა და წარუძღვა რამოდენსამე გუნდსა მხედრობასა იმერთ-ოდიშართასა, და მიუხდა მარჯვენით კრძო მამაცად და მრავლისა ურთი-ერთისა ბრძოლისა, განკლიჯა რაზმი და შევიდენ სპანი მეფისა დადიანისანი რაზმსა შუა, და მხილველი ამისა ავხაზნი ვერ წინა-აღუდგენ და ივლტოდენ ავხაზნი და განემარჯვათ სახელოვნად მეფესა და დადიანსა, სადა მოიკლნენ ავხაზნი მრავალნი და შეპყრობილიცა წარმოიყვანეს მრა-

კაცნი ტყვედ, და გამარჯვებული და მხიარულ ქმნილნი უკ-მოიქცევნ სახლადვე, და გარდაიხადა მეფემან თანა-მდები ხრესილისა და მის ჟამიდამ იქმნა მშვიდობა ამა ორთა მეფეთა და დადიანთა შორის და სიყვარული შესაფერი წელს ქრისტესით 1780. შემდგომსა რამოდენისამე ხანისა სიყვარულისა დასამტკიცებელად მოვიდა მეფე სალხინოს დადიანისა თანა, მონათლა ასული დადიანისა მარიამ და შემდგომად მრავლის ლხინისა და მრავლის საჩუქრისა მოვიდა მეფე კვალად ქუთათის. დროსა ამას შეიშურვნ ურთი-ერთისადმი შარვაშიძე ზურაბ, რომელი ფლობდა ზუფუს, და ძმის-წული მისი ქელაიშ აჰმედ-ბეგ, რომელი ფლობდა აყურს და მიმდგომსა მისსა, ამისთვის წარმოვიდა ზურაბ შარვაშიძე და მოვიდა კაცია დადიანისა-თანა და სთხოვა შეწევნა; ისმინა დადიანმა, შეიკრიბა სპანი თვისნი, აჩინა მხედართმძღვანვად ძმა თვისი გიორგი და წარგზავნა ავხაზეთად. მივიდენ რა ავხაზეთს ურჩნი ზურაბისანი მოსწვეს, მოსწყვიდნეს და შემდგომად შემოადგენ ცხომის ციხეს, სადა მამაცად ბრძოდენ ციხით გამო მეციხოვანენი ქელაიშ აჰმედ-ბეგისანი, გარნა სიმხნე მამაცობითა საქებელითა აღიღო ციხე იგი გიორგი დადიანის ძემან და მოიქცა გამარჯვებული კვალად ოდიშადვე. შემდგომად ემზახლენ ერთმან-ერთს კაცია დადიანი და ზურაბ შარვაშიძე, და ასული ზურაბ შარვაშიძისა რუსუდან მოიყვანა დადიანმა მეუღლედ ძესა თვისსა მანუჩარს. შემდგომად ჟამისა რაოდენისამე იწადა მეფემან, რათა მიუხთეს ჩაქვს ოსმალთა და შემუსროს იგი. შეიკრიბნა სპანი იმერელთანი და მიუხთა ჩაქვს, გარნა უკმობრუნვებულს ეწივნენ რამოდენნიმე ჩაქველნი, დაუწყესთ თოფთა ცემა, დაკოდეს სარდალნი წულუკიძე პერი და აგიაშვილი ქაიხოსრო, მოჰკლეს მრავალნი წარჩინებულნი თავად-აზნაურნი და ცოცხალნიცა დაიმორჩილნეს, და მოიქცა მეფე იმერეთს დიდათ დაჭარცხებული. შემდგომად ამისა ამავე წელს თვეს აპრილსა კგ, დღე-სასწაულსა წმინდასა გიორგისასა, ჩვეულებათ აქვსთ შეკრება ხონს დღესასწაულობად, მაშინ მეფემან მოიწადა ქუთაისით მუნ წამოსვლა შექცევად და დილას რა აღემზადა, მოგვარეს ცხენი შესაჯდომად, მაშინ

ანაზდად მოულოდებელითა სიკვდილითა გარდაიცვალა წელს ქრისტე-სით 1781 და დაფლეს გელათს და გარდავიდა უძეოდ და იქმნა უმემ-კვიდროდ იმერეთი. ხოლო იყო მას ჟამსა ორნი ბაგრატიონთა ძენი; ერთი ბიძის-ძე მეფისა დავით გიორგის ძე, ხოლო მეორე ძმის-წუ-ლი მეფისა დავითისა არჩილის ძე, ხოლო იწადეს იმერთა, რომელმან მე იგი, და რომელმანმე ესე მეფედ, გარნა დავით გიორგის ძე იყო მამიდას-შვილი დადიანისა და იყო სიძე მისი პაპუნა წერეთელი, რო-მელი მას ჟამსა იმერეთსა შინა წარჩინებულ-იყვენ წულუკიძე ბერი და იგი ხსენებული წერეთელი პაპუნა და ამა ორთა მოიწადინეს და შემ-წეობითა დადიანისათა იქმნა იმერთა ზედა მეფედ დავით გიორგის ძე, ხოლო არჩილის ძე წარვიდა საქართველოდ მეფისა ირაკლისა-თანა, ვინათგან იყო შვილის-შვილი მისი დედით და იყო მუნ. *)

---

*) ამის შემდეგი დასრულებით დაბეჭდილი იყო გაზეთს ივერიაში 1877 წ. № 5 და შემდეგს ნომრებში.

# მ ო თ ხ რ ო ბ ა

## სპარსეთის და საქართველოის არეულობის თაობაზე.

მ. დე პეისონელისა.

პარიჟი 1754 წ. [1]).

## ნ ა წ ი ლ ი   პ ი რ ვ ე ლ ი

რომელიც შეიცავს საქართველოს და თეიმურაზის და ირაკლის მეფობის შთამომავლობის აწერას.

## თ ა ვ ი I.

### საქართველოს გეოგრაფიული განყოფილება.

საქართველოს სამეფო ძველად შეიცავდა ყველა იმ ქვეყნებს, რომელნიც მდებარეობდნენ შავის და კასპიის ზღვის შუა, ჩრდილოეთის მხრით კაფამდე [2]), სამხრეთით თავრიზამდი და დასავლეთით არზრუმამდე. მას მართავდენ მეფენი, რომელნიც ირიცხებიან დავითის შთა-

---

[1]) ამ თხზულებას ფრანციულად შემდეგი სათაური აქვს: «Essai sur les Trooll, de Perse et de Géorgië Dar M. de P... A Paris. MDCCLIV», ეს თხზულება ჩვენ გადმოგვცა ერთმა ევროპაში მოგზაურმა; რომში ეპოვა, დაგვარწმუნა რომ ავტორის სრული გვარი პეისონელი არისო. ჩვენ ვსცანით ღირსად გარდმოგვეთარგმნა ქართულს ენაზე როგორც იმ დაკვირვების ნიჭითა, რომელიც ავტორს ამოუჩენია ჩვენის წარსულის ცხოვრების აღწერაში, აგრეთვე მით უფრო რომ შეგვეტყობინებია თანამედროვე მწერლის სიტყვებით ის შეხედულება, რომელიც ჰქონდათ ევროპაში ჩვენს ქვეყანაზე და იმის აწიოკებულს და იმედ მიხდილს პოლიტიკურს მდგომარეობაზე წარსულ ორს საუკუნოებში. ავტორი თავის წინასიტყვაობაში, რომელიც ჩვენ არა ვთარგმნეთ, რადგანაც ვშიშობთ რომ ერთობ არ გაგრძელდეს ჟურნალში ბეჭვდა უიმისოდაც ვრცელის წიგნისა, უძღვნის თავის შრომას ვილაც აჰენვეის, ანგლიელ ვაჭარს,

[2]) კაფა ეხლანდელი ფეოდოსიის ქალაქი არის. მთარგ.

მოშავლებად. ეს ვრცელი ქვეყანა ხშირჯერ იყო დაპყრობილი თათრებისაგან, თურქებისაგან და სპარსელებისაგან, რომელნიც იმის შერჩენისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ ხანგრძლივად და სისხლს ანთხევდნენ. ერთმა იმის მეფემ გაანაწილა ეს მრთელი სამეფო თავის შვილებთ შუა [1]) და ასრე დაასუსტა ამ განყოფით, რომ მას აღარ შეეძლო ეწინააღმდეგებია თურქებისათვის და სპარსელებისათვის, რომელთაც თავის დასამხარზედ უმჯობესი საქართველოის ნაწილი დაიპყრეს. მაზრების მმართველნი [2]) შეიქმნენ ისე მძლავრები, როგორც მათი ბატონი, მიითვისეს თაეიანთ მაზრებში თვით-მპყრობელობა და შეიქმნენ დამოუკიდებულ მთავრებად. და აი ეს იყო მიზეზი, რომ ამ ქვეყნებში ასრე გამრავლდა მთავრების რიცხვი, ზოგნი მათგანნი

ავტორს, სპარსეთის რევოლიუციების ისტორიისას» და დიდად აქებს ამ თხზულებას. ვინ იცის, რა ძვირფასი მასალეები იყოს ამ წიგნში საქართველოს ისტორიისათვის გამოსადეგარი. ჩვენ მწერლებს ვალი აქვს იპოვონ ეს წიგნი და გარდმოგვცენ მისი შინაარსი, შესახებ საქართველოისა. ამ წინა-სიტყვაობაში ავტორი უჩივის, რომ თუმცა გაზეთები ბევრსა სწერენ საქართველოზე და სპარსეთზე, მაგრამ უფრო ხშირად ცრუ ჰაზრებს ავრცელებენო ამ ქვეყნებზე. შემდეგ ის არწმუნებს მკითხველს, რომ მე გამოვიკვლიეო ამ ორის ქვეყნის ისტორია უმჯობესს წყაროებიდამაო: «ვაჭრებისაგანაო, რომელთაც ნიადაგ მისვლა-მოსვლა აქვთ ამ ქვეყნებშიო, თურქების დიდიკაცებისაგანაო, და ამასთანა ვწერ იმისთანა «საქვეყნო ქალაქშიო (პარიჟში), რომელსაც მუდამ მისვლა-მოსვლა აქვს სპარსეთში და საქართველოშიო» და «იმისთანა კაცის თვალწინაო, რომელსაც ნიადაგ მიწერ-მოწერა აქვს იქაურ მისსიონერებთან და რომლის თხზულებითაც ამისთაობაზე მე ვისარგებლეო». ავტორი დასცინის მაშინდელ რომანისტებს და ამბობს რომ «ეხლანდელი მოდის რომანების გმირებზე ირაკლი მეფე ბევრად უდიდესი არისო». ბოლოს ამბობს რომ «თუმცა სხვა და სხვა მწერლები საქართველოს ხელმწიფეებზე ხშირად სწერენო, მაგრამ ამ მეფეების შთამომავლობა იმათ სრულიად არა სცოდნიათო; და ამიტომაც მე ვადგენ იმათ სქემას დაწყებულს თეიმურაზიდამ და შაჰნავაზიდამაო», ეს სქემა წიგნის ბოლოს კიდეც მოჰყავს. ავტორი რავდენჯერმე იხსენიებს დელლავალლეს მოგზაურობასაც, რომელიც «ივერიის» მესამე წიგნში იყო წელს გარდმოთარგმნილი. ის მოგვითხრობს საქართველოის დარღვევის ეპოქას; ღირსეულად იხსენიებს აღრინდელ (საქართველოის განაწილებამდე) დიდებას «ძველის ქართველის ხალხისას, რომელიც დღუბუადე მონპერეს სიტყვით დაუმახსოვარ დროიდამ იცავდა ორ ზღვათ შუა მდებარე კავკასიის ყელს და რომელსაც ყველა ისტორიისაგან ცნობილ ხალხთან დამოკიდებულება ჰქონდაო» და მერე გვიხატავს შესაბრწყინებელ სურათს საქართველოს დაცემისას, შფოთის ატეხისას მეფეებთ და მთავრებთ შუა, გვიხატავს სურათს ხალხის აოხრებისას ჩვენთა მძვინვარე და დაუღალავ მტრებისაგან,

[1]) საქართველოს განაწილება მეთხუთმეტე საუკუნეში მოხდა.

[2]) ერისთავები. მთარგ.

მმართვენ თავისუფლად და დამოუკიდებლად, ზოგნი კი ხარკს იხდიან. ისინი ხან ემორჩილებიან, ხან გადააგდებენ იმათ დამპყრობელთ მეზობლების ხელმწიფეების უღელს. ხან განცალკევებულნი არიან და ებრძვიან ურთი-ერთს, ხან შერიგდებიან საზოგადო მტრის გასადევნად. ამ ჟამად ისინი სხვას ექვეშემრდომებიან და იძულებულნი არიან ხარკი აძლიონ ვინ თურქებსა და ვინ სპარსელებსა, რომელთაც შემდეგ ამ ქვეყნის დაპყრობისა იგინი მმართველად დააყენეს.

---

მონგოლებისაგან და ნამეტურ სპარსელებისაგან, ოსმალებისაგან და ლეკებისაგან, მოგვითხრობს იმ ღალატს, ხერხიანობას და ვერაგობას, რომლითაც წაიწყმიდეს ისტორიაში ხსენება ჩვენმა ფეოდალებმა. იგი ათავებს თავის გამოკვლევას 1753 წლით, როდესაც სამეფო ტახტზე ახალად ასული იყო ირაკლი II. უქებს დიდს მხნეობას წინ გამჭვრეტელობას, და დიდს მომავალს უქადის. მკითხველი შენიშნავს რომ თუმცა ავტორს აქა-იქ შეცდომილებანი აქვს (ამისთანა შრომაში ისინი აუცილებელნი არიან და ჩვენ ისინი სხოლიოებში შევასწორეთ). მაგრამ საზოგადოდ ის არ ეწინააღმდეგება ჩვენის მატიანურის ამბვებს და ბევრად უფრო საფუძვლიანად დაწერილია, ვინემ ზოგიერთ ეხლანდელ ევროპიელ მოგზაურების აწერა. მას არ ეტყობა ის განძრახ შეგონებული ჩვენ ეხლანდელ კეთილ მოსურნეთ მიერ შეხედულება ჩვენს ხალხზე, ისტორიაზე, რომელიც გამოჰსთქვა, სხვათა შორის ამ უკანასკნელ დროს ერთმა ფრანციელმა მწერალმა და რომლის თაობაზე ივერიაში თავის დროზე მოხსენებული იყო (იხ. «ივერია» 30 და 31 ნომერი 1877 წლისა). იმედი გვაქვს ამ წიგნის თარგმანს წელსვე გავათავებთ და დავბეჭდავთ «ივერიაში», ჩვენ გვსურს ამ წიგნის მეორე ნაწილიც, რომელიც სპარსეთის ისტორიას აგვიწერს, გარდმოვთარგმნოთ, ვინაითგან იქაც ნიადაგ საქართველოს და იმის მეფეების სახელებს იხსენიებს; ჩვენი და სპარსეთის ისტორია ამ დროში ერთმანეთზე გადაბმული არის. აქ არ შეგვიძლია არ დავსძინოთ ორიოდე სიტყვა ჩვენის ისტორიის შესწავლის თაობაზე და არ მოვიყვანოთ გაცვეთილი ჭეშმარიტება, მეცნიერებისაგან გამოთქმული. ისტორია, ამბობენ მეცნიერნი, კაცის ჭკუის გამზრდელია, მისი დამრიგებელია და გამვითარებელიაო და ისტორიის უცოდინარე კაცი ნიადაგ პირუტყვს ემსგავსებაო. ამ ბოლოს დროს გამოჩნდენ ჩვენს ღარიბს მწერლობაში ზოგიერთნი პირნი, რომელნიც საქვეყნოთ ღაღადებენ რომ ჩვენი ისტორია რა შესასწავლებელიაო, იქ პირადობის, ერთმანეთის შურისძიების და დინასტიის დაცვის ინტერესის მეტს ვერას იპოვითო, რომ ვითომც ჩვენ არ გვყოლოდეს დიდი ხასიათების მქონე კაცები და სხ. ჩვენის აზრით ეს ბავშური შეხედულება უმეცრებისაგამო მომდინარეობს და თუ ვინმე დაუკვირდება და შეისწავლის ჩვენს ისტორიას, ის მართლა და მრავალ დიდ ხასიათის მეპატრონე კაცებს იპოვის იქ; ბევრს ღირს შესანიშნავს დარიგებას გამოიტანს იქედამ; მე აქ აღარ ვამბობ იმაზე რომ თუ ამ ბატონებს მართლა ისრე უყვართ ხალხი, როგორც აღიარებენ, უნდა დაწვლილებით შეიტყონ ჩვენის ხალხის წარსული ცხოვრება, მისი ისტორია, «ურომლოთაც, შატობრიანის სიტყვის არ იყოს, ხალხს ვერაოდეს ვერ გაიცნობს კაცი».

მთარგმნელი ს. ღ—ძე.

საქართველო ეხლა განყოფილია თურქებთ და სპარსელებთ შუა და ისაზღვრების ჩრდილოეთით—ჩერქეზების ქვეყნით და კავკაზიის მთით, აღმოსავლეთით—ლეკების დაღესტნით და შირვანით, დასავლეთით შავი ზღვით და სამხრეთით—სომხითით.

თურქების საქართველო შეიცავს იმერეთის სამეფოს და სამეგრელოის და გურიის სამთავროებს. მისი დამცველი ციხე-ქალაქი არის ახალციხე, სადაც ამ ქვეყნების ხელში დასაჭერად ხვანთქარს დაყენებული ჰყავს ფაშა.

იგი ისაზღვრების ჩრდილოეთით—ალანებით და კავკაზიის მთით, აღმოსავლეთით—ქართლით, სამხრეთით—თურქების სომხითით და დასავლეთით—შავი ზღვით.

სპარსელების საქართველო შეიცავს ქართლის და კახეთის სამეფოებს, ჩრდილოეთით იმას შავი ჩერქეზები და ყაბარდოელები ემხრობით, აღმოსავლეთით—დაღესტანი,—სადაც ლეკები და ყუმუხები სახლობენ,—შირვანი, რომელიც შამახიის მაზრებს შეიცავს და დარუბანდი, სამხრეთით—სპარსელების სომხითი და დასავლეთით—იმერეთის სამეფო.

საქართველოს ხალხი თითქმის ყველანი ქრისტიანები არიან და აღიარებენ სარწმუნოებას, რომელშიაც შერეულია ყველა სჯული და წესი. უმეცრებას და ამათ მორწმუნებას ისე გადაუსხვაფერებიათ ქრისტიანული სარწმუნოება, რომ თითქმის შეუძლებელია ამის გამოცნობა, თუმც სხვა-და-სხვა მისსიონერებმა, რომელნიც მოციქულობის მოღვაწეობამ მოიწვია ამ ქვეყნებში, გასაოცრად ცდილობდნენ გაეწმინდათ ეს სარწმუნოება [1]. ამ ქვეყნების ბრძანებლები ხშირად ღებულობენ და სტოვებენ საკვირველის სიადვილით [1] მაჰმადის სარწმუნოებას, როცა პოლიტიკური მათი მდგომარეობა მას მოითხოვს.

---

[1]) ამ შემთხვევაში დაფუძნებულია ავტორი უთუოდ იმ პაპის მისსიონერებისა, ნაამბობზე რომელნიც მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებში ქადაგობდენ ჩვენში და ამტკიცებს, რომ ვითომც ქართველებს დაემახინჯებიოთ თავის სჯული! თუ ავტორი აქ იგულისხმებს მთიულებს და სამცხე-საათაბაგოელებს, მაშინ კიდევ შესაძლოა კაცმა დაუჯეროს. მთარგ.

ჩვენში ბევრი კარგი წიგნები დაწერილა ამ ქვეყნების სარწმუნოებაზე, ამიტომაც მე აქ არ განვიმეორებ იმას, რაც უჩემოდაც ჩვენში იციან და რაც ჩემი საგნისათვის უსაყოფიეროც არის: მე მხოლოდ იმას გამოვიკვლევ, რაც შეეხება ისტორიას. მე არა მსურს წასრულ საუკუნოების წყვიადში შეტოპო, ჩემთვის საკმაოა შევკრიბო ის, რაც იპოვება აქ იმ მოგზაურთა აღწერილობასა და ისტორიებში, რომელნიც დასაჯერებელნი არიან. ამ გამოკრეფას მე დავუმატებ იმას, რაც ახლად მოვაგროვე სხვა-და-სხვა წყაროებიდგან, ზოგი ნაამბობის განაგონით, ზოგი ახალის აღწერილებით, რომელნიც მე გარდმოცემულნი მქონდნენ. ჩემი საგანი არის გამოვიკვლიო დასაბამი იმ ხელმწიფეებთა და ხალხთა, რომელზედაც ახლა ჩვენში ლაპარაკი აღძრულია [1]).

მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნოიდამ საქართველო განაწილებული იყო მრავალ სახელმწიფოებად, რომელთაც ცალ-ცალკე მართავდნენ მათი ხელმწიფეები, მოხარკენი ანუ ხვანთქრისა, ანუ ყეენისა.

იმათ რიცხვში უმთავრესნი ხუთნი არიან: თურქების საქართველოში იმერეთის სამეფო, სამეგრელოის და გურიის სამთავრონი და სპარსების საქართველოში — კახეთი და ქართლის სამეფოები.

---

[1]) სხვათა შორის უწარჩინებულესი მწერალის წარსულის საუკუნისა, თანამედროვე პეისინელისა, მონტესქიო თავის თხზულებაებში იხსენიებს ქართველთ უბედურ პოლიტიკურ მდგომარეობას. თავის საოხუჯო სპარსელების მიწერ-მოწერაში იგი ალაპარაკებს ერთს სპარსელს, რომ საფრანგეთში იმ დროს ისეთის სიადვილით სცვლის მონასტრებს მათი კაროლიით, როგორც ჩვენში თავისი ქეიფისამებრ ყეენი საქართველოის მეფეებს ხან შესვამს ტახტზე და ხან გადააყენებსო. ეტყობა უმჯობესნი ევროპიის მეცნიერნი ფიქრობდნენ ჩვენის ქვეყნის გულსამკვდავ პოლიტიკურ მდგომარეობაზე და საზოგადოებაში აღძრული იყო ამაზე ლაპარაკი, მაგრამ როგორც პოეტი ამბობს ამაო იყო ყოველი.

„დიდი ხანია გულმა ირაკლის
გარდაიწყვიტა ბედი ქართლისა.“ მთარგ.

ყველა ეს სახელწიფეები ხანდისხან ერთი-ერთ შორის კავშირს შეკვრენ ხოლმე, უფრო ხშირად კი ერთი მეორეს ეომებიან. სპარსები და თურქები, რომელნიც თითქმის ყოველთვის ერევიან იმათ ცილობაში, მიემხრობიან ერთს რომელსამე მხარეს, რათა დასცენ მეორე მხარე და ყოველთვის ხელს უწყობენ ან იმათს ამაღლებას და ან დაცემას იმისდაგვარად, თუ რას მოითხოვს იმათი ინტერესი.

პირველ სამ სახელმწიფოზე მე ვილაპარაკებ მარტო იმდენათ, რომ დავანახო კავშირი, რომელიც ამათ აქვთ კახეთის და ქართლის ისტორიასთან, რომელიც დიახ უფრო ღირსშესანიშნავია.

## თავი II.

### სამეგრელოს სამთავროზე.

სამეგრელო, უმთავრესი მაზრაა თურქების საქართველოისა, ისაზღვრების ჩრდილოეთით — ალანებით და კავკასიის მთით, აღმოსავლეთით — იმერეთის სამეფოთი, სამხრეთით — გურიის სამთავროთი და დასავლეთით — აფხაზებით და შავი ზღვით. ძველათ ამ მაზრას უფრო ბევრი ხალხი ესხა, ვინემ ეხლა. ხოლო ხანგრძლივმა ომებმა, რომელიც იმათ ჰქონდათ მეზობელ ხალხებთან, იგი ერთობ დაასუსტეს. მცხოვრებნი ყველანი ქრისტიანები არიან. ადრინდელ დროს ეს სამთავრო დამოკიდებულ იყო იმერეთის სამეფოზე. მაგრამ ერთი მმართველი აუჯანყდა მეფეს, გამოაცხადა დამოუკიდებლობა და იწოდა დადიანად. და აი ეს მეთუთხმეტე, თუ მეთექვსმეტე მოდგმაა, რაც ამის შთამომავალნი მთავრეში მმართვენ სამეგრელოს და ამ ჟამათ ისინი ხვანთქრის დამოკიდებულების ქვეშ არიან.

ლევან დადიანი, რომელიც წარსულ საუკუნეში ბატონობდა, იყო მთავარი შემკობილი ყველა იმ თვისებით, რომელთ შეოხებით კაცს შეუძლია გმირათ გახდეს. ხოლო არშიყობამ ის დააბრმავა და ზნეობით დაამახინჯა. მუდამ ძლევა-მოსილმან მტრებზე და მასთან მუდამ

თავის გულის ვნებათა მონამან თავისის საშინელის გარყვნილობით და ავ-გაცობით გააქარვა ხალხის გულიდგან ის დიდი დვაწლი, რომელიც მიუძღოდა ხალხის წინაშე [1]. მან შეირთო ცოლათ აფხაზეთის მთავრის ქალი, რომელსაც ჩერქეზულ სილამაზესთან ევროპიელ ქალის სანახაობაცა ჰქონდა. მაგრამ მან, გატაცებულმან ქალების ტრფიალებით, დაარღვია ცოლ-ქრმობის კავშირი და უღალატა იმისთანა მეუღლეს, რომელიც მისგან ღალატს არ მოელოდა, ვინაიდგან თვითონ მისი ძალიან ერთ-გული იყო. იგი წინეთ ხშირად იცვლიდა საყვარლებს და ბოლოს აღტაცებით შეიყვარა დარეჯან (შალიკე) თავის ბიძის და გამზრდელის გიორგის ცოლი, რომელიც სალიპარტიანოს ფლობდა. რა გაშმაგდა სიყვარულით ბიცოლასადმი, ერთბაშად დაავიწყდა ის პატივცემა, რომელიც მას უნდა ჰქონოდა ბიძისადმი, ის ერთ-გულობა, რომელიც მას უნდა ჰქონოდა ცოლისადმი, ის ნაზი და უმანკო სიყვარული, რომელიც უნდა ჰქონოდა ჩვილ შვილებისადმი და ის ზრუნ-

---

[1]) ეს იყო მანუჩარ დადიანის შვილი, ლევანი (1591—1651), რომელიც განთქმულიყო თავის ავკაცობით და შერვაშიძის, იმერეთის მეფის და გურიელის დამარცხებით. დარეჯანი, რომელზედაც ავტორი ამბობს, ჭილაძის ასული იყო. ხონში, ცაიშში, ხოფში, ილორში და ფხოტვერში ახლაც იპოვებიან ხატები ლევანისაგან შეწირულები, რომელზედაც წარწერაებში ის აქებს თავის-თავს ქუთაისის, საზოგადოდ იმერეთის, გურიის და აფხაზეთის აოხრებით და დაწვით. იხ. ქართ.-ცხოვ. მეორე ტ. გვ. 189 და სხვ. და Зап. люб. Кавказ. археол. გვ. 66 და 123. იხ. აგრეთვე ამ მთავარზე ჩივილი თეიმურაზ მეფისა რუსთ-ხელმწიფესთან: „მან მოკლა თვისი ბიძა, შეირთო იმისი ცოლი, თავისი ბიცოლა, როდესაც გააგდო პირველი ცოლი; თავის სიძეს სვიმონ გურიელს თვალები დასწვა და მის მაგიერ არხიეპისკოპოზი დააყენა. მამა მისი მხოლოდ მთავარი იყო, და შვილს კი საქართველოს მეფობა სურს, ის ჰყიდის ყოველ-წლივ 10,000 დამ 15 ათასს ქრისტიანებს ბავშვებს, მან 12 ღვთის-მშობლის საყდარი გატარცვა“ და სხ. Рук. къ по за Кавк. Кн. 1 Мих. Семеновъ стр. 145. შარდენიც რომელიც იმ დროს სამეგრელოში შემოვიდა საშინლად აძაგებს ლევან II. Chardin. Voyage en Perse t. 1 გვ. 378—383. მთარგ.

ვა თავის სახელის გაუტეხებლობაზე, რომელიც ისრე საჭირო იყო იმისთვის, მან ვეზირი შესწამა თავის ცოლს, რომელსაც, ვინ იცის, მუდამ ქმრის დალატობამ იქნება აიძულა კიდეც გულში გაევლო მა-ღიერის გადახდა. მან ორნივე იგინი მოაკვლევინა და შეირთო თავის ბიძის ცოლი და იმის შეგონებით მოაკლევინა თავისი ორ-ნივე ძენი, რომელნიც მას ჰყავდა პირველის ცოლისაგან. ამ მზაკვარმა დედოფალმა თავისი ზარმაროსის ქმრის სიკვდილის შემდეგ 1657 წ. დასვა ტახტზე თავისი შვილი ვამეხი, რომელიც ნამდვილად ლევანის-გან ჰყავდა ჯერ კიდევ ქორწინებამდე და თავის პირველის ქმრის სა-ლიპარტიანოის თავადის სიცოცხლეშივე.

ლევან დადიანს ჰყავდა ძმა, სახელად იოსებ, რომლის შვილი უნდა ყოფილიყო მემკვიდრეთ, შემდეგ ორივ იმის ბიძა-შვილების დახოცვისა. ხოლო დარეჯანის მოხერხებით იმაზე უპირატესობა მის-ცეს ვამეხს [1]). მაგრამ ამ უკანასკნელმა დიდ ხანს ვერ ისარგებლა უკანონოდ მითვისებულის ტახტით. შაჰ-ნავაზმა, როგორც კი დაიპ-ყრო იმერეთის სამეფო და სამეგრელო, მოაკლევინა ვამეხი და დასვა ტახტზე იოსების შვილი, რომლის ამბავი [შემდეგ თავში აწერილი აქნება.

## თავი III

### იმერეთის სამეფოზე.

იმერეთის სამეფო ისაზღვრების ჩრდილოეთით შავი ჩერქეზე-თით, აღმოსავლეთით სპარსეთის საქართველოთით, სამხრეთით სომხე-თით (?) და დასავლეთით სამეგრელოთი და გურიით.

მას დაუხსოვარ დროიდამ მართვენ მეფენი (?), რომელნიც შთა-მომავალნი არიან საქართველოს ძველის მეფეების დინასტიისაგან და და-

---

1) ქართლის-ცხოვრებაში ვამეყად იწოდება. მთარგ.

ვით, როგორც საქართველოს მეფენი, ესენიც თავის წინაპარად უწოდებენ. ისინი ეხლა ხვანთქრის მოხარკენი არიან.

ალექსანდრე, იმერეთის მეფე, რომელიც წარსულ საუკუნეში მეფობდა, გარდაიცვალა 1658 წ. და ცოლად გურიის მთავრის ასული თამარი ჰყვანდა [1]) იგი გააგდო მან და შეირთო დარეჯანი, კახეთის მეფის თეიმურაზის ასული, რომელზედაც შემდეგში ვილაპარაკებ. ალექსანდრეს თამარისაგან დარჩა ერთი შვილი ბაგრატი, რომელიც მის მემკვიდრეთ გახდა. ეს ბაგრატი შეიქნა მსხვერპლი სიყვარულისა და იმისგან წარმომდგარ დარეჯანის დედინაცვლის გადამტერებისა. ალექსანდრეს დარჩა აგრეთვე ერთი ქალი, მეუღლე იოსების შვილისა, სამეგრელოს ბატონიშვილისა, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკე და რომელიც შაჰ-ნავაზმა დასვა ტახტზე სამეგრელოში მას შემდეგ, რაც ვამეყი განაძევა იქიდამ.

ბაგრატი, რომ ავიდა თავის წინაპრების ტახტზედ, 15 წლისა იყო. მისმა დედინაცვალმა დარეჯანმა რა შეიყვარა იგი და მოიწადინა ხელახლად დედოფლობა, ბაგრატს წინადადება მისცა, რომ მე შემირთეო. დარეჯანი ჯერ კიდევ ლამაზი იყო და იმედოვნებდა, რომ ბაგრატს მოეწონებოდა. იგი ისე გატაცებული იყო სიყვარულით, რომ დაივიწყა თავისი მოვალეობა, იქამდისინ პატივის მოყვარე იყო, რომ გვირგვინის მოპოებისათვის მზათ იყო საზიზღარი საქმე ჩაედინა და ისე ავი იყო, რომ დედინაცვლობის სიბოროტე აგრძნობინა ბაგრატს. ბაგრატი შეძრწუნდა ამ წინადადებით და უარ-ჰყო დიდის საზიზღარით, ამისგამო დედოფალს იმისი სამაგიეროს გადახდისათვის საშინელი აზრი მოუვიდა თავში. მან ჩაიმარხა გულში მტრობა და შერთო ბაგრატს თავის შვილიშვილი, სისტან დარეჯანი, თეიმურაზის ძმის,

---

[1]) საქართლის ცხოვრების სიტყვით ალექსანდრე III 1660 წ. გარდაიცვალა. იხ. მეორე ნაწ. გვ. 249. ამას ემოწმება ილორის ხატზე წარწერა, იხ. Археол. пут. по Гуріи и Аджаріи Дм. Бакрадзе გვ. 194.

მთარგ.

დათუნას ასული [1]) ცოტა ხნის შემდეგ მან ამოირჩია კაცი, რომელსაც შესძლებოდა აესრულებინა როგორც იმისაგან განზრახული სამაგიეროს გარდახდა ბაგრატისადმი, აგრეთვე იმის ხელმეორედ გადედოფლების გულის წადილიც.

მან შეირთო ვახტანგი, კარის-კაცი, რომელიც დაასმევინა ხალხს იმერეთის ტახტზე და აკურთხებინა ქოთათისის ქალაქში (ქუთაისში) [2]) ეს ავი დედაკაცი არც ამით დაკმაყოფილდა, მან არ მოისვენა, სანამ არ დაიჭირა ბაგრატი და თვალები არ დასთხარა.

კარის კაცებს, რომელთ რიცხვში ბევრს სურდათ შეერთოთ დარეჯანი, შეშურდათ მათის ადრინდელის ტოლის და ახლა მექიშპის ვახტანგის როგორც ტახტზე ასვლა, ისე დედოფლის შერთვაც. მათ მოიწვიეს შესაწევნელად ვამეხი, მეგრელიის მთავარი და გურიის მთავარიც და აღუთქვეს მეფობის გვირგვინი, ამ ორში მას, ვინც დაიხსნის მათ უკანონოდ დაყენებულ მეფის სასტიკობისგან. პირველად ვამეხმა მოირბინა თავისის ძალით. დატყვებით დაატუსაღა ვახტანგი, განიზრახა იმის დასჯა მის დანაშაულობის შესაფერად, დაჰსთხარა თვალები, აიღო ქუთაისი, თან წაიღო იმერეთის მეფეების განძი, დაბრუნდა სამეგრელოში და თან წაასხა კანონიერი მეფე ბაგრატი, უკანონოდ ასული ტანხტზე ვახტანგი და იმათი ცოლები.

ამ დროს შაჰ-ნავაზ ხანი, კახეთის მეფეების შტოს წარმომადგენელი და უკანასკნელი ამა სამეფოის თავისუფალ მეფის, თემურაზის ნათესავი, მართავდა ყეენის მინდობილებით მთელს საქართველოს. მას შეერთო და ლევან დადიანისა, სამეგრელოის მთავრისა, და იოსებისა, რომლის შვილს ვამეხმა წაართო სამთავრო. ამ დედოფალს ნიადაგ ახსოვდა დაჩაგვრა თავის ძმისწულისა და შეაგონა შაჰ-ნავაზს ვამეხის

---

[1]) ეს ამბავი არ ეთანხმება ქართლის ცხოვრებას, რომლის სიტყვებით ნესტან-დარეჯან დედოფალმან ბაგრატს IV თავის ძმისწული, ქეთევანი მისცა. იხ. გვ. 202. მთარგ.

[2]) ამ ვახტანგს ჭუჭუნიაშვილს უძახოდენ... იხ. ქართ. ცხ. მეორე ნაწილი გვ. 202. მთარგ.

ტახტიდამ გარდაყენება. მაგრამ შაჰ-ნავაზს არ სურდა თავის მბრძანებელის სპარსეთის ყეენის დაუკითხავად დაჰსცემოდა სამეფოს, რომელიც ხვანთქრის ხელქვევით იყო. მან მოსთხოვა ნება ყეენს, წარუდგინა იმერეთის დიდებულთ წინა დადება, რომელშიდაც იგინი თხოულობდნენ მეფედ შაჰ-ნავაზის შვილს არჩილს, ერთის სიტყვით ამან ისე შეაგონა ყეენს რომ ვითომ იმისი განზრახვა იმაში მდგომარეობს, რომ თურქთ ხელქვევითი სამეფო სპარსეთის მბრძანებლობას ქვეშ მიჰგვაროს; ყეენმა ამაზე დასტური დასდო. მიიღო თუ არა შაჰ-ნავაზმა ყეენის ნების დართვა, მან ისარგებლა შემთხვევით და დაეცა სამეგრელოს, განაგდო ვამეხი, რომელიც იძულებული იქმნა გარდახვეწილიყო სვანეთში, სადაც იგი მოაკლევინა შაჰ-ნავაზმა. მან დასვა იმერეთის ტახტზე თავისი საკუთარი შვილი არჩილი და ხელახლად დააყენა სამეგრელოში მთავრად იოსების შვილი, როგორც ნამდვილი მემკვიდრე. ყველა ამ საქმეების ჩადენის შემდეგ იგი დიდის ძლევა-მოსილის სახელით დაბრუნდა საქართველოში. მან თან წაასხა ბაგრატი იმერეთის მეფე და ვახტანგი, უკანონოდ ტახტზე ასული იმ განზრახვით, რომ არც ერთს მათგანს არ შეეძლოს შფოთის ატეხა იმის შვილის წინააღმდეგ. მან დასტოვა ქუთაისს მხოლოდ მათი ცოლები ნესტან (სისტან) დარეჯანი [1]) და დარეჯანიც. ხვანთქარმა რა წამს შეიტყო ეს ამბავი, მიხვდა, რომ შაჰ-ნავაზს ზურგს აძლევს ყეენი დასაპყრობელად თურქების სახარკო სამეფოისა და დაეშურა იქით გაეგზავნა ახალციხის ფაშა დიდძალის ჯარით. ათაბეგმა აიძულა არჩილი გაქცეულ იყო თავის მამასთან და დააყენა იმას მაგიერ გურიის მთავრის შვილი, რომელიც ხვანთქრის მორჩილი იყო. მაგრამ შაჰ-ნავაზმა მოახერხა იმერეთის დიდებულებთ შორის ვერაგობით ახალის მათის მეფისა დატუსაღება და თვალების დათხრა. ხოლო იმათ დაუბრუნა მეფედ ბაგრატი მათი კანონიერი ხელმწიფე.

ამ ჟამად დარეჯანს, ვახტანგის ცოლს, რომელსაც, თუმც ხნიანი

---

[1]) ქეთევანი. მთარგ.

იყო, სილამაზე კიდევ არ დაჰკარგოდა და რომლისთვის უბედურებას სიმხნევე და სახელის თავ-მოყვარეობა ვერ მოეტეხა, კიდევ ჰქონდა იმდენათ სიკეკლუცე და მოხერხება, რომ თავის დროზე გამოეყენებინა. მან რამდენჯერმე ინახულა ქუთაისში ახალციხის ფაშა. მისმა სილამაზემ მიიზიდა ეს სარდალი, რომელმაც იმ იმედით, რომ დარეჯანი შეიყვარებდა, აღუთქვა დახმარება და სამეფო ტახტის დაბრუნება მის ქმრისთვის, ვახტანგისთვის, თუ კი ამ უკანასკნელს დაიხსნიდენ შაჰ-ნავაზის ხელიდამ. როგორც წინათ ვსთქვით, შაჰ-ნავაზმა თან წაიყვანა ვახტანგი და თავიდამ არ იცილებდა. დარეჯანმა მოახერხა იმისი მოტაცება საქართველოიდამ, ფაშამაც უკვე აუსრულა თავისი სიტყვა. ხოლო ამ დედოფალმა მას შემდეგ რა დაუბრუნა თავის ქმარს თავისუფლება და გვირგვინი, მოუტყვებელ წინ დაუხედველობით ჩაუგდო იგი ბაგრატს ხელში, იმ ბაგრატს, რომელსაც მისმა ქმარმა თვალები დასთხარა და რომელიც შაჰ-ნავაზის ოსტატობით ხელმეორედ გამეფდა. ბაგრატმა უბრძანა მოეყვანათ მის წინაშე ვახტანგი. პირველად მან დასტუქსა ვახტანგი უშვერის სიტყვებით და უკადრებით. მერე მან მოითხოვა სხვისი ხელი (ვინაიდგან დაბრმავებული იყო), რომ თვითონვე გარდაეხადა მისთვის სასჯელი და იმისი ჯავრი ამოეყარა; უბრძანა თავის მხლებლებს ჩემი ხანჯალი პირდაპირ გულში დაუმიზნეთო ჩემს მტერსაო; რომ დაუმიზნეს, მან ჩასჭრა ვახტანგს რამდენჯერმე ხანჯალი გულში და მერე ბრძანა მოეტანათ მის წინაშე მტრის გული, რომელიც თვისი საკუთარის ხელებით დაგლიჯა.[1])

---

1) ამ თავში ავტორი რამდენჯერმე ამბობს ვინაიდგან ჩემი განძრახვა არის აღწერო კახეთის და ქართლის ისტორიაო ამიტომ გურიაზე ცალკე აღარ ვილაპარაკებო, რადგანაც იმისი ისტორია შედისო იმერეთის მეფეების ისტორიაშიო. ჩვენ ვუშვებთ იმ ადგილს, რადგანაც იმას მკითხველისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამ თავში მოხსენებულ ამბებს არ ეთანხმება ქართლის ცხოვრება, რომელიც სხვათა შორის ამბობს რომ მაშინდელი შფოთი ვამეყ დადიანის და ვახტანგის შორის ატყდა იმის გამო რომ „განძრახვითა ცოლისათვის რათა განუტევა მძახლობა ვახტანგ მეფისა დადიანმან ვამეყმა დაწინდული არჩილის ძისა მისისასა ასული თვისი მისცა ლოლობერიძეს ბეჟანსო" იხ. მეორე ნაწ. გვ. 203, 204 და 205. მთარგ.

## თავი IV

კახეთის სამეფოზე ალექსანდრეს მეფობისგან დაწყებული უკანასკნელ თვით-მპყრობელ მეფის თეიმურაზის სიკვდილამდე.

კახეთის სამეფო ერთი იმ ორი სამეფოთაგანია, რომელნიც შეადგენენ ესრედ წოდებულ საქართველოს. იგი მდებარეობს შემდეგ სამზღვრებს შუა: ჩრდილოეთით — შავი ჩერქეზებით და ყაბარდოით, აღმოსავლეთით — კავკასიის მთით და დაღისტნით, სამხრეთით — ქართლით და დასავლეთით — იმერეთით (?). მე არ ვიცი ვისი შთამომავლობისა იყვნენ ის მეფეები, რომელნიც ალექსანდრემდის ამ ქვეყანას მართვიდნენ. მე ვიწყებ ამ სამეფოს ისტორიას იმ ხელმწიფისაგან, რომელიც თეიმურაზის უკანასკნელ თავისუფალ მეფის მამა იყო. კახეთის მეფემ ალექსანდრემ, რომელიც მეთექვსმეტის საუკუნის დამლევს გარდაიცვალა, შეირთო ცოლათ ქეთევანი; ეს იყო ერთი იმ უმშვენიერესი და მაღალ ზნეობის დამცველი ქალთაგანი, რომლის მეხსიერება სახელი და ხსენება გარდმოეცა ჩვენთვის ისტორიას. ამ თავის დაბოლოებაში მკითხველი ნახავს, რა უბედურება გამოსცადა მან. ალექსანდრეს*) ამ ცოლისაგან ორი ქალი და სამი ვაჟი ეყოლა, ამათში უფროსი დავით იყო, რომელიც უფრო თეიმურაზის სახელით განთქმულია. ის იყო თან შეზრდილი დიდ აბბაზთან, სპარსეთის მეფესთან, სადაც იგი მძევლად იყო. ერთმა და იგივე აღზრდამ შექმნა ორი დიახ დიდი კაცები, მაგრამ ხასიათებით ძრიელ განსხვავებულნი ურთიერთ შორის. ამ აღზრდამ განავითარა ერთის უმჯობესი თვისებანი და მეორის—ბოროტებანი კი ვერ განაქარვა, აბაზს მხოლოდ დიდი მეფის შესაფერი

*) აქ ავტორი სცდება, უთუოდ მას თეიმურაზის მამად ჩაუგდია ალექსანდრე, რომელიცა მას წინეთ მეფობდა. თეიმურაზი დავითის და ქეთევანის შვილი იყო იხ. ქართ. ცხ. მეორე ნაწ. გვ. 112. თეიმურაზის 1605—1663 წ. მთარგ.

ნიჭი ჰქონდა, თეიმურაზს კი ეს ნიჭიც და მასთან მაღალი ზნეობაც და სიკეთენიც მეფის შესაფერნი ჰქონდა. აბბაზმა დაბრმავებულმა ბედისაგან, რომელიც მუდამ მისკენ იყო, ხშირად ჩაიდინა იმისთანა სასტიკობა, რომელაც ნისლსა ფენს იმის გმირულ საქმეებს. თეიმურაზს კი, მუდამ დევნილს შავის ბედისგან, არა ოდეს სიმდაბლე არ უხმარია; თვით იმისი უბედურება უფრო ანათებს იმის გმირულ ხასიათს. როდესაც მისი მამა ალექსანდრე გარდიცვალა, მისმა დედამ ქეთევანმა სთხოვა აბბაზს იმისი თავი. ყეენმა შინ წასვლისა და თავის წინაპრების ტახტის დაპატრონების ნება მისცა თეიმურაზს მას შემდეგ, რა დააფიცა, რომ არაოდეს არ იფიქრებს სპარსეთის დამოკიდებიდამ თავის დახსნას.

როდესაც თეიმურაზი გამეფდა, შეირთო დარეჯანი, ქართლის მეფის სიმონის ასული, სპარსულად ფიერად წოდებული და განთქმული შაირებში, რომელიც შაჰ-აბბაზმა მის შესამკობად შეთხზა. იმასზე დაქორწინებით თეიმურაზმა გაარისხა შაჰ-აბბაზი, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა დარეჯანი. ამ დედოფლის ამბავი ღირსია ყურადღებისა და ამიტომაც ჩვენ მას მოგითხრობთ.

სახელ განთქმული დარეჯან-ფერია იყო, როგორც ზევით ვსთქვით, ქართლის მეფის, სიმონ-ხანის ასული და ლუარსაბის და [1]). როდესაც ლუარსაბმა გააუპატიურა თავის მოურავის [2]) ქალი, რომელსაც თუმც აღუთქვა შერთვა, მაგრამ დაატყუა, ამის გამო გაჯავრებული მისი ვეზირი სპარსეთში გარდაიხვეწა და სამაგიეროს გარდახდას შაჰ-აბბაზის საშუალებით ცდილობდა. გულ-დაკოდილი თავისი ასულის შეურაცხყოფისა გამო მოურავი, ვითარცა მამა, შეუდგა ახლა საშუალებას

1) ეს ნაამბობი სრულებით არ ეთანხმება ქართლის ცხოვრებას. ლუარსაბის დას ხვარაში და არა დარეჯანი ერქვა და ის შეირთო თეიმურაზმა შაჰ აბბაზის ბრძანებითო. მიზეზი შაჰ-აბბაზის შემოსვლისა საქართველოში კონსტანტინეს მოკვლა იყოო. იხ. ქართ.-ცხოვრება მეორე ნაწ. გვ. 115. მთარგ.

2) ავტორი აქ ლაპარაკობს დიდ მოურავზე, გიორგი სააკაძეზე. მთარგ.

ბის მოპოებას, რომ ამოეყარა ლუარსაბზე თავისი ჯავრი. ვითარცა გარის კაცი, იგი მალე შეუძვრა თავის ახალ ბრძანებელს და ამ დაჴელოვნებულმა პოლიტიკმა იცოდა როგორ მოეყვანა სისრულეში თავისი გულის წადილი, რომლისათვის იგი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა. ვითარცა კაცის გულის ღრმად მცოდნემან იმდენი იმეცადინა, რომ მოახერხა ჩანერგვა შაჰ-აბბასის გულში განუსაზღვრელის სიყვარულისა, რომელმაც აიძულა იგი დაემხო მტერი, რომელიც იყო იმისი შეურაცხ-მყოფელი... ამის თაობაზე პიეტრო დელლავალლე გვარწმუნებს ვითომც შაჰ-აბბასმა გამოუცხადა თეიმურაზს ომი უფრო პოლიტიკის და არა საკუთარის თავის გულის შეხედულობით და ვითომც ამ ომის მიზეზი იმისი დიდების თავ-მოყვარეობა იყო, ხოლო გარეგან შესახედავად საყვარული მოიდვა მიზეზად.

ასე იყო თუ სხვა ნაირად, შეურაცხ-ყოფილმა ვეზირმა ისრე მოაწონა თავისი ქების შესხმით ლუარსაბის და, იმისი სილამაზე დაუხატა ისე ცოცხლად და გასაკვირვებლად, რომ იგი ეშხში შეიყვანა და დააჯერა ეს ხელმწიფე, რათა იმისთვის ეთხოვა ცოლად მისი და შაჰ-აბბასმა ზედი-ზედ სამი დესპანი გაგზავნა, მაგრამ ლუარსაბისგან უარი მოუვიდა. მაშინ ლუარსაბმა, რათა ყეენი ერთბამად თავიდამ მოეშორებინა, დააჩქარა თავის დის თეიმურაზისთვის მითხოვება. ამ დაქორწინებას მოსდევდა შედეგი იმ უბედურებისა, რომელიც გარდახდა იმ მართლაც ბედკრულს მეფეს. არ გამოითქმის ის გააფთრება, რომელიც შაჰ-აბბასს მოუვიდა, როგორც ლუარსაბზე, რომელმაც და არ მიათხოვა, ისე თეიმურაზზე, რომელმაც შეირთო ეს ქალი წინააღმდეგ შაჰ-აბასის განსაკუთრებითის ბრძანებისა, რომელიც ამის თაობაზე თეიმურაზმა მიიღო. შაჰ-აბბასი გამოელაშქრა ამ ორ მეფეებზე მათის ურჩობის და შეუპოვრობის დასასჯელად. თეიმურაზი და ლუარსაბი პირველად წინააღმდეგობას ერთად უწევდნენ შაჰ-აბასს. ხოლო მერე ლუარსაბმა, ზარდაცემულმა შაჰ-აბასის გამარჯვებისაგან, აიზრა რა აოხრებაც მოელოდდა იმას ხალხს შემდეგ ხანგრძლივის წინააღმდეგობის გაწევისა იმ შემთხვევაში თუ დამარცხდებოდა და გა-

დაწყვიტა რომ მას ერთიღა საშუალება დარჩომია, ისევე შევედრებოდა ყეენს და სრულიად მას დამორჩილებოდა. ნეტავი რას მოელოდა იგი იმ ხელმწიფისაგან, რომელიც მუდამ უარს ჰყოფდა იმ ჭაზრს, რომ უფრო სასიქადულო იყვეს კაცის შენდობა, ვისაც დასჯა. პირველ შეყრაზე აბბასმა იგი დიდის ალერსით მიიღო, რომელიც იმის მხრიდამ ყოველთვის უკანასკნელის ანდერძის აგებას ნიშნავდა. ცოტა ხნის შემდეგ ლუარსაბი ჯერ დაატუსაღა, მერე საიდუმლოდ მოაკლევინა, ვითომ იმ მიზეზით, რომ მოსკოვის ხელმწიფიდგან ელჩი მოდისო ლუარსაბის დახსნის თაობაზეო.

თეიმურაზი მტკიცე ხასიათის და დიდის მხნეობის პატრონი კაცი იყო და თანამებრძოლის დაკარგვამ იგი ვერ შეარყია. პირველად მან სცადა მორიგებოდა ყეენს და ამ მიზეზით გაუგზავნა მას თავისი დედა ქეთევანი. ამ დედოფლის სილამაზემ თუმც ვერ დაახოლოვებინა მორიგების საქმე, მაგრამ აბბაზის გულში აღძრა სიყვარული, და ამის შედეგი იყო ის, რომ ამ სათნო დედოფალმა გამოსცადა ყურთ-უსმენი წვალება, რომლისაგამო იგი დაჯილდოებულ იქნა მოწამის გვირგვინით.

ყეენმა ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ დაეკმაყოფილებინა თვისი ვნება, მაგრამ ამაო იყო ყოველი. ქეთევანი ვერ შეარყია ვერც ვედრებამ, ვერც საჩუქრების დაპირებამ, ვერც დამუქრებამ, ვერც მალდატანებამ და ვერც წვალებამ. ამ განსაცდელში მან თვისის ღირსების შესაფერი თავ-მოწონება, თვისის სათნოების ღირსების შესაფერი სიმტკიცე და თავის რჯულის ერთგულობის საკადრისი მოთმინება აღმოაჩინა. მან რაოდენიმე წელიწადი შირაზში დაჰყო იმამი კული-ხანის მხედველობის ქვეშ, რომელსაც იგი ებარა. პიეტრო დელლავალლე მოგვითხრობს, რომ მას ენახა იმისი სურათი ფერაბადში სპარსეთის მეფის სასახლეში, სადაც იგი ეხატა შვილისთვის მორიგების მოხდენის მთხოვნელად. როდესაც აბბაზი უიმედოთ შეიქნა დედოფლის ნება დაყოლაზე, მან განიზრახა თავის სარწმუნოებაზე იმისი გარდაყვანა: გასცა ბრძანება რომ მალაუნებურათ მიაღებინონ ქეთევანს მაჰმადის რჯული,

ხოლო დედოფალმა იმ გვარივე სიმტკიცე გამოიჩინა თავისის სარწმუნოებისა, როგორც თვისს პატიოსნების დაცვაზე და არასგზით არ დაეთანხმა ქრისტიანობის შეცვლაზე. მას უნდა აეტანა ყველა ის წვალებანი, რაც კი რკინით და ცეცხლით შეიძლება კაცმა იმოქმედოს ადამიანის გვამზე და მერე სული დალია ცეცხლის ალში 1626 წ. მისმა ბარბაროსმა მტანჯველმა საჭურისებად გახადა ორნივე ძენი თეიმურაზისა, რომელნიც ამ საბრალოს მძევლად გამოუგზავნა ყეენს. პიეტრო დელლავალლე მოგვითხრობს,ვითომ ეს ამბავი ჯერ კიდევ დამტკიცებული არ იყოს.

როდესაც თეიმურაზმა დაინახა, რომ დედი მისის მოციქულებას არ მიეცა ისეთი ბოლო, რომელსაც მოელოდდა და მომლოდინემ ლუარსაბის ბედის იმ შემთხვევაში თუ სიმხნევით თავს არ დაიცავდა, დიდხანს გაუწია წინააღმდეგობა იმ მტირედის შემწეობით, რომელიც თურქებმა და სხვა მოავრებმა აღმოუჩინეს. მან ერთხელ სპარსეთის მეფე ერთს ჩასაფარში მოიმწყვდია, სადაც უთუოდ იგი მთელის თავის ჯარით დაიღუპებოდა, თუ მოურავს, ლუარსაბის ვეზირს მაშინ სარდლობაში ისეთივე თავი არ გამოეჩინა როგორიც პოლიტიკაში სახელი გაითქვა. მხოლოდ მოურავის მოხერხებით თავი დაიძვრინა ამ გაჭირვებისაგან აბაზმა, რომელიც ცოტა არ იყოს, თვით მოურავის საქმისთვისაც იბრძოდა. თეიმურაზი ხანგრძლივის და მამაცურის გამაგრების შემდეგ იძულებული იყო შეეწყვიტა ბრძოლა. იგი სტამბოლს წავიდა და ხვანთქრისგან მიიღო დიდ-ძალი ჯარი, რომლითაც მან განდევნა სპარსელები და დაეპატრონა თავის საბრძანებელს.

როდესაც კი თურქების ჯარი გავიდა საქართველოდამ, აბაზმა ხელმეორედ აჯობა თეიმურაზს, მაგრამ იოკვდა თუ არა შაჰ აბაზი 1628 წ. ამ დროს გარდახვეწილმა თეიმურაზმა ააჯანყა ხალხი, მოაკვლევინა აბაზის დაყენებული საქართველოის მმართველი და მშვიდობიანად მეფობდა სანამ შაჰ-სეფიმ არ წარმოგზავნა აურებელი ჯარით სუსტანხანი [1]) იმ მართველის შვილი, რომელიც ქართველებმა მოჰკლეს. ამ

1) როსტომ მეფე. მთარგ.

სარდალს აქეზებდა ჯვარის ამოყრა მამის დატანჯვისათვის, ამან აიძულა თეიმურაზი მიეტევებინა თავისი ქვეყანა და წასულიყო იმერეთში, სადაც იმისი და (ალექსანდრე მეფის ცოლი) დედოფლად იყო.

შაჰ-ნავაზმა, იმერეთის დაპყრობის დროს, იქ ნახა თეიმურაზი და გაუგზავნა ის შაჰ-სეფეს. ამ უკანასკნელმა სრულიად არ მოიხსენა შაჰ-აბბაზის გარდამტერება თეიმურაზზე, და იმის სიკვდილამდი 1659 წ. ეპყრობოდა მას შესაფერად იმ პატივის ცემისა, რომელიც მის ხნიერებას, შთამომავლობას, წოდებას, სიკეთეს, გმირულ მოქმედებას და უბედურებაში ჩავარდნას ეკადრებოდა. ეს იყო უკანასკნელი თავისუფალი მეფე კახეთისა მას დარჩა დარეჯან ფერიასაგან სამი კაცი, იმათთაგანს მხოლოდ ერეკლეს შეეძლო გამხდარიყო მემკვიდრედ. ის წავიდა ჯერ რუსეთში, შემდეგ იქედამ დაბრუნებისა კახეთის ხელმწიფე შეიქმნა. სანამ ამ მოთხრობას დავაბოლოვებდე, მე უნდა დავიწყო ქართლის ისტორია და მივიყვანო იმ ეპოქამდი, როდესაც იგინი შეერთდებიან და შემდეგ დავუბრუნდები ამ მოთხრობას.

## თავი V

ქართლის სამეფოზე ლუარსაბიდამ დაწყებული შაჰ-ნავაზის სიკვდილამდი. ეს სახელმწიფო კახეთის მეფეების ხელში გადადის.

ქართლის სამეფო ნამდვილ საქართველოის სამხრეთ ნაწილს შეიცავს. იგი ჩრდილოეთით — კახეთით, სამხრეთით — განჯის მაზრით და სომხეთით, აღმოსავლეთით — დაღესტნით და შირვანით და დასავლეთიდ — თურქების საქართველოით ისაზღვრების. მას, როგორც კახეთს, საკუთრივ თვისი მეფეები ჰყავდა.

ლუარსაბმა, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნის დამლევს სცხოვრებდა, თვისი სახელმწიფო ორს თავის შვილს სვიმონს და დავითს

შუა გაჭყო [1]) ისმაილის შემკვიდრემ შაჰ ნავაზმა ეს ორი მეფე დაიმორჩილა. მაშინ დავითი გამაჰმადიანდა და ის მთელი საქართველოის ბრძანებლად წოდებულ იქნა. ერთხელ მან განიზრახა სპარსეთის უღლის გარდაგდება, მაგრამ ქუდა-ბენდემ მის წინააღმდეგ დიდ ძალი ჯარი წარგზავნა, დაამარცხა იგი და აიძულა გაქცეულიყო. მისი ძმა სვიმონი, რომელიც თამაზმა საქართველოს დაპყრობის დროს ტყვეთ წაიყვანა, თავის ბრძანებელის წყალობას თავის სარწმუნოების დაცვა ამჯობინა. მაგრამ ის სიმტკიცე, რომელიც იმან პირველად გამოიჩინა, დიდხანს კი ვერ შეინახა. მის ძმის გარდაგდების შემდეგ იგი ქუდაბენდემ ჯილდოებით თავისკენ მოიმხრო და ამ ნაირად სვიმონმა თავისი სჯული დასტოვა და სვიმონ ტფილისის ხანად წოდებულ იქნა. ის მოჰკვდა აბბაზის დიდის მეფობის დროს; მას რამდენიმე შვილი დარჩა; სვიმონი, ლუარსაბი, ალლავერდი ანუ ღვთის მიერ მონიჭებული, დურმიში და ერთი ასული, განთქმული დარეჯან-ფერია. ეს უკანასკნელი ორი ბატონის შვილები თავის დით წავიდნენ კახეთის მეფესთან, თეიმურაზთან, როდესაც მან ითხოვა დარეჯანი, მათი და. ისინი ცხოვრებდნენ იქ ირაკლის და მისი შვილის იმამ-კულხანის დროს და ეწეოდნენ მათ ომებში. ალლავერდი სასულიერო წოდებაში შევიდა, მაგრამ მაინც ხშირად დიდს კაჟკაცობას იჩენდა ჩხუბში.

სვიმონის უფროსმა შვილმა, ლუარსაბმა თავისი და დარეჯანი უკანასკნელ კახეთის მეფეს, თეიმურაზს მიათხოვა. როგორც წინეთ ვსთქვი, ის დაღუპა უარის შეთვლამ ამ თავის დის მიცემაზე შაჰ-აბბაზისადმი, რომელიც თხოულობდა მას სვიმონის სიკვდილის შემდეგ. მის მერმედ მის ძმას, სვიმონს ჩააბარეს ქართლი და ის მთელ საქართველოს ყეენის სახელით მართვიდა. როდესაც თეიმურაზმა აბბაზის სიკვდილის შემდეგ დაიბრუნა ტფილისი, აჯანყებულმა ხალხმა მოჰკლა სვიმონი. ამ უკანასკნელს

[1]) ლუარსაბს შვილი არ დარჩენია. იხ. ქართ. ცხ. მეორე ნაწილი, გვ. 39 სიმონა ბაგრატის შვილი იყო. მთარგმ.

დარჩა შვილი როსტომ-ხანი, რომელმაც თავი გამოიდო თავის მამის მოკვლაზე და ცდილობდა ქართველებისათვის მაგიერი გარდაეხადა და კიდეც დაამარცხა თეიმურაზი. შთამომავლად როსტომ ქართლის მეფის მემკვიდრე იყო, ამასთან მტრის დამარცხებამ მას კახეთიც მოუპოვა ასე, რომ როსტომი მთელ საქართველოს ჰფლობდა და მშვიდობიანათ მართავდა თვით თავის გარდაცვალებამდი 1640 წ. მას სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის და [1]) ჰყავდა ცოლად. რამდენიმე ხნით სიკვდილის წინეთ მან, რადგანაც უშვილ-ძიროდ გარდადიოდა, შაჰ-ნავაზ-ხანი, კახეთის ბატონიშვილი იშვილა. და აი როგორ დაემკვიდრა ქართლში ეს კახეთის ბატონის-შვილი. შაჰ-ნავაზი აგრეთვე კახეთის ბატონიც შეიქნა, რადგანაც იქაური ტახტის მემკვიდრე თეიმურაზის შვილი, ირაკლი რუსეთში გარდავიდა. ამ ნაირათ შაჰ-ნავაზმა ორი ეს სამეფო შეაერთა. ამ ხელმწიფის მოქმედებაზე მე წინეთ ვილაპარაკე. ის შესანიშნავი ხასიათის კაცი იყო; გმირი და მამაცი იყო და მასთან ომიანობის ხელობაც კარგად იცოდა. და აგრეთვე გამჭვრეტელი პოლიტიკიც იყო. ბუნებით ავი კაცი არ იყო, ერთობ ვერაგი იყო და სულგრძელობა აკლდა. ვინ არ იცის, რომ ვერაგობა და სულგრძელობა ერთად კაცში ვერ მოთავსდებიან. პატივის მოყვარეობისათვის მან გამოიცვალა სჯული, რომელიც მოსწონდა, როგორც აღმოჩნდა მერე: როცა იგი გამაჭმადიანდა თითქმის უფრო მეტს პატივს სცემდა ქრისტეს სჯულს ვინემ მაშინ, როდესაც მას თვითონ აღიარებდა. ქრისტიანობის მქადაგებელნი (მისიონერნი) იმის მეფობის დროს სრულიად დაცულნი იყვნენ და თავისუფლად ასწავლიდნენ ხალხს და ავრცელებდნენ სჯულს. მათ ხელ ახლად დაუმტკიცა ის წყა-

---

[1]) მარიამ, რომელიც მამია II გურიელის შვილის, სვიმონის ცოლი იყო და შემდეგ, როდესაც მას ლევანმა წაართვა, როსტომ მეფეს მიათხოვეს, ხოლო იმის სიკვდილის შემდეგ ყეენის ბრძანებით, ჯერ როსტომს და მერე იმის შვილობილს და მემკვიდრეს შაჰ-ნავაზს ანუ ვახტანგ V წაჰყვა ცოლად. ის ქალი ენახა შარდენს. ის გარდაიცვალა 1680 წ. დამარხულია მცხეთის სობოროში. მთარგმ.

ლობანი, რომელიც პირველად თეიმურაზისაგან მინიჭებული ჰქონოდათ. თვითონ შეირთო სამეგრელოის მთავრის, ლევან დადიანის ასული, რომელიც წინეთ გურიის მთავარს ჰყავდა ცოლად და მერე მისის მამობილის, როსტომ-ხანის მეუღლე იყო. ამ სახით შაჰ-ნავაზი ამ ქალის მესამე ქმარი იყო. ამ ქალისგან მას ოთხი ვაჟი და ერთი ქალი შეეძინა. ლევანი, არჩილი, — რომელიც იმერეთის დაპყრობის შემდეგ მან იქაური მეფის ტახტზე დასვა და რომელიც თურქებმა იქედგან გარდააგდეს — გიორგი-ხანი, სოლომონი, და ასული, რომელიც სპარსეთის მეფემ შაჰ-ჰუსსეინმა შეირთო.

ამას შემდეგ კახეთის და ქართლის ისტორია ერთი მეორეში ჩართულნი არიან.

ს. ლ—ძე.

(შემდეგი იქნება)

## ბატონის-შვილის დავით გიორგის მეფის-ძისაგან თქმული მუხამბაზი *).

რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეყან თუ არის ორატორი,
ქრისტეფორე ტფილისის დირექტორი,
თავადი გიორგი რეგისტრატორი,
პეტრე მისი მამა-პაპის სასწორი!

რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეყან თუ არის ორატორი!

ეს ქვეყანა ჰგავს რომ გამოიცვალა,
ქცევა, ყოფა სრულიად შეიცვალა;
შემთხვევანი სხვა რიგ სხვა ფერ იცვალა,
ჰგავს, ტრიალებს, არ არის ესე ჭორი.

რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეყან თუ არის ორატორი?!

კნიაზ ჩიქოვანი მოდის ჩამცმელი,
ქოჩორზედა ჯომადის წამსმელი;
მეჯლისში ზევით მჯდომი თავი-მსმელი,
უგია მას ნათი, გვერთ უძევს ლორი.

რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეყან თუ არის ორატორი?!

---

*) მუხამბაზი არის არაბული. ხოლო ქართულად ითქმის, ხუთ-მუხლოვანი.

დასეირნობს სერთუკით და ყაბოთი,
პავენ ბარდი ყბას მიუკრავს წებოთი.
დარჩია შესცქერის მელიქ აბოთი;
ამბობს: ანიწაწე ქუ მერ ჭორი.

რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეყან თუ არის ორატორი?!

ყუყუ არზით მისდევს თავადთა თავი,
აცვია ხიფთანი პერანგი მავი;
წითელი შალვარი და წვერი შავი,
კარს უბია ბედაური და ჯორი.

რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეყან თუ არის ორატორი?!

აღარ არის მელიქი და ნაცვალი,
რადგან მათ არა ჰქმნეს კარგი საცვალი.
ვიღასა აქვს მათი ყულუღის ვალი?
აწ წავიდნენ კაკაბს უტიონ ქორი!

რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეყან თუ არის ორატორი?!

ნაცვალდ მათსა ამ სამთ მოსდით ფეშქაში
თათრიდამ ნალები, ხელთ-უბნის ქაში;
შეითან ბაზრიდამ ჭარისა, ხაში,
ჯიმითიდამ კახაჯისათვის ღორი!

რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეყან თუ არის ორატორი?!

მათს კარზედ დგას ქართველი და სომეხი,
თავადები, დიდ-ვაჭარნი და გლეხი,

ვინ შეგიშვებს, თუ გასვრილი გაქვს ფეხი!
მეტადრე, როდესაც გეჭამოს ნიორი.

რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეჟან თუ არის ორატორი!?

ეგნატი ქეშიში აღა ხუტრისა,
მინისტრია და ვეზირი ნუტრისა.
ჟამი არა აქვს ჟინისა და პუტრისა,
ჭაზრაილს რას უზამს ცავი და ჯორი?

რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეჟან თუ არის ორატორი?!

კმარა ყველამ მოუჭიროთ აწ პირსა,
მეტადრე მათ ვინც ინანის და სტირსა.
კალაიი აღარ შევახოთ სატირსა,
დავივიწყოთ შრცხინვალს — სურამ და გორი!

რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეჟან თუ არის ორატორი?!.

# მ ა რ თ ა

თ—ს უეზდის სოფლებს არდანუჯსა და დარუბანდს ერთი ვენახი ჭყოფს; ამ ვენახის ზემოდ არის კარგი მაღალი ივერდობი და ამ ივერდობზედ გაჭიმულა აღმოსავლეთიდგან დასავლეთისკენ დაბალი ჭალა. ხსენებულ ვენახის ღობის შუა-ადგილიდამ რომ გავსწიოთ და შევიდეთ ამ ჭალაში, მანამ ჭალა-ჭალა ხუთს საყენს გავივლით, მივადგებით ერთს ძველს გაუქმებულს ეკკლესიას. ამ ეკკლესიის ერდოხანგრძლივის წვიმების დენას დაუღბია, ქარს შეუყრია მასზედ სხვა და სხვა მცენარის თესლები და ამისთვის ჯაგებით შემოსილა. რასაკვირველია, ეს უწინდელი ეკკლესია გარშამოც ეგრეთვე შემორტყმულია სხვა და სხვა ხეებით და ჯაგებით. თუმცა ამ ნაირათ ბუნებას და მისს მოქმედებას თითქმის სრულებით დაუფარავთ კაცის თვალისაგან მისგანვე პატივსაცემელად გაკეთებული შენობა, მაგრამ ამ შენობის ეზოში შესანიშნავად დარჩენილან რამოდენიმე დიდრონი ქვები, რომლებიც ამ ეკკლესიის ეზოში გამვლელს თუ გამომვლელს ატყობინებენ, რომ ეს ადგილი ეზოა გაუქმებულის ეკკლესიისა და აქამომდე ინახავს თავის უბეში მრავალს კეთილს და მრავალს უკეთურს გვამს.

მიცვალებულზედ ან კარგი უნდა ითქვასო, ამბობს ლათინური ანდაზა: ან არაფერიო.

ამისათვის ჩვენ არ შევეხებით ამ ადგილას განსვენებულთ უკეთურ გვამებს; ჩვენ გამოვიწვევთ აჩრდილს ერთის აქ განსვენებულის კეთილის გვამისას და ვსთხოვთ გვიამბოს ამბავი თავისის ვინაობისა, ცხოვრებისა და სიკვდილისა, რადგანაც ეს ამბავი თუმცა ნეტარ-ხსე-

ნებულის ბატონ-ყმობის დროებისაა, მაგრამ ქვეყნის უსამართლოება დღესაც იგივეა, თუმცა სხვა სახით კი დაიარება. ნაჭუჭი სხვაა, გუ-ლი ისევ ის არის.

ეს გვამი გახლავთ გასათხოვარის ქალისა; აი ამის აჩრდილი სდგა ჩვენ წინ, მომდურავი ამ უსამართლო სოფლისა; გვიამბობს თა-ვის ბედსა და ვინაობას. თუ გსურთ, მოისმინეთ, იქნება გული გაართოთ.

---

«მე გახლავართ თ—უეზდის სოფლის არდანუჯის მცხოვრების სა-ლომე გვერდელაძის ქვრივის ქალი მართა; მე ცოტათი მახსოვს მამა ჩემი მიხა, მაგრამ ჩემს თავს მაინც ვასახელებ დედის და არა მამის ქალათ; ამისთვის რომ მე არ მახსოვს არავითარი ზრუნვა ჩემზედ მამა ჩემისა და ამისათვის კიდევ რომ ჩემნი მცნობნი უფრო იცნობდნენ ჩემს დედას, ვიდრე მამას.

«ოთხი თუ ხუთი წლისა დავრჩი, რომ მამა მომიკვდა; დედა-ჩემს ჩემს მეტი შვილი არ დარჩა. ამასთანავე მას არა ჰყვანდა არც ერთი ნათესავი. არც ქმრისა და არც თავისის გვარეულობისა; ამისათვის მამის სიკვდილის შემდეგ დედი-ჩემისათვის მე თითქმის ღმერთად გადავიქე-ცი. ის ცდილობდა ყოველთვის ყოველი ჩემი სურვილი დაეკმაყოფი-ლებინა; ერთ წამს რომ თვალიდამ მოვშორებოდი, საწყალს გონება მისდიოდა. მე ახლაც ცხადათ მახსოვს ის სიტყვები, რომლებითაც შემომხაროდა, როგორც თავის დედის—ერთა ქალს, რომელსაც ვითომ შერთავდა კარგსა და ახალ-გაზდა ვაჟკაცსა, და ის გვიპატრო-ნებდა დედასა და შვილსაცა.

«მეც ჩემის მხრით ამისთანა გულ-ჩჩვილის დედის ხელში სრუ-ლებით ბედნიერად ვგრძნობდი ჩემს თავს; დედა რომ შემომხაროდა, მეც სავსე მეგონა ჩემი თავი ყოველის ღირსებით და ვფიქრობდი, ქვეყნის სიყვარულისა და ალერსის ღირსი მეც ვიქნები მეთქი.

«თვალადაც არ ვიყავ ურიგო: მე ვიზრდები პირ რგვალი, შავ-თვალ-წარბა, თეთრი, სავსე პირი-სახისა და წამოსადეგი ქალი; მე

მოვწონდი ყოველს ჩვენს მეზობელს და მიქადდნენ კარგს ბედსა. აღტაცებული და წაქეზებული ამდენის ალერსით, როგორც წინეთაც ვსთქვი, სრულ ბედნიერად ვრაცხდი ჩემს თავს.

„როდესაც მე და ჩემი კეთილის მყოფელნი ასე შევექცეოდით ერთმანერთის სიამოვნებით, სრულებითაც აღარ მაგონდებოდა და არ მეფიქრებოდა თუ რას მიპირობდა უსამართლო სოფელი და დაუნდობელი ბედი. მე და დედა-ჩემს გვავიწყდებოდა, რომ ჩვენ ვიყავით ბატონის ყმები; გვავიწყდებოდა, რომ არავინა გვყვანდა სახლში საქცეთი და ამისათვის მუდამ ვერ ვკმაყოფილებდით ჩვენს მებატონეს ტ. ბეგარისა და სხვა და სხვა მოთხოვნილების შესახებ.

„ჩვენს ბატონს, როგორც ყოველს მებატონეს, თითქმის ყოველთვის კარზედ ედგა ყმები; ხვნა, თესვა, მკა და ლეწვა მებატონეების მოსავლისა, იცით, იწყებოდა და თავდებოდა ყმების მკლავითა და ჯანით. ამათ გარდაც სხვა ბევრ ნაირი მუშაობა სჭირდებოდათ; ყმის მუშაობისთვის ბატონის სასარგებლოდ დრო, რიცხვი და ზომა არ გაეჩინა არც ღმერთსა და არც კაცსა; სამუშაოზედ გაჰყვანდათ ბატონებს ყმები ხან დილით, ხან საღამოთი, ხან დღისით და ხან ღამით. ბძანების კანონიერობაზედ და უკანონობაზედ ლაპარაკი არ შეიძლებოდა და ვერც არავინ გამოიჩენდა ამისთანა კადნიერებას. ამისთანა შემოუზღუდველს უფლებას და ამ უფლებაზედ დაფუძნებულს ბძანებას კაციანი და ხარიანი ყმებიც ვერ აკმაყოფილებდნენ სრულებით და ის სახლობა რას შეიძლებდა, რომელიც შესდგებოდა ერთის მოხუცის დედისა და ერთის თითქმის ძუძუთა ქალისაგან. აი ამ მიზეზით ხშირად მოვყვებოდით ხოლმე მე და დედა-ჩემი ჩვენის სახლ-კარით ბატონის რისხვის ქვეშ, როდესაც დედა ვერ მოახერხებდა ხოლმე ვისიმე ქირაობას და გაგზავნას ბეგარაზედ. როდესაც ეს რისხვა მარტო ლანძღვასა და თრევაზედ გადიოდა, მაშინ დედა თითქმის მადლობასა სწირავდა ღმერთსა, რადგანაც უარესი არა მოევლინა რა. მაგრამ უფრო ხშირათ ამისთანა ლანძღვასა და თრევას ზედ მოსდევდა დარბევა უკანასკნელის ლუკმა პურით ანუ უკანასკნელის ცვარის ღვინით. ამ ნაირად მიდიოდა ჩვე-

ნი ცხოვრება, მანამ მე პატარა წამოვიზრდებოდი; როდესაც გავხდი ათის წლისა, მაშინ ჩემი ბედის ჩარხი სრულებით უკუღმა დატრიალდა.

«ჩყმბ-ის ენკენისთვის თ-სა მე ერთს ახლო-მეზობლისას ვიყავ და იქიდამ შინ მოვედი. დედა-ჩემი იჯდა ჩვენის სახლის დედა-ბოძის ძირში, გულ-ხელ-დაკრეფილი, დაღონებული და დამძარებული; შევატყე, რომ ის ნამტირალევიც იყო. ბევრი ვეცადე, რომ მეთქმევინებინა მიზეზი ამ დაღონებისა, მაგრამ ვერ ვათქმევინე. მაინც და მაინც ბევრი ლოდინი აღარ მომინდა ამ მიზეზის შეტყობისთვის. იმავე დღეს, სამხრობის დროს, მოვიდა ჩვენსა ჩვენი ბატონის ცოლი, ე. ი. ჩვენი ქალ-ბატონი და დაუძახა დედა-ჩემს. დედა-ჩემმა ჩვეულებრივის სალამის შემდეგ შემოიპატიჟა შინ; შემოვიდნენ, დასხდნენ ტახტზედ და დაიწყეს სხვა-და-სხვა საგნებზედ ლაპარაკი. ამ დროს მეც აქ შევესწარი.

«ცოტა ლაპარაკის შემდეგ მოჰყვა ჩვენი ქალ-ბატონი:—მე დღევანდელ საქმისათვის მოვედი, სალომევ; დილასაც გითხარი, მაინც არავინა გყავს მუდამ ბეგარასა და სხვა-და-სხვა სამუშაოზედ გამოსაგზავნათ, მოამზადე შენი მართა, მოახლე გვიჭირს, მე წამომყვეს. დიდი საქმე და გასაჭირი მაგას არ ექმნება რა. შენს სანახავად ხშირად დავითხოვ; ახლოცა ხარ, როცა ინდომებ, თითონაც მოხვალ და ნახამ.

„— დაილოცა ღვთის სამართალი, დაიწყო დედა-ჩემმა წუწუნი ქალ-ბატონის წინ: მაგ ერთის უმაწვილის მეტი აღარავინ არის ჩემს ბედობაზედ; მთელს ქვეყანაში ე მაგასღა შევყურებდი და მაგითი ვიყავ ცოცხალი, ეგეც უნდა ეხლა თქვენ წამართოთ! ნეტა როგორღა უნდა გავძლო და როგორღა ვიცოცხლო. ჩემგან მოშორება და წართმევაც რომ არ ვიჩივლო, რა ვიცი რამდენი ფათერაკი სდევს ბატონის სახლში მოახლეთ შეყვანილს ქალს; ბიჭები და გოგოები ნახევარზედ ერთათ ჭყრიან უთვალ-უყუროთ და უპატრონოთ; რაღა უნდა ვქნა რომ ჩემს მართას ერთი რამ ფათერაკი შეემთხვეს.

„ქალ-ბატონმა მოკლეთ მოუჭრა, რომ თუ შენი შვილი შენ-
თანვე არ არის გარყვნილი და გაფუჭებული, ჩვენს სახლში არა-
ფრის ფიქრი არ ექმნებათ; ამისათვის რომ ჩვენი სახლი და ჩვენი
ცხოვრება უფრო პატიოსნებითა და სინიდისით არის სავსე, მანამ
თქვენისთანა გლეხების სახლი და ცხოვრებაო.

„დედა-ჩემს ძალიან ეხათრებოდა და ეშინოდა ქალ-ბატონისა, მაგ-
რამ დიდი სიმწუხარისაგან მოთმინებიდამ გამოვიდა და დაიწყო თა-
ვისი წინათ ნათქვამის სიტყვების მტკიცება და ქალ-ბატონის მტყუ-
ნება:

— ვიცი გამიწყრებით, ქალ-ბატონო, მაგრამ რასაც მიშვრებით
ამაზედ მეტს რაღას მიზამთ; მრთელმა სოფელმა იცის რა პატიო-
სანი დედ-მამის შვილია თქვენი ნამუსზედ ხელ-აღებული გოგო ნენე.
იმის დედაზედ მართებული დედა-კაცი ჩვენს სოფელში არ დაიარე-
ბოდა; აგრეთვე პატიოსნათ და მართებულათ იცნობდა ეს სოფელი
მრთელს იმის სახლობას: თვითონ ეგ ნენეც, რომელიც ეხლა ასე
თავისი გვარის მამთხრელი გახდა, მინამ თავის დედ-მამის ჭერს-ქვეშ
ეგდო ისეთი იყო, რომ ყოველი მეზობელი და მცნობი მაგის მზე-
სა ფიცულობდნენ; იმდენი დღე შეჰმატოს ჩემს მართას, რამდენისა-
განაც დღესაც გამეგონოს, რომ ნენე თუ მოახლეთ არ წაეყვანათ,
ნეტავი იმ ოჯახს, რა ოჯახშიაც ის რძლათ შევიდოდაო. თქვენ ბი-
ჭებსაც რომ თავი დავანებოთ, თვითონ შვილები და მაზლის-წულები
მეტათ დიდ ხანს გყავთ ხოლმე, თქვე დალოცვილებო, უცოლოები;
ამისათვის ყოველ მოახლის დედას, თქვენს სახლში შემოსულისას,
დიდი შიში და სიფთხილე ჰმართებს; საითღა რა უნდა ვუშველო, რომ
ერთი რამ უბედურება შეემთხვას ჩემს მართას..

„მაინც და მაინც ამ ტირილითა და ჩივილით დედა-ჩემმა ვერა
გააწყო რა, რადგანაც ბატონის სიტყვის გადასვლა არ შეიძლებოდა,
და გამაყოლა ქალ-ბატონს.

„ჩემი ბატონის სახლში შესვლა და ჩემის მხიარულის და ცოც-
ხალის გულის დახურვა ერთი იყო; მე ერთბაშად მომაკლდა ის მხურ-

ვალე და სიყვარულით სავსე სიტყვა, რომელიც დედი-ჩემის გვერდით ყოველს ნაკლულევანებას მიქარვებდა; დედის ლოლიაობისა და ალერსის მაგივრათ ბატონის სახლში დამხვდა ყოველთვის ტუქსვა და თავში ცემა. დედის სახლში მე ვიცნობდი ქვეყანას კეთილად; მე მეგონა თუ, ქვეყანა მარტო ალერსითა და სიყვარულით იყო სავსე. ბატონის სახლში რომ შეველ, მოულოდნელად შევნიშნე, რითომ ის ალერსი და სიყვარული, რომლებსაც დედა-ჩემი ასე უხვათ ხარჯავდა ჩემზედ, მარტო ჩვენის ბატონის შვილებისთვის ყოფილან გაჩენილნი; ამ სახლში ვნახე პირველათ, რომ ერთ-გვარმა ხალხმა, ე. ი. ყმებმა და მოსამსახურეებმა (იმათში მეც) ფეხები და ხელები უნდა ულოკონ მეორე-გვარ ხალხს—ბატონებს, და ამისათვის ჯილდოდ ბევრჯელ ცემა-ტყეპაც უნდა მიიღონ.

„მე მოვითმენდი ყოველს უსამართლობას, ცემასაც და ტყეპასაც, ოღონდ კი დედა-ჩემს არავინ მოარიდნოდა ჩვენის ბატონებიდამ და არ დაეწიოკებინათ; მაგრამ სხვა ბოროტებათა შორის მე შემხვდა ამისთანა ცეცხლი, რომლის მოწამლულის ალითაც მე დავილუპებოდი სულითაც და ხორცითაც, დავღუპავდი ჩემს მშობლებს, შევარცხვენდი და მოვთხრიდი ჩემს და ჩემის გვარის სახსენებელს.

„მე არ ვეძიებ სამართალს, ამისთვის რომ აქაური აღარა ვარ; არავითარი ძალა არ მადგა, რომ ჩემს ამბავში სიმტყუნე გავურიო; მე გიამბობთ მარტო იმისთვის, რომ თქვენ ისურვეთ ჩემი ვინაობის შეტყობა და ამისთვის კიდევ, რომ ცხადად წარმოიდგინოთ,—მაგ თქვენს ქვეყანაში რამოდენა უბრალო სული იღუპება, რამოდენა სისხლი იღვრება, რამდენი იხოცება და წუთი-სოფელი კი წარბსაც არ შეიხრის ხოლმე, თითქო არა მოხდა რა.

„ჩემს ბატონსა ჰყვანდა ერთი ზნეობით გარყვნილი და შეხედულობითაც საძაგელი შვილი*). მე რომ მოახლეთ მიმიყვანეს, ის იქნებოდა ოც-და-ოთხისა ანუ ხუთის წლისა. ამ უსირცხვილომ, რამდენიც წამოვიზარდე, იმდენი ახლო და ახლო დამიწყო სიარული;

როდესაც შემისრულდა ხუთმეტი თუ თექვსმეტი წელიწადი, მაშინ სულ აღარ მამასვენა; ერთხელ მიჩქმიტა, მეორეთ მომიალერსა, მესამეთ მამეხვია და ბოლოს სულ უსირცხვილოთ დამიწყო ლაპარაკი. —

იმე ვერ მომიგონია იმისთანა სიტყვები, რომლებითაც შეიძლებოდეს გამოვხატო რასაც მე ვგრძნობდი ამ შეუფერებელის ქცევის დროს: თავ-ჩაღუნული ხელს ვკრამდი და ისე გავიშორებდი ხოლმე ჩემგნით უსირცხვილო პ—ს; მასხამდა ცივსა და ცხელს ოფლს და ვიყავ ერთს დიდს ჭირსა და ბრძოლაში. უნდა წარმოიდგინოთ რამდენჯერ რამდენ რასმე მამიგონებდა ხოლმე პ. ჩემის დაუყოლებლობის ჯიბრით და მცემდა უსამართლოდ და შეუბრალებლად. ამდენმა ჭირმა და ბოროტებამ გამაბედვინეს, ბარემ სამჯერაც, გაქცევა დედასთან, მაგრამ ეს გაქცევა რა ღონე იყო? ვერ მოვასწრობდი შემჩნევლა დედისთვის მიზეზი ჩემის გამოქცევისა, რომ მოვიდოდა ხოლმე ქალ-ბატონი დედა-კაცით, წამავლებდა ნაწნავებში ხელს და თრევით მომიტანდა თავის ეზოში. ან მითრევის შემდეგ ცემა-ტყეპა კიდევ სხვა იყო. ამოდენა უსამართლოებამ, ყოვლის მხრით უპატრონობამ და შეუძლებლობამ მჩაგვრელის წინააღმდეგ მომიხიბლა გული და მომიწამლა ცხოვრება. რასაც უნდა დიდს სიამოვნებას შევყროდი, დედასთან წასვლის დროს, თუ სხვა რაიმე შემთხვევით, ჩემთვის გემო აღარას ჰქონდა; მე სულ თვალ-წინ მედგა ცხიზელსაც და სიზმარშიაც ის საზიზღარი პ. თავის უსირცხვილო და უწმაწურის ლაპარაკით და სულ იმ ფიქრში ვიყავ, თუ როგორ მოვშორებოდი იმის შეყურებას და ბატონობას. ეს ყოვლისგნით იმედ მიხდილი და უბედური ქალი ნამეტნავად სასოწარკვეთილებას მიმცა იმ საქციელმა, რომელიც შემამთხვია ჩემმა სულის მხუთავმა, ჩემის სიცოცხლის უკანასკნელ დღეს, მარიამობისთვის ექვსს. ამ დღეს პ. იყო დაპატიჟებული სადილად ლეკიანთსა ბანდისას შინ დაბრუნდა დათვრალი. ჩვეულებისამებრ მოვიდა ჩემთან და დამიწყო შეუფერებელის სიტყვებით ლაპარაკი და ჭიდაობა. მე, უწინაც იმისაგან თავ-მობეზრებულს, ამ დღესაც კიდევ

კალოზედ ტრიალისაგან დაღალულს და დაწყვეტილს, მეტად ჯავრი მამივიდა; ხელი ვკარ და იქით გავაბარბაცე გალოთებული პ. ამაზედ გაბრაზდა და იმდენი მცემა, რომ გულ-შეღონებული ძლივს გამაგდებინეს ხელიდამ. ამ ცემის შემდეგ, პატარა რომ მოვსულიერდი, წაველი ჩემს საწოლ ადგილას, გავშალე ლოგინი და მივწექი. მე იმ ღამეს აღარავის მოვუკითხავარ არავითარის სამსახურისათვის, რადგანაც ბატონებს ვეგულებოდი ცემისაგან ავათ-მყოფი. მე მომნახეს მარტო მეორე დღეს, ე. ი. შვიდს მარიამობისთვისას. როდესაც ნახეს, რომ ქვეშაგებში არ ვიყავი, დამიწყეს აქათ-იქით ძებნა. სხვა-და-სხვა ადგილების ნახვის შემდეგ, გაალეს სათონის კარები და აქა ნახეს იხანზედ ჩამობმული თოკი, თოკში თავ-გაყოფილი და ჩამომხრჩვალი ქალი. ეს იყო ჩემი სხეული, რომელიც მე, მოთმინებიდამ გამოსულმა, ძალ და-ძალ, თავის-დახრჩობით გავჭყარე ჩემს სულს.

„მე მოვერიდე იმ უპატიურებას, რომლის მიყენებასაც მიპირებდა ბატონის შვილი პ. მე ვარჩიე თავის დახრჩობა ხამუსის დამხობასა. და აი ეს მოქმედება ჩემი, აი ეს ორის ბოროტისაგან ერთის უმცირესის ამორჩევა უსამართლო სოფელმა ჩამომართვა წამწყმედ ცოდვათ; ამისათვის შემრაცხეს არაქრისტიანათ და ქრისტიანულად დამარხვის ულირსად; ჩამოხსნეს იხნიდამ, გამახვიეს უბრალო ფარდაგში, გამითხარეს საფლავი გაუქმებულ ეკლესიის ეზოში, თავ-დანებებულ სასაფლაოვზე, უმღვდლოდ ჩამაგდეს საფლავში, მომაყარეს მიწა და დამანებეს თავი...

„რისთვის დაიხრჩო თავი, ვისი ბრალია მაგისი თავის დახრჩობა, რამ გაუჭირა ასე საქმე,—ერთმა არავინ იკითხა, თუმცა მთელმა სოფელმა იცოდა ჩემი თავის დახრჩობაც და ჩემი თავის მომბეზრებელიცა.

„გარდავიცვალე და ვმადლობ ღმერთსა, რომ მოვშორდი მაგ უსამართლო სოფელსა! ბატონ-ყმობა აღარ არის, მაგრამ მაგ თქვენს ქვეყანაში ბევრი, ათასი სხვა უბედურებაა კიდევ. ჩემის ბედისანი კი-

დევ ბევრნი არიან. ეხლა ბატონ-ყმობის მაგიერ სხვა ათასი ბოროტება მოქმედობს და ჩემისთანა უპატრონოს, ობოლს, ღარიბს მივარდნილს მაინც ბედი ეუბნება: ან ნამუსის დამხობა, ან სიკვდილიო. ორში ერთი, ჩემო უბედურნო დანო! ერთი ვაია და მეორე ვაგლახი. არჩევანი ძნელია. ვაი რომ მაგ სოფელს უძლებთ!

უცნობი.

# ვაქებ, ანუ: ამასაც ხომ არ დამიშლიან!

(ისპანიური სატირა ლარრასი.)

იმის გარეთ, რასაც ჰსწერ შენის გულის თქმის გამოისობით, შეიძლება კიდევ წერა სხვა და სხვა საგნის მისახწევად. ჰსწერ, მაგალითებრ, ან საკუთრივ შენთვის, ანუ სხვისათვის. ერთი კარგად ავხსნათ ეს ჩვენი აზრი.

რასაც ჰსწერს კაცი „სახსოვარში“, ცხადია საკუთრივ თავის-თავისათვისა ჰსწერს. ასე რომ ყოველივე ამ გვარი წერილი, ანუ მემუარი, ჩაწერილი მოთქმაა და სხვა არაფერი. ამითი იმისი თქმა კი არ მინდა, მითამ ურიგობა იყოს კაცმა თავის თავს უამბოს ნამყო თავის საკუთარის ცხოვრებისა—მაშ თუ არ თვითონ, სხვა ვინ ეყოლება ზოგიერთს კაცს მოთმინებით სავსე ყურის-მგდებელი? მე მართლა ამის თქმა მინდა, რომ საკუთრივ მე დაბადებითვე კარგი მეხსიერება დამყვა—ახ, ნეტავი არ დამყოლოდა, რამოდენად უკეთესი იქნებოდა—ამიტომაც თავის დღეში არ დამავიწყდება ის, რაც ერთს დროს ჩემთვის ღირს სახსოვარი ყოფილა: მაშასადამე ამაების ჩაწერა მეტი იქნებოდა. ხოლო რაც ღირსი ხსოვნისა არ იყო, მე ვფიქრობდი, არც ღირსია მეთქი ჩაწერისა. თუნდ ეგეც არ იყოს ადამიანის სიცოცხლეში ათის შემთხვევიდამ ცხრა მაინც საუბედურო და სამწუხაროა. აქედამ, რასაკვირველია, ის სრულებითაც არ გამოდის, რომ მეათე მაინც და მაინც სასიხარულო იყოს. აი კიდევ უფრო საბუთიანი მიზეზი, რომ კაცმა „სახსოვარი“ არა ჰსწეროს! რამოდენად უფრო გონიერი და სანუგეშო იქნებოდა რომ „სახსოვარს“ კაცმა თავი დაანებოს და იმის მაგიერ ჰსწეროს

„სავიწყარი.“ „ის, რაც უნდა მე დავივიწყო“ ამ სათაურით წიგნი ურიგო არ იქნებოდა. დეე მკითხველმა წარმოიდგინოს რამ სიდიდე წიგნი გამოუვიდოდა კაცს ამისთანა სათაურით და რამდენი თავისუფალი დროლა დაჭირდებოდა თვითონ დამწერს, თუ მართლა და სინიდისიანად ასრულებდა თავის აღთქმულს.

მაგრამ მაინც განვაგრძოთ ჩამოთვლა მათი, ვინც თავის-თავისათვისა ჰსწერს.

ის, ვინც არზასა ჰსწერს, ანუ თხოვნასა, თქმა არ უნდა, რომ მარტო თავის-თავისათვისა ჰსწერს. ვინ არ იცის, რომ არზას, თხოვნას არავინა კითხულობს დამწერის მეტი, რადგანაც არზას, თხოვნას მარტო დამწერისათვისა აქვს მნიშვნელობა. ამის დასამტკიცებლად ის მომყავს, რომ თუ წინადვე აღნიშნული ხართ თანამდებობის მისაღებად, თქვენ მიიღებთ თანამდებობას არზის მიცემამდინაც და თუ გეტყვიან ჯერ არზა შემოიტანეთო, ეგ აშკარა ნიშანია, რომ თანამდებობის მიღებას უნდა გამოეთხოვოთ. ამიტომაც არზის წერა უფრო მეტი უჭკუობაა, ვიდრე „სახსოვარისა“.

ამ მხრით არზის საწერადაც ისე არ მიმიწევს გული, როგორც თვითონ ჩემის „სახსოვრის“ საწერად.

ის, ვინც იმისათვისა ჰსწერს, რომ თავისი ჰაზრი გამოჰსთქვას, რჩევა რამ მიჰსცეს, ცნობა რამ აუწყოს — ისიც მარტო თავის-თავისათვისა ჰსწერს. ამის დასამტკიცებლად ამას ვიტყვი, რომ რჩევას ჩვეულებრივ მაშინ იკითხვენ ხოლმე, როცა საქმეს გაათავებენ და თვითონ ნაუწყეიც თუ არ ეჭაშნიკათ, ხომ ყურსაც არ ათხოვებენ.

ვინც საყვარელსა ჰსწერს — ისიც ისევ თავის-თავისათვის ჰსწერს, და ამის მიზეზი ბევრ ნაირია. ძალიან და ძალიან იშვიათად იქნება, რომ ტრფიალება ორივეს მხრით თანასწორად იყოს; ამის გამო მხურვალება ერთისა მეორისათვის გაუგებარი ენაა, და vice versa. ამას გარდა რა კი საყვარელი მოგვიწყინდება, აღარც მივწერთ ხოლმე. აშკარა საბუთია რომ ჩვენ საყვარლის გულისათვის არ გვიწერია.

მწერალნი უოველთვის ქადულობენ წინა-სიტყვაობაში და იქამდის მივიდნენ, რომ თვითონაც ჰსჯერათ, ვითომდა საზოგადოებისთვისა ჰსწერენ. ცუდი არ იქნებოდა, თუ რომ ამას გადაიჯერებდნენ. ისინი, ვისაც არა კითხულობენ, ცხადია თავისთვისა ჰსწერენ და გამოჩენილნი, გათქმულნი მწერალი კი გამორჩომისათვის, ხან სახელ-დიდებისათვის ჰსწერენ, — მაინც და მაინც უოველ შემთხვევაში თავის-თავისათვისა.

მაშ ვიღა ჰსწერს სხვისთვისაო? იკითხავთ. ეხლავ მოგახსენებთ. იმ ქვეყნებში, სადა ბოროტებად მიაჩნიათ რომ კაცმა კაცს უთხრას ის, რასაც ჰფიქრობს, სადა განონად მიღებული აქვთ, რომ კაცმა არ უნდა იცოდეს, ის რაც იცის და სადა ფეხები იმისათვის არა აქვთ, რომ იარონ — სადა ერთის სიტყვით, წინასწარი ცენზურაა — აი სწორედ ამისთანა ქვეყნებში ჰსწერენ სხვისთვისა და ის სხვა ცენზორია და არა სხვა ვინმე. მწერალი რომელსაც გაუჭრელდება ერთი იზმა ქაღალდი და მიაქვს ცენზორთან, და რომელსაც ცენზორი კუბნება არ შეიძლება იმის დაწერა, რაც დიდი ხანია დაუწერია კიდეც, — ის მწერალი თავის-თავისათვისაც არა ჰსწერს: ის ჰსწერს განსაკუთრებით თავის ცენზორისათვის. მარტო ამისთანა მწერალია ის განსაკუთრებითი სულიერი, რომელსაც მიეტევება ჰსწეროს არამც თუ „სახსოვარი“, არამედ „არზაცა“.

მტკიცედ გადავწყვიტე და დავაპირე არა დავწერო რა თავის დღეში ცენზორისათვის და უოველთვის ვცდილობდი გამომეხატნა მხოლოდ ჭეშმარიტება, რადგანაც, ვეუბნებოდი ჩემს თავს, ვინ ცენზორი იქნება იმისთანა, რომ აშიკრძალოს მართლის თქმა და რომელი განათლებული სახელმწიფო იქნება, მაგალითებრ, თუნდ ისპანია, რომ მართალს შეუშინდეს? ამ სახით, თუ ცენზურის წეს-დებაში აკრძალულია ლაპარაკი წინააღმდეგ სარწმუნოებისა, მოხელეებისა, მთავრობისა, უცხო ქვეყნებთა მმართველებისა და სხვისა მრავალისა, — იმისათვის არის აკრძალული, რომ იგულისხმება და სამართლიანადაც, რომ უოველს ამ საგანზედ კარგს ვერას იტყვი, თუ მართლის თქმა გინდა. ტყუილის თქმას კიდევ ისა ჰსჯობია სულაც არა ითქვას რა. უოველივე

ეს ცხადია, ცხადზედ უფრო მეტი, თითქმის სრულებით მართალიც არის.

მაგრამ აი რა არის ნება დართული, — ეგ ქების შესხმა, და აქ საზღვარი არ არის დადებული, რადგანაც დამტკიცებულია რომ რამდენიც უნდა აქო, ქება მეტი არ იქნება, ნამეტნავად მისთვის, ვისაც აქებ და არც შეიძლება რომ ქებაში ჭეშმარიტება და სიმართლე არ იყოს. ამ მიზეზით ჩემ თავს კანონად დავუდე ყოველთვის ყოველისფერი ვაქო და ამ კანონის მადლობელი უნდა ვიყო, რომ ჩემმა სუსტმა ნაწერებმა სახელი გაითქვეს და ხალხში ფეხი გაიდგეს. ამ გზას მე თავის დღეში არ ავცილდები ნამეტნავად ეხლა, რადგანაც, სწორედ რომ ვჰსთქვათ, — არავითარი მიზეზი არ მაიძულებს გზა შევიცვალო.

ამ გზას რომ დავადგე ერთი კიდევ სხვა საბუთიცა მქონდა, ანუ უკეთ ვჰსთქვათ — ერთი სხვა ზნეობითი დედა-აზრიც, დაურღვეველი და შეურყეველი ყველა დროების და ქვეყნებისათვის. კაცმა არ უნდა ჰქმნას არა რაიმე იმისთანა, რასაც არ ათქმევინებენ, რასაც არ აქადაგებინებენ საყოველთაოდ სასმენელად. ამ სახით, არც ერთს მწერალს არ შეუძლიან ჰსთქვას, რომ ცენზორმა ამიკრძალა ესა და ეს ნაწერიო, იმიტომ რომ ეგ კანონით არის აკრძალული და კანონი განა ცუდი იქნება? მაშ როგორ დავწერდი იმისთანა წერილს, რომელსაც მე ამიკრძალავდნენ? მაგისთანები არც მიწერია და არც დავწერ, არც ვიტყოდი, თუ მაგვარი რამ შემცდენოდა შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა, და არც ვისურვებდი თქმას. სულ ერთია — თუნდ რომ მდომებოდა, ხომ მაინც არ მათქმევინებდნენ. ერთის სიტყვით — არ შეიძლება! და ამიტომაც ძალიან ჭკუას ვხმარობ, რომ ვმარხულობ და თავს ვიჭერ.

მე მგონია მეტი იქნება იმისი თქმა, თუ რა ხეირს შევეყარე ასე რომ ხელ-აღებით ყველასფერს ვაქებ, რასაც ვხედავ. თუ ჩემმა კმევამ და ქებამ, რომელსაც ასე უხვად ვხარჯავ, აქამომდე, — როგორც სჩანს — ვერაფრად გასჭრეს და ერთი კაი ლაზათიანი თანამდებობა არ

ჩამიგდეს ხელში, ეგ იმიტომ ხომ არა, რომ თანამდებობას ღირსი არ ვიყო. იმათაც ვინც თანამდებობას არ მაძლევენ და მეც, რომელიც თანამდებობას არ ვიღებ, გვსურს, რასაკვირველია, რომ ჩემი ქება და გმევა სრულებით დამოუკიდებელი და პირ-უთვნელი იყოს.

ჩემმა დამოუკიდებლობამ მეტად წამახალისა, გამაქეზა: უნდა გეყურებინათ რა კადნიერებით და რა გულ ახდილობით ვუგმევდი ხოლმე ქებას ძალის მქონეთა, რა რიგად ვუქებდი მამობრივს გულს მძლიერთა ამა ქვეყნისათა, რომელნიც თბილ-თბილ ადგილებს ურიგებდნენ ხოლმე თავის მახლობელთ, ნათესავებს, მეგობრებს; რა რიგად შევხაროდი რომ ამისთანა გაჭირვებულს და არეულ დროში თვალებს იწყალებდნენ, თავებს იწუხებდნენ, აგერ ახალი ფორმა მუნდირისა უფალთ სენატორების შესაფერი რომ მოვიგონოთო; რა რიგად ვუქებდი შორს მხედველობას, რომლის წყალობითაც საცა იყო და არ იყო ორგულობას და სახელმწიფო ღალატს აღმოაჩენდნენ ხოლმე და ამით საშინელის ფათერაკისაგან იხსნიდნენ ქვეყანასა; რა რიგად ვუწონებდი მზრუნველობას და გონიერებას რომლითაც იგანი წინ დაუხვდნენ ხოლერას; რა სისწრაფით დაამშვიდეს ურთიერთშორისი შფოთი და ბზარვა; რა... მაგრამ გაგრძელება რაღა საჭიროა? მე ვაქებდი ყოველსფერს, რასაც ვხედავდი და თუ რამე გამომეპარა, გეფიცებით ჩემს სიცოცხლეს, რომელიც მომწყინდა, — ეხლავ შევუდგები იმასაც.

რაც ვჰსთქვი იქიდამ ისე არა მწყინს რა, როგორც ყლავი-ყლუპი და ყვირილი ყოველთვის და ყველაფერში მომდურავის ხალხისა, რომლის თვალშიაც ყოველივე, რაც კეთდება, ან ცუდად გაკეთებულია, ან ძალიან ნაკლულად. აქ კი მოთმინებიდამ გამოვალ ხოლმე და ვეუბნები: „არა გმართებთ განა? თქვენთვის ყოველივე ეგ ცოტაა განა? მაშ მაიტათ, ჩამოვთვალოთ, რამდენი თვეა, რაც ჩვენში შემოვიდა“ . . . . . .
— „რა შემოვიდა?“ კითხულობენ იგინი. — „როგორ თუ რა? აი, თუნდა საგოროლო ხარტია?“ — „ჯერ წელიწადი არ არის.“ — „წელიწადი არ არის და ორჯერ პალატნი მოწვეულ იქმნენ, შევუპერე მე პასუხად: ორი სამხედრო მინისტრი გამოიცვალა, სამი შინა საქმეთა

მინისტრი გადააყენეს, გარე-საქმეთა მინისტრი ერთი და იგივე დარჩა, მაგრამ ის ერთი სამად ღირს. სახელმწიფო მიწებს ერთი და იგივე მინისტრი უვლიდა, ამიტომაც ის მიწები სულ თვალ წინ არიან; რადგანაც ანდაზა ამბობს: ქონებაო, შენი პატრონი შენა გხედავსო და თუ ზღვისა და წყალის საქმეები თვალ წინ არა ჩანს, ეგ იმიტომ-რომ ანდაზაში მოხსენებულნი არ არიან, ჯერ წელიწადი არ არის და რამოდენა ნიჭი და ტალანტი აღმოიჩინა ასპანიამ, იმიტომ-რომ მეტი გზა არ იყო, ძალა უნდა დაეტანებინა თავის-თავისათვის. რამდენი, დიდ-დიდნი სარდლები, სახელოვანნი ღენერლები გამოჩნდნენ ამ მოკლე ხანში, ჯერ ხომ წელიწადი არ არის; რამოდენა აჯანყებულები დაამშვიდეს, რამდენი შესხმა, ქება და მადლობა წარმოჰსთქვეს მჭევრ-მეტყველმა ორატორებმა, რამდენი ლაპარაკი! განა თემისტოკლემ არ უთხრა თავის მოქიშპეს: „მცემე, ოღონდ კი მომისმინეო“. თვითეული ჩვენი ორატორიც თემისტოკლეა; ოღონდ თქმის ნება მისცენ და პირ-და-პირ ეტყვის ყოველს უბედურებას: მცემე, ოღონდ კი მომისმინეო! სხვა რა გინდათ ამაზედ მეტი გენახათ ამ მოკლე ხანში, ჯერ წელიწადიც არ არის, თქვე ყოველთვის მომდურავნო ადამიანნო? ერთი გვითხარით, ამაზედ მეტი რაღა გინდათ გაგეგოთ და შეგეტყოთ?“

— „ერთი ბეწვა წინ-მხედველობაც არსად ჩანსო“, შეუხრა ამას წინად ერთმა მათგანმა: — არსად ჩანსო? შეჰკმახე მეც ეგ ხომ უსინდისობაა! რათა გგონიათ ეგრე? ნუ თუ იმიტომ-რომ ორიოდე უბედურება მოხდა, რომელსაც კაცი ვერ აიცდენდა, თუნდა წინადვე დაენახა?“

ავ-ენანო! სწორედ მაგისთანა აბზავი მოუგონეს ხალხის გულსაცა. ათას-ჯერ უთქვამთ, რომ ხალხს გული მოუკლესო. ვთქვათ მართალი იყოს, მაგით მითამ რაო? განა არ შეიძლება უბძანონ ხალხს ხელახლად გული მოიცეს? განა არ შეიძლება ყველგან ბატონ გუბერნატორებს ბძანება მისწერონ, რომ ხალხს გული გაუცოცხლონ და ყველგან საყოველთაო სიხარული გააჩინონ? გგონიათ არ გააჩენენ? გააჩენენ ასეთს, რომ თქვენს მოწონებულს, პირველის ხარისხისას.

მაშინ როცა შფოთი და ომზარკა იყო ხალხის აღტაცება არა გვკლებია; მაგრამ ეხლა კი შიში არსაიდამ არის და ფიქრი, ამიტომაც ხალხის გული დაწყნარდა, აღტაცებამაც იკლო. აქედამ გამოდის, რომ ყოველთვის არეულობასთან განუყრელად ჩართულია აღტაცება. ეხლა კი მაგის ნებას არავინ მოგცემთ. ეხლანდელი აღტაცება უნდა იყოს დაწყნარებული, ზომიერი, ჭკუიანური და გრილი; ეხლა, ბატონებო, აღტაცება უნდა იყოს, ძალად აკიდებული, ნაბრძანები, ერთის სიტყვით ყრუ-მუნჯი დაბადებითვე; იმისთანა, რომელსაც არ უნდა მოჰყვეს საპატრიოტო ლექსების მღერა, ესე იგი, საყოველთაო მყუდროების დარღვევა. აი ჭეშმარიტი და მოსაწონი აღტაცება ეს არის. თორემ საპატრიოტო ლექსების მღერა რომ ზედ მოჰყვეს, მაშინ აღტაცება სულაც რომ არ იყოს, ისა ჰსჯობია. რა შეარყევს ხოლმე მთელის წყობის დედა-ბოძსა? ზოგნი მიზეზს ჰსდებდნენ ბეჭვდის თავისუფლებასა, ზოგნი კი . . . . . . . არა, ბატონებო, ეხლა ჩვენ ყველანი ერთხმათ აღვიარებთ რომ მიზეზი სულ საპატრიოტო ლექსებია .. განა რაცა ვჰსთქვი, ქება არ არის თუ?! მე ქებას და გამოსარჩლებას თავის დღეში არ დავიშლი; საუკუნოდ უარ-მიყვია წინააღმდეგობა, ან რა საჭიროა, ან რა არის ეგ წინააღმდეგობა?

აი ნაწერი და დაწერილი ყველასათვის ცენზორის გარდა, ვქებ, ამასაც ხომ არ დამიშლიან!

დედა-მიწის ზურგზედ კაი კაცებიც არიან, და კაი საქმეებიცა. კაცთა შორის არავის სახელს არ ვუხსენებთ, თორემ ბევრნი გვიწყენენ და გაგვიჯავრდებიან. საქმეთა შორის კი საჭიროა ზოგიერთის მაინც დასახელება, თუ რომ გვინდა, დაგვიჯერონ რამე. აი მაგალითებრ, კარგი რამ არის წინასწარი ცენზურა და ზოგიერთისთვის არამც თუ კარგია, უწარჩინებულესია. ვჰსთქვათ, რომ თქვენ ადმინისტრატორი ხართ და ცუდად ასრულებთ თქვენს თანამდებობასა. შესაძლოა, რომ ეს ორი საგანი ზოგჯერ ერთად სუფევდნენ; განა ცუდია, განა საუცხოვო არ არის, რომ ამაზედ არავის არ შეეძლოს თქვას რამე? ვთქვათ, მმართველი ხართ რისამე და ცუდად

არა ჰქმართავთ, იმიტომ-რომ თავის ტკენა არ გიყვართ და ხელს არა ჰსძრავთ; ესე იგი, იმის მაგიერ, რომ კარგი რამა ჰქმნათ, თქვენ არასფერს აკეთებთ არც კარგსა და არც ცუდსა. ერთი საიდამღე რომ გამოტყვრეს თავზედ ხელ-აღებული მწერალი და ჰსთქვას: „საქმეები გაჩერებულიაო,“ განა არ გიამებათ, რომ მაშინვე გამოუხტეს საფა-რიდამ ცენზორი და დიდის, თვალ-საჩინო ასოებით ნაწერის ბოლოს ჩაურთავს: „ეს ნაწერი არ შეიძლება დაიბეჭდოს.“ ხომ მეთანხმებით, რომ ეს ძალიან კარგი რამ არის? ახლა სხვა მხრით გავსინჯოთ. თუ თქვენ განათლებული კაცი ხართ, მთავრობის ერთ-გული და შე-მოსავალზედ კი ან ცოტა ნაკლებად ზმანდებით, ან სულაც უკაცრავოდ ხართ, როგორც ხშირად მოხდება ხოლმე, — ხომ თქვენც დამეთანხმე-ბით, რომ ძალიან კარგი საქმე იქმნება თუ ერთი ოცი ათასიოდ რეალს მოგცემენ ჯამაგირად, ანუ მაგ გვარს ადგილს რასმეს დაგ-პირდებიან მარტო იმისათვის, რომ შრომა მაიღოთ და ნაწერის ბო-ლოს ჩაურთავთ ხოლმე: „ეს არ შეიძლება დაიბეჭდოს.“ კარგია, ძა-ლიან კარგი საქმეა! ვისაც გამოპასუხება უყვარს და კამათობა, რა თქმა უნდა, სიტყვას მოძიჭრის და მეტყვის რომ წინასწარი ცენზუ-რა ერთნაირად სანუკვარი არ არის, ერთის მხრით, იმისათვის ვინცა ჰსწერს აკრძალულს წერილებსა და მეორეს მხრით, — საზოგადოებისა-თვის, რომელსაც ის წერილები რაიმე სიკეთეს მოუტანდნენ. მაგრამ ჯერ ისა, რომ როცა ვჰსთქვი ქვეყანაზედ კაი საქმეებია მეთქი, ხომ არ მითქვამს ვისთვის არის კარგი; მეორე ისა, რომ განა ქვეყანაზედ არის იმისთანა საქმე, რომელიც ყველასათვის ერთნაირად კარგი იყოს! არიან იმისთანა სახელმწიფონი, რომელნიც ფიქრობენ, სანატ-რელი სისრულე იმაში მდგომარეობსო, რომ სიკეთე უფრო ბევრს გასწვდესო, მაგრამ ხომ იმისთანა ერნიც არიან, რომელთაც ჰსწამთ ბუდიანები, ქაჯები და ეშმაკები. განა ამ წამებიდამ ის გამოდის რომ ბუდიანები, ქაჯები და ეშმაკები მართლა იყვნენ ქვეყანაზედ? ძალიან ღრმად გავებით ამ ჩვენის აზრის გამოკვლევას, დროა გავათავოთ, იმიტომ-რომ ამაებზედ ლაპარაკი ჩვენ არც ისე ძალიან გვეხერხება.

ჰსჯობს ლაპარაკის გაუბმელად დამეთანხმოთ, რომ ქვეყანაზედ მართლა არიან კაი საქმეები.

რა კი ამაზედ დამეთანხმებით, აბა მითხარით: კარგთა საქმეთა შორის ბევრია იმისთანა, რომ პოლიციას ჰსჯობდეს? ჯერ პირველი ამას ვიტყვით, რომ პოლიციის სათავე ადამიანის ბუნებიდამ არის მომდინარე. იმიტომ-რომ პოლიცია შიშის შედეგია და შიში კიდევ იმისთანა ბუნებითი გრძნობაა, რომ ქვეყანაზედ ადამიანი არ არის არ ეგრძნოს; მომეტებული ნაწილი ხომ თითქმის დღე მუდამ შიშს ქვეშ არის.

ყველანი ვგრძნობთ შიშსა: მხთალნი ყოველს შემთხვევაში შიშობენ, ვაჟ-კაცნი კიდევ შიშობენ, მხთლად არვის ვუჩვენოთო, ერთის სიტყვით, ყველაზედ ბევრს ის იმოქმედებს, ვინც ყველაზედ უკეთესად იცის თავის ჯაბნობის დამალვა. მე პირველი არა ვარ, რომ ეს ჰაზრი გამოვსთქვი. ჩემზედ წინ ჩვენმა პოეტმა ერისთავმა იგივე ჰსთქვა ორის ლექსით; თუმცა თქმა უკეთესათაც შეიძლებოდა, მაგრამ ჰაზრით კი ძნელია ამაზედ მართალი ჰსთქვას ვინმემ: „შიშიო — ჩვენის ბუნების თვისება არისო; ეს რა დასამალავიაო; ვინც მოერევა შიშს — იმას გმირს ეტყვიანო.“

მაშასადამე სრულებით ცხადია პოლიცია საიდამ არის წარმომდგარი. ჩვენ არ გვინდა, რომ ძველთა დროთა ისტორიაშია ძებნა დავუწყოთ საბუთებს პოლიციის ყოფნის გასამართლებლად. ეგ მეტი შრომა იქნებოდა, იმიტომ-რომ ეგ შრომა ჩვენზედ უწინ გაუწევიათ კიდეც. ხომ ეხლა ხან ერთმა ორატორმა ჰსთქვა, რომ ქვეყანაზედ ერთი ადგილიც არ არისო, სადაც პოლიცია არ ყოფილიყოსო „სხვა-და-სხვა სახელწოდებით კიო.“ გარდა ამისა ცნობილია და ნამდვილადაც არის ცნობილი — რომ პოლიცია რომშიაცა ყოფილა ციცერონის დროს იმ სახელით თუ ამ სახელით, თუმცა იმისთანა დაწყობილობა კი არა ჰქონია, როგორც ჩვენში. ესე თუ ისე საქმე იმაშია, რომ პოლიცია ყოფილა და რადგანაც რომშიაც ყოფილა, ცხადი საბუთია,

რომ კარგი საქმეა, ამას ისიც რომ დავუმატოთ, რომ პოლიცია დღე-საც სუფევს პორტუგალიაში, სხვა საბუთი ტყუილი გაჭიანურებაღა იქნება სიტყვისა.

ვენეცია ერთი იმისთანა ქვეყანა იყო, სადაც პოლიციამ თავის უმაღლეს წერტილამდე და ბრწყინვალებამდე მიახწია, იმიტომ-რომ სხვა რა სახელი დაერქმის სახელოვანს სამსჯავროს ვენეციის რესპუბ-ლიკისას. სწორედ ამ სახელოვანმა სამსჯავრომ შექმნა ყოველივე სი-ტურფე იმ საზოგადო ცხოვრების თავისუფლებისა, რომელსაც შეხა-როდა მაშინ ვენეცია-ეგ მეფა ადრიატიკისა. თვითონ ინკვიზიაც სხვა რა იყო თუ არ საეკკლესიო პოლიცია და რომ ინკვიზიცია კარგი დაწესებულება იყო, ამაზედ ეჭვს ვინ შემოიტანს. ყოველ ამით მტკიც-დება, რომ ზემოხსენებულს ორატორს მართალი უთქვამს, როცა ჰსთქვა, პოლიცია „ამა თუ იმა სახელწოდებით" ყოველთვის და ყოველგან არსებობდაო.

პოლიციის სასარგებლოთ ესეც ითქმის, რომ იგი არსებობს არამც თუ მარტო რომში და პორტუგალიაში არამედ ავსტრიაშიაც, ყველაზედ უნამეტნავესად მის იტალიის მაზრებშია, სადაც პოლიციას დიდს დანაშაულობათ მიაჩნია საფრანგეთის გაზეთის ქონაც კი. პო-ლიცია რომ ლიბერალური დაწესებულებაა ცხადია იქიდამ, რომ საფ-რანგეთში შემოიღო იგი ბონაპარტემ, ამ დიდად საიმედო მეგობარმა თავისუფლებისამ. ამას ისე ძლიერ უყვარდა თავისუფლება, რომ ყვე-ლას ჩამოართვა, წაართვა და მარტო თითონ დაისაკუთრა. ბოლოს, ისპანიაშიაც პოლიცია შემოიღო სახელოვანმა გამარჯვებულმა ტროკა-დეროში 1823 წელსა და მოგვცა იგი ჩვენ ნაცვლად კონსტიტუციი-სა, რომელიც წაგვართვა. ცხადი საბუთია, რომ იმის თვალში პოლი-ცია ღირსეულობით თუ არ მეტი კონსტიტუციაზედ ნაკლები აღარ არის, — და რომ უფრო სასარგებლოა, ამას თქმა აღარ უნდა. მაგა-ლითები რა საჭიროა. უკანასკნელ ათს წელიწადში ერთის კანონით ტანსჯულს ლიბერალს ვერ იპოვით, რომ რითიმე დავალებული არ

იყოს ამ მართლა მშვენიერის დაწყებულებისაგან. აწ მომდინარე 1835 წელი, სრული მემკვიდრე წარსულის ათის წლისა, როგორ იკადრებდა, რომ ხელი აეღო ამისთანა კანონიერ მემკვიდრეობაზედ. ამიტომაც თვალით ნახული გვაქვს რამოდენა ღვაწლიც გასწია ჩვენმა პოლიციამ ორ-გულობის აღმოჩენის შესახებ ამ უკანასკნელ დროს.

პოლიცია ორ გვარია: საპოლიტიკო და საქალაქო. ერთი მეორეზედ ღირს. წარმოიდგინეთ, რომ სალხინოში სადმე, თუ შინ ყური მოჰკარით ლაპარაკსა, ანუ თუნდ ყურიც არაფრისათვის არ მოგიკრავთ, წარმოადგინეთ, რომ მტერი გყავთ ვინმე. ვის არა ჰყავს მტერი? თქვენ მიდიხართ პოლიციაში, ეუბნებით რომ ეს კაცი ამასა და ამას ლაპარაკობდაო და უმატებთ, რომ „იზაბელიელთ“ მომხრე არისო; რომ „გაუმარჯოს კანონსა“, ამ ძახილში ორგულობა და არეულობა თავს იმალავსო. მაშინვე გაჰბაწრავენ თქვენს მტერ-კაცსა. განა ეს კაი საქმე არ არის? ამასთანა, ყოველ თანამდებობისათვის ცოდნა უნდა რისამე, რასაკვირველია, მხოლოდ მაშინ როცა ნათესავი და შემწე არავინა გყავს,—ესე, მაგალითებრ, თუ ექიმობა გსურთ, სენის გაძნელება და გავრცელება უნდა იცოდეთ, თუ ადვოკატობა—საქმის დახლართვაა საჭირო, თუ მღვდლობა... მაგრამ ყველამ იცის მღვდლობაში რაც არის საჭირო და სხვა ამ გვარი. ხოლო პოლიციაში ადგილის მიღებისათვის კი მარტო ერთი რამ არის სამყოფი—ყრუ არ უნდა იყოს კაცი. განა ძნელია ყრუთ არ ყოფნა? სულაც არა. აი განგებ ყურის მოყრუება—ეგ ძნელი რამ არის. მაგას სწორედ იმოდენა მოხერხება უნდა, რამოდენადაც საჭიროა, რომ ისპანიის მინისტრობა შეიძლო.

რაც შეეხება საჩუქრებს, ბეზღობისათვის გადადებულებს, რომლებზედაც ეჭვი არ უნდა იხარჯება უმეტესი ნაწილი პოლიციისათვის დანიშნულ რვა მილიონიდამ, ამას ვიტყვი, რომ ეგ ხარჯი ფრიად საჭიროა, ჯერ იმიტომ-რომ, აბა ვინ იქნება რომ მუქთად ბეზღობა

იგინროს, მერმე იმიტომ რომ ვისაც თევზი ჩანგლით უნდა დაიჭიროს, არ უნდა ჯიანყელა დაზოგოს. ერთის სიტყვით, ან დაჭერა უნდა, ან არ დაჭერა. თუ საჭიროა დაჭერა, მაზეზღარიც საჭიროა და თუ მაზეზღარი საჭიროა, საჭიროა იმისი ჭმევა და სმევაც. მაშასადამე არამც თუ მარტო თვითონ პოლიციაა კარგი რამ, არამედ ის რვა მილიონიაცა—რომელიც მისთვის სახარჯავად გადადებულია.

ინგლისში, ამერიკაში ეგ საპოლიტიკო პოლიცია არ არის. მაგრამ, პირველი, რომ ყველამ იცის რა არეულობაც სუფევს. ამ ქვეყნების მცხოვრებთა თავსა და აზრიანობაში; იქ ყველას ნება აქვს რაც თავში მოუვა, ის იფიქროს; მეორედ ვნება ზომას გადამეტებულის და ცუდად-ცნობილის თავისუფლებისა იმ ქვეყნებში ყველასათვის ცხადია. ჩვენ რომ იმათ ავყვეთ, ერიჰა, სად წავალთ! იმიტომ რომ ვინ იცის, იქნება მაშინ ჩვენც იმ აღყვავებამდე მიგვეხწია, როგორც ამერიკამ და ინგლისმა მიახწია. მაშინ რა იქნებოდა? განა არ იცით, რომ სიმდიდრე ადამიანსა ჰრყვნის და კმაყოფილება კიდევ, სხვამ რაც უნდა თქვას, გულს უზვიადებს და უამაყებს,

მეორე პოლიცია საქალაქოა. მაგასაცა აქვს თავისი სიტურფენი, ჩვენ მარტო პაშპორტების მიცემაზე მივაქციოთ ყურადღება. რა კი პაშპორტი უბეში გაქვთ, ყველგან გზა გახსნილია, ყველგან წახვალთ, საცა გსურს და საცა ნებას გაძლევენ. რაც დადებულია გამოგართმევენ და პაშპორტს უბეში ჩაგიდებენ. ვიგულისხმოთ, რომ ჩვენში, ვითარცა ინგლისში, პაშპორტები შემოღებული არ არის. ახლა მოდი და წარმოიდგინეთ როგორ შეიძლება, რომ კაცი ადგილიდამ ადგილზედ გადავიდეს უპაშპორტოთ. გზები რომ სრულებით არ ვარგოდეს, ხიდები რომ არსად იყოს, თავის შესაფარი რომ არსად მოიპოვებოდეს გზაზედ—ამას ყველაფერს კაკი გაუძლებს და როგორმე იოლად წავა, მაგრამ უპაშპორტობა კი ყოვლად შეუძლებელია! ამ სახით პაშპორტს რომ იღებთ, თუმცა ორს რუბლს ხარჯავთ, მაგრამ სახეში ისიცკი უნდა იქონიოთ, რომ თუ თქვენს ჯიბეს ორი

რეალი აკლდება, სხვისას ემატება. ამის გამო ამ უკანასკნელთათვის საკუთრივ პაშპორტის დაწესებულება ძალიან კარგი რამ არის, ისეთი კარგი, ვითომც და ორი ნაღდი რეალი იყოს. არის, მართალია, ბევრი რამ სხვაც ამაზედ უკეთესი, მაგრამ არც კი ეს არის ურიგო!

# შინაური მიმოხილვა.

ძნელი მოვალეობა შინაურის მიმომხილველისა ჩვენში — გინდა თუ არა შენის ჭკუით — ჭაპანთ-წყვეტა — დაირა და ყაყარუნები ზოგიერთისა — ჩვენი ცხოვრება — მეორე დაბრკოლება — სუ! ანუ: პირში ბურთი — ნამცეცების კრეფა — სწავლის მწყურვალნი — სამხედრო გიმნაზია — შენ მაცხონე კამისიავ — მუქარა წლევანდელის წლისა — ამისი წამალი «Общество Бережливости» ის აზრით — მოსკოვის ხაზაზები — ცივილიზაციის ახალი პიონერები: შარშან ცხენები და ეხლა მოსკოვის ხაზაზები — ღმერთსა ვსთხოვოთ.

შინაურის მხილველობისთანა ჩვენში ძნელი საქმე ჩვენებურს მწერალს არა აქვს, იმიტომ რომ ჩვენში შინაური საქმე ისეთი საგანია, რომლისთვისაც ჯერ ხელი სხვას არავის უხლია, რომელზედაც არავითარს მსჯელობას, არავითარს მოსაზრებას, არავითარს დასკვნას სხვა ქვეყნების ლიტერატურაში ვერ ინახულებთ პირდაპირ და მოჭრით; რომელზედაც, მაშასადამე, გინდათ თუ არა თქვენი საკუთარი აზრი უნდა იქონიოთ და რომელიც თქვენის საკუთარის ზომით უნდა გაზომოთ, თქვენის საკუთარის ჭკუის შუქით გაანათოთ. ერთის სიტყვით, ჩვენი შინაური საქმეები ჯერ გაუკეთებელი ხორბალია ხოლმე, უნდა ჩვენ თვითონ გავანიავოთ, გავცხრილოთ, დავფქვათ, მოვზილოთ და საკუთარის ჭკუის თონეში ჩვენის ხელით გამოვაცხოთ. ამიტომაც ჩვენებური მწერალი დიდს ჭაპანწყვეტაშია ხოლმე, როცა მწერლობის სადერდელი აეშლება და ბედი ფათერაკად ზედ მიაყენებს შინაურს საქმეს და სულთა-მხუთავსავით თავს დაადგება, გინდა თუ არა შენის საკუთარის ტვინის ძარღვები დაჭიმარიო და ამის პასუხი მომეციო. ჩვენ ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, ვითომ ჩვენი შინაური საქმეები ისეთის განსაკუთრებულის თვისებისა იყოს,

რომ სხვათა ხალხთა ნაცადი, ნაკვლევი, ნააზრევი არას გზით არ მიუდგებოდეს, სხვის აზრით ჩვენი საქმე არ აიხსნებოდეს. ამ შემთხვევაში უფრო ხშირად ჭკუა ითქმის, ვიდრე არა, იმიტომ-რომ ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომელნიც ყველგან ერთნაირად მოქმედობენ. ეს რომ არ იყოს, თვითონ მეცნიერებაც, რომელიც სხვა არა არის რა, გარდა მისი, რომ კრებაა ზოგადის კანონებისა, ფუჭი სიტყვა იქნებოდა. მაგრამ მინამ ჩვენს საკუთარს ჭირს სხვისაგან ნაცადს წამალს შევურჩევდეთ, ჯერ თვითონ ჩვენ უნდა ვიცოდეთ რა თვისების ჭირია, მისი სიგრძე-სიგანე გაზომილი უნდა გვქონდეს, მისი სიმძიმე აწონილი, ერთის სიტყვით, ის ჭირი თავიდამ ფეხამდე ჩვენ მიერ ცნობილი და გაგებული უნდა იყოს, თორემ ქარისაგან შეშინებულსავით დოს დავუწყებთ ბერვასა. მე რომ გულის ფრიალი მქონდეს და შენ კი მეუბნებოდე: მწყურვალის წამალი წყალიაო, რასაკვირველია, მართალი იქნები, მაგრამ სულელობაში კი ჩამოგართმევ, თუ უკაცრავოდ არ ვიქნები. ასე მოსდით ბევრს ჩვენგანს, როცა ძალა-უნებურად მოახედებ ხოლმე მათს მაღალ მსჯელობას შინაურს საქმეებზედ. თუ მზამზარეულად გამომცხვარი აზრი ვერ იპოვეს სხვა ლიტერატურაში — უფრო რასაკვირველია რუსულში — იმ საგანზედ, რომელსაც ხანდისხან და ძალიან იშვიათად ჩვენი დავარნილი ცხოვრება წინ დაგვიყენებს ხოლმე, მაშინ ნახეთ იმ ზოგიერთის მწერლის თვალის წურვა და ჭაპანწყვეტა. რაზედ იჭირებენო საქმეს, მეტყვით თქვენ: თუ არ შეუძლიან, ხელს რად ჰკიდებენო, თქვენ არ იცით, ბატონებო, რა დაუმონავი რამ არის მწერლობის სადერდელი! ყველა სხვა სადერდელზედ უარესია, იმიტომ რომ ყველა სადერდელს დაიმორჩილებთ და ამას კი ვერა. მეც თვითონ ერთი ალაღბედა ჭკუის-გლახა მწერალი ვარ და ვიცი ეგ სადერდელი როცა კაცს აეშლება, რა რიგად ლომებრ გულს უხოკს ადამიანსა. და თუ ამასთან ენის ქავილიც აუტყდა მწერალს, მაშინ ხომ ხსნა არ არის. ვაი მაშინ მწერალსა და უფრო დიდი ვაი მკითხველსა! თქვენი მტერი მაგათ დღე დაადგებათ. აქაო და მე ენის ქავილი მაქვსო, მწერა-

ლი არახუნებს მოშლილ წისქვილსავით და საწყალმა მკითხველმა უნდა ამით ყური გამოიჭედოს. მეც კი სწორედ გითხრათ ამ ჟამად ესე მომდის: რაზედ დავიწყე ლაპარაკი და სად გადავედი.

იმას მოგახსენებდით, რომ აგი დღე დაადგება ხოლმე ჩვენებურს მწერალს, როცა მასაურს საქმეში მოამწყვდევს სადმე ბედი და პასუხს ეკითხება. მაშინ ხან აქედ ახლის თავს, ხან იქით, ხან ერთს წალმა-უკუღმა გაზეპირებულს წიგნს მივარდება, ხან მეორეს და ეძებს ამ წყეულს საგანზედ ხომ არავის უთქვამს რამე, რომ სხვის აზრი ვითხოვო, საკუთარ კაბასავით ზედ გადავიცვო და ქვეყანაში გამოვიდე. რა თქმა უნდა, რომ თუ ამ შემთხვევაში საკუთარი ტვინი არ უჭრის და სხვა ლიტერატურის მოშველებაა საჭირო, ჩვენდას მარტო ზოგადად გამოთქმულ აზრებისაგან უნდა მოელოდდეს, იმიტომ რომ ყოველივე, რასაც ჩვენი ცხოვრება თვის დენაში აღმოგვიჩენს ხოლმე, კერძოდ მოვლინებული საგანია და მის თაობაზედ ზედ-მიწევნით და მოჭრით კერძოდვე გამოთქმული აზრი ჯერსად არ იქნება. არც იმოდენა განსჯა აქვთ, რომ კერძოდ, განმარტოებით მოვლინებული საგანი ზოგადს აზრს ქვეშ დაუყენონ და შესაფერი სხივი მოჰფინონ. მაშინ მეტი რა გზაა — ამისთანა მწერალი გულ დაწყვეტილი უნდა მიადგეს მთხოვარსავით საკუთარის ტვინის სადგურს, — რომელსაც ზოგი უსამართლოდ თავს ეძახის და ზოგი სამართლიად გოგრას, — და ურაკუნებს დაბადებითვე დახშულს კარს. იქნება აქედამ მაინც მეშველოს რამე და საგანს პასუხი აქ ვუპოვოთ. „არარაისაგან არ იქნების არარაიცა“, — დიდი ხანია უთქვამს შექსპირსა. ტვინი თუ ნაჩვევი არ არის თვით მსჯელობასა, თუ თავით თვისით ნავარჯიშები არ არის, თუ მის პატრონს დაბადებითვე ნათხოვრებით გამოუზდია, უკერ მოგართვის“ მეტს ვერას ეტყვის გაფითრებულს პატრონსა. ეგრე უნუგეშოდ გამოსტუმრებული ტვინის პატრონი თუმცა სასოწარკვეთილებას მიეცემა ხოლმე, მაგრამ დიდის ხნობით კი არა. ტვინის სადგურში ერთი მივარდნილი კუნჭულია, სადაც ერთი ბრმა-ნიჭი ადამიანისა ბინადრობს: ის ნიჭი ტვირთთა-მზიდველ სახედარსავით

ყოველთვის მორჩილია, ქვევრის თვისება აქვს: რაც ერთხელ ჩაგი-
მახნია, იმას ყოველთვის ამოიძახებს და სახელად ჰქვიან მეხსიერება.
აი ეს ბატონი მეხსიერება მიეშველება ხოლმე ტვინისაგან განუკი-
თხველს მწერალსა და გზას უჩვენებს, ვაი-ვაგლახიდამ დასახსნელს.
მაშინ დაიძვრის ხოლმე მეხსიერების სიღრმიდამ ყოველივე ნაგავი,
რაც გაზეპირების ქარს და წაღმა-უკუღმად წიგნის კითხვისას ოდესმე
მოუბუქავს, ენაზედ მოაყენებს ყოველს, გონებაში ჩარჩენილს უთავ-
ბოლო ფრაზებს და მწერალიც მოაყოლებს რახუნსა. დაირად ხმარობს
საკუთარს გოგრას, ულარუნებათ კიდევ ამისთანა სიტყვებს: „ეკონო-
მიური თანასწორობაო, კულტი, მისტიკა“ და სხვას ამის მგზავს
შიგნითტიკურს ფრაზებსა, მითამ და მეც ნახირ-ნახირი. არახუნებს
და იმას კი არა ფიქრობს, რომ იმას გულის ფრიალის წამალს ჰსთხო-
ვენ და ის კი ტვინ-დასთხუულსავით იძახის: მწყურვალის წამალი წყალიაო,
ბატონო, ეგ ხომ ჩვენც ვიცით, გულის ფრიალის წამალი გვინდა,
გულის ფრიალის! შენც არ მამიკვდე, იმან თავისი არ დაიშალოს. ან
რა ქნას, რომ მეხსიერება ყურში მარტო ამ დიაკვნურად გაზეპირე-
ბულს სიტყვებს ჩაჰსძახის. საკვირველი ეს კი არ არის, ისაა საკვირ-
ველი, რომ ეს უჯათო და დანიჟებული ექიმბაში თავის ჭკუის ხალხ-
საც პოულობს დედა-მიწის ზურგზედ და გულის ფრიალიც მოსარ-
ჩენათ წყალით იყენთებიან. ექიმს,—მწერალიც ამ შემთხვევაში იგივე
ექიმია—ამაზედ მეტი არ უნდა რა: ქება და დიდება მოპოებულია, სახელი
გათქმულია. სხვა რა უნდა მწერალს?

სხვა ბევრი რამ უნდა, მაგრამ გამკითხველი ვინ არის? თუნდ ის
ბევრი რამაც ჰქონდეს მწერალს, სად და რაში გამოიყენოს, სად და
რაში მოიხმაროს? ამ მხრით ჩვენებური მწერალი გასამტყუნარი არ
არის. თვითონ ცხოვრება სად არის ჩვენში, რომ ცხოვრებამ გკით-
ხოს და შენ პასუხი აძლიო? ჩვენი ცხოვრება ზურგ გადაღლეტილ და
დავარდნილ სახედარსავით გდია უძრავად სადღაც კუთხეში და სიცოც-
ხლეს მარტო იმით იჩენს, რომ იცოხნება როგორც პირუტყვი. თუ
დროთა ბრუნვა წიხლს დაჰზელს ხოლმე, მაშინ მოძრაობასაც იჩენს,
მაგრამ მხოლოდ მით, რომ ერთი ყრუდ-დაიბღავლებს, ერთის გვერ-

დიდამ მეორეზედ ცხანვით გადაბრუნდება და ისევ უწინდებურად თვლე-მით და არხეინად ცოხნას მოჰყვება, მითამ და არაფერი არც ეტკინა, არც ეზიანა. დასაწყისში რომ ვახსენე ჩვენი შინაური საქმეები, იმ სახით ვახსენე, რომ კაცს ეგონება, ჩვენი ცხოვრება დუღს და გად-მოდის, მაგრამ იქ ჩვენ ვიგულისხმეთ ის დიდად იშვიათი შემთხვე-ვა, ის ათასში ერთი მაგალითი, როცა ჩვენი ცხოვრება რაიმე ღირს-შესანიშნავს საგანს მოიგდებს ხოლმე თვის ზედა პირზედ. უამისო-დაც არ იქნება, ზოგჯერ სასწაულიც მოხდება ხოლმე. ამისთანა ქვეყა-ნაში, სადაც ცხოვრება ხავს-მოკიდებულს გუბესა ჰგავს, ესე იგი, ჭია-ჭუების და ქვემძრომების საბუდარს, იქ მწერალმა რა უნდა ქმნას? ჭია-ჭუებს რომ ყურში ხელი წაავლოს და აწივლოს, — ეგ ერთხელ, ორჯერ კიდევ შესაწყნარებელია, მაგრამ მუდამ კი ღმერთმა შეინახოს, მოსაბეზრებელია, მოსაწყენია, — კაცს ყოველს სურვილს კითხვისას მო-უკლავს. ამ სახით გარდა ამისა, რომ ჩვენებურს მწერალს თვით-მსჯელობა არ განუვითარებია, მეორე დაბრკოლება აი რაშია: საგანი არ არის გარ-შემო, რომ მწერალმა მასზედ შეაჩეროს თვისი გონების თვალი და მკითხველის ყურადღება. თუნდ რომ ათასში ერთი მოიპოვებოდეს კი-დეც, თქმაც ძნელია, იმიტომ-რომ წყლით გიმსებენ პირს, ნაღველს ან სულ არ ამოგათქმევინებენ და თუ ამოგათქმევინებენ, ისე უნდად, არეულად, გაკვრით-გადაკვრით, რომ არამც თუ კაცი, თვითონ ეშმა-კიც კი ვისერს მოიტყებს. ამის გამო ბევრად შესაწყნარებელია და შესანდობარი სიღარიბე ჩვენებურის მწერლობისა და ნამეტნავად ჩვე-ნებურის პუბლიცისტიკისა. რა ვქნათ, სათვანელი არ არის ჩვენს ცხოვ-რებაში და ამის გამო არც აზრის შედეგებაა და თუნდა იყოს კიდე-ეც... ამით შეგვიბრალეთ და განგვიკითხეთ, როცა ჩვენს შინაურს საქმეებზედ სჯას კითხულობთ ხოლმე ჩვენებურს ჟურნალ-გაზეთობა-ბაში. თუნდ რომ ღონე იყოს, დიდს ჩვენ არ გვაღირსებენ და მეტი რა ჩარაა, რომ ნამცეცების კრეფას არ შევუდგეთ ისიც დიდის სიფ-თხილით და ენის კვნეტით, რომ მეტი არა წაგვცდეს რა. მაშ მოგ-ყვეთ ისევ ნამცეცების კრეფას.

მარიამობისთვის უკანასკნელს რიცხვებში განკითხვის დღე დაუდგათ ჩვენებურს მოზარდ-ყმაწვილებსა. ამბობენ, ათას-ხუთასი მეტი ყმაწვილი იყო აქაურს სასწავლებლების კარზედ მიყენებულიო და მარტო ორასიოდს გაუღო კარიო. სხვანი კი რიცხვით ათას-სამასი გულხელ-დაკრეფილმა მშობლებმა წყევა-კრულვით წაიყვანეს შინაო, ვაკანსიების უქონლობის გამოო. თუ ეს მართალია, ეს ამბავი ჭირთათაც სამყოფია და ლხინადაც. ნუ თუ ყოველ-წლივ ამოდენა უშვილებელი რიცხვი მოზარდის-ყმაწვილებისა ეგრე უნუგეშოდ უნდა იყოს დარჩომილი! რასაკვირველია, უნდა დარჩეს, რადგანაც აქაურს სასწავლებლებში ტევა აღარ არის. ჩვენ არ ვიცით მთავრობა ამ საგანზედ რასა ფიქრობს, მაგრამ დიდად საფთხილო და საფიქრებელი კია. ხუმრობა არის, ამოდენა ხალხს განათლების კარი დახშული ჰქონდეს! უფრო მომეტებული რიცხვი თურმე სამხედრო გიმნაზიას მიაწყდა. ამბობენ, წლევანდელმა ეგზამენიებმა აღმოაჩინაო, რომ წელს ყმაწვილების მომზადება უფრო მაღალის ხარისხისა იყო საზოგადოდ ვიდრე წინა-წლებშიო, მაგრამ ძალიან ბევრი კი ისევ შინ დაბრუნებულა ხელ-ცარიელი იმად მიზეზით, რომ ვაკანსია არ იყო. კავკასიის მხედრობისა მიმართ განცხადებაში № 48 მოხსენებულია, რომ სახელმწიფო ხარჯით წელს უნდა მიეღებულიყვნენ ოცნი, დედ-მამის ხარჯით ხუთნი და ისე შინიდამ მოსიარულედ ცხრა — სულ ოც-და-თოთხმეტი ყმაწვილი. იმ მიღების სიაში, რომელიც თვითონ გიმნაზიაში გამოკიდებული იყო, ეწერა, რომ სახელმწიფო ხარჯზედ მიღებულია წელს ერთი მეექვსე კლასში და თექვსმეტი პირველს კლასში. ამათ რიცხვში აქაურები თორმეტნი არიან და რუსები ხუთნი. თორმეტიდამ მარტო ოთხნი არიან ქართველნი. დედ-მამის ხარჯზედ მარტო ორნი არიან მიღებულნი, ერთი რუსი და ერთი სომეხი, შინიდამ მოსიარულედ ცხრა ყმაწვილია — სულ რუსები. ამ სახით გამოდის, რომ სამხედრო გიმნაზიის პანსიონში ექვსი ვაკანსიაა დარჩომილი, სამი სახელმწიფო ხარჯზედ და სამი დედ მამის ხარჯზედ და დანარჩენ 28 ვაკანსიიდამ ცამეტი ჩვენებურებს დაუჭერიათ და ხუთმეტი

რუსებს. რასაკვირველია, ეგ ექვსი ვაკანსია წვეთია ამოდენა მწყურვალთათვის, მაგრამ მაინც სანატრელია კაცმა იცოდეს, ვისთვის არის შენახული ის ექვსი პანსიონის ვაკანსია, მაშინ როდესაც მრავალმა ყმაწვილმა შესაფერად დაიჭირა ეგზემენია და ამათი დედ-მამა მონატრული იყვნენ, რომ სახელმწიფოდ თუ საკუთარს ხარჯზედ შვილები მიეღებინებინათ. არ ვიცით, მართალია თუ არა, და ყველანი კი ერთხმათ უჩივიან სამხედრო გიმნაზიის გამგეობას, რომ უსამართლოდ და თნებით იქცევიანო. საკვირველი საქმეა, ამ გიმნაზიის ამბავი. როგორც ვიცით, ეგ სამხედრო გიმნაზია ჩვენის თავად-აზნაურობის თხოვნის გამო დაარსებული. ხელმწიფე იმპერატორმა, როცა უკანასკნელად ჩვენში ბძანდებოდა, თავად-აზნაურობის თხოვნისა გამოინება, რომ ტფილისში ეგ გიმნაზია იყოს. დაარსეს გიმნაზია და თავად-აზნაურთაგანი მარტო ოთხი ყმაწვილის წელს მიღებული. რასაკვირველია, ეს მაგალითი არაფერი მოსატანი იქნებოდა, რომ ჩვენი ყმაწვილები საკმაოდ მომზადებულნი არა ყოფილიყვნენ... საქმე ის არის, რომ ეგზემენიაში იმოდენა ცოდნა აღმოუჩენიათ, რამოდენასაც კანონი თურმე თხოულობს და რა მიზეზია, რომ ვისთვისაც თითქმის დაარსეს გიმნაზია, ისინი ცარიელზედ რჩებიან. აქ შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ აქაო და ტფილისში თქვენი სამხედრო გიმნაზია გაქვთო, რუსეთის გიმნაზიებში თურმე ჩვენებს აღარ იღებენ. ჩვენ თვითონ მაგოდენადაც არ მიგვიწევს გული ერთობ სამხედრო გიმნაზიებზედ და თუ ამ ჟამად სამდურავსავით რასმეს ვამბობთ მარტო იმისთვის, რომ განიშნოთ, აღამიანის ბედს ხანდისხან რა ხიფათი ზდევს ხოლმე. ბევრის მდომელსა, ცოტაც დაეკარგებაო, სწორედ ამისთანა ამბავზეა ნათქვამი.

ხომ ხედავ, ჩვენო ქართველობავ, რომ სხვა გზა არ არის შვილი გაზარდო, თუ არ ისევ შენის ღვაწლით და შენის ხარჯით. თვითვეულისათვის ცალკე ეგ ღვაწლი და ხარჯი სამძიმოა. რაც თვითვეულისათვის სამძიმოა, ის ერთობას არ გაუჭირდება. შეიყარენით ერთად და ამ სატკივარს ერთი წამალი დასდეთ. უებარი წამალი კიდევ,

უწინაც გვითქვამს, საკუთარი ქართული გიმნაზიაა. თუ თქვენის შვილებისათვის მართლა სიკეთე გინდათ, თუ გინდათ, რომ თქვენმა ქვეყანამ თქვენი სახელი ლოცვით და კურთხევით მოიხსენიოს ამ აზრის აღსასრულებლად ნურას დაზოგავთ, ნურას დაიშურებთ. ნუ შეუშინდებით იმ ფიქრს, რომ გიმნაზიას დიდი გაძღოლა უნდა, ესე იგი დიდი ფული და ხარჯი. თვითეულმა რომ ცოტ-ცოტა გამოვიღოთ, ყველასაგან ერთად საკმარისი ფული შედგება, ნათქვამია, ზღვაც წვეთით არის შემდგარიო.

ყმაწვილების აღზრდისა და პატრონობის თაობაზედ, ამას წინად დაპირეს საზოგადოების შედგენა. დამპირებელთა მოიწვიეს მრავალნი პირნი სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, წარმოჰსთქვეს წინადვე გაზეპირებული სიტყვები, ორიოდე ორატორმა გამოიჩინა თავი და საქმე იმით გათავდა, რითაც — შჩედრინისა არ იყოს, — ყოველივე საქმე თავდება ხოლმე რუსეთში, ესე იგი, ამოირჩიეს კომმისია და მიანდეს არამც თუ მარტო წესდების შედგენა, არამედ ჩვენის სურვილის საგანიც განსაზღვრეთო. ჩვეულებისამებრ — ჩვეულება ხომ რჯულზე უმტკიცესია, როგორც მოგეხსენებათ, — კომმისიის კალთაში ჩაიძინებს ეს საქმე „ღრმა ძილითა“, ასე რომ ზარბაზნითაც რომ მიადგეთ ბოლოს, იქნება ვერც კი გამოაღვიძოთ. თქვენმა მზემ, ეგ ეგრედ წოდებული „კომმისიები“ სწორედ ხსნა არის ყოველ-გვარის მცონარობისა. ვისაც ეგენი მოუგონია დიდი შორ მხედველობა ჰქონია და კაცის ბუნების თვისება ზედ-მიწევნითი სცოდნია. ბატონო, მეტი რა გინდათ? ვჰსთქვათ, მოგივიდათ ჟინი, რომ ერთი კარგი საქმე რამ დავიწყოთ. ჟინს კიდევ ჟინი იმიტომა ჰქვიან, რომ დაჟინებით იცის კაცის შეწუხება და მინამ ასე თუ ისე არ მოიკლავს, არ მოგასვენებს. ვჰსთქვათ მოგივიდათ ჟინი მეთქი. ყველაზედ უწინარეს ერთი კარგი, ნათხოვარის ცეცხლით გახურებული სიტყვა უნდა გაიზეპიროთ, მერე მოიწვიოთ ერთს ადგილს მოცლილი ხალხი — ღმერთმანი ცოტანი არიან — იმ გახურებულის სიტყვით ყური გამოუჭედოთ და როცა სიტყვა საქმეზედ მივა, — ხომ ოდესმე უნდა მივიდეს — მაშინ... ოხ მაშინ თუმცა

მელიასავით ხაფანგში მომწყვდეულად ნახავთ საკუთარს თავსა, რადგანაც თქვენ მარტო გახურებულის სიტყვის თქმა გინდოდათ და აქ კი საქმის გაკეთებაც ჰსდომებია, მაგრამ მაინც არა შიშობთ. ხაფანგი ხაფანგია, მაგრამ ოსტატობასაც ბევრი რამ შეუძლიან. ამ შემთხვევაში კი არც მეტად დიდი ოსტატობაა საჭირო. ღმერთმა აცხონოს კამმისიების მომგონი. ერთი კამმისია კი ახსენეთ და თქვენის გახურებულის სიტყვით მოხეზრებული და გულ-აჩუყებული კრება სიხარულით დაიჭერს ენაზე მაგ კამმისიას და აღტაცებით წამოიძახებს, ოღონდ ეხლა შინ დაგვითხოვეთო, სიტყვა ეგ იყოს და საქმე კი კამმისიას მივანდოთო. ყველას გაუხარდება, რასაკვირველია ეს ამისთანა უმანკოებით სავსე დასკვნა, ტაშს დაუკვრენ ორატორებსა, მერე ისეთის სისწრაფით გამოცვივიან გარედ, თითქო სახლს ცეცხლი წაეკიდაო და მადლობას ჰსწირავენ ღმერთს, რომ ამით გადავრჩითო. ჰოი, ყოვლად მხსნელო კამმისიავ, რა კარგი რამა ხარ! რამდენს მოუყუდებია შენზედ თავისი ჯოხი, რომ სხვა ღონე არა ჰქონია, რამდენს „გაუპრადლავებია“ გლეხისა არიყოს — შენის უწყინარის სახელით კეთილი საქმე! ზემოხსენებულს კრებასაც სწორედ ამისთანა ბოლო ჰქონდა და სიტყვა საქმედ როდის გარდიქცევა ეგ ღმერთმა იცის და კამმისიამ, რომელიც ძალიან იშვიათად მოახდენს ხოლმე ამისთანა სასწაულსა.

ძალიან სამწუხაროა, რომ ამისთანა საქმეს როგორც უპატრონო ყმაწვილების აღზრდა და მოვლაა, ამისთანა დასაწყისი ჰქონდა. ამ საქმისათვის რომ მართლა გულით ეზრუნვათ და ბეჯითად ჩაეკიდნათ ხელი, ყოველივე, რაც საქმის ფეხზედ დაყენებისათვის საჭირო იყო, წინადვე უნდა მოემზადებინათ. მაგალითებრ, საგანი ყოველ-მხრივ უნდა განესაზღვრათ, მისი გულ-ღვიძლი, მისი თირკმელები — უკაცრავოდ ამ სიტყვებისათვის — უნდა გაესინჯათ ყოვლის მეცადინეობით და გულ-მოდგინებით, შეედგინათ წესდება, დაერიგებინათ, რომ ვისაც გული შეჰსტკივა ამ საგანზედ, წინადვე გაგებული და მოსაზრებული ჰქონოდა ყოველივე ის, რაც ამ საქმეს შეეხება და მაშინ მიეწვიათ

ხალხი საჯაროდ ბაასისათვის. მაშინ ყველა და ყველა თუ არა, ბევრი მაინც წინადვე აღნიშნავდა თავის როლს კრების წინაშე ამ მართლა და კეთილის საქმის თაობაზედ. თორემ ისე თამაშად მიწვევა ხალხისა, როგორც ამ შემთხვევაში იყო, ვერაფრად მიმზიდველია მათთვის, ვინც მოცლილი არ არი. აი ჩვენის ფიქრით მიზეზი, რისგამოც აქაური ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი არ დაესწრნენ იმ კრებას. მიზეზი, სწორედ მოგახსენოთ, საბუთიანია და ეს მიზეზი გამოეპარა ჩვენს პატარა გაზეთს «დროებას.» რომ არ გამოჰპარვოდა, აღარც დაიმდურებოდა და უკიჟინებდა აქაურ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთ, რატომ არ დაესწარითო. სადაც თამაშაა ხოლმე — და სად არ არის ეხლა? — რომ კაცი ყველგან დაესწროს, სად წავა? და ან რა საჭიროა?

აი რა რიგად ჭკვიანურად და საქმიანად მოიქცა ერთი ჩვენებური საზოგადოება, რომელიც კარგა ხანია ჩვენში მოქმედობს. ვინ არ იცის, რომ წლევანდელი წელიწადი დიდს მუქარას გვითვლის და ამ მუქარამ ლამის დღესაც ურიცხვი ხალხი სასოწარკვეთილებას მიჰსცეს. წლევანდელს წელიწადისთანა უმუსავლო წელიწადი ხშირი არ არის ხოლმე ჩვენში. რაც მუდმივმა მიზეზებმა დააკლეს წლევანდელ წელიწადსა, ის შეამთავრა შარშანდელმა საქონლის ჭირმა, რომლისა გამო უხნავ-უთესოდ დარჩა მრავალი ხალხი, წლევანდელმა კალიამ, თაგვმა და ნაცარმა. თითქმის მთელს ჩვენს გუბერნიაში და გუბერნიის რა სათქმელია, თითქმის მთელს ამიერ-კავკასიაში ამ მუდმივმა და ფათერაკად მოსულმა მიზეზებმა სულ ძირს დაჰსცეს წლევანდელი ჭირნახული მიწისა თუ ვენახისა. ბალახიც კი აღარ არის, რომ საქონელი გამოიკვებოს. ჯერ რა დროა გასული და მაინც კოდმა პურმა ხუთ მანეთამდე აიწია, ფუთმა თივამ ტფილისში ათ შაურამდე და სამ აბაზამდე, ბზეც კი ადგილობრივ ურემი ერთს თუმანზედ და თორმეტ მანეთზედ სოფლადაც ძლივს იშოვება, წინა წლებში ორი სამი მანეთი რომ უღირდიყო, ეგეც დიდი საქმე იყო. ერთის სიტყვით, ამისთანა მუქარით ბევრი წელიწადი არ დასდგომია ჩვენს უიმისოდაც უბედურს ქვეყანასა. ეს დასაწყისია და ახლა ნახეთ, შუა და ბოლო რა იქ-

ნება, ნამეტნავად საწყალ ხალხისათვის. ეს უბედურება საწყალის ხალხისა წინად უგრძნია ერთს გულ-შემატკივარს აქაურს რუსულს საზოგადოებას, რომელსაც ჰქვიან: Общество Бережливости. და კაცმა მართალი უნდა ჰსთქვას, კარგად და ოსტატურად ჩაუგდნია ხელი, რომ სატკივარს რაიმე წამალი დაჰსდოს. ერთს იმათგანს პროექტიც ხელ-და-ხელ გამოუცხვია და სადაც ჯერ არს წარუდგენია. რასაკვირველია, ეს ბატონი პროექტორი ჯერ უქებს ამ საზოგადოებას პატიოსანს მოღვაწეობას, ვაჭრობაში გამოცდილებას და გვარწმუნებს, რომ ამ საზოგადოებამ დიდი სარგებლობა მოიტანაო თავისის მოქმედებითაო ამ ცხრა წელიწადშიო. მოდი და ნუ დაიჯერებთ. მაგრამ ისევ ისევ იმათი თავისიანი ვალაპარაკოთ ამ სასაცილო პროექტზედ, თორემ ჩვენ მუხანათობას შეგვწამებენ და ეხლანდელ დროში ეგ დიდად საფრთხილოა. აი რას ამბობს ამ პროექტზედ ჩვენი ყოველთვის წარბ-შეკრული რუსული გაზეთი „კავკაზი.“ თუ ამ პროექტს ამისთანა გაზეთისათვისაც დაცინების საღერღელი აუშლია, წარმოიდგინეთ რა წითელი კოჭი უნდა იყოს. „პროექტიო, ამბობს გაზეთი, ბევრს არას გამოსდგომიაო. იგი თხოულობს მთავრობისაგან მაგალითად მარტო ათი ათასს თუმანს სესხად ერთის წლის ვადით უსარგებლოდ. წევრნი საზოგადოებისანი ამ ფულით საკუთარს, განგებ ამისათვის ფურნეს დასდგმენ, დაიწყობენ პურის ცხობას და გამოსცხვარს პურს მიჰყიდიან იმ ფასად, რაც თვითონ დაუჯდებათ, არამც თუ მარტო საზოგადოების წევრთა, არამედ სხვასაც ვისაც კი მოინდომებს, რომ მათგან პური იყიდოს. პური რომ უფრო გემრიელი იყოს, დაიბარებენ მოსკოვიდამ ფილიპოვისაგან *) ერთს ანუ ორს კარგად გამოცდილს ხაბაზს. რადგანაც ეს პროექტი საჯარო განხილვისათვის გამოცხადებულია, ჩვენც ვბედავთ ორიოდე სიტყვა მოვახსენოთ ამ საზოგადოებას მის პროექტის თაობაზედ. ყველამ კარგად იცის, რომ „Общество Бережливости“ — ეგ პატიოსანი და გამოცდილი საზოგადოება რომელსაც ამ ცხრა წლის განმავლობაში ასეთი დიდი სარგებლობა მოჰქონდა (ნეტა ვისთვის?)

---

*) გამოჩენილი პურის-მცხობელია მოსკოვში.

თავის საქონელსა ჰყიდდა ყოველთვის ამ ფასად, როგორც სხვა ტფი-
ლისის დუქნებში იყიდებოდა და ხანდისხან უფრო მეტადაც. თუ ეს სა-
ზოგადოება თავის გამოცდილ პატრონების გზას დაადგება, რასაკ-
ვირველია, სახელმწიფო ფულით ნაყიდ პურის გაყიდვაშიაც იმ
ფასს დასდებს, რა ფასიც სხვა დუქნებში იქნება და იტყვის ეს და-
მიჯდაო. ამით მათამ რა უნდა ეშველოს ღარიბ ხალხსა? მოდით და
უთხარით ამ გვარად მოარულს პატრონებსა, რომ მაგ ფასად არ
დაგვჯდომიათქო. ან ვინ უნდა მოჰსთხოვოს ანგარიში გამოცდილ
ვაჭრობის საქმეში მოჭირნახულეებს? ისე გარეშე მუშტარს ხომ არ
მიუშვებენ და მთავრობის მხრით ამისათვის გამგისის დაწესებას ხარჯი
უნდა და ეს ხარჯი გასაყიდს პურს უნდა დააწვეს და ამით უფრო
ფასი მოემატოს. მერმე, ღარიბს ხალხს განა ოდესმე სურვილი გა-
მოუცხადებიათ, რომ არა, გინდათ თუ არა, უსათუოდ ფილიპოვის,
ანუ მისის ვექილის გამომცხვარი პური უნდა მაჭამოთო. ამას გარდა
ვინ არ იცის რომ ტფილისში პურის მცხობი ბევრია; სხვა რამე
ჰსთქვით, თორემ პურის მცხობლების ნაკლებობაზედ ტფილისი ვერ
იჩივლებს. მაშასადამე ხარჯი ფილიპოვის პურის მცხობლების მოწვევი-
სათვის სრულებით უსაბუთო და მეტი იქნება." კიდევ სხვას რასმეს
უწუნებს გაზეთი იმ პროექტს, მაგრამ ჩვენთვის ეგეც სამყოფია.

ვაი ჩვენი ბრალი! პურის ცხობის უცოდინარობაც კი შეგვასმეს
და ხაბაზიც ამას იქით მოსკოვიდამ უნდა დავიბაროთ ხოლმე. ქვეყნის
გაბიაბრუება და დაბრიყვება იქნება და ასეთი!... მოდი და ამისთანა ხალხს,
დაუჯერე რომ ვაჭრობაში ან სხვა რამეში გამოცდილნი არიან. ცხრა წელი-
წადი საზოგადოება მოქმედობდეს ტფილისში და არ იცოდეს, რომ აქ
პურის-მცხობლები არიან და ხშირად ძალიან კარგნიცა, ამაზედ სა-
საცილო ამბავი სხვა რამ გინდათ კიდევ. მოდი და ამისთანა ქვეყნის
ზედ მიწყენით მცოდნეთაგან — თუ არ დაგიშლიათ — სიკეთე და სარ-
გებლობა მოითხოვეთ. მოდი და ამათ ეშხზედ ელაპარაკეთ? მოსკო-
ვიდამ ხაბაზები დავიბაროთო? ჭკუას როცა ურიგებდნენ, ნეტა ამათ
სად მოჰკვიანებიათ, რომ ვერ მოუსწრიათ. თუ მკითხავთ, ჭკვაზე-

დაც თხლად არა ბძანებულან. ათი ათასი თუმანი კაი ლუკმაა. პირში გემო კი ჰქონიათ თუ თქვენც იტყვით, მკითხველო! ის ხაზაზების დაბარება იქნება ამ ათი-ათასის თუმნის ეშხით წასცდათ როგორმე. ან იქნება წამომცდარი სიტყვაც არ იყოს. იქნება ცივილიზაციის გასავრცელებლად ამ მხეცს ქვეყანაში მოსკოვის ხაზაზებიც საჭირო იყოს. ახლა იქნება ისა ჰსთქვათ, რომ მოსკოვშიაც დიდი წყურვილია ცივილიზაციისა და თუ ხაზაზები ამაში გამოსადეგნი არიანო, იქაც მოუნდებათო. თქვენგან არ მიკვირს, მაგას როგორ ბძანებთ! აბა რომელი წინასწარმეტყველი გამომდგარა თავის ქვეყანაში. რო გეთქვათ ხაზაზები ცივილიზაციისათვის რა პიონერები არიანო, კიდევ ჰო. მაგრამ აქაც დიდი საბუთი არ მიგიძღვით წინ.

ხომ გახსოვთ, რომ შარშან ჩვენს ხალხს ცხენები დაურიგეს საჩუქრად. ჩუქება, რაც უნდა იყოს, ყოველთვის კარგი რამ არის ხოლმე, ნამეტნავად დაჩუქრებულისათვის. ჩვენ ამ მხრით იმ ცხენების ჩუქების თაობაზედ არა გვეთქმის რა, თუმცა აშკარაა რომ ის ცხენები ფულად ექციათ და გუბერნიისათვის ერთი საერთო კასსა გაეჩინათ გაჭირვებულთათვის ხელის გასამართავად ან სხვა რამე საერთო საქმისათვის მოეხმარათ, მაგალითებრ, სოფლის ბანკებისათვის, სოფლის შკოლებისათვის, თუნდ გზების და ხიდების გასაკეთებლად, ერთი ათასად უკეთესი იქნებოდა. როგორც გვახსოვს, თითო ცხენი რომ სამ-სამ თუმნად მაინც ჩაგვეგდოთ. კარგა დიდი ფული შედგებოდა. მაგრამ ცხენების ფულად ქცევა უარ-ჰყვეს და ისევ ცხენების ცხენებათ დარიგება ირჩიეს. იცით რა საბუთიანი მიზეზი ჰქონდათ, რომ ასე ქნეს და იქიდამ საიდამაც კაი ზომიერი სარგებლობა შესაძლო იყო, არა გამოვიდა რა? მიზეზი ის იყო, რომ მაგ ცხენებს ერთი მძიმე ტვირთი ზურგთ აჰკიდეს: ცხენებით უნდა ჩვენში ცივილიზაცია ფეხზედ წარმომდგარიყო; ყველას იმედი ჰქონდა, რომ თუ გლეხ-კაცობა იმ ცხენების მიზეზით ეკიპაჟებს არ გაიმართავდა, ფურგუნებს, პოვოზკებს და სხვა ამისთანა ცივილიზაციისაგან მოგონილს სატარებელთ წინ რაღა დაუდგებაო დიახ, დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ცხენების მეო-

ხებით ის ტლანქი, ბრიყვული ჩვენებური ჭრიჭინა ურემი უკან დადგე-ბა და გზას დაუთმობს ფურგონს და პოვოზკასა. თქმა არ უნდა, რომ ბევრგან იმ ცხენებმა — კარგია პირუტყვები არიან, თორემ შენი მტერი — გლეხამდე არ მიაღწიეს და არც ფურგონები და პოვოზკები დაიმართა. ამ გვარად, ამ ოთხ-ფეხმა ცივილიზაციის მოწინავე ჯარმა ჩვენში ვერ გასჭრა და ცხენმაც, ადამიანზედ უფრო მხნემ, უფრო ღონიერმა, ცხენმაც კი ვერა გასწყო რა ჩვენში. თუნდ ეგეც არ იყოს თუ ოთხი ორზედ უმჯობესია — რასაკვირველია რიზგისა და სხვა ამ გვარის გარდა — მაშ ცხენები ადამიანზედ ამით მაინც წინ არიან. ერთის სიტყვით, ამისთანა ძლიერმა ცხოველმაც, როგორც ცხენია, ცივილიზა-ციას ჩვენში ფეხი ვერ აადგმევინა. ეს რასაკვირველია, ჩვენის ხალხის მეტად ტანში გამჯდარს სიბრიყვეს უნდა მიაწეროს კაცმა და სხვა არაფერს და მგონი, ცხენების დამრიგებლებმა სწორედ ამ უჯათს სიბრიყვეს დააბრალეს ყოველიფერი და არა იმას, რომ ცხენები ვერა-ფერი პიონერები არიან ცივილიზაციისა. თუ ცხენს ამისთანა იმედს ჰკიდებენ ჩვენში ზურგზედ, მაშ რაღად უნდა გვიკვირდეს, მაშ რაღად უნდა გვეოცოს, რომ ვიღაც ბატონმა ლებედიევმა — ზემოხსენებულ პროექტის შემადგენელმა — ხაბაზების დაბარება მოსკოვიდამ დააპირა: ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია. ჯერ ხომ ცხენები სინჯეს და ნა-ხეს, რომ ჩვენი სიბრიყვე ვერ მოტეხეს, ეხლა კიდევ მოსკოვის ხა-ბაზებს გამოსცდიან, იქნება ამით მაინც ეშველოს ჩვენში ცივილიზა-ციის გავრცელებას. უსათუოდ ბატონს ლებედიევს ეს აზრი ჰქონია რომ დაუპირებია მოსკოვის ხაბაზებით დაამშვენოს ჩვენი ქვეყანა. თორემ როგორ გაუბედავდა ჰსთხოვოს მთავრობას ათი-ათასი თუმანი. ხუმრობა ფულია! ხუმრობა ფული არ არის, მაგრამ განა ცივილიზა-ცია კი ხუმრობა რამ არის! ბატონმა ლებედიევმა უსათუოდ ზედ-მიწევნით იცის, რომ ცივილიზაციის დასამყარებლად არა ხარჯი მეტი არ არის, რაც უნდა ფული დაიხარჯოს, ბევრი არ იქნება. თუ არ დავიშლიათ, ღმერთსა ვჰსთხოვოთ, რომ მთავრობამ ის ათი-ათასი თუმანი მიჰსცეს „Общество Бережливость“-ს და „Общество

Бережливость"-მა კიდევ ბატონ ლებედიევის თაოსნობით ხაბაზები მოსკოვიდამ დაიბაროს და მოჰფინოს ჩვენს ქვეყანასა. დღე ნათელი მაშინ მაინც დაუდგება ამ ჩვენს უბედურს ქვეყანასა. ცუდი არ იქნება, რომ ჩვენმა ბანკებმაც ფული მოაშველონ ბატონს ლებედიევს, რომ კალიასავით მოუსიოს ჩვენს ქვეყანას მოსკოვის ხაბაზები. რა კი ცივილიზაციის საქმე ცხენებზედ და ხაბაზებზედ მივარდნილა, ეხლა ფიქრი ნურაფრისა გვაქვს. ბედი ჩვენი ცხადია, როგორც ხელის გული. მაგრამ ვაი თუ ხაბაზები მოსკოვისა გაგვინაზდნენ და არ წამოვიდნენ! ნუ გეშინიანთ, პირში გემო ხომ არ დაჰკარგვიათ, რომ ეგა ჰქმნან. ვაი ჩვენი ბრალი! დაბრიყვება ქვეყნისა იქნება და ასეთი!.

# პოლიტიკა.

პარლამენტის მოღვაწეობა საფრანგეთში ამ ბოლოს დროს.—ჟიულ-ფერრის ღვაწლი სწავლა-განათლების თაობაზედ და ბრძოლა ეკკლესიისა და სახელმწიფოს შორის—სრულიად სხვა რიგი მიმართულება ამ გვარივე ბრძოლისა გერმანიაში.—გერმანიის აწინდელი შინაგანი და გარეგანი პოლიტიკა.—ზოგიერთი რამ საყურადღებო მომავალისათვის.

მას აქეთ, რაც უკანასკნელად განვიხილეთ საპოლიტიკო საქმეები ბევრი თვალ-საჩინო და ღირს-შესანიშნავი რამ მოხდა ევროპაში. ამ მხრით საზოგადოების უპირატესი ყურადღება მიქცეული იყო საფრანგეთისაკენ, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, რესპუბლიკა უფრო და უფრო მკვიდრდება და სადაც თავისუფლებისა და თვით-მმართველობის საქმე მტკიცედ სდგამს ფეხს ხალხის ცხოვრებაში. მკითხველს კარგად ეხსომება თუ რა გვარი საქმეები იყვნენ წამოყენებულნი პარლამენტის შემოდგომის სესსიაში. ამ საქმეთა შორის უპირატესი მნიშვნელობა ეპყრათ ორს: პარლამენტის გადატანას ვერსალიიდამ პარიჟში და მინისტრის ჟიულ-ფერრის წინადადებას სწავლა-განათლების შესახებ. მკითხველს კარგად მოეხსენება თუ რაში მდგომარეობს ამ ორივე საქმის დედა-აზრი და აგრეთვე მათი მნიშვნელობა საფრანგეთისათვის *). ასე რომ აქ საკმარისი იქმნება მხოლოდ განვიხილოთ მათი შემდგომი მსვლელობა პარლამენტის წინაშე. რაც შეეხება პარლამენტის გადატანას ვერსალიდამ პარიჟში, ამის თაობაზედ წარდგენილი წინადადება მიღებულ იქმნა დეპუტატთა პალატისა და

*) «ივერია» № 3, 1879 წ.

სენატის მიერ, და კანონის ძალით ორნივე პალატნი შეკრებილ იქმნენ საერთო კრებაში კონსტიტუციის იმ მუხლის გამოსაცვლელად, რომლის ძალით ორივე პალატის სადგომი აქამდისინ ვერსალში იმყოფებოდა. დღეის იქით საფრანგეთის პარლამენტი გადასახლდება პარიჟში, სადაც პალატნი შეიკრიბებიან ოკტომბერში და მიეცემიან ჩვეულებრივ მოღვაწეობას. ამ გვარად, მონარხიელთა მეცადინეობამ ვერა გააწყო რა: რესპუბლიკამ დაუბრუნა პარიჟს მისი უკანონოდ აცილებული კუთვნილება და მით ერთი სამწუხარო სახსოვარიც გაუქარწყლა საფრანგეთს, სახსოვარი იმ უბედურ დღეთა, რომელნიც მოჰყვნენ პრუსსიის ომიანობას. პარიჟის აჯანყების შემდეგ, როგორც მოგეხსენებათ, ნაციონალურმა კრებამ, მონარხიელის გრძნობით აღსავსემ თავი ვერსალში შეაფარა—გარედამ უფრო ხერხიანად დავიჭერ საქმესაო თუ მეტის-მეტმა თავისუფლებამ ამოჰყო თავიო. ეხლა კი პარლამენტი და მთავრობა თითქო ამბობენ—ხალხის ნაშობნი ვართო და ჩვენი ძალაც ამაშიაო; ხალხის სურვილით შემოზღუდულებს რიღასი უნდა გვეშინოდესო. თუ ვისიმე უნდა გვეშინოდესო, ისევ მონარხიელებისაო და ამიტომ დაადგინეს კანონად, რომ ვინიცობაა პარლამენტს რაიმე შიში აღმოუჩნდეს, ორივე პალატის პრეზიდენტებს ნება ექმნებათ მოიწვიონ ჯარი თავისით, მთავრობის დაუკითხავად.

რაც შეეხება ჟიულ-ფერრის წინადადებას სწავლა-განათლების საქმის შესახებ—მის გამარჯვებას რაოდენიმე დაბრკოლება აღმოუჩნდა. თუმცა დეპუტატთა პალატმა მიიღო ახალი კანონი, მაგრამ სენატს კი ჯერ არ განუხილავს ეს კანონი და იგიც მიიღებს თუ არა ღმერთმა უწყის. ამ საქმის გასარჩევად სენატმა დანიშნა კომმისია, რომელმაც უნდა წარუდგინოს თვისი აზრი სენატს მომავალ სესსიაში. ამ კომმისიის უმრავლესობა ეწინააღმდეგება ახალს კანონს, მეტადრე მეშვიდე მუხლს, რომლის ძალით მასწავლებლობა უნდა აეკრძალოს ყველას, ვინც კი ეკუთვნის აკრძალულს სასულიერო ამხანაგობას. ღირსშესანიშნავნი არიან ის მიზეზები, რომლის გამოც ეწინააღმდეგებიან

ამ მუხლს. მოწინააღმდეგეთა შორის ზოგნი არ მალვენ თვის გულითადს მიდრეკილებას და აშკარად აძლევენ მხარს კლერიკალებს; მათთვის საჭიროა, რომ ხალხის სწავლა-განათლება კლერიკალებს არ გამოეცალოთ ხელიდგან და ამიტომაც ვერაფრად ეუაშნიკებათ ახალი კანონი. გარდა ამათა არიან კიდევ იმისთანანიც, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ახალ კანონს იმ აზრით ვითომ ეს კანონი თავისუფლობის წინააღმდეგიაო და ჩვენ ისე გვტკივა გული თავისუფლებისათვისაო, რომ ჟიულ-ფერრის წინადადებას ვერაგზით ვერ მოვუმართავთ ხელსაო. ამ პირთა შორის ღირს-შესანიშნავია ჟიულ-სიმონი,—ის ჟიულ-სიმონი, რომელიც,—გეხსომებათ,—ბროლჲი-ფურტუს ოინობით გამოაპინტრიშა მაკ-მაგონმა, და ეხლა კი იმავე ბროლჲისთანერთად ეწინააღმდეგება კანონს, რომელიც მომართულია რესპუბლიკის სასიკეთოდ და სადღეგრძელოდ. მართალია, ჟიულ-სიმონი ეწინააღმდეგება მხოლოდ მეშვიდე მუხლს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ახალის კანონის დედა-ბოძიც ეს მუხლია. ეს მაგალითი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს ცხადად თუ რა გვარი იარაღია სიტყვა თავისუფლება და რა გვარი მოხმარება შეიძლება ამ სიტყვისა. ისტორიაში არა ერთი უბედურება მოჰყოლია ამ სიტყვას და არა ერთხელ დამტკიცებულა ჭეშმარიტება,—ლიუ-ბლანისა არ იყოს,—რომ ფუჭია თავისუფლება, თუ მას არ მოსდევს თანასწორობაც. აქამდისინ კლერიკალებს ეპყრათ იმ გვარი ძალა, რომ თითქმის მთელი სახელმწიფო ხელში ეჭირათ; ეხლა, როდესაც მთავრობა ცდილობს ბოლო მოუღოს იმ კლერიკალების უპირატესობას და მიანიჭოს სახელმწიფოს მისი აუცილებელი კუთვნილება,—ეხლა, მეთქი, გაიძახიან თავისუფლება ილუპებაო. დეპუტატთა პალატის ბაასში ცხადად გამოჩნდა თუ როგორ და რას ასწავლიან კლერიკალები თავიანთ შკოლებში. მათი სიამაყე იქამდისინ მიღწეულა, რომ საჯაროდ ქადაგობენ რესპუბლიკის დაღუპვას, რისხვას ყველა იმისას, რაც კი რამ სასიკეთო დაუმკვიდრებია დიდ რევოლიუციას საფრანგეთისათვის. ამის გამოც აწინდელი მთავრობა ეუბნება კლერიკალებს: ნუ თუ ყველა ამის აკრძალვა თავისუფლების

დაღუპვას ნიშნავსო? თავისუფლება აქ რა შუაში არისო? მთავრობა ცდილობს მხოლოდ მიანიჭოს ეკკლესიას მისი კუთვნილი მოღვაწეობა; ეკკლესია სრულიად არ უნდა გაერთოს სახელმწიფო საქმეში, საზოგადო პოლიტიკაში. კლერიკალებს ახალი კანონის შემდეგაც შეეძლებათ შინაობაში გაწრთვნან ბავშვები როგორც უნდათ. მაგრამ საჯაროდ, შკოლებში სრულიად უნდა დაუმორჩილდნენ სახელმწიფოს. ამ გვარად მთავრობის აზრით არც არავითარი ბრძოლაა წარმომდგარი ეკკლესიისა და სახელმწიფოის შორის. ეკკლესია კი, რასაკვირველია, სრულიად სხვა თვალით უყურებს საქმეს. კლერიკალების აზრით ეკკლესიას დიდი განსაცდელი მისდგომია სახელმწიფოის მხრით; იგი კიდურზედ არის მიმდგარიო და ან უნდა გამარჯვებული დარჩესო, ან არა და სამუდამოდ დაიღუპოსო. საზოგადოდ ეკკლესიისა კი რა მოგახსენოთ, და რაც შეეხება კლერიკალებს, მათ მართლა და უკანასკნელი დღე დასდგომიათ. ეხლანდელი რესპუბლიკა არა ჰგავს უწინდელ რესპუბლიკებს. ეხლა დაბალმა ხალხმაც, ე. ი. გლეხმაც მიაჩვია თვალი რესპუბლიკას და დარწმუნდა, რომ რესპუბლიკა ისეთი საშიშო რამ არ ყოფილა, როგორც კლერიკალები არწმუნებდნენ მას. რვა წელიწადი მშვიდობიანი ცხოვრება რესპუბლიკის მფარველობის ქვეშ დიდი საქმეა რესპუბლიკის სახელის განთქმისათვის. რა კი ხალხი დარწმუნებული იქმნება, რომ რესპუბლიკა არამც თუ არაფერს არ აკლებს მას, არამედ უფრო მეტს სიკეთეს და კეთილ-დღეობას უქადის და აძლევს კიდეც, ვიდრე მონარხიული მმართველობა, მაშინ სამუდამოდ გაქარწყლდება მალა კლერიკალების ზედ-მოქმედებისა და გავლენისა. აქამდისინ ნიადაგი ამ ზედ-მოქმედებისა იყო, როგორც მოგეხსენებათ, ხალხი, უმეცარი სოფლის ხალხი, რომელიც ადვილად აჰყვებოდა ხოლმე გამვლელ-გამომვლელს, ოსტატობაში გამოქნილს. მეშვიდე მუხლი ჟიულ-ფერრის წინადადებისა ცდილობს ბოლო მოუღოს ამ უმეცრებას და ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ კლერიკალების ბრაზს საზღვარი აღარა აქვს.

კლერიკალების საქმე წამომდგარია ამ ჟამად არა მარტო საფ-

რანგეთში. აი ავიღოთ მაგალითებრ გერმანია, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე წელიწადია ებრძოდა მთავრობა კლერიკალებს. ამა ბრძოლაზედ არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი. აქ საჭიროა მხოლოდ ხელმეორედ მოვიხსენიოთ ის განსაკუთრებული გარემოება, რომელიც განსაკუთრებულ ფერს აძლევს ამა ბრძოლას გერმანიაში. გერმანიაში სუფევს იმ გვარი წყობა და იმ გვარი სახელმწიფოებრივი მომართულება, რომ გულითადს ბრძოლას მთავრობისასა და კლერიკალობის შორის არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ეს ბრძოლა არის მხოლოდ ბრძოლა მოცილეთა შორის და არა სხვა-და-სხვა პრინციპებისა, სხვა-და-სხვა აზრის მიმართულებათა შორის. თუ მკითხველს ყურადღება მიუქცევია ჩვენს მიმოხილვისათვის ამ აზრის განვითარება საჭირო აღარ არის და თითონაც კარგად მიხვდება რაზედ ვლაპარაკობთ. როდესაც ბისმარკი ემუქრებოდა პაპს, მას, რასაკვირველია, ფიქრშიაც არა ჰქონდა ის მავნებელი მიმართულება, რომელსაც ადგა კლერიკალების ქადაგობა. გულითადი მიდრეკილება ორთავესი იყო ერთი და იგივე; ერთი და იგივე იყო აგრეთვე ნიადაგი, საგანი ზედ-მოქმედებისა და გავლენისა; იარაღი, საშუალება ამა ზედ-მოქმედებისათვისაც იყო ერთი და იგივე: მაშასადამე ბრძოლა ბისმარკისა და პაპის შორის იყო ბრძოლა მოცილეთა შორის: არა, ბურთი და მოედანი მე უნდა დამრჩესო,—არა, მეო. ამიტომაც ამ გვარ ბრძოლას დროებითი ხასიათი სჭირდა, და მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ დღეს თუ ხვალ ორივე მტერნი, ერთი-ერთმანეთის დათმობით ხელმეორედ დამეგობრდებიან და ერთსა და იმავე გზას დაადგებიან თვის მოღვაწეობაში. ასეც მოხდა. კლერიკალების ოინობამ იქამდისინ მიიყვანა საქმე, რომ აღარ აკმარებინა მთავრობას ის კანონები, რომელნიც დადგენილი იქმნენ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. ეხლა ბისმარკმა ზურგი შეუქცია უკვე ლიბერალებს და მიუშვირა ხელი კლერიკალებს. ბისმარკი ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ადგია მტკიცედ ერთხელ ამორჩეულ გზას: კონსტიტუცია, თავისუფლება და სხვა ამ გვარი მისთვის სულ ერთია; იგი დღეს ერთს დასს უმეგობ-

რდება, ხვალ მეორეს თვისის საკუთარის საჭიროების მიხედვით. სახელმწიფოისა და ეკკლესიის შორის ბრძოლის დღეს-ბოძიც გერმანიაში ამაშია. ამიტომ აწინდელი მიმართულება გერმანიის შინაგანის პოლიტიკისა არც უნდა გაგვიკვირდეს. გერმანიის მთავრობა იქამდისინ მისულა, რომ ლამის თვით კონსტიტუციაც გააუქმოს. ამ ბოლოს დროს მოხვეთა საბჭოში შეტანილია კანონად მისაღები წინადადება, რომლის ძალით რეიხსტაგის წევრნი (დეპუტატები) ოთხის წლის ვადით უნდა იყვნენ ამორჩეულნი; გარდა ამისა სახელმწიფოის ბიუჯეტი, შემოსავალ-გასავლის ანგარიში განხილული და დამტკიცებული უნდა იქმნეს არა ყოველ წლივ, არამედ ორ წელიწადში ერთხელ, ე. ი. პარლამენტმა უნდა დაუმტკიცოს მთავრობას წინ და წინ არა ერთის წლის ხარჯი, არამედ ორის წლისა ერთად. გარდა ამისა ხსენებულის წინადადების ძალით, რეიხსტაგი შეკრებილი უნდა იქმნეს ორ წელიწადში ერთხელ მაინც, ე. ი. მთავრობას ნება ექმნება შეყაროს რეიხსტაგი მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელ. ერთის სიტყვით, როგორც ხედავთ ეს ახალი წინადადება კონსტიტუციის მთლად გაუქმებას უქადის გერმანიას. პარლამენტალური მმართველობა მოითხოვს, როგორც მოგეხსენებათ, რაც შეიძლება ხშირ-ხშირ არჩევანს და რაც შეიძლება განუწყვეტლივ მოღვაწეობას ხალხის წარმომადგენელთა კრებისას. ზემოხსენებული წინადადება ბისმარკისა სწორედ ამის წინააღმდეგ არის მომართული. ამ საქმეში კლერიკალებზედ უკეთესს მომხრეს აბა სადღა იშოვის პრუსიის მთავრობა? ვიმეორებ, აწინდელი მიმართულება გერმანიის შინაგანის პოლიტიკისა არ უნდა გაგვიკვირდეს მეთქი. არ უნდა გაგვიკვირდეს აგრეთვე არც გარეშე პოლიტიკა, რომელსაც ამ ჟამად დასდგომია გერმანიის მთავრობა. სწორე მოგახსენოთ ამაში ახალი არა არის რა, მაგრამ საქმე იმაშია რომ ეს პოლიტიკა უწინ მიმალული, ფარდა ჩამოფარებული, თან-და-თან თავსა ჩჩყოფს და აშკარად გამოდის საქვეყნოდ. სხვა-და-სხვა გარემოების გამო არა ერთხელ გვითქვამს, რომ გერმანიის ინტერესი (რასაკვირველია მთავრობის აზრით) მოითხოვს ავსტრიასთან მეგობრობას და არა მტრობას.

მეორის მხრით, გვითქვამს, რომ გერმანიის სიყვარული რუსეთისადმი უფრო ლაპარაკით არსებობდა ვიდრე თვით საქმით. რუსეთს, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი მტერი და მოცილე ჰყავს ევროპაში. ამიტომაც რუსთ—ოსმალოს ომიანობა ისე ვერ გათავდა, როგორც მოითხოვდა რუსეთის გულითადი სურვილი. აღმოსავლეთის საქმეში წინ წამოდგა ავსტრი-ვენგრია: მეც ამ საქმეში რუსეთზედ არა ნაკლები ადგილი და მონაწილეობა უნდა მქონდესო. რა თქმა უნდა რომ ამ შემთხვევაში ავსტრიას ხელს უმართავდა და უმართავს კიდეც გერმანია.

ავსტრიამ ხელში ჩაიგდო ჰერცოგოვინა და ეხლა გულ-მშვიდად იცქერს ნოვი-ბაზრის სანჯაქს. რა ჯილდოს მოსთხოვს გერმანია ავსტრიას ამისათვის—ამას მომავალი გვიჩვენებს. იქნება იმ გვარივე ჯილდო მოსთხოვოს, რა გვარიც მოსთხოვა გერმანიამ რუსეთს საფრანგეთის ომიანობის დროს?...

# ქუჩაში მომღერალი ქალი

მოთხრობა კ. რიდელისა.

აგერ ოცი წელი განმავლობს მას აქეთ, რაც ლონდონში სცხოვრებდა ერთი მემუსიკე ნემეცი სახელად ბერნგარდ ვილლინგერი თავის პატარა ქალით ბერტითურთ. ამას ეჭირა ორსართულიანს სახლში ზემო სართულში ორი ოთახი. სახლი იდგა კარნაბსკის ქუჩაზედ, გოლდ-სკვერის ახლო. სახლი გვარიანად მორთული ჰქონდა ბერნგარდს, რადგანაც კაი ხნის ნამყოფი იყო ლონდონში, სადაც კარგა ბლომად საქმე ჰქონდა, რომლითაც გვარიანად შოვობდა ფულს.

მაგრამ ახლა კი მეცხრე თვე განმავლობს, რაც ის ლოგინად ჩავარდა. იმას ერთი გვერდი დამლისაგან სრულიად შეხმობოდა; იმას კორტოლის ტეატრის ორკესტრისათვის თავი უნდა გაენებებინა, სადაც მეორე ადგილი ეჭირა მემუსიკეთა შორის. თუმცა ეს ორი ოთახი დღემდის სუფთად ჰქონდა შენახული პატრონს, მაგრამ ამის ხანგრძლივის ავათმყოფობის გამო ნელნელად შემოიპარა სიღარიბე, ასე რომ დღე-დღეობით ჰყიდდნენ ხოლმე სახლის მორთულობას. ძრიელ უმნელდებოდა ხოლმე საცოდავს ავათ-მყოფს იმ ნივთის მოშორება, პურის შოვნისათვის, რომელსაც მიჩვევოდა, მაგრამ რა უნდა ექნა საწყალს.

ორკესტრის უფროსი, რომელთანაც ვილლინგერს მონაწილეობა ჰქონდა, იყო იტალიელი, სახელად ერქვა სპანიოლეტტი, მან სიით ფული მოაგროვა ავათ-მყოფის სასარგებლოდ, და გარდასცა ბერტას.

ქალმა დიდის მადლობით ჩამოართვა მოგროვილი ფული. ქალი ცდილობდა ეს გარემოება არ შეეტყო მამას, რადგანაც ის იყო თავ-მომწონე და ამ გვარი საქმე ეთაკილებოდა. მართალია ძრიელ უჭირდა, მაგრამ, ვინ იცის, რომ შეეტყო, იქნება ხელი არც კი მოეკიდნა ამ ფულისათვის. ამის შემდეგაც კარგა ხანმა განვლო; თეატრი დაკეტილი იყო. წარმოდგენები არ დაიწყობოდნენ პირველის სეზონის ადრე, თებერვლამდის ან მარტამდის, ახლა კი ორკესტრის მონაწილენი აქეთ-იქით გაიფანტნენ სხვა და სხვა ადგილებში, მამასა და ქალს ერთი გროშიც არ მოეძეოდათ, არც არაფერი ისეთი რამე დარჩათ გასასყიდელი, რომ ღირებულიყო რამეთ.

დარჩა ერთი წყვილი სკამისა, უბრალო სტოლი, ტახტი, რომელზედაც იწვა თვით ავათ მყოფი, და ძველი გიტარა. აი ესენი შეადგენდენ ერთის ოთახის მორთულებას. კარგი საწოლი ტახტი, რომელიც ქალის ოთახში იდგა, აგერ ორი კვირა იქნება მას აქეთ რაც გაჰყიდეს. ბერტას გაეყიდნა მამის დაუკითხავად, რომ იმით რამ საჭმელი ეყიდა და სახლის ქირა გადაეხადა. ამის შემდეგ ქალი ცარიელ იატაკზედ იძინებდა ხოლმე.

ავათ-მყოფი იწვა ვიწრო ტახტზედ, ზედ ეხურა ჩითის ძველი დაფლეთილი საბანი. გვერდით ედგა ქალი, და იქვე აფიცხებდა ცეცხლზედ ხმელის პურის ნატეხს. ეს იყო ამათი სარჩო. რა სამწუხარო სანახავს წარმოადგენს ეს ორი არსება „ღარიბთა ალბომში“. რომლისათვის ლონდონი ეს უზარ-მაზარი სატახტო ქალაქი მთელის ქვეყნიერობისა გვაძლევს ურიცხვ მასალას.

რასაკვირველია, საცოდავს ბერტას უნდა მიეტყოს რომ გული გაუტყდა. ან როგორ არ უნდა გასტეხოდა, მაშინ, როდესაც მამისათვის ხმელს პურს გარდა ქონდა მხოლოდ ერთი ჭიქა ჩაიდა. აქამომდე როგორც იყო გაუძლო ტანჯვასა და მწუხარებას, ახლა კი აიფარა თვალებზე თავისი ნაზი ხელი და მოჰყვა ტირილს.

— ახ, შვილო ბერტა, წამოიკნავა ავათ-მყოფმა სუსტის და მწუხარის ხმით: — რამ შეგაწუხა ასე შენი ჭირიმე.

— არაფერმა, მამილო, არაფერმა, უპასუხა ქალმა, შეიმაგრა გულით და უჩუმარად თვალები მოიწმინდა, და მიუახლოვდა მამის საწოლს ტახტს.

— მე მესმოდა შენი ტირილი.

— ახ, არა მამი ჯან, არა შენ... ტყუილად გჩვენებია აგრე!

— ჰმ, მაშ კარგი. ძლივს წარმოსთქვა მამამ: ნეტავ ეგრე იყოს, იქნება ძილშიაც მომეჩვენა. რომელი საათია, შვილო? ახ, დამავიწყდა, რომ ჩვენი საათი დიდი ხნის გავყიდეთ. დიაღ, დიაღ. იმის გაყიდვის ნება თვით მე მოგეცი გასრულს კვირაში, მართალია თუ არა? ორშაბათს არ იყო?

— დიაღ, წარსულს ორშაბათს, წაიბუტბუტა ქალმა, პირი უკან გაიბრუნა და თავის-თავად ჩაილაპარაკა: ღმერთო ჩემო, ეს აგერ ორი თვის წინეთ იყო საღამოს, მამავ! განა ამისთანა ხსოვნა გქონდა უწინ? განა ხსოვნაც დაგეკარგა?

რა მშვენიერი ჩაია, ჩემო თვალის სინათლევ. მოჰყვა ისევ ავათ-მყოფი როდესაც დაცალა ფინჯანი, რომელიც ბერტას ეჭირა ხელში, მაგრამ პურზედ კარაქი რათ არ არის? ან იქნება, ჩემო პაწია, კვერცხი გქონდეს მოხარშული!

— მე... მე ვერ გავახერხე... დედა-კაცი, რომელსაც კვერცხები მოაქვს ჩვენთვის, დღეს არ მოსულა; შენც იცი, მამილო, აქ ბაზარი ახლო არ არის და შორს წასვლა ვერ გავბედე. დიდხანს როგორ დაგაგდებდი მარტო უპატრონოდ.

საქმე კი იმაში იყო, რომ ის დედა-კაციც აღარ ანდობდა ნისიათ, როგორც სხვა ვაჭარნიცა.

— არაფერია, ჩემო სიცოცხლე, არაფერი, თქვა საწყალმა ავათ-მყოფმა; მე ვიცი თუ კი რამ შესაძლო იყო მოამზადებდი. მე ის მწყინს მხოლოდ, რად მკითხე შენ ეგეები. ახ, რამდენი მწუხარება მოგაყენე. დიდი ჯაფა გადგია ჩემგნით, შვილო! მე ვიცი...

— ნუ ამბობ მაგას, ჩემო მკირფასო მამავ, მაგას როგორ მეუბნები? ერთი ეს სიხარულიღა დამრჩენია ქვეყანაზედ, რომ შენ თავს შემოგევლო და მწუხარება შეგისუბუქო და შენ მაგას მეუბნები.

— ვიცი, ვიცი, ჩემო თვალის სინათლევ, მჯერა, ჩემო გვრიტო, ჩემო ნუგეშო, ჩემო იმედო.

და საწყალმა უიმედო სნეულმა ცრემლები გარომოაფრქვია.

— მამილო, მამილო, ნუ სტირი, შენი გულისა, გული მისქდება ხოლმე შენის ცრემლის დანახვაზედ: — მამას ევედრებოდა ქალი ტრთოლითა.

— ჯერ ორმოცის წლისაც არა ვარ, განაგრძო მან, თანაც ამაოდ ცდილობდა დამლისაგან შემხმარის ხელით ცრემლები მოეწმინდა თვალთაგან, საიდამაც უფრო და უფრო მალმალე დაუწყო ცრემლმა დენა: მე ჯერ ორმოცის წლისაც არა ვარ და სიკვდილი კი კარზედ მიდგა. ჰო, ეს ვიცი, ეს კარგად მესმის, რომ მე ნახევრად მკვდარი ვარ; ახ, ნეტავი სრულებით მომკვდარი ვიყო! მე არაფერი არ მაღონებს იმის გარდა რომ შენ უნდა მოგშორდე, ჩემო სიხარულო!

— მამი, მამი, ნუ მიხეთქავ გულს, შესტიროდა ბერტა მწუხარებისაგან აღელვებულის ხმითა.

— არ შეიძლებოდა მე ეგ შენთვის არ მეთქვა, ჩემო სიხარულო, მე გიმალავდი მაგას, მაგრამ ეხლა კი ვგრძნობ ჩემი უკანასკნელი დღე მოვიდა.

ამ სამწუხარო სიტყვების შემდეგ სრულებით ღონე-მიხდილი გადიქცა ბალიშზედ და თვალები მიელულა.

მართალს ამბობდა. ამას წინეთ ერთხელაც არ უთქვამს ასე გადაჭრით, რომ სიცოცხლის იმედი გადაწყვეტილი აქვს. საწყალი ქალი კი ნუგეშობდა მამა მამირჩებაო. ვიშ რა სიტყვები სთქვა! მაგრამ ქალი მაინც გრძნობდა რომ გული არ უნდა გაეტეხნა და იმედი არ გადაეწყვიტა. იმას კი არ ვიზამო, ამბობდა თავის თავად ქალი, რომ მამა შიმშილმა მომიკლას და ისე რაც ენებოს ღმერთს, ის იქმნასო-

ხვალინდელის დღის ფიქრმა და ზრუნვამ შეიპყრა მთელი მისი გონება. რამოდენიმე წამის შემდეგ, როდესაც ამ ფიქრში იყო, უეცრად გასწყვიტა ეს ფიქრი მამის კვნესამ.

— საყვარელო შვილო, მეძინება; მიუჯექი, შვილო, ფორტეპიანოს, მიმღერე ის მშვენიერი რომანსი ვებერისა, რომელიც მე მიყვარს; სიმღერა გულს დამიწყნარებს და დამაძინებს.

— ახ, მამავ, დაგავიწყდა რომ ჩვენ ფორტეპიანო აღარა გვაქვს?

— როგორ თუ არა გვაქვს!... ახ, მართლა გადამავიწყდა. კაი, გაჭირებავ, გაჭირებავ. აღარ გვაქვს! დედის გიტარა ხომ ისევ გაქვს? ისიც ხომ არ გაგვიყიდნია? გახსოვდეს რომ მე აღგიკრძალე იმისი გაცემა. მაგრამ აგერ კედელზედ ჰკიდია.

— არა, მამილო, მირჩევნია შიმშილით სული დავლიო, ვიდრე ის გავყიდო. იმის მეტი რა დაგვრჩენია ჩემის კაი დედის სახსოვრად. ეგდა არის სახსოვრად იმ ჩვენის ძველის წასრულის დროისა, როდესაც ჩვენ ვცხოვრებდით ბედნიერად, სთქვა ესა და გიტარა კედლიდამ ჩამოიღო.

— იმღერე ის რომანსი, რომელსაც მე შევუწყე ბაირონის მშვენიერი ლექსი.

ქალმა დაიწყო მღერა. იმღეროდა, ისეთის გრძნობით და გულაღტყინებით და ხმები ისე ტკბილად მიმდინარებდნენ, რომ ავათმყოფის პირის სახემ სრულიად ფერი იცვალა. სიმღერა თან და თან უტკბობდა გულს ავათ-მყოფს, ასე რომ ბევრი ხანი აღარ გასულა და ტკბილად ჩაეძინა კიდეც.

ბერტამ წყნარად მიაყუდა გიტარა და დიდხანს სიყვარულით დასცქეროდა მძინარე მამას, მერმე ჩამოჯდა სკამზედ და დაიწყო ფიქრი როგორ იშოვნოს პური ხვალისთვის, სევდა მოაწვა გულზედ და იჯდა ყოველსფერზედ იმედ-გადაწყვეტილი, უმწედ და უნუგეშოდ. ამ ყოფაში უეცრად თვალი მოჰკრა კუთხეში მიყუდებულს გიტარასა.

ამისი გაყიდვა არ შეიძლება. მამის ბძანება მისთვის ხელ უხლებელი კანონი იყო და არც თავისი საკუთარი გრძნობა ნებას აძლევდა გიტარის გასყიდვისას.

მაშ სხვა გვარად მაინც არ შეიძლება ამის გამოყენებაო? რატომ არა, ძალიან კარგად...

ეს აზრი უწინ არც ერთხელ არ მოსვლია თავში; ეს აზრი შეტყის-შეტყად ემძიმებოდა, ეთაკილებოდა კიდეც და ცდილობდა როგორმე თავიდამ მოეშორებინა. მაგრამ ურჩი აზრი თავს არ ანებებდა და ხელ ახლად მოუბრუნდებოდა ხოლმე. ბოლოს, ყმაწვილმა ქალმა, დიდის ბრძოლის შემდეგ დააპირა ის აზრი ერთხელ მაინც აასრულოს. თუმცა ეს აზრი იმისათვის საკუთრივ ძლიერ უსიამოვნო იყო, და უკადრისიც, მაგრამ უპატიოსნო კი მასში არა იყო რა. იმ ღამესვე დააპირა იმ აზრის ასრულება.

რაში მდგომარეობდა ის აზრი? უნდოდა აეღო ხელში თავისი გიტარა, წასულიყო სადმე ჩუმს ქუჩაში, სახელდობრ ისეთ ქუჩაში, სადაც დიდკაცები დგანან და იქ ემღერნა ძველი ნემეცური სიმღერები, იმ იმედით რომ აგება განგებამ კეთილ-მყოფელის გული ვისიმე ჩემკენ მოახედოსო და შემწეობა რამ აღმიჩინოსო.

ეს ის დრო იყო, როცა მამა მისი ჩვეულებისა მებრ იძინებდა ხოლმე და თუ ვინიცობაა გამოიღვიძებდა, იფიქრებდა სასყიდლად რისთვისმე წავიდოდაო.

ეგ უნდა ექმნა, სხვა გზა არ იყო.

მალე მოემზადა. ჩვეულებრივ მამის საწოლთან მიდგა ერთი სკამი და ზედ დადგა ერთი ფინჯანი სავსე ჩაით. ამის შემდეგ წყნარად აკოცა შუბლზედ მძინარს მამას და გულში სთხოვდა ღმერთს შემწეობას და მამის მორჩენასა. მერე თავსაფარი მოიხვია თავზედ, წამოისხა მანტილია, მანტილის ქვეშ დაიჭირა თავისი გიტარა, წყნარად ჩაკეტა გარედამ კარები, მარდად ჩამოირბინა კიბე და გამოვიდა ქუჩაზედ.

## II

ქალი პირველად იქით წავიდა, სადაც პორტლენდ-პლესის მოედანია. რამდენსამე ხანს მიდიოდა იმ მიჩუმებულ ქუჩაზედ, სადაც გამოჭიმულნი არიან დიდ-დიდი, მდიდრულად აგებულნი სახლები. ქალი ფიქრობდა აქ რასმეს ვიშოვნიო. მაგრამ უზარ-მაზარობა სახლებისა გულს უფთხობდა ქალსა. ამას გარდა ამ სახლების ფანჯარაში სინათლეც არა ჩანდა. ფანჯრებზედ ჩამოხურული იყო სქელი ფარდები. ბოლოს დანიშნა რამდენიმე სახლი და დააპირა ბედის ცდა.

ერთის სახლის ფანჯრიდამ სანთლის სინათლე გამოდიოდა. აქ მოინდომა პირველად თავის გამოჩენა. დააპირა თუ არა გიტარის დაკვრა, ამ დროს შემოვიდა ეზოში ერთი შუახნის კაცი: ხელში ეჭირა კალათა: ეტყობოდა ის იყო ამ სახლში მცხოვრებთაგანი.

ამ კაცის დამჯდარმა, მშვიდობიანი პირის სახე და დარბაისლობა მოეწონა ქალს და გაბედვინა გიტარის დაკვრა. რასაც მოგახსენებთ, ნამდვილი ამბავია და ამიტომაც შეგვიძლიან თვითონ იმ სახლის დასახელებაც: ეს სახლი იდგა პორტრლენდ-სტრიტის მეიდნის პირდაპირ, ამ ჟამად იმისი №-რი „91“ არის.

ამ დროს ქუჩაში არავითარი ხმაურობა არ იყო. ერთი ადამიანიც არსად მოიძებოდა, როცა ბერტამ თავისი გიტარა მომართა და დადგა სახლის წინ ტროტუარზედ. რადგანაც ბერტას მამას ის სიმღერა ძალიან მოეწონა, რომელიც აქ წამოსვლის წინად უმღერა, ქალმა განიძრახა იმ სიმღერიდამ დავიწყობო. ქალს ძლიერ დაუწყო გულმა ძგერა მორცხვობისაგამო, როდესაც გიტარის სიმებს პირველად შეახო ხელი, მაგრამ გული მალე დაიმორჩილა და მოჰყვა მღერასა... ოხ, რომ სცოდნოდა საწყალს ქალს ვინ ადგა ამ დროს მდიდრად მორთულის სუფრიდამ, ვინ მოვიდა ფანჯარასთან და ვინ გადმოიხედა, მგონია მაშინვე ხმა ჩაუვარდებოდა.

როდესაც გაათავა ერთი ხანა რომანსისა, მაშინ თავის გარშემო

დაინახა ათი თუ თორმეტი კაცი, რომელნიც ამის მშვენიერს სიმღერას მოეზიდნა. იმათში ზოგმა ტკბილის სიმღერით დამტკბარმა თეთრი ფული აჩუქეს. ბერტამ თვალი მოჰკრა, რომ გაიღო ის ფანჯარა, რომლის წინაც იდგა და დაინახა თავი გამოეყო ვიღაცას და ყურს უგდებდა მის სიმღერასა. ამით უფრო იმედი მოეცა.

მამისათვის ფიქრი ამხნევებდა ქალს. წინანდელი მორცხობა და მღელვარება სრულიად განუქარდა და შემდეგი ხანები სიმღერისა ისეთის ხმით და ისეთის გრძნობით იმღერა, რომ საყურებლად მოგროვილმა ხალხმა აავსეს ქალი საჩუქრითა. რა იცოდა ქალმა რომ ეს წამი იყო ამისა და ამის მამის ბედის გადამწყვეტელი.

გაიღო № 91 სახლის კარები, გამოვიდა კარგა ჩაცმული მსახური და უთხრა ბერტას რომ პატრონს სურს თქვენთან მოლაპარაკებაო და თუ შეიძლება შინ მობძანდითო.

მაყურებელთ სამწუხაროდ, რომელთ იმედი ჰქონდათ იქნება ერთი რამ კიდევ გვიმღეროსო, ქალი გაჰყვა მსახურს; მსახურმა შეიყვანა ერთს ნაზოლოვარს ოთახში და იქ დახვდა ბერტას ორი კაცი, რომელნიც აშკარა იყო, მას ელოდნენ.

ერთი მათგანი იყო ჯმუხი, ჭაღარა-რეული მგვირცხლი კაცი. თუმცა მოდაზედ ვერ იყო ჩაცმული, მაგრამ ჩაცმულობაში ლაზათი ეტყობოდა. მეორე იყო ამაზედ უმაღლესი და თავიდამ ფეხამდე შავად იყო ჩაცმული მოდაზედ. ეს მეორე იყო მეტის-მეტად გამხდარი. იმის გაფითრებულ სახეს, ჩაცვივნულ ლოყებით და რომაულ ცხვირით, რაღაც ნაღვლიანია, იდეალური მეტყველება ჰქონდა. თვალთა სინათლე საოცრად გამომჭირვალებდა და ამასთანავე ისე იყურებოდა, თითქო ამ კაცს დიდი-ხნის სიცოცხლე არა აქვსო.

— ჰმ, წამოიდუდუნა უფრო ახალ-გაზრდამ და დააცქერდა ბერტას, ამოიღო კოლოფიდამ ბურნუთი და თან უთხრა ქალს: ჰმ, გთხოვთ დაბძანდეთ.

იგი ინგლისურად ლაპარაკობდა და დაიწყო შემდეგი:

— თქვენ საუცხოვოდ მღერით და კაი მანერებიც გქონიათ. რამ გაფიქრებინათ ასეთის ხმის პატრონსა ქუჩა-ქუჩა სიარული და მღერა? მაინც და მაინც რამ გაიძულათ ამ სახლის წინ მოსვლა და აქ გამოჩენა თავისა? ბერტამ თავი დაუკრა, ჩამოჯდა სკამზე, გვერდით დაიდვა გიტარა და მერე უპასუხა:

— ბატონო, მე შემთხვევით მომიხდა ამ ქუჩაში მოსვლა. მე არც თქვენ მეცნობებით და არც თქვენი სახლი. — და თუ ჩემმა სიმღერამ გაწყინათ...

— ჰმ, მაგას ნუ ბძანებთ ქალო! განა ამას წინად ეგ მოგახსენე. მე სწორედ გეკითხებით თქვენ: ნუ თუ მართლა არ იცოდით აქ ვინა ცხოვრებს.

— დარწმუნებული ბძანდებოდეთ, ბატონო, რომ არ ვიცოდი! მე მგონია ამ ქუჩაზედ თავის დღეშიაც არ გამივლია.

— ჰმ! თქვენ ინგლისელი ქალი ხართ.

— დედა-ჩემი ინგლისელი გახლდათ, მამა კი ნემეცი.

— ჰმ! ერთი ეს მითხარით, მღერას სწავლობდით სადმე?

— დიახ, ბატონო.

— ვინ გასწავლიდათ?

— მამა-ჩემი.

— მემუსიკე კაცია მამა თქვენი?

— დიახ, ჭიანურის და ფორტოპიანოს ოსტატია.

— ფორტოპიანოს დაკვრა იცით?

— დიახ, ბატონო.

— აი ფორტოპიანო. დიდად დამავალებთ თუ რასმეს დაუკრავთ.

ტანად დაბალმა კაცმა გახსნა როიალი, გადმოუდგა სკამი ქალს და სთხოვა დაბძანდითო.

— ღმერთო ჩემო, რით გათავდება ყოველივე ეს? ამბობდა გულში ბერტა და გაათამაშა თითები იმ მართლა და მშვენიერს ფორტეპიანოზედ. დიდ-ხანს უკრავდა და სულ რაც დაუკრა ვებერის თხზულება იყო. მამამ ბეჯითად და გულ-მოდგინეთ ასწავლა ქალს მუსიკა და მართლა რომ რიგიანად და საფუძვლიანადაც ასწავლა. შემდეგ, როდესაც ქალმა კარგად გაიმართა ხელი და ხმა, მაშინ ამის საყვარელ კომპოზიტორად შეიქმნა კარლ მარია ვებერი, გაიზეპირა ვებერის თხზულებანი და უკრავდა ისე, როგორც შეეფერებოდა იმისთანა სახელოვანს მთხზველსა.

ამის ხელი თავის დღეში არ შეხებია ამისთანა მშვენიერს და ძვირფასს საკრავს. ამ საუცხოვო ფორტეპიანომ წაახალისა ქალი ისეთ ნაირად, რომ დაავიწყა სად იყო და სად არა. ისე გაიტაცა ამ საკრავის მშვენიერმა და ტკბილმა ხმებმა, რომ ბერტას აღარა ახსოვდა რა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა უკრავდა, უკრავდა გაუთავებლად სულ სხვა-და-სხვა თხზულებას ვებერისას. ბოლოს უეცრად გაახსენდა უბედური ყოფა თავის მამისა, ენაზედ მოადგა მისი საყვარელი სიმღერა და მოჰყვა მღერას ისეთ ნაირად, რომ ტანად დაბალი კაცი გაოცდა. ამ პატივ-ცემულმა კაცმა ველარ დაიჭირა თავი და მინამ „ქუჩის აშუღი ქალი" გაათავებდა მღერას წამოიძახა:

— საუცხოვოდ მღერით, საუცხოვოდ უკრავთ. თქვენ ნამდვილი მემუსიკე ხართ, თქვენ კარგათ გესმით თქვენი ხელობა. აი რას მოგახსენებთ: მე ვარ მემუსიკეთ დირექტორი, და თუ თქვენ მართებულის ოჯახის ქალი ხართ და ინებებთ ჩემს მფარველობას და ხელთ-მძღვანელობას, მე მზათ ვარ დაგეხმაროთ და დარწმუნებული ვარ, რომ სახელს გაითქვამთ!

საწყალ ქალს თავ-ბრუ დაესხა ამ სიტყვებზედ. ეს ამბავი მართლა რომ ამისრულდესო, სამუდამოდ დაგვიხსნის სიღარიბესაგანაო, გაგვაბედნიერებსო, დაგვიბრუნებს უწინდელ კეთილ მდგომარეობასაო, და იქნება მამა ჩემიც მომარჩინოსო. სჯეროდა საწყალს რომ ყოველივე ეს სიზმარი არ არის.

რას ჰკრებოდა ამ დროს ის კაცი, რომელსაც რომაული ცხვირი ჰქონდა, ნათელი თვალი და მკრთალი პირის სახე?

ის იჯდა ბუხართან, ყურს უგდებდა ლაპარაკს, და ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ბოლოს კი მძიმედ წამოდგა ფეხზედ, თითქო ადგომა ეძნელებაო, მიუბრუნდა ბერტას და ინგლისურად უთხრა, თუმცა კი ძალიან უმცევდა ნემეცურად:

— მამა თქვენი ნემეცია?

ქალმა მაშინვე შეატყო, რომ თავისი ქვეყნის კაცი ელაპარაკება და უპასუხა ნემეცურად:

— დიაღ, ბატონო.

— მამი თქვენის მეტს სხვას არავის უსწავლებია თქვენთვის? განაგრძო მანვე.

— სხვას არავის, ბატონო.

— სიმღერასა და მუსიკასაც ორივეს მამა თქვენი გასწავლიდათ?

— დიაღ, ბატონო.

— თქვენ სხვა ოსტატი სულ არავინა გყოლიათ?

— არასოდეს, გიტარას კი სხვა მასწავლიდა. გიტარა სადღაც ჩემმა მასწავლა.

— სხვა გიდევ რაიმე საკრავზედ ხომ არ უკრავთ?

— ჭიანურზედ, მაგრამ ძალიან ცოტად. მამა ჩემი კი ძალიან მოწადინებული იყო რომ ჭიანურზედ დაკვრა კარგად მესწავლა, ყურს უფრო კარგად შეაჩვევ ხმებსაო.

— ა, კარგი, ერთი მიბძანეთ, რამდენის წლისა ხართ?

— ოც-და-ორის წლისა.

— დიდი ხანია რაც ქუჩა-ქუჩა მღერით?

— დღეს გამოვედი პირველად, საშინლად წამოწითლდა და ძირს ჩაღუნა თავი.

— დღესაო! თუ უკაცრავად არა ვართ ერთი მიბძანეთ რამ გაი-ძულათ ქუჩა-ქუჩა სიარული.

— მამა ჩემი ლოგინად არის ჩავარდნილი, დამბლად დაეცა. ფუ-ლი არ გვქონდა. მე მამის დაუკითხავად წამოვედი. ამის მეტი მიზე-ზი არა მქონია რა.

— სადა დგეხართ?

— კარნაბის ქუჩაზედ, გოლდენ-სკვერის ახლო.

— თქვენი სახელი?

— ბერტა ვილლინგერი.

— ვილლინგერიო! ერთი მითხარით, მამა თქვენს რა ჰქვიან.

ეს სიტყვები წარმოსთქვა მან აჩქარებით და დიდის აღელვებით.

— ბერნგარდ ვილლინგერი ჰქვიან.

— ღმერთო ჩემო! სწორედ ჩემი ძველი მეგობარი უნდა იყოს! რამდენი წელიწადია რაც აღარ მინახავს! ჯიანურს უკრავს განა?

— დიაღ, ბატონო. ის საკოროლო ტეატრის დასტაში გახლ-დათ მეჯიანურეთ, სანამ ავათ გახდებოდა.

— სწორედ ის არის, ის! ბატონო ჯორჯ, მიუბრუნდა ეგი მუ-სიკის დირექტორს, ამ ქალის მამა ჩემი მამულის შვილია. ის არის ჩემი ძველი ნაცნობი, რომელიც რამოდენიმე წელია თვალიდამ მიმე-ფარა. პირველი ჩემი ვალი ის არის, რომ უნდა დავეხმარო ღირსეულს კაცს, რომელიც თან წარჩინებული მემუსიკეც არის. მეც მივი-ღებ აგრეთვე მონაწილეობას ამ ყმაწვილის ქალის ბედის წარმარ-თვისათვის.

— ჰმ, კარგი, ძალიან კარგი; რაც შემიძლიან არაფერს დავი-შურებ და დიდის სიამოვნებით დავეხმარები მამასაც და შვილსაც.

— კმარა, კმარა! მიიღეთ ჩემგან მადლობა. მაგრამ არა! ჯერ ერთი მიბძანეთ თქვენი ადრესი, ჩემო კარგო, ხვალ დილით უსათუოდ ვნახავთ მამა თქვენსა. ბერტამ უთხრა სახლის ნომერი, რომელშიაც სცხოვრებდნენ.

— ეხლა კი გული დაიმშვიდეთ, საყვარელო ყმაწვილო-ქალო და ხმელი გქონდეთ, რომ მე ვიქნები თქვენი ერთ-გული მეგობარი დღეის შემდეგ. მე აღმოვაჩენ რაიმე სახსარს, რომ მამა თქვენი გაჭირები-დამ დავიხსნა და აღარც თქვენ მოგიხდებათ ქუჩა-ქუჩა სიარული და მღერა. ჯერ ეს ინებეთ, და ნურა ხარჯს ნუ მოერიდებით; რაც გნე-ბავდეთ, მოითხოვეთ ჩემგან, ოღონდ მამა თქვენს კი ასიამოვნეთ.

ამ სიტყვების თქმის დროს ქალს მიაწოდა ქისა, რომელშიაც ოქროები იყო.

— ახ, ბატონო! თქვა საწყალმა ქალმა: სიტყვაც ვერ მომინა-ხავს მადლობის გამოსათქმელად.

— მაგას ნუ მეუბნებით, ჩემო კარგო, მე გთხოვთ.

— ის ბედნიერება მაინც მაღირსეთ, რომ ვუთხრა საწყალს მა-მას სახელი და გვარი მისის სულ-გრძელის მეგობრისა.

— თქმათ არა ღირს. ხვალე მე თვითონ ვნახავ მამა თქვენს და იქ შეიტყობთ ვინცა ვარ.

— ჰმ! ეგ არ იქნება, არა! გააწყვეტინა სიტყვა ტანად დაბალმა კაცმა: დეე ეხლავ შეიტყოს სახელი თავის კეთილ-მყოფელისა. იცით, ჩემო საყვარელო შვილო, ვინ არის ეს ბატონი? ეგ ბძანდება თვი-თონ კარლ-მარია ფონ-ვებერი.

* * *

ჩვენს მოთხრობას ამით ვათავებთ. რაღა გავაგრძელოთ? ბედის გზა ვებერმა გაუხსნა ბერტას. მისი წყალობა იყო, რომ ბერტამ ბოლოს დაიჭირა უპირველესი ადგილი მოსიმღერეთა შორის — დიდი სახელი მოიპოვა და რასაკვირველია, სარჩოცა. მამა მისს ეღირსა შვი-ლის დიდების და ბედნიერების ნახვა. კიდევ კარგა ხანი იცოცხლა, მერე გარდიცვალა ყოველის სიკეთით და სიმდიდრით გარემოცული. მის საყვარელს ქალს არაფერი არ შეჰშურებია, რომ მამას გასტკბი-ლებოდა ცხოვრება. მაგრამ ჯერ თვითონ ისევ ცოცხალი იყო, ჯერ

სულ რამდენიმე თვეც არ გასულიყო, მას აქედ, რაც ჩვენი ნათქვამი ამბავი მოხდა, რომ 5 ივნისს 1826 წელსა საუკუნოთ განსვენებას მიეცა მისი სულ-გრძელი მეგობარი უოკლად სახელოვანი გერმანიის კომპოზიტორი, რომლის თხზულებითაც აღტაცებით ჰქტებება დღე-საც მთელი განათლებული ქვეყანა. ეს პატარა მოთხრობა საუკუნო იყოს კარლ-მარია-ვებერისა.

## ႱႾႥႠ ႣႠ ႱႾႥႠ ႠႫႡႠႥႨ ႣႠ ႺႬႭႡႠ

— აი შვილებს როგორ გამოაჩნდებათ ხოლმე დედ-მამის ლოთობა. ლანსეროს გამოუკვლევია, რომ ახალგაზდა ქალებს, რომელთაც ისტერიკა მოსდით, ან დედა ჰყოლიათ ლოთი, ან მამა. ძალიან ხშირია, რომ ლოთის დედ-მამის შვილები, ვაჟი თუ ქალი, ეპილეფსიით არიან სნეულნი და სხვა ამ გვარ სნეულებისათვის გამზადებულნი. 83-ს ოჯახში, რომელშიაც ან დედა ყოფილა ლოთი, ან მამა, 410 ქალ-ვაჟი შვილი დაუთვლია. ამათგან 108-ს, ესე იგი, მეოთხედზედ მეტს ეპილეფსი ჰსჭირებიათ. 1874 წ. მათგან 169 მომკვდარა, 241 დარჩენილა. ამ ცოცხლად დარჩენილთაგან 83-ს, ესე იგი, მესამედზედ მეტს ეპილეფსი გამოჰსჩენიათ.

— ხელთ-ქმნილი ხე. ამერიკის ჩრდილოეთის შტატს ილინოისში ხეებს აკეთებენ ჩალისაგან და ძალიან მაგარს და მტკიცეს. ამ ხელთ-ქმნილს ხეს გული თურმე ძალიან მიუგავს წიფელს და კაკლის ხეს და ამათ მგზავსად გამოდის თურმე კეთებაში. დახერხილი ვერასფერით თურმე ვერ განირჩევა ნამდვილ ხისაგან. ჯერ თურმე ჩალას ერთ პირად გაშლიან, მერე რამდენსამე პირად გაშლილ ჩალას ერთმანეთზედ დააწყობენ, რასაც წამალს ასხამენ და საქაჯავში ძალიან მაგრად გამოატარებენ. ეგრედ გაკეთებული ჩალა წამლის ზედმოქმედებით ხესა კეთდება, ვერც წყალი გაუვა და ცეცხლშიაც თურმე გამძლეა.

— აი პარიჟში როგორ არის მოწყობილი ხორაგის გასყიდვის საქმე! ერთს პარიჟის გარედ-უბანში, რომელსაც ლა-ვილეტს ეძახიან, საკლავებს მოედანია სხვილისა თუ წვრილისა; კვირაში ორჯელ

მორეკენ ხოლმე ხუთი ათასიდამ ექვს ათასამდე სულს მროხას და ხუთმეტი ათასიდამ თექვსმეტ ათასამდე ცხვარს, ღორს ათას ნაირის ჯიშისას. მეორე ბაზარს თუ მოედანს „შუაგულის პავილიონს“ ეძახიან. ეს სწორედ პატარა ქალაქია და თორმეტი უზარ-მაზარი ქვით-კირის სახლი აქვს. ამ სახლებში ჰყიდიან ყოველ გვარ ნადირის ხორცს, ფრინველს, თევზს, ბოსტნეულებას, ხილს, ერბოს, ყველს და ეს სახლები ისე ფართონი არიან, რომ ამოდენა ხალხის, გამსყიდველის, თუ მსყიდველის ხროვა თავისუფლად ეტევა და დადის. თვითონ შიგ ძალიან ლამაზად არის მოწყობილი ბაზარი. ამოდენა აუარებელის ხორაგის საპანეებს რომ არაფერმა დაუშალოს ქუჩაში და თვითონ საპანეებმა არავის დაუშალოს, რკინის გზაა გაკეთებული ქუჩის ქვეშ გვირაბით გატანილი და ეს გზა შეერთებულია სხვა ქალაქ გარეთ-მყოფ რკინის გზებთან. საპალნეები ღამით შემოდიან და მოადგებიან ხოლმე პავილიონებს, აქ დაჰსცლიან რაც კი სოფლიდამ ხორაგეულობა შემოდის და დილით ადრე გაიმართება ხოლმე ბაზარი. აქ ყველაფერს ჰყიდის პატრონი კი არა კამმისიონერი, რომელიც წინადვე ამისათვის დანიშნულია. აქავ საცა კამმისიონერია, მუაჯრით გაღობილი ადგილია.. იმ ადგილას ჩარდად მოვაჭრე სოვდაგარი, ანუ მისი ვექილი დგას და გვერდთ უდგა აქციზის მოხელე კაცი. მყიდველის სახელს ესენი მაშინადვე ჩაჰსწერენ ხოლმე. მუშტრისა და კამმისიონერის შორის აწყვია აუარებელი რიცხვი კალათები, ყუთები. ბოჭკები თევზით, ფრინვლით, ნადირის ხორცით, კიბოებით, მწვანილით და ხილით. თვალის დახამხამების უმალ ერთი წყობა ყოველ ამისა მიაქვთ მყიდველთა და წაღებულის მაგიერ მეორე მოაქვთ ცალკე ამისთვის დანიშნულ კაცებსა. გაყიდულის ფასი მაშინადვე შეაქვთ კანტორაში საცა მყიდველი მიიღებს ხოლმე ბარათს ნაყიდობისას და ნუმერს, რომლის ძალითაც მას ჩაჰბარდება ხოლმე ნასყიდი. პავილიონს გარედ, სავაჭროს პატრონებს შეუძლიანთ, თუ სურთ, მაშინვე მიიღონ თავისის საქონლის ფასი ნაღდად, მხოლოდ ცოტა რამ დაიქს გამოართმევენ და ცოტა რამ ხარჯსა. თუ საქონლის, თუ ხორაგის პატრონი,

იქ არ იმყოფება, გაყიდულის ფულს ფოშტით უგზავნიან სახლში. ამ პავილიონებში ყოველ ცისმარა დღეს ისყიდება ხორაგეულება რამდენიმე ასი ათასი ფრანკისა; მებაღე, მებოსტნე, თუ სოფლელი ვინმე თავის საქონელს მიიტანს ხოლმე რკინის გზაზედ და გამოგზავნის ხოლმე ამ პავილიონებში და დარწმუნებულია, რომ მეორე თუ მესამე დღეზედ ჯეროვანი ფასი მოუვა შინ გაურჯელად და მოუტყუებლად. ამ სახით, გლეხს შეუძლიან რასაც კი ხელში გასასყიდლად მოიგდებს, დაკლული ღორი იქნება, ცხვარი, კვერცხი, თუ ქათმები, ამ პავილიონების სახელზედ გამოგზავნოს, თვითონ შინ იჯდეს და იმედი ჰქონდეს რომ თავისი არ დაეკარგება, რა თქმა უნდა რომ ამ რიგად უფრო კაი ფასად გაეყიდება საქონელი, ვიდრე მაშინ, რომ თვითონ ჩავიდეს და უცნობს ქალაქში მუშტარი ძებნოს, წასვლა-მოსვლაში ხარჯი და დრო დაეკარგოს.

— რა ცხოველი რამდენს ხანს ცოცხლობს. ლორდ ვილიმას ლენოკს გამოუკვლევია ხანგრძლივობა ცხოველთა სიცოცხლისა და აი რა გამოსულა: დათვი ოცს წელიწადზედ მეტსა ცოცხლობს; ძაღლი ოცს წლამდე; მგელიც მაგდენს; მელა — თოთხმეტიდამ თექვსმეტ წლამდე. ლომი ძალიან დიდხანს ცხოვრებს; ერთს ლომს სამოც-დაათ წელიწადამდე მიუხწევია. ორთა შუა რიცხვით კატა თოთხმეტ წლამდე ცოცხლობს; კურდღელი — შვიდს-რვა წელს. დამტკიცებულია რომ სპილო ოთხას წელიწადამდე მიახწევს ხოლმე. ალექსანდრე მაკედონელმა რომ დაიმონავა ინდოეთის მთავარი პორა, გამოართვა ერთი სპილო, რომელიც თავ-გადადებით იბრძოდა თურმე ომში თავის პატრონისათვის. სახელად უწოდა „აიარი“, შეჰსწირა მზის ღმერთსა და უბძანა ჩამოეკიდნათ ზედ სპილოზედ შემდეგი ზედ-წარწერა: „ალექსანდრემ ძემ იუპიტერისამ შესწირა „აიარი“ მზის ღმერთსა.“ მერე სპილო გააშვებინა თავის ნებაზედ და სამას-ორმოც-და-თოთხმეტ წელიწად შემდეგ ეს სპილო ამ წარწერით ენახათ და ხელახლად დაეჭირათ. ღორი მიახწევს ხოლმე ოც-და-ათ წლამდე; მარტო რქა,

ამბობენ, ოცს წელიწადზედ მეტს ვერა ცოცხლობსო. ერთს ცხენს სამოცს წლამდე მიუხწევია, ორთა შუა რიცხვით კი ცხენი ოციდამ ოც-და-ხუთ წლამდე ცოცხლობს. აქლემი ხანდისხან მიაღწევს ხოლმე ათს წლამდე; ირემი დიდძალს წელიწადსა ჰსცხოვრობს, ცხვარი — ათს, ფური ხუთმეტს. ერთი არწივი მომკვდარა ას ოთხის წლისა, ერთ-ნაირი მატია, რუსულად ლებედი, სამას წელიწადამდი ცოცხლობს, ჟილაქვანი, დიდხანს ცხოვრებენ, ერთს კუს ას შვიდ წლამდე მიუხწევია.

— ხრიაკი და ქვიშიანი ადგილიც გამოსარჩომია და გამოსაყენებელი. იმისთანა უხეირო მიწა, რომელიც არც ყანისათვის გამოსადეგია და რომელსაც თითქმის ბალახიც არ მოჰყავს, ერთის სიტყვით ხრიაკი მიწა შეიძლება კაცმა ძალიან კარგად გამოიყენოს. ამისათვის საჭიროა კაცმა მანნა (Gliceria fluitans) დაჰსთესოს. ეს საქმე უცდია ამ ახლო ხანს ერთს ჩეხელს მიწათ-მომქმედსა, რომელსაც ერთი დღიური თითქმის მთლად ქვიშიანი მიწა დაუთესნია და მიუღია მარცვლად 28 ფუთი მანნა და თუ მიწა ცოტად მაინც უკეთესი ყოფილიყო, მოსავალი, რასაკვირველია, უფრო ბევრი იქნებოდა. ცუდი არ არის ამას ყურადღება მიაქციონ ჩვენებურმა სოფლელებმა. მანნა ძალიან კარგად მოდის ყოველს გვარს ნიადაგზედ, გარდა თიხიანისაზედ. მანნა უნდა დაითესოს ნახევარ მაისს ფუთ-ნახევრამდე ორს დღიურზედ. დათესის შემდეგ ფარცხი უნდა სიგძე-სიგანეზედ მოატარონ, რომ ბალახ-ბულახი ამოიკვეთოს. ნახევარს მარიამობისთვეს მანნა შემოდის და უნდა მოიმკოს ნამგლითა და არა ცელითა. რადგანაც მანნას, ქერისამებრ, ადვილად ჰსცვივა მარცვალი, ამისათვის მკაში და მოგროვებაში სიფთხილე უნდა, ნამეტნავად ურემზედ დადებაზედ და გადატანაზედ; სიფთხილე უფრო მაშინ არის საჭირო, თუ მომკის შემდეგ წვიმა მოხვედრია. ექიმი ლიუგენტალი ამბობს, რომ მანნის ფაფა უფრო ყუათიანია, უფრო მარგებელი და გემრიელიაო, ვიდრე სხვა რამე ხორბალისაო. ბოლოს ესეც საჭიროა ვსთქვათ, რომ მანნის ჩალა საგანგებო საჭმელია საქონლი-

სათვის. გალეწის შემდეგ მინაში დაიგუბრდეს, მანამ ჯერ უნდა კარგად გაშრეს და გახმეს. ცეცხლზედ გამხმარი თესლად თურმე არ ვარგა.

— პატარა ქალის ვაჟ-კაცობა. რომის კორრესპონდენტი იწერება გაზეთ „Times"-ში ერთს საკვირველს და სამაგალითო საქმეს გარიბალდის პატარა, თორმეტის წლის ქალის ქველ-მოქმედებაზედ. ამ ახლო ხანში, ერთი ყმაწვილი-კაცი, რომელსაც ცურვა არა ჰსცოდნია, ჩავარდა თურმე წყალში და იხრჩობოდა. ამ დროს გამოევლო გარიბალდის ქალს, დაენახა ეს ამბავი, მაშინვე გადავარდნილიყო წყალში, ეპოვნა მომახრჩვავი, რომელიც წყალს კიდეც დაეძირა, წაევლო თმებში ხელი და მშვიდობით გამოეყვანა ნაპირზედ.

— მოხლილი მარილი ციებ-ცხელების წამლად. მარსელში ერთი საექიმო ჟურნალი იბეჭდება. იმ ჟურნალში ექიმი ბროკესი ჰსწერს, რომ მე ერთი წამალი ხშირად გამომიცდიაო ვენგრიაში და ამერიკაში რომ დავდიოდიო და თითქმის ყოველთვის მომირჩენია იმითი ციებ-ცხელებაო. ეგ წამალი დამწვარი მოხლილი მარილიაო. აი როგორ ურჩევს ხსენებული ექიმი ამ მარილის მომზადებას. ერთი პეშვი წმინდად და წვრილად დაფქვილი მარილი სრულებით ახალს ტაფაში ჩაყარეთო და ცეცხლზედ იმდენ ხან გქონდეთ, ვიდრე დამწვარ ყავის ფრად გახდებაო. მოზდილ-კაცისათვის სამყოფია ერთხანად მისაღებათ ერთი სტოლის კოვზი ამ გვარად გაკეთებული მარილით, გაშლილიო ერთს სტაქანს თბილ წყალშიაო. ეგ უნდა სვას ავათმყოფმაო დილაობით, იმ დროს როცა ციების ვადა არა აქვსო და ამასთანავე დიდი ფარეზობა უნდა გასწიოსო. ბროკესი ამტკიცებს, რომ თვრამეტი წელიწადია ამ წამალს ვხმარობო და ერთხელაც არ შემხვედრია, რომ მისგან კაცი არ მორჩენილიყოსო.

— ხალხის განათლებისს აქმე. ინგლისში ორმოც-და-თვრამეტი ათას სამოც-და-ხუთმეტი შკოლაა (58,075) და სამი მილიონი შეგირდი სწავლობს. ხარჯის ფული ზოგი ეძლევათ მთავრობისა-

გან, ზოგი შეგირდებისაგან შემოდის და ზოგს კიდევ თვითონ ხალხი და მოქალაქენი შეჰსწირვენ ხოლმე. სულ გროვდება სამოც-და-ხუთი მილლიონი ფრანკი. ავსტრიაში ოც-და-ცხრა ათასი ორას სამოცდა თორმეტი შკოლაა (29,272), ამათში ჰსწავლობს სამი მილლიონი და ორმოც-და-ათი ათასი შეგირდი, ასე რომ რვა შეგირდი მოდის ასს სულზედ. საზოგადოდ ამ სახელმწიფოში პირველ-დაწყებით სწავლისათვის იხარჯება სამოც-და-ათი მილლიონი ფრანკი. ბელგიაში 1850 წლიდამ შკოლების რიცხვმა ერთი-ორად იმატა. ამ ჟამად იქ არის რვა ათას სამასი შკოლა (8,300) და ექვსას სამოც-და-ათი ათასი (670,000) შეგირდი ჰყავთ, ასე რომ აქ ასს სულზედ თორმეტი შეგირდი მოდის. ბელგია ერთი იმისთანა სახელმწიფოა, რომელიც მცხოვრებთა კვალობაზედ ყველა სახელმწიფოებზედ მეტს ხარჯავს სწავლისათვისა, სახელდობრ, ოც-და-ხუთს მილლიონს ფრანკს. გოლლანდიაში სამი ათას შვიდას ოც-და-თოთხმეტი შკოლა (3,734) და შეგირდები ოთხას ორმოც-და-ოთხი ათას შვიდას შვიდი (444,707) მცხოვრებთა კვალობაზედ ასზედ თეთრმეტი შეგირდი მოდის. ეს სახელმწიფო შკოლებზედ ყოველ-წლივ ხარჯავს ხუთმეტს მილლიონს სამას თვრამეტს ათასს სამას თექვსმეტს (15,318,316) ფრანკსა. გერმანიაში ყველა ბალღი ექვსის წლიდამ მოკიდებული თოთხმეთამდე მოვალეა უსათუოდ შკოლაში შევიდეს და ისწავლოს. ამ ჟამად გერმანიაში სამოცი ათასი (60,006), ექვსი მილლიონი შეგირდია; მცხოვრებთა კვალობაზედ ასზედ თოთხმეტი შეგირდი მოდის. სახელმწიფო შკოლებისათვის იძლევა ყოველ-წლივ ას ორმოც მილლიონს ფრანკსა. საზრბნეთში ათას სამას ოთხმოცი შკოლაა და ოთხმოც-და-ხუთმეტი ათასი შეგირდი, ასე რომ აქ ასზედ ექვსი შეგირდი მოდის. სახელმწიფო ამის გამო ხარჯს იხდის ყოველ-წლივ ორ მილლიონს ფრანკსა. დანიაში ყოველმა მცხოვრებელმა ხუთმეტ წლამდე მიხწეულმა იცის წერა-კითხვა. აქ ორი ათას ცხრაას შვიდმეტი შკოლაა (2,917) და შეგირდები ორას სამოცი ათასი. აქ ასზედ ცამეტი შეგირდი მოდის. ყოველ-წლივ შკოლებზედ იხარჯება

ხუთ მილლიონ ნახევარი ფრანკი. ისპანიაში ამ ბოლოს დროს შკოლების რიცხვმა ძალიან იმატა. იქ არის ოც-და-ცხრა ათას ოც-და-თვრამეტი (29,038) და ექვსი ათას ოც-და-თვრამეტ ორას ოთხმოც-და-რვა შეგირდი, ასე რომ აქ ასზედ ცხრა შეგირდი მოდის. შკოლებისათვის იხარჯება ყოველ-წლივ ოც-და-ექვსი მილლიონი ფრანკი.

# კორექტურული შეცდომის გასწორება

თავიდამ მეთერთმეტე გვერდზედ, სადაც იწყება „ნიმუშები საზოგადო ისტორიის მოთხრობებისა," გაგვეპარა ერთი ყურადღების მისაქცევი შეცდომა, რომლის გასწორება საჭიროდ დავინახეთ.

აქ ქვევიდამ მეთექვსმეტე სტრიქონში სწერია: მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნეში იერუსალიმი დაიპყრეს, უნდა იყოს: მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნეში იერუსალიმი დაიპყრეს.

სამმავე პოლიციელმა ერთმანეთს შეხედეს, თითქო ამის თქმა უნდათო: „თავს იკატუნებს, მითამ და დამნაშავე არ არის. ვიცით ეგ ხერხიც, ვიცით“.

— გეფიცებით, რომ არა ვიცი რა, განაგრძო მორისმა, რავი თვალი მოჰკრა რომ მოხელეები ერთმანეთს თვალს უშვრებოდნენ: მე იმისთანა არა მიქნია რა, რომ დაჭერას ღირსი ვიყო. მე უბრალო ქართველი ვარ და ალალად ჩემის ოფლით პურსა ვჭამ. ვალი რა არის, ვალიც კი არავისი მმართებს.

— ვალი არა გაქვს, ჰსჩანს მოგიშორებია, უპასუხა რაღაც უცნაურის ხმით კამმისარმა.

— თავის დღეშიაც არა მქონია.

— ვნახავთ მაგასაც.

— მე არავისათვის არა მიწყენინებია რა და პოლიტიკაში სრულებით არ ვერევი და არც გავრეულვარ.

— თქვენ კარგათ იცით, რომ თქვენს საქმეში პოლიტიკის ჩუ-ჩუნიც არ არის. კარგი ერთი, დაანებეთ თავი მაგ კამედიას. ჩვენ არაფერსა გკითხამთ. ის გირჩევნიათ, პასუხები მოიფიქროთ, აი სადაც მიგიყვანთ და იქ გამოგკითხვენ ყველაფერს. თქვენ ყველანი სულ ერთის ყალიბზედ ხართ მოჭრილი.

— ერთის ყალიბზედაო! განიმეორა უნებურად მორისმა: საწყალი ადელი! რა საშინელს ყოფაში იქნება ეხლა! მერე მას შემდეგ რომ იმოდენა ჯავრი გასწია, როცა მე ავათმყოფს მივლიდა.

— ეე, თქვენ განა ავათაც იყავით? ჰკითხა კამმისარმა და თვალი გადაავლო ამხანაგებს.

— მთელი ორი თვე.

— ჰოო, მაშ თქვენც თვითონაც ცოტა გადაგიყლაპავთ. ეგ ჩვენ ადრევაც ვიცოდით.

ამ სიტყვებზედ მორისს თითქო უჩხვლიტეს რამეო, შეხტა თავის ადგილიდამ და ელდაცემულმა გადახედა პოლიციის მოხელეებს, რომელნიც გაოცებით შემოჰსცქეროდნენ. ეხლა კი ყველაფერს მიხვდა

მეთამ. ეგონა, პოლიციას შეუტყვია რომ თავს ვიკლავდით და ამისთვის დამიჭირესო.

— მაშ თქვენ ეგ ამბავი გცოდნიათ, უთხრა მორისმა და ჩაღუნა მორცხობით თავი.

— დიაღ, ვიცით, უპასუხა კამმისარმა: ამას იქით ხომ აღარ იკითხავთ, რად დამიჭირეთო.

მორისმა თავი მაღლა აიღო და თვალი გაუშტერა მოხელეებს. ხელახლად გონებაში ყველაფერი აერია. კამისარმა ხომ სულ გზა და კვალი დაუბნია:

— თქვენს დას მეორეს დღეს წამალი მოუტანა თქვენთვის, უთხრა კამმისარმა: თქვენი და ნიშნებზედ ვიცანით.

ეხლა მორისის ფიქრით ეჭვი აღარ იყო, რომ მიზეზი ამის დაჭერისა ის იყო, რომ თავს იკლავდა. მარტო ამას კი ჰკითხავდა თავის თავს: აქ ვის რა დავა აქვსო? ეს რა დანაშაულობა არისო? მაინც და მაინც ხომ გამომკითხვენო 20-ს ივნისის ღამის ამბავსო და როგორ რა ვჰსთქვაო, რომ პირობა მაქვს მიცემულიო, არაფერი არ გამოვამჟღავნოო. ეხლა მესმის სესილას მოწერილიო. სესილას შეუტყვიაო, რომ ამაზედ გამოძიება დანიშნულიო და ამიტომაც წინადვე შემატყობინაო და ფიცით აღთქმა დამადებინაო, რომ არავის არა ვუთხრა რაო.

პოლიციის მოხელეებს კი ძალიან უხაროდათ. მორისი თავჩაღუნული იჯდა და ხმას არ იღებდა. მორისმა შეიტყო ეხლა რაც ამბავიც არის და დაიფიცა რომ, რაც უნდა დამემართოსო, ხმას არასფერზედ არ ამოვიღებო. მაგრამ მაინც თავს იხეთქდა, აქ მე რა შუაში ვარო და რა საბუთით მიჭერენო. სესილი ცოცხალი იყო და თუ რამ ცუდი მოუხდა ვისმეს, ხომ კიდევ მარტო თვითონ მე მომიხდა და არავის სხვასაო. ყოველმავე ცდამ ამაების გამოცნობისათვის ამაოდ ჩაუარა და ცრემლი წამოჰსქდა თვალთაგან.

ბოლოს ეტლი მივიდა და გაჩერდა კონსერჟერის ბნელ კედლების წინ. დიდი ალაყაფის კარები ხრიალით გაიღო და სწყალ. მორისს

სისხლი გაუშრა ძარღვებში. პირდაპირ შეიყვანეს კანტორაში. კომი-სარმა დატუსაღების ბრძანება მიჰსცა რეგისტრატორს. რეგისტრა-ტორმა გადაშალა ერთი უშველებელი წიგნი და საჭირო ცნობები მოჰსთხოვა მორისს შიგ ჩასაწერად.

— თქვენი სახელი?

— მორის ფერანი.

— წლოვანება?

— ოცის წლისა ვარ.

— ხელობა?

— მებრონზე ვარ.

— სად დგეხართ?

— მორეს ქუჩაში.

— კარგი.

რეგისტრატორმა ხელი მოაწერა, მოაწერინა ხელი კომმისარსაც და უბძანა ერთ ყარაულსა:

— წაიყვანე მეექვსე ნუმერში.

ყარაულმა ბრიყულად წაავლო ხელი მორისს და მკვახედ უთხრა:

— აბა, წამოდი.

საწყალმა მორისმა ყური მოჰკრა რეგისტრატორმა რომ უთხრა კომმისარს:

— მაგის მნახველი არ დაიჯერებს, რომ ავაზაკია. ასეთი მშვი-დობიანი სახის მეტყველება აქვს, რომ ღვდელიც კი ისე აზიარებდაა რომ აღსარებასაც არ ათქმევინებდა.

— არა მგონია, უპასუხა კომმისარმა; მე ვფიქრობ რომ ძალიან ხერხიანი არამზადა რამ უნდა იყოს.

მორისს როგორც მთვრალს ისე მიათრევდა ყარაული. თვალთ დაუბნელდა საწყალს და მთელს ტანში ჟრჟოლამ დაურბინა, როცა სა-ტუსაღოში შეაგდეს და გარედამ კარი კლიტით დაუკეტეს.

ციხის ოთხ კედელ შუა მარტო დაგდებულს საწყალს ყმაწვილ-კაცს ამოუჯდა გული და დაიწყო მწარედ ტირილი. ბევრი იგონა,

ბევრი ჰსჩხრიკა თავისი სინიდისი, მაგრამ არც ერთი სათაკილო საქმე ვერა ნახა ვერც თავის უწინდელ ცხოვრებაში, ვერც ახლანდელში. დიდს ბრალს კი მწამებენო უსათუოდ, ჰფიქრობდა თავის-თავად, თორემ ესე არ მომექცეოდნენ მოხელეებიო და არც მარტო დამამწყვდევდნენო.

— ჰსჩანს მტერი ვისმე მყოლიაო, თუმცა არავისთვის არა მიწყენინებია რაო, ამბობდა თავის თავად იმედ გადაწყვეტილი და გაბოროტებული.

მთელი დღე, რომელიც მეტად გრძლად ეჩვენა, კაცი თვალით არ დაჰნახვებია. სადამოზედ საჭმელი მოუტანა ყარაულმა და იმას ჰკითხა დაჭერის მიზეზი, მაგრამ პასუხად არაფერი მიიღო. საჭმელს ხელიც არ ახლო, დაეცა ქვეშაგებზედ და უნდოდა როგორმე დაეძინა. მაგრამ ძილი არ მიეკარა მის თვალებს. როცა დაბნელდა, მის სენაკში ორი პოლიციის მოხელე შემოვიდა და ხელმეორედ ყველაფერი დაუჩხრიკეს. მორისმა უთხრა, რომ ამას წინადაც გამიჩხრიკეს და ვერა მიპოვეს რაო. მათ ხმა არ გასცეს და ისე გავიდნენ გარედ. გარედ კლიტით დაკეტეს კარი და ურდულიც გაუკეთეს.

მთელი ღამე არა ჰსძინებია მორისს. ყველაზედ მეტად დის ყოფა აწუხებდა. მოაგონდა რა რიგად უმართებულოდ მოექცნენ მოხელეები, მოაგონდა კამმისარის სიტყვებიც, რომ წამალი შენმა დამ მოგიტანაო, და შიშობდა ვაი თუ ისიც დაიჭირონო და საქმეში გააბანო. თავისი და მთელი ღამე გონებიდამ არ მოშორებია. ბოლოს ირაყრაყა კიდეც და მხოლოდ მაშინღა ჩაეძინა მორისსა.

მზე კარგა მაღლა იყო, როცა გამოეღვიძა. გუშინდელი მოტანილი საჭმელი დაინახა და მისწვდა, რომ დანაყრებულიყო, მაგრამ ვერა ჭამა რა. ათის საათზედ ყარაული შემოვიდა და უბძანა, თან გამომყევო. მორისს ეს ამბავი ძალიან იამა. ძლივს ერთი გამომკითხვენ და გამიშვებენო. შეიყვანეს ერთს დიდს და დაბალს ოთახში. სადაც სხვა-და-სხვა სტოლთან ისხდნენ გამომძიებელი და მისი სეკრეტარი.

— აჰა ახლო მოდით, ფერან, უთხრა გამომძიებელმა ოსკარ

ვერშემონმა: როცა დაგიჭირეს, კითხულობდით რაზედ მიჭერთო, მაშინ არ იცოდით რაზედაც. ჩვენ ბევრი ვეში გვაქვს თქვენს გასამტყუნებლად: ტყუილ-უბრალოდ ნუ შეიწუხებთ თავს და გულ-წრფელად აღიარეთ ყველაფერი.

მორისმა შეხედა გამომძიებელს, თვალები დააჭყიტა და პირი ღიათ დარჩა განცვიფრებისაგან. ენა დაება და ხმა ვეღარ ამოიღო.

— თქვენს გულ-წრფელობაზედ არის დამოკიდებული თქვენი ბედი, განაგრძო ვერშემონმა: ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ამ საქმეში მარტო არა ხართ, გვითხარით, ვისა შველოდით?

— მე სრულებით არ მესმის რას თხოულობთ ჩემგან. უთხრა ბოლოს მორისმა როგორც იყო, ძალ-დატანებით.

— გახსოვდეთ, ფერსან, რომ გამოძიება ერთს თვეზედ მეტია რაც სწარმოებს. ჩვენ ყველაფერი ვიცით და თქვენი ტყუილი პასუხი უფრო დაგიმძიმებენ ვეროკანს სასჯელსა.

— ფიცს გაძლევთ, რომ გულ-წრფელად გეტყვით ყველასფერს რასაც მკითხავთ. მე თქვენზედ უფრო მეტად მინდა რომ საქმე მალე გამოაშკარავდეს, მაგრამ პატიოსანს სიტყვას გაძლევთ, რომ თქვენი მუქარა არ მესმის.

ისეთი ალალი სახის მეტყველება ჰქონდა ამ დროს მორისსა, რომ გამომძიებელმა თვალი ზედ შეაჩერა. უმაწვილმა კიდეც გაუსწორა თვალი თამამად და თვალ-დაუხამხამებლად გაუძლო გამომძიებლის ყურებასა.

— თქვენ დიდი ხანია რაც ლეა მედანს იცნობთ?

— არც კი ვიცი ვინ არის. მე დარწმუნებული ვარ, რომ მე მსხვერპლი ვარ რაღაც შეცდომისა.

— პასუხი მითხარით: იცნობდით ლეა მედანს და ხშირად ინახულებდით ხოლმე?

— კიდევ მოგახსენებთ, რომ მე არავის ლეა მედანს არ ვიცნობდი.

— მაშ თქვენ უარ-ჰყოფთ იმის ცნობას! კარგი, ეხლავ გაგ-ტეხთ.

გამომძიებელმა ანიშნა სეკრეტარს და იმან შკაფიდამ გადმოიღო ორი ცარიელი შამპანსკის ბოთლი. მორისი შეწუხებით თვალს ადევნებდა სეკრეტარს.

— უარს იტყვით ამაზედ, რომ თქვენ 20-ს ივნისს საღამოს რვა საათზედ ეს ორი ბოთლი შამპანსკითა იყიდეთ ბეზარისაგან, ღვინოებს რომ ჰყიდის ლიონის ქუჩაში, რკინის გზის ახლო.

— არა, უპასუხა მორისმა და წამოწითლდა: მართალია, ორი ბოთლი შამპანსკი ჩემი ნაყიდია.

— ძალიან კარგი. არც ამას უარ-ჰყოფთ, რომ იმავე დროს სენტანტუანის ქუჩაში მეშაქრის პურისაგან იყიდეთ შაქრის პურები, აი ამის მსგავსი?

— უარს არა ვყოფ. მართალია.

— სხვამ გაყიდვინათ?

— არა.

— მაშ აღიარებთ, რომ შამპანსკიც და შაქრის პურიც თქვენთვის იყიდეთ?

— დიახ.

— რისთვის იყიდეთ?

— ჩემ სასმელად და საჭმელად.

— ხომ იცით რომ ერთს ბოთლში წმინდა ღვინო არ იყო.

— დიახ, ერთში საწამლავი ერია.

— ეჰე!... ძლივს არ გატყდით! რაში ახმარეთ ის საწამლავი?

— მე მინდოდა თავი მომეწამლა და ამისათვის საწამლავი ავურიე.

— ფერან, უთხრა გამომძიებელმა და მხრები აიჭიმა: თქვენი ეგრეთ განზრახული გამართლება არაფრის გამოსაყენია. თქვენს სიტყვა-პასუხს მანძილი არა აქვს. რასაც ამბობთ სულელობაა. თქვენ ებ

ორი ბოთლი და შაქრის პურები 20-ს ივნისს გიყიდნიათ. მერე შინ დაბრუნდით ლაკუეს ქუჩაში?

— დიაღ.

— შინ აურიეთ საწამლავი? სად იშოვეთ?

— წინადღით ვიშოვე ლომბარის ქუჩაში, რადგანაც აფთიქში არ მომცემდნენ. რადგანაც მინდოდა თავი უტანჯველად მომეკლა, ამისთვის მე შავადგინე საწამლავი, ისე როგორც ჩემს სტოლზედ რომ წიგნია იმაში ეწერა და იმ გვარი საწამლავი, კლოდ ბერნარის სიტყვით, მოაჩვენებს ხოლმე კაცს საამო და ვნების ასაღელვებელს სიზმრებსა.

— საწამლავი რომ შეამზადეთ და ღვინოში აურიეთ, გამოხვედით შინიდამ და ბასტილიის მოედანზედ წახვედით.

— დიაღ.

— იქ უცდიდით თერთმეტ საათამდე, მინამ ლეა მედანი მოვიდოდა თქვენთან შესაყრელად.

— მოგახსენებთ მეთქი, რომ არავის ლეა მედანს მე არ ვიცნობ, უპასუხა მორისმა და უფრო წამოწითლდა.

— ვსთქვათ, არ იცნობთ. იქ თქვენთან მოვიდა ერთი ქალი და თქვენ იმას ხელი მიეცით...

მორისმა თავი ჩაღუნა. რა უნდა ეთქვა? ფიცი ჰქონდა მიცემული რომ იმ უბედურის ღამის საიდუმლო ამბავს არავის ეტყვის.

— რატომ პასუხს არ მაძლევთ? ჰკითხა გამომძიებელმა.

— არა, აიღო მორისმა მაღლა თავი და უთხრა გამომძიებელს: მე ბასტილიის მოედანზედ არავინ მინახავს.

— მაშ კარგი, მაგას უარ-ჰყოფთ, უთხრა კერშემონმა დაცინებით: ძალიან კარგი. ხოლო ვიდრე სხვა რასმე გკითხავდეთ მე უნდა ერთხელ კიდევ გითხრათ, ფერანო, რომ ჩვენ ყველაფერი რაც გიმოქმედნიათ, დაწვრილებით ვიცით და უარზედ დგომა სულ ამაოა. ყოველივე თქვენი ბიჯი თერთმეტ საათიდამ მოყოლებული ღამის

პირველ საათამდე, ესე იგი, იმ დრომდე, როცა დაბრუნდით შინ თქვენა და თქვენი სხვერპლი...

— ჩემი სხვერპლიო, განიმეორა მორისმა და გაოცებისაგან არ იცოდა რა ექმნა.

რას მოასწავებდა ეს სიტყვები? ნუ თუ იმიტომ დამიჭირესო, რომ სესილას დედ-მამას თუ ქმარს ჩემზედ უჩივლიათო? ნუ თუ იქამდინ მიიყვანეს სესილაო, რომ ყველაფერი უნდა ეთქვაო და რადგანაც სახელის გატეხას მოჰრიდებიაო, უთქვამს, რომ ოცს ივნისს შემიტყუესო და მახე დამიგესო? ნუ თუ ჩემი თანა-მოაზრე საყვარელი ჩემს სხვერპლათ გახადესო? ნუ თუ უასაკო ქალის შეცდენის ბრალსა მდებენო? ყოველივე ესენი თავში მოსდიოდა მორისსა და ყურს აღარ უგდებდა გამომძიებელს, რომელიც ცდილობდა რომ როგორმე გამოეტეხნა. ეხლა კი ყველაფერი ცხადი იყო მორისისათვის. რა თქმა უნდა, რომ სესილს არაფერში ამტყუნებდა და ყველაფერს მის დედ-მამას აბრალებდა. უსათუოდ ქმარს ყველაფერი შეუტყვიაო და დაჰმუქრებიაო ცოლს გავყრებიო. მაშინ დედ-მამას გაუკეთებიაო, რომ სესილა სხვერპლიაო საზარელის ავ-კაცობისაო; რომ ცარიელ-ზედ დარჩომილს არშიყს მოტყუებით წაუყვანიაო სახლში, რადგანაც ბანკი დაუღევინებიაო და ძალა უხმარიაო. სესილა ჩვიდმეტის წლის-იყო და უასაკო ქალის შეცდენისათვის მორისი შეეძლოთ სამუდამოდ ხაროს სათხრელად გაეგზავნათ. ცივმა ოფლმა დაასხა მორისს. რა უნდა ექმნა? უნდა დაჩუმებულიყო. სესილი შევედრა, ნუ გამცემო და თვითონაც ფიცი ჰქონდა მიცემული. სხვა გზა არ იყო: თავისი ფიცი უნდა შეენახა და მოეცადა, ბოლო რა იქნება.

ეხლა მარტო სიფთხილეღა იყო საჭირო და ხმის ამოუღებლობა.

მინამ ეს ამოდენა ფიქრები თავში უტრიალებდა მორისს, მორისი სულ ჩუმად იყო. გამომძიებელს ვერ გაეგო, რა მიზეზია, რომ ხმა აღარ ამოიღოვო.

— თქვენ გამტყუნებთ თქვენივე აშფოთება, უთხრა მესამედ გამომძიებელმა: მაინც არა გსურთ პასუხი მომიგოთ?

— რაზედ? უპასუხა მორისმა თითქო ეხლა გამოიღვიძაო.

— ვინ იყო ის ქალი, რომელიც მოგყვანდათ ოცს ივნისს ღამეს თორმეტის ნახევარზედ კონტრესკარპის ბულვარზედ? ამ ნიშნით რომ უთხარით კიდეც: „მე ვიტანჯებით, უშენოდ ყოფნა აღარ შემიძლიანო“ და ქალმაც გიპასუხათ: „მე შენ მიყვარხარო, ნეტავი შენთან მოვკვდეო.“

— მე ვერას გეტყვით.

— თქვენა გგონიათ, მაგაებით თავი გადირჩინოთ? ხომ უარსა არა ჰყოფით, რომ საწამლავი იყიდეთ და თქვენის ხელით მოამზადეთ. როცა გკითხამენ, რათ გინდოდათ საწამლავიო, თქვენ გვეუბნებით, მე თვითონ მინდოდა თავი მომეწამლნაო... მართალია, ჩვენ ვიცით, რომ საწამლავი მიგიღიათ ისე უნებლიეთ და მერე იმოდენა, რომ დიდი ვნება არ შეეძლო. ამასაც ამბობთ, რომ მაქრის პურებიც მე ვიყიდეო, ვინ იცის იქნება იმ აზრითაც რომ ცარიელის მუცლით არ მომკვდარიყავით. ძალიან კარგი, მაგისთანა თადარიგი ყოველთვის საქებია. ხოლო ერთი ეს მითხარით: რა აკეთეთ ოცს ივნისს მას შემდეგ, როცა მამპანსკი იყიდეთ და საწამლავი მოამზადეთ.

— მე ვერას გეტყვით, განუმეორა მორისმა და სულ მოიშალა რაღაცა შეიტყო-რომ არამც თუ უნახავთ სესილასთან ერთად, არამედ გაუგონიათ კიდეც ერთმანეთისთვის რა უთქვამთ.

— მაშ სულ უარზედ დგეხართ რაღა?

— აბა რა ვსთქვა, რომ არაფერს მიჯერებენ.

— გაითხილდით, თქვენი აშფოთება და ის, რომ ვერ აგვიხსნათ რა აკეთეთ დანაშაულობის ღამეს, თქვენი გამამტყუნებელი საბუთია.

— დანაშაულობის ღამესაო! განიმეორა მორისმა და ულდა ეცა.

— უკანასკნელადღა გკითხავთ, მორის ივერანო, გსურთ რომ პასუხი მომცეთ, თუ არა?

— არა, არა! არ შემიძლიან, არ შემიძლიან, ძლივს წარმოსთქვა

სულ შეგუბებულმა მორისმა: მე კაცის მკვლელი უნდა ვიყო? მე?... გაიმე, ვაიმე!...

ხელები გაიწვდინა საცოდავმა, თითქო უნდაო რასმეს მოეჭი-დოსო, დაბარბაცდა, საზარელის ხმით ამოიკვნესა და გულ-შემოყრი-ლი დაეცა დედა-მიწაზედ.

## VI

### რა კაცი იყო ჩუმად-მაძიებელი ბოიე.

თუ მკითხველს ახსოვს, მორისს რომ ციხეში ჰსვამდნენ მოხე-ლეს, რომელმაც მორისის სახელი და გვარი დავთარში ჩაჰსწერა, ეოცა მორისის ავ-კაცობა, რა ნახა ამ უმაწვილის პატიოსანი და მშვიდო-ბიანი სახე. მაშინ იქ ერთი პოლიციელი იყო რომელმაც უთხრა, თქვენ ეგ [illegible] გგონიათ, დიდი არამზადა უნდა იყოსო. ის პოლიციე-ლი ჩუმად-მაძიებელი ბოიე იყო.

ბოიე პატიოსანი კაცი იყო თუ არა? არ იყო. დედა-მისი იყო ერთი ფარისევლი ღვთის მოყვარე დედა-კაცი და მამა კი არავინ იცოდა, ვინ იყო. გაიზარდა იეზუტების ხელში და პატარაობითვე შეეჩვია ჩუმად-მაძიებლის ხელობას. იეზუიტებმა ჩაუნერგეს გულში ადამიანის არაფრად ჩაგდება და ყოველივე სათნოების უარ-ყოფა. ამის გამო შედგა თუ არა ფეხი ცხოვრებაში, ახალ-გაზდა ბოიემ ბევრი უსიამოვნება ნახა და რადგანაც მისს ზნეობითს კანონებს არავითარი სიმტკიცე არა ჰქონდა, ჯერ პატარა იყო რომ ურმათა სამწყვდეულო-ში ჩააგდეს და მერე ხომ ციხეშიაც ამოაყოფინეს თავი. იქ ლაქუ-ცობით და პირ-ფერობით, რომელიც იეზუიტებისაგან ესწავლა, მოი-ნადირა ციხის უფროსების გული და ტყუილის ღვთის-მოყვარეობით კიდევ--აბატის გული. ეს საკმარისი იყო, რომ დანაშაული ეპატიე-ბინათ და რადგანაც შეამცნიეს, რომ დიდი მეთვალ-ყურეა და ენა-მტანიაობაც ძალიან უყვარს, იფიქრეს, ეს კაცი გამოგვადგებაო და ჩუმად-მაძიებელ პოლიციაში ადგილი მიჰსცეს. ამისთანა სამსახური

სწორედ ასლი იყო იეზუიტებისაგან გაწურთვნილ შაგირდისათვის. სხვა რაც უმოქმედნია და ჩაუდენია ბოიეს, ჰსჯობია, რომ არა ვთქვათ.

ციხიდამ ბოიე პირ-და-პირ გამომძიებელთან წავიდა და უამბო ყველაფერი მორისის დაჭერის შესახები. როცა ვერშემონმა უთხრა, რომ მე მგონია, ეს ამხანაგია და არა თვითონ მკვლელიო, ბოიე დაეთანხმა.

— მე მაგისათვის გიახელით, უთხრა ბოიემ: ეხლა რას მიბძანებთ, რა საქმეს დავადგე?

— ჩვენ ვიპოვეთ ზარდაკი, რომელისაგანაც საცოდავს ლეა მედანს ბანკის ბილეთები ეყიდნია ამ ბოლოს დროს. ბილეთების ნომრებიც ხელში გვაქვს. თქვენი ძიება ეხლა ამ საგანზედ უნდა იყოს მიქცეული.

— ყადაღა უნდა დაედოს ამ ბილეთებს.

— მაგის განკარგულება მოვახდინეთ კიდეც რამდენისამე დღის წინად და ზომიერებაც მიღებულია, რომ იმ ბილეთების გამომჩენელი დაიჭირონ. ძვირფასი ნივთები, რომელიც ლეა მედანისათვის მოეპარათ, გაეყიდნიათ ლონდონში მესამე დღესვე ლეა მედანის მოკვლის შემდეგ ასე, რომ ჩვენს მიწერილობას ვერ მიუსწვრია. ნიშნები ნივთების გამყიდველისა სულ სხვაა და დაჭერილ ყმაწვილ-კაცს არაფერი უგავს. ამ ნიშნების სიას და ბილეთების ნუმრებს გადმოგცემთ ჩემი სეკრეტარი.

— სხვა არაფერი ცნობა არა გაქვსთ?

— არაფერი. მე გამოვკითხავ ფერანს, იქნება გამოვათქმევინო ერთი რამ იმისთანა სიტყვა, რომელიც კვალში ჩაგვაყენებს.

— ძალიან ძნელია იმას გამოათქმევინოთ რამე. თვალად ისეთი მორჩილი, წყნარი და უმანკოა, — ოჰ, ძალიან ხერხიანი არამზადაა.

— რას ბძანებთ? სულ ყმაწვილია და გამოუცდელი. რაც კი ვიცით და გაგვიგონია იმის უწინდელ ცხოვრების თაობაზედ, სულ ყოველი მისი სასაქებლოა.

— ეგ მართალია, მაგრამ გარეგნობით ძნელი არ არის კაცი მოტყუვდეს. ნახევარი ხალხი, რომელნიც ბულოვარზედ ჩანან, ჯიბგირნი და საქმიანი კაცები არიან. მე თავის დღეში მაგისთანაებში ჩანგალში არ მოვხვდები ხოლმე. ერთი ეს არის ლორდ-საცნობი: ღვთის-მოყვარეა თუ არა? თუ არ არის, ეგ კი ნამდვილი საბუთია, რომ ცუდი კაცი ყოფილა.

— მე მაგას შევიტყობ, უპასუხა ვერშემონმა და რომ ლაპარაკი გაასწყვეტინოს, განუმეორა: გამოართვით სეკრეტარს ნივთების გამსყიდველის ნიშნების სია და ბილეთების ნუმრები.

ბოიემ პატივის-ცემით თავი დაუკრა და გამოვიდა ოთახიდამ. კანცელარიაში მიიღო ჯეროვანი სასუქარი დამნაშავეს დაჭერისათვის და წამოვიდა შინ დასაძინებლად, რადგანაც მთელი დღე ფეხზედ იდგა და მოიღალა. მიუსკის ქუჩაში იდგა. შეაღო კარი თუ არა, მეკარემ შეაჩერა.

— პატრონო ბოიევ! უთხრა მეკარემ: ეს ეს არის თქვენს ძალუას პელიარის ქვრივს თქვენთან კაცი გამოუგზავნა, ავათ არის თურმე და გთხოვთ ეხლავ წახვიდეთ სანახავად.

— კარგი, ეხლავ წავალ, უპასუხა ბოიემ.

ამისი ძალუა პელიარის ქვრივი სენ-პოლის ქუჩაში იდგა. ამ ქუჩაში მივიდა თუ არა ბოიე, შეიტყო რომ ბებერს პელიარის ქვრივს იმ დილით წვეთი მოსვლია და ეხლა კი ცოტა უკეთ არისო. შენთან გამოგზავნა ქვრივმა კაცი, ამიტომაო რომ მისი შვილი ამ ჟამად პარიჟში არ იმყოფებაო. ბოიე მარდად ავიდა კიბეზედ მესამე სართულში და შეშინებული, აღელვებული შევარდა ქვრივის ოთახში.

— რა დაგემართა, ძალუავ? დაიძახა მან თვალ-ცრემლიანმა: ავათ ხარ? ვაი შენ ჩემო თავო! ვაი ამ დღის მნახველს!... რა წამსაც ეს ამბავი შევიტყე, თავი დავანებე კანცელარიაში ჩემს სამსახურს და აქეთ გამოვიქეცი. ეს რა მოგსვლია?

— არაფერი, არაფერი, შვილო, ეხლა უკეთა ვარ. უპასუხა ბე-ბერმა, რომელსაც ძლიერ იამა, რომ მაზლის-წულმა ასეთი გულ-მტკივ-ნეულობა აღმოუჩინა და დაუმატა თითქმის ტირილით: ახ, ჩემი შვი-ლი რატომ შენ არა გგავს?

— მაგაზედ ლაპარაკი ეხლა რა დროსია. ყმაწვილი კაცი ჯერ გონზედ თავის დროზედ მოვა. გულს ნუ იშფოთებ, მე აქა ვარ, მე მოვუვლი.

— ჰო, ჰო ჩემო კარგო; მე დარწმუნებული ვარ, რომ თავს არ დამანებებ. შენ ჩემი მეორე შვილი ხარ... და პირველზედ უფრო შემ-[illegible].

— მიბძანეთ რაც გნებავსთ, ძალო! მე თავისუფალი ვარ და თქვენთან ვიქნები. მე მარტო პატარა ბარათს მივწერ კანცელარიის დირექ-ტორს.

ბოიე ყველას არწმუნებდა, რომ საპრეფექტოში მსახურებს და ამიტომაც პატივი ჰქონდა. ამისი ავან ჩავანობა მალუას სახლში ორიოდე სიტყვით გამოიხატება. ამ ბებერ დედა-კაცის შვილი, მეტად პატიო-სანი ყმაწვილი კაცი, ცოტა ხელ გაშლილი და ადვილად ამყოლი იყო. იგი გაება რაღაც სავაჭრო საქმეებში, დაელუპა ამ საქმეებში ფული, რაც მამისაგან დარჩენოდა და ეხლა დღე და ღამ იბრძოდა, რომ ხელ-მეორედ თავისი საქმეები გაესწორებინა. დედას ძალიან უყვარდა იგი, მაგრამ ის აწუხებდა, რომ შვილი მეტად თავის-ნების კაცია და ამას გარდა ლაპარაკში ისე უპატიურად იხსენიებდა მღვდლებს და სამღვ-დელოებს, რომ მოხუცებულს დედას ელდა ეცემოდა ხოლმე. ლუი პა-ლიარი — ასე ერქვა დედაბრის შვილს — არც ერთს შემთხვევას არ დაჰკარგავდა, რომ დედისათვის არ წაეკითხნა, ან არ ეამბნა, თუ სადმე მღვდელს ზნეობის წინააღმდეგი საქმე ჩაედინა. დედა-ბერი თითქმის გაავთრდებოდა ხოლმე, ჰსწამებდა ულვთოობას და ეტყოდა: აი შენს ბიძა შვილს ბოიეს მაინც მიჰბაძე, ღვთის მოყვარების მაგა-ლითია. მაშინ ლუიც ხუმრობა გაშვებით აშას ძალიან იწყენდა ხოლმე.

— თავის დღეში ნუ მეტყვით ნურას იმ ფარისეველზედ, იმ უსირცხვილო ენა-მტანიაზედ, — ეუბნებოდა ხოლმე შვილი: ჰსჯობს ის აქ არ მოდიოდეს როცა მე აქა ვარ, თორემ მე ვიცი…

ბოიემ იცოდა, რაც ამბავია ძალუას ოჯახში და ცეცხლზედ ზეთს ასხავდა რაც შეეძლო. ბოლოს იმდვენი იხერხა, რომ დედა შვილს წაჰსჩხუბა. ხანდისხან კი დედა-შვილი ერთმანეთს ინახულებდნენ ხოლმე, მაგრამ ძალიან მცირად. ბოიე ცდილობდა, რომ შვილის ფეხი დაიშოროს ძალუას სახლში, რადგანაც იმედოვნებდა, რომ ძალუა თავის ქონებას თუ სულ არა, ნაწილს მაინც ამას უანდერძებდა. ამიტომაც, როგორც მშიერი მგელი, ისე ელოდდა თავის ძალუის სიკვდილსა.

— დიახ, ძალო! განაგრძო ბოიემ: სიფთხილეს თავი არ აჰსტკივა, ვინ იცის რა მოხდეს? ყველაფერი ღვთის ნებაა. ჰსჯობია, რომ მთელი დღე შენთან ვიყო.

— მადლობელი ვარ, შვილო! მე დილას ძალიან შემეშინდა, მე მეგონა ჩემი აღსასრული მოვიდა მეთქი. მე ვეღარასა ვხედავდი, ვეღარა მესმოდა რა.

— მოძღვარი მაინც მოიწვიეთ, თუ არა?

— არა, ჩემო კარგო, მინდა კი რომ მღვდელი მომიყვანო. აბა ერთი წადი; მაგითი ხომ სიკვდილი არ მოისწრაფება, მაგრამ გულზედ კი როგორღაც მოეშვება ხოლმე კაცს.

ამ სიტყვებზედ ბოიემ თვალი დააკვირვა დედა-ბერს. ძალიან ცუდად უნდა ეგრძნო თავისი თავი დედაბერს, რაკი ასე გაბედა ლაპარაკიო. ამის შემდეგმა ლაპარაკმა უფრო დაარწმუნა, რომ დედა-ბრის საქმე წასულია.

— ლუისაც დეპეშა გაუგზავნე, შენ გეთაყვა. იმისი ნახვა მინდა. ნუ მისწერ კი, რომ მღვდელი დავიბარე.

„სწორედ წასულია ძალუა ჩემის საქმეო“ იფიქრა ბოიემ რაღაც ბოროტის სიხარულით: ჩემს თავს უნდა ვუპატრონოვო, თორემ ლუკმა ხელიდამ წამივაო“.

ჯერ ყველაზედ უწინარეს დედა-ბერს ნუგეში ჰსცა, ეტყოდა, რომ თქვენ სამაგისო არა გიშირთ რაო; მერე ადგა და წავიდა, რომ ჩვეული ექიმი მოჰგვაროს და თავისი საკუთარი მეგობარი მღვდელი მოიყვანოს.

— ჩემო სულიერო მამაო, უთხრა ბოიემ მღვდელს, ტირილით და ქვითინით: მე საშინელი უბედურება მეწვია, — ძალუა, რომელმაც გამზარდა როგორც ღვიძლმა დედამ, მიკვდება. ერთი ეგლა დამრჩა მთელს ქვეყანაზედ, მარტო ეგლა მიყვარდა და ეხლა ვშიშობ, რომ ღმერთი წამართმევს.

— თუ ნება ღვთისა ეგეთია, შვილო ჩემო, შენ უნდა მოწიწებით დაემორჩილო. უკეთესს ქვეყანაში გადიყვანს უფალი. ხოლო უნდა ეცადოთ, რომ გარდაცვალება მისი ქრისტიანულის წესით იქმნას.

— მამაო, მეც ვიცი რომ უნდა მოწიწებით დავემორჩილო ღვთის ნებას, მაგრამ მწუხარება ძნელი რამ არის. თვითონ ძალუასაც ჰსურს რომ ქრისტიანულად აღსრულდეს და თქვენს წასაყვანათ გიახელით. მე არ ვიცი, საკუთარი მოძღვარი ჰყავს თუ არა ძალუა ჩემს, ეხლა კი უფრო ის ირჩია, რომ უცნობს ღვთის მსახურს გაენდოს.

— მე ეხლავ ავუსრულებ სურვილსა, ჩემო შვილო!

— ძალუა ჩემი სწორედ წმინდანებშია შესარიცხი, განაგრძო ბოიემ მინამ მღვდელი მზადებაში იყო წასასვლელად: შვილი კი სამაგელი რამა ჰყავს, არა ჰსწამს რა, არც სინიდისი აქვს, არც პატიოსნება; სიცოცხლეს ის უმწარებს ძალუა ჩემს. მამა მისი და ბიძა ჩემი რომ გარდაიცვალა, იმ არამზადამ სულ გაფლანგა მამის მონაგარი და ეხლა ძალუა ჩემს არ უნდა მემკვიდრეობა იმას დაუგდოს, რადგანაც ეშინიან, რომ გააფუჭებსო. თუნდ ეგ არ იყოს, მე უფრო მახლობელი შვილი ვარ, ვიდრე ლუი, თუ სახეში ვიქონიებთ ჩემს გულითად სიყვარულს ძალუა ჩემის მიმართ. თუმცა ძალუა ჩემი ძალიან მდიდარი არ არის, მაინც კარგა ფული აქვს და მე ძალიან მადლობელი ვიქნე-

ბოდი თქვენი, მამაო, თუ დაუშლით, რომ თავისი ქონება მთლად არ დაუგდოს იმ კაცს, რომელიც მართო სახელით არის შვილი და არა საქმით. თქვენ მე კარგად მიცნობთ, მამაო, და მიმიხვდებით, რომ მართლა ჩემის თავის სარგებლობაზედ არ ვლაპარაკობ. ბევრი ღარიბი კაცია, რომელსაც ძალუა ჩემი ხელს უმართავდა და თუ ძალუა მოინ-დომებს, მის მაგიერობას გავუწევ იმ უბედურებს ღმერთმანი; ცოდვაა იმ უბედურების უპატრონოდ დაყრა, მერე ვის გულისა-თვის?

— მე თქვენ მეტად კარგად გიცნობთ, შვილო ჩემო და ვერა-ფერს ცუდს ვერ შეგწამებთ. მე თქვენს ნათესავს მოვაგონებ მას, რაც, ჩემის აზრით, მისი ვალია და დავითანხმებ, რომ აღასრულოს თავისი უკანასკნელი მოვალეობა.

ბოიემ დიდის მოწიწებით მიიყვანა მღვდელი დედა-ბერთან. დედა-ბერმა იცოდა რაც ამბავი მის თავზედ, ტყუილ იმედებით არ ინუგე-შებდა თავს და ამიტომაც ძალიან იამა მღვდლის მოსვლა.

— მადლობელი ვარ, შვილო, უთხრა დედა-ბერმა ბოიეს: ჩემი მოძღვარი უსათუოდ ვერ გიპოვნია და სხვა მღვდელი მოგიყვანია, კარგად გიქმნია, მე ვგრძნობ, რომ ცუდათა ვარ.

ბოიე ოთახიდამ გავიდა, გაიხურა კარები და ყური კლიტის ჯუ-ჯრუტანას მიაკრა, აგება გავიგონო რამეო.

საწყალი დედა-ბერი გაენდო, აღიარა რაღაც ცოდვები და უფრო ყველაზედ მეტად იმას ნანობდა, რომ შვილს მეტად სასტიკად ვექ-ცეოდიო. მღვდელმა ბოიეს ჭანგზედ გაუბა ლაპარაკი, მაგრამ დედა-ბერმა გააწყვეტინა სიტყვა.

— არა, მამაო, ღუი პატიოსანი კაცია, ჩასძახა დედა-ბერმა: მართალია მამის მონაგარი შემოუხარჯა, მაგრამ ბედოვლათობაში არა გაუფუჭებია რა, დღე და ღამ საქმეში იყო და ბედი არ დაეხმარა. კარგი შვილია და მეტად კეთილშობილი კაცია. რჯულის წინააღმდეგი არ არის, მხოლოდ გარეგანს წესს არ ასრულებს. ის ჩემზედ უფრო

მოშეტებულად შეეწევა ღარიბებს ჩემს შემდეგ და აი რის გამო არ მინდა, რომ ანდერძი სხვის სახელზედ შევადგინო. ყოველი რაც კი მაბადია, ჩემის შვილის კუთვნილებაა და როცა მოვკვდები პირდაპირ იმას ჩაჰბარდება, როგორც ჩემს მხოლოდ შობილს შვილს.

— კაცი ყოველთვის სამართლიანად უნდა იქცეოდეს. იქნება სხვა ნათესავებიცა გყავანდეთ, რომელთაც თქვენ უყვარხართ შვილზედ არა ნაკლებ და რომელთაც ისე უყურებდით როგორც ღვიძლს შვილებს.

— თქვენ იქნება ბოიეზედ ლაპარაკობთ. კაი ბიჭია, მაგრამ კარგი თანამდებობა აქვს და ბედნიერათ ცხოვრობს. თვითონვე ხშირად უთქვამს ჩემთვის, მე ჩემთვის კარგათა ვარო და არაფერს ვსაჭიროებო. თუნდ ეგ არ იყოს, თუ რამ გაუჭირდა, თვითონ ლუი უპატრონოდ არ დააგდებს.

მღვდელმა გააბა ლაპარაკი ეკლესიაზედ, ღარიბებზედ, რომელიც დავიწყებას არ უნდა მიჰსცეთ ამისთანა დროსაო, მაგრამ ამაოდ.

ბოიემ ყური მოაშორა ამათ ლაპარაკს. ტანში გაიმართა, წარბი ჩამოუშვა და ტუჩების კვნეტით წაიდუდღუნა:

— მაშ კარგი! ყველაფერს იმას აძლევ განა?... მე კი არაფერს?... მაგასაც ვნახავთ! არა მაინდერმე რა განა! დამაცა!...

როცა მღვდელმა კარი გამოაღო, ბოიემ მაშინვე მწუხარების სახე გაიკეთა და ნაღვლიანად ჰკითხა:

— რაო, მამაო, ძალუა ძალიან ცუდად არის განა?

— ღირსეული, წმინდა დედა-კაცი ყოფილა, უთხრა მღვდელმა, რადგანაც პირ და პირის პასუხის თქმას მოერიდა: შვილს შეატყობინეთ?

— დიალ, დეპეშა გავუგზავნე.

— მეორეც გაუგზავნეთ. საჭიროა, რომ მოასწროს. შეუთვალეთ, რომ აღარ დაიგვიანოს. მშვიდობით, ჩემო მეგობარო, ილოცეთ ძალუა თქვენისათვის.

წავიდა მღვდელი თუ არა, ექიმიც მოვიდა. შეხედა თუ არა დედა-ბერს, მაშინვე მიხვდა რა დღეშიაც არის. წამალი დაუწერა, ორიოდე სანუგეშო სიტყვა უთხრა და როცა კიბეზედ გამოვიდნენ ისა და ბოიე, უთხრა ბოიეს:

— ძალუა თქვენი უკანასკნელ დღეშია; დიდი ამბავი იქნება რომ ხვალამდე გაასწიოს. ეს მეოთხეთ დაეცა წვეთი, დამბლა მოუვიდა. ერთს საათს უკან, ენაც დაებმის... ეხლავე უნდა შეატყობინოთ ღუის, მისწერეთ, რაც შეიძლება ჩქარა წამოვიდეს. თავის დღეში სანანურად გაუხდება, თუ ცოცხალს არ მოუსწრო.

— მე დეპეშა დიდი ხანია გავუგზავნე.

— მიკვირს, აქამდე რათ დაიგვიანა. აქ ხომ სულ ერთის საათის სავალია რკინის გზით. მეორე დეპეშა გაუგზავნეთ; საქმე ძლიერ საშურია.

— მე ეხლავ გავიქცევი სატელეგრაფოში, უთხრა ბოიემ.

— კარგი, თქვენ წადით და მალე კი დაბრუნდით, მე ავათმყოფთან ვიქნები. მარტოთ დაგდება არ შეიძლება.

ბოიემ მოატყუა მღვდელიც და ექიმიც; დეპეშა არ გაეგზავნა თავის ბიძაშვილისათვის. ეხლა კი როცა ექიმმა დაარწმუნა, რომ ერთს საათს შემდეგ ენა დაებმისო, გული დაუწყნარდა, გაიქცა დეპეშის გასაგზავნათ და გზა და გზა მიდუღდუნებდა: „მინამ ის მოვა, მე ჩემს საქმეს გავარიგებო.

ექიმი მომაკვდავ დედაბერთან შევიდა.

— ჩვენო კეთილო, მარიანავ, უთხრა ექიმმა დედა-ბერს: ნუ გეშინიანთ, ეგ იმისთანავე ავად-მყოფობაა, რომლისაგანაც მე ამას წინად მოგარჩინეთ. თქვენ მალე უკეთ შეიქმნებით, მაგრამ სიფთხილეს მაინც თავი არ ასტკივა; არ იქნება ურიგო რომ თქვენი საქმეები ცნობაში მოიყვანოთ. მაგით ხომ სიკვდილი არ მოგიჩქარდებათ. თქვენი შვილი ღუი ეხლა გონებაშია ჩავარდნილი, შესაძლოა ავად-მყოფობა გაგიძლიერდეს და ღუისათვის საჭირო იქნება იცოდეს რა მდგომარეობაშია თქვენი საქმეები.

— ბატონო ექიმო, უპასუხა დედა-ბერმა დასუსტებულის ხმითა: მეც ეგრე მსურს. ყოველისფერი მე მინდა იმას ჩავაბარო და ჩემთან გამყოფო.

— მაგაზედ უკეთესს ვერას იზამთ.

— მე ბანკის ბილეთები მაქვს, რომელნიც მე არ მეკუთვნიან; გირაოდ მაქვს. ეს მინდოდა შემეტყობინებინა ჩემის შვილისათვის. სხვა ყოველი ნოტარიუსთანა მაქვს. ლუი ყველაფერს ნოტარიუსისა-გან მიიღებს.

— მინამდე ხომ არ გნებავთ მე მომანდოთ რამე.

— არა, არა. ჩემს საქმეებს მარტო ჩემს შვილს შევატყობინებ.

— გვარები მაინც მიბრძანეთ ვისაც თქვენგან ფული უსეს-ხნია.

— ვერ გეტყვით, ვერ; მაგას მარტო ჩემს შვილს ვეტყვი.

ექიმი ორ ცეცხლ შუა იყო. ვერც ეთქვა პირდაპირ, რომ უკა-ნასკნელ დღეში იყო, რადგანაც შიში გულს უფრო გაუხეთქდა და იმის ჯავრიც ჰქონდა, რომ ვაი თუ ლუიმ ველარ მოუსწროსო. ექიმი დიდი ხნის მეგობარი იყო ამ ოჯახისა და ძალიან ეჯავრებოდა ბოიე. იცოდა რომ ქვეშ-ქვეშა გაცია, მაბეზღარი, ენა-მტანია და რასაკვირველია ექიმი თავის დღეში არ ურჩევდა მომაკვდავს დედა-ბერს, რომ შენი საქმეები შვილის მოსვლამდინ ბოიეს ჩააბარეო.

ბოიე რომ მოვიდა სატელეგრაფოდამ, დეპეშის გაგზავნის ბა-რათი აჩვენა ექიმს. ექიმი გამოეთხოვა დედა-ბერს და შინ წავიდა, უთხრა კი ბოიეს, რომ თუ ვინიცობაა ლუი გვიან მოვიდეს და დედა-ბერს ენა წაერთოსო, შემატყობინეთო.

ბოიე მარტო დარჩა მომაკვდავ დედა-ბერთან. საწყალს დედა-ბერს ყური კიბისაკენ ეჭირა და ხმაურობა რამ რომ მოესმოდა, ეტ-ყოდა ხოლმე ბოიეს უფრო და უფრო სუსტის ხმითა:

— აბა ნახე, ლუი ხომ არ არის...

ბოიე ცოტა ხანს იჯდა დედა-ბერთან და მერე სამზარეულოში გავიდა, რომ რაღაც სასმელი მოემზადოს სნეულისა და როცა უკან დაბრუნდა ელდა ეცა. დედა-ბერს უაზროდ გაშტერებოდა მინათ ქცეული თვალები და ენა ჩავარდნოდა. სიკვდილის მომასწავებელი ზარი უცემდა გულში. ელდამ მალე გადუარა, სახეზედ დაეტყო რაღაც ღვარძლით სავსე სიხარული, თავ-მოწონებით თავი მაღლა აიღო და ჰსთქვა:

— ძლივს აქაურობის პატრონი მე არ გავხდი! მერე მიუბრუნდა დედა-ბერს, რომლის ჩამქრალი თვალი გაშტერებით შეაჩერდა ამას და ბოროტმა ბოროტის ღიმილით წამოიძახა: აი მე სულელო შებრუ-ცანავ, არ გინდოდა განა ჩემთვისაც დაგეგდო რამე. მაშ კარგი, რა-საცა ვნახავ მე თვითონ ავიღებ. ჩემს თავს ცარიელს არ გავუშვებ აქედამ.

მომაკვდავს თვალებში ისე აუბრიალდა თითქო ცეცხლი წაეკიდაო, მაგრამ ღონე აღარა ჰქონდა ან დაძრულ იყო, ან ხმა ამოეღო. ისე უნუგეშოდ, უღონოდ, უმწეოდ დარჩომილი თვალს ადევნებდა ყოველს მოძრაობას ამ ნამუს დაკარგულ ქურდისას.

— არ გინდოდა განა ჩემთვისაც მოეცა რამე, განაგრძო ბოიემ: მაშ ჩამალული მე ქოიაკო და მინამ შენი ლუი მოვა, მე ჩემთვის კაი ლუკმას გადვიგდებ...

ხელ ახლად მოჰყვა მხეცურად ჩარხვას, დაავლო ხელი გასაღე-ბებს, ბებრის ზანდუკს შეურჩია ერთი მათგანი, გააღო და მოჰყვა ქაღალდების ქოთუზოს. ოთახში დუმილი იყო, მარტო კედლის საათის რაკა-რუკი ისმოდა და გულის ფეთქა მომაკვდავისა.

დედა-ბერი უძრავად იწვა ლოგინზედ სრულებით უმწეოდ, თუმცა სრულ გონებაზედ კი იყო. ყველაფერს ხედავდა, ყველაფერი ესმოდა. ჰგრძნობდა საწყალი, რომ სიკვდილი თან და თან ეპარება. ცდილობდა დაეძახნა, მაგრამ ამით უფრო თავს ისუსტებდა. უნდოდა ეთქვა, რომ ბანკის ბილეთები, რომელნიც ზანდუკში იპოვა ბოიემ, სხვისაა და მხო-

ლოდ გირაოთა მაქვსო, მაგრამ ენა ველარ დაძრა ის საძაგელი უნამუსო კაცი, რომელსაც ერთის დროს შვილს ამჯობინებდა, ქურდი იყო და სხვა არა რა და ეხლა სულთა-ბრძოლის დროს ჰცარცვავდა უმწეო დედა-ბერს, ჰსტაცებდა სხვის საქონელს და ამით სამუდამოდ ჩირქს აცხობდა დედაბრის პატიოსანს სახელსა.

თვალთ დაუბნელდა კიდეც დედაბერს, როცა ბოიემ დაბეჭდილ ქაღალდში შეხვეული ბანკის ბილეთები იპოვა. გახსნა და სიხარულით დაიკივლა როცა ნახა იმოდენა უსახელო ბილეთები და გულდინჯად გადა თვალა და იანგარიშა რამდენია.

— ბევრის არ უთქვამს არასოდეს, რომ ამოდენა ფული ჰქონიყო, ჰსთქვა გახარებულმა ბოიემ: ამოდენა ფულს ქონებას ეძახიან. ეხლა კი, ჩემო ძალუა მარიანავ, ჩემი წილი მივიღე და შენ აღარ გემდურები. ეხლა შეგიძლიან მშვიდობიანათ მოკვდე... სხვა არა იყოს რა, შენი ქონება სამართლიანად გავიყავით. მე კი მერგო და ღუიმ კიდევ ის ირგუნოს, რაც ნოტარიუსთან არის

ბოიე მივიდა მომაკვდავ დედა-ბერთან და დააკვირვა თვალი.

— მიბძანდებ! ბევრი აღარ დარჩომია, წაილუღლუნა თავის თავად: მაინც კარგა ხანს გასტანა. მთელი ოთხი საათია სულთ ებრძვის და არ იქნა, ვერ მოკვდა.

მერე ისევ ზანდუკს მოუბრუნდა. როგორც იყო ისევ ის ჩაალაგა ქაღალდები, და ბანკის ბილეთები კი ჯიბეს იკრა. ბოლოს ისევ დაკეტა ზანდუკი, გამოვიდა ოთახიდამ, ჩამოვიდა კიბეზედ და თვალთაგან ცრემლი სდიოდა, მითამ და ჰსწუხს.

— ძალუა თქვენი როგორა ბძანდება? ჰკითხა მეკარემ.

— კვდება ჩემი საწყალი ძალუა მარიანა, ჩემი მეორე დედა! უპასუხა გულ ამოჯდომით ბოიემ: ვაიმე უბედურს, ვაიმე!

— გული დაიმშვიდეთ, ბატონო ბოიევ! რაზედ ჰსტირით ეგრე: რა უყოთ? თქვენი ძალუა იმ ხანში იყო, რომ დღესა არა, ხვალე ეგ უბედურება უნდა შემთხვევოდა. რა ვუყოთ? ყველა კაცი მოსიკვდილის კერძია.

— მართალია, მაგრამ მძიმე რამ არის კაცმა თავის თვალით ნახოს უკანასკნელი წუთი საყვარელის ადამიანისა. ლუიც არ მოვიდა... ის მაინც მოსულიყო, საწყალი ძალუა მშვიდობიანად მაინც დახუჭავდა თვალებს.

— მაშ იმედი აღარ არის?

— არა! ამ ერთის საათის წინ სულთა ბრძოლა მოუვიდა... ვეღა-რავისა ჰსცნობს. მე მღვდელთან მივდივარ, რომ აღსასრულის ლოცვა შეუკვეთო.

— ღმერთმა აცხოვნოს! წარმოჰსთქვა მეკარემ, მოწიწებით პირ-ჯვარი გადიწერა და გაიფიქრა: „საწყალი უმაწვილი კაცი მებრალება! დედასავით ჰყვარებია“.

ბოიე მღვდელთან წავიდა, შეუკვეთა ლოცვა და მერე შინისაკენ გაიქცა. მაგრამ მინამ კარებში შევიდოდა, მწუხარის და ნამტირალე-ვის სახე გაიკეთა.

— რა დაგმართვიათ? ჰკითხა ახლა აქაურმა მეკარემ, რაკი ბოიე ნამტირალევი ნახა: ძალუა თქვენს ხომ არა ასტეხია რა?

— გადაიცვალა! უპასუხა ბოიემ და ხმა მაღლა მოჰყვა ქვითინს.

— მებრალებით, სატრფო ბოიევ! მართლა ეგ იყო თქვენი კეთი-ლის-მყოფელი ნათესავი.

— ეგ იყო, ეგ! ეხლა რაკი ღმერთმა ძალუა მარიანე წამართვა, აქ პარიჟში რაღა უნდა გავაკეთო, აქ აღარ დავდგები, უნდა წავიდე აქედამ.

— რას ბძანებთ! მწუხარებამ ეგრე როგორ უნდა დაგიმორჩილოთ. სამსახურს რაღას უზამთ?

— გამოვალ სამსახურიდამ და სადმე პარიჟ გარედ ბინას მო-ვიგიდებ, ჩემი მცირე ქონება საცხოვრებლად მეყოფა.

თუმცა ქონების ხსენება ბოიესგან პირველი იყო, მაგრამ მეკა-რეს არ ეოცა, სამსახურის კაცია და ერთ ორიოდ გროშს როგორ ვერ მიაგდებდაო.

— თუ რაშიმე მე თქვენთვის საჭირო ვარ, მიბძანეთ, არაფერ-ში დაგზარდებით, უთხრა მეკარემ.

— მადლობელი ვარ. მე იმის შვილს ველი· თუ ისურვებს, მე მოვუნდგები მთელი ღამე მიცვალებულს. აქ იმისთვის მოვირბინე, რომ პატარა ჯვარცმა წავიღო და მიცვალებულს გულზედ დავუსვენო.

ამის თქმაზედ, ბოიე მოშორდა და სწრაფად ავიდა თავის სად-გომში.

— აი მართებული კაცი! გაიფიქრა მეკარემ: ნეტა ბედი რატომ არა ჰსწყალობს ამისთანა კაი კაცებს.

— თავის ოთახში რომ შევიდა, ბოიემ ფრთხილად დაკეტა კა-რები, ჩამოუშვა ფარდები ფანჯრებზედ, მერე საიდუმლო ყუთში ჩააწყო ბანკის ბილეთები, რომელიც ძალუა მარიანეს მოჰპარა. ქაღალდი, რო-მელშიაც გახვეული იყო ეს ბილეთები, დაჰსწვა და ბილეთების ნუმე-რები ცალკე გადმოჰსწერა. აქ უეცრად მოაგონდა, რომ დაავიწყდა და არ გამოართვა სეკრეტარს იმ ბანკის ბილეთების ნუმერები, რომელიც ძიას მედანს მოჰპარეს, თუმცა გამომძიებელმა უბძანა, რომ გამოარ-თვიო,

— უფრო კარგია, იფიქრა ბოიემ: მე იმ საქმეზედ ეხლა ხელ-ში არაფერი ქაღალდები მაქვს, დღეს მორის ფერანის დაჭერისათვისაც ხომ ფული მივიღე; ეხლა სწორედ ასლია ქაღალდი მივცე და სამსახური-დამ გამოვიდე, წავალ და ჩემთვის ვიცხოვრებ. მადლობა ღმერთს, ფულიანი კაცი ვარ ეხლაო.

დაჯდა მაშინვე და დასწერა:

„მოწყალეო ხელმწიფევ!

„მე დიდი უბედურება შემემთხვა. შინ რომ მოვედი, მითხრეს რომ ძალუა ჩემი, რომელიც ჩემი მეორე დედა იყო, ძალიან ავად არისო. მე მაშინვე გავიქეცი. საწყალი მოხუცებული ჩემს ხელში გარ-დიაცვალა. სიკვდილის წინად აღთქმა ჩამომართვა, რომ სამსახურს თავი დაანებეო. მეც აღთქმა დავუდე. ერთი ორიოდ ცროში მქონდა გადადებული შავის დღისათვის და თუმცა ძალიან ცოტაა, მაგრამ მგო-

ნია მაგ ნამცეცებით როგორმე ვიცხოვრებ სადმე პარიჟ გარედ ერთს რომელსამე პატარა ქალაქში.

„გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევო, სამსახურიდამ დამითხოვოთ. მე მგონია, რომ ყოველთვის გულმოდგინეთ ვასრულებდი ჩემს თანამდებობას და ჩემი უფროსები ჩემზედ ცუდს არას იტყვიან. თუ ჩემი მცირედი ქონება არ გაჰსწვდება ჩემს ღარიბს ცხოვრებასა, მაშინა გთხოვთ მიშუამდგომელოთ და თანამდებობა მომაცემინოთ იქ, სადა ბინას მოვიკიდებ.

„იმპერატორის მთავრობის ერთგული მე ყოველს ღონისძიებას ვიხმარებ, რომ ღირსეულად ვიმსახურო სხვა თანამდებობაშიაც. თუმცა ჩუმად მაძიებელის თანამდებობას ველარ ვიკისრებ, მაგრამ საპოლიტიკო აგენტათ კი შემიძლიან სასარგებლო ვიყო იქ, სადა მე არავინ მიცნობს."

დააწერა ადრესი და კმაყოფილებით წარმოსთქვა:

— კარგად მოვიგონე. მე ეხლა გულ დადინჯებით შემიძლიან ვიცხოვრო შორს სადმე, იმისთანა ადგილას, სადა ვერ მომწვდებს შურიანი თვალი ნაცნობისა, რომელსაც ჩემი უეცარი გამდიდრება ეჭვს რასმეს მოჰგვრიდა.

გამოვიდა შინიდამ, პოშტის ყუთში ჩააგდო თავისი არზა და გაჰქანდა ძაღლუა პალიარის სახლისაკენ. საწყალი ჯერ არ გადაცვლილიყო, მაგრამ უკანასკნელ წამშია იყო.

— „ეხლავ გათავდებაო, იფიქრა ბოიემ, მივიდა დახედა მომაკვდავს, მერე თახჩიდამ გადმოიღო ღვინო, ერთი ჭიქა სავსე დაასხა და გადაყლაპა უსვენებლივ: უჰ, რა რიგად ცხელაო, დავიღალეო. სთქვა მან ბოლოს.

უნდოდა საჭმელი რამ ეპოვნა ოთახში, მაგრამ ამ დროს კარიც დაურაკუნეს. ტუჩები მოიწმინდა და ცრემლით თვალში წავიდა კარის გასაღებად.

საწყალს დედა-ბერს ხრიალმა უეცრად უკლო და თითქო გულზედ მოეშვაო. ჩამქრალი თვალები ისევ გამოუბრწყინდნენ და კარებს

შეაჩერდნენ. კაცს ისე ეგონებოდა, თითქო დაიჩურჩულა: „ჩემი შვილიაო“.

კარი გაიღო და შემოვიდა ყმაწვილი-კაცი. არც კი შეხედა ბოიეს, მაშინვე მივარდა მომაკვდავს დედა-ბერსა და ხმა მაღლა ჩასძახა:

— დედი, დედი! მე ვარ, მე!

ამ ძახილმა, ამ ხმამ შეურყია მთელი აგებულება მოხუცებულსა. საწყალი წამოიწია, თითი გაიშვირა ზანდუკისაკენ და ძლივ-ძლივს გამოჰსთქვა:

— ლუი... იქ... წაიღ...

თქვა ეს თუ არა, და სული დალია შვილის ხელზედ. შვილს ეგონა გულს შემოეყარა და ფრთხილად მიასვენა ბალიშზედ.

— ოჰ ღმერთო, ღმერთო ჩემო! გულ შემოეყარა! ჰსთქვა ლუიმ: დედი, დედა შენი ჭირიმე, დედი! აბა შემომხედე, მე ვარ მე, შენი ლუი.

მხოლოდ ეხლა, როცა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა გულ-აშფოთებულმა, და იმედ-გადაწყვეტილმა, შენიშნა, რომ ბოიე იქ არის. ბოიე იდგა კუთხეში, გაფითრებული და მთელის ტანით კანკალებდა. საშინელი წამი გამოიარა, როცა მომაკვდავმა თითი გაიშვირა ზანდუკისაკენ და უკანასკნელი სიტყვები წარმოსთქვა. ყურში უბზუოდა მთლად ეს სიტყვები, რომელიც დედა-ბერს უნდოდა ეთქვა და ვერა ჰსთქვა:

— ლუი, მაგან იქიდამ წაიღო ფულიო.

— შენა ხარ, უთხრა ლუიმ ბოიეს: შენ ყვავსავით ყოველთვის იქა ხარ ხოლმე, საცა უბედურებაა. რას უდგეხარ, განა ვერა ხედავ, რომ გული შემოეყარა.

— ეგ გულ-შემოყრა არ არის, ლუი. ექიმმა წინადვე გამიმჟღავნა. უბედურება გვეწია.

— რას ამბობ! დაიძახა ყმაწვილმა-კაცმა, მივარდა დედას, გადაეხვია, დაეცა მუხლებზედ და საცოდავად დაიწყო ქვითინი,

— მე ექიმთან გავიქცევი, ჰსთქვა ბოიემ და გავიდა ოთახიდამ.

როცა ექიმი მოვიდა, ლუი ისევ ისე დაჩოქილი იყო მიცვალე-ბულის წინ და როგორც ბავში ისე ტიროდა.

— გათავდა ყველა! მე აღარა მყავს დედა! ჰსთქვა ლუიმ და მიაწოდა ხელი ექიმს.

— მე წინადვე ვიცოდი. რად დაიგვიანე? ჰკითხა ექიმმა.

— მე მაშინვე წამოველ, რა წამსაც დეპეშა მივიღე, უპასუხა ლუიმ.

— ორი დეპეშა უნდა მოგსვლოდა.

— არა, ერთი მივიღე ორს საათზედ. აი რა ჰსწერია: „თუ დრო გქონდეს, წამოდი, დედა-შენი ავად არის.“ ხომ გესმის, რომ ამ უბედურებას ვერც კი ვიფიქრებდი. ერთი ათი წუთიც რომ დამე-გვიანა, ვეღარც კი მოვუსწრობდი:

ექიმმა მოიხედა, რომ შეხედოს ბოიეს, რომელიც თან მოჰყვა, მაგრამ ბოიეს ჭკუა ეხმარა და გაპარულიყო, არა მკითხონ რაო.

— ეს სულ მაგ იჯარისევლის ეშმაკობაა, ჰსთქვა ექიმმა.

## თავი VII

### ბოიეს წასვლა.

ლუი პალიარმა გადუხადა დედას თავისი უკანასკნელი ვალი. რო-ცა ყოველივე რაც რიგის აუსრულა, ნოტარიუსი ნახა. ნოტარიუსს ძალიან კოცა, როცა ლუიმ უთხრა, რომ მაგის მეტი რაც თქვენს გაქვთო დედა-ჩემს არა დარჩენია რაო. მით უფრო უკვირდა, რომ დედა-ბერს ეხლა-ხან გაეყიდნა თავისი სახლები. ლუიმ ყური არ ათხოვა ამ ამბავს, იფიქრა, რომ იქნება დედა-ჩემმა ეკკლესიას ან სა-მადლო საქმეს რასმეს შეჰსწირა ფულიო, რადგანაც ამ ბოლოს დროს მოხუცებული სულ ამისთანაებზედ იყო გადაგებულიო. თუ უსესხიე-ბის ვისთვისმეო, ეს ხომ არ დაიმალება, გამოჩნდებაო. უფრო იმი-

ტომ აღარა დასდია რა ნოტარიუსის გაოცებას, რომ თვითონ უმისოდ გარგა ფული დარჩა.

როგორც პატივ-ცემული შვილი, კეთილად მახსენებელი დედისა, ლუი ისევ იმ სახლებში დარჩა, სადაც ბოლოს დროს მისი დედა იყო და წინად მამაცა ცხოვრობდა და ყოველის ფერი შეუცვლელად დააგდო, როგორც მოხუცებულის დროს იყო. რადგანაც მარტო იყო და მომხმარებელი არავინა ჰყვანდა, თვითონ მოამზადა ყველაფერი, თავის ხელით დაწერა ბარათები და მიიწვია ნაცნობები. ბევრისა არ იცოდა ვინ იყო ნაცნობი დედისა, ამიტომაც დედის სიკვდილი ვერ შეატყობინა ტიუსსოს, რომელსაც ამის გამო გაგებული არა ჰქონდა სიკვდილი დედა-კაცისა, რომლისაგანაც ფული ჰქონდა ნასესხი და რომელსაც ამ ფულში ბანკის ბილეთები დაუგირავა.

ბოიე მარტო მაშინ გამოცხადდა, როცა ყველა სამზადისი გათავებული იყო და ნაცნობები მოდიოდნენ, რომ უკანასკნელი პატივი მიჰსცენ მიცვალებულს. ექიმმა დროებით თავისთან გადიყვანა ლუი, რომ ამ ტყუილს გულის-კვნესასა და გაზეპირებულ სიტყვებს სამძიმრებისას მოაშოროს. ბოიე კი არ მოშორდა მიცვალებულს. ამის ფარისევლობისათვის ასლი მოედანი იქ იყო იმ ჟამად. ყველანი, ნამეტნავად მოხუცებული დედა-კაცები, აღტაცებაში მოდიოდნენ და ამბობდნენ: რა ღვთის მოშიში კაცია! რა რიგად ჰყვარებია თავისი ძალუა! ბოიე დაჩოქილი იდგა თითქმის მთელი დღე კუბოს წინ, ლოცულობდა, ტიროდა, ოხრავდა და გულში ხელს იცემდა, თითქო მწუხარებისაგან აღარა ესმის რაო. ვინც კი ნახა ყველა ამბობდა, რომ მაზლის-წული ასე ჰსწუხსო და ღვიძლი შვილი კი მოვიდა, დახედაო, მკვდარს თავი დაანებაო და კისრისტეხით მოახტაო ბიძა-შვილს, რომელსაც მიცვალებულისაგან ხელსახოცითი არ დარჩენია რომ ცრემლი მოიწმინდოსო.

მხოლოდ სასაფლაოზედ მოიგო ლუიმ გული მეგობრებისა. როცა დედის კუბო ჩაასვენეს საფლავში, მართალის გულით მწუხარეს ლუის გულ-შემოეყარა და ძლივს მოაბრუნეს. მაგრამ აქაც კი ბოიემ თავის ნამტირალევის თვალებით მიიზიდა ყველას ყურადღება.

როცა ყველაფერი გათავდა და ლუი ექიმის მკლავზედ დაყრდნო-ბილი შინისაკენ წამოვიდა, ბოიემ ხელი გაუწოდა გამოსათხოვებლად და უთხრა, რომ პარიჟ გარედ თანამდებობა მივიღე და პარიჟიდამ ეხლავ ვაპირებ წასვლასაო.

— ლუი, დაუმატა ბოიემ: მე ბოლომდის ჩემი ვალი გადვუხადე ძალუას. თვითონ იცი, რა რიგადაც მიყვარდა... შენ ერთს დროს გწყინდა კიდეც, რომ მე უფრო კაი თვალით მიყურებდა ცხონებული.

ლუიმ ხმა არ გასცა და ექიმს შეხედა.

— ძალუა, განაგრძო ბოიემ: ჩემი მეორე დედა იყო და მე ძა-ლიან მადლობელი ვიქნები, თუ იმის სახსოვრად ერთს უბრალო რას-მეს მომცემ.

თუმცა ამისთანა მწუხარების დროს სიცილი უადგილო იყო, მაგ-რამ ექიმმა თავი ვერ დაიჭირა და სიცილი წასქდა.

— განა არა, ურიგო არ იქნება ერთი ბანკის ბილეთი განა? ჩასთქვა ექიმმა და თვალი უყო ლუის.

ამ სიტყვებზედ და თვალის ქნევაზედ ბოიეს ფერი ეცვალა. რას მოასწავებს ეს სიტყვებიო? იფიქრა.

— წასვლის წინად შემოდი ჩემთან და აირჩიე რაც გინდოდეს, უთხრა ლუიმ გაუჯავრებლად, რომ როგორმე თავიდამ მოიშოროს: მე მარტო ეს მწყინს, რომ შენ საჭიროდ არ დაინახე პატარა ადრე გეცნობებინა ჩემთვის რა უბედურებაც მომელოდა.

— მე ორი დეპეშა გამოგიგზავნე და ის, რომელიც შენ გვაჩ-ვენე, პირველია, მეორეში კი ყველაფერი მოგწერე, რადგანაც მაშინ ექიმმა მითხრა, რომ იმედი აღარ არისო.

— მე უფრო ჩემს ბედს ვემდური, ვიდრე შენ. დავანებოთ თა-ვი ამ ლაპარაკს, სამდურავი ეხლა აღარას მიშველის.

ლუი გამოეთხოვა ბიძა-შვილს და ექიმთან ერთად შინ წავიდა

ბოიე დარჭმულ პალოსავით უძრავად დარჩა ცალკე გაოცებისა-გან, ცალკე ჯავრისაგან. რატომ ლუიმ არ მიმიწვია თავისთანაო, ხომ მახლობელი ნათესავი მე ვარო? რა მიზეზიაო, რომ აგრე აშკარად

ვძულდვარო? მართალია, ერთმანეთი თავის დღეში არ გვყვარებიათ, მაგრამ ამისთანა დროს კაცმა ყველაფერი უნდა დაივიწყოსო. ვაი თუ ლუიმ იცისო, ან ეჭვი აიღო, რომ ბანკის ბილეთები მოვიპარეო! ექიმის სიტყვები აქამომდე ყურში მიბზუისო. უეჭველია, ექიმმა განგებ ახსენა ბანკის ბილეთიო. იქნება იცის, რომ ძალუა მარიანეს ბანკის ბილეთები ჰქონდა და ჩუმზედ ეჭვი მოიტანათ? ამის მეტად ესე არ შეჰშინებია გული ამ კაცს, რომელიც აქამომდე სხვას აშინებ-და მალე კი გადიყარა გულიდამ შიში, გაიმართა წელში, და თავ-მომწონებით წამოვიდა შინისაკენ.

გზა და გზა მოისაზრა თავისი ყოფა-ცხოვრება; მოისაზრა რა გზას უნდა დაადგეს და როგორ უნდა მოიქცეს. ცოტა ავჩქარდი კიაო, ამბობდა თავის თავად: სამსახურიდამ ჯერ არ უნდა გამოვსულ-ვიყავიო. მაგრამ არა უშავს რაო, ვიტყვიო, რომ ლუი პალიართან მტრობა მაქვსო და იმასთან ერთსა და იმავე ქალაქში ცხოვრებას მოვერიდეო; რაც შეეხება ბანკის ბილეთებს, ჯერ ერთი ისაო, რომ არავინ იცის ჰქონდა თუ არა ბებერს ის ბილეთებიო და მერე თუნდ იცოდნენ კიდეცაო, ვიტყვიო, რომ სიკვდილის წინად თვითონ მაჩუ-ქაო. ამისთანა საჩუქარი ძალიან ადვილად დასაჯერიაო, რადგანაც ყვე-ლამ იცისო, რომ ძალუა ჩემს ძალიან ვუყვარდიო. ამ სახით სისხლის სამართლისა მე ფიქრი არა მაქვსო და თუ ლუი პალიარი ისე და-მიწყებს დავასო, ამასაც საშველი აქვსო: წავალ და იმისთანა ადგილს მივაბარებო, რომ ვერას გზით ვერ იპოვონო.

შინ რომ მივიდა, ისევ სახე მოიღრუბლა, მითამა ჰსწუხს და ისე მძიმედ ადიოდა კიბეზედ, რომ უნდოდა მეკარეს როგორმე დაენახა და დაეეჭვებინა. რაც უნდოდა, ისეც უსრულდა კიდეც.

— დასაფლავებაზედ ბძანდებოდით განა, ბატონო ბოდევ! ჰკითხა მეკარემ: მე მიცვალებული მარტო ეკკლესიამდე მივაცილე. სწორედ უნდა მოგახსენოთ, დიდის პატივით დამარხეს. თქვენ კმაყოფილი უნ-და იყოთ.

— მე სულ მოვწყდი ცალკე მწუხარებისაგან და ცალკე ამღვენის ჯაფისაგან. ეხლა წავალ, პატარას მივიძინებ და ხვალ კი ქალაქ გარედ საითმე წავალ.

„შესაბრალისიაო“, იფიქრა მეკარემ.

ბოიე სწრაფად ავიდა თავის ოთახში და კარი ჩაიკეტა შიგნიდამ; იქამდის იეშმაკა, რომ მეკარეს დაენახვა და ამასთანაც დაარწმუნა, რომ დასაძინებლად წავიდა თავის ოთახში. თუ საქმე გამოძიებამდე მივიდოდა, მეკარე ამას აჩვენებდა. ბოიემ მაშინვე გამოიცვალა ტანისამოსი, ფერის, უმარილის და სხვა ამისთანა საღებავის შემწეობით სულ სხვა სახე გაიკეთა. ეხლა ვერავინ იცნობდა. თმა გაითეთრა, წვერი არა ჰქონდა, წვერი გაიკეთა, წარბები თეთრად შეიღება, ცხვირი გაიწითლა ლოთისამებრ.

ფეთხილად ჩაიდო უბის ჯიბეში ბანკის ბილეთები, ფეხ-აკრეფით, ფეხის თითებზედ გამოვიდა ოთახიდამ წყნარად, ჩაკეტა კარები და ნელა დაეშვა კიბეზედ. მეკარემ თვალი შეასწრო შორიდამ და იფიქრა, უსათუოდ უცხო ვინმე ყოფილაო სტუმრად რომელსამე მდგმურთანაო და ის მიდისო შინ.

ნახევარ საათის შემდეგ ბოიე რკინის გზით წავიდა რეიმსისაკენ და სადამოზედ იქ ამოჰყო თავი. პირ-და-პირ თავის ნაცნობ ნოტარიუსთან მივიდა, და უთხრა, მამული მინდა ვიყიდო აქ ახლო-მახლოსაო, უთხრა რა ფასისაც უნდოდა, ჩააბარა ბანკის ბილეთები სყიდვის წინდნად და ჩამოართვა ბარათი, იმავ ღამეს უკანვე პარიჟში მობრუნდა და მეკარეს ისე შეეპარა, რომ ვერა გააგებინა რა

მეორეს დღეს თორმეტს საათზედ მეკარემ კარი დაურაკუნა, შეშინებულმა რომ რა დაემართაო, აქამდის ჰსძინავსო. ბოიემ კარი გაუღო პერანგამ და ჰსთხოვა ოთახი დამიგავეო, მინამ ტანთ ჩავიცვამდეო.

— თქვენ რომ არ მოსულიყავით დიდხანს მეძინებოდა კიდევ, უთხრა ბოიემ; მე ძალიან დავიქანცე გუშინ და მთელი ღამე სულ ჩემი საწყალი ძალუა მელანდებოდა. მე თითქმის თვალი არ მომიხუჭნია, ავად ვიყავ, სიცხე მქონდა.

— რატომ არ დამიძახეთ, ექიმს მოგგვრიდით.

— ისეც გადამიარა. მე ეხლა ჩემს ბიძა-შვილთან წავალ, მერე კი გავალ სადმე ქალაქ გარედ. ჩემთვის საჭიროა, პატარა გული გავართვა და შევისვენო.

— რასაკვირველია, ძალიან დაღალული იქნებით, ხუმრობაა დღე და ღამ მიცვალებულს არ მოშორდეს კაცი და სამარხის თადარიგში იყოს.

— მართალია, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მას შემდეგ მე მთელი თვრამეტი საათი ლოგინში გავატარე.

— ვიცი. მოხვედით თუ არა, მაშინვე ქვეშაგებში ჩაწექით.

— მაშ რა მექნა? ფეხზედ დგომის არაქათი არა მქონდა.

ბოიეს დაწყობილობა აუსრულდა ისე, რომ უკეთესი აღარ იქნებოდა. ძეგარე დარწმუნებული იყო, რომ გუშინ მთელი დღე და მთელი ღამე შინ იყო, მაშასადამე პარიყიდამ სადმე წასვლას ვერავინ დაუმტკიცებდა. ამ სახით, გულ-დადინჯებული მოელოდა გამოძიებას და სახლის გაჩხრეკასა. სახლში ხომ ვერასფერს უპოვიდნენ და იქ, სადაც იმან მოპარული ფული გაბარა, ვის მოუვიდა თავში რომ გაეჩხრიკათ.

ბოიემ ტანთ ჩაიცვა და წავიდა ლუი პალიართან, რომელსაც ამის დანახვაზედ სწორედ ზიზღი მოსდიოდა.

— შენა მითხოვე რომ დედის-ჩემის სახსოვრად მომეცა რამე, უთხრა ლუიმ: აი დედი-ჩემის ბეჭედი მოგიმზადე. შენი პარიყიდამ წასვლა მითხარი, ძალიან მიხარიან. შენი აქ ყოფნა სისხლს მიმღვრევს: რაც გინდა ჰსთქვა, მე თავის დღეში არ დამავიწყდება, რომ მე და დედა-ჩემი წაგვცხუნე და ისე მომიხდინე საქმე, რომ სიკვდილის წინად დედას ვერ მოვეპატრონე. შენ მომპარე უკანასკნელი წუთნი დედი-ჩემისა.

უეცარი წასვლა ბოიესი პარიყიდამ სრულებით არ გაჰკვირვებია ლუის, რადგანაც იცოდა რა ხელობის პატრონიც არის თავისი ბიძა-

შვილი იმ ხანებში ყოველთვის, როცა კი იმპერატორის მართებლობას მოუნდებოდა ან ახალი კანონი გაეყვანა კანონმდებელთ პალატში, ან თავისი მომხრე ამოერჩევინებინა ხალხისათვის კანონმდებელთ პალატის წევრად, მაშინვე თვითონ მართებლობა ათასნაირას ცბიერებით მოახერხებდა ხოლმე შეთქმულობას მითამ და იმპერატორის წინააღმდეგ, რომ მით შეეშინებინა მშვიდობის მოყვარე ხალხი. რასაკვირველია, ბოიესთანა კაცებს მოჭივანტამდა ხოლმე ყველგან პარიჟ გარდა სოფლებში და სხვა ქალაქებში, რომ ამგვარის შეთქმულობისათვის ხალხი გაებრიყვებინათ. ლუი პაპიარმაც იფიქრა, რომ უსათუოდ ბოიეს ისტუმრებენ სადმეო რომ ხალხი გააბრიყვონო და ამიტომ უარი არ ათხოვა ბოიეს პარიჟიდამ წასვლას.

— მინამ დედა-ჩემი ცოცხალი იყო, უთხრა ლუიმ ბოიეს გამოთხოვების დროს: მე ვერ დაგიმალიდი ჩვენთან სიარულს და ამისგამო ხანდისხან ერთმანეთს შევხვდებოდით ხოლმე. ეხლა კი ორივესათვის სამჯობინარია თავის დღეში ერთმანეთს არ დავენახვოთ.

— მე მაგისთანა უმადურობის მომლოდინე ვიყავ შენგან, უპასუხა ბოიემ: მაგრამ მე ეგ არა მწყინს. ღმერთი და ჩემი სარწმუნოება ღონეს მომცემს, რომ მაგგვარს უპატიურებას მოთმინებით ვძლიო და შეგინდო კიდეც შეცოდება ჩემს წინაშე. ამასაც გეტყვი: რაც უნდა ჰსთქვა და იფიქრო ჩემზედ, რაც უნდა ბოროტი საქმე შემამთხვიო, მე მაინც ყოველთვის მზათ ვიქნები სიყვარული გაგიწიო, თუ რაშიმე შენთვის გამოსადეგი ვიქნები და რაშიმე დაგჭირდები.

ბოიე გამოვიდა ოთახიდამ იმ სახით თითქო არა ჯავრობსო და მარტო გულნაკლულიაო. ხოლო რა წამსაც მარტო ნახა თავის თავი კიბეზედ, პირი მოიბრუნა კარებისაკენ, მუშტი მიუღერა და ხმა მაღლა ჰსთქვა:

— სულელო, დამაცა მე გაჩვენებ რა საშინელება არის, თუ მე კაცი გულიდამ ამოვიღე. შენ ნახამ, მე რა რიგად გადმოგიხდი! ჩვენ

მორის ეხლა დაუძინებელი მტრობა დაითესა. ამას იქით ან მე უნდა ვიყო და ან შენ... გესმის... ან მე და ან შენ!

ამ დროს ვიღაცამ ხელი მხარზედ დაადო. ბოიე შეკრთა და მოესმა ხმა ქიმისა, რომელიც სიცილით ეუბნებოდა:

— ჰო, სწორედ ეგრე, სწორედ.

## თავი VIII

### საზარელი დილა.

გამოძიება ლეა მედანის საქმის თაობაზედ წინ ვერ მიდიოდა და ოსკარ ვერმემონი ჯავრით აღარ იყო. ჩუმად-მაძიებელი ბოიე, რომელმაც თავდაპირველად ეგრე მედგრად წაიყვანა საქმე, სამსახურს დაეთხოვა და საქმეც შედგა სწორედ მაშინ, როცა იმედი იყო, რომ სახელოვნად გათავდებოდა.

როცა საწყალი მორისი გულ-შემოყრილი გამოიყვანეს გამომძიებლის ოთახიდამ და კონსიერჟერის ციხის საავადმყოფოში დააწვინეს, ვერმემონი ძალიან დააფიქრა ამ ამბავმა. მისი აზრი და რწმენა მორისის დანაშაულობაზედ ძლიერ შეირყა. მთელი დღე სულ ამას ამბობდა, ტყუილს კვალში ხომ არ ჩამაყენესო, ხოლო მორისის წინააღმდეგ იმდენი საბუთები იყო და ისე მძიმენი, რომ ისევ პირვანდელ აზრზედ დადგა და დაასკვნა, რომ თუმცა მორისი მეტად უმანწვილია და გამოუცდელი, მაგრამ ძალიან მოხერხებული და ოსტატი ავაზაკიაო.

როცა მორისი გონზედ მოვიდა, ისევ ციხეში წაიყვანეს და ტუსაღის სენაკში დაამწყვდიეს. რომელს ბრალისაც ჰსდებდნენ, იმან ასეთი თავ-ზარი დასცა საწყალს რომ გაბრუებულსავით სულ ამას იძახოდა:

— მე კაცის მკვლელი უნდა ვიყო! მე! მე და კაცის მკვლელი!

მთელი დღე თითქო საოცლეშიაო, ისე აშლვრეული დადიოდა წინა და უკან თავის პატარა სენაკში. ღამემ უფრო მოუწყლა გული; მთელი ღამე გულს უწიწკნიდნენ საშინელი ფიქრები. მოაგონდა რომ

სამართალი ბევრჯელ შესცდება ხოლმეო, მოაგონდა მრავალი მაგალითი, რომ სრულებით მართალი კაცი დაესაჯოთ. წარმოუდგა თვალწინ თვითონ სამართალიცა თავისის მსაჯულებით, მოეჩვენა ვითომ სამართლის წინა დგას და ასამართლებენ. როგორც ჭკუიდამ შეშლილი ისე ტოკავდა ლოგინზედ და როგორც თონეში ისე იწოდა, როცა მოაგონდებოდა, რომ ჩემი სახელი სამუდამოდ ჩირქ მოცხებული იქნებაო. „მე უნდა კაცის მკვლელი მერქვასო! იძახოდა სასო დაკარგული მორისი: ნუ თუ ჩემი ხან-მოკლე, მაგრამ პატიოსანი ჯაფის ცხოვრება არ მიმოწმებსო, რომ მე კაცის-მკვლელი არ უნდა ვიყოვო.“

იმ უკანასკნელ დღეებში აღარავინ არ აწუხებდა მორისს, ტუსაღების ზედამხედველნი უფრო უკეთ, კაც-მოყვარეობით ექცეოდნენ. საწყალს ნუგეში მოეცა, იქნება გამომძიებამ იმისთანა რამ აღმოაჩინაო, რომ მე შამართლებსო და გული დაუწყნარდა; იმედი მოეცა, აი დღეს აი ხვალ გამანთავისუფლებენო. მაგრამ ამაოდ ჩაუარა ამ იმედმა. ერთს დილას გამოიყვანეს სატუსაღოდამ, ჩასვეს ეტლში, ორი პოლიციელი გვერდით მოუჯდა და წავიდნენ. როცა ეზოში გამოდიოდა მორისმა თვალი მოჰკრა მეორე ეტლსაც, რომელშიაც ოსკარ გერშემონი და მისი სეკრეტარი ჩასხდნენ.

მორისი განცვიფრებით ჰკითხავდა თავის თავს ეს სად მიგვყევართო. გაატარეს ბასტილიის მოედანი, შეუხვიეს ლაროკეტის ქუჩას. მორისს ელდა-ეცა, ლაროკეტის ციხეში ხომ არ გადაგვყევართო. მაგრამ ეტლი ლაროკეტის ციხეს გასცილდა. მორისმა ველარა გაიგო რა, თუმცა ცდილობდა გამოეცნო, სად მიგვყევართო. ბოლოს გამოჩნდა მამა-ლაშეზის სასაფლაო. ორივე ეტლი ალაყაფის კარებში შევიდა. ამისთანა სისხამ დილაზედ სასაფლაოს კარი სხვა უცხოსათვის დაკეტილი იყო ხოლმე. პოლიციელებმა მორისი გამოიყვანეს ეტლიდამ, გამომძიებელიც მოვიდა მორისთან. ყმაწვილ-კაცმა მწუხარებით დაუწყო ყურება გამომძიებელს.

— ფერას, უთხრა ოსკარ გერშემონმა: დრო მოგეცით, რომ გონებაში ჩავარდნილიყავით და კიდევ უჯიათობთ და არ გინდათ გამოტყდეთ?

— რაც მითქვამს, იმაზედ მეტი არა მაქვს რა სათქმელი რა გნებავთ ჩემგან? აქ რისთვის მომიყვანეთ?

— ეხლავ შეიტყობთ, უპასუხა გამომძიებელმა და მერე მიუბრუნდა პოლიციელებს და დაუმატა: თან გამოგვყევით და ფრთხილად იყავით, არა გამოგვეპაროთ რა.

გაიარეს ნაში და შედგნენ. მორისმა ნახა ახლად ხნაშალი მიწა სამარისა და იქავ გძელი კუბო. ამ მოულოდნელმა სანახავმა გული შეუღონა მორისსა და უნებლიედ ჟრჟოლა მოუვიდა მთელს ტანში. ეს შეუნიშნავათ არ დარჩად ოსკარ ვერშემონს და მის სეკრეტარს

— სიმართლევ სად ხარ, სად! დაიძახა საწყალმა უმანკოლმა კაცმა, ფერი ეცვალა და ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზედ.

საცოდავი სანახავი იყო იმ წამს მორისი. პირი მოიბრუნა და მთელმა ტანმა კანკალი დაუწყო. პოლიციელებმა ხელი მოავლეს და ისევ კუბოსთან მიიყვანეს ძალად. გამომძიებელმა ანიშნათ და კუბოს თავი ახადეს. ერთმა მათგანმა მცხედარს გადახადა ჩაყვითლებული სუდარა და გამოაჩინა გალურჯებული პირისახე მშვენიერის ლეასი, უბები და თვალები ჩასცვივნოდა და კბილებზედ ტუჩები შეჭმუჭნობოდა.

— ფერან, უთხრა ხელახლად გამომძიებელმა: არც ეხლა გატყდებით, რომ თქვენ მოჰკალით ეს უბედური?

მორისმა ხმა არ ამოიღო. მუხლი მოეკვეთა და თრთოდა, როგორც პირში ატეხილი ავაზაკი.

— ვერა ხედავთ! თქვე ბოროტო, უთხრა ვერშემონმა: თქვენში არც კაცობრივი გრძნობა ყოფილა და არც ნაპერწკალი შენანებისა. რომ თრთით, ეგეც მარტო შიშისაგან მოგდით და სხვა არაფრისაგან.

მორისი გაბრუებულის თვალით იყურებოდა აქეთ-იქით, ხან ერთს იქ მდგომს შეჰხედავდა და ხან მეორეს. უცბად მტკიცეულად ამოიკვნესა, აიღო მაღლა თავი, ხელი ჰკრა პოლიციელებს, რომელთაც ეჭირათ, კინაღამ თხრილში არ ჩაყარა, მერე მივიდა ახლოს კუბოსთან და თამამად დააცქერდა მკვდარს ლეა მედანს.

— ეხლა კი! წაჰჩურჩულა გამომძიებელმა თავის სეკრეტარს.

— მე ამ მცხედარის წინ ხელახლად ვაღიარებ, ჰსთქვა რიხიანის ხმით მორისმა: მას, რაც წინად მითქვამს. მე ამისი მკვლელი არა ვარ. მე არავინ არ მომიწამლავს. მე თავის დღეში არ მინახამს ეს ქალი. სხვა რა გინდათ ჩემგან?

გამომძიებელი სახტად დარჩა. ისე გადახედა სეკრეტარს, თითქო ჰკითხავსო, ეს რა ამბავიაო?

— ღვთისა წინაშე და წინაშე ამ საწყლის უსიცოცხლო გვამისა, განაგრძო მორისმა: ვფიცავ, რომ ჩემს დღეში მე ეს თვალით არ მინახამს, მაშასადამე ვერც მოვსწამლავდი. ეხლა რაც გინდათ, ის მიყავით: ეს არის და ეს ამას იქით თავს აღარ ვიმართლებ.

გულ-წრფელად ამოთქმულმა სიტყვამ უმაწვილ-კაცისამ ხელახლად იმოქმედა ვერშემონზედ და მან უფრო ფორმისათვის, ვიდრე გასამტყუნებლად, წარმოჰსთქვა:

— მაშ წინაშე ამ უბედურის სხვერპლის გვამისა ამტკიცებთ, რომ თავის დღეში არ გინახავთ ეს ქალი და თქვენ არ მოგიკლავთ?

— ვამტკიცებ.

— ჩაწერეთ, უბძანა გამომძიებელმა სეკრეტარს.

სეკრეტარმა ამოიღო ჯიბიდამ ქაღალდი, საწერელი და კალამი, მიუჯდა იქავ რაღაცას და რაც რიგი იყო, ჩაწერა. მორისმა და გამომძიებელმა ხელი მოაწერეს ოქმს. მერე ისევ იმ რიგად ჩასხდნენ ეტლში და წამოვიდნენ, უბძანეს კი რომ კუბო ისევ უწინდებურად დახურონ და დამარხონ. ვერშემონმა პოლიციელებს უბძანა, რომ სასამართლოს სადგომში მოიყვანეთ მორისიო და თვითონაც თავის სეკრეტრით იქ წავიდა.

— ამ ამბავმა ძალიან შემაბრალა უმაწვილი-კაცი, უთხრა გზაზედ სეკრეტარს: აგეთს ჭაბუკს არ შეუძლიან მაგდონი ხერხი. მე ვშიშობ, ხომ არა ვსტყუვდებით და იქნება ძალიანაც. ხელმეორედ უნდა დავი-

წყოთ გამოძიება და სხვა ჩუმად-მაძიებელს მივანდოთ საქმე, რადგანაც ბოიე ალარ არის. ვნახოთ, ახალი ძიება ისევ მანდ მოგვიყვანს, თუ არა.

— სახლების გაჩხრეკის ოქმები მოგერთოთ? ჰკითხა სეკრეტარმა.

— დიაღ, მაგრამ ოქმებში იმისთანა არა არის რა.

— მაშ რა კი ალარაფრის კვალი ჩანს, ველარც გამოძიებას განვაგრძობთ. ხელში რა გვაქვს, რომ იმას დავეფუძნოთ?

— ერთი მძიმე საბუთი გვაქვს.

— რომელი?

— სახლების გაჩხრეკამ არა გამოამჟღავნა რა, მაგრამ მე საბუთი მქონდა მეფიქრნა, თანახმად ჩუმად-მაძიებელთა მოხსენებისა, რომ მორისის დაც ურევია ამ საქმეში. ხომ იცით, რომ დილით ის წასულა აფთიაქში წამლის სასყიდლად. ამის გამო მე დავიბარე მორისის და ამ ოთხის დღის წინად და თქვენის თანაშემწის დასწრებითა, ჩვენება ჩამოვართვი. ძალიან უმაწვილი-ქალია და მარილიანი. ჯერ, რასაკვირველია, შეშინდა, მერე კი მოჰყვა და გულ-ახდილად ყველაფერი მიამბო. ვერ მიხვდა, რომ მისი ჩვენება თუმცა დიდი რამ არ იყო, მაგრამ მაინც ამტკიცებდა იმას, რომლის უბრალოებაზედ იგი ბეჯითად დარწმუნებულია. დილით ლეა მედანის სიკვდილის შემდეგ, და ჩვეულებისამებრ შესულა ძმასთან, რომ ოთახი აულაგოს და ენახა, რომ სიკვდილამდეა მიხწეული. მაშინვე მიჰშველებია. უკითხავს ძმისთვის რა დაგმართვიაო და იმას მიზეზის თქმა არ ჰსდომებია. მორისის დამ ვერაფერი ცნობა ვერ მომცა ლეა მედანის თაობაზედ, ეს კი მითხრა, რომ ჩემს ძმას ძალიან უყვარდაო ერთი უმაწვილი-ქალიო, რომლის შერთვა უნდოდაო და არ აძლევდნენო, სხვა ქალთან კი ჩემი ძმაო არავითარს დაახლოვებას არ იკადრებდაო. შემომფიცა, რომ ჩემი ძმა პატიოსანი და კეთილ-შობილი კაციაო. მე ნება მივეცი შინ წასვლისა და დამპირდა მეზობლებში ვეცდები შევიტყო რამეო და მოგახსენებო. ქალი ამბობდა, რომ ჩემის ძმის ავათ-

მყოფობა იქიდამ წარმოსდგა, რომ თავი მოიწამლა ჯავრით, რადგანაც საყვარელს ქალს სხვაზედ ათხოვებდნენო. მეზობლებისაგან შევიტყვეთ, რომ გარეთი კარი სახლისა, სადაც მორისი დგას, დილის სამს თუ ოთხს საათზედ გაიღო და მაშინვე ისევ დაიხურა, მაგრამ არ იციან კია, ან ვინ შევიდა, ან ვინ გამოვიდაო. ეს იმ ღამის დილა ყოფილა, რა ღამესაც ლეა მედანი მოჰკლეს. ყველაფერი ეხლა ამ საიდუმლო გარემოებაზედ არის დამოკიდებული და ჩვენ ჯერ ფერანს ვერას დავუჯერებთ, მინამ ამ გარემოების ახსნაში არ დაგვეხმარება.

— როგორ უნდა დაგვეხმაროს?

— არ გესმისთ? მოწმებს უნახავთ, რომ ფერანი ღამის თერთმეტს თუ თორმეტს საათზედ ვიღასაც ელოდა ბასტილიის მოედანზედ. მერე ენახათ, რომ მკლავი გაუყარა თურმე ქალს, რომლის ნიშნები ძალიან ჰგავს საწყალის ლეა მედანის ნიშნებს, მოეხვია და წამოიყვანა იმ სახლში, სადაც ლეა მედანი მოჰკლეს. ამ საათიდამ კვალი გვეკარგება. თვითონ ფერანი ჰფიცავს, შინ წავედიო. თუ ეგ მართალია, ქალი რაღა იქნა?

— იქნება ნამუსს გატეხილი ქალი იყო ვინმე და თავი გაანება, როცა სატანციო სახლს გვერდით აუარეს.

— მე გეუბნებით, რომ ქალი მთლად ლეა მედანის ნიშნებისა ყოფილა. ახალ-გაზდა ყოფილა, მართებული და ლაზათიანი მიხვრა-მოხვრა ჰქონია. ისიც ვიცით, რა დროსაც მისულა შინ მორისი, იმიტომ რომ დილის სამს თუ ოთხს საათზედ ქვემო მდგმურს გაუგია, რომ გარეთი კარი გაღებულა და ისევ მალე დახურულა.

— ეგ დიდად შესანიშნავია, მაგრამ იმ მდგმურს უცნია თუ არა ფერანი?

— ვერა. თვითონ ფერანმა უნდა აგვიხსნას ეგ საიდუმლო და ახსნაც ადვილია, ოღონდ კი გვითხრას რა უკეთებია თერთმეტ საათიდამ ოთხ საათამდე და წარმოგვიდგინოს ის ქალი, რომელთანაც ერთად უნახავთ.

— მართალია, ერთი იმისი სიტყვა სამყოფია, რომ ჩვენი შეცდომა დაგვიმტკიცოს.

— თქვენც იმ აზრისა ხართ, რისაც მე. ყველაფერი ამართლებს მორისს: იმისი წარსული ცხოვრება, იმისი აწმყო, იმისი შრომის მოყვარეობა, ქცევა, სახის მეტყველება, ნათესაობა. გაგიტყდებით და გეტყვით, რომ ყველა ეს მარწმუნებს, რომ მორისს აქ ბრალი არა აქვს რა.

ამ დროს ეტლიც გაჩერდა. ოსკარ ვერშემონი პირ-და-პირ თავის ოთახში შევიდა, მოითხოვა ლევა მედანის საქმე და ხელახლად გულ-მოდგინედ დაუწყო ჩხრეკა.

ცოტა ხანს შემდეგ მორისიც მოიყვანეს.

დაღონებული, შეწუხებული იმ ამბით რაც სასაფლაოზედ მოხდა, საწყალი ყმაწვილი-კაცი გულ-მოკლული იყო და იმედი მოჰკვეთოდა სრულიად, რა კი ხედავდა, რომ რაღაც უხილავს ბადეშია ყოველ-მხრივ გაბმული. ნახა რა თავის-თავი ისევ გამომძიებლის წინა, მძიმედ ამოიოხრა. ვერშემონმა თავი მაღლა აიღო და თვალი დააკვირვა მორისს. მორისი არ შეკრთა და თვალი გაუსწორა.

— ფერან, უთხრა გამომძიებელმა; დღევანდელს სიტყვა პასუხ-ზეა დამოკიდებული თქვენი ბედი. თქვენ ამტკიცებთ, რომ ლევა მედანს არ იცნობდით. კარგი, დაგიჯერებთ მაგას, ხოლო უნდა კი აგვიხსნათ ის, რაც თქვენ თვითონ აღიარეთ.

მორისმა შეატყო, რომ გამომძიებელს აზრი ცოტაოდნად შეეცვლია ამის სასარგებლოდ და გულმა გაუღიმა. ისევ იმედი მოეცა.

— მიბძანეთ, უპასუხა მან აჩქარებით; მე პასუხისათვის მზათა ვარ.

— 20-ს ივნისს ღამის თერთმეტს თუ თორმეტს საათზედ ბასტილიის მოედნის ყურეში ქალს ელოდდით. ის ქალი მოვიდა, თქვენ მკლავი-მკლავს გაუყარეთ და ლაკუეს ქუჩისაკენ წამოხვედით. ის ქალი ვინ იყო?

მორისმა პირველ სიტყვებზედვე იგრძნო განსაცდელი და მოემზადა რომ სესილას აღთქმას არ უღალატოს.

— მაგას ვერ გეტყვით, არ შემიძლიან, უპასუხა მორისმა რიხით და მტკიცედ.

— კარგად მოიფიქრეთ, ფერან. თქვენს პასუხზედ არის დამოკიდებული თქვენი თავისუფლება, თქვენი სიცოცხლე.

— მოგახსენებთ, რომ მაგას ვერ ვიტყვი მეთქი.

— ჰსჩანს ის ქალი ლეა მედანი ყოფილა, ის უბედური, რომელიც წუთის წინად კუბოში მკვდარი ნახეთ.

— არა, გეფიცებით, რომ ის ქალი ლეა მედანი არ იყო.

— მაშ ეხლა ცოცხალია?

— ცოცხალია.

— მაშ გვითხარით ვინ არის და ეხლავ თავს დაიხსნით. გახსოვდეთ, ფერან, რომ თქვენი ბედი თქვენს ხელთ არის. ერთი თქვენი სიტყვა და გამოძიება თქვენზედ მოსპობილ იქმნება.

— მე არ შემიძლიან მაგის თქმა.

— კმარა, ეგ ხომ სულელობაა. უეჭველია, ლეა მედანი იყო, და თქვენ სახლში შეგიტყუებიათ, რომ მოგეკლათ და გაგეძარცვათ.

მორისს თავ-ბრუ დაესხა, რომ კვლავ გაახსენდა კაცის-კვლას მწამებენო, აიფარა პირის სახეზედ ხელები და ტირილი წასქდა. ამ ხანად კი ვერშემონი მოთმინებიდამ გამოვიდა და კვლავ დაერწმუნა რომ მორისია დამნაშავე, რადგანაც ქალის სახელს არ მეუბნებაო, ხმა გამოიცვალა და შეუტია:

— ფერან, თქვენ უნახვიხართ თორმეტს საათზედ ლეა მედანთან ერთად; ოთხს საათზედ შინ დაბრუნებულხართ. თქვენის მეზობლის სიტყვით. რას აკეთებდით ოთხ საათამდე?

მორისი ხმას არ იღებდა და ტიროდა თავ-ჩაქინდრული.

— თქვით და! დაუმატა გამომძიებელმა გულ-გაფიცხებით.

— მე ვერას ვიტყვი.

— ესე იგი, თქმა არ გინდათ. თორმეტს საათზედ ლეა მედა-

ნის ოთახში იყავით, იქ გარყვნილობის ამოვნების შორის, დრო იხელთეთ, საწამლავი მოამზადეთ და მოსწამლეთ. მერე თქვენ ან შეცდომით აგიღიათ მოწამლული ჭიქა, ან თვითონ განგებ დაგილევიათ მოწამლული ღვინო, რომ ეჭვი არ აერთვა უბედურისა. ამ სახით მოგიკლავთ, მოგიტაცნიათ რაც კი ყოფილა და შინ წასულხართ. აი რა გიკეთებიათ იმ ოთხს საათს. აბა დაამტკიცეთ, რომ მე ვცდები.

— ვაი ჩემი ბრალი! ოხ, ღმერთო! რა ჯოჯოხეთში ჩავარდი! და მაინც არ შემიძლიან თქმა. რაც გნებოთ, ის იფიქრეთ, მე ვერას დაგიმტკიცებთ.

ოსკარმა მხრები აიჭიმა, თითქო ამას ამბობსო: „მე მეგონა მაგარი და ხერხიანი კაცია და მარტო ჩერჩეტა კი ყოფილა.“

— ხვალისათვის მოწმები დაიბარეთ, უთხრა ვერშემონმა სეკრეტარს, რომელმაც ფერანის სიტყვები ჩაწერა: დროა ბოლო მოვუღოს ამ საქმეს. ეხლა ჩვენთვის ყველაფერი ცხადია. ხვალ დილით ლეა მედანის სახლის სანახავად წავალთ. ფერან, აღარაფერი გაქვთ სათქმელი?

— არაფერი, კიდევ ვიტყვი, რომ უბრალო ვარ.

ვერშემონს გული ყელში მოებჯინა და საწყალი ყმაწვილი-კაცი ისევ ციხეში წააყვანინა.

რა წამსაც მორისი გაიყვანეს, გამომძიებელს მოახსენეს, რომ ერთს ყმაწვილ-ქალს თქვენი ნახვა უნდაო. სახელი აკითხვინა და რომ მოახსენეს, მორისის და ამელი არისო, უბძანა შემოიყვანეთო.

ამელი შემოვიდა. ძალიან კი გამოცვლილიყო: წითური ლოყები გაჭვითრებოდა, თვალები ჩაჰსცვივნოდა და ტუჩები გალურჯებოდა. საწყალს ქალს ის ერთი დღე ციხეში გატარებული რამდენსამე წელიწადად დაუჯდა.

— რას მეტყვით, ჩემო პატარავ, უთხრა ვერშემონმა ალერსითა და გვერდით მოისო.

— ამ სამის დღის წინად ციხიდამ რომ გამომიშვით, თქვენ შემომიკვეთეთ, რომ გვიშველეთ, მართალი რამ შევიტყოთო. მე მე-

გონა, დრო არ მექმნება რომ ყველგან დამევლო ყაცა მირჩიეთ, მაგრამ ჩემს სამუშაოზედ ქარხანაში რომ მიველი, ჩემმა ამხანაგებმა ისეთის ცუდის თვალით დამიწყეს ყურება, როგორც ქურდ ბაცაცასა, რომ მეტი გზა არ იყო, უნდა მოვცლოდი. გამოვართვი რაც ქარხნიდამ მერგებოდა და წამოვედი. ამ სახით დრო ვიხელთე და შევუდექ ჩემის ძმის საქმეს.

— ძალიან კარგი. გახდით რასმეს თუ არა?

— ეხლავ მოგახსენებთ. ბევრი ვილაპარაკე მეზობლებს ჩემის ძმის საქმეზედ, მაგრამ არავის იმის დაჭერის ამბავიც არ შეეტყოთ და ჰგონებიათ, რომ გამოძიება მოსპობილი არის კიდეცაო.

— ეგრე ჰგონიათ? რა მიზეზს ამბობენ გამოძიების მოსპობისას.

— ამბობენ, რომ ქალი მოუკლავთ ვიღაცა დიდ-კაცებსაო და არ უნდათ იმათი გამოჩენაო, ამასთანაც ამ საქმეში პოლიტიკაც ურევიაო.

— მაგისთანა ჭორებს რაზედ აიგუმნებენ?

— ამბობენ, იმ ქალს ხშირად მოჰყვანდა ხოლმე ღამღამეს ქუჩაში თავისი მეგობრები კაცი თუ ქალიო და ყველაზედ ხშირად მოჰყვანდა ახალ-გაზდა კაცი, ლამაზი, შავ-თმიანი, მართებული, რომელიც დიდ-კაცსა ჰგვანდაო.

— დიდ-კაცსაო?

— დიახ. ერთხელ იმის კარ-წინ მდგარა მთელი ერთი საათი მშვენიერი ეტლი შავად და ყვითლად შეღებილი და კარებზედ ღერბები ჰქონია.

— ვინ მისულა ეტლით, კაცი თუ ქალი?

— ვერ მიიხვდეს, ვერ ენახათ. მე მარტო იმას მოგახსენებთ რაც ამ ორ დღეში შევიტყე მეზობლებისაგან: ესეც ამტკიცებს რომ ჩემი ძმა უბრალოა. მაგისთანა საზოგადოებაში ჩემს ძმას ვინ გარევდა.

გამომძიებელმა ანიშნა სეკრეტარს, ჩაწერეო ქალის ნაამბობი.

— ჩემო კარგო, უთხრა გამომძიებელმა ქალს: თქვენი ძმა მალე დაიხსნიდა თავს, რომ გვიამბოს რა აკეთა ღამე ოცს ივნისს.

— მე ვკითხე ადრევ და სულ ამას მეუბნებოდა, შინ რომ მოკვდიო; საწამლავი დავლიე ჯვარისაგანაო, რადგანაც მეორეს დღეს ჩემი საყვარელი ქალი სხვაზედ ჯვარს იწერდაო.

— აბა რა დასაჯერია. მაგრამ განაგრძეთ. სხვა რა შეიტყეთ?

— მე მითხრეს, რომ იმ მოკვლის ღამესა დილის ოთხს საათზედ ერთს მუშა კაცს უნახავს რომ ერთი ყმაწვილი კაცი გამოვიდაო დავფეს ქუჩის სახლიდამ და გაიქცა კონტრესკარპის ბულვარისაკენაო, იქ საკუთარი ეტლი უცდიდაო.

— ვინ გითხრათ ეგ? ჰკითხა მაშინვე გამომძიებელმა.

— მრეცხავმა დედა-კაცმა. აუსტერლიცის ხიდის პირდაპირა დგას, დენიზსა ჰქვიან სახელათა.

— ეგ დიდად შესანიშნავია. აბა განმიმეორეთ იმისი ნათქვამი.

— როცა იმ უბანში ვიდექით მე და ჩემი ძმა, დენიზა სარეცხს ჰრეცხავდა. მე ეხლავე შეველ იმასთან, ყავა მითავაზა და როცა ვკითხე: მკვლელი იპოვეს მეთქი თუ არა, მითხრა, რომ იმას თავის დღეშიაც ვერ იპოვნიანო და იტყვიანო, საწყალს თვითონ მოუწამლავს თავიო. ეგ ხომ დიდი კაცების ოინებიაო და აბა ვინ გამოაჩენსო. ხშირად უნახავთო, რომ მღვდელსაც უვლია იმ ქალთანაო.

— ჰოო! ეგრე გითხრათ? უნახავს კი თვალით მღვდელი.

— არ ვიცი.

— მერე?

— მერე ისაო, რომ დარწმუნებული ვარო, რომ ღამის ქეიფის შემდეგაო მოწამლეს ქალი იმისთანა დიდკაცებმაო, რომელთაც ვერას გაუბედვენო. ამასთანავე ერთი დენიზას მუშტარი ბეჯითად ამტკიცებდა, რომ მოკვლის ღამესა იმ სახლიდამ გამოვიდა ვიღაც კაციო, ძალიან კარგად ჩაცმული, გაფითრებული და იღლიას ქვეშ პორტფელი ეჭირაო. ის აჩქარებული მირბოდა კონტრესკარპის ბულვარისაკენაო, იქ საკუთარი ეტლი უცდიდაო. ჩაჯდა და მაშინვე წავიდაო. ამისი მთხრობელი დარწმუნებულია, რომ სწორედ ის იყო ქალის მკვლელი.

— ჩემო კარგო, თქვენ იმ დედა-კაცის ბინა შიგვასწავლეთ და თუ მართალი გამოდგა ყველაფერი რაც ჰსთქვით, ძმას დაიხსნით.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ძმა თავს დაიხსნის, თუ არა და ქვეყანაზედ სიმართლე აღარა ყოფილა.

— დენიზამ გითხრა თავის მუშტარის სახელი?

— არ უთქვამს, უპასუხა ქალმა და დაანიშვნინა სეკრეტარს დენიზას ბინის ადგილი.

— სხვა არა შეგიტყვიათ რა? ჰკითხა გამომძიებელმა.

— სხვა არაფერი. მე კიდევ გამოვიკითხავ და მოგახსენებთ.

ვერშემონი ადგა და გაატანა ამელი კარებამდინა. როცა ამელი წავიდა უბძანა სეკრეტარს, რომ დენიზი დაიბარეო მოწმად. ვერშემონს საშინლად უნდოდა მალე გაეგო საიდუმლო ამ საოცარის საქმისა, რომელსაც პირველში გულ-მოდგინედ მოეკიდა და ეხლა კი მოთმინებიდამ გამოჰყვანდა, რადგანაც ყველაფერი რაც აქამომდე შეიტყო. სულ მგონიაობაზედ იყო დაფუძნებული და არა მტკიცე საბუთებზედ. მთელი ძალა ბრალის დებისა იმაში იყო, რომ მორისი ურჩობდა და არ სდომულობდა ეთქვა როგორ გაატარა ღამე ოცს ივნისს. ყოველ დღე დილით საღამოთი ჰკითხავდნენ ხოლმე, გზა და კვალს უბნევდნენ, აწვალებდნენ, მაგრამ ამის მეტი ვეღარა ათქმევინეს რა:

— ვერას გეტყვით, ვერასა.

## თავი IX

### ახალი გეში.

ახალგაზდა მრეცხავი დენიზა დაიბარეს და ყველაფერი რაც ამელის ეთქვა დაამტკიცა. ესეც დაუმატა რომ რაც მე ამ საქმეზედ ვიცი, სულ ერთის მუშა კაცმა მითხრაო, სახელად არისტიდ ლებლანმაო.

— გჯერათ კი რომ ის კაცი ტყუილს არ გეტყოდათ? ჰკითხა გამომძიებელმა.

— რას ბძანებთ! არისტიდი თავის დღეში ტყუილს არ იტყვის.

— თქვენ იმას დაახლოვებით იცნობთ?

დენიზა ლამაზი ქალი იყო, ესე ოცდა ხუთის წლისა, ლამაზად მოყვანილი და მოხდენილი, ცოტა წამოწითლდა, მაგრამ არ შერცხვა კი და მარდად უთხრა:

— დიაღ, ძალიან დაახლოვებით...

— ჰო, მესმის... თქვენი...

— საყვარელი გახლავსთ, დიაღ ბატონო, ჩემი საყვარელია, უთხრა თამამად ახალგაზდა ქალმა და დაასრულა სიტყვა გერშემონისა, რომელსაც ეთაკილებოდა ამის თქმა.

— ხშირად ხედავთ ხოლმე?

— აბა რა კითხვა უნდა. მე მადლობა ღმერთს თავისუფალი ვარ და ისიც სულ ჩემთანა ზის ხოლმე, როცა არა მუშაობს და ან ნავით არ დაიარება. ეხლაც თან გამომყვა და აქ არის, დერეფანში მელის.

გამომძიებელმა ზარი დააწკარუნა და უბძანა არისტიდ ლებლანი მანდ დერეფანშია და დამიძახეთო. დენიზას გაუკვირდა ეს ამბავი.

— რად გინდათ რომ ეძახით? ჰკითხა შეწუხებულის სახით ქალმა: იმას ცუდი არ უქმნია რა.

— ნუ გეშინიანთ, იმას არას ვერჩით, უპასუხა ღიმილით გამომძიებელმა.

კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ჩვენი ძველი მეგობარი შადია. გაწითლებულიყო როგორც ჭარხალი და წუხილით აქედ იქით იყურებდა, ნეტა გამომძიებელთან რად მომიყვანესო, რომ უწყება არ მიმიღია დაბარებისაო. დენიზას სიცილმაც არ დაუწყნარა გული.

— არისტიდ ლებლანო, უთხრა გერშემონმა: მინამ კითხვაზედ

თავადლეზის საქმე, ხელი მაღლა აიღეთ და დაიფიცეთ, რომ თქვენ რასაც მეტყვით, მართალს მეტყვით, მარტო მართალს და სხვა არასფერს.

შადიმ ხელი კი მაღლა აიღო, მაგრამ ხმა კი ჩაუწყდა. ენა ვერ დასძრა. ისე იყო თითქო უეცრად ცივი წყალი დაასხეს თავიდამ ფეხებამდინაო.

— რა დაგემართა? შეჰყვირა დენიზამ: ხომ არ შეგჭამენ. გამომძიებელს უნდა გკითხოს, მართლა შენის თვალით ნახე, რომ სისხამს დილაზედ ლაკუეს ქუჩის სახლიდამ, სადაც ის ლამაზი ქალი იდგა, ვიღაც კაცი გამოვიდაო.

— ეჰ, მარტო ეგ არის! ჰსთქვა არისტიდმა, გაიწოდა ხელი და ჩვეულებრივი ფიცი წარმოჰსთქვა.

— თქვენ მართლა იყავით დილით ოცს ივნისს ლაკუეს ქუჩაში?

— დიაღ, წყალზედ მივდიოდი ნავის გასარეცხად. ნავი სწორედ სადაც ვდგევარ იმის პირდაპირ მიბია, გავრის საწყლიპიროზედ.

— აბა როგორ მოხვდებოდით ლაკუეს ქუჩას, წყლის იქით პირს, თუ ნავი თქვენის სიტყვით, თქვენის სახლის პირ-და-პირ იყო გავრის საწყლიპიროზედ?

შადიმ პირი დაალო და სირცხვილით ხან დენიზას დაუწყო ყურება და ხან ვერშემონსა.

— ნუღარ უმალავ ბატონს გამომძიებელს, უთხრა დენიზამ, ცოტად აწითლებულმა: მე ყველაფერი ვუამბე. მაახსენე, დასამალი რა გვაქვს!

— აი, ბატონო, უპასუხა შადიმ. მე წინა ღამეს დენიზასთან შევედი, მინდოდა მეთქვა, რომ ორის დღით მე და ჩემი ამხანაგები ნავით მივდივართ სასეიროდ და რადგანაც გვიან იყო, დენიზასთან დავრჩი იმ ღამეს. ამიტომაც მეორე დილას მე უნდა გამომევლო ლაკუეს ქუჩაზედ, დენიზა იმ ქუჩაში დგას.

— კარგი, ჰსჩანს თქვენ წამოსულხართ საწყლიპიროს სისწვრივ, უთხრა გამომძიებელმა სიცილით.

— დიაღ, ბატონო. მშვენიერი დღე იყო, მიხაროდა რომ თუ ამისთანა დღე დაგვიდგებოდა კვირასაც, კარგად ვისიამოვნებდით. ამ დროს ვიღაცა დამეტაკა, ტანად მაღალი კაცი იყო, კარგად ჩაცმული და იღლიის ქვეშ უშველებელი პორტფელი ეჭირა. მირბოდა საწყლი-პირისკენ ასე რომ ბოდიშიც არ მოიხადა. ბრიყვი ყოფილხარ მეთქი, მივძახე და გამოვუდექი. თქვენ იქნება არ იცოდეთ, რომ მე ვერაფრად მეჭაშნიკება ხოლმე, როცა მუჯლუგუნსა მკვრენ იმ ბატონმა შეუხვია კონტრესკარპის ბულვარისკენ, იქ საკუთარი ეტლი ელოდდა, ჩაჯდა და გააქანა ეტლი. მე თან მივაყოლე ორიოდე მკვახე სიტყვა, სჯობს არ მათქმევინოთ რაც შევუკურთხე. აი ეს იყო და ეს.

— თქვენა გგონიათ, რომ სწორედ იმ სახლიდამ გამოვიდა, საცა ქალის-კვლა მოხდა?

— დიაღ, იმ ლამაზ ქალის სახლიდამ.

— ლამაზ ქალის სახლიდამაო? განიმეორა გამომძიებელმა.

— სწორედ. ეგრე ეძახდნენ იმ ქალს იმ უბანში.

— თქვენ თითონ ნახეთ, რომ იმ სახლის კარებიდამ გამოვიდა?

— არა. მაგრამ ეხლავ მიხვდებით, რომ ის სხვა სახლიდამ ვერ გამოვიდოდა. დენიზა ორს სახლს იქიდამა ცხოვრობს და როცა მე გამოვედი დენიზას სახლიდგან, ქუჩაში არავინ იყო. ორიოდე ბიჭიც არ გვდამედგა, რომ ის ბატონი ჩვენ მომექცა. სხვა არავის სახლიდამ ვერ გამოვიდოდა, თუ არ იმ ლამაზი ქალის სახლიდამა.

— ეგ ჭკუას ახლოა. აბა ეხლა მითხარით: რა სახის კაცი იყო?

— არ უნდა იყოს ხნიერი, ძალიან მკვირცხლი იყო, კარგად მოსული, შავ-თმიანი, კარგა ზორბა ტანისა, მშვენივრად ჩაცმული და მაღალის შლიაპითა პირი-სახე კი არ დამინახვს.

— ეტლი ნაქირავები იყო, თუ საკუთარი?

— ეგ ნამდვილად არ ვიცი. ეტლისა მე არა გამეგება რა, ნავი

იყოს, კიდევ ჭრო, შევატყობდი. მე მარტო ეს დავინახე, რომ შავად და ყვითლად იყო შეღებილი და ძალიან ლამაზი იყო. ჩემს თვალში, საკუთარი უნდა ყოფილიყო.

— ეტლში რომ ჯდებოდა ხომ არა უთხრა რა მეეტლეს?

— არა, კარი ღია იყო, გაფეთებით შევარდა და კარის მიხურვაც ვერ მოასწრო, რომ ეტლი მაშინვე გაქანდა.

— საით, ნასტიჯიის მოედნისკენ?

— დიაღ.

— რომ გაჩვენოთ, იცნობთ იმ კაცს?

— ვერა, უკანიდამ ყველანი ერთმანეთსა ჰგვანან, კუზიანების გარდა.

— ხომ სხვა არა გახსოვთ რა. ყოველივე წვრილმანი ცნობა, შესაძლოა, გამოგვადგეს რამე.

— სხვა არა ვიცი რა, რაც მოგახსენეთ იმის მეტი. ყოველს ჩემს ნათქვამს შეგიძლიანთ ისე მიენდოთ, როგორც თქვენს საკუთარს. ის დღე ძლიერა მაქვს გონებაში ჩარჩენილი.

— რა მიზეზით? ჰკითხა გამომძიებელმა.

— იმ დღეს ერთი ახალ-გაზრდა ქალი წყლიდამ გამოვიყვანე და მოვარჩინე.

— ახალ-გაზრდა ქალიო? განიმეორა ვერშემონმა,

შადიმ მოკლედ უამბო სესილიას ამბავი.

— რად გადავარდნილიყო წყალში?

— მათ რომ არ ჰსდომებიყო შერთვა იმ კაცისა, რომელიც მშობლებს სდომიყოთ... იქნება ცივ-წყალში ბანებამ გონებაში ჩააგდო: ეხლა ის ქალი ქრმიანია.

— ჩაჰსწერეთ თუ არა ეს ჩვენება? ჰკითხა გახარებულმა გამომძიებელმა სეკრეტარს და მერე მიუბრუნდა ისევ შადის და ჰკითხა: რა ჰქვიან იმ ქალს?

— უწინ სესილ ტიუსსოს ეძახდნენ, ეხლა კი გუდარის ცოლია.

ვერშემონმა გამოჰკითხა ტიუსსოს და გუდარის ბინა, სად იყო,

ჩაწერა და მერე დაითხოვა დენიზაც და მადიაც, უთხრა კი რომ ისევ მალე დაგიბარებთო.

— უცნაური ამბავის ეს ამბავი! რაღა სწორედ იმავე დროს მოხ-და! ჰსთქვა გამომძიებელმა, როცა ისა და სეკრეტარი მარტოკანი დარ-ჩნენ; ამ საქმის ოქმები წავკითხეთ ახალს ჩუმად-მაძიებელს და უთხარით გამოიძიოს, ამ ქალის დახრჩობის ამბავს ხომ რაიმე კავშირი არა აქვს ჩვენს საქმესთან.

— დღეს აღარ ინებებთ მოწმების კითხვას?

— არა, სადღეისოდ ესეც კმარა, უპასუხა გამომძიებელმა და მოუ-ნამ სეკრეტარი ქაღალდების აკრეფვა დაიწყო, გამომძიებელი ღრმა ფიქრს მიეცა ასე, რომ ვერც კი გაიგო სეკრეტარის წასვლა.

რაზედ ჩაფიქრდა? ლუკა შედანის მოკვლის თაობაზედ თუ? არა-მგონია, იგი ისე მწუხარედ იხრავდა, ხელებს ისეთის მტკივნეულო-ბით იმტვრევდა, რომ ცხადი იყო, რაღაც მძიმე ფიქრი მოსწოლოდა გულზედ.

— ეჰე! საყვარელო ოსკარ, რა ამბავში ხართ? ვიღაცამ უეცრად ზედ ყურთან წამოაძახა.

მაშინვე ფეხზედ წამოხტა თითქო უკბინაო რამემ და დაინახა თავისი ძველი მეგობარი მარტინელ-ტალიე, რომელიც უჩუმრად შე-მოსულიყო ოთახში.

— ნუ თუ ეგრე ძალიან შეუპყრიხართ მაგ საიდუმლო საქმეს? ჰკითხა მოხუცებულმა მარტინელ-ტალიემ.

— არა, გამოძიება კარგად მიდის და მალეც გათავდება. ჩემი ნაცვალი ეგ არ არის, თქვენ ხომ იცით, რა მკლავს, რა მტანჯავს და რა მილევს გონებას დღე და ღამე.

— ოჰო, აქამდინ კიდევ შეყვარებული ხართ.

— ჩემს სამუდამოდ.

— ეხლა ხომ დაახლოვებული ხართ და ერთმანეთს ესიამოვნე-ბით. იმან მითხრა, თითქმის დღე არ გავაო, რომ ერთმანეთი არ ვინახულოთო.

— მართალია, და ის წუთნი, რომელთაც იმასთან გატარებ, ჩემთვის მეტად ტკბილია და ამასთანავე მეტად მწარეცა.

— მწარე რაღათა?

— ქალმა იცის, რომ მე სულით და გულით იმისი ვარ, იმისაგან კი ცარიელ ღიმილის მეტს არასა ვხედავ. თითქმის გამიტყდა კიდეც, რომ მეც მიყვარხარ, მაგრამაო... გულ-დინჯად მეტყვის ხოლმე: მაგაზედ მეტს ჩემგან სხვას ნურას მოელოდებითო.

— რათა?! იმ ქალზედ რაღაცა ხმები დადის უცრო სუბუქის თვისებისა და...

—ეგ სულ ცილია და ჭორი, სულ ტყუილია. მეტად უცნაური და სანდომიანი რამ არის. თვით ის საიდუმლოება, რომლითაც მისი ცხოვრება გარემოცულია, რაღაც მშვენიერებას უმატებს. ყოველ დღე, როცა იმის სახლიდამ გამოვდივარ, გული მარწმუნებს, რომ ხვალ გაბედნიერდებიო, მაგრამ ის ხვალე არ მოდის და არა.

— მაშ თქვენ აღარა ხუმრობთ როგორც გატყობთ.

— ხუმრობა რას მიქვიან. მე იმის გამო ღამის ჭკუიდამ შევიშალო, ღამის თავი მოვიკლა მეთქი. რაც უნდა ჰსთქვან იმაზედ მე არას დავიჯერებ. ის ქალი სიწმინდის, უმანკოების მაგალითია ყველასათვის. მე გაგიჟებით მიყვარს... ერთის სიტყვით, მიყვარს, მიყვარს და რაც უნდა დამემართოს ჩემი უნდა იყოს. იქნება არ დამიჯეროთ და მე კი, ღმერთმანი, თავს მოვიკლავ, თუ ვერას გავხდი.

— ეჰ, კარგი ერთი. მართლა რომ ჭკუიდამ შეშლილი ხართ. თქვენ ჩემო მეგობარო, ბაშვი ხომ არა ხართ, რომ მაგ სულელურს გულის თქმას აჰყოლიხართ. მაგრამ ამას კი გეტყვით, ტყუილად დაგიკარგავთ ეგრე მალე იმედი.

— ახლა უნდა იცოდეთ რა ტანჯვაში ვარ. მე თითქმის ყოველ დღე იმასთანა ვარ, მაგრამ...

— თვითონ მიგიწვევთ ხოლმე?

— დიაღ, მეუბნება რომ თქვენთან დროს გატარება მეტად სასიამოვნოა ჩემთვისაო, ჩემი უმცროსი ძმა თქვენა ხართო. როცა მი-

ვალ მე, მოვუყვებით ჯერ ცუდ-უბრალო ტიტინს, მერე კი გული ამიდუღდება ხოლმე. ტრფიალებისაგან ცეცხლ-მოდებული აშფოთებულის გულის ღელვით მოვუყვები ხოლმე და ვუამბობ მხურვალეს სიტყვით ჩემის გულის ვითარებას და ისიც ყურს მიგდებს ხოლმე. ხოლო როცა ამაზედ მეტს გავბედავ რასმეს, მაშინვე წამოხტება ხოლმე და გოგოს უძახის: „ეხლა კი მშვიდობითო, ოსკარ, ხვალამდინაო“, მეტყვის ხოლმე იმისთანა ღიმილით, თითქო შეუსნებაო, იმედს ნუ დაჰკარგავო. წამოვალ ხოლმე გონება არეული როგორც მთვრალი, ანუ ჭკუიდამ შეშლილი და რამდენსამე საათს შევაჩერდები იმის ფანჯრებს და ვდგევარ ისე გიჟსავით, შინ რომ მოვალ, ამივარდება ხოლმე ერთი საშინელი თავის ტკივილი და მეორე დღეს მოვალ ხოლმე აქ მთლად გამოსულელებული, გამოტუტუცებული.

მატიე-დე-ტალიემ ყურადღებით მოისმინა თავის ახალგაზდა მეგობრის აღსარება, დაუწყო ყურება დაკვირვებით და უთხრა ღიმილით:

— მე როგორც ვხედავ, თქვენი საქმე ისე ცუდად არ მიდის, როგორც მე მეგონა. ცოტა პრანჭია ქალი ყოფილა, მაგას პატარა მოცდა უნდა, მინამ დროს ჩაიგდებდეთ, სხვა არა უნდა რა მაგას.

— აბა როგორ ჩავიგდებ დროსა?

— მაგას კი მე ნუ მკითხავთ. ეგ მე, როგორც მოსამართლეს, კანონებში არ მიწერია.

— ეჰ, თქვენ იცინით და მე კი არ მკითხამთ! მკვდარი ვარ, მკვდარი მის გამო.

---

ოთხმა დღემ გაიარა. ოსკარი იჯდა თავის ოთახში და ახალი ჩუმად-მაძიებელი გიურე თავის ძიების ამბავს უამბობდა. ძალიან დაღონებული იყო, რაღაც ფიქრში წასული. ბოლოს კი უეცრად თავი მაღლა აიღო. გიურემ მოახსენა, რომ შადიას ჩვენების წყალობით, იმ ეტლის კვალი კიპოვევო შავად და ყვითლად შეღებული რომ ყოფილაო.

— იპოვეთ? ჰკითხა გამოცოცხლებულმა გამომძიებელმა.

— დიახ, ნაქირავნები ყოფილა და იმ საღამოს ვიღაც ქალს უქირავნია. ქალის სახელი ვერ შევიტყვე. ლეა მედანის სახელით კი მისულან და უქირავნიათ, უწინაც თურმე ლეა მედანი ქირაობდა მაგ ეტლსა.

— საოცარი ამბავია.

— ქალის მოკვლის შემდეგ ეტლის მატარებელი კაცი სხვას დასდგომია მოჯამაგირეთ. დიდხანს ვეძებე და ბოლოს კიპოვე. იმას ძალიან კარგად ახსოვს, რომ იმ ღამეს ერთი ქალი და ერთი კაცი კონტრესკარპის ბულვარის ბოლოში მიუყვანია.

— ქალი და კაციო! ეგ ამბავი არღვევს ყველას მას, რაც აქამდინ აღმოგვიჩენია.

— უეჭველად. ეს კია ბატონო გამომძიებელო, რომ მე ამით არ მინდა სახელი წავუხდინო ჩემს წინად მაძიებელს, ხოლო ამას კი ვიტყვი, რომ ძალიან სუბუქად მოუკიდნია ხელი ამ საქმისათვის და სუბუქად მოქცეულა.

— თქვენ გგონიათ, რომ მორის ფურანი უბრალოა?

— მე მაგას ვერ ვიტყვი. მის წინააღმდეგ ერთი მძიმე საბუთია. იგი გამოტყდა, რომ შამპანსკები მე ვიყიდეო და მე მოვწამლეო ღვინო.

— მერე სხვა რა იცით?

— ეტლის მატარებლისათვის შეუთვლიათ, რომ ღამის ათის საათზედ ელისეის მინდვრებზედ რომ სამუსიკო სახლია იქ მოდიო. მისულა და დანიშნულს დროს გამოსულა ქალი, რომლის ნიშნები ძალიან ჰგავს ლეა მედანის ნიშნებს. მკლავი გაუყარა თურმე ერთის კაცისათვის და ისე მოდიოდა. ის კაცი, როგორც ამიწერეს, სრულებით არაფერში არა ჰგავს მორისს ფურანსა. ქალს უბძანებია ეტლის მატარებლისათვის კონტრესკარპის ბულვარის ბოლოს მიგვიყვანეო. რომ მისულან ერთს ყავახანასთან დაუყენებიათ ეტლი, კაცი გამოსუ-

და ეტლიდამ და წასულა, მცირეს ხანს უკან ისევ დაბრუნებულა და კალათით რაღაცა მოუტანია.

— ის ყავახანა ნახეთ?

— დიაღ, იქ ბუნდად ახსოვთ, რომ ამ ოთხის თუ ხუთის თვის წინად ერთი კაცი შემოვიდაო, ძალიან კარგად ჩაცმული, რაღაც დალიაო, კალათა მოგვაბარაო და მერე რამდენსამე საათს შემდეგ შემოიარა და კალათა წაიღოო. არავინ არ იცის ის კაცი ვინ იყო ან რა ერქვა.

— სხვა ეტლის მატარებელმა რა გითხრათ?

— კონტრ-ესკარპის ბულვარის ბოლოს რომ მივედითო, ქალმა ეტლი დამაყენებინაო და მისამ კაცი კალათას გადმოიღებდაო, ქალმა მიბძანაო, ამავ ადგილას მოდიო ღამის სამს საათზედაო. მე მოვე-დიო და ერთი რუბი საათისა არ გასულაო, ის კაცი, რომელიც ქალ-თან ერთად მოვიყვანეო, შემოხტა ეტლში და დამიძახაო: „რულის უბანში წადი რაც შეგეძლოს ჩქარაო". მე გავაქანე ეტლიო. ბულვა-რის მოსახვევში დამაყენებინა ეტლიო, გადმოვიდა ეტლიდამაო, ხუთი მანეთი მაჩუქაო და დამითხოვაო. მისამ მე თვალიდამ არ მივეფარეო, იქიდამ ფეხი არ მოუცვლიაო.

— სულ ეგ არის.

— სულ. ეტლის მატარებელი მოგახსენებთ, თუ რასმეს კიდევ საჭიროდ დაინახავთ ჰკითხოთ. ეგ მოწამეა და თქვენ უფრო უკეთ გამოიყენებთ.

— დაიბარეთ ეტლის მატარებელიც და ეტლის პატრონიცა ხვალ ზევითისათვის, უთხრა გამომძიებელმა სეკრეტარს: ეგ ძალიან კარგი ამბები შეგიტყვიათ, უფალო ტოურეკ! მაგ კვალს ნუ დაჰკარგავთ და განაგრძეთ თქვენი ძიება.

— კიდევ მაქვს მოსახსენებელი.

— აბა რა გაქვთ?

— მე ვიცი რომ სახლები ყველგან მოჰსჩხრიკეს. მაგრამ იქ კი ვერა, საიდამაც უნდა დაეწყოთ თავდაპირველად. მე პირდაპირ ქარხანა-

ში წაველ, სადაც ფერანი მუშაობდა და იქაურობა მოვჩხრიკე, თუმცა ქარხანის პატრონი ძალიან გამიძალიანდა.

— იპოვეთ რამე?

— წერილი ვიპოვე, მაგრამ უნდა კი მოგახსენოთ, მე ამისა ვერა გავიგე რა.

აქ გიურემ ამოიღო წერილი. ის წერილი იყო, რომელიც, როგორც ჩვენ ვიცით, სესილამ მორისს მისწერა.

დიდის ბეჯითობით და ყურადღებით ჩაიკითხა ის წერილი გამომძიებელმა. ჯერ პირველში ვერ გაიგო კარგად რა ეწერა. მერე კი როცა უფრო და უფრო მოისაზრა საქმის გარემოება, მიხვდა რომ ამ წერილს შეუძლიან აუხსნას როგორ გაატარა მორისმა ღამე ოცს ივნისს და რა მიზეზი იყო რომ თავს იწამლავდა. როცა ჩავიდა იმ ადგილამდე, სადაც სესილა ემუდარებოდა ფიცს ქვეშ აჩვენეო, რომ ღამე ოცს ივნისს მე შენთან არა ვყოფილვარო, გამომძიებელმა უნებლიედ წამოიძახა:

— აა! ძლივს არ ვიპოვეთ საიდუმლოს გასაღებიო.

გიურემ და სეკრეტარმა შეხედეს გამომძიებელს, ნეტა რა მოხდაო. ვერშემონს ისე უხაროდა ეს ამბავი, რომ იმათ აღარ გაუზიარა თავისი სიხარული. თვითონ უნდოდა დაეჩემნა სახელი, რომ საიდუმლო მე გამოვაჩინეო და გადასწყვიტა, რომ ამას იქით თვითონ საკუთრივ აწარმოვოს გამოძიება. ამის გამო გულ-დადინჯებით და ცივად ჰსთქვა:

— რაცა ვჰსთქვი ამ წერილს არ შეეხება. ზოგიერთი რამ, რაც მარტო აზრათ მქონდა აღებული, ის მგონია გამართლდეს და ამიტომა ვჰსთქვი, რაცა ვჰსთქვი.

ისევ წერილს დაუწყო კითხვა. ბოლოში რომ ჩავიდა ღრმა ფიქრს მიეცა. ეხლა აშკარად ხედავდა, რომ მორის ფერანი არაფერში იყო დამნაშავე და მთელი გამოძიება ტყუილს კვალში იყო ჩამდგარი. აშკარა იყო, რომ საწყალი მორისი აღთქმისა გამო იმეტებდა

თავს და ამის საქმეს არავითარი კავშირი არა ჰქონდა ლეა მედანის საქმესთან. ვერშემონმა დააპირა, რომ საწყალი მორისი ხვალევე გაანთავისუფლოს. დაწერა კიდეც წერილი ციხის ზედამხედველთან და ჰსთხოვა მორისს ისე ცუდად ნუღარ მოეპყრობითო. ხოლო წერილი სესილასი კი არ გადაჰსცა სეკრეტარს საქმეში ჩასაკერებლად, თვითონ ჩაიდო თავის პორტფელში, ვინ იცის, იქნება იმისათვისაც, რომ მორისს ჩააბაროს.

— უფალო გიურევ! უთხრა მან ჩუმად-მაძიებელს: ამ წერილს საქმისათვის არაფერი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მართალს გვალში კი ჩამდგარხართ, გულ-მოდგინეთ მოეკიდეთ ამ საქმეს შემდეგშიაც.

— მე ერთი სიტყვა კიდევ მაქვს სათქმელი. დღეს საღამოზედ, ჯან ხვალ მე შეგატყობინებთ ზოგიერთს რასმეს იმ კაცზედ, რომელიც ხშირად დადიოდა თურმე იმ სახლში, საცა ქალი მოკლეს. მე საბუთი მაქვს, რომ ერთი მკვლელთაგანი, ანუ მათი ამხანაგი ის კაცი უნდა იყოს. თუ უწყებას გაუგზავნით, დაიმალება და გადიკარგება სადმე. ბძანება მიბოძეთ, რომ თუ საჭირო იქნება, დავიჭირო.

— ძალიან კარგი. მე მთლად მოგენდობი თქვენს სიფთხილეს, უპასუხა გამომძიებელმა და მერე უბძანა სეკრეტარს: დასწერეთ ბძანება. მაგრამ რა ჰქვიან, არ იცით?

— ჯერ არ ვიცი. უბძანეთ დაწეროს დაჭერა იმ კაცისა, რომელიც ლეა მედანის მოკვლაში ურევია თქო.

— ბატონი ხართ. აბა როდის შემატყობინეთ, რასაც გაიგებთ, —უთხრა გამომძიებელმა, როცა ბძანებაზედ ხელს აწერდა.

— იმედი მაქვს ხვალვე, უპასუხა გიურემ და გამოვიდა ოთახიდამ.

— ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელის დღისა, ამბობდა გახარებული ვერშემონი და სიხარულით ხელებს იფშვნეტდა: საწყალი ბალდი! აბა იმას გაუხარდება აი!

## თავი X

### ღამეებს სად ატარებდა გუდარი.

ღამაზი იზა, სეგლენის ქვრივი, ურინდლანდის ბულვარზედ იდგა და ორი სართული ეჭირა ერთს მაღალს და ახალს სახლშია. სხვა მდგმურების შესავალი ალაყაფის კარი იყო და იზას სადგომს კი საკუთარი კარი ჰქონდა ზედ ქუჩაზედ.

აბა ერთი ოთხი საფეხური ავიდეთ კიბეზედ, მკითხველო, და შევიდეთ იზას სადგომში. წამოსასხამების მოსახდელი დიდი ოთახი შეღებილია მუხისა და მარმარილოს ფრად, პარკეთიანს იატაკზედ ძუის ხალიჩა შლია, ერთი კარი მარცხენა პატარა ხვეულს კიბეზედ გადის და კიბე კიდევ ადის საშინაო ოთახებში; მეორე კარი უშველებელ სასადილო ოთახის კარია, მესამე შუა კარი მარმარილოს კიბეზედ გადის და კიბის ბოლოს დგას ბრონზის ლუსკუმა ავრორასი, რომელსაც ხელში მძიმე ხვამლი უპყრია. ზემოდ პირდაპირ კიბიდამ შესავალია პატარა სასტუმრო ოთახში ალჟირის ფარჩით მორთულში. ეს საწყვარი ოთახი იყო. აქ იზა მიიღებდა ხოლმე გარეშე მცნობთა და უცნობთა; ახლოდ ნაცნობებს კი დიდს სასტუმრო ოთახში მიაწვევდა. საწყვარის ოთახიდამ დიდი გალერეია მისდევდა, ყვავილებით და სურათებით მორთული. ამ გალერეიას იქით დიდი სასტუმრო ოთახია ახალის გემოვნებით მოწყობილი. მისი თეთრი კედლები, ოქროთი და ჭერილი ბრონზები, ოქროს ვარაყიანი მებელი, ალის ფერის ატლასით გადაკრული, თეთრი ოხჩუა, რომლის შუა გულზედ უშველებელი თაიგულია ქარგაზედ ნაკერი და ჭერი ხომ სულ წითელის ყვავილებით მოხატული მთლად უჭრელებდა ადამიანს თვალს.

იქავ ზურგით მოსართავი ოთახია. მისი კედლები და მებელი აბრეშუმის პატარა ყვავილებიან ფარჩით იყო გაკრული. მძიმე ფარდა

რომ აგეხადნათ, გახვიდოდით დიდს და მშვენიერს საწოლს ოთახში. მთელი ოთახი გაკრული იყო ოქროს ფერ აბრეშუმის ფარჩითა, რომელსაც ოდნავ ალის ფერიც გაჰკრავდა. უშველებელი ოთხ-კუთხიანი საწოლი ტახტი, ზემოდამ ფარჩის ფარავ წამოდგმული, უკანა კედელთან იდგა და ტახტს ასასვლელად სამი საფეხური ჰქონდა. იმის პირდაპირ კი უზარმაზარი სარკე იყო ჩამოკიდებული. იზას, მოახლის სიტყვით, მეტად უყვარდა თურმე თმა გაშლილი წოლილიყო ტახტზედ და თავისის მშვენიერებისათვის ეყურებინა სარკეში. მორთულობა ამ ოთახისა ოთხი სკამი იყო, ერთი სტოლი, ერთი სანებიერო პატარა ტახტი, და ერთი მელექებურად გამოხატული შკაფი, სულ ურუგელივე შავის ხისა. ბუხრის თავზედ იდგა ოქროთ დაფერილი ბრინზა ლიუდოვიკე მეთოთხმეტეს დროებისა, მაღალ ფეხზედ, ისევ იმავ ოქროს ფერ ფარჩით გაკრულზედ, ეკიდა ფოლამანდის ხვამლი; ფანჯრებს ჩამოფარებული ჰქონდა იმავე ფარჩის მძიმე ფარდები. მზიან დღეში მზის შუქი ფარდების ნაკეცებ შუა რომ გამოიმჭვირვალებდა, კაცს ეგონებოდა ოთახში ოქროს ფერი წვიმა არისო.

ამბობდნენ, რომ ზოგჯერ იზა კარს ჩაიკეტამდა თურმე მარტო, ჩაიცვამდა შუშერს ტანისამოსს, მდიდრულს კი არა, ძუძუიანს, ძონძიანს. რაკი მკითხველი იზას სადგომში შევიყვანეთ, ისიც უნდა გითქვათ, რომ ეგ საქვეყნოდ გამოჩენილი ლამაზი ქალი, ბანკირის სეფლენის ქვრივი, პარიჟში თავდაპირველად ვიღაც ქუჩის ჯამბაზს ემოჭყვა თან და უკანა სდევდა ამ ყოველ წარწყმედელ ქეიფი ცხოვრებაში. იზა მაინც კიდევ ნატრულობდა უწინდელს მხეცურს ყოფა ცხოვრებასა. იმისთანა დრო ყოფილა, როცა ვარდის წყალი, რომელსაც ტანზედ ისხამდა ხოლმე, ტანზედ ცეცხლს უკიდებდა, და წმინდა ბატისტის პერანგი ჰსჩხვლეტდა და მაშინ ყასი მოუფლიდოდა დღისით მონმებში გახვეული იყო და ღამით ძაღლსავით სადმე მიგდებულიყო. ამისთანა დროს იმას დედა-კაცობა აღარ ეტყობოდა, რაღაც ვარეკნილების ვეშაპათ გადიქცეოდა ხოლმე და გარეთ მიუწევდა გული ამ მდიდარ

და უხვად მორთულ სადგურიდამ. გული აღარ უდგებოდა მშვენიერს სასადილო ოთახში, ძვირფას საჭმელებისაგან გულის ზიდილი მოსდიოდა, ბრწყინვალეს საწოლს ოთახში სული უგუბდებოდა. მოსწყურდებოდა ხოლმე გარედ ყოფნა, მტვერი, ტალახი, მაშინ იმის გულს იამებოდა ხოლმე მარტო მყრალი ჭაერი ბაზრებისა, გიჟსავით ნატრულობდა ხოლმე დამპალს მეხვსა და მყრალს ყველსა. სული უგუბდებოდა მდიდარს ტანისამოსში და არ გაიხსნიდა კი, სულ შემოიფხრეწდა ხოლმე, რომ გადეღეღა და გამოეჩინა თავისი მართლა და მშვენიერი მკერდი. უწინდელი ბუშის ცხოვრება წარმოუდგებოდა თვალ წინ და აიტაცებდა ხოლმე.

ამისთანა დროს გადიცვამდა თავის ძველს ბუშის ჯუბას, გახუნებულს, ყალბ ბუზმენტიანს, ჩაიცვამდა დაგლეჯილს შალვარს, ყვითელ წუღებს; ყელზე, ყურებზე, ხელებზედ აისხამდა ზიზილ-პიპილებს და ეგრე გულ-გახურებული, სანდომიანის ღიმილით გავარდებოდა და წავიდოდა პარიჟის ახლო-მახლო ადგილებში, სადაც დაბალი ხალხი თავს იყრიდა ხოლმე სალოთავად და საქეიფოდ და გაერევოდა მთვრალ ხალხში. ყველას აკვირვებდა თავისის სიტურფით და დაგლეჯილის ტანისამოსით. რამდენს საძაგელს ხუმრობას ეუბნებოდნენ და რამდენს თვითონაც უპასუხებდა ხოლმე და მაცდურად თვალს უკრებოდა. მაშინ სწორედ გამოქნილი ბუშის ქალი იყო, განადირებული, გულ-მხურვალე და თავ-აშვებული.

ერთხელ როცა ამისთანა ბნედა მოუვიდა, — ექიმი ბნედას ეძახდა ამისთანა ჟინს ამ დიდ-კაცებში გამოჩენილ ლამაზ ქალისას — ერთი ვიღაც კაცი აედევნა უზდელი, გარყვნილი, ურცხვი, ყველაფრის გამბედავი და სიტყვა-პასუხით უწმაწური. იზა გამოექცა, ის უკან გამოუდგა, წამოეწია, როცა კარგა მოშორებით იყვნენ საქეიფო ადგილს, დაუწყო შაშინება, მუქარა, კინაღამ არა ჴსცემა, კინაღამ ძალა არ იხმარა. ამ მხეცურმა ტრფიალებამ დაიმორჩილა იზა და ამ ჭუჭში გაჩნდა მათ შორის სიყვარული: ეს კაცი გახდა იზას იდუმალ საყვარელად.

აი იზამ ესე გაიცნო ანდრე გუდარი, რომელსაც ჯაგლაგს ეძახდნენ.

იმ ღამეს ერთად გაატარეს დრო ერთს უწმაწურს დუქანში. დილით რომ გაიღვიძა იზამ ამ ჭუჭყიან და მყრალს ჯურღმულში, ერთბამად გონზედ მოვიდა და მორჩა თავის უგუნურს ჟინისაგან. შერცხვა და ისე შეეზარა თავისი ყოფა-ქცევა, რომ მეტი აღარ იქნება. თვალები დაიხუჭა და აზრით გადავიდა თავის მდიდარს საწოლს ოთახში; ეს ტლანქი მონძები ეხლა ცეცხლს უკიდებდნენ წმინდა სამოსლის ჩვეულს ტანზედა. ადგა, ჩაიხედა ობ-მოკიდებულ სარკის ნატეხში და ნახა, რომ ისე ლამაზი არ არის, როგორც ყოველთვის. ყოვილად სწორედ გული აერია თავისი ყოფა რომ დაინახა. ჩაიცვა ტანთ, სწრაფად გამოვიდა დუქნიდამ და დილის ოთხი თუ ხუთი საათი იყო, იქირავა ეტლი და შინ წამოვიდა.

თავის მდიდარს სადგომში რომ ნახა თავისი-თავი, მაშინვე გაიძრო მონძები, ვერცხლის ტაშტში ვარდის წყლით დაიბანა ტანი და მიწვა თავის შავ-ხავერდის დოშაკზედა. სიამოვნებით შეხაროდა თავის სიტურფეს სარკეში და ამასობაში ჩაეძინა. მეორე დღეს აღარა ახსოვდა რა.

გაიარა რამდენმამე დღემ, იზა ბულონის ტყეში იყო სასეირნოდ და შინ დაბრუნდა სადილის საჭმელად ჩაფიქრებული და დაღონებული. დილით ვიღაც სტუმრები ჰყოლოდა, დიდხანს ელაპარაკნათ, რაღაც ეწყენინებინათ და ავ-გუნებათ შექმნილიყო ასე, რომ სეირნობითაც გულიდამ ჯავრი ვერ გადეყარა. ჯერ ტანთ არ გამოეცვალა, რომ მოსვლის უმალვე ზარი დაუწკარუნეს და მოახლემ მოახსენა, ვიღაც კაცია, სახელად ანდრე და თქვენი ნახვა უნდაო.

— ანდრეო! განიმეორა იზამ: ვინ ანდრე?

— რა მოგახსენოთ, ამის მეტი არა უთქვამს რა.

— ვისგან არის? დილას რომ იყვნენ იმათგან ხომ არა?

— არა მგონია. იმათობას არა მიუგავს რა. ვიღაც ღარიბს სამსახურის კაცსა ჰგავს.

— მაშ არ უთქვამს რა უნდა?

— არა, მარწმუნებდა კი რომ უსათუოდ უნდა ვნახოო ქალბა-ტონიო, საჭირო საქმეაო.

— მიიღე საწყვარს ოთახში, მეც მოვალ.

მოახლე წავიდა. ცოტა ხანს უკან იზა შევიდა პატარა სასტუმრო ოთახში და დაინახა ვიღაცა კაცი ფანჯარასთან მდგომარე. ზურგ-შემოქცეული იყო და ფანჯრიდამ ბაღს გადაჰყურებდა. როგორც ეტყობოდა, კაცს გული ხელთ არა ჰქონდა.

— თქვენ გნებავთ ჩემი ნახვა, უთხრა იზამ: აი აქა ვარ, რა გნებავთ?

კაცი მოტრიალდა. იზას ბუნდად ეცნო ეს კაცი და ცდილობდა მოეგონა, სად ენახა.

— თქვენს დიდს კადნიერებაში ჩამომართმევთ, უპასუხა კაცმა გაუბედავად და ხელში უგემურად ატრიალებდა შლიაპას: მე თავის დღეში ვერ ვიფიქრებდი რომ თქვენ... იქნება ვერა მცნობთ. ტყუ-ილად გინებებიათ, თავის დღეში არ უნდა დაივიწყოთ ხოლმე თავ-გადასავალი. მერე დიდი ხანი არ არის, რაც ნელში საქეიფოდ ბძანდე-ბოდით.

— ჰო! დაიძახა იზამ, წამოწითლდა და შუბლი შეიკრა, მაგრამ ერთი წუთიც არ გასტანა ამისთანა ყოფამ, მაშინვე შუბლი გაიხსნა გაიღიმა და გაბედვით და პირ-და-პირ უთხრა:

— შენა ხარ! როგორ მიპოვე!

— ამ ერთის კვირის წინად ელისეის მინდვრებზედ ეტლში მჯდომარე გნახე; მას აქეთია სულ შენს კვალს ვეძებდი.

იზამ თვალი დააკვირვა. „ეს იქნება ამისთანა კაცი გამოდგეს, როგორიც საჭიროა ჩვენის საქმისათვის. მშვენიერი თვალადაც არის... პატარა რომ გავბანოთ, გავქლიოთ..." გაიფიქრა გულში იზამ და მერე ხმა-მაღლა უთხრა:

— კარგი ჰქენი რომ მოხვედი და რომ დაგარწმუნო რომ შე-ნი ნახვა მიამა, სადილად ჩემთან დარჩები.

— ბატონი ხარ, უთხრა არხეინად ანდრემ და დაუმატა: რაო, აქ განა კოცნა მიღებული არ არის!

— რატომ, უპასუხა იზამ და მიუშვირა თავისი მშვენიერი ტუჩები: სახელად ნეტა რა გქვიან?

— ანდრე.

— გვარი?

— გუდარი.

— აბა, ჩემო თვალის სინათლევ, ანდრევ, ეხლა კი სადილი ვჭამოთ, უთხრა იზამ, ჩაავლო ხელი და ჩაიყვანა მის სასადილო ოთახში.

მოსამსახურემ ორივე კარი ერთბამად გააღო იზას წინ.

— ჟან, უბძანა იზამ მსახურს: ერთის კაცის თეფშები და დანა-ჩანგალი კიდევ დააწყე და საჭმელი რომ მოიტანო, გადი. ჩვენ თვითონ იოლად წავალთ უშენოდაც. თუ ვინმე მოვიდეს, მე შინ არა ვარ არავისთვის.

გუდარს უველა ეს სიმდიდრე მეტად ეხამა, აუცხოვა. არ იცოდა როგორ მოიქცეს, თავისს ძალან გაცვივნულს შლიაპას რა უყოს, როგორ გადადგას ფეხი; სულელურად დაეღრიჯა პირი და იცინოდა, იზამ შლიაპა ჩამოართვა, წინა ოთახში გაიტანა და იქ ჩამოჰკიდა ჩანგალზედ, მერე ხელი ჰკრა გუდარს, რომელიც კარებში გაშტერებით გაჩერებულიყო და კასკასით უთხრა:

— ნუ გეშინიან, თამამად გადადგი ფეხი. ჩვენ მარტონი ვიქნებით და სადილზედ გულ-ახდილად ვისაუბრებთ.

სუფრაზედ ერთმანეთის პირ-და-პირ დასხდნენ. მოსამსახურემ საჭმლები მოართვა და მაშინვე გავიდა. თვითონ იზა ემსახურებოდა თავის სტუმარს. თუმცა გუდარი პირის-პირ მარტო უჯდა იზას, მაგრამ ლაპარაკს ისე ვერ უბედავდა, როგორც ნეტში სიტყვა პირში უშრებოდა. გარემოცული სიმდიდრე ეხამებოდა, ლამაზი იზა ხომ თავ-ბრუს ასხამდა. ერთის სიტყვით, ეხლა გუდარი მორცხობდა და

იზა კი თამაშობდა. ცოტას ლაპარაკობდნენ და ისე შეექცევოდნენ სადილს.

— მე დიდ ხანს ვერა ვბედავდი ზარის დაწკარუნებას, უთხრა ბოლოს გუდარმა.

— რათა?

— მე მეშინოდა, ვაი თუ აქ სხვა იდგეს ვინმე მეთქი.

— მერე როგორ შეიტყე ჩემი ვინაობა.

— აქ მეზობლებში ვიკითხე რა გქვიან და საოცარი ამბები მიამბეს შენზედ.

— ნეტა რა გიამბეს? იკითხა იზამ მხიარულად, გაიცინა და გამოაჩინა თეთრი მარგალიტივით კბილები.

— მიამბეს, რომ სხვა ქვეყნის ქალი ხარ; რომ ხანდისხან რაღაც უგუნურება მოგივლის ხოლმე; რომ პოლიცია უსათუოდ უნდა ხელს გაფარებდეს, თორემ ნებას არ მოგცემდნენ ბუშის ქალად ჩაცმისას და ქალაქ გარედ საქეიფოდ თრევისას. თვითონაც გაიგებ, ეს რომ მითხრეს, მაშინვე ვიფიქრებდი: ის არის მეთქი.

— სხვა რა გითხრეს?

— ესეც მითხრეს, რომ თუ ვაჭარი კაცი ხარო და იმის ვითარებას ტყობულობო, ნისიად ნურას ანდობო. ბოლოს ისიც მითხრეს, რომ არავინ იცის საყვარელი ჰყავს თუ არაო, ეს კიაო რომ სულ დიდი-კაცები დაიარებიან იმასთანაო. ერთის სიტყვით, შენზედ ამბობენ მდიდარი უცხოს ქვეყნის ქალიაო, მაგრამ უჭკუო რამ კიაო.

— შენ იმათზედ კარგად იცი, რაცა ვარ. უთხრა იზამ სიცილით: მე თავისუფალი ქალი ვარ, არავისზედ დამოკიდებული; რაც მინდა იმას ვერავინ ვერ დამიშლის. შენ რაღა საქმეში ხარ?

— მე ეხლა უადგილოდა ვარ.

— წინად რაღა გიკეთებია?

— მე ერთს კაცს დახლიდრად ვედექი და ეხლა ადგილს ვეძებ. სიტყვა გაშვებით და, ჩვენ აქ იმისათვის ხომ არავართ რომ საქმიანი ლაპარაკი გავჭიმოთ.

— რატომ მითამაო. საქმეზედაც ვილაპარაკოთ; შენ ძალიან კარგი მოგივიდა, რომ ჩემთან მოხვედი.

— მე კი მეგონა გამაგდებდი.

— რომ გამეგდე რას იზამდი?

— არაფერს. მე ძალიან მინდოდა შენი პირის-სახე დამენახა, როცა მე გამოგემცნაურებოდი. სწორედ გითხრა, თავის დღეში არ მოველოდდი, რომ ასე კარგად მიმიღებდი.

— რატომ არ მიგიღებდი კარგად? მე კეთილი დედა-კაცი ვარ. თუ ხელში ვაგიცანი, ეგ იმიტომ-რომ მომეწონე და ლამაზი სახისა ხარ. მეორე დილას იმიტომ გამოგექეც, რომ ჩვენ სულ სხვა-და-სხვა წრეში ვტრიალებთ და მეგონა რომ ჩვენ შორის კავშირი ვერ მოხერხდება მეთქი.

— მეც ეგრე მეგონა: შენ მდიდარი და მშვენიერი ხარ, მე ღარიბი.

— მაგრამ ლამაზი ხარ, საკვირველი ლამაზი. თუ გინდა ადგილს გიშოვნი.

— მართლა?

— მაგრამ რასაც კი გაკისრებ, სუბუქი საქმე არ იქნება.

— არა უშავს რა, მითხარი შენის გულისათვის ყველაფერზედ მზადა ვარ.

— ჩემის გულისათვის არა; მე არაფერი მიჭირს, უპასუხა იზამ და გაუწოდა ღიმილით ხელი: ჩემთვის მარტო ეს არის საჭირო, რომ ხანდისხანს გნახო ხოლმე. ამისათვის მე მსურს, რომ შენ ხალხში გამოგიყვანო.

— რა ადგილს მიშოვნი?

— სწორედ გითხრა, ადგილიც არ არის, რასაც მე გეუბნები. მე ნაცნობები მყავს, უცხო ქვეყნელები... იმათ მითხრეს, რომ ჩვენთვის საჭიროა ერთი მხნე, გამბედავი კაციო, იმისთანაო, რომ არაფრის წინ არ შედგესო, როცა საქმეს შევუკვეთამთო.

— მაგისთანა ხელობის კაცს შორს წაჰსწევენ.

— ვინ იცის, იქნება ეგ არის იმათთვის საჭირო.

— აჰაა!...

ლაპარაკი ამაზედ შეჰსწყვიტეს ცოტას ხანს. მერე იზამ ღვინო დაუსხა გუდარს, კიდევ გამოაცვალა და უთხრა:

— კმარა მაგაებზედ ლაპარაკი. აქ მო ჩემთან, ჩემო სულისავ, სხვა დროსაც მოვილაპარაკებთ შენს თაობაზედ.

ანდრეამ დალია ღვინო, ადგა, სტოლს მოუარა და გვერდით მოუჯდა იზასა, იზამ გაბედვით და ურცხვად დაუწყო ყურება.

— მე ცუდი გემოვნება არა მქონია, როგორც ვატყობ ჩემთავსა, უთხრა იზამ: ძალიან ლამაზი რამა ხარ.

გუდარმა ეს ქება ისე მიიღო, რომ არ შეწითლებულა: უამისოდაც ხშირად უთქვამთ, რომ ლამაზი ხარო. ერთმანეთი ჩაჰკოცნეს და გააბეს უწმაწური ლაპარაკი, ურცხვის არშიყობისა. მაგრამ არც ერთი და არც მეორე ვერა ჰბედავდა ის ეთქვათ, რაც გულში უტრიალებდათ. ბოლოს იზამ ჰკითხოვა, დაწვრილებით მიამბე შენი ყოფა-ცხოვრების ამბავიო: გვეყვარებია ვინმეო, ეშხიანი ხარ თუ არაო. თვითონ მეც ამას წინ ძალიან ეშხიანი ვიყავიო, მაგრამ თავი მოვირჩინე ამ სენისაგანაო, რა კი ვნახეო, რა სამძიმოებაც მოსდევს ეშხიანობასაო. ანდრემაც უამბო, რომ მეც ეშხის გამო ერთი კაცი შემომაკვდაო და მას აქედ უგულმა დატრიალდა ჩემი ბედიო.

— კაცი შემოგკვდომია! დაიძახა იზამ, თუმცა აუმღელვებლად კი.

— ჰო, ეს იყო, დუელში დავეცი მასმედ, მე მოკვლა არ მინდოდა; როცა ვიგერიებდი მაშინ შემომაკვდა.

— სამართალში ჩაგაგდეს?

— არა. სამართალს დავუმალე და არც უძებნიათ ჩემთვის, სწორედ რომ გითხრა...

— მერე სინიდისი არ გტანჯავს?

გუდარმა მხრები აიჩეჩა და გაიხარხარა.

— მაშ არაფერი არ დაგაბრკოლებს?

— არაფერი.

— მე დარწმუნებული ვარ: იმათ, ვინც მე გითხარ, რომ იცოდნენ, შენზედ უკეთესს კაცს აღარ მონახამდნენ.

— ყური მიგდე, იზავ! გინდა სიკეთე მიყო? უთხარი ჩემზედ და თუ არ გამოგდგები, ისინი თავისთვის და მე ჩემთვის.

— ლაპარაკი ბევრი არ დამჭირდება, რომ მოვენდონ. რა კი მე წავარდგენ, საქმე გათავებული იქნება.

— იცი მაინც რა საქმეში მომიხმარებენ?

— ყველაფერი ვიცი, უპასუხა იზამ და თვალი თვალში გაუყარა.

— მაშ კარგი, მე მზადა ვარ, წარმადგინე, უთხრა გუდარმა და ჴელი მოიძერა.

— შენისთანა ლამაზს კაცს ძალიან უნდა ეთაკილებოდეს ღარიბათ ყოფნა.

— მაშ არა!

— შენ ძალიან დაჩაგრული უნდა იყო ბედისაგან.

— ძალიან. მე ყველას ვეზიზღები და მეც ყველანი მძულან, გული კი ნატვრით სავსე მაქვს...

— მე შენ მიყვარხარ და გაგაბედნიერებ კიდეც. ეხლა კი დროა შინ წადი.

— როგორ, სახლიდამ მაგდებ?

— ჰო, ეგ საჭიროა. ხვალე ისევ მოხვალ. მე დღეს საღამოზედვე შენს საქმეს შევუდგები.

— ეხლა კი ესე... ავდგებ: და წავიდე რაღა? იკითხა გუდარმა სულელურის ღიმილითა.

— სულელი ნუ ხარ. ეხლა ხომ იცი ჩემი ბინა, ჩემი ნახვა ყოველთვის შეგიძლიან. ხვალე ყველაფერს მიიღებ და საღამოზედ კი შემოდი ჩემთან. მოსამსახურებისა მაინც აღარ შემრცხვება, რომ მიგიღებ.

ამ საწყენმა გულ ახდილობამ წამოაწითლა გუდარი და მაშინვე დაიხედა თავის ღარიბულ ტანისამოსზედ.

— მე ვეტყვი, უთხრა იზამ: რომ ის კაცი, რომელსაც მე გეუბნებით მეთქი, იმისთანა კაცია, რომ ყველაფერს იკადრებს, არაფრის წინ უკან არ დაიხევს და მხოლოდ ის უნდა მეთქი, რომ კარგად აძლიოთ.

— მაშ, მაშ, ეგ არის რაც არის.

— მე ვეტყვი საყვარელზედ რომ ეჭვი აიღოს, კაცის მოკვლასაც არ მოერიდება მეთქი, იმისთანა კაცია მეთქი.

— შენც კი გამიფრთხილდი, ძალიან იჭვიანი ვარ.

— კარგი ერთი! ნუ სულელობ.

ამ ლაპარაკში გუდარმა ზედი-ზედ დაუწყო ღვინოს სმა, თითქო უნდაო ნაღველი რამ მოიკლასაო.

— სად დგეხარ, ჰკითხა იზამ და ხელი ჩაავლო.

— ვილეტის ბულვარზედ, № 44.

— შენს სახლითა დგეხარ?

— ჰო.

— თუ საქმე გაგირიგე: ხვალ ბარათს მოგწერ და შიგაც ფული იქნება. მაშინვე გამოიცვალე სახლი და საღამოზედ ჩემთან მოდი.

— კარგი, მაგრამ ნუ თუ ეხლა ესე უნდა წავიდე? უთხრა გუდარმა და ანთებულის თვალით დააცქერდა.

— ჰო, დღეს ეგრეა საჭირო.

იზა წამოდგა და თვითონ გაიყვანა გარეთს ოთახში.

— ერთი მაკოცნინე მაინც, უთხრა გუდარმა.

ქალმა აჩქარებით აკოცნინა, გააღო კარი და თითქმის ძალად გააგდო კარში, ეს კი უთხრა:

— ხვალამდისაო.

იზას ძალიან ეშინოდა მთვრალის კაცისა; შეეშინდა რომ გუდარმა ბევრი ღვინო სვა, და მალე გამოაბძანა. სასადილო ოთახში რომ დაბრუნდა, ჰსთქვა თავის-თავად:

— სწორედ ამისთანა კაცია ჩემთვის საჭირო.

მეორე დილას გუდარს მოუვიდა ბარათი და შიგ ფული. წარმოიდგინეთ რა რიგად იამებოდა უმაწვილ-კაცს, როცა ბარათი გახსნა და შიგ ხუთმეტ თუმნიანი ბანკის ბილეთი ნახა და ამისთანა ბარათი:

— „კარგად მოირთე და საღამოზედ მოდი. — იზა.“

გუდარი სიხარულისაგან კინაღამ არ გაგიჟდა. თავის დღეში არა ჰქონია ხელში ამოდენა ფული. ძლივს ნატვრა აუსრულდა, ღონისძიება მიეცა, კარგად ჩაიცვას და გულ-და-გულ შეებრძოს საზოგადოებას, რომელიც ამას ახლოს არ იკარებდა.

ანდრე გუდარი გაიზარდა იეზუიტების ხელში. სკოლიდამ რომ გამოვიდა, კაი თვალადმა, წუნარმა, მაგრამ ზარმაცმა ჭაბუკმა, ადგილი იშოვნა ჯამაგირით ერთს სოვდაგართან. მაგრამ უთვალ-უუროდ თავგანებებული უმაწვილი გაბედოვლათდა და ადგილიდამ მალე დაითხოვეს. მერე ხან აქ დადგებოდა, ხან იქ და ყველგან ცუდი სახელი დაიგდო. ქეიფის მწუხარვალეთ მოყვარე ერთს სალხინოს არ გაუშვებდა, რომ არ დასწრებოდა, დაეთრევოდა ყველგან, სადაც კი ქეიფი, ლოთობა და მრუშობა იყო. რადგანაც ლამაზის სახისა იყო, თვალად თუ ტანად, ურცხვად ეარშიყებოდა ქალებს.

როცა ალალბედად იზას შეხვდა, მაშინ ამისთანა ყოფა-ცხოვრება მოწყენილი ჰქონდა და უნდოდა როგორმე თავიდამ აეცილებინა. რაც უნდა შემემთხვასო, ამბობდა თავის გულში: ამ უწმაწურის ცხოვრებიდამ უნდა გამოვიდეო, სიმდიდრე უნდა შევიძინოო და ხალხში გავერიოო. დიდხანს ეძებდა ამისთანა შემთხვევას და გაბოროტებული კბილების კრაჭუნით ეტყოდა ხოლმე თავის თავს:

— რასმეს უნდა მოვკიდო ხელიო! მაგრამ აბა რასაო?

ბოლოს ხომ იზა შეხვდა. ჩვენ ვიცით კიდეც ამ უცნაურმა გაცნობამ სად მიიყვანა გუდარი.

მიიღო ფული თუ არა, გუდარი მაშინვე წავიდა სადაც მზად შეკერილს ტანისამოსს ჰყიდიან, თავიდამ ფეხამდე მოირთო და გადა-

ვიდა უფრო რიგიანად მოწყობილ სახლში გარეს უბანში. ერთის კვირის უკან კაცი ვეღარ იცნობდა, ისე გამოიცვალა ყველაფრით.

ხუთმეტი თუმანი მარტო ბე იყო. ორის კვირის განმავლობაში ყოველს საღამოს იზასთან მიდიოდა და რას აკეთებდა იქ, ჩვ. საიდუმლოდ დარჩა. ეს კი იცოდნენ, რომ იქიდამ მოსულს ჯიბეები სავსე ჰქონდა ფულითა, ტამპლის ქუჩაში ყავახანაში შედიოდა და იქ ქაღალდს თამაშობდა ხოლმე. აქ გაიცნო თავდაპირველად ტიუსსო, რომელმაც შეამცნია თუ არა რომ ეს უმაწვილი კაცი წინდაუხედავად ფულებს აბნევს, დაუახლოვდა.

შემდეგი ისტორია გუდარისა სათქმელი აღარ არის. მკითხველმა იცის, რომ თან-და-თან დაუახლოვდა და გაუმეგობრდა გულ კეთილ ტიუსსოს ოჯახსა, ფულის სესხებით ხელი გაუმართა და კოტრობას მოარჩინა, თუმცა ცოლი გაუუპატიურა და მერე ხომ ქალიც შეირთო. ჩვენ ისიც ვიცით რა ამბები მოხდა ამ შერთვის გამო და რა მტრულად მოეწყვნენ ერთმანეთში ახალი ცოლ-ქმარნი.

დროთა მიმავლობამ მათს ცხოვრებაში არაფერი არ შეჰსცვალა. სესილი მარტო ხანდახან დილაობით ხედავდა ქმარს. ყოველს საღამოს გუდარი გადიოდა შინიდამ და ძალიან გვიან ღამით დაბრუნდებოდა ხოლმე; სესილისათვის კი სულ ერთი იყო, სადა უნდა თრეულიყო მისი ქმარი.

გუდარი ხშირად დადიოდა იზასთან. მაგრამ ბოლოს იქაც ისე გაუხდა საქმე, რომ უწინდებურად ვეღარ ფარფარობდა და თამაშობდა; პირიქით, ენა დაიმოკლა და მორცხობდა კიდეც. ტრფიალების და არშიყობის დრომ გადუარათ, გუდარი ეხლა საყვარელი კი აღარ იყო, მეგობარი იყო იზასი. იზა ეხლა უწინდებურად აღარ ექცეოდა, ბევრს უკადრისს აკადრებდა ხოლმე, ასე რომ მოახლეების წინაშეც არაფერს ჰრიდებდა. გუდარსაც სრულებით გაუქრა სიყვარული იზასი და თვითონ იზაც უწყენლად და არხეინად ელაპარაკებოდა ხოლმე ახალს საყვარლებზედ და მის ახალ-გახდა ცოლზედ, რომლის გაცნობაც იზას ძალიან უნდოდა.

ერთხელ საღამოს იზამ გუდარი გულზედ მოიყვანა ცოლის ამბების გამოკითხვით. მართლა და სულელური მდგომარეობა იყო გუდარისა: ქმარიც იყო და არც იყო ქმარი და ამას როცა მოაგონებდნენ, სულ აიმღვრეოდა ხოლმე. ის აზრი რომ სესილა ჯერ სხვას დაეკუთვნა, შეითვისა როგორც იყო და ჰნუგეშობდა იმით, რომ ეგ ჯვარის-წერის წინ მოხდაო, სახელდობრ, მაშინაო, როცა სესილი თავისუფალი იყოვო და მაშასადამე სესილასაგან კი არა ვარ გაცრუებულიო, არამედ ჩემის საკუთარის თავისაგანაო. არც იმან შეაძულა სესილა რომ გუნებ-ნაქცევად იყო, იმიტომ-რომ გუნებ-ნაქცეობაში სესილა მეტად დაშვენდა და ამან უფრო წააკიდა ცეცხლი მის მხეცურ ჟინსა.

იმ ღამეს შინ რომ დაბრუნდა გუდარი ძალიან გაჯავრებული იყო. სესილას გაეხადნა ტანისამოსი და საღამურ კაბით იჯდა პატარა სასტუმრო ოთახში, რომელიც მის საწოლის გვერდით იყო. მოესმა რა რომ კარი უეცრად გაიღო, გაოცებით შეხედა კარებს და დაინახა თუ არა გუდარი, შეჰკივლა და გაიქცა საწოლის ოთახისკენ. გუდარმა შეაყენა.

— ნუ მიდიხარ, უთხრა ტკბილად: მე სალაპარაკო მაქვს შენთან.

— ეხლავ მოვალ.

— არ იქნება, დარჩი აქ.

სესილა დარჩა და რა შეიკრა სისწრაფით კაბა, ჰკითხა:

— რა გნებავთ?

— დაჯეგ.

სესილა დაჯდა და თვალი გაუშტერა გუდარს.

— კარგო სესილ! ჰსთქვა გუდარმა: მე მინდა ერთი კარგად და საფუძვლიანად მოგელაპარაკო.

— ყურს გიგდებთ.

— ძალიან კარგი, მაგრამ გთხოვ, სიტყვა არ გამაწყვეტინო. აი რამდენიმე თვე არის რაც ჯვარი დაგვიწერია და შენც იცი, რომ შენ-

თვის ლაპარაკით თავი არ მომიბეზრებია. ეხლა კი არ შეიძლება არ გითხრა. ქალი თუ კაცი ერთმანეთს ირთვენ ერთის დღისათვის კი არა, არამედ სამუდამოდ მინამ ცოცხლები არიან. ამიტომაც მე მინდა ერთხელ და უკანასკნელად მოგელაპარაკო ამ საგანზედ. რაც ყოფილა, ყოფილა და წასულა,—და თუ საყვარელი გყოლია რა ვუყოთ? შენ მაშინ თავისუფალი იყავი. შენ მალე დედათაც შეიქმნები. და მე მივიღებ კისრად შენის შვილის მამობას; ჩემგან არც სამდურავს გაიგონებ, არც ყვედრებას. მითამ ახალ-გაზდა გასათხოვარი ქალი არ შემირთავს და შემირთავს მხოლოდ ახალ-გაზდა ქვრივი. მორჩა და გათავდა, რა კი ეს ჩემი გულის-პასუხი გითხარი, მე გკითხავ, ნუ თუ სამუდამოდ ესე განცალკევებით უნდა ვიცხოვროთ?

— მაგაზედ გსურდათ ჩემთან მოგელაპარაკნათ?

— ჰო და შენც თვითონ ხედავ რა თავაზითაც გელაპარაკები, უთხრა გულარმა გაკვირვებულმა, რომ ყესიამ ასე მკვახედ უპასუხა.

— თქვენ შემცდარი ხართ, მე თქვენი ცოლი არა ვარ. ბედმა იძულებულ მყო ვიცხოვრო თქვენთან ერთს ჭერს ქვეშ, მაგრამ თავის დღეში კი მე თქვენ არ გეკუთვნებით. თქვენ გინდოდათ დაგეჭირათ ადგილი, რომელიც სხვისგან იყო დაჭერილი, ეგ თქვენი საქმეა; ხოლო მე ვეკუთვნი სხვას და თავის დღეში არ ვუღალატებ. თქვენს შესახებ ამას ვიტყვი, რომ ჩემის გულისთვის კი არა, თქვენის საკუთარის პატივისათვის უნდა საიდუმლოდ შეინახოთ ის, რაც დღეს ჩვენ-შორის ლაპარაკია. თუ ამას არა იქმთ, სამასხაროდ გაიხდით თავსა.

— მეცა ვხედავ მაგას და ამიტომა მინდა ამ ჩემს სულელურს ყოფას ბოლოც მოვუღო, ჰსთქვა გულარმა და შუბლი შეიკრა.

— მაგითი რის თქმა გინდათ?

— იმის თქმა, რომ შენ ჩემი ცოლი ხარ და იქნები კიდეც ნებით თუ უნებლიეთ.

— ჭკუიდამ შეშლილხართ! დაიძახა ყესიმა და ეცა თავის საწოლის კარებს.

მაგრამ გუდარმა გზა გადაუჭრა და თითქმის ცხვირწინ მიურახუნა კარები.

— ვიშ, უნამუსოვ! ისევ უწინდელს უნამუსობას მიჰყავით ხელი! უთხრა სუსილამ.

— ჰო ვიცი, შენი რევოლვერი გინდა აგედო განა? უკაცრავოდ, გმარა ამდვენი გამედიები, უპასუხა გუდარმა: ბატონო გუდარის მეუღლევ, მე ამაღამ თქვენთან მსურს ყოფნა.

— თავის დღეშიაც! მე ჯერ თავს მოვიკლავ.

ამას რომ ამბობდა, უნდოდა ხელიდამ გამოსხლეტოდა გუდარს, რომელმაც ხელი ჩასჭიდა კიდეც. რომ ვერა ქნა რა, მივარდა ყელში გუდარს და კინაღამ არ დაახრჩო. გუდარმა ძლივს გადირჩინა თავი და ძიძგილაობაში კაბა ჩამოახია. კდემამ და გაბოროტებამ ერთი-ორად გაამხნევეს ეს უბედური ქალი; როგორც იყო ხელიდამ გამოეცალა და გაიქცა კარებისაკენ, მაგრამ გუდარი დაეწია, ფეხი გამოჰსდო და საწყალი ქალი ძირს დაეცა ხალიჩაზედ.

— მიშველეთ, მიშველეთ! ყელსა მჭრიან! ყვიროდა სუსილი, რა კი ხედავდა რომ გაძალიანება ამას იქით ველარას უშველიდა.

სწორედ ამ დროს გარეთა კარი ვიღაცამ დაარაკუნა. სუსილა თითქმის ნახევრად შიშველი, თმა აწეწილი ეგდო იატაკზედ და რომ გაიგონა კარის რაკუნის ხმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა შემოიკრიბა და ხელი ჰკრა გუდარსა. გუდარმა კარის რაკუნის ხმა ვერ გაიგო, საზარლად ხარხარებდა და იძახდა:

— ბატონო გუდარის მეუღლევ, ჩემი იქმნები, ჩემი.

უეცრად ხელიდამ გააგდო სუსილი, წამოხტა გაფითრებული და მთელმა ტანმა კანკალი დაუწყო. კარებს იქიდამ ვიღაცამ ხმა მაღლად დაიძახა:

— კანონის სახელით გააღეთ კარი.

ამ სიტყვებმა თვალის დახამხამების უმალ სრულად შესცვალა გუდარი. მისი სახე წუთის წინად თამამად მაყურებელი, ეხლა აჩენდა სულ-დაბალს ქალაჩუნობას და მხთლობას. სუსილი კი, რა კი ნახა

რომ გუდარმა თავი დაანება, წამოხტა ფეხზედ, მიიმალა კუთხეში და ცდილობდა ხელებით როგორმე დაეფარა ნახევრად შიშველი ტანი.

ამასობაში მოახლეს რა კი გაეგონა კარის რაკუნი, გაეღო კარი და რამდენიმე პოლიციელი შემოცვივდნენ და პირ-და-პირ წამოვიდნენ პატარა სასტუმროისაკენ. რადგანაც აქედამაც ხმაურობა მიესმათ. ძნელი არ არის წარმოიდგინოს კაცმა იმათი გაოცება, როცა შემოვიდნენ ოთახში და ნახეს თითქმის შიშველი ქალი, რომელიც იმათს შემოსვლაზედ მივარდა ფანჯრის ფარდას და ფარდის უკან დაიმალა. ჩუმად-მძიებელმა გიურემ წარბი შეიკრა და მკვირცხლად მოატარა თვალი ოთახში. მორთულობა ოთახისა აქოთებული იყო, ხალიჩაზედ ეყარა კაბისა და თეთრეულის ნახევები, გუდარის თითებზედ შავის თმის ბეწვები იყო, რომელნიც ძიძგილაობაში ბეჭდებს ზედ გამოჰბმოდნენ.

— ანდრე გუდარი რომელია? იკითხა გიურემ და იგრძნო, რომ აქ რაღაც ამბავი ყოფილა, რომლის გამოკვლევაც საჭიროა.

— მე ვარ, უპასუხა გუდარმა.

— კანონის სახელით მე თქვენ გიჭერთ, უთხრა გიურემ, ჰკრა ხელი და მიაგდო პოლიციელებისაკენ, რომელნიც კარებთან იდგნენ: — ეს ქალი ვინღაა? დაუმატა მან და ანიშნა სესილა.

— ჩემი ცოლია, უპასუხა გუდარმა ცოტად თავის დონეზედ მოსულმა: თქვენი მოვალეობაა მე დამიჭიროთ, ხოლო არავითარი ნება არა გაქვთ ჩემს შინაურს საქმეში გაერიოთ. ჯერ ისიც უმართებულო საქმეა თქვენის მხრით, რომ აქ შემოხვედით. წაბძანდით და მეც მოვდივარ.

— ჩვენ აქ არ შემოვიდოდით, რომ თვითონ გაგეღოთ კარები, უპასუხა გიურემ და რადგანაც იგრძნო, რომ გუდარმა მართალი უთხრა, დაუმატა: კარგი, წამობძანდით.

პოლიციელებმა გუდარი წაიყვანეს, გიურე კი კარებში შედგა და უთხრა სესილს:

— ბოდიშს ვიხდი თქვენთან, ქალ-ბატონო.

კარები გაიხურეს და გავიდნენ. სესილი მაშინადვე შევარდა თავის ოთახში, ხელ-და-ხელ გადიცვა კაბა და ისევ სასტუმრო ოთახში შემოვიდა. ცოტად გააღო კარი და ყური დაუგდო ქმრის და პოლიციელების ლაპარაკსა, მაგრამ ვერა გაიგო რა. მარტო ამას კი მოჰკრა ყური, რომ გიურემ გუდარს უთხრა:

— ხომ არა გსურთ თქვენს ცოლს გამოეთხოვოთ?

— რა საჭიროა, უპასუხა გუდარმა: მე დარწმუნებული ვარ, რომ შეცდომით მიჭერთ. ეგ შეცდომა ეხლავ გამომჟღავნდება და ისე მალე დავბრუნდები შინ, რომ ჩემი ცოლი ვერც კი გაიგებს ვიყავ სადმე თუ არა.

ამის შემდეგ გარეთი კარი მოარახუნეს, გავიდნენ პოლიციელები და გუდარი თან წაიყვანეს. მოახლე კი შეშინებულის სახით შემოვიდა სასტუმრო ოთახში მითამ ჰკითხოს ქალბატონს ხომ არა გნებავთ რაო და გულში კი ისა ჰქონდა, შეეტყო, ბატონი რად დაიჭირესო. სესილმა არა უთხრა რა მასზედ, რაც მოხდა და უბძანა წადი, დაიძინეო.

მარტო რომ დარჩა სესილა, დაეცა ტახტზე დათენთილი და დაქანცული. საზარელი ამბავი ურცხვის ძალადობისა, რომელსაც ასეთის სასწაულით გადარჩა, ხელახლად წარმოუდგა თვალწინ. თუმცა ამისთანა საზარო ივათერაკში ჩავარდნილი იყო, მაგრამ ზეცამ შეიბრალა და დაიხსნა იგი სწორედ იმ წამს, როცა ყოველივე ღონე მიხდილი ჰქონდა და უნამუსო ძალადობის სხვერპლად უნდა გამხდარიყო. ზეცამ დაიხსნა იგი ამა სირცხვილისაგან. ამ ფიქრმა შეიპყრა სესილა მთლად და აზრადაც არ მოსდიოდა ქმრის დაჭერის ამბავი. იგი არა კითხულობდა, რად დაიჭირეს ჩემი ქმარიო ამ შუაღამისასაო. იგი ხედავდა რა თავის თავს თავისუფლად და ბედნიერად, ლოცავდა თავის ბედსა.

მერე კი, ცოტა ხანი რომ გავიდა, ფიქრად მოუვიდა, ვაი თუ გუდარი ისევ მალე დაბრუნდესო. რომ მიდიოდაო თვითონვე ჰსთქვაო, მალე დავბრუნდებიო. აქამომდე უმალიანდებოდა ქმარს, დღესაც რაღაც სასწაულმა დაიხსნა, მერე რაღა უშველიდა? აშკარა იყო

რომ გუდარი თავისას არ დაიშლიდა. სესილას ეშინოდა, შინ მოვაო და ისევ მე მომვარდებაო უფრო მომეტებულის გააფთრებითაო და მაშინ აღარა ფერი არ დამიხსნისო. ამისგამო იფიქრა, რომ ერთბამად უნდა მოვსპო მასთან ყოველივე კავშირიო. ქვეყანა ეხლა ვერასფერს ცუდს ვერ იტყვისო, ქრმის დაჭერა ასლი მიზეზიაო, რომ ამ სახლს მოვშორდეო.

ზარი დააწკარუნა.

— ჩემო კარგო ჟულიეტავ, უთხრა მოახლეს, როცა ზარის ხმაზედ შემოვიდა: ჩაიცვით. მე აქ დარჩენა აღარ შემიძლიან, მეშინიან მარტო ყოფნა, დედ-მამასთან გადავალ. ბოხჩაში შეახვიეთ ჩემი თეთრეული და ხვალ დანარჩენსაც გადმომიტანეთ.

— ეჰ ქალბატონო, რა კარგათ გინებებიათ, უპასუხა მოახლემ; მეც შიშმა ამიტანა და ძილი არ მომეკარა. რომ გენახათ რა უზრდელობით მოექცნენ პოლიციელები ბატონს! უსათუოდ რაღაც ძალიან ცუდი საქმე მოუხდენია.

სესილმა არა უპასუხა რა; სესილამ და ჟულიეტამ ჩააწყეს რაც საჭირო იყო ბოხჩაში, მერე წამოისხა სესილამ წამოსასხამი მოახლე გამაიყოლა და გამოვიდა სახლიდამ. მალე მივიდნენ ტიუსსოს სახლთან და დაურაკუნეს კარი.

— ვინა ხართ? ჰკითხა ტიუსსომ წამოხტა რა ქვეშაგებიდამ და ფანჯრიდამ გადიხედა.

— მე ვარ, მამი, გამიღეთ, უპასუხა სესილამ.

— შენა ხარ! ეხლავ.

დაიწყო ტიუსსომ თავის ჩუსტების ძებნა და ელდა-ცემული ადელი კი იძახოდა:

— ღმერთო ჩემო! ნეტა რა მოხდარა?

— მე მგონია, ქმარს გამოჰქცევია, უთხრა ტიუსსომ და სანთელი აანთო: დიახ, გამოჰქცევია და ჰგონია რომ მე ხელს შევუწყობ. როგორ არა! დამაცადოს, მე ვუჩვენებ!

— იქნება უბედურება რამ შეემთხვა.

იმის შიშით რომ იქნება ძალიან ცუდი რამ მოხდაო, ადელმა სწრაფად გადიცვა კაბა და ძირს ჩამოჰყვა ქმარს.

— ასე გვიან რად მოსულხარ? ჰკითხა ტიუსსომ ცოტა წყრომით, როცა სესილა სასადილო ოთახში შემოვიდა.

— დასაძინებლად მოვედი.

— რაო? რა მოხდა განა? ჰკითხა ტიუსსომ, რა შეიკრა წარბი და თვალები დააჭყიტა.

— ჩემი ქმარი დაიჭირეს, უპასუხა გულ-დადინჯებით სესილამ.

— ახა ღმერთო ჩემო! რის გულისათვის? იკითხა მამამ გაფითრებით, დედა კი შეკრთა, რადგანაც იცოდა გუდარის ამბავი, რომ ყველა ავი ხელიდამ გამოუვიდოდა.

— მე რა ვიცი, უპასუხა ქალმა, მოიხადა წამოსასხამი და შუბლზედ მოყრილი თმა გაისწორა.

— რაზედ გიტკენია? ჰკითხა ადელმა და ჯრიშნა ხელი, რომელიც ძალიან დალურჯებული ჰქონდა სესილას.

— ეს ქრმის სახსოვარია, უპასუხა ქალმა და მწარედ ჩაიღიმილა.

— ნუ თუ გცემს ხოლმე? ერთ ხმად ჰკითხეს დედამ და მამამ.

— დღეს დაიწყო.

— და მაგისათვის დააჭირეს? იკითხა ტიუსსომ.

— არა, არა... ერთი მომასვენეთ ჯერ. მე ჩემს ოთახში წავალ და დავიძინებ. ხვალ ყველაფერს გიამბობთ.

სესილა ასეთს ცუდს ფერზედ იყო, ისე აურჭოლებდა, რომ დედ-მამამ წაიყვანეს თავის უწინდელს ოთახში და დაპარაგი სხვა-ლიოდ გადაჰსდეს.

სესილა, როცა მარტო დარჩა თავის პატარა ოთახში, სადაც თავისი მშვიდობიანი ყმაწვილობა გაეტარებინა, დაეცა მუხლებზედ და ხელთ აღპყრობით წარმოჰსთქვა:

— ჰოი, ღმერთო ჩემო! ნუ განმიტევებ მე! ამდვენი ტანჯვა და წვალება გამომიკლია!

# ნაწილი მესამე

## ქრთამი.

### თავი I

#### ტიუსსო და კამპანია

ქალის სიტყვებით აშფოთებული და დარწმუნებული რომ ყველაფერში ქალის დამნაშავე, ტიუსსო ძალიან ცუდს გუნებაზედ შემობრუნდა თავის ოთახში. დააპირა, ხვალ დილით შევიტყობო ყველაფერს სიძის დაჭერის თაობაზედაო. ჰფიქრობდა, უსათუოდ გუდარი შეცდომით როგორმე დაიჭირესო, ან იქნება სესილას ყვირილზედ პოლიციელები შეუცვივდნენ სახლშიაო და ამის გამო მოხდაო ყველაფერი. ეს უკანასკნელი გარემოება კი უფრო ნაკლებ ჰსჯეროდა. ყველაზედ მეტად გულს უსიებდა ადელი, რომელიც ნუგეშის მაგიერ, ჰსწყევლიდა გუდარს და აყვედრიდა ქმარს, შენ გამიუბედურე შვილიო. ტიუსსო ჩაწვა ქვეშაგებში, მაგრამ ძილი არ მიეკარა. გუდარის აკაცობა როგორ მოუვიდოდა ფიქრად: იგი, ტიუსსოს თვალში ისეთი პატიოსანი, ისეთი გულ-კეთილი, ისეთი მდიდარი იყო! ხან რა იფიქრა, ხან რა და ბოლოს რომ ვერას გახდარა, წამოჯდა ქვეშაგებზედ და დაიძახა:

— ოჰ, ღმერთო!

— რა დაგემართა? ჰკითხა შეშინებულმა ადელმა.

— მე სანაძლეოს დავდებ, რომ აქ პოლიტიკაა გარეული. გაზეთებშიაც რაღაებსაც ჰსწერდნენ...

თუმცა სულელობაშია ჩამოსართმევი ამისთანა სიტყვები, მაგრამ დროთა ვითარებას შეეფერებიან. ნაპოლეონ III ხელმწიფობამ შემოიტანა ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში კაცის დევნა რაღაც პოლიტიკის მიზეზებითა და თუ ჩვენი ნაცნობი ვინმე დიდის ხნით მიგვეფარებოდა თვალიდამ, მაშინვე ეს აზრი მოგვდიოდა

თავში: უსათუოდ პოლიტიკაში გარეულაო. ამიტომაც ამ აზრმა რომ გაურბინა გულში ტიუსსოს, საკვირველი არ არის, მაგრამ ადელმა კი მხრები აიჭიმა.

— ახ, ნეტავი არ იქნება ეგრე იყოს! ჩვენთვისაც კარგი იქნებოდა და თვითონ იმისთვისაც, შენიშნა ადელმა.

გათენდა თუ არა, ტიუსსო თავის სიძის სახლში წავიდა, რომ შეიტყოს რამე და ცოლი კი ადგა და თავის ქალთან შევიდა. სესილმა ძალიან ცუდად გაატარა ღამე, სრულებით დათენთილი იყო და ჰგრძნობდა დიდს სისუსტეს ტანისას და ძარღვებისას. ჩვენ ვიცით, რა რიგადაც უყვარდა დედა და ამიტომაც მაშინვე უამბო ყველაფერი. მერე ორივემ დაიწყეს გამოცნობა მისი თუ რა მიზეზით დაიჭირეს გუდარი. ადელმა ჰსთქვა, რომ უსათუოდ სამარცხვინო ამბავს რასმეს ჩაიდენდაო, ან ქალწულს ქალს შეაცდენდაო, ან ქრმიან ზედ ძალას მოიხმარებდაო. ამაში შეუძლებელი არა იყო რა, რადგანაც გუდარი თითქმის სულ მუდამ გარედ დაეთრევოდა ხოლმე.

— ჩემთვის სულ ერთია რა მიზეზითაც უნდა იყოს დაჭერილი, ამბობდა სესილი: მე ყოველ შემთხვევაში მისგან თავი დავიხსენი.

— თუ შეცდომით დაუჭერიათ, ხომ მალე დაბრუნდება ისევ შინა.

— მე რა მენაღვლება. მამა ჩემმა რაც უნდა თქვას, მე გუდართან საქმე გამითავებია. მაგისთანა სიცოცხლეს მე ვერ ავიტან, არ შემიძლიან.

— ვაი ჩემს თავს! ქვეყნის ყბად გავხდებით.

— რაო! შენ ყველაფერი იცი და მაინც გინდა რომ მე იმასთან დავრჩე მარტო იმისთვის, რომ ქვეყანამ ყბად არ აგვიღოსო! რას ამბობ, სიკვდილი ჰსჯობს იმ კაცთან სიცოცხლესა. ცემას მომიყვა ეხლა და ამას იქით რაღა დააყენებს... იმის მეტი კი არ უნდა რა, რომ ვუჩივლო, მცემს მეთქი. ტანზედ ცხადი ნიშნები მაქვს ნაცემობისა და რა გზით იმართლებს თავს? მეორე მიზეზი ცოლ-ქრმობის გაუქმება-

სა ჩვენ შორის ის არის, რომ ჩვენი ხასიათები ერთმანეთთან ვერ მოდიან.

— მამა შენი მოკვდება და მაგას არა იქს.

— როცა საქმე მამის ჩემის დახსნაზედ იყო მიმდგარი, მე დავემორჩილე, ეხლა კი არაფერი არ შეარყევს მის ქარხანასა. ჩვენი გაყრა არაფერს არ შესცვლის, ქვეყნის თვალში გუდარი მამაა ჩემის შვილისა, მაშასადამე მეცა და ჩემს შვილსაც მის ქონებაზედ უფლება გვაქვს კანონით.

— ყოველივე ეგ მაშინებს მე.

— აქ საშიშარი არა არის რა. მე უბედობამ ბევრი მწუხარება გამომატარა, ჩემი ქმარი ციხეში ზის და რად უნდა გიკვირდეს რომ ამ ყოფაში მე მინდა ჩემს ქმარს სრულებით მოვშორდე.

— მამა შენსაც დაეკითხე.

— აბა რა უნდა დავეკითხო საწყალს მამას, უპასუხა სესილიამ: მამა ჩემმა ის უნდა იყაბულოს, რაც მე მსურს.

ამ დროს ქარხნიდამ ხმა მოისმა და ადელი მაშინვე მიხს ჩამოვიდა, ტიუსსო ძალიან გაჯავრებული შინ მოსულიყო. ვერაფერი ვერა შეეტყო რა და თავის სიძის დაჭერის ამბავი სულელობით თვითონვე ეამბნა მეკარისათვის, რომელიც გუდარის სახლს ედგა. თვითონ მეკარეს კი არა ჰსცოდნოდა რა და არც რაიმე შეეტყო. გუდარიო, ეთქვა მეკარეს: ისე ხშირად გადიოდა სახლიდამ და მოდიოდა ღამე გვიან, რომ იმის წასვლა-მოსვლას ყურსაც არ ვადევნებდით. მართალია, გუშინ ღამ კი სამი კაცი მოვიდნენ და იკითხესო გუდარი სად დგასო, მაგრამ მე გუდარის ამხანაგები მეგონაო. ერთის სიტყვით, ისე ჩუმად დაეჭირათ გუდარი, რომ სახლში ვერც კი ვერავის გაეგოთ.

— აი ხომ ხედავ, ამ ამბავს პოლიტიკის სუნი უდის, უთხრა ტიუსსომ თავის ცოლს.

ამ სიტყვებმა მოთმინებიდამ გამოიყვანეს ადელი. გაჯავრებულმა უამბო ქმარს, რომ საწყალს სესილას ყოველ დღე უსიამოვნობა ჰქონდა ქმართან; რომ თუ ქმარი ჰსცემდა; რომ გუშინ გუდარი არ დაეჭირათ, მოსტეხდა რასმეს და დააშავებდა, თუ არა გჯერათ, წადი და დალურჯებული ტანი უნახეო.

ტიუსსოს ელდა ეცა ეს რომ გაიგონა. როგორ! გუდარი ამისი მეგობარი, იმისთანა კეთილი და პატიოსანი კაცი ცოლსა ჰსცემდა განა? ვინ იფიქრებდა? მაგრამ მოდი და ნუ დაიჯერებ როცა თვალით ჰხედავ! ტიუსსოს თავისი შვილი, თავის მამის ერთა ქალი ძალიან უყვარდა და დიდად შეწუხდა, როცა გაიგო, რა დღეშიაც ჰყვანდა ჩავარდნილი. უსათუოდ, აქ რაღაც უცნაური საქმეაო დაფარული, ჰფიქრობდა ტიუსსო: ერთი მე თვითონ გამოვკითხავ ჩემს ქალსაო და რასაც შევატყობ, იმის მიხედვით შევუდგები საქმესაო.

— მაინც ის ეხლა ჩემთვის საჭირო აღარ არისო, ჰსთქვა ბოლოს თავის თავად ტიუსსომ და მით გამოაჩინა სწორედ ვაჭრული უმადურობა.

პატივსაცემს მებრონზეს ის უმღვრევდა გულს, რომ მე მამა ვიყავიო და ხელს არ დავაწებდი ხოლმე ჩემს ქალსაო და ჩემმა მეგობარმა კი, რომელსაც მივათხოვე ჩემი ქალიო, ცემაც დაუწყოო. რაც უნდა დამნაშავე ყოფილიყო, ცემა როგორ გაუბედაო. განა საკადრისია კაცისათვისო, რომ ქალსა ჰსცემოსო!

ტიუსსო ისე ცხარობდა რომ ადელს უხაროდა, იქნება ღმერთმა მიშველოსო და თვითონვე მოაშოროსო თავისი ქალი იმ სამაგელს ქმარსაო. ადელი გაიქცა, რომ ეს სასიხარულო ამბავი თავის ქალს შეატყობინოს, ტიუსსო კი დარჩა მარტო, დაეყუდა დაზგას, აიფარა სახეზედ ხელები და ღრმად ჩაფიქრდა.

— „მართლა რომ ჰსთქვათ, ამბობდა გულში ტიუსსო: გუდარი რის მაქნისია ჩემთვის? ქარხანა ეხლა უიმისოდაც კარგად წავა. ტგი-

ნი წაიღო ყვედრებით, მე რომ არა ვყოფილიყავ, დაიღუპებოდით. ერთი რაღაც სულელი ბედოვლათია; მე რომ არ შევსწრებოდი და იმისი ფული ქარხანაში არ გამება, დღეს ლუკმა პურის ნატრული იქნებოდა. ფულს ქარხანაში ვამუშავებ და დიდს სარგებლსაც ვაძლევ. ჩემისთანა სულელი კაცი თუ, თორემ სხვა უჩემო ვინ გაუყოფდა მოგებას სანახევროდ, მაშინ, როდესაც არაფერს ის არ აკეთებს და სულ მე ვარ. მართალია, ჩემი სიძეა და ჩემის ქალის გულისათვის გავიამხანაგე და თუ როგორც რიგია ჩემს ქალს ისე არ ექცევა, რიღასთვის უნდა მივეფერო? მე დარწმუნებული ვარ, რომ გუშინდელი ამბავი იმიტომ მოუხდათ, რომ ცოლსა ღალატობს. უნდა ახსოვდეს, რომ მისი ცოლი ჩემი ქალია; რომ ჩემი ქალი შვიდმეტის წლისაა და თვითონ ორმოცისა! მე სანაძლეოს დავსდებ, რომ საწყალი სესილია ეჭვს შიიტანდა... და იმას კი ცემაც უკადრებია. უკაცრაოდ, ამას იქით კი აღარას გაგაბედვინებთ. მე თვითონ ვურჩევ ჩემს ქალს, რომ სამართალს მიჰმართოს... ამას იქით ფულის სარგებელი ჩემს ქალს უნდა ვაძლიო ხოლმე".

ამ დროს მოახლემ გაზეთი შემოუტანა. ტიუსსოს მაშინვე მოაგონდა გუდარი და მისი დაჭერის საქმე პოლიტიკის მიზეზით. მაშინვე გაშალა გაზეთი და დააკვირვა თვალი იმ ადგილს, საცა საყოველდღეო ამბებსა ჰსწერენ ხოლმე.

— ეს რა ამბავია! დაიძახა წაკითხვის შემდეგ და გაიქცა სასადილო ოთახისაკენ, საცა ადელი და სესილია ისხდნენ: ეს კი მეტის მეტია!

— რა ამბავია? ჰკითხა სესილიამ.

— აი წაიკითხე! უთხრა ტიუსსომ და მიაწოდა გაზეთი.

სესილიამ ჩამოართო გაზეთი და დაიწყო კითხვა. იმ კითხვაში თან და თან ფერი მისდიოდა და ბოლოს ერთი ხმა მაღლა დაიკივლა და გულ შემოყრილი წაბარბაცდა დასაცემად, მაგრამ დედა მიეშველა და გულზედ მიისვენა.

— ვაიმე, ვაიმე! დაიძახა ტიუსსომ: მე მოვკალ ჩემი შვილი!

XIV. პოლიტიკა

პარლამენტის მოღვაწეობა საფრანგეთში ამ ბოლოს დროს.—ჟიულ ფერრის ღვაწლი სწავლა-განათლების თაობაზედ და ბრძოლა ეკკლესიისა და სახელმწიფოის შორის.—სრულიად სხვა რიგი მიმართულება ამ გვარივე ბრძოლისა გერმანიაში.—გერმანიის აწინდელი შინაგანი და გარეგანი პოლიტიკა.—ზოგიერთი რამ საყურადღებო მომავლისათვის. . . . . . . . . . . . . . . 224

XV. ქუჩაში მომღერალი ქალი, მოთხრობა გ. როდელისა. 231

XVI. სხვა და სხვა ამბავი და ცნობა. . . . . . . . . . . . 245

XVII. დამატება: იზა, რომანი ბუვიესი.

ი 383
1879

# ივერია

გამოდის თვეში ერთხელ, თითო წიგნად.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში, გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქვაშვეთის ეკკლესიის ქვემოდამ, და აგრეთვე თვით რედაქციაში, სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, № 4; ქუთაისში, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოტეკაში.

ფ ა ს ი:

ტფილისში მცხოვრებთათვის: მთელის წლით — 11 მან.
ექვსის თვით — 5 მ. და 50 კ.
გარეშე მცხოვრებთათვის: მთელის წლით — 12 მან.
ექვსის თვით — 6 მ. და 50 კ.

---

რედაკტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.